

# აზარი ბაქრაძე - სკოლას

ბავშვებისთვის სწავლა "ფიქსების სკოლაში"  
ქვეყნისთვის?!

უბრალოდ  
სწავლა და მოსწავლე

სწავლის სწავლა და მოსწავლე  
უბრალოდ

სწავლის სწავლა და მოსწავლე  
სწავლის სწავლა და მოსწავლე

# აკაკი ბაქრაძე — სკოლას

დამხმარი სახელმძღვანელო ძართულ  
ლიტერატურაში საშუალო სკოლებისათვის



„უნივერსალი“  
თბილისი - 2004





ქართული  
ბიბლიოთეკა

შემდგენელ-რედაქტორნი:

ამირან გომართელი  
ლევან ბრეგვაძე

K287.695

- © ყველა უფლება დაცულია
- © გამომცემლობა „უნივერსალი“, 2004

ISBN 99940-32-72-0



საქართველოს აკადემიური  
ქართული ბიბლიოთეკა

ეს წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის უფროსკლასელთათვის. აკაკი ბაქრაძის ლიტერატურული წერილები მივუსადაგეთ სკოლაში ამჟამად მოქმედ პროგრამას. თუმც, რა თქმა უნდა, არც სავალდებულო და არც კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას იგი სრულად არ მოიცავს. მომავალში, ვფიქრობთ, პროგრამები გადაინიშნება და ამ კრებულის შედგენილობაც შეიცვლება. მით უფრო, რომ აკაკი ბაქრაძეს ერთ-ერთ ჩვენგანთან ერთად განზრახული ჰქონდა ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა. არსებობს საამისო გეგმაც, თუმცა ეს საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ აკაკი ბაქრაძის გარდაცვალების გამო.

კრებულში შესული ზოგიერთი სტატია, მართალია, სცილდება არამარტო სასკოლო პროგრამას, არამედ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ფარგლებსაც („ლეგენდა“, „ცოდვა და მადლი“), მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ მოსწავლეობის მათი მიწოდება, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ეს წერილები პრობლემის გლობალურად დაძუშავების ჩინებული ნიშნებია. მათი კრებულში შეტანით იმის მინიშნებაც გვინდა, რომ ქართული მწერლობის განხილვა მსოფლიო ლიტერატურული პროცესისაგან იზოლირებულად არ შეიძლება. აუცილებელია მოსწავლის თვალსაწიერის გაფართოება და ამა თუ იმ საკითხის უცხოური ლიტერატურის კონტექსტში განხილვა. ასეთი გახლდათ აკაკი ბაქრაძის თვალსაზრისიც. გარდა ამისა, კრებულის დაწყებას წერილით „ლეგენდა“ სხვა აზრიც ჰქონდა. აქ მკაფიოდაა გამოხატული თვალსაზრისი მხატვრული ლიტერატურის ბუნება-რაობისა და სინამდვილის ორი ფორმის – რეალურისა და გამოგონილის შესახებ.

საჭიროდ ვცანით კრებულში შეგვეტანა აგრეთვე ზოგადეთიკური პრობლემისადმი მიძღვნილი წერილი „ზნეობრივი გმირისათვის“. ზნეობრივი გმირობა ნებისმიერი ერის სიტყვაკაზმული მწერლობის უმთავრესი თემაა. აკაკი ბაქრაძე ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს ჩვენი

მწერლობისა და ისტორიის მაგალითების მოშველიებით განიხილავს, რაც მოსწავლეს პრობლემის არსის გარკვევაში დაეხმარება. ეს კი უფიქრობთ, უთუოდ შექმნის იმის საფუძველს, რომ ჰაბო ტფილგელს, ცოტნე დადიანისა თუ ქეთევან წამებულის ზნეობრივი გმირობის კვლადაკვალ, მან სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მხატვრულ ქმნილებებში თვითონ აღმოაჩინოს ზნეობრივი გმირობის მაგალითებიცა და ზნეობრივი გმირიც.

აკაკი ბაქრაძის რამდენიმე ნაშრომი ამ კრებულში მცირეოდენი ცვლილებით შევიდა. ცვლილება შეეხო ზოგიერთი მათგანის ტაქსტსაც და სახელწოდებასაც. სათაური წერილისა – „ზოგაის მინდია და ტაბუ“ – ჩვენს კრებულში „ტაბუს“ გარეშეა წარმოდგენილი, ვინაიდან კ. გამსახურდიას ეს ნოველა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული არ არის და ტექსტიც ამ ნოველისადმი მიძღვნილი ბოლო ნაწილის გარეშეა წინამდებარე კრებულში შეტანილი. ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიან მუგლანუაშვილისადმი“ მიძღვნილი ანალიზიც, რომელიც ბატონი აკაკის მიერ სამედიცინო ინსტიტუტში წაკითხული ლექციის ამონარიდს წარმოადგენს, ჩვენ დავასათაურეთ. აგრეთვე, ავტორის ხელნაწერში არსებული შენიშვნის თანახმად, იგი შევავსეთ ფრაგმენტებით აკაკი ბაქრაძის წერილებიდან „პატიოსნება“ (გაბრიელისა და მღვდლის საუბარი) და „სევდა ისტორიისა“ („მრისხანე ბატონისა“ და „რანდების“ ეპიზოდები).

ჩვენი დასათაურებულაია „ყვარყვარე“ – ფრაგმენტი მოგონებათა წიგნიდან „ნიღბების სამყაროში“. ჩვენივე შერჩეულია სახელწოდებად „ქართული მწიგნობრობა“ უსათაურო გამოუქვეყნებელი წერილისათვის. სატელევიზიო გამოსვლის ჩანაწერი „ავთანდილის სახე „ვეფხისტყაოსანში““ შევავსეთ ავთანდილის დახასიათებით აკაკი ბაქრაძისავე სხვა წერილიდან, რომლის სახელწოდებაა „მკვახე შეძახილი“. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნარკვევები ამოვიღეთ ამ მწერლებზე დაწერილი მონოგრაფიებიდან. აკაკის პოეზიის განხილვას წინ წავუძღვარეთ ცალკე გამოქვეყნებული წერილი „ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი“.

ამ წიგნის გამოცემის მიზანი არ არის მხოლოდ ის, რომ სასკოლო



სახელმძღვანელოების სიმწირეს განვიცდით და ეს ზარვეზი უნდა შეივსოს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ აკაკი ბაქრაძე ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში აზროვნების ახალ მანერას ამკვიდრებს, ახლებური ინტერპრეტაციაა აქ ჩვენი მწერლობისა. ეს ნარკვევები აზროვნების სხვაგვარი თავისუფლებით სუნთქავს. აზროვნებისა და ინტერპრეტაციის ამგვარი მანერა გვსურს გაითავისოს ახალგაზრდობამ.

რაც მთავარია, აკაკი ბაქრაძე ყველგან და ყოველთვის მოვლენის არსს სწვდება და წარმოაჩენს. ამავე დროს აკაკი ბაქრაძისათვის მხატვრული ტექსტი ერთგვარი საყრდენია, რათა მისი მეშვეობით საკუთარი სათქმელი თქვას, მოვლენისა თუ ფაქტისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს (ესეც უნდა ვისწავლოთ მისგან). ამას იგი ნათელი სტილითა და სანიშნო სისადავით აღწევს. ამიტომაც არის აკაკი ბაქრაძე ნებისმიერი მკითხველისათვის ერთნაირად საინტერესო და გასაგები.

აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ აკაკი ბაქრაძის ზრუნვა ქართული ენის ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებისათვის. იგი გამუდმებით ეძიებდა მივიწყებულ, ნავლწაყრილ სიტყვებს მშობლიური ენის წიაღში – ძველქართულ ტექსტებსა და დიალექტებში. ხშირად კი მათზე დაყრდნობით ქმნიდა ახალ ლექსიკურ ერთეულებსა თუ ცნება-ტერმინებს, რომელთაც ზოგჯერ იქვე განმარტავდა კიდევ. ბატონი აკაკის მაგალითისამებრ, ჩვენც განვმარტეთ ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა, რომელთა გააზრება, ვფიქრობთ, მოწაფეთა ლექსიკურ მარაგსაც გაამდიდრებს და ტექსტის აღქმასაც გააადვილებს (ჩვენი განმარტებანი ვარსკვლავებით არის აღნიშნული, ციფრებით აღნიშნული განმარტებანი ავტორისეულია). წიგნში ჩავრთეთ ამონარიდები აკაკი ბაქრაძის დღიურებიდან და ჩანაწერებიდან.

დასასრულ არც იმას დავმალავთ, რომ იმედი გვაქვს, ამ წიგნის გამოსვლამ ეგების ბიძგი მისცეს მშობლიური ლიტერატურის ახლებურ გააზრებასა და სასწავლო პროგრამების შესაბამისად შედგენასაც. მართალია, სიტყვებს „სკოლა“ და „სქოლასტიკა“ ერთი ძირი აქვთ, მაგრამ სწავლების სქოლასტიკური ხისტემა უნდა დაიძლიოს –



შეიცვალოს ისეთი სისტემით, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის  
თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებაში  
შეიწყობს ხელს. ამ მიზნის მისაღწევ გზაზე აკაკი ბაქრაძე საუკეთესო  
მეგზურია.



აზის ნიჭი ქუჩაა და აზის ნიჭი ქუთხელია. ქუთხელის ნიჭი არანაკლებ  
საჭიროა, ვიდრე ქუჩაა. რა დიდებული წიგნიც უნდა დაწილოს ქუჩაზე,  
მნიშვნელობა არა აქვს, თუ მის ნიჭიერი ქუთხელი არ კითხულობს.

აკაკი ბაქრაძე



იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, რას კითხულობს და რაძევის ადამიანი, არამედ  
იმას, რას ათვისებს და იცებს მისი გონება. შეძლება ადამიანმა უთუვალაუ წიგნი  
წააკითხოს, მაგრამ კვრი კვრადევი ათვისოს და კვრი კვრადევი გაიცოს.

აკაკი ბაქრაძე



## ლეგენდა

ერთი შემთხვევა უნდა გავახსენოთ. იგი დოსტოევსკის ცხოვრებაში მოხდა.

მოსკოვში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი ლევ ივანეს ძე პოლივანოვი. 1880 წელს იგი იყო რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების დროებითი მდივანი და პუშკინის საიუბილეო ზემის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე. ქმარს გვერდით ედგა და ბევრითად ეხმარებოდა მარია ალექსანდრეს ასული პოლივანოვა.

პუშკინის იუბილე ჩატარდა, როგორც მთელი რუსული კულტურის დღესასწაული. 1880 წლის 8 ივნისს დოსტოევსკიმ წარმოთქვა თავისი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა. მან ახლებურად დაანახა პუშკინი რუსეთს და ისიც ვიცით – რა გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მან დამსწრე საზოგადოებაზე.

მაგრამ დოსტოევსკის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მარია პოლივანოვასათვის. 25 აგვისტოს ამ ქალისაგან დოსტოევსკიმ ბარათი მიიღო. იშვიათი გულწრფელობითა და გულახდილობით ატყობინებდა მარია პოლივანოვა მწერალს თავის წუხილს.

წერილის შინაარსი ასეთი იყო:

ცოლ-ქმარ პოლივანოვებს უყვარდათ ერთმანეთი. მათი ცხოვრება მშვიდად და სიამბაძეობაში მიმდინარეობდა. მაგრამ 1874 წლიდან ყველაფერი შეიცვალა. ოჯახში გუვერნანტი მოიყვანეს. თავისებური შეხედულების ქალი იყო გუვერნანტი. მან მარია პოლივანოვას უთხრა, რომ ჰყავდა საქმრო, მაგრამ არ სჯეროდა სიყვარულის, ხოლო ქორწინება მიაჩნდა უზნეობად. ქორწინებაში იგი ძალადობასა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას ხედავდა. სჯეროდა, რომ ქალს ყოველი მამაკაცის გაბრიყვება შეუძლია. მაგრამ მოხდა ისე, რომ გუვერნანტსა და ლევ პოლივანოვს ერთმანეთი შეუყვარდათ. ეს სიყვარული მტკიცე გამოდგა. მარია პოლივანოვას თავდავიწყებით სძულდა გუვერნანტი. მისი დანახვისას გულყრა ემართებოდა. ოცნებობდა მის სიკვდილზე, სურდა მისი დახრჩობა. მაგრამ გასაოცარი რამ მოხდა. 8 ივნისს ორივე ქალმა მოისმინა დოსტოევსკის სიტყვა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ახლა თავად მარია პოლივანოვას დაუგდეთ ყური: „იგი მომეპარდა, მომეხვია, მეუბნებოდა, რომ ძალიან უბედურია, მთხოვდა პატიებას თუ რაღაც ამდაგვარს. ყველა წყენა ერთბაშად გამიქრა. გარდა უსაზღვრო სიბრალეულისა მისდამი, აღარაფერი დარჩა ჩემში. ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი.“



რაყიფები\* შერიგდნენ. ორივემ დაიჯერა, რომ ერთად შეუძლებელია ბედნიერი იყვნენ და ლევ ივანეს ბეც გააბედნიერონ. კაცო ქალის ალტკინებას ეჭვით შეხვდა. უსიამოვნო განწყობილება დაეუფლა მას. მართლაც, როცა შერიგების პირველმა ტალღამ გაიარა, მარია პოლივანოვა მიხვდა, რომ მას პატიება არ შეეძლო. იგი არ იყო თანახმა menage an trois (სამთა ქორწინების).

მარია პოლივანოვა დოსტოევსკის დახმარებას სთხოვდა, შეეღობა ეხვეწებოდა. მწერალმა არ იცოდა, რა ექნა. იგი არ მოელოდა, მას არ უფიქრია, რომ მის ნათქვამს სიტყვასიტყვით გაიგებდნენ და მერე ამ მოდელის მიხედვით ცხოვრებას დააპირებდნენ. მან მხოლოდ სიყვარულის, სათნოების, პარმონიის ლეგენდა შექმნა. მარია პოლივანოვა კი მას სთხოვდა ლეგენდა სინამდვილედ ექცია. დოსტოევსკის, ცხადია, ეს არ შეეძლო.

დოსტოევსკიმ არ უპასუხა 25 აგვისტოს წერილს. მაგრამ პოლივანოვა არ ეშვებოდა. იგი წერილს წერილზე უგზავნიდა მწერალს და დაჟინებით ითხოვდა პასუხს, რჩევა-დარიგებას, მდგომარეობიდან თავდახსნის გზის სწავლებას. უაღრესად დაბნეულმა დოსტოევსკიმ არ იცოდა, რა ექნა. იგი ბოდიშს უხდოდა მარია პოლივანოვას. არწმუნებდა, რომ მხოლოდ პროზაიკოსია და არ იცის გზა, საშუალება, ხერხი, რომლითაც უშველის ქალს. კარგა ხანს გასტანა ამ მიმოწერამ და, ბოლოს, როგორც იქნა, მარია პოლივანოვა დარწმუნდა, რომ დოსტოევსკი მწერალია. იგი ილუზიურ სინამდვილეს\*\* ქმნის და ამის მიხედვით ცხოვრება შეუძლებელია.

8 ივნისს, თავის სიტყვით, დოსტოევსკიმ წამიერი ლეგენდა შექმნა, სადაც სიყვარული, შერიგება, პარმონია სუფევდა. ორივე რაყიფმა ქალმა წამით იცხოვრა ლეგენდით. ეს შმვენიერება იყო. მაგრამ, როგორც კი ლეგენდის ხიბლი გაიფანტა, რეალობა დაბრუნდა და მტრები ისევ მტრებად დარჩნენ.

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „ლეგენდას“ იმ არაჩვეულებრივი ემოციური ძალის საზომად ვხმარობ, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები ახდენს პუბლიკუმზე\*\*\*. სწორედ ლეგენდური ძალის საშუალებით ქმნის მწერალი, საერთოდ ხელოვანი, ახალ სინამდვილეს – ილუზიურ სინამდვილეს.

„პოეტურ ინტეგრალებში“ მიხილ კვესელავამ ფრიად საყურადღებო და დამაფიქრებელი კითხვა დასვა:

\* რაყიფი – სიყვარულში მოცილე.  
 \*\* ილუზიური სინამდვილე – წარმოსახვითი სინამდვილე (გამონაგონი).  
 \*\*\* პუბლიკუმი – საზოგადოება, ხალხი.



„ნეტავი, რომელი სამყარო იქნება უმჯობესი, ის, რაც რეალურად იყო და არის, თუ რაც ხელოვნებასა და ლიტერატურაშია წარმოდგენილი?.. თუ პირველი – მაშინ ხომ სულ ამაოდ დამშვრალან ყველა ქვეყნისა და საუკუნის მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები თუ არქიტექტორები? ან თუ მეორე – მაშინ რატომ ისე არ ვაწყობთ ჩვენს გარემოსა და ცხოვრებას, როგორც იმათ დაუსახავთ იდეალურად?“

ამ კითხვის ჩემი პასუხი ასეთია:

ეს ორი სინამდვილე ერთმანეთს ვერ შეცვლის. არც პირველია მეორეზე უკეთესი და არც მეორე პირველზე უმჯობესი. ორივე სინამდვილეს თავისი კონკრეტული ფუნქცია აქვს. ეს ფუნქციები ერთმანეთს კი არ ცვლიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ. ერთიც აუცილებელია და მეორეც. ამდენად, არც ვინმე დამშვრალა ამაოდ.

დააკვირდით,

როცა ადამიანს უანგარო და თავგანწირული მეგობრობა მოენატრება, თხზავს ტარიელისა და ავთანდილის ძმობის ლეგენდას. „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოვვარისათვის თამაშად და მიჩანს ძღერად.“

როცა ადამიანს თავდავიწყებული, უმანკო სიყვარული მოენატრება, იგი ქმნის რომეოსა და ჯულიეტას ლეგენდას.

როცა ადამიანს სამყაროსთან შერწყმის ოცნება გაიტაცებს და ბუნების საიდუმლოს ამოცნობას მოიწადინებს, იგი იგონებს მინდიას ლეგენდას.

როცა ადამიანს სიმამაცე, ვაჟკაცობა, გამბედაობა მოენატრება, იგი თხზავს როლანდის სიმღერას.

ადამიანი ორ სინამდვილეში ცხოვრობს. ერთია რეალური, მეორე – ილუზიური. თუ რეალური სინამდვილე ბუნების ზემოქმედების ნაყოფია, ილუზიური სინამდვილე ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნილია. თუ არ იქნება რეალური სინამდვილე, გაქრება ის მკვებავი ფესვი, ურომლისოდაც ვერ იარსებებს ილუზიური სინამდვილე. თუ არ იქნება ილუზიური სინამდვილე, გაქრება იმედი, ოცნება, მისწრაფება. რეალურ სინამდვილეში ადამიანს გამოეცლება მამოძრავებელი მუხტი. ადამიანი ობოლივით იგრძნობს თავს. ერთი სიტყვით, ილუზიური სინამდვილე რწმენას ქმნის, ურომლისოდ არსებობა შეუძლებელია.

ამიტომ არ შეიძლება ერთი სინამდვილის მეორეთი შეცვლა. ისინი ერთად უნდა არსებობდნენ, როგორც ერთი მთლიანობის ორი აუცილებელი ნაწილი.





სურავენ იფიქრებს, რომ არსებობს ადამიანი, ვინც ილუზიური სინამდვილის თვინიერ\* ცხოვრობს. ზოგისათვის ილუზიურ სინამდვილეს მწერლობა ქმნის, ზოგისათვის – მუსიკა, ზოგისათვის – მხატვრობა, ზოგისათვის – ქორეოგრაფია, ზოგისათვის – თეატრი, ზოგისათვის – კინო.

ილუზიური სინამდვილე ყოველთვის ლეგენდას შეიცავს. თუ მას ლეგენდა აკლია, მაშინ იგი რეალური სინამდვილის პირია. მისით არავენ დაინტერესდება. მის მიმართ გულგრილი დარჩებიან.

თუ გახსოვს, დონ კიხოტი ეუბნება სანჩოს – „იქნება გვონია, ყველა ის ამარილისები, ფილისები, სილვები, დიანები, გალატეები, ფილიდები და სხვანი ამგვარნი, რითაც სავეა ჩვენი წიგნები, შაირები, რომანსები, სადალაქოთა თაროები და თეატრები, – ცოცხალი, ძვალ-ხორციანი არსებანი, მათ მაქებარ პოეტთა სატრფონი ყოფილიყვენ? სულაც არა. ისინი მხოლოდ პოეტთა წარმოდგენაში ცოცხლობდნენ, მათი შაირების საგანს შეადგენდნენ, რომ თავი მიჯნურად გამოქინათ ან მიჯნურობის ნიჭის მქონედ მაინც!“ ამის მერე დონ კიხოტი საუბარს ასე ამთავრებს – „ჩემი მიჯნური ქალი როგორადაც მსურდა, ისეთად წარმოვიდგინე. ისეთი სიმშვენიერე და გარეგნობა მივეცი, რომ მასთან ვერც ელენე, ვერც ლუკრეცია, ვერც ძველი რომისა, საბერძნეთისა და ბარბაროსთა ყველა ქებული ქალი ფეხს ვერ გაიწვდიან, დაე, ამაზე ვისაც რა უნდა, ისა თქვას: „უშეცარნი დამძრახვენ, გონიერმა მაინც იქნებ სხვაგვარად შეხედოს საქმეს.“

დონ კიხოტი მართალია: ყოველი ადამიანი წარმოდგენით ქმნის იდეალურს და ლეგენდურის სამოსელში ხვევს მას.

ადამიანი ეტრფის სრულყოფილს. სრულყოფილი კი ლეგენდით იქმნება და იგი ილუზიურ სინამდვილეში არსებობს. მახსოვს, შალვა ნუცუბიძე გალილეის ცხოვრებას გვიამბობდა. ლექციის დასასრულს მისებურად გაიღიმა და თქვა – რა თქმა უნდა, ინკვიზიციის სასამართლოში მას არ უთქვამს „მაინც ბრუნავსო“. ინკვიზიციის ჯალათები მიაშიტი ბაღლები არ ყოფილან და მათ დარჯაკში გამოვლილ კაცს იმის თავი აღარ ექნებოდა, ვაჟკაცობის ჩვენების მიზნით, დაეყვირა *Epur si muove!* მაგრამ იტალიელი ხალხის სინდისმა ინება, რომ გენიალური მეცნიერი სწორუპოვარი ვაჟკაციც ყოფილიყო. ხალხს არ უნდა დაიჯეროს, რომ უზენაესი ძუნწია და ადამიანს ერთდროულად რამდენიმე სიჭკველით არ აჯილდოვებს.

ლეგენდის ფასი კარგად ვლინდება ერთ ამბავში, რომელსაც ჰაინრიხ მანი გვიყვება „მეფე ანრი მეოთხის სიჭაბუკეში“.

\* თვინიერ – ვარეშე, ვარდა.



თერამეტი წლის უფლისწულმა ანრიმ მთელი ღამე გაატარა მუშაობა ასულთან, ჩვიდმეტი წლის ფლორეტასთან. დილით, როცა ისინი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ჭაში ჩაიხედეს. „ამ ჭას მაინც ვემახსოვრებით და თვით სიკვდილის შემდეგაც არ დაგვივიწყებს იგი.“ ამის მეტად ფლორეტა აღარ შეხვედრია საფრანგეთის მომავალ მეფეს. მებალის ქალიშვილმა კიდევ ოცი წელიწადი იცოცხლა და მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი ანრი მეოთხეს, როცა იგი, ბედის კარნახით, მშობლოურ ქალაქ ნერაკში ჩამოვიდა. მაგრამ მაშინ ანრი ნაგარელი უკვე დიდი ხელმწიფე იყო და ფლორეტა აღარ გახსენებია.

„მაშ, რატომღა ირწმუნებოდნენ ყველანი, — დასძინს ჰაინრიხ მანი, — რომ ფლორეტა ანრის გულისათვის მოკვდაო? დრო გავიდა და მისი სიკვდილის უამიჯ კი უკან გადასწიეს. სწორედ იმ დღეს, როცა ანრიმ მიატოვა იგი. და იმასაც ამბობდნენ, თითქოს ჭაში ჩაგარდაო. სწორედ იმ ჭაში, რომელსაც ორივენი ჩაჰყურებდნენ, — როცა ფლორეტა ჩვიდმეტი წლისა იყო, ანრი კი თერამეტისა. საიდან გავრცელდა ეს ხმა? იმ წუთს ხომ ისინი არავის დაუნახავს!“

საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანს უყვარს თანასწორობის ლეგენდა და ოცნებობს მასზე. ამას კი ყველაზე მკაფიოდ უფლისწულისა და გლეხი ქალის ტრფობა გამოხატავს. ჩვენი აბესალომისა და ეთერის თქმულება ხომ ამის უტყფარი საბუთია.

მიჯნურობის ლეგენდაც უყვარს ადამიანს. რა სჯობს — ჩვიდმეტი წლის ფლორეტას სიკვდილი უფლისწულთან სიყვარულის პირველი ღამის მერე თუ უსინარულო ცხოვრება, დაბერება, დაჩანჩაჩება და ბოლოს გარდაცვალება? ადამიანის ოცნებას პირველი ურჩევნია, რამეთუ იქ რომანტიკულობაა, მშვენიერებაა და ამალღებულობა.

აღ. გერცენი მოთხრობაში „ქურდი კაჭკაჭი“ გლეხი მსახიობი ქალის ტრაგიკულ თავგადასავალს გვიამბობს. ეს ქალი ბრწყინვალედ ასრულებდა ანეტას როლს ფრანგულ მელიოდრამაში, რომელსაც აგრეთვე „ქურდი კაჭკაჭი“ ერქვა.

მელიოდრამის მიხედვით, ანეტას ბრალად ედება ქურდობა. იგი უნდა დასაჯონ. მაგრამ ვაირკვევა, რომ ნივთი, რომლის მოპარვა ანეტას ბრალდებოდა, წაუღია კაჭკაჭს. უდანაშაულო მსახური გოგო სიკვდილს გადაურჩება.

ამ პიესის ავტორებს კენიესა და დ'ობინს სიუჟეტად ნამდვილი ამბავი გამოუყენებიათ, ოღონდ სინამდვილეში უდანაშაულო ქალი სიკვდილით დაუსჯიათ. ამ განსხვავების გამო გერცენის მოთხრობის ერთი პერსონაჟი ირონიულად შენიშნავს: „თქვენ იცით „ქურდი კაჭკაჭის“ თქმულება. სინამდვილე არ არის ისე ნერვებდასუსტებული, როგორც დრამატული მწერლები. სინამდვილე ბოლომდე მიდის: ანეტა სიკვდილით დასაჯეს. პიესაში კი აღმოჩნდება, რომ ქურდი კაჭკაჭია და არა ქალი.

და აი, ანეტა უკან ბრუნდება ზეიძით.“ ამ სიტყვებში ნათლად გამოსჭვივის ღაცინვა, გამოწვეული იმით, რომ მწერლობას სურს შეაღწაღწას შუამსუბუქოს ცხოვრების სისასტიკე. მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მწერლის სუსტი ნერვები არაფერ შუაშია. საერთოდ ადამიანს უნდა კეთილის გამარჯვება და იგი ამის ილუზიას ქმნის. სწორედ ეს ილუზიაა არსებითი სხვაობა, რომელიც ორ სინამდვილეს – რეალურსა და ლიტერატურულს – შორის არსებობს.

ილუზიური სინამდვილე მისტიფიკაციით\* იქმნება.

ადამიანი, რომელსაც არ ჩაუდენია გმირობა და ვერც ვერასოდეს ჩაიდნენ, გიყვება გასაოცარი გმირობის ამბავს და თან სრულად გარწმუნებთ.

ადამიანი, რომელსაც შეიძლება არასოდეს ჰყვარებია, ვიამბობთ მიჯნურთა მომაჯადოებელ თავგადასავალს და თან ცრემლებს გაღვრევენებს.

ადამიანი, რომელსაც ქათმის დაკვლაც კი არ ძალუძს, მოგიტხრობთ შემზარავი მკვლელობის ამბავს და თან ისეთი დამაჯერებლობით, თითქოს თავად სისხლში იყო ნაბანაკები.

მისტიფიკაცია იმდენად მეტად დამაჯერებელი და მართალია, რამდენადც ნიჭიერია ხელოვანი. ზოგჯერ ეს მიაძიტ ადამიანებს ატყუებს, ისინი შემოქმედსა და შექმნილს აიგივებენ. ასე დაემართა მარია პოლივანოვასაც, თუმცა იგი განათლებული და წიგნიერი ქალი იყო. გაიგივების პროცესი განსაკუთრებით საგრძნობია თეატრში, ალბათ იმიტომ, რომ მისტიფიციების პროცესი მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობს. სიყალბეც უფრო იოლად შეიძინევა სცენაზე. ეს გარემოება ცხადად მიანიშნებს ერთ კანონზომიერებას: ლეგენდა არასოდეს იქმნება ტყუილის საფუძველზე. მას ბადებს ან უიშვიათესი ფაქტი ან ადამიანის სულის მოთხოვნილება.

თუ ცოტნე დადიანის ლეგენდა ფაქტის ნაყოფია, გალილეის ლეგენდა ადამიანის სულის მოთხოვნილების შედეგია. თუ გალილეის ნიჭიერებას დაემატება მამაცობაც, მივიღებთ სრულყოფილების იდეალს, რისკენაც მიისწრაფის კაცი, რაზეც ოცნებობს იგი.

თუ არ არსებობს ფაქტი ან ადამიანის სულის მოთხოვნილება, როგორც უნდა გაისარჯოს მწერალი, ვერ შექმნის ლეგენდას. არც მის დახატულ ილუზიურ სინამდვილეს დაუჯერებს მკითხველი.

რატომ ვიჯერებთ ოტელოს და დეზდემონას სიყვარულის ლეგენდას? ჩვენ ზომ ვიცით, რომ რასობრივი განსხვავებულობის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტი ურთულესი კონფლიქტია. იგი დღესაც ვერ დაუძლევია კაცობრიობას, არათუ მაშინ, როცა „ოტელო“ დაიწერა. და

\* მისტიფიკაცია – აქ: გამონაგონი.



მაინც, მაშინაც და დღესაც, ადამიანი ოტელოსა და დეზდემონას სიყვარულის მომხრეა. იმიტომ, რომ რასობრივი თანასწორობა უდამაინც სულის მოთხოვნილებაა. გვინდა ვიწამოთ, დაუფუეროთ, რომ თეთრკანიანი, არისტოკრატი, მდიდარი ქალი ალაღად შეიყვარებდა უაზნო მავრს. მაგრამ ის, რაც მკითხველმა თუ მაყურებელმა დაიჯერა, თავად ოტელომ ვერ იწამა. ეს არის მისი ტრაგედიის საფუძველი. ოტელოში ეჭვი იავოს არ ჩაუნერგავს, ეს ეჭვი ყოველთვის არსებობდა მასში. იავომ უბრალოდ გააღვივა იგი, ცეცხლად აანთო. ქვეცნობიერად ოტელოს ყოველთვის ეშინოდა, სულ ეჭვებოდა დეზდემონას სიყვარული. ქვეცნობიერად მას სულ აწამებს კითხვა – იგი, მავრი, შეიყვარა თეთრკანიანმა ქალმა? იგი, უაზნო და უბირი წარმომავლობის კაცი, მიუხედავად მისი მხედრული დამსახურებისა, შეიყვარა ვენეციელი სენატორის ასულმა? იგი, ხანდაზმული და ომებში ნაწამები ადამიანი, შეიყვარა ახალგაზრდა, მომაჯადოებელმა ქალიშვილმა? მართალია, ოტელო ამყად აცხადებს, რომ – „ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძობისთვის“ – მაგრამ გულის სიღრმეში მას ამ ბედნიერების არ სჯერა. ჩვენ ქართული ლიტერატურიდანაც ვიცით, რა ძნელია ქალ-ვაჟს შორის უთანასწორობის დაძლევა, იქნება იგი კლასობრივი თუ რასობრივი. ოთარაანთ ქვრივის გიორგიმ კლასობრივი უთანასწორობის გამო ვერ გაუმხილა კესოს სიყვარული. ამ გაუბედაობის მსხვერპლი გახდა იგი. კ. გამსახურდიას არზაყან ზვამბაია, რევოლუციის შემდეგ, ოცნებობს, რომ ზვამბაიებმა ისევე ადვილად წააგლონ შერვაშიძეთა ქალებს ხელი, როგორც ადრე შერვაშიძეები წააკლებდნენ ზვამბაიების ქალებს. თუმცა ეს არ ყოფილა იოლი. არზაყან ზვამბაია თამარ შერვაშიძეს მაინცდამაინც გაბედულად ვერ ექცევა. თუ გიორგისა და არზაყანს კლასობრივი უთანასწორობა ბოჭავდა, ოტელოს საქმე უფრო რთულად იყო. იქ კლასობრივი უთანასწორობაც არსებობდა, რასობრივიც და ასაკობრივიც. ამის გადალახვა ადვილი არ იყო. ამას ისეთი გაბედული, თავისუფალი და უკომპლექსო ადამიანი სჭირდებოდა, როგორც დეზდემონა იყო. ოტელო ასეთი პიროვნება არ გახლდათ. მას არასრულყოფილების კომპლექსი ფლობდა. ქვეცნობიერად ეს კომპლექსი წარმართავდა ოტელოს ქმედებას. იავოს მზაკვრულმა გონებამ ეს ნათლად დაინახა და მიზანსაც ამით მიაღწია.

აფრიკის ხალხების ლიტერატურაში უამრავი რომანი და პიესაა დაწერილი, რომელიც თეთრკანიანი ქალისა და შავკანიანი ვაჟის სიყვარულს გვიამბობს. გავიხსენოთ თუნდაც პიტერ აბრაჰამსის და ჯერალდ გორდონის რომანები. მაგრამ ისინი პუბლიკუმის ცნობიერებაში არ ჩარჩენილან ისე ღრმად და წარუშლელად, როგორც „ოტელო“.



რატომ? პასუხი იოლია: ისინი არ არიან ისეთი ნიჭიერი მწერლები, როგორც შექსპირი იყო. მაგრამ მაინც რით, რა კონკრეტული ნიშნით არის გამოვლენილი შექსპირის უპირატესი ნიჭიერება? იმით, რომ შექსპირი ქმნის თავისუფალი ქალის ლეგენდას, ვისაც სიყვარულის არ ეშინია. დიახ, დიახ, არის სიყვარული, რომლისაც ეშინიათ. ყველა რომანსა და პიესაში, რომელნიც დღეს იწერება და თეთრკანიანი ქალისა და შავკანიანი ვაჟის სიყვარულს მოგვითხრობენ, ქალებს ეშინიათ თავიანთი სიყვარულის. არც ერთ მათგანს არ გააჩნია დეზდემონას თავისუფლება. ის ქალები გეცოდებათ, თანაუგრძნობთ, მაგრამ პუბლიკუმის ცნობიერებაში კვალს არ ტოვებენ. დეზდემონა, მიუხედავად ტრაგიკული ბედისა, არ გეცოდებათ. განა შეიძლება გეცოდებოდეთ ქალი, რომელსაც შეუძლია დაძლიოს რასობრივი, კლასობრივი, ასაკობრივი უთანასწორობა? იგი სულიერი ვაჟკაცობის, თავისუფლების ლეგენდაა. ეს ერთადერთ გრძნობას – აღტაცებას – იწვევს და გასწავლის – რა არის თავისუფლება.

ხშირია შემთხვევა, როცა ვწერთ თავისუფლებაზე, მაგრამ ვერ ვქმნით თავისუფლების ლეგენდას, ვწერთ სიყვარულზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიყვარულის ლეგენდას, ვწერთ სიძულვილზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიძულვილის ლეგენდას, ვწერთ მზაკვრობაზე, მაგრამ ვერ ვქმნით მზაკვრობის ლეგენდას, ვწერთ დანაშაულზე, მაგრამ ვერ ვქმნით დანაშაულის ლეგენდას... ერთი სიტყვით, ყვებით ამბავს და მეტი არაფერი.

„უცხო კაცი“<sup>\*</sup> იმ ინჟინრის თავგადასავალს გვიამბობს, ვისაც საქმის უკეთ წარმართვა სურს, ვინც რუტინას ებრძვის, მაგრამ არ ვიცით, რით მთავრდება ინჟინერი ჩეშკოვის ბრძოლა, გაიმარჯვებს იგი თუ დამარცხდება.

„ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი...“<sup>\*\*</sup> იმ კაცს გვიჩვენებს, ვინც სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად იღვწის. ამისათვის ყოველნაირ ხერხსა და საშუალებას მიმართავს, მაგრამ არ ვიცით, რით დამთავრდება მისი საქმიანობა, მიაღწევს თუ არა იგი საწაფელს.

დასკვნა მკითხველმა თუ მაყურებელმა თავად უნდა გააკეთოს საკუთარი გუნება-განწყობილების შესაბამისად.

შეიძლებოდა ამგვარ ნაწარმოებთა ჩამოთვლის ვაგრძელება, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. ამ ორი ნიმუშითაც ნათლად ჩანს ტენდენცია: სათქმელი სრულად არ ითქვას. ვაჩვენოთ პროცესი, მაგრამ მოვერიდოთ შედეგის აღწერას. ეს არ არის უბრალო საკითხი. არც მწერლის ნება-

\* საბჭოთა დრამატურგის ი. დვორეცკის პიესა.  
 \*\* საბჭოთა დრამატურგის ა. გელმანის პიესა.



სურვილია, გვიჩვენებს თუ არა რეზულტატს. მწერლობა რეზულტატის შედეგა არ არის. იგი მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფციაა. პუბლიკუმა არ იცის, რით მთავრდება პროტაგონისტის ბრძოლა, მაშინ მან არც ის უწყის, რა კონცეფციით არის იგი დაწერილი. „უცხო კაცი“ იქნება თუ „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი“ (და სხვა მათებრი თხზულებანი), ნათლად გვიდასტურებენ მათი ავტორების პოზიციის გაურკვეველობას. მათ არ სწამთ კეთილის გამარჯვება. ეს რომ სჯეროდეთ, უთუოდ გვიჩვენებდნენ ჩეშკოვისა და შინდინის გამარჯვებას. ვერც იმის თქმას ბედავენ, რომ შექმნილ სიტუაციაში კეთილი ვერ გაიმარჯვებს. ასეთი გაბედულება რომ ჰქონდეთ, მაშინ ჩეშკოვისა და შინდინის დამარცხებას ვიხილავდით.

ასეა გაჩნჭრილი დრამატურგი კეთილსა და ბოროტს შორის და ნაბიჯი ვერც ერთი მიმართულებით ვერ გადაუდგამს.

სრულიად მკაფიოდ და ნათლად ვიცით, როგორ მთავრდება იაგოს მზაკრობა: დეზდემონას და ოტელოს დაღუპვით, მაგრამ ასევე მკაფიოა შექსპირის კონცეფცია: კეთილი ფოველთვის იმარჯვებს, თუმცა შეიძლება ამა თუ იმ პიროვნების სიცოცხლე შეეწიროს მას. იაგოს მზაკრობის გამოძვლანება კეთილის ზეიმა, მართალია, მსხვერპლიანი ზეიმი, მაგრამ მაინც ზეიმი.

ოიდიპოსი ბოლომდე იბრძვის ჭეშმარიტების მისაგნებად. შეიძლება მისი ბრძოლა შემზარავი ამბით – თვალების დათხრით – დამთავრდეს, მაგრამ სიმართლე მიგნებული და გამომწურებული იქნება. ეს არის მთავარი. სიმართლემ უნდა იზეიმოს, თუნდაც ზვარაკის გალების წყალობით.

კონცეფცია ნათელია და პუბლიკუმის ემოციური დამოკიდებულებაც მკაფიო. ადამიანის ცხოვრებაში სამუდამოდ რჩება ჭეშმარიტების მიგნებისათვის თვალებდათხრილი კაცის სახე. და ლეგენდაც თაობიდან თაობას გადაეცემა.

რა მსხვერპლს გაიღებს ჩეშკოვი ან შინდინი გამარჯვებისათვის? არ ვიცით. ვისაც მსხვერპლის გაღება არ შეუძლია, მას არც კეთილისათვის ბრძოლა ხელეწიფება. მაშასადამე, ჩეშკოვიცა და შინდინიც გვატყუებენ. თავს იმად გვაჩვენებენ, რაც არ არიან.

კაცობრიობას მსხვერპლის არ ეშინია. ეს უთუოდ და უთუმცაოდ დაამტკიცა მსოფლიო ტრაგიკულმა ლიტერატურამ. ყველაზე

\* პროტაგონისტი – აქ: მთავარი პერსონაჟი (წამყვანი როლის შემსრულებელი ანტიკურ წარმოდგენაში). ამ ტერმინს ა. ბაქრაძე იმ მიზნით მიმართავს, რომ გამოიჩინოს „გმირი“ და მთავარი პერსონაჟი. „გმირი“ იმ პერსონაჟს შეესაბამება, რომელიც მაღალ იდეალებსა და ზნეობრივ ღირებულებებს ამკვიდრებს.



თავზარდამცემი ტრაგედიის წაკითხვისა თუ ხილვის შემდეგ ადამიანს მხნეობა ემატება. მას სასოწარკვეთილება არ ეუფლება. მხნეობა უმეტესად იმითომ, რომ რწმუნდება: არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ჭეშმარიტების ძებნას ემსხვერპლონ. არიან ადამიანები, რომელთაც მეცნიერული აზრის გამარჯვებისათვის შეუძლიათ კოცონზე დაწვას გაუძლონ. არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ რწმენისათვის ეწამონ. არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მოყვასის სიყვარულისათვის ტანთ თავფლი წაისვან და თაკარა მზის ქვეშ ჭიალუასთვის გაიმეტონ თავი.

ისინი ლევენდას ქმნიან. ლევენდა კი მხნეობისა და გაუტეხელობის წყაროა.

კაცობრიობას ტყუილის ეშინია. ეშინია იმის, ვინც ლაჩარია და გმირის ნიღბით დადის, ვინც ცრუა და მართლის ნიღბით დადის, ვინც გონჯია და შზეთუნახავის ნიღბით დადის. ვინც ლატაკია და მდიდრის ნიღბით დადის. ვინც უნამუსოა და სინდისიერის ნიღბით დადის.

ამ დროს ლევენდა არ იქმნება, ულევენდოდ კაცის სული ჭკნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ხორციელად არსებობს, მაგრამ სულიერად მკვდარია. აი, საფუძველი სასოწარკვეთილებისა.

სასოწარკვეთილების ფაშს ადამიანი ეძებს უცნაურს, გაუგონარს, ლევენდურს. რეალური სინამდვილიდან ილუზიურში გადასახლდება და ცხოვრების გასაძღვებად ახალ ენერგიას, ბრძოლის უნარს იძენს.

კეთილის დასამკვიდრებლად მუდმივი და შეუწყვეტელი ბრძოლაა საჭირო. კეთილისა და ბოროტის ურთიერთობა ჰგავს სიჯანსაღისა და სნეულების დამოკიდებულებას. ერთ ღონემიხდილ ავადმყოფს ცხრა რკინისმკვნეტელა ვაჟკაცი რომ დაადგეს თავზე, ვერც ერთი ვერ გადასდებს ჯანმრთელობას სნეულს. ავადმყოფს კი შეუძლია ცხრავე დააავადოს. ეს გამოწვეულია იმ უბრალო მიზეზით, რომ ავადმყოფობა გადაძდება, ჯანმრთელობა კი – არა. ასეა კეთილიცა და ბოროტიც. კეთილი არ არის გადაძდები, გადაძდება ბოროტება.

კაცობრიობის გრძელი ისტორიის მანძილზე ადამიანმა საზოგადოების მოწყობის უამრავი მოდელი შექმნა, ზოგიერთი განახორციელა კიდევ, მაგრამ უმთავრესი ჯერჯერობით მაინც ვერ მოახერხა: დედამიწის ყოველ მოქალაქეს ვერ მისცა იმდენი პური, რამდენიც საჭიროა, ვერ მოსპო უნამუსობა, ორაპრობა, ღალატი, ჩაგვრა, ვამცემლობა, სიძულვილი, მტრობა, მრუშობა, ქურდობა და სხვა მანკიერებანი, თუმცა ყოველ დროში თავგამეტებული ებრძოდა ბოროტს.

როგორც ითქვა, ამ ბრძოლაში ყოველგვარი ლევენდა ადამიანის მოკავშირეა. სულერთია, იქნება იგი ამაღლებულის თუ დაცემულის



ლევენდა. თუ არსენა მარაბდელის ლევენდა კაცს მხნეობას ანიჭებს, თეიმურაზ ხვეისთავის ლევენდა უსუსურობასა და უხერხელობას აზიზღებს; თუ თავად მიშინის ლევენდა კეთილისმოქმედს აყვარებს, სმერდიაკოვის ლევენდა საზიზღრობას აძულებს; თუ „შზის ქალაქის“ ლევენდა იდეალური საზოგადოების იმედით ავსებს, ქალაქ გლუპოვოს ლევენდა საზოგადოების დაცემით თავზარს სცემს.

ლევენდურობაა ის ხიბლი, რომელიც სამარადოდ რჩება ადამიანის ცნობიერებასა და შეხსიერებაში, ხოლო მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის ან ხილვის შემდეგ მუცალივით წამოგაძახებინებს – „გულში მჭირს, გულში, რჯულმაღლო...“

ამ ძალის გამოა, რომ არავის ავიწყდება კოლევიის ასესორის კოვალიოვის ცხვირი, რომელიც პატრონს მოძერა, სახელმწიფო მრჩევლის მუნდირში გამოეწყო და კარეტით დასეირნობდა პეტერბურგში (ნ. ვოგოლი – „ცხვირი“).

ანდა წყლის ბინადარი კაპა და მისი ქვეყანა, სადაც უამრავი ობროდი ამავე ხდება, და თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებიც კი ახირებული წესით იბადებიან, დედის წიაღში წინასწარ კეთილებიან – სურს თუ არა დაბადება. ჩვილსაც შეუძლია უპასუხოს ჰო თუ არა. რაკი ასეთი თვისება აქვთ, კაპას ქვეყნის ბავშვები გაჩენისთანავე დამოუკიდებლად დადიან და ლაპარაკობენ. ხოლო, რაც შეეხება კაპას კულტურას, იგი თურმე არ განსხვავდება სხვა ქვეყნების კულტურისაგან (აკურტაგავა რიუნოსკეს „კაპა“, იაპონური კაპა შეიძლება შევადაროთ ქართულ მესევეს).

როგორ შეიძლება დაგავიწყდეთ პაწია ცინობერი და მისი ზღაპრული თავგადასავალი (ჰოფმანი – „პაწაწა ცახესი“).

და საერთოდ, რამდენი ამგვარი მაგალითის გახსენება შეიძლება. ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ საგანგებოდ შეთხზული ფანტასტიკური სიუჟეტი ატარებს ლევენდურ ხასიათს. არა, უაღრუსად რეალისტურად

\* თ. დოსტოევსკის რომანის „იდიოტის“ პერსონაჟი.  
 \*\* თ. დოსტოევსკის რომანის „ძმები კარამაზოვების“ პერსონაჟი.  
 \*\*\* XVI-XVII სს. იტალიელი მწერლის ტომაზო კამპანელას თხზულება.  
 \*\*\*\* ქალაქის სახელი მ. სალტიკოვ-შჩედრინის სატირულ თხზულებაში „ერთი ქალაქის ისტორია“.  
 \*\*\*\*\* ობროდი – უჭკუო. აქ: უცნაური.

\*\*\*\*\* მესევე – ქართული მითოლოგიური პანთეონის პერსონაჟი. მესევენი ზღვაში ცხოვრობენ და წელიწადში ერთხელ (28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე ძვ.სტ.) ხმელეთზე ამოდიან. მათზეა დამოკიდებული ამინდის ცვალებადობა, თევზისა და ნადირთა სიმრავლე (ჭამენ და კვლავ აცოცხლებენ ნადირს).







დაწერილ ნაწარმოებსაც უთუოდ ახლავს და ამშვენებს ლეგენდური ელფერი.

ნასტასია ფილიპოვნა რაგოჟინის მოტანილ ასი ათას მანეთს, გაზეთში გამონბეულს და შეკრულს, აგიზგიზებულ ცეცხლში შეავადებს. მერე განია ივოლგინს მიუბრუნდება და ეტყვის – უხელთათმანოდ, სახელოებაკაპიწებული ფულს სახშილიდან\* თუ გამოიღებ, შენი იყოსო.

ასი ათასი მანეთი ავდია ცეცხლში. ქალმაც და ყველა იქ დამსწრემ კარგად იცის განია ივოლგინის სიხარბე. იგი სულ ცოტა ხნის წინათ მზად იყო სახელგატეხილი ნასტასია ფილიპოვნა შეერთო, თუკი მზითევად სამოცდათხუთმეტი ათასს მისცემდნენ. მანეთისათვის ვასილის კუნძულამდე იხობებსო, დასცინის ივოლგინს რაგოჟინი. ბუხარში კი ასი ათასი მანეთი იწვის.

ყველა თავზარდაცემული და გაოგნებული მისჩერებია განია ივოლგინს.

მაგრამ ივოლგინმა გაუძლო ცდუნებას. გადაიტანა ტანჯვა, როცა ყველა დარწმუნდა, რომ განია ივოლგინი არ მივარდება ბუხარს ფულის სახშილიდან გამოსატანად, დათრგუნა სიხარბე, იგი მოტრიალდა და კარებისაკენ წავიდა. ივოლგინი ტოვებდა ნასტასია ფილიპოვნას სახლს, მაგრამ ორი ნაბიჯი გადადგა თუ არა, გულწასულმა იატაკზე მოაღინა ზღართანი.

ნასტასია ფილიპოვნამ ასტამი აიღო, ფული ცეცხლიდან გამოიღო და გულშელონებული ივოლგინის გვერდით დადო. ეს ფული მთლიანად მისია, – ბრძანა ქალმა, – იგი არ უცა მას. მაშასადამე თავმოყვარეობა მეტი პქონია, ვიდრე სიხარბე.

ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს „იდიოტი“ არ შეიძლება ეს სცენა დაავიწყდეს. როგორც ნასტასია ფილიპოვნას საქციელში, ისე განია ივოლგინის თავშეკავებულობაში არის ხასიათის არაჩვეულებრივობა, განსაკუთრებულობა, ანუ ლეგენდურობა. ამ თვისებით ორივე პერსონაჟი მტკიცედ ეუფლება მკითხველის ყურადღებას და ღრმად რჩება მეხსიერებაში.

მინდორში ბაღი ვაშენე, ღობე გავაგლე ჯალჯისა\*\*.  
დაეთესე კიტრი ოქროსი, ღობიო მარგალიტისა,  
მოვიდა ქალი ლამაზი, ვასწია ღობე ეკლისა,  
მოსწვიტა კიტრი ოქროსი, ღობიო მარგალიტისა.

\* სახშილი – ადგილი, სადაც ცეცხლი ანთია.  
\*\* ჯალჯი – ეკლიანი ბუჩქი.





ოქროს კიტრი და მარგალიტის ლობიო უკვე ლეგენდაა, მაგრამ სწორედ ეს აჯადოებს მკითხველს. ჯალჯის ლობესთან შეერთებული ოქროს კიტრი სრულიად სხვა სამყაროს ქმნის და იმ მზეთუნახავსაც თვალნათლივ ხედავთ, ვინც მარგალიტის ლობიოს მოსაკრეფად მოვიდა.

საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და ხალხური ლექსის უცნობი ავტორი ერთნაირად ეძებს უცნაურს, არაჩვეულებრივს, განსაკუთრებულს, რომ ლეგენდურობის განწყობილება შექმნას. ეს ბუნებრივია. ჩვენ, პუბლიკუმს, ლიტერატურისა და ხელოვნების პროტაგონისტი მაშინ გვიზიდავს, გვზიბლავს და გვეუფლება, თუ მის სატკიელსა და თვისებაში არის ლეგენდური ძალა.

ამიტომ შემოქმედი მოვალეა ან კალმით შექმნას ლეგენდა ან პირადი ცხოვრებით.



ყველაფერი, რაც ქართულ შუბოქმედებით სრულ შექმნა ადამიანური საქმიანობის ყოველ დარგში, ერთდროულად კეთილსამართლიან საქართველოსაც და მთელ მთიფლისსაც, ასევე ჩიტობრივ სხვა ხალხებს ნაღვალს და ნაშრომი გაყვითლებს. ზენც მთიფლით, კაცობრიობა ერთიანია და ქართველობაც მისი განუყოფელი ნაწილია. თღონდ, ზენ ზენი სახე გაქვს, ზენი სულიერი სამყარო და ზენი ჯიშა ამის დაქარგვა არ ტყინდა.

საქართველო



## ქართული მნიშვნელობა\* (მოკლე მიმოხილვა)

მე-4 საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა საქართველოში. იქიდან იწყება ქართული მნიშვნელობის ისტორია. მართალია, „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ ქართული დამწერლობა ძველი წელთაღრიცხვით მე-3 ასწლეულში შეიქმნაო, მაგრამ ჯერჯერობით ამის უშუალოდ დამადასტურებელი დოკუმენტი არ აღმოჩენილა. უნახოთ, რა მოხდება მომავალში, ახლა კი იმას მივხედოთ, რაც არსებობს და რაც ხელთ გვაქვს.

რაკი ქართული მწერლობის წარმოქმნა ქრისტიანობის წყალობით მოხდა, ბუნებრივია, რომ პირველი ლიტერატურული თხზულებანი ჰაგიოგრაფიის ჟანრს ეკუთვნის. თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე ქართული მწერლობა პირწმინდად საეკლესიო ხასიათს ატარებს. მწერლები ორი ჟანრით – ჰაგიოგრაფიით და ჰიმნოგრაფიით – არიან გატაცებული. ერთი მხრივ იწერება ქრისტიან წმიდანთა და წამებულთა ცხოვრება და, მეორე მხრივ, ქრისტესა და ღმრთისმშობლის სადიდებელი საგალობლები.

ამ პერიოდში შეიქმნა იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამება“ – პირველი ქართული მოთხრობა, რომლითაც იწყება ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურის ისტორია, ანონიმის „ვესტათი მცხეთელის მარტვილობა“, იოანე საბანის ძის „აბოს წამება“, ბასილ ზარზმელის „სერაპიონის ცხოვრება და მოქალაქობა“, გიორგი მერჩულეს „კრივოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვანი მრავალნი.

ამ პერიოდშივე მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფოებიც იოანე მინჩხი, იოანე მტბეარი, მიქაელ მოდრეკილი და სხვანი, დიდნი თუ მცირენი, რომელთაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საღვთო კულტურას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ქართული კულტურის ცენტრები ჩნდება უცხოეთშიაც, კერძოდ პალესტინაში, სინას მთასა და საბერძნეთში, ათონზე. მიმდინარეობს აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობა. თუ ერთი მხრით, ქართული მწერლობა მდიდრდება ბერძენი, არაბი, ასური, სომეხი მოღვაწეების ნააზრევით, მეორე მხრით, ქართულ აზრს ეცნობიან უცხოელები.

\* აკაკი ბაქრაძის არქივში დაცული ამ უსათაურო წერილის დასათაურება ჩვენ გვეკუთვნის (რედ.).



საერთოქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე ქართულ სასულიერო მწერლობაში მუშავდება წარმოდგენა ადამიანზე და მის დანიშნულებაზე. ამქვეყნიური არსებობა, წუთისოფელში ყოფნა მომზადებაა იმქვეყნიური არსებობისათვის, ზესთასოფელში ცხოვრებისათვის. ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ გამოთქმულია „კრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, სადაც უდიდეს ადამიანურ სიქველედ მიჩნეულია შრომა და არა განყენებული ჭვრეტა ღმერთისა. ღმერთმა ჩანერგა ადამიანში შემოქმედის სული. იგი კაცმა შრომით უნდა გამოხატოს, უდაბნოს სამოთხედ ქცევით უნდა გამოავლინოს.

მე-12 საუკუნეში, სასულიერო მწერლობის გვერდით, თანდათანობით ჩნდება საერო მწერლობაც. ამ ორი სახის მწერლობის გარდამავალ თუ შემაერთებელ ხიდად ისახება დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. ეს ჰიმნი საძირკველს უყრის ქართულ ჰუმანიზმს. „გალობანი სინანულისანი“ ადამიანი გარკვეული იდეის გამოხატველი სქემა არ არის. იგი სისხლითა და ხორციით სავსე არსებაა. არც ცოდვია მისთვის უცხო და არც – მადლი. ჰიმნში ადამიანის არსებობას წარმართავს მიწიერი ტკივილი და ზეციერი ღვთაება.

ქართული საერო მწერლობის უმაღლესი გამოვლენა „ვეფხისტყაოსანი“ა. ამ რთული და მრავალპლანიანი ნაწარმოების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევიან მკვლევარები. მაგრამ უპირველესად უნდა მივუთითოთ, რომ „ვეფხისტყაოსნით“ ქართულ მწერლობაში შემოვიდა სრულიად ახალი ტიპის ადამიანი – ავთანდილი. იგი ახერხებს თავის არსებაში თანაბრად და უკონფლიქტოდ შეათავსოს სულიერება და ხორციელება. სულიერება არ ართმევს მას ქმედების უნარს, არ ხდის მხოლოდ მჭვრეტელად, ხოლო ხორციელება ერთი წუთითაც არ ავიწყებს ადამიანის ზნობრივ დანიშნულებას – სიყვარულით განახორციელოს ამ ქვეყნად კეთილის სუფევა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ ქართული სახარების მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო მისი ავტორი – შოთა რუსთაველი – ქართველთათვის იმავე როლს ასრულებს, რასაც დანტე – იტალიელებისათვის ან სერვანტესი – ესპანელებისათვის.

მწერლობის ამგვარი აღორძინების შემდეგ სავალალო მდგომარეობა იქმნება. მე-13 საუკუნეში მონღოლთა შემოსევის შედეგად ემხოება საქართველოს სამეფო. პოლიტიკურ-სამხედრო კრახს კულტურული მარცხიც მოჰყვა. თითქოს ოთხი საუკუნის მანძილზე, მე-13-დან მე-17 საუკუნემდე, ჩვენში არაფერი დაწერილა. ყოველ შემთხვევაში მწერლობის ერთი ფურცელიც არ მოგვეპოვება. ეს ქართული მწერლობის შავი ხანაა. ამგვარი კულტურული კატასტროფის ახსნა არ შეიძლება მხოლოდ ომებითა და შემოსევებით, თუნდაც ისეთი სასტიკით, როგორიც



იყო თემურლენგის ლაშქრობანი. მისაგნებია და მოსაძებნი უფრო ღრმა შინაგანი მიზეზი.

მე-17 საუკუნეში ხელახლა ცოცხლდება ქართული მწერლობა, რის გამოც ეს ეპოქა აღორძინების, განახლების ხანად მონათლეს.

მე-17-18 საუკუნეების მწერლობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სამი კაცი იპყრობს – სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და ალექსანდრე ამილახვარი.

სულხან-საბა ორბელიანი, მწერლობის გვერდით, დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდა. ვახტანგ VI-ის დავალებით იგი ევროპაში მოგზაურობს. ეძებს მოკავშირესა და დაშხმარეს თურქული და სპარსული აგრესიის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მისმა მისიამ უშედეგოდ ჩაიარა. ევროპამ გულგრილად და უგულისყუროდ შეხედა საქართველოს ბელს. მაგრამ ამ მოგზაურობამ, კულტურის თვალსაზრისით, კეთილი ნაყოფი გამოიღო. ს.-ს. ორბელიანმა განმანათლებლობის ეპოქის იდეები შემოიტანა საქართველოში.

ჩვენში განმანათლებლობის ტიპური წარმომადგენელი დ. გურამიშვილია. მის შემოქმედებაში განათლების კულტი სუფევს. მაგრამ არის ძირეული განსხვავებაც. თუ ევროპული განმანათლებლობა რელიგიას სკეპტიკურად უყურებდა და ათეიზმს ეტრფოდა, დ. გურამიშვილი რელიგიურობას ათავსებს განმანათლებლობასთან. მისთვის რწმენა ხელს არ უშლის ცოდნას.

განსაკუთრებით მძლავრად ევროპეიზმის გავლენა იგრძნობა ალ. ამილახვრის შემოქმედებაში. მისი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ დაწერილია მონტესკიეს „კანონთა სულის“ გავლენით.

დ. გურამიშვილისა და ალ. ამილახვარის შემოქმედება (აგრეთვე იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“) მოწმობს იმას, რომ მაკმადიანურ ჩინში მოქცეული ქართული აზროვნება თავს აღწევს იზოლაციას და თავისუფლდება.

ამის წყალობაა ის, რომ მე-19 საუკუნის მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) არსებითად თავისუფალია აღმოსავლური მოტივებისაგან.

ჩვეულებრივ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებს იმ ლიტერატურულ მიმართულებას მიაკუთვნებენ, რომელსაც რომანტიზმს უწოდებენ. მართლაც მათი პოეზიის ფიქრის საგანია პიროვნების თავისუფლება, ბუნების ტროფობა, სიყვარული. ემატება აგრეთვე დაკარგული ეროვნული თავისუფლების გამო ჩივილი, რამეთუ საქართველო ამ დროს კოლონიური ქვეყანაა. მაგრამ ქართველ რომანტიკოსებს არ ახასიათებთ ირონიულობა, რაც საერთოდ ნიშანდობლივი იყო ამ მიმართულების მწერლებისათვის (მაგალითად, გერმანელი



რომანტიკოსებისათვის). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ირონიულობა ქართულ პოეზიაში გვიან, მე-20 საუკუნეში გაჩნდება (ჯერ ქართველი სიმბოლისტები, დღეს კი - ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახაძე და სხვ.), მიუხედავად იმისა, რომ მეთურამეტე საუკუნეშიაც და მეცხრამეტეშიც არსებობდა მძაფრი სატირული პოეზია (ბესიკი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობა - ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვანი - ძირითადად ერთი პრობლემის - თავისუფლების - გარშემო მსჯელობს. მაგრამ თავისუფლება განიხილება კომპლექსურად - პიროვნული, ეროვნული, სოციალური თვალსაზრისით. შეუძლებელია პიროვნული თავისუფლება, თუ ადამიანი არ არის თავისუფალი ეროვნულად და სოციალურად.

არ იქნებოდა სიმართლე, თუ არ ვიტყვით იმას, რომ უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძეს შემოაქვს როგორც სოციალური („ოთარაანთ ქვრივი“), ისე ფსიქოლოგიური გაუცხოების („სარჩობელაზედ“) საკითხები. ამით იგი გზას უკაფავს მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 ასწლეულის პირველი მეოთხედის მწერლობას.

სოციალური გაუცხოების პრობლემა ფართოდ და ღრმად დაისმის ჯერ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში, შემდეგ კი - ნიკოლორთიყვანიძის („დანგრეული ბუდეები“), მიხეილ ჯავახიშვილის („ჯაფოს ხიზნები“), კონსტანტინე გამსახურდიას („მოვარის მოტაცება“) პროზაულ თხზულებებში.

ფსიქოლოგიური გაუცხოების ფართო პანორამას გვიხატავს ვაჟა-ფშაველა თავის პოემებში. ვაჟას პროტაგონისტი მოქცეულია ორ სიმართლეს შორის - პიროვნების სიმართლესა და საზოგადოების სიმართლეს შორის. ეს ორი სიმართლე არ თანხვედება ერთმანეთს, ვერ ეთვისება ერთმანეთს, რის გამოც პიროვნება მოკვეთილია საზოგადოებისაგან. იგი მარტოა. მარტობაა მისი ხორციელი და სულიერი გამარჯვების საფუძველი. ვაჟასთან პიროვნება ყოველთვის მართალია, რამეთუ იგია შემოქმედებითი საწყისის მატარებელი, ხოლო მტყუანია საზოგადოება, რადგან იგი ცხოვრებისეული რუტინის დამცველია.

ქართულ მწერლობაში ვაჟას შემოქმედებას მოაქვს ინდივიდუალიზმის პრობლემაც.

მე-20 საუკუნის ათიანი წლების ბოლოს სალიტერატურო ასპარეზზე გამოდის ქართული სიმბოლიზმი ანუ „ციხფერი ფანსები“ (გრ. რობაქიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვ.) და, ცოტა უფრო გვიან, ქართული ფუტურიზმი ანუ „მემარცხენეობა“ (ს. ჩიქოვანი და სხვ.). მართალია, მათი გამოჩენა ჩვენს ლიტერატურაში დაგვიანებით მოხდა, მაგრამ

გარკვეული კვალი მაინც დააჩნიეს ქართულ მწერლობას. კერძოდ, მათ დიდი წურადლება მიაქციეს ხმას, ფერს, სიტყვის მრავალფეროვან მნიშვნელობას, სიმბოლოებს და, საერთოდ, ახალ სალექსო ფორმებს.

სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის განვითარება ძალდატანებით შეწყდა. 20-იან წლებში ამ ლიტერატურულ მიმართულებებს (და საერთოდ, კლასიკურ მწერლობას) სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა სოციალური დაკვეთის ლიტერატურამ ანუ პროლეტარულმა მწერლობამ. პროლეტმწერლობამ დიდი საფრთხე შეუქმნა სიტყვაკაზმული ლიტერატურის განვითარებას. იგი იყო უადრესად პრიმიტიული შინაარსითა და ფორმით, მაგრამ, სამაგიეროდ, შეტად ავრესიული საკუთარი ინტერესების დაცვის დროს. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ პროლეტარული მწერლობა მაინც დამარცხდა. ქართული ლიტერატურის განვითარება, მართალია, დროებით შეფერხდა, მაგრამ მაინც დაუბრუნდა ბუნებრივ ვზას.

პროლეტმწერლობამ სცადა გაეწვეცა დროთა კავშირი. უარყო წარსული როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით. ეს კატასტროფით ემუქრებოდა ქართულ კულტურას, რამეთუ დროთა კავშირის გაწვევტა ნიშნავდა თაობათა კავშირის მოშლას და გენეტიკური ფესვის მოკვეთას. ამ კატასტროფისაგან ქართული კულტურა და, კერძოდ, მწერლობა იხსნა გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ალექსანდრე აბაშელის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა შემოქმედებამ. მათი შემოქმედება მიმდინარეობდა პრინციპით – „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“. დროთა და თაობათა მთლიანობა-უწყვეტელობის გაგებაში მოგვცა ძველი პრობლემების ახლებური გაშუქება. მაგალითად, რელიგია არა როგორც რწმენა ღმერთისა, არამედ როგორც ადამიანის ზნეობრივი საქციელი-ქმედება კეთილის გასამარჯვებლად და ბოროტის დასამარცხებლად. ამ თვალსაზრისით შეადარეთ რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე და დღევანდელი ქართული მწერლობის ცალკეული მოტივი, ვთქვათ, ანა კალანდამესთან ან ნოდარ დუმბაძესთან – კომუნისტს ესიზმრება ქრისტე, როგორც მშველელი.

ანდა თავისუფლების გაგება, როგორც მოვალეობისადმი ერთგულება და სამსახური. აქ კი შეიძლება შეგვედარებინა იმავე რუსთაველის ავთანდილი, იღია ჭავჭავაძის ოთარაანთ გიორგი და ჭაბუა ამირეჯიბის მუშნი ზარანდია. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ 60-70-იან წლების მწერლობა დაინტერესდა პრობლემით, რომელსაც მარინა ცვეტაევას თუ დავესესხებით, შეიძლება ვუწოდოთ – ლიტერატურა და ხელოვნება ნამუსის შუქზე. წარსულისა (ოთ. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე

და სხვ.) თუ აწმყოს (მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, ბ. ხარანაული და სხვ.) ყოველი ისტორიული თუ სოციალური მოვლენის დაფასება ხდება ზნეობრიობის საფუძველზე. კითხვა - რაა მთავარი, ადამიანი თუ ამა თუ იმ პროცესის მოქალაქე? - აქტიურად აწუხებს მწერლობას, რადგან, თუ გაქრა ადამიანი, დაგვერება იდეის მექანიკურად ამსრულებელი, ეს კი დალუპვით ემუქრება კაცობრიობას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში.

საბოლოოდ როგორ დაამუშავებს და რა პასუხს გასცემს ზემორეზონანსივით პრობლემას ქართული მწერლობა, ამას მომავალი ვკვირვებს.



საბოლოოდ როგორ დაამუშავებს და რა პასუხს გასცემს ზემორეზონანსივით პრობლემას ქართული მწერლობა, ამას მომავალი ვკვირვებს.

აქაი ხეივანი



ზუსტად დაკვირვებით, ქართულ მწერლობაში სიკვდილის საბოლოო დასრულება აქვს: პირველი - დღია ქაფქაფისა და მხეცელ ჯაგანძეფის, მეორე - დავით კლდიაძეფისა და ნიკოლოზიშვილისა, მესამე - ნოდარ დუმბაძის.

რითა დღია და მის ჯაგანძეფი ხარხარებზე, გაწეული სიღის ტყავის მსმის, მამხილებელი ძლია სინჯველით გწკავს და გდღავს.

რითა დ. კლდიაძეფი და ნ. ლორთქიფანიძე ილაშქრებენ, სუდა გაფუქვით და ადამიანის მიმართ თანაღმობის სურვილი განხედებათ.

რითა ნ. დუმბაძე იცნის, მხიარულების ძლია იტყობით, სიკვლია გაჭირვების დაძირვით იარღვია.

აქაი ხეივანი





## მარაგითზრახვა<sup>1</sup>

საუკუნეების მანძილზე იღვა ქართველი კაცი ტაძარში და გალობდა:

იაკობ კიბედ გიხილა, ზოლო მოსე –  
მაყვლად, დანიელ – მთად, გედეონ – საწმისად,  
ანგელოზისა მოსკლითა შეცვრულთა  
ცეცხლსა მას შინა ქადაგეს ფრმათა, რაჟამს  
ხატი ოქროისა გინებითა კლემულ-ყვეს!

მაშინ იოანე შავთელის ეს ჰიმნი ყველასათვის ნათელი და მკაფიო იყო. დღევანდელ მკითხველს კი ვერ გაუგია, რატომ იხილეს ღმრთისმშობელი კიბედ, მაყვლად, მთად, საწმისად<sup>\*</sup>. არადა, ეს სახეები ჰიმნიდან ჰიმნში მეორდება. რა თქმა უნდა, განმეორება ბუნებრივია, რამეთუ კანონიკურია ტექსტი. უკვე შექმნილია, ჩამოყალიბებულია გარკვეული მოდელი და ავტორს ეკრძალება მისი დარღვევა. მართალია, მოდელირება მხატვრულ მრავალფეროვანებას უკარგავს სასულიერო პოეზიას, მაგრამ ნიჭიერი ჰიმნოგრაფოსები მაინც ასურებდნენ ისე წერას, რომ დღესაც კი ვიხიბლებით. ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ტემპერამენტის მოდელირება და სხვადასხვაგვარია საგალობელთა ტემპერამენტი. ასევე შეუძლებელია ენების მოდელირება და მკითხველიც აშკარად გრძნობს ვნებათა ნაირფეროვანებას ჰიმნებში. არც განწყობილების მოდელირება შეიძლება და ყოველ ავტორს საკუთარი განწყობილება შემოაქვს ლექსში. ემოციაც არ მოჩიღდება მოდელირებას და სხვადასხვაგვარი ემოციით არის დატვირთული ძველი საგალობლებიც.

სასულიერო ჰიმნების სიმბოლიკის ამოსაცნობად აუცილებელია გავიხსენოთ ზოგადი რელიგიური კონცეფცია: ღმერთი ყველგან და ყველაფერში არის, მაგრამ მისი ხილვა არავის ძალუძს. თუმცა თავად მას აქვს უნარი, როცა მოისურვებს, ადამიანებს ეჩვენოს. ე. ი. უხილავი ხილული ვახდეს. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, უხილავმა ღმერთმა წმ. მარიამის წიაღში შეისხა ხორცი და, ქრისტეს სახით, ადამიანმა დაინახა უფალი. „რომელმან სიტყვამ განაზრქე (გაასქელე)

<sup>1</sup> მარაგითზრახვა, საბას განმარტებით, არის: სიტყვა ესრე გვარად სიტყვა ადვილ საცნაური არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ ემოსოს, ანუ ორ სამ რივად გაიხინჯოს.

\* საწმისი – მატყლიანი ტყავი ცხურისა.



დაკრეფილია ხორცთა მიწისადათა“, მიმართავს დავით აღმაშენებელი ღმრთისმშობელს. რაკი ღმრთისმშობლის მეშვეობით გახდა უსწრაფი ღმერთი ხილული, ამიტომ ძველი აღთქმის ყველა სიმბოლო, რომელიც აღამიანის წინაშე ღმერთის გამოცხადებას გვაუწყებს, გულისხმობს წმ. მარიამს. მისი ალუგორიაა.

ახლა კონკრეტულ სახეებს მივაქციოთ ყურადღება. ჰიმნებში ღმრთისმშობელი იხსენიება მაყვლად – „მაყული მოტყინარე“.

„მაყული მგზნებარეი ცეცხლითაი  
რომელი არა შეიწუებოდა და აწ  
გვედრებით:  
დაშრიტე, ღმრთისმშობელო,  
ალი ცოდვათაი, რამთა გადიდებდეთ“ (ძლისპირი).

ანდა

„და არა შეიწუა, ვითარ მაყული“...  
(იოანე მტბევეარი).

ცეცხლმოდებული მაყვალი, რომელიც არ იწვოდა, გვახსენებს ძველი აღთქმის გამოსვლათა წიგნში (თავი 3, მუხლის 1-22) ნაამბობს.

როცა მოსე თავის სიმაძრს იოთორს ემსახურებოდა, ცხვარი წაიყვანა საძოვრად. მივიდა იგი „მთასა მას ღვთისასა ქორებად“ და დაინახა ცეცხლწაიკიდებული მაყელის ბუჩქი. მოსე განცვიფრდა. ბუჩქს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვოდა. მოსე დაინტერესდა, უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა. იგი ბუჩქისაკენ წავიდა. როცა ღმერთმა დაინახა, რომ მოსე მისკენ მიდიოდა, დაუძახა: მოსე! მოსე! არ მოხვიდე აქ. გაიხადე ფეხთაგან, რამეთუ ადგილი, რომელზეც დგახარ, წმინდა არის. მე ვარ უფი ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ისაკისა, იაკობისა. მოსემ ხელეგი აიფარა სახეზე. მას უმინოდა, შეეხედა უფლისათვის. მაშინ ღმერთმა უთხრა: მე ვნახე ჩემი ხალხის ტანჯვა ეგვიპტეში. გავიგონე მისი ღაღადისი. ვიცი მისი სევდა. მოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთა ტყვეობიდან. წაიყვანო აღთქმულ ქვეყანაში, სადაც რძე და თაფლი დის. მერე მოსეს დაავალა ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანა. მოსემ ჰკითხა ღმერთს, როცა ებრაელები მკითხავენ, რა არისო მისი სახელი, რა ვუპასუხო. ამაზე ღმერთმა მოუგო: „მე ვარ, რომელი ვარ; რომელი არს, მან მომავლინა მე თქვენდა“. შემდეგ აუხსნა მოსეს, როგორ მოქცეულიყო. ებრაელთა თავკაცებთან ერთად წახვალ ეგვიპტის მეფესთან და ეტყვი: ებრაელთა ღმერთმა მოგვიწოდა ჩვენ. გავიგო უდაბნოში საში დღით, რათა მსხვერპლი

\* ძლისპირი – საეკლესიო საგალობელი.



შევწიროთ მას. მართალია, ეგვიპტელთა მეფე უარს გეტყვით, მაგრამ მე განვაკვიფრებ მას სასწაულით და მეფე იძულებული განდგება გავიშვით.

ძველი აღთქმის ამ მითის მიხედვით მოდელი ასეთია: ღმერთი → მაყვლის ბურქი → ცეცხლი.

ახალი აღთქმის მოდელი კი შემდეგნაირია:

ღმერთი → ღმრთისმშობელი → ქრისტე.

როცა ამ მოდელებს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ მაყვლოვანი ღმრთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი. ამიტომ არის, რომ ღმრთისმშობელს ჰიმნოგრაფოსები ხშირად მიმართავენ – „ცეცხლმან ღმრთეებისამან არა შეწუა საშომ შენი, უქორწინებლო დედაო ძისა ღმრთისაო“... ხოლო ქრისტეს უგალობენ – „შენ, რომელი გამოჰწინდი ცეცხლად მაყვლოვანსა შინა“...

თავად ღმრთის მაყვლოვანში გამოცხადება კი ერის ხსნას (ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოყვანა) გულისხმობს. ღმრთისმშობელი კიბედაც იხსენიება საგალობლებში.

„...კიბუო ცად აწვეწულო, ღმრთისმშობელო მარიამ“ (ძღვისპირი).

„კიბედ იაკობისად იწოდუ შენ, რომელსა გარდამოხდა დამბადებელი მხსნელად ჩუენდა...“ (ძღვისპირი).

ახლა უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმის დაბადების ანუ შესაქმეს წიგნი (თავი 28, მუხლი 1-22).

ისაკმა მოუხმო შვილს იაკობს და უთხრა: არ შეირთო ცოლად ქანაანის ქალთაგან არაეინ. წადი შუამდინარეთში, ბათოილის, დედაშენის მამის, სახლში და ცოლად მოიყვანე ლაბანის, დედაშენის ძმის, ასულთაგან ერთ-ერთი. ღმერთი დავლოცავს შენ და მრავალი ხალხი წარმოიშობა შენგან.

იაკობმა ყურად იღო მამის ნათქვამი და შუამდინარეთში გაემგზავრა. გზად დაღლილი ერთ ადგილს შეჩერდა და ლამის გათევა გადაწყვიტა. აიღო ქვა, დაიღო სასთუმლად და დაიძინა. ესიზმრა იაკობს: დგას კიბე მიწაზე. წვერი მისი ეხება ცას. ღმრთის ანგელოსები ადიან და ჩამოდიან კიბეზე. ღმერთიც კიბეზე იდგა და ამბობდა: მე მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას იმ მიწას, რომელზეც დგახარ. შენი შთამომავლობა იქნება ქვიშასავით მრავალი. დალოცვილი იქნება შენში და შენს თესლში ყველა ტომი მიწისა. მე შენთან ვარ და დაგიფარავ ყველგან, სადაც უნდა წახვიდე და დაგაბრუნებ ამ მიწაზე. არ მიგატოვებ მანამ, სანამ არ შეასრულებ იმას, რაც ვითხარი.

იაკობს გაეღვიძა. შეშინდა და თქვა: ეს ადგილი არის სახლი ღმრთისა და ბჭე ზეცისა. აიღო ქვა, თავქვეშ რომ ედგა, დადგა ძველად და ზეთი აკურა. ადვილს კი უწოდა სახლი ღმრთისა. დაღო იაკობმა აღთქმა: თუ ღმერთი იქნება ჩემთან, დამიფარავს ამ გზაზე, რომელსაც



ვადგავარ, მომცემს პურს საზრდელად და ტალავერს სამოსლად, მაშინ მშვიდობით დავბრუნდები შინ, მაძიჩემის სახლში და „იფოსე უფალი ჩემდა ღმერთად“. ეგოს ეს ქვატ, რომელიც ძველად დავედვი ღმრთის სახლად და რასაც იგი მაჩუქებს, იმის მათედ წილს მასვე შევწირავ.

ამ მითში კიბე ღმერთის გამოცხადების, მისი ხილვის საშუალებაა. რადგან ასეა, ბუნებრივია, რომ კიბე ღმრთისმშობლის სიმბოლოა.

„წინასწარმეტყველნი გამოცხადდეს... კიბედ ზეცისად აღმართებულად“ (ძლისპირი).

შედარებით იშვიათად, მაგრამ ღმრთისმშობელი საწმისადაც იხსენიება: „ვიხაროდეს საწმისო ცუარისა საღმრთოდასო“ (ძლისპირი).

საწმისის სიმბოლური აზრის ამოსახსნელად უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმის მსახულთა წიგნი (თავი 6, მუხლი 1-40).

ისრაელის ტენი ისევ ბოროტის ქმნას შეუდგნენ. დასაჯა იხინი ღმერთმა და შვიდი წლით მადიამების ხელში ჩააგდო. მთელი სარჩოსაბადებელი მადიამებსა და ამაღეკებს მიჰქონდათ. იხინი, როგორც მუშლი, მოედებოდნენ ყველაფერს და ანადგურებდნენ. ამ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები, როცა გედეონს, იოასის ძეს, ეფთრათესთან, მუხის ქვეშ, გამოეცხადა უფლის ანგელოსი. ამ დროს გედეონი, მადიამებისგან მალულად, იფქლს\* ლეწავდა კალოზე და უთხრა მას უფლის ანგელოსმა — ღმერთი შენთან არისო. თუ ღმერთი ჩვენთან არის, რატომ ჩაკვარდით მაშინ ამ უბედურ დღეში? — გაკვირვებით იკითხა გედეონმა. შემდეგ განაგრძო: ღმერთი იყო ჩვენთან. მან გვიხსნა ტყვეობისაგან, მაგრამ ახლა მიგვატოვა და მადიამებს მიგვცა სატანჯველად. ანგელოსმა ანუგემა გედეონი: წადი და იხსენი ისრაელი. ღმერთი გაგზავნის ამ საქმისათვის. გედეონი განცვიფრდა: როგორ გადავარჩენ ისრაელს. მანასეს შთამომავლობაში ჩემი ტომი ყველაზე დარბია და მეც მაძიჩემის სახლში — ყველაზე უმცროსი. ღმერთი იქნება შენთან და შენ დაამარცხებ მადიამებს, როგორც ერთ კაცს — ბრძანა ანგელოსმა. მაშინ შეკლადა უფალს გედეონმა: თუ მადლი მოვისხი შენს თვალში, მოახდინე სასწაული იმის დასტურად, რომ მართლა მელაპარაკებოდი. არ წახვიდე მანამ, სანამ არ შემოგწირავ მსხვერპლს.

უფლის ანგელოსი დარჩა, გედეონი წავიდა, შეამზადა თიკანი და უცომო ფქვილი\*\* ერთი საწყაული. დადო ხორცი ლაკანზე\*\*\*, ჩაასხა წვენი ქოთანში და მიართვა მუხის ქვეშ ანგელოსს. უთხრა ანგელოსმა გედეონს: ყველაფერი დააწყვე კლდეზე და წვენიც ახლოს დაასხი.

\* იფქლი — ხორბალი.  
 \*\* უცომო ფქვილი — აუფუებლად, საფუარის გარეშე მოზედილი ფქვილი.  
 \*\*\* ლაკანი — დიდი თევზი.



გედეონი მოიქცა ისე, როგორც უბრძანეს. მერე ანგელოსი კვერთხით შეეხო სამსხვერპლოდ მოტანილს. გამოვიდა იქიდან ცეცხლი და შთანთქმავდა ყველაფერი. ანგელოსი კი გაქრა. მოაწყო გედეონმა იქ ღმერთის საკურთხეველი და უწოდა მშვიდობა უფლისა – იეპოვა შალომ.

იმ ღამით ღმერთმა დაავალა გედეონს: აიფხანე ზვარაკი ერთი მამამწინის ჯოგიდან და მეორე ზვარაკი შვიდი წლისა. დაანგრეე ბაალის საკურთხეველი და მოკაფე სერტყები\*, რომელიც მის გარშემოა. დადვი ღმერთის საკურთხეველი მთის თხემზე, შესწირე მეორე ზვარაკი მსხვერპლად და დაწვი მოკაფული სერტყებისაგან დაშზადებული შეშით. გედეონი ბრძანებისამებრ მოიქცა.

მეორე დილით მოქალაქეებმა ნახეს დანგრეული საკურთხეველი. ყველა მიხვდა, რომ ეს საქმე გედეონმა ჩაიდინა. უბრძანეს იოასს, მამას გედეონისას – გამოიფხანე შენი შვილი. ამ მკრეხელობისათვის უნდა მოკედეს იგი. მაშინ მათ უპასუხა იოასმა, მამამ გედეონისამ: თუ ბაალი ღმერთია, თავად დაიცვას თავი. იგი კი, ვინც მის გამოქობაგებას დააპირებს, ამ დილითვე მოკედება. ხალხი შეშინდა, გაჩუბდა და ხმა აღარ ამოუღია.

ამსობაში მადიაძები და ამალეკები შეიკრიბნენ, მდინარე იორდანე გადმოლაზხეს და იეზრაელის ღელესთან დაბანაკდნენ.

ღმერთის სულმა გააძლიერა გედეონი და შეკრიბა მან აბიუზერის ტომი. კაცები აფრინა და მოუხმო მანასეს, ასერს, ზაბულონს და ნეფთალუმს. ისინიც დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თავიანთი სპით. მაშინ გედეონმა მიმართა უფალს: თუ შენ ჭეშმარიტად გსურს იხსნა ისრაელი ჩემი ხელით, როგორც შეჰპირდი, მოახდინე სასწაული. კალოზე დავდებ საწმისს. დილით ირგვლივ მიწა იყოს მშრალი, ხოლო საწმისი – დაცვარული. თუ ასე მოხდება, მაშინ დარწმუნებული ვიქნები, რომ შენ გსურს იხსნა ისრაელი ჩემი ხელით. მეორე დღეს ადრე ადგა გედეონი. გაწურა საწმისი და ფილი\*\* აივსო ცვრის წყლით. მიწა კი მშრალი იყო. არ იკმარა ეს გედეონმა და ისევ მიმართა ღმერთს: ნუ გაძირისხდები, თუ კიდევ ერთი გამოცდის ჩატარებას მოვინდობებ, გააკეთე ისე, რომ მიწაზე ყველგან იყოს ცვარი, ხოლო საწმისი დარჩეს მშრალი. ეს თხოვნაც შეუსრულა უფალმა გედეონს. იგი დარწმუნდა, რომ ღმერთი ისრაელის მხარეს იყო და მან დაამარცხა მადიამი და ამალეკი.

ამ მითშიც სქემა ტრადიციულია: ღმერთი → საწმისი → ცვარი. როცა ისევ გავიხსენებთ ქრისტიანული რელიგიის მოდელს – ღმერთი → ღმერთისმშობელი → ქრისტე, მაშინვე ვასაგები გახდება, რომ საწმისი წმ. მარიამის სიმბოლოა, ხოლო ცვარი – ქრისტესი. ასეც გადადის ეს სიმბოლოები ჰიმნებში, სადაც ცვარი ლოგოსია ანუ ღმერთის სიტყვა, საწმისი კი მისი ხილვის საშუალება, ანუ ღმერთისმშობელი.

\* სერტყი – კერპისთვის დარგული ხე.

\*\* ფილი – როდინი.



მაგრამ ამ არაკს სხვა სიბრძნეც უღვეს შინაარსად. თუ საქმით არ დასტურდება, ღმერთსაც არ უნდა ენდოს კაცი. გედეონმა ამიტომ არ ენდობა დაპირებულს. გედეონმა მხოლოდ მაშინ ირწმუნა უფლის სიტყვა, როცა საქმით დაინახა იგი დასაბუთებული. გედეონი ისრაელის, ანუ ხალხის ხსნას ვერ მოახერხებდა მარტო დაპირებით (ცარიელი სიტყვით). ამას აუცილებლად სჭირდებოდა საქმე. როცა ჰიმნოგრაფოსი ძველი აღთქმის ამ იგავს იხსენებს საგალობელში, იგი ამით უპირველესად სიტყვისა და საქმის ერთიანობისაკენ მოუწოდებს. მხოლოდ ამგვარი ერთიანობით შეუძლია ადამიანს ეზიაროს უზენაესს, რამეთუ, „საწრმუნოებაა თენიერ საქმეთა მკუდარ არს“ (იაკობის ეპისტოლე, თავი 2, მუხლი 20).

მაველის, კიბის და საწმისის გვერდით ჰიმნებში მკითხველს ხშირად შეხვდება მთა, კლდე.

- „ხოლო კლდე იგი იყო სახეი შენდა ქრისტე“ (ძლისპირი).
- „ლოდი საკიდური უზელოდ გამოეკუთა შენგან მთაო“ (ძლისპირი).
- „კლდისაგან გამოუკვეთელსა გამოხუედ, ქრისტე, რომელი არს დედაი ქალწული უქორწინებლისა...“ (ძლისპირი).

მთისა და კლდის სიმბოლიკის გასაგებად ძველი აღთქმის წიგნში დანიელის წინასწარმეტყველება (თავი 2, მუხლი 2-49) მოგვეხმარება.

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა სიზმარი ნახა. იგი ფრიად შეწუხდა და ძილისშორისის<sup>\*</sup> ასახსენლად მოუხმო მსახვრალთა მოგვებს, მენამლეთ და ქალდეველებს. მეფემ ბრძანა: ჯერ ის უნდა გამოიცნოთ, რა მესიზმრა და მერე ამიხსნათო, რას ნიშნავს ჩემი სიზმარი. გაკვირვებულმა ქალდეველებმა უპასუხეს: ამას ვერავინ შეძლებს. შენ უნდა გვითხრა, რა გესიზმრა და მერე ჩვენ ავიხსნითო ძილისშორისის აზრს. ამგვარმა პასუხმა უსაშველოდ გააბრაზა ნაბუქოდონოსორი და განკარგულმა გასცა, როგორც უმეტარნი, გაეწვეიტათ ყველა ბაბილონელი ბრძენი. ჯარისკაცები ქალაქს მოედვენ. ეძებდენ დანიელ წინასწარმეტყველსა და მის ამხანაგებსაც, რომ სხვებთან ერთად, ისინიც დაეხოცათ. მეფის ქონდაქარის<sup>\*\*</sup> არიოქისაგან დანიელმა ყველაფერი შეიტყო და ამხანაგებს – ანანიას, მისაილს და აზარიას – სთხოვა: ვევედროთ ღმერთს, დავეხმაროსო ამ საქმეში. უფალმა ისმინა მათი და გაუმხილა სიზმრის საიდუმლო. დანიელი ეახლა არიოქს და უთხრა – ნუ გაუფუყავ ბაბილონელ ბრძენთ. მიმიფვანე ხელმწიფესთან და მე აუუხსნი სიზმარს. დანიელი ნაბუქოდონოსორს მიპკვარეს და მოახსენა წინასწარმეტყველმა მეფეს:

\* ძილისშორისი – სიზმარი.  
 \*\* ქონდაქარი – ჯალათი.

„არს ღმერთი ცისა შორის გამოცხადებული საიდუმლოისა“ და მისი წყალობით შევიტყვე, რაც გეისიზმრა. ჩვენება, რომელიც შენ ნახე იყო უზარმაზარი ხატი (კერპი), მას ჰქონდა თავი ოქროსი, მკერდი, ხელები და მკლავნი – ვერცხლისა, მუცელი და თეძოები – რვალისა\*, ბარკალნი – რკინისა, ხოლო ფეხები, ერთი – რკინისა, მეორე კი – კეცისა (თიხისა). შენ მანამდე ხელავდი მას, სანამ მთას, ხელის დაუხმარებლად, არ მოწყდა ლოდი. დაეცა იგი ხატს. დაფშვნა კეცი (თიხა), რკინა, რვალი, ვერცხლი და ოქროი. ყველაფერი მტვრად იქცა. ქარმა გაფანტა იგი და აღარაფერი დარჩა მისგან. ლოდი, რომელმაც დაფშვნა ხატი, გადიდდა, გადიდდა და იქცა უზარმაზარ მთად, რომელმაც აავსო ქვეყანა.

ეს იყო სიზმარი. იგი ნიშნავდა:

ხატის (კერპის) ოქროს თავი თავად ნაბუქოდონოსორი იყო, რამეთუ ღმერთმა მიანიჭა მას ხელისუფლება, ძალა და დიდება.

ნაბუქოდონოსორის შემდეგ იქნებოდნენ სხვა სამეფონი, უფრო დაბალხარისხოვანი – ვერცხლისა, რვალისა, რკინისა. მეხუთე სამეფო გაიყოფოდა ორად – რკინად და თიხად. ამიტომ, ერთი იქნებოდა მაგარი, ვითარცა რკინა, – მეორე კი – მტვრევადი და ფშვნადი, როგორც თიხა.

ღმერთი გაანადგურებს რკინიან და თიხიან სამეფოს და, რაც მის მერე შეიქმნება, იგი არასოდეს დაინგრევა, რამეთუ იგი გახდება ღმერთის სასუფეველი.

„დღეთა შინა მათ მეფესათასა აღადგინოს ღმერთმან ცისამან მეფობა, რომელი საუკუნეთადმი არა გახრწნას და მეფობა მისი ერსა და სხუასა არა დაუშთეს და დააწუღინეს და განფილწლნეს მეფობანი ყოველნი და იგი აღდგეს საუკუნეთადმი“.

მოეწონა მეფეს დანიელის პასუხი და იგი დანიშნეს ბაბილონელ ბრძენთა თავკაცად.

დანიელის წინასწარმეტყველების სიმბოლიკა ჯერ კიდევ ჰავლე მოციქულმა განმარტა პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (თავი 10, მუხლი 4); „ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“. თუ ქრისტე ლოდა, მაშინ მთა, რომელსაც ეს ლოდი გამოეკვეთა, წმ. მარიამია. ამიტომ მიმართავს ღმრთისმშობელს ჰიმნოგრაფოსი – „წინამ თვე გქადაგებდეს, უბიწო, წინასწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს... მთად გამოუკუეთელად...“ საგალობელში ამ სიმბოლოების მოშველიება მიგვანიშნებს აღთქმას, რომელიც კაცობრიობას ჰპირდება მარადიულ და სამართლიან ღმრთის სამეფოს დაარსება-შექმნას.

\* რვალი – ბრინჯაო.



ვინც იცნობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, თუნდაც ზერეკლემან უთუოდ იცის, როგორც ადამიანის ცოდვით დაცემის (ადამი. და ევა), ისე ღმერთის ჯვარცმის (ქრისტე ვოლგოთაზე) ამბავი. საგალობლებში ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამის გამო ძალიან ხშირად წაიკითხავთ ამგვარ მიმართევებს, ერთი მხრივ, ქრისტესა და, მეორე მხრივ, ღმრთისმშობლისადმი:

„ურჩებისათვის ადამისისა მოკვედ მეორე ადამ, ქრისტე, ღმრთისა სიტყვალ“ (მიქაელ მოდრეკილი).

„რამეთუ დაჰხსნიდა პირველი იგი წყვეა.

ღედისა ჩენისა ევასი შენ მიერ

მუცლად ღებთა კრავისა მის ღმრთისადთა“ (იოანე მინჩხი).

„რომელმან ვეე ევას მიუზღე ვალი...“ (ბორენა დედოფალი).

„შენ, რომელი დედა იქმენ ახლისა ადამისა“ (ძლისპირი).

„გარდაიცვალა ცთომად და მოკუდა გუელი იგი, მაცთური ადამისა შენ მიერ, მარიამ“ (ძლისპირი).

როგორც ვიცით, ძველი აღთქმის დაბადების ანუ შესაქმის წიგნში (თავი 2 და 3) ნაამბობია, როგორ შექმნა ღმერთმა ადამი და ევა და დასახლა ისინი სამოთხეში. პირველი ადამიანი უცოდველი, წმინდა და უშწიკლო იყო. იგი ბედნიერად ცხოვრობდა ედემში, რომელიც ღმერთმა უბოძა. ერთადერთი რამ ეკრძალებოდა მას: არ უნდა ეჭამა ცნობადის ხის ნაყოფი. მაგრამ გველმა აცდუნა ევა და ქალმა შეჭამა აკრძალული ნაყოფი. მერე ქმარსაც აჭამა იგი. ამით მათ დაარღვიეს ღმერთისადმი მიცემული აღთქმა, რის გამოც სამოთხიდან იქნენ გამოძევებული. ამიერიდან ადამს ოფლით მოპოვებული პური უნდა ეჭამა სიკვდილამდე, ხოლო ევა ტკივილითა და საღმობით შობდა შვილებს. აკრძალული ნაყოფის ჭამით მათ შეიძინეს ვონი (რუასი) და შეიცნეს, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. ცოდნით ადამიანი ემსგავსა ღმერთს.

ამ მითის კითხვისას არ უნდა შეცდეთ და ვიფიქროთ, რომ შესაქმის ავტორი გვიყვება დედაკაცის მიერ მამაკაცის ცდუნების ამბავს. ასეთი დასკვნის გაკეთება არ იქნებოდა მართალი. მითის აზრობრივი შინაარსის ამოსაცნობად უნდა გავიხსენოთ, რომ ქალის სახელი „ევა“ ძველებრაულად ნიშნავს „ცხოვრებას“. სხვათა შორის, სახელი „ცხოვრება“ წინათ საქართველოშიც იყო გავრცელებული. მას მატრიანეც მოწმობს და გვარებიც – ცხოვრებაძე და ცხოვრებაშვილი. ხოლო მამაკაცის სახელი „ადამ“ ქართულად ნიშნავს „კაცს“. „კაც“ – ეს სახელიც პოპულარული იყო ძველად ჩვენში (გავიხსენოთ თუნდაც კ. გამსახურდიას პერსონაჟი კაც ზეამბაია). როცა ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ მკაფიო და გასაგები გახდება, რომ, შესაქმეს მითის თანახმად, ადამიანს აცდუნებს არა ქალი, არამედ ცხოვრება.

„ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში“ ვიქტორ ნოზაძე გვაუწყებს: გერმანიაში, ვორმსის ტაძარში არის ქანდაკება, რომელსაც ეწოდება





„ქალი-ქვეყანა“. იგი მე-14 საუკუნეშია გაკეთებული. თუ ამ ქანდაკებას წინა მხრიდან შეხვდავ, იხილავ უტურფეს ასულს, ხოლო თუ ზურგის მხრიდან დაათვალიერებ, წარმოგიდგება შემზარავი სურათი: თხემიდან ტერფამდე იგი დაფარულია გველებით, ჯოჯოებიტ, მრავალგვარი ქვეწარმავლიტ. ამ ქანდაკების არსს გამოხატავს ერთი ხალხური ლექსი: მომაკვდავ რაინდს გამოეცხადა ქალი, რომლის სიტურფე აღემატებოდა ყოველი მღედრის სილამაზეს. მას ეცვა უმშენიერესი სამოსელი და ხურა ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი. – ვინ ხარ შენ? – ჰკითხა რაინდმა. – მე ვარ ქვეყანა, – მიუგო ქალმა. – ზურგი იხილა, უზორცო, სავსე მატლებით და ჭია-ლუით. და ჰყარდა იგი, ვითარცა მძორი ძაღლისა. იტირა თურმე, მაშინ რაინდმა და თქვა – ვაი მე, რომელი გემსახურები შენ!

ამ ქანდაკებით და ლექსით სრულად არის განმარტებული ევას მიერ ადამის ცდუნების პარაბოლური შინაარსი.

ცხოვრებაში ორივე არსებობს – კეთილიც და ბოროტიც. ბოროტი (დაბადების მიხედვით, გველი) ყოველთვის მოწადინებულია და ცდილობს, ადამიანი ააცდინოს კეთილ გზას. როცა კაცს ნებისყოფა და გონიერება არ ყოფნის, ბუნებრივად ხდება იგი ცდუნების მსხვერპლი.

ევას და ადამის ცდუნება საშუალო დაღად დაესვა კაცობრიობის ცხოვრებას. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, იმ პირველი ცოდვით დაცემის შემდეგ ყოველი ადამიანი ცოდვილია საერთოდ. აი, ამ საერთო ცოდვისა და დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით მოავლინა ღმერთმა ძე თვისი, ქრისტე. კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (თავი XV, მუხლი 22) პავლე მოციქული განმარტავს: „და ვითარცა იგი ადამის გამო მოწყდებიან, ვგრეთაცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“.

მასადაამე, წმ. მარიამმა ევას იმიტომ მიუზღო ვალი, რომ შვა ქრისტე, ვინაც ადამის ცოდვა იტვირთა და გამოისყიდა. ქალის შეცდომა ქალმავე გამოასწორა.

ქრისტე იმიტომ არის მეორე ადამი, რომ ისეთივე წმინდა, უცოდველი და უმანკოა, როგორიც იყო ადამი ცოდვით დაცემამდე. ორივე ღმერთის შვილია, სანამ უმწიკლო და უცოდველია. თუ იგი ცდუნებას აცვება და ცოდვას ჩაიდენს, უნდა გამოისყიდოს დანაშაული, თუნდაც ამისათვის ჯვარს ეცვას.

ადამის მაცდუნებელი გველი (ბოროტება) იმიტომ მოკვდა, რომ ცოდვის გამოსყიდვის აქტი ქრისტემ პირნათლად შეასრულა. იგი ვერაფერმა ააცდინა კეთილ გზას და ბოროტების დასასჯელად ჯვარს ეცვა. ჯვარიც ხისა იმიტომ არის, რომ იგი ნაირსახეა ცნობადის ხისა, რომლის ნაყოფმაც ადამი და ევა ცოდვილი გახადა. ქრისტეს ჯვარცმით ცოდვა უბრუნდება იმ ხეს, საიდანაც იგი გამოვიდა. „კაცება, პირველი ხისაგან დაცემული, აწ აღდგა ძელისა მის აღმართებითა, რომელსა ზედა ივნო მხსნელმან ხორციითა“ – ამბობს იოანე მინჩხი.

\* \* \*

მკითხველს შემწნეული ექნება, რომ ხშირად წარმართობის და ქრისტიანობის სიმბოლოები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვეულებრივ ამას იმით ხსნიან, რომ ქრისტიანობა დაესესხა წარმართობას ზოგიერთ სიმბოლოს, გაითავისა იგი და ახალი შინაარსი მისცა. ალბათ, ზოგჯერ ასეც მოხდა, მაგრამ უმთავრესი ვახლავთ მაინც პოლითეისტური და მონოთეისტური რელიგიების მსგავსება-განსხვავება. როცა ამას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ქრისტიანობას უსესხებლადაც შეეძლო, ესა თუ ის საგანი გაეხადა ღმრთის სიმბოლოდ.

კარგად ცნობილია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: თუ პოლითეისტური რელიგიის თანახმად, ყოველ საგანს, სულიერს თუ უსულოს, თავისი ღმერთი ჰყავს, მონოთეისტური რელიგიის მიხედვით, ღმერთი ერთია. ყველაფერი, მთელი სამყარო, მისი შექმნილია. მართალია, თავად გარეთ არის, მაგრამ ამავე დროს ყოველ ნივთშია განფენილი. უფრო ზუსტად და უკეთ ამბობს არეოპაგიტული წიგნების ავტორი — „ყოველთა შორის იცნობების ღმერთი...“ ანდა „ყოველთავე არსთა მიზეზ არს, ხოლო თუთ არცა ერთი მათგანი“.

სხვათა შორის, ღმერთის ყველაფერში განფენილობის მონოთეისტური იდეა კლასიკური სიცხადით აქვს გადმოცემული აკაკი წერეთელს „სულიკოში“.

მართალია, ჩვენში არ იპოვება მეორე ლექსი, რომელიც ისე პოპულარული იყოს, როგორც „სულიკოა“, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ მიგვიქცევია, რატომ არის საყვარლის საფლავი ვარდში, ბულბულში, ვარსკვლავში? რატომ დამშვიდდა პოეტი, როცა შეიტყო, სად იყო საყვარლის ადგილ-სამყოფელი?

ამ კითხვის პასუხი იოლია, თუ გავიხსენებთ, რომ საყვარელი ქრისტეს ეპითეტია („საყვარელი ქრისტეს ჰქვიანო“ — ბრძანებს ვახტანგ მეექვსე „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებებში), ხოლო საყვარლის საფლავის ძიება ლექსში ვერტიკალური ხაზით მიემართება, ქვევიდან ზევით, მიწიდან ზეცისაკენ: ვარდი → ბულბული → ვარსკვლავი. საყვარელი (ანუ ღმერთი) პოეტმა ყველაფერში (ვარდში, ბულბულში, ვარსკვლავში) კპოვა. ამან სიმშვიდე მოჰკვარა და იმედით შეხედა ამქვეყნიურ სინამდვილეს.

აკაკის „სულიკოს“ ამგვარი გაგება რომ მართალია, ამის საბუთად მოვიშველიებ გოეთეს ერთ უსათაურო ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით: „In tausend Formen magst du dich verstecken...“ ეს ლექსი „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ ზულეიკას წიგნის ციკლში შედის. როგორც ცნობილია, „ზულეიკანამკჳ“ გოეთემ მარიანე ფონ ვილემერის სიყვარულს მიუძღვნა. მართალია, ზემორეხსენებულ ლექსში პოეტი ამ კონკრეტულ მიჯნურს მიმართავს, მაგრამ წაშლილია მიწიერი და ზეციერი საყვარლის



ზღვარი. მწელი ამოსაცნობია, სად თავდება ერთი და იწყება მეორე, თუ არ ვცდები, ეს ლექსი ქართულად არ არის თარგმნილი. ამიტომ პირველად ვაღმოვცემთ მის შინაარსს.

შენ, უძღერის პოეტი ნანდაურს\*, ათასი ფორმით, სახით შევიძლია დაიმალო, მაგრამ ყველგან შეგიცნობ – ჯადოსნურ ნისლშიც, ნორჩი კიპარისის რტოშიც, ნაკადულის ტალღებშიც, ღრუბლებშიც, წყლის მოციმციმე წვეთშიც, მინდვრის ნაირფერად მოჩითულ ხალიჩაშიც, ხეზე მოხვეულ სუროშიც, მთებზე ანთებულ დილაშიც და ჩემს თავზე დამხობილ ცარგვალშიც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსის ბოლო ორი სტრიქონი:

Und wenn ich Allahs Namenhundert nenne,  
Mit jedem Klingt ein Name nach für dich.

(როცა ალაჰს ასს სახელს ეუწოდებ, ყოველ მათგანში ჟღერს სახელი შენთვის). მართლაც, პოეტი ისეთი ეპითეტებით ამკობს საყვარელს, როგორითაც მართლმორწმუნე განადიდებს ღმერთს. ამ ლექსში მიჯნურს ეწოდება allerliebste, allgegenwärtige, allmanningfältige, allbuntesternte, allerheiternde... და ასე შემდეგ. (თან ყველა ეპითეტს გოეთე ასომთავრულით წერს). მკაფიოდ ჩანს, რომ მიწიერი ტრფობა ამაღლებულია ზეციერ სიყვარულამდე. სიყვარული (ანუ ღმერთი) განფენილია ყველგან და ყველაფერში.

ღმერთის ყველაფერში განფენილობის მონოთეისტური იდეა უფლებას აძლევს ქრისტიანობას, ყოველი ნივთი, ყოველი საგანი გამოიყენოს სიმბოლოდ. თან ერთი და იმავე ღმერთის აღმნიშვნელი სიმბოლო მრავალნაირი შეიძლება იყოს. ხომ ამბობს გოეთე, ალაჰს ასს სახელს ეუწოდებო. ასს სახელს შეიძლება ასივე სიმბოლო შეესატყვისებოდეს. მაგრამ პოლითეისტურ რელიგიაში ასე არ არის. რაკი ყოველ საგანს თავისი ღმერთი ჰყავს, ყოველ ღმერთს თავისი კონკრეტული სიმბოლო აქვს. მზის ღმერთის ჰელიოსის სიმბოლო არ შეიძლება იყოს მთვარე. მთვარე მხოლოდ სელენეს (მთვარის ღმერთის) სიმბოლოა. ქრისტიანობაში კი შეიძლება ქრისტეს სიმბოლო მზეც იყოს, მთვარეც და ვარსკვლავებიც. მაგრამ, რა თქმა უნდა, თავ-თავისი შინაარსით. ცნობილია, რომ მზე და მთვარე ქრისტიანულ რელიგიაში ქრისტეს ორბუნებოვანებას აღნიშნავს: მზე – ღვთაებრივს, მთვარე – კაცებრივს (იხ. ვ. ნოზაძის „კეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“). ყველას უნახავს ეკლესიის გუმბათზე აღმართული ჯვარი, რომელიც ნახევარ მთვარეს ეყრდნობა. ეს სიმბოლო გვეუბნება, რომ ქრისტეს კაცებრივი ბუნება (მთვარე)

\* ნანდაური – სატრფო.



მოკვდა ჯვარზე, ხოლო ღვთაებრივი ბუნება ამაღლდა მამაღმერთის წიაღში.

პოლითეისტურ და მონოთეისტურ რელიგიასთა კონცეფციების სხვაობა ხელშესახებად ნათლად ჩანს იტალიაში. ეს ბუნებრივია, რამეთუ იქ წარმართობაც კლასიკური ფორმით არის გამოვლენილი და ქრისტიანობაც.

il fiore იტალიურად ყვავილს ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელ ფიორეს (ყვავილების წმ. მარიამის) ეკლესია.

il orto ბაღჩას და ხეხილის ბაღს ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელ ორტოს (ბაღჩის, ბაღის წმ. მარიამის) ეკლესია.

il miracolo სასწაულს ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელ მირაკოლის (სასწაულების წმ. მარიამის) ეკლესია.

la grazia, როგორც რელიგიური ცნება, მადლს, კურთხევას ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელლე გრაციეს (მადლის, კურთხევის წმ. მარიამის) ეკლესია.

თქვენ წარმოიდგინეთ ციხეების მადონას (მადონა დელლე კარჩერის) ეკლესიაც არსებობს.

მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ საჭირო არ არის. ისედაც ცხადია ყველაფერი. თუ წარმართობის თვალსაზრისით, ყველას (ყვავილს, ბაღს, სასწაულს, მადლს და ა. შ.) თავისი საკუთარი ღმერთი ეყოლებოდა, ქრისტიანობის შეხედულებით, ყველაფერში (იმავე ყვავილში, ბაღში, სასწაულსა და მადლში) ერთი, მონოთეისტური ღმერთია განფენილი. ამიტომ ღმრთისმშობელი ყველგან შეიძლება იყოს.

ვატყობ ვრძელი საუბარი გამოივიდა, მაგრამ აუცილებელია იგი. აუცილებელია, რადგან ზოგჯერ, გარეგნული მსგავსების გამო, ქრისტიანული მნიშვნელობის ამა თუ იმ სიმბოლოს წარმართულად მიიჩნევენ და ცდილობენ ამ თვალსაზრისით წაიკითხონ ის.

სანიშნოდ გავიხსენით „ვეფხისტყაოსნის“ საყოველთაოდ ცნობილი სტროფი:

მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,  
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!  
მუნა ვნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტბილი.

მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი: ნესტანი „ლომ“ ტარიელს იმიტომ მიმართავს – „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“ – რომ წარმართული კონცეფციით „მზეს ამქვეყნად თავისი სწორფერნი ჰყავდა. ნადირთა შორის „მისი“ წილი ანუ ხვედრი იყო „ლომი“. ეს არ არის მართალი. აბა, დააკვირდით, რას ამბობს ნესტანი



– ვის ვახლო, სად გნახავო, რატომ მექნებაო სიკვდილი ტკბილი? ამ სტროფის აზრს ვერ გავიგებთ, ვერც ამ კითხვას ვუპასუხებთ, თუ მშვენივარდამართული თვალსაზრისით შევხვდავთ და მასში ქრისტიანულ ღმერთს არ ვიგულისხმებთ.

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ადამიანი ღმერთის ნაწილია და სიკვდილის შემდეგ კაცი უზენაესის წიაღში ბრუნდება. როცა ამას გავითვალისწინებთ, „ვეფხისტყაოსნის“ ციტირებული სტროფის აზრი ასე წაიკითხება: ღმერთი უშენოდ ჩემთვის არ არსებობს, რამეთუ შენ მისი ნაწილი ხარ. როცა მას ვახლები (ე. ი. მოკვდები), მე მის წიაღში შეგხვდები და დაჩაგრული გული გამინათლდება. სიცოცხლე მწარე მქონდა, რაკი შენთან ყოფნა არ შეიძლება. სიკვდილი ტკბილი მექნება, რადგან ღმერთის სასუფეველში მარადიულად შენთან ვიქნები.

„ვეფხისტყაოსნის“ ზემორეციტირებულ ტექსტში მზე ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა.

ქრისტიანული რელიგიის სიმბოლიკაში, სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში, მზე შეიძლება იყოს მამაღმერთის, სულიწმინდის, ძეღმერთის ანუ ქრისტეს და მთლიანად სამების სიმბოლო. ყური დაუვადეთ დავით აღმაშენებელს – „მარტივო, სრულო სამ მზეო და ერთო ცისკროვნებაო“ („გალობანი სინანულისანი“). გასაკებია და ნათელი, რომ სამი მზე უდრის სამებას, ერთცისკროვნება – ერთარსებას.

ფსალმუნში ჰირდაპირ არის ნათქვამი, რომ ღმერთი მზეა და ფარი (რუსულ ბიბლიაში ამ ფსალმუნის ნომერია 83, გერმანულში – 84. მუხლი 12. საოცარია, ეს სიტყვები ყველა ბიბლიაშია, რატომღაც ქართულშია გამოტოვებული).

„შენ (ღმერთისმშობელს მიმართავენ – ა. ბ.), რომელმან მზეა სიმართლისა იტვრთე“ (ძლისპირი).

მის თანა გამობრწყინდა  
 საშოდსაგან ქალწულისა,  
 მზეა იგი სიმართლისაა  
 მსხდომარეთათვის ბნელსა და აჩრდილთა (ძლისპირი).

შენ, სანატრულო,  
 გამოვუჩდი ჩუენ,  
 რომელმან გუშევ მზეა სიმართლისაა,  
 მსხნელი სოფლისაა

(იოანე-ზოსიმე საბაწმინდელი-სინელი).

ნათელია, რომ „მზეა სიმართლისა“ ქრისტეს ეპითეტია. მზე რომ ქრისტიანული ღმერთის მატარებელ სახედ არის მიჩნეული, ეს სიტყვები



დასტურდება ფრანჩესკო ასიზელის კიმნითაც – „ქება ძმა მზისა“.

საერთოდ ძველ ქართულ მწერლობაში კარგად არის ასახული მზის სიმბოლოს ქრისტიანული მნიშვნელობა.

„აბოს წამება“: „მზე სიმართლისა ეწოდა, რამეთუ თქუა წინასწარ-მეტყველმან: „და გამოვიბრწყინდეს თქუენ, მოშიშთა სახელითა მისისათა, მზედ იგი სიმართლისად, რომელი აქუს კურნებად ქუეშე ფრთეთა მისთა“, რამეთუ იგი არის, რომელი ჰფარავს და განატფობს და არარად არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა“.

იოანე მტბეკარი: „დიდება პირველ მზისა შობილსა ძესა...“

მიქაელ მოდრეკილი: „გამობრწყინდა დღეს თვით-მნათობი ნათელი, შეუხებელი ქრისტე, მზე სიმართლისა...“

დავით გურამიშვილი:

სახით სიტყვა შექნიერო,  
სხილ მზეთა, მზის სახეო.  
ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო...

მზის ამგვარი წარმოდგენა უშუალოდ ახალ აღთქმას უკავშირდება. წაიყვანა ქრისტემ მოწაფეები მთაზე და „იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკი, ვითარცა ნათელი“ (მათე, XVII. 2).

ქართული თქმა – ვენახში მზის თვალი, ანუ ღმრთის თვალი დგასო – არა მგონია წარმართული რწმენიდან მომდინარე იყოს. თუმცა ამის სრული გამორიცხვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ოღონდ დამატება ლუდვიგ ტიკის „რუნენბერგმა“, „ის-ის იყო გალობა დამთავრდა, – ვკითხულობთ ამ მოთხრობაში, – რომ მღვდელმა ქადაგება დაიწყო. იგი განმარტავდა, ჭირნახულში როგორ არის გამოვლენილი ღმერთის ქველმოქმედება; კეთილით როგორ კვებავს იგი ყველას, რაც ცხოვრობს; ხორბალში როგორ გამოიხატება უფლის ზრუნვა ადამიანთა მოდგმის შესანარჩუნებლად; პურში როგორ ნაწილდება ღმერთის უსასრულო სიყვარული...“

ტიკის ამ სიტყვებმა შეუძლებელია არ გაგახსენოთ, ციური მანანით როგორ იხსნა ღმერთმა სინას უდაბნოში ებრაელები შიშშილისაგან. მაგრამ ჯერ ძლისპირს მივაპყროთ სმენა:

წინასწარ მოასწავა  
საიდუმლოდ შენი, ქალწულო,  
პირველ კიდობანმა შჯულისამან,  
შემწყნარებელმან საღმრთოთა წერილთამან,

ჩვენ გვიინტერესებს, რატომ იყო შჯულის კიდობანი, ოქროს ტაკუკი<sup>\*</sup> და კვერთხი ღმერთისმშობლის საიდუმლოს მომასწავებელი?

გამოსლვათა წიგნში (თავი 25) ღმერთი მოსეს ავალებს – ებრაელებმა ამიღონო საკურთხეველი, მომართვანო შესაწირავი. მაშინ მათ შორის ვიცხოვრებო. ხოლო როგორი უნდა იყოს კარავი და ჭურჭელი, ამის ნიშნებს თავად გიჩვენებთო.

მოსე ისე მოიქცა, როგორც დაავალეს.

პავლე მოციქულის სიტყვით (ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, IX, 4), ამ კარავს „ოქროსა, აქუნდა სასაკუმველე და კიდობანი იგი სჯულისამ, შემოსილი გარეთ და შინად ოქრომთა, რომელსა შინა იყო ტაკუკი იგი ოქროსა, საესე მანანათა და კუერთხი იგი აპრონისი, რომელი განედლდა, და ფიცარნაგი იგი სჯულისინი“...

როცა ეგვიპტის ტყვეობიდან მოსეს ებრაელები გამოჰყავდა, ფარაონმა მათ ჯარი დაადევნა. მეწამულ ზღვასთან წამოეწია ებრაელებს ეგვიპტელთა არმია. წინ ზღვა იყო, უკან – მტერი. გამოსავალი არსაით ჩანდა. მაშინ აწუწუნდნენ ებრაელები და ამუნათებდნენ<sup>\*\*</sup> მოსეს – ნუთუ ცოტა იყო ეგვიპტეში კუბოები, რად მოგვიფყანე სასიკვდილოდ უდაბნოში, რა გვიყავ ეს? უკეთესი იყო დაკრჩენილიყავით მონებად ეგვიპტეში, ვიდრე აქ უდაბნოში დავიხოცოთ.

მოსემ დაამშვიდა ისინი: ღმერთი გვიხსნისო ჩვენ. მაშინ უფალმა ასწავლა მოსეს – აღმართე კვერთხი შენი, გაიშვირე წინ, ზღვა გაიპობა ორად და გაივლიანო ხმელეთით ძენი ისრაელისანი. კქმნა მოსემ ის, რაც უბრძანეს და მართლაც გამოჩნდა ზღვის ფსკერი. მშვიდობიანად გააღწია გაღმა ებრაელობამ. გაღმა ნაპირს გასული მოსე შემობრუნდა და იხილა: ზღვის ფსკერზე კვალდაკვალ მოსდევდა ფარაონის ლაშქარი. კვლავ აღმართა მან კვერთხი და ზღვამ ისევ შეიკრა პირი, შთანთქა მთლიანად ეგვიპტელთა მხედრობა.

ეს ის კვერთხია, რომლითაც ფარაონის წინაშე ცხადდებოდნენ ადრე მოსე და აპრონი და ებრაელთა ტყვეობიდან განთავისუფლებას ევედრებოდნენ. ეს ის კვერთხია, რომელიც ღმერთის შთაგონებით, ხან გველად იქცევა, ხან – ვეშაპად, ხან წყალს სისხლად გარდაქმნის, ხან მყვარებით<sup>\*\*\*</sup> დაჰფარავს ეგვიპტეს (გამოსლვათა წიგნი, IV, 3; VII, 10; VII, 20; VIII, 6-7) და ასე შემდეგ.

\* ტაკუკი – მომცრო ჭურჭელი ღვინისა.

\*\* ამუნათებდნენ – საყვედურობდნენ.

\*\*\* მყვარი – ბაყაყი.



ამ კვერთხით მეწამულ ზღვაში მოსემ ჯვარი გამოსახა, უნაგნალო  
გვაუწყებენ ძლისპირნი.

ეტლთა მფლობელი ფარაო  
დანთჟა საკურველთ-მოქმედმან  
კურთხმან  
მოსემსმან, რომელმან  
გამოსახა, სახეა ჯუარისაჲ  
და განაპო ზღუაჲ მეწამული  
და ისრაელი იქსნა განმაველი...

მართალია, ფარაონის დადევნებულ ლაშქარს თავი დააღწიეს, მაგრამ ებრაელობას ახალი განსაცდელი ელოდა – შიმშილი (გამოსლვათა წიგნი, თავი 16). სინას უდაბნოში მყოფნი ისინი მოთქვამდნენ – უმჯობესი იყო უფალს ეგვიპტის მიწაზე გავეჭუეთ, სადაც ხორციც საკმარისი გვქონდა და პურიც, ვიდრე ამ უდაბნოში შიმშილით დავხოცილიყავითო. კვლავ ანუგემა მოსემ თვისტომში – ღმერთი მოგვიუღმესო საზრდელს. მართლაც გამოუგზავნა მათ უფალმა ჭამადი, რომელსაც სახელად მანანა უწოდეს. ორმოცი წელიწადი იკვებებოდა ებრაელთა ერი მანანით, ვიდრე მან ქანაანის მიწას არ მიაღწია.

ეგვიპტიდან გამოსვლის სამი თვე გავიდა და ებრაელები სინას უდაბნოში შეჩერდნენ. სინას მთაზე ჩამობრძანდა ღმერთი და მოსე მიიხმო. ეახლა ღმრთისმეტყველი უფალს. ისინი საუბრობდნენ, მაგრამ მოსე ვერ ხედავდა უზუნესს. აქ მიიღო მოსემ ღმრთისაგან ყველასათვის კარგად ცნობილი ათი მცნება (გამოსლვათა წიგნი, თავი 19 და 20).

რაკი ღმერთის ხილვა არ შეიძლება, ლოგოსი (ღმრთის სიტყვა), ანუ ქრისტე ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის დროს ადამიანს ეცხადება ხან კვერთხის, ხან მანანის, ხან რჯულის წიგნის სახით. ხოლო, რადგან ერთხელ ლოგოსმა ანუ ქრისტემ წმ. მარიამის წიაღში ხორცი შეისხა და კაცებრივი სახით მოველინა დედამიწას, ბუნებრივია, რომ ლოგოსის ადრინდელი გამოვლენები (კერძოდ, მანანა და მისი სამკვიდრებელი ოქროს ტაკუკი, საღმრთო წერილის შემწყნარებელი შჯულის კოდობანი, კვერთხი) არიან ღმრთისმშობლის საიდუმლოს (ქრისტეს შობის) წინასწარ მომასწავებელნი. ეს ძლისპირით ასეა გამოთქმული:

ბუელი შჯული შენთვის (ქრისტესათვის – ა. ბ.) ქადაგებდა:  
კარავი საწამებელი,  
და კილობანი შჯულისაჲ,  
ტაკუკი და კვერთხი...



იოანე მინჩი კი მარიამის ქებაში ღმრთისმშობელს მანანას სადგურს უწოდებს.

ვაზიც, ვენახიც ქრისტეს (ხან ღმრთისმშობლის) სადგურია ანუ ნაყოფიერების, ახალგაზრდობის, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო (F. E. Cirlot – A dictionary of symbols), მაგრამ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებშიაც წამდაუწუმ იხსენიება იგი. ეს გასაგებიც არის. ქრისტიანობა, როგორც რელიგია, გაჩნდა და განვითარდა ვაზის და ღვინის კლასიკურ ქვეყნებში – იუდეა-გალილეაში, საბერძნეთსა და იტალიაში.

იოანეს სახარებაში (XV, 1, 5) ქრისტე ამბობს:

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამამ ჩემი მოქმედი არს“.

.....

მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი, რომელი დაადგინეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ თუნიერ ჩემსა არარად ძალ-ვიც ყოფად არცა ერთი“.

ამის პერიფრაზია მეფე დემეტრე პირველის ღმრთისმშობლისადმი მიმართული ჰიმნის სიტყვები: „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული...“ იოანე მინჩისათვის კი წმ. მარიამი „ვენახი ვინიერია“.

რაკი ვაზი, ვენახი ქრისტეს სიმბოლოა, სრულიად კანონზომიერი და ბუნებრივია, რომ სიზმარში წმ. ნინოს ღმრთისმშობელმა ვაზისაგან გაკეთებული ჯვარი მისცა. ამით ქრისტეს შეწვევა და მფარველობა აღუთქვა. ამიტომ მიმართავს ჰიმნოგრაფოსი წმ. ნინოსა და ქართველებს:

ახალ-ნაყოფნო,  
ახლის ვენაკისანო,  
ჰომ მკედრნო ქართლისანო,  
და ვდღესასწაულობდეთ დმერთსა...

ცხადია, ეს არის იმის საფუძველი, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრება ფართოდ იყენებს ვაზს, მის მტევანსა და ფოთოლს ორნამენტად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველგან და ყოველთვის ვაზი და მტევანია გამოხატული. მაგალითად, სვეტიცხოვლის კედლებზე ამოკვეთილია არა ვაზი და მტევანი, არამედ ლიბანის ნაძვი და მისი გირჩები. თუმცა ზოგჯერ, ფურნალისტებს რომ თავი დავანებოთ, საეციალისტებიც კი გვარწმუნებენ, ვაზი და მისი მტევნებია გამოხატული.

ჯერ ერთი, საერთოდ ქრისტიანობა „სიცოცხლის ხის“ სიმბოლოდ ლიბანის ნაძვს მიიჩნევს.

მეორეც, როგორც „ნინოს ცხოვრება“ გვაუწყებს, ელიოზ მცხეთელმა ქრისტეს კვართი საქართველოს ძველ დედაქალაქში ჩამოიტანა. ელიოზის დამ კვართი გულში ჩაიკრა და სიხარულის ელდანაცემი გარდაიცვალა.



ელიოზმა დაი და უფლის კვართი ერთად დამარხა. დიდი დრო გავიდა ამის მერე. საქართველოში ნინო ჩამოვიდა. იცოდნენ, რომ ქრისტეს კვართი მცხეთაში იყო დაკრძალული, ოღონდ სად – აღარავის ვიცოდნენ. მისი მივრევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ „არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით (ხაზი ჩემია – ა. ბ.) მოსრულსა და მცხეთას დანერგულსა“ („მატბერდის კრებული“, გვ. 339). ისინი კონცეფციურად არიან დაკავშირებული: ქრისტე მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელია, ხოლო ლიბანის ნაძვი – „სიცოცხლის ხის“ სიმბოლო.

მერე რაც იმ ნაძვს თავს გადახდა, ყველამ იცის, ვისაც „ნინოს ცხოვრება“ წაუკითხავს, მაგრამ მაინც გაგახსენებთ.

მეფე მირიანმა ეკლესიის აგება გადაწყვიტა. ასაშენებლად ის ადგილი შეარჩიეს, სადაც კვართი იყო დაფლული და ლიბანის ნაძვი ამოსული. ნაძვი მოკვეთეს, მაგრამ მისგან გამოთლილი სვეტი ვერაფრით აღმართეს. საგონებელში ჩავარდა ხალხი. ბოლოს ნინოს ჭაბუკი (ე. ი. ქრისტე) ეზმანა. ჭაბუკმა მოჰკიდა ხელი სვეტს და მალა, ცაში, წაიღო. მერე ძირს დაუშვა სვეტი და სწორედ იმ ძირზე დიდგა, საიდანაც მოჭრეს.

მცხეთის კათედრალური ტაძარი „სიცოცხლის ხის“ ტაძარია და სვეტიცხოველიც ამიტომ ეწოდება. მისი კედლებიდანაც ლიბანის ნაძვი და მისი ვირჩები ვკიფურებს.

პიშნოგრაფოსი კი სვეტის აღმართვას ასე უგალობს: „...ძელი იგი ცხოვრების მომცემელი დედაკაცისა ლოცვით მყის აღიმართების“...

ფრიად საყურადღებოა ის, რომ საგალობლებში ერთმანეთს უკავშირდება მოსეს კვერთხი და სვეტი ცხოველი.

„ვიხაროდენ სუეტო თანამზრახველო და მესაიდუმლეო დიდისა ღმრთისმეტყუელისა მოსესო. ვიხაროდენ წინამძღუარო და თანამოგზაურო ისრაელთაო“ (ნიკოლოზ გულაბერიძე – გალობანი სუეტისა ცხოველისანი).

„ეჲა სუეტო ყოვლად წმინდაო, რომელი ნათობ საუფლოსა, კვართსა ზედა, რამეთუ შენ პირველ ისრაელთა წინამძღვარ ექმენ უდაბნოს...“ (ბესარიონ ორბელიძევილი).

უკვე ითქვა, რომ მოსეს კვერთხიც და სვეტი ცხოველიც ლოგოსი ანუ ქრისტეს სიმბოლოა. ევვიპტის ტფეობიდან გამოსულ ებრაელებსაც მოსეს კვერთხით და ქართველებსაც სვეტიცხოვლით წინ მიუძღვებათ ლოგოსი ანუ ქრისტე.

ღმრთის სიტყვა ანუ ქრისტე კი, ქრისტიანული რელიგიის კონცეფციით, ყოველთვის არსებობს – მანამდეც, სანამ წმ. მარიაამის წიაღში ხორცს შეისხამდა და კაცებრივი სახით გამოგვეცხადებოდა, და მას მერეც, რაც ჯვარს აცვეს და უკან მამალმერთთან ამაღლდა, საიდანაც მოგვევლინა. ამიტომ, ქრისტიანული რელიგიის არსში ჩაუხედავ მკითხველს ნუ გაუკვირდება, თუ ქრისტე სუფევს შობამდეც (მოსესთან) და შობისა და ჯვარცმის შემდეგაც (ნინოსთან).

ღმერთმა დაავალა წინასწარმეტყველ იონას ნინევიამი წასვლა და ქადაგება ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ („წინასწარმეტყველ იონას წიგნი“, თავი I და II). არ უნდოდა იონას ამ დავალების შესრულება. გადაწყვიტა უფალს დამალვოდა, გემზე ავიდა და ფარისისში გაიპარა. ქარბორბალა და ლელვა მოუვლინა გემს განრისხებულმა ღმერთმა. ყველას დაღუპვა ემუქრებოდა. მაშინ იონა გამოუტყდა გემის კაპიტანს, რომ ლელვა და ქარიშხალი ატეხილია მის გამო, თუ იონას ზღვაში გადააგდებდნენ, დაწინარდებოდა იგი. გემი მშვიდობიანად მიაღწევდა ნაპირს. ჯერ მეზღვაურებს არ უნდოდათ იონას ზღვაში გადაგდება, მთელი ძალ-ღონით სცადეს სამშვიდობოს გასვლა. არაფერი გამოუვიდათ. ზღვა ბობოქრობდა. საშველი არსაიდან ჩანდა. მაშინ კი აიყვანეს იონა და ზღვაში ისროლეს. მაშინვე დაწინარდა ზღვა. მეზღვაურებმა ღმერთს მადლობა გადაუხადეს და მსხვერპლიც შესწირეს. ღმერთის ბრძანებით ვეშაპმა გადაყლაპა იონა. სამი დღე და ღამე იყო ვეშაპის წიაღში, გულმსურვალედ ილოცვოდა, ვეჯდებოდა უფალს, ეხსნა მისი სამშენველი ჯოჯოხეთისაგან.

ისმინა იონას ვეჯდება უზენაესმა. ვეშაპმა ამონერწყვა იონა ხმელეთზე. იონა ნინევიამი გაემურა ღმერთის დავალების შესასრულებლად. იონაც და ვეშაპიც მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოებია.

ვეშაპის მიერ იონას შთანთქმა აღნიშნავს ადამიანის ჩავარდნას ცოდვის მორევში. მაგრამ რწმენასა და ღმერთს ძალუძს ადამიანის გათავისუფლება ცოდვისაგან.

ღაღადებასა  
 მონათა შენთასა ნუ უგულებელსჰყოფ. უფალო,  
 არამედ ვითარცა იხსენ იონა  
 მუცლისაგან ვეშაპისა,  
 მიხსენ მეც ვეშაპისა მისგან  
 უხილავისა  
 და შტრისაგან ბოროტისა... (ძლისპირი).

ბრალთა ჩემთა სიღრმესა  
 დანთქმული

\* სამშენველი – ძველი ქართული სიტყვა, ნიუანსურად განსხვავდება სულისაგან. სული ღვთაებრივია, მარადიული და უკვდავი. აქედან გამომდინარე, იგი უფრო მეტია, ვიდრე კონკრეტული ინდივიდის კოფინილება. ხოლო სამშენველი პიროვნების (საზოგადოდ, ცოცხალი არსების) ამქვეყნიურ გრძნობად-კონკრეტულ მყოფობას განსაზღვრავს. სხვა ენებიც ასევე განასხვავებენ სულსა და სამშენველს. მაგ., რუსული: Дух (სული), Душа (სამშენველი).



მიხსენ მე, კაცთ-მოყვარე,  
მსგავსად იონასა აღმოიყვანე  
ცხორებად, სახიერ  
და მაცხოვნე, მრავალ-მოწყალე... (ძლისპირი).

ვეშაპის წიაღიდან იონას ამოსვლა ადამიანის მეორედ დაბადების  
ალეგორიაც არის.

წინამსწარმეტყველმან  
მუცლისა სიმზურვალე  
ზღუისა მხეცისამ  
სამ დღე თავს-იდვა  
და მოასწავა მეორედ შობამ  
კაცთამ... (ძლისპირი);

კაცის მეორედ შობის აზრი უშუალოდ უკავშირდება ქრისტიანობის  
ერთ-ერთ ძირითად იდეას – აღდგომას. მისი კონცეფციით, ადამიანის  
უსაშინლესი მტერი სიკვდილია. ადამიანის უპირველესი მიზანი მისი  
დათრგუნვაა, მისი მორეკაა. ამას ადამიანი მხოლოდ ღმერთის თანადგომით,  
დახმარებით შეიძლება.

კვდომადი და აღდგომადი ღმერთის პარაბოლა\* უძველესია. იგი,  
ბუნებრივია, ქრისტიანულ რელიგიაშიც არსებობს. ქრისტეს ჯვარცმა  
და მერე აღდგომა სწორედ მეორედ დაბადებას ანუ მკვდრეთით აღდგომას  
მოუთითებს. იქმნება სიკვდილით (ჯვარცმით) სიკვდილის დამთრგუნველი  
(აღდგომით) ღმერთის იდეა. ძველ აღთქმაში ვეშაპის მიერ იონას  
ჩაყლაპვა ალეგორიულად მიმანიშნებელია სიკვდილისა, ხოლო სამი  
დღე-ღამის მერე იონას უხრწნელი დაბრუნება მიწაზე მაუწყებელია  
აღდგომისა. ქრისტეც სამი დღე-ღამის შემდეგ აღდგა კლდეში  
გამოკვეთილი საფლავიდან.

შენვე ბრძანებით შენითა  
დაიციე  
იონა წინამსწარმეტყველი  
მხეცისა მბუნვარისა მუცელსა  
გაუხრწნელად,  
რომელმან  
მოგუასწავა სამისა დღისა

\* პარაბოლა – იგავი.



აღდგომაში შენი  
მკურნალობით, მაცხოვარო ჩუენო (ძლისპირი).

მოაკვდინე შენ სიკვდილი სიკვდილითა,  
ღმრთისა სიტყვაო, და საუკუნითგანნი  
მკვდარნი იონას სახედ იხსენ სახიერ  
მშეცისა მისგან სულთა წარწყმედელისა  
და აღადგინენ აღდგომითა შენითა (მიქაელ მოდრეკილი).

მკურნალობით აღდგომით, მეორედ დაბადების იღვით გამოხატავს ქრისტიანობა ოპტიმიზმს. ამით ებრძვის იგი ამაოების, სამარადეაჲმოდ გაქრობის აზრს. არსებობის ძირითადი შინაარსი მარადიული განახლებაა. ბუნების არსიც მარადიული განახლებაა. ამის მოწმენი ვართ ჩვენ ყოველ შემოდგომას (სიკვდილი, ძილი) და გაზაფხულს (აღორძინება). ბუნების ამ მუდმივი კვლევა-განახლების პროცესის ნაწილია ადამიანის ცხოვრებაც. ქრისტიანობის რწმენით, სიკვდილი გაქრობის, არყოფნის მომასწავებელი კი არ არის, არამედ პირიქით – განახლების, ხელმეორედ აღორძინების, მეორედ მოსვლის. ამიტომ, ვეშაპის წიაღში ყოვნით (ე. ი. სიკვდილით) და აქედან უვნებლად გამოსვლით (ე. ი. აღდგომით) წინასწარმეტყველმა იონამ მოასწავა სიკვდილით დამთრგუნველი ღმერთკაცის (ანუ ქრისტეს) მოვლინება. ამ ორი პარაბოლის ასეთი კავშირის გამო ვეშაპის მუცელს კიდევ ერთი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი უღრის წმინდა მარიამის მუცელსაც.

ორთა მუცელთა,  
ბუნებანი შეცვალნეს  
ვეშაპისა და ქალწულისამან  
ღღეს, რამეთუ პირველ  
უხრწნელად დაჰმარხა მუცელმან  
ნაყოფი,  
ხოლო აქა ღღეს ნაყოფმან დაიცვა  
მუცელი  
იგი... (ძლისპირი).

შეიძლება ვინმე დაეჭვდეს – რა აქვთ საერთო ცოდვის მორევს (ბოროტს) და ღმრთისმშობლის წიაღს (კეთილს) და როგორ არის ორივეს სიმბოლო ვეშაპის მუცელი? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა, რომლის თეორიული ახსნა დამაჯერებელი არ იქნება?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი პარაბოლა, რომლის სიმბოლოები გარეგნულად ასევე წინააღმდეგობრივია და, პირველი შეხედვით, შეუთავსებელიც.



ყველამ, თუნდაც ყურმოკვრით, იცის გველის მიერ ევას და შორე ადამის ცდუნებისა და აკრძალული ნაყოფის ჭამის ამბავი (დაბადებად თავი I და II). ცნობილია ისიც, რომ ქრისტე მორე ადამია. „ურწმუნისათვის ადამისასა მოჰკვედ, მორე ადამ, ქრისტე, ღმრთის სიტყვაო...“ (მიქაელ მოდრეკილი). მაგრამ დასაშვებია, ყველამ არ უწყოდეს, რომ ცნობადის ხე, რომლის ნაყოფიც ადამმა და ევამ შეჭამეს, აგრეთვე ქრისტეს სიმბოლოა. „მოვედით, ვემო ვიხილოთ ხის ცნობადისა, რომელ არს ქრისტე, საღმრთო იგი ყვავილი“ (იოანე მტბევეარი).

თუ ადამი ქრისტეს ჰიპოსტასია\* და ცნობადის ხეც, მაშინ ცდუნების პარაბოლა როგორ გავიგოთ? რაა თვით ცდუნების აქტი? თავად ადამიანშია კეთილიცა და ბოროტიც? მათ შორის ბრძოლა კაცის სამშენველში მიმდინარეობს? გარემომ შეიძლება ბიძგი მისცეს (გველი) ადამიანშივე არსებულ ბოროტს?

კითხვების ჯარი დაგვეტრიალებს თავს. პასუხი რომ მოვძებნოთ, ჯერ უმთავრესი კითხვა უნდა დავსვათ – რა არის არსებობა (სიცოცხლე), კეთილი თუ ბოროტი? ამ კითხვას პავლე მოციქული აყენებს კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (XV, 29-30). თუ მკვდრები არ აღდგებიანო – ეკითხება პავლე კორინთელებს, – მაშინ რატომღა ვისახავთ პირველად? მაშინ ყოველ წუთს რატომღა გვემოუქრება უბედურება და ვებრძვით მას? მართლაც, თუ ადამიანის არსებობა სიკვდილით (არარსებობით) დამთავრდება, მაშინ რაღა საჭიროა ათასგვარი ჭირ-ვარამი, რომელიც უსაფრღობა ადამიანს მისი სიცოცხლის მანძილზე? ნუთუ საკმარისი არ არის ერთი უმთავრესი და ძირითადი უბედურება, რომელიც საბოლოოდ აქრობს ადამიანს? რაღა საჭიროა გზადგზა, სხვა უბედურებანი – სნეულებანი, სიღატაკე, სიღონჯე, ჩაგვრა და სხვა ამგვარანი? ჩამოუთვლელადაც თვალწინ უდგანან ისინი ადამიანებს. ნუთუ იმისათვის, რომ მოკვდეს, გაქრეს, არაფრად იქცეს, ტანჯვა-ვაების გზა უნდა გაიაროს ადამიანმა? თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ არსებობა ბოროტება ყოფილა. სხვაგვარი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მაგრამ ასეთი დასკვნის დაშვებაც კი არ შეუძლია ქრისტიანულ მოძღვრებას. მისი თვალსაზრისით, სამყაროც და ადამიანიც შემქნილია ღმრთის მიერ, რომელიც განასახიერებს უნივერსალურ კეთილსა და გონიერებას. მერვდა, უნივერსალურმა კეთილმა და გონიერებამ ყველაფერი იმისათვის შექმნა, რომ ერთ უბედურ დღეს ადამიანი მოკვდეს, გაქრეს, არაფრად იქცეს? ეს კიდევ არაფერი. უფრო რთულია ის, რომ თუ ადამიანი გაქრობადია, მაშინ მთელი სამყაროც გაქრობადია. ისინი ერთი შემოქმედის ერთნაირი პრინციპით არის შექმნილი და სხვადასხვა შედეგის დაშვება გამორიცხულია. არ შეიძლება სამყარო მარადიული იყოს, ხოლო ადამიანი

\* ჰიპოსტასია – რაიმეს სახესხვაობა, სხვადასხვა სახით გამოვლინება.



წარმავალი. ამგვარი განსხვავება ეწინააღმდეგება შესაქმის აზრს. ღრობითობა, წარმავლობა, საბუღალთო გაქრობა, არაფრად ქცევა ღმერთის შემოქმედებას აბსურდად და უაზრო პროცესად ხდის. უფრო მეტი, ბოროტი პროცესის ხასიათს იღებს. ღირდა კი ამისათვის შესაქმის ჩატარება? ცხადია, ქრისტიანობა შესაქმეს, არსებობას აბსურდად და უაზროდ ვერ მიიჩნევდა.

სიკვდილი როგორც ყოფიერების ფაქტი, როგორც ყოფიერების რეალური ელემენტი არ არსებობსო, ამის მტკიცებას ვერცერთი ჭკუათმყოფელი ვერ დაიწყებდა. მაშინ რა არის სიკვდილი, რა აზრი და მნიშვნელობა აქვს მას? სამწუხაროდ, ამ თავსატეხი კითხვების უეჭველი პასუხი ვერცერთმა რელიგიურმა მოძღვრებამ ვერ გამოძებნა. როგორც უკვე ითქვა, რაკი არსებობა ქრისტიანობისათვის კეთილის გამოვლენა იყო, ცხადია, სიკვდილიც მის ნაწილად უნდა მიეჩნია. ამიტომ გარდაცვალება ჩათვალა განახლების, აღდგომის წყაროდ, ხელახალი აღორძინების საშუალებად.

მაგრამ აღმდგარი ადამიანი არავის უხილავს. მაშინ, როგორ უნდა ირწმუნო აღდგომის იდეა? რა ლოგიკით უნდა დაიჯერო ეს? მართალია, რწმენას საბუთი არ სჭირდება. რწმენა ამიტომ არის რწმენა, რომ იგი უსაბუთოდ უნდა გწამდეს. მაგრამ ამით ადამიანი არ კმაყოფილდება და მაინც ეძებს საბუთს. საბუთის ნაცვლად რელიგია ქმნის იმედის პარაბოლას.

ქრისტიანულ მოძღვრებაში ამ პარაბოლის ლოგიკური მსვლელობა ასეთია: თავდაპირველად ღმერთს ადამიანი არ შეუქმნია მოკვდავად. თუ ადამი ღმერთისადმი მიცემულ აღთქმას არ დაარღვევდა, მარადიულად იცოცხლებდა. მაგრამ ადამი აცდუნეს და აკრძალული ნაყოფი აჭამეს, რითაც მოკვდავი გახდა. პავლე მოციქულის განმარტების თანახმად, რაკი ერთი ადამის ცოდვა მთელი კაცობრიობის ცოდვაა, სიკვდილიც ყოველი ადამიანის სასჯელია (ეპისტოლე რომელთა მიმართ, V, 12). მაგრამ უფალი ღმობიერია და ადამიანს მონანიების საშუალებას აძლევს. ამასთანავე, კაცობრიობის ცოდვის გამოსყიდვის მიზნით, მან მოავლინა მიწაზე ქრისტე. თუ ერთი ადამის ცდუნებით მთელი კაცობრიობა გახდა ცოდვილი, ერთი ქრისტეს ჯვარცმით მთელი კაცობრიობის ზსნა მოხდა (პავლე მოციქულის ეპისტოლე რომელთა მიმართ, V, 17-21). „დაფლვითა მით სამ დღე საფლავსა შინა მოიკლა უკუნისამდე კაცთა მაცთური“ (იოანე მინჩხი).

თუ ადამი არის ურჩობა, განკითხვა, სიკვდილი, ქრისტეა მორჩილება, გამართლება, ცხოვრება. ცოდვილით (ადამით) მოდის სიკვდილი, როგორც სასჯელი. უცოდველით (ქრისტეთი) მოდის აღდგომა, როგორც მადლი და გამართლება.

გამოკეთილია ორი სრულიად სხვადასხვა ფუნქციის არე და მანაც ვამბობთ. ვეშაპის მუცელი წმინდა მარიამის წიაღის წინასწარმეტყველებათ, ცნობადის ხე ქრისტეს სიმბოლოაო. თითქოს პარადოქსული დასკვნაა, მაგრამ ეს გარეგნული შთაბეჭდილებაა. შინაგანი შენიღბული შინაარსი სხვას გვეუბნება. სხვას გვეუბნება იმიტომ, რომ ქრისტიანული მოძღვრებით, არსებობა ბოროტიდან კეთილისაკენ მიმავალი პროცესია. მისი ფორმულაა – დაბადება – სიკვდილი – აღდგომა. თუკი ბოროტების ისეთი გამოვლენაც, როგორცაა სიკვდილი, განახლების ანუ აღდგომის საფუძველია, ცხადია, რომ არსებობა, საერთოდ, ბოროტის კეთილად ქცევის პროცესია, ოღონდ იგი მიმდინარეობს უფლის დახმარებით, მისი განგებით. გაიხსენეთ ამის დამადასტურებელი ჰიმნიც და ძველი აღთქმის ის პარაბოლაც, რომელსაც საგალობელი იმეორებს.

ვიცანით ხორცითა მოსრული მხსნელად ჩვენდა  
სიკვდილისაგან, ვითარცა საშნი ყრმანი  
სახვიმილისგან, რამეთუ გვასხურე ჩვენ  
ცვრისა მის წილ სისხლი საღმრთო და წყალი  
და მით დაშრიტე ცეცხლი უღმრთოეებისა.

(მიქაელ მოღრეკელი).

ეს ის სამი ყრმაა, რომელნიც ნაბუქოდონოსორ მეფემ გავარჯარებულ ბრძმედში ჩაყარა, რადგან მათ ხელშეწყობის მიერ აღმართულ ოქროს კერპს თაყვანი არ სცეს. მაგრამ მათ ცეცხლი არ მოეკიდათ და სრულიად უვნებელნი დარჩნენ. გაკვირებულმა მეფემ ბრძმედში შეიხედა და იქ ვიღაც მეთხეც დაინახა. ნაბუქოდონოსორმა ის მეთხეც ღმერთის ძედ შეიცნო. მეფემ სამივე ყრმა სახუმილავიდან გამოიყვანა და მათი ღმერთი ილოცა (დანიელ წინასწარმეტყველის წიგნი, თავი III).

დიდი დრო გაუა და იესო ეტყვის განრღვეულს: „მე, ოდეს ნაბუქოდონოს მეფემან შესთხივნა სამი იგი ყრმანი სახუმილსა შინა, მაშინ მე ცუარითა ვავრილებდი“ („კითხვა-მიგებაჲ იესუმსი და განრღვეულისაჲ“).

ასე იცავს და იფარავს ღმერთი ადამიანს ყოველგვარ უბედურებასა და გასაკვირში.

ეს ურთიერთმომართებანი უფლებას გვაძლევენ პარაბოლათა შინაარსი დავაღვაგოთ, როგორც ლოგიკური დებულებანი.

ვეშაპი, ღმრთის განგებით, მარადიული სიცოცხლისაკენ აბრუნებს ადამიანს (იონას).

წმ. მარიამის წიაღიდან, სულიწმინდის მოვლინებით, იშვა მარადიული სიცოცხლე – ქრისტე.

\* პარადოქსული – უცნაური, მოულოდნელი.





ამდენად, ვეშაპის მუცელი ალეგორიული მინიშნებაა წმ. მარიამის მუცლისა.

თანაც პროცესი ბოროტის კეთილად ქცევისაკენ არის მიმართული: ვეშაპი (ბოროტი) იონას (ადამიანის) მიწაზე დაბრუნებით კეთილის მოქმედი ხდება. ამიტომ იგი უკვე აღარ არის ბოროტება და ვეღარ დაუპირისპირდება წმ. მარიამის წიაღს, როგორც კეთილის წყაროს.

ცნობადის ხე ღვთაებრივ რუას\* ეზიარა. (მოგეხსენებათ, ღვთაებრივი ცოდნის შექმნა, როგორც ადამიანის ტრაგედია, საკაცობრიო მწერლობის დიდი თემა).

ქრისტე კი ღმრთის სიტყვაა (იოანე მტბევარი: „ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო!...“).

თუ ცნობადის ხე ღვთაებრივი გონის გამოხატულებაა, ხოლო ქრისტე ღმრთის სიტყვაა, მაშასადამე, მოულოდნელი არ ყოფილა ჰიმნოგრაფოსის მიერ მათი გაიგივება, ცნობადის ხე და ქრისტე უფლის ორი ამქვეყნიური ჰიპოსტასია. მათი შეპირისპირებით მკაფიო შინაარსს ვიღებთ: როცა ადამმა (ქრისტეს პირველსახემ) ცნობადის ხის (ქრისტეს სიმბოლოს) ნაყოფი ჭამა (გონი შეიძინა), ადამიანმა თვითშემეცნების პროცესი დაიწყო, შეიძინა კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, ისწავლა თავისთავში ბოროტის დათრგუნვა და კეთილისათვის ბრძოლა.

ეს ხატოვნად გამოისახა ქრისტეს მიწიერი შობით, გოლგოთაზე ასვლით და ჯვარცმით. ასე განვითარდა ადამის ალეში\*\* ჩამარხული აზრი.

მამისაგან შობილი პირველ უღედოდ (- ადამი)  
 დღეს იშვა შენგან, ქალწულო, სულისგან (- ქრისტე)...  
 (იოანე მტბევარი)

კაცება, პირველ ხისაგან დაცემული,  
 აწ აღდგა ძელისა მის აღმართებით...  
 ...  
 შეიწირე დღეს ჩვენ უღირსთა გალობა,  
 მონათა შენთა, რომელნი მაცხოვენენ ჩვენ  
 ჯვარსა ცმითა და დაფლუითა და აღდგომითა...  
 (იოანე მინნხი).

ამრიგად, ზნეობრივი თვალსაზრისით, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან სასულიერო პოეზიაში ორი ძირითადი კონცეფციის სრული უკუფუნა მოხდა.

პირველი: საერთოდ, არსებობა კეთილის ქმნაა.

მეორე: კერძოდ, პიროვნების არსებობა თავისთავში ბოროტების დათრგუნვა და კეთილის აღორძინებაა.

\* რუასი - გონი.  
 \*\* ალე - სახე.



## ავთანდილის სახე „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ ყველა სიბრძნე უმთავრესად ავთანდილის პირით არის გაცხადებული. ვარდა ამისა, ავთანდილის მოქმედება კიდევ უფრო ავსებს და ავითარებს იმას, რასაც იგი, როგორც პერსონაჟი, აშობს. ამდენად, ჩვენს წინაშეა უაღრესად ღრმა, მრავალპლანიანი პერსონაჟი, რომლის ყველა ქმედებას, ყველა საქციელს, ყველა სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რას, როგორ და რანაირად მიესწრაფის ავთანდილი.

როგორც კარგად არის ცნობილი, „ვეფხისტყაოსანი“ ძირითადად ორი ფენისაგან შედგება. ერთი ფენა პირობითად შეიძლება მოვიხსენიოთ ტარიელის თავგადასავლად და მეორე ფენა – ავთანდილის თავგადასავლად და როდესაც ეს ორი ფენა ერთმანეთს გადაეჯაჭვება, უკვე მთლიანობაში, მოქმედებაში, თვითონ სიუჟეტის მსვლელობაში ჩანს ის ორი ძირითადი აზრი და სიბრძნე, რომლის მატარებელიც „ვეფხისტყაოსანია“.

მაგრამ თუ ტარიელის დახატვისას ავტორს მაინც შედარებით ერთი მიმართულებით მიჰყავს მოქმედება და ერთპლანიანად ხატავს ამ პერსონაჟს, სრულიად სხვაა ავთანდილი. მისი მოქმედება ყოველთვის შეესაბამება იმ კონკრეტულ ვითარებას, იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელშიაც მას უხდება მოქმედება. ამ მხრივ ის უაღრესად საინტერესო პიროვნებაა არა მარტო ქართული ლიტერატურისა, არამედ საკაცობრიო ლიტერატურისა და განსაკუთრებით იმ ეპოქის მწერლობისა, რომელშიაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა, რადგან ასეთი მრავალმხრივობა ხასიათისა, ასეთი მრავალმხრივობა მოქმედებისა იმდროინდელ ლიტერატურაში, თუ არ ეცდები, არცკი შეიძლება შეგვხვდეს სადმე, რადგან მაშინ მაინც ავტორები მიმართავდნენ მოქმედების ერთპლანიანობას, ერთი მიმართულებით მიმდინარეობდა სიუჟეტის განვითარება და მოქმედების ლოგიკაც ერთი იყო პერსონაჟისათვის. იმას, რასაც ავთანდილთან შეხვედრით, შეხვედრით მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს ან შემდეგ, მე-19 საუკუნის ლიტერატურაში, ანდა უკვე ჩვენს დროში, როდესაც აღამიანი წარმოდგენილია მისი მრავალმხრივი შინაგანი სამყაროთი და მრავალმხრივი ქმედებით. ამიტომ ეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ავთანდილის ანალიზისას, მით უფრო, რომ მას დღევანდელი მთავრობისათვისაც აქვს მნიშვნელობა. იგი დღევანდელი გაკეთილიც გახლავთ.



ავთანდილი საესეა როგორც სულიერებით, ისე ნივთიერებით, სულიერების განსახიერებაა, მაგრამ მისი მონა არ არის. თუ სულიერება იგი მაშინვე იყენებს ნივთიერებას, მაგრამ არც მას მორჩილებს. სიყვარულის, მეგობრობის, შეწყალების ქადაგი და პრაქტიკულად განმხორციელებელიც ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, ძალადობის ან მკვლელობის აუცილებლობა თუ დაინახა. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიბრძნე ძირითადად ავთანდილის პირით არის გაცხადებული, მაგრამ ამ ბუნება-ზეარსმა (რუსთაველის სიტყვაა) კაცმა მაშინვე სტაცა ასმათს თმებში ხელი, როგორც კი ხეყწნამ და ტკბილმა სიტყვამ არ გასჭრა. არც მაშინ უფოყმანია ავთანდილს, როცა ფატმანის საყვარელი ჭამაგერი მოჰკლა, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო. ავთანდილი იმიტომაც იმარჯვებს, რომ მას არ დაურღვევია წონასწორობა სულიერებასა და ნივთიერებას შორის, სულსა და ხორცს შორის.

ავთანდილი რომ არ იყოს, არაფერი განვითარდება და პოემის სიუჟეტი ერთ ადგილზე გაჩერდება, რადგან ყველა დანარჩენი პერსონაჟი თავისი პირადი გრძნობებით და პირადი ვნებებით იძენად ღრმად არის შეპყრობილი, რომ უჭირს საღი განსჯა. ვთქვათ, თუნდაც ტარიელი, რომელიც იმ უბედურებაამდე (ნესტანის დაკარგვამდე) სრულიად საღად ფიქრობს, მსჯელობს, აზროვნებს და მოქმედებს, ნესტანის დაკარგვის შემდეგ კარგავს წონასწორობას, არსებითად ბრმა გრძნობით არის შეპყრობილი და სწორი განსჯა უჭირს.

ავთანდილი არცერთ ასეთ ვითარებაში არ იბნევა: ყოველთვის პოულობს იმ სვლას, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ბოროტების სამყარო, ქაჯეთის სახით წარმოდგენილი, შეიძლება დაინგრეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დაუპირისპირდება ავთანდილის სიბრძნე და გონიერება. მხოლოდ ავთანდილს შეუძლია ამ უზარმაზარი ბოროტების სამყაროს დანგრევა და ნესტანის გათავისუფლება. „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეაც – „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“, გაპირობებულია მხოლოდ ავთანდილის გონიერებით. ამ სამყაროს მხოლოდ მაშინ მიაღწევს ადამიანი, როდესაც იგი აღჭურვილია იმ სიბრძნითა და გონიერებით, ამავე დროს, იმ პრაქტიციზმითაც, ავთანდილს რომ ახასიათებს. ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ღრმა მოაზროვნე, ღრმა ფილოსოფოსი, რომელიც ჭკრეტით ფლობს სამყაროს. არა, მან იცის, ეს ფილოსოფია როგორ უნდა გამოიყენოს კონკრეტულ სინამდვილეში, პრაქტიკულად როგორ მიაღწიოს იმის განხორციელებას, რაც მას თეორიულად წარმოუდგენია. ამიტომ მასში განხორციელებულია პრაქტიკოსის და ბრძენის ერთიანობა. აქედან გამომდინარეობს ის



ძალა, რომელიც მას აქვს და რომელიც მიმართულია ბოროტების წინააღმდეგ დასამკვიდრებლად კეთილისა.

თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამომერთმევა, ავთანდილის ცოცხალ პროტოტიპად დავით აღმაშენებელს მივიჩნევდი. ამ კაცმა უდიდესი პრაქტიკული საქმეც განახორციელა და სულიერებით სავსე ჰიმნიც დაწერა. დიდი საქართველოს აღმაშენებელ ხელმწიფეს შეუძლებელია უამრავი ისეთი საქმე არ გაეკეთებინა, რასაც ნივთიერების გამოვლენად, ხორცის სამსახურად მივიჩნევდით და ისიც დაუჯერებელია, რომ „გალობანი სინანულისანი“ დაეწერა ადამიანს, ვინც სულიერების მწვერვალებს არ იყო მიმწვდარი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა ავთანდილივით ზუსტად იცოდა, როდის უნდა ყოფილიყო სულიერების ტრფიალი და როდის – ნივთიერების.

მე მგონია, როცა სულიერებისა და ნივთიერების შერწყმა-შეერთებაზე ლაპარაკი, ეს ორი ჰიროვნება – ერთი რეალური და ისტორიული, მეორე კი შეთხზული – განსაკუთრებული დაკვირვების საგანი უნდა გახდეს. თუ კლასიკური ხელოვნების მთავარ ნიშან-თვისებას ქართულმა მწერლობამ რაიმე შემატა, ეს ავთანდილის სახეა. თუ ინდოეთი კაცობრიობის სულიერი განგია, ქართული განგიც სულიერებისა და ნივთიერების შერწყმის ის ჰარმონიაა, რომელსაც ავთანდილი ავლენს. მე არ შეგულება მეორე პერსონაჟი ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ავთანდილივით ჰარმონიულად ათავსებდეს ერთმანეთთან სულიერებასა და ნივთიერებას. ამით არის იგი ბუნება-ზეარსი.

ჩვენს ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ამგვარი ფართო მასშტაბის პერსონაჟი, ასე ღრმა შინაარსის მქონე პერსონაჟი, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ აღარ დახატულა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა ლიტერატურამ დახატა ისეთი პერსონაჟი, როგორიც არის ვაჟას მინდია. ქართულმა ლიტერატურამ დახატა სიბრძნის უმაღლესი განსახიერება მინდიას სახით, მაგრამ აბსტრაქტული სიბრძნის განსახიერება, რომელიც რეალურ სინამდვილეში ვერ პოვებს განხორციელებას და აქედან, ბუნებრივია, იბადება მისი სიკვდილის აუცილებლობა. და ვაჟას მინდიაც თვითმკვლევლობით ამთავრებს სიცოცხლეს. მიზეზი ამისა მკაფიოა: მინდიას სიბრძნე და სინამდვილე შეუთავსებელია, მაშინ, როდესაც ავთანდილის სიბრძნე და სინამდვილე შეიძლება შეთავსდეს და თავსდება კიდევ. ავთანდილის სიბრძნე პრაქტიკული სიბრძნეც არის. ამით აღემატება ის მინდიას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვითხარით, მინდიასათვის დამახასიათებელია ის კოსმოსური სიყვარული, რაც გაოცებს ადამიანს, როდესაც „გველისმჭამელს“ კითხულობ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არის ჭვრეტაში, აბსტრაქციაში და არა – რეალობაში.



ჩვენი ცხოვრებაც და ლიტერატურული საქმიანობაც რატომღაც ორი მიმართულებით წარმართა და ალბათ ამის მიზეზი ჩვენი რეალური სინამდვილეა, ჩვენი ისტორიაა. ავთანდილი ერთი მიმართულებით განვითარდა – როგორც პრაქტიციზმი კვაჭი კვაჭანტირაძის სახით და მეორე მიმართულებით – როგორც სიბრძნე მინდიას სახით. როგორც ერთი, ისე მეორე რეალობას სრულიად მოკლებულია, რადგან ერთი არის მხოხავი ემპირიზმის\* წარმომადგენელი – კვაჭი კვაჭანტირაძე, რომელსაც თავისი სამყაროს მეტი არაფერი აინტერესებს, რომელიც მხოლოდ უარსაყოფი, ბნელი პიროვნებაა თავისი შინაგანი სამყაროთი და მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიციზმის მონაა და მეორე – მართალია, უდიდესი სიბრძნითაა აღჭურვილი, მაგრამ აბსტრაქციონისტი და განუხორციელებელი სიბრძნის მატარებელია იმის გამო, რომ მას პრაგმატიზმთან კავშირი არ აქვს. ამ მხრივაც არის საყურადღებო ავთანდილი. და თუ ჩვენ მას, როგორც გარკვეულ მაგალითს, შევადარებთ სხვა პერსონაჟებს მთელი ქართული მწერლობის ისტორიიდან, დავინახავთ, რომ ის უნიკალური პიროვნებაა. ჩემი აზრით, სწორედ აქ ჩანს ყველაზე მეტად და ფართოდ რუსთაველის, როგორც ავტორის, სიბრძნე და სიდიადე.

რუსთაველმა იცის, რომ ცალკე პრაქტიციზმი მხოლოდ ემპირიულ მხოხავ ჭიებს ბადებს, ცალკე აბსტრაქციონიზმი ძალად ადამიანებს, მაგრამ უუნაროს პრაქტიკული ცხოვრებისათვის, ამდენად, უშედეგოს თავიანთ საქმიანობაში. ამათი შერწყმა საჭირო და ამ შერწყმაში უნდა განხორციელდეს სიბრძნეც, გონიერებაც, კეთილშობილებაც, ძალალი ზნეობაც. ამიტომ არის, ჩემი თვალსაზრისით, ავთანდილი განსაკუთრებული პერსონაჟი არა მარტო ქართული მწერლობისა, არამედ საკაცობრიო მწერლობისაც. იმისათვის, რომ ერთმანეთთან შეეკავშირებინა სიბრძნე და პრაქტიციზმი, სერვანტესს ორი კაცი დასჭირდა – დონ კიხოტი და სანჩო პანსა, რადგან ვერ წარმოედგინა ერთ კაცში გაერთიანებული ეს ორივე უნარი, რუსთაველმა წარმოიდგინა და ერთ კაცში განახორციელა ეს.

რაც მთავარია, როდესაც თქვენ „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობთ, არასოდეს გიჩნდებათ ავთანდილის მიმართ რაიმე ზინჯი, გულნატკენობა, მკითხველში არ რჩება ემოციური უკმაყოფილება. მკითხველი იმთავითვე, პირველი სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე ავთანდილის ემოციური თავგანისმცემელია, ავთანდილის მიმართ ემოციური ინტერესი, ემოციური სიყვარული არ ქრება. აი, ეს არის, ჩემი აზრით, რუსთაველის კიდევ ერთი დიდი ძალა. ძალიან ძნელია, მსოფლიო ლიტერატურაში დაასახელო მხატვრული ნაწარმოები, სადაც ადამიანი ადამიანს კლავდეს

\* მხოხავი ემპირიზმი – აქ სულიერ ღირებულებებს მოკლებული ეგოისტური ქმედება.



და მკვლელის მიმართ გულში რაიმე ხინჯი არ გაუნდეს მკითხველს, ავთანდილი, როგორც პერსონაჟი, განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში და ამიტომ მას ღრმა ანალიზი და ღრმა შესწავლა სჭირდება.

გარდა ამისა, ავთანდილი არის ის ორიენტირი, რომელიც შეიძლება ყველა გასაჭირში და ყველა რთულ ისტორიულ ვითარებაში გარკვეულ მაგალითად, გარკვეულ გეზის მიმცემად გამოადგეს ჩვენს საზოგადოებას. მე მხედველობაში მაქვს დღევანდელი ვითარებაც, როდესაც საქართველოში მძიმე, სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს ეროვნული თავისუფლებისათვის. ჩვენთვის ავთანდილს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, აი, ამ ვითარებაში, რადგან ის ძალიან მკაფიოდ და ნათლად გვასწავლის, როგორ და რანაირად შეიძლება იყოს გამოყენებული მისი სიბრძნეც და პრაქტიციზმიც, ანუ უნარი, ყველა კონკრეტულ ვითარებაში იპოვოს გამოსავალი და იპოვოს გზა ხსნისა.

თუ ჩვენ ვაკვებთ ავთანდილის გზას, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იდეალს, რომელიც რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ დასახა, მივალწვეთ, ესე იგი, შევქმნით სამყაროს, სადაც ადამიანთა საზოგადოებას შეეძლება, წყნარად, შშვიდად იცხოვროს; ერთი სიტყვით, ისე, როგორც ბიბლიაშიცაა ნათქვამი და, კერძოდ „ვეფხისტყაოსანშიც“, რომ თხამ და შეელმა ერთად მოძოვოს.

ქართველ ხალხს მისი გრძელი ისტორიის მანძილზე სამი დიდი წიგნი ჰქონდა სიბრძნის სასწავლად და გზამკვლევად. ეს წიგნები გახლავთ – „ბიბლია“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“. ამ სამ წიგნს ეყრდნობა ქართული კულტურა, ქართველი ხალხის ისტორიული ყოფა და ცხოვრება. მომავალშიც ამ სამ წიგნს უნდა დაეყრდნოს ჩვენი ხალხის არსებობა. თუ ჩვენ ყველაფერ ამას მკაფიოდ და კარგად განვჭვრეტთ, გავითვალისწინებთ, ჩავწვდებით და გავიგებთ, რაშია და როგორ არის საქმე, მაშინ მკაფიოდ დაეინახავთ, რა ძალის პატრონები ვართ სულიერად და ბუნებრივია, რომ ამ ძალის გათვალისწინებით ყველა იდეალის განხორციელება შეგვიძლია და ამ იდეალის დროშაზე, ჩემი აზრით, ისეთი პიროვნება უნდა ეხატოს, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილია.



## მეცხრამეტი საუკუნე

იღია ჭავჭავაძემ მიხეილ ლერმონტოვის „მწირი“ თარგმნა. თარგმნისას მოულოდნელი რამ ჩაიდინა: ფინალი შეცვალა. რუსული „მწირი“ ასე მთავრდება:

„И божья благодать сошла  
На Грузию! Она цвела  
С тех пор в тени своих садов,  
не опасаяся врагов,  
За гранью дружеских штыков“.

ქართულის უკანასკნელი სტრიქონები კი ასეთია:

„მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა  
მიუცა ტანჯულს ივერიის ერს,  
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა –  
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“.

ეს არ იყო „პოეტური თავხედობა“. ეს იყო ქართული სამეფო კარის შრავალსაუკუნოვანი პოლიტიკის უარყოფაც, რუსეთის იმედის გაცრუების აღიარებაც და XIX საუკუნეში შექმნილი ვითარების შეფასებაც.

ეს უარყოფა იმ ნიპილიზმის უარყოფასაც ნიშნავდა, რომელიც ქართული ეროვნული ენერჯის მიმართ არსებობდა. თავად ის, რომ საუკუნეების მანძილზე ქართული სამეფო კარი თავშესაფარსა და მფარველობას ეძებდა, უკვე მოწმობდა ძვალსა და რბილიში გამჯდარ ნიპილიზმს. ეს ნიპილიზმი შემთხვევით არ დაბოლოებულა გიორგი მეთორმეტისა (თუ მეცამეტის) სასოწარკვეთილი სიტყვებით. როცა საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების საკითხი იხილებოდა, დავით ჩერქეზიშვილს უკითხავს მეფისათვის – „ბატონო მეფევ და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ აღუბთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა?“ – გიორგის უპასუხებია – „დახშვა

\* „და ღვთის წყალობა მოველინა საქართველოს; მას შემდეგ მშვიდად ჰყვოდა იგი საკუთარი ბაღების ჩრდილქვეშ, მტრების უშიშრად, მგობრული ხიშტებით დაცული.“ (პწკარედული თარგმ. – რედ.).



კარისა ამის იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა; ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქნება თვით მცველად რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იქნეს საჭიროდ“ (3. იოსელიანი - „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“).

ქართველი ხალხი კი არ დაკეტავს დარიალის კარს, როცა ეს აუცილებელი გახდება, არამედ - უზენაესი. ამას ღვთის ანაბარად დარჩენა ჰქვია, რაც არა მარტო პიროვნების უძღურებას გამოხატავს, არამედ მთელი ერისას. არადა, სულხან-საბა ორბელიანს სხვა ანდერძი ჰქონდა დატოვებული. ის, წყაღწალებულ კაცს რომ ჩამოსძახა ღმერთმა, - ხელი გაანძრიე და ვიშველიო.

როცა 1832 წელს ხელის განძრევა დააპირეს და სოლომონ დოდაშვილმა მგზნებარედ მოუწოდა ქართველებს - „...აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძობთა შეიწროებასა ყოველისა კაცისასა? რამისთვის არის ესე ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?! მაშა რამისთვის ვცოცხალვართ?!“ - ნიპილიზმის ქარმა ისევ დაბერა, რაც იონა ხალაშვილის გულისწყრომით გამოიხატა ნამოწაფარის მიმართ. ხელმწიფე-იმპერატორის ურჩობა როგორ გაბედაო, - ჩივის იონა. „ჰესტირ კაცსა მას სოლომონ დოდაშვილს, რომელსა განუზრახავს ბოროტნი დიდნი“... ქართველობას კი აფრთხილებდა: „მცირე ერი ხარ და არ ძალგიძს თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა“.

როცა ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა - „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, - და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!“ - გიორგი მუხრან-ბატონი სტამბავდა წიგნს - „ეროვნულ ინდივიდუალობათა არსისა და დიდ სახალხო ერთეულთა საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“, სადაც ქადაგებდა, რომ მცირერიცხოვანი ერების ენებს საგანმანათლებლო მნიშვნელობა არა აქვთ, მათ მარადიული ჩამორჩენილობა ელით, თუ არ დაივიწყებენ მშობლიურ ენას და არ ამტყვევდებიანო მრავალრიცხოვანი ხალხების ენებზე.

როცა ვაჟა-ფშაველა გვარწმუნებდა - „ვიღრსებაო ლუხუშსა ლაშარის გორზე შადგომა!“, - ივანე ჯაბადარი აქვეყნებდა „წერილებს საქართველოზე“, რომელშიც ქართულ კულტურას განიხილავდა, როგორც სპარსული კულტურის ჩრდილსა და ანარეკლს. არაფერი ორიგინალური და თავისთავადი ქართველ ხალხს არ შეუქმნიაო, - აკეთებდა დასკვნას ივ. ჯაბადარი.





მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადი ებრძოდა ერთმანეთს – იმედი და ნიჰილიზმი. ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტები არ ყოფილან ქართველი ხალხის მტრები. მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერჯია. ამიტომ სხვის იმედად ყოფნა ერჩიათ. ურწმუნოება კი გამოწვეული იყო ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრით. ეს მკაფიოდ განმარტა გენერალმა ივანე აფხაზმა გრიგოლ ორბელიანთან საუბარში.

„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არის მკვდარი მამულისათვის. მსცხოვნებენ უსავნოდ, დაეხეტებიან უგზოდ... ყოველი ფიქრობს საკუთარი თავისასა სარგებლობისათვის, რომელისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, ანგარება არის მათვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება. გარნა ნუ გვონია რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა. არა! ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“ (ხაზი ჩემია – ა. ბ.).

მორჩილებას თავი შეიძლება დაადწიო მხოლოდ თავისუფლების მოპოვებით. ამიტომ იკითხა, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირით, გაგულისებულმა მე-19 საუკუნემ: „მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება – სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთურგენიდე თავისუფლებას?“ კითხვა დაგვიანებული იყო. იგი, თუ უფრო ადრე არა, მე-18 საუკუნეში მაინც უნდა დასმულიყო. მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა: ისტორიის შემობრუნება შეუძლებელია. მე-19 საუკუნეს ისლა დარჩენოდა, წარსულის შეცდომა მომავლისათვის გამოესწორებინა. განაცხადა კიდევ:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებით მე-19 საუკუნე სახავედა იმ გზას, საითაც უნდა ევლო ქართველ ხალხს. მაგრამ ამ გზაზე მე-19 საუკუნეს ყოველთვის არ უვლია პირდაპირ, მტკიცედ, ურყევად. ხშირი იყო მერყეობაც, ორჭოფობაც და გაუბედაობაც. ამას არა მარტო ნიჰილისტთა საქმიანობა მოწმობს, არამედ სხვებისაც. ჩემი ნათქვამი რომ ლიტონ განცხადებად არ დარჩეს, ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთ ისეთ მოტივს, რომელიც ცხადად გამოხატავს მე-19 საუკუნის საერთო სულიერ განწყობილებას.



დავიწყებ იმით, რომ ვაგახსენებთ შზიას სიზმარს ვაჟას „ველმოქმედების  
სამსახურში“.

„მოასქდა ღვარი ზენაით,  
ლიბო მოჰგლოჯა ციხესა  
და შურია ისიცა  
დაბლა არაგვის რიფესა,  
სახლიც წაიღო ჭერხოთურ,  
ვაგვიფოლია ჩვენაცა...“

შზიას სიზმარი, როგორც ვიცით, მოასწავებს მინდიას დალუქვას. იგი ილუპება როგორც პიროვნება და როგორც იდეა.

სახლ-კარის დაქცევა სიმბოლურად ყოფიერების საფუძვლის მოშლას ნიშნავს. სახლ-კარი სამყაროა, ურომლისოდაც არ არსებობს ადამიანი, დიდი კოსმოსის პაწია ნაწილი. თუ ადამიანს იგი არ გააჩნია, ქონებრივად ბოგანო ხდება და სულიერად – ბეჩავი. ილუპება სახლ-კარი, ილუპება ადამიანიც. ილუპება ადამიანი, ილუპება სახლ-კარიც. ამის გამოა, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში სახლ-კარის პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: სამწუხაროდ, იგი ყოველთვის იქცევა, ან სოციალური, ან ეროვნული, ან სულიერი მოუწესრიგებლობის შედეგად.

დარღვეულია და მოშლილია ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი („კაცია-ადამიანი?!“). მოვლილი და ნაპატრონეგია ოთარაანთ ქვრივის კარმიდამო („ოთარაანთ ქვრივი“), ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეა, მაგრამ ესეც დაიქცევა, რაკი გიორგიც დაიღუპა და ოთარაანთ ქვრივიც შვილის საფლავს დააკვდა. საბოლოოდ მშრომელისა და უქნარას, გამრჯესი და ზარმაცის ბედ-იღბლის რეზულტატი ერთნაირია.

ღარიბი გლეხის ბიჭმა ბახვა ფულავამ (გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“) რის ვაი-ვაგლანით ქონება შეიძინა, სახლ-კარი მოაწყო, ესმაც შეირთო. თითქოს მის ბედნიერებას არაფერი ემუქრება, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დაემხო. გამოჩნდა იერემია წარბა, რომლის დაუოკებელმა ვნებამ ესმა შეიწირა, ბახვა ფულავას ოჯახი, სახლ-კარი განადგურდა, მოისპო თავადაც, როგორც პიროვნება.

სოციალურმა ძვრებმა მოუღო ბოლო თავად რევაზ ბაკურაძის სახლ-კარს. ყოფილი ყმის, გავაჭრებული პეტრიელა გაწერელის ხელში ჩააგდო, მაგრამ ვერც მან იხეირა. მოურავმა შიუკამ ხანჯლით აჩეხა პეტრ ივანიჩად გამხდარი პეტრიელა (გიორგი წერეთელი – „გულქანი“). პეტრიელა გაწერელის ცოლ-შვილი არ ჰყავდა, მთელი მისი ავლადიდება განაევდა.



ვენატე ნინოშვილთანაც პიროვნების დაღუპვა და სახლ-კარის დაქცევა გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. ეგ ზეკუციამ დაარბია გოგია უიშვილის ოჯახი. ამას გოგიას თვითმკვლელობა მოჰყვა, მარინეს გაგიჟება და სახლ-კარის დაქცევა („გოგია უიშვილი“). ძალადობამ, დამცირებამ, ცოლის გაბანებამ ააღებინა თოფი ზელში სიმონა ძალაძეს. ყაჩაღად გაეარდნილა სიმონამ საკუთარი ოჯახიც დააქცია და დავით დროიძისაც, ვისაც, შურისძიების მიზნით, შვილები ამოუწყვეტა („სიმონა“). უსიყვარულო ცოლ-ქმრობამ არივ-დარია ჯეირან ტვერიძის ოჯახი ვერ იქნა და ვერა: ვერ შეეთვისნენ ერთმანეთს ჯეირანი და მელანია. მერე თავგზადაკარგულმა ქმარმა ცოლი მოჰკლა, რასაც კაცის გაცემბირება მოჰყვა. ერთ დროს თითით საჩვენებელი სახლ-კარი და ოჯახი პარტახად იქცა („პარტახი“).

ელგუჯას სახლ-კარს კაზაკ-რუსების რაზმი დაესხა. მათივე მოჰკლეს, მზადღოც დაატყვევეს და მერე თავად ელგუჯაც მომხდურებთან ბრძოლას ემსხვერპლა (ალექსანდრე ყაზბეგი – „ელგუჯა“). მოხვევის ოჯახის ლიბო მოიშალა. უხეობამ და უნამუსობამ შეიწირა ელბერდის ოჯახიც. რუსმა ოფიცერმა ელბერდის ცოლის ენდის გაუპატიურება მოისურვილა. ქმარმა ცოლის ღირსება დაიცვა. ეს არ აპატიეს და საჯაროდ ჩამოახრჩვეს. ენდისა და ელბერდის პატარა ბიჭი სულთი კაზაკებმა გაჭყლიტეს ჩხუბის დროს („ელბერდი“).

დავით კლდიაშვილის მოთხრობებში ხომ უმთავრესად და ძირითადად საძირკველმორღვეული სახლ-კარი და ოჯახებია აღწერილი. გასახსენებლად არისტო ქვაშავაძის მამიძის ელენეს სახლ-კარიც კმარა („სამანიშვილის დედინაცვალი“).

საილუსტრაციო მასალის მოხმობას აღარ გავაგრძელებ, ვისაც მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა უკითხავს, ამგვარ სურათებს თავადაც ბევრს აღიღვენს მუხსიერებაში.

განა შეიძლება ამ სურათების დავიწყება?

„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი...“

იატაკი აგურისა არის. ეს არის მხელი, რომ აგურები შიგა-და-შიგ ამოცვივნილან; ამათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩაგივარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი... ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადაურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდილო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოზედ მინის მაგიურად მეტად გამჭრიას გონებას გაქონილი ქალაღი გაუკრავს... იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირისპირ... ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ



მოსჩანდა, კბილებჩამოცვივრულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსაფეთქველად ერთი ამოჭვარტლული გარუდამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე-დაძინებული დაღრუჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი საილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, საილენძის საჩაიეში მოხარშული მყარლა-ბაღახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“ (ილია ჭავჭავაძე - „კაცია-ადამიანი!“).

„ჩემი მასპინძლის სახლს პატარა აივანი ჰქონდა, მაგრამ რიკული კი ერთიც აღარ ება. სულ ჩაცვენოდა ადამის წლის მოხუცებულივით. ხარისხაც ასეთ რიგად ირწეოდა, რომ იმის ჩაქცევას ერთი ხელის კვრის მეტი არა უნდოდა რა... სასტუმრო ოთახი ფიცრის იატაკით იყო მოვებული. ფიცარსა და ფიცარს შუა იატაკს ასეთი ფარღალაღები ჰქონდა დატანებული, რომ დიდი გაფრთხილება მართებდა კაცს, ფეხი არ ჩავარდნოდა... ჩვენს ოთახს ცალ გვერდზე ჩანგრეული ბუხარი ეშენა. იმის წინ სამუხეხა სკამი იდგა.. სულ დანით იყო დაჩეხილი... ამის გარდა კიდევ იყო ორი სხვა ოთახი უჭერო და უიატაკო... ათი ქცევა ეხო სულ მოტლეკილი იყო. აქა-იქ გამხმარი ბაღახის ღეროები ობლად ამოჩრილიყვნენ მიწიდან. უწვიმობისგან მიწა დამსკდარიყო...“ (გიორგი წერეთელი - „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“).

„ტყით დაჩრდილული ფერდოს ძირში, რომელსაც პატარა ჩქრიალა მდინარე ჩაუვლის ახლო, დგას ფიცრული სახლი, რომლის სახურავი თითქმის სულ ჩანგრეულა, უსახურავოდ დარჩენილი კედლები სტიქიონთ ძალით გაშავებულა, აქა-იქ ღოჯებში ცოტათი დამპალა კიდევ, ხავსი მოჰკიდია, სუროთი მოზურღულა. დანარჩენი შენობები ზოგი, ეტყობა, წაულიათ და ზოგი კი, მაგალითად, ფაცხა, სამროხე და მისთანა წვრილმანები დამპალა და დაღეწილა. ჭიშკრიდან და ეზოს ღობიდან მხოლოდ აქეი-იქით გადახნექილ-გადმოხნექილ ურთხლის ბოძები და სარები დარჩენილა. ეხო ტვერად გადაქეუულა, ბარდ ეკალს მოუცავს, ნორჩი ხეხილები - ღლევი, ატამი, ბია და სხვა, საქონელს დაუმტკრევეს და გაუფუჭებია. სულ მთლად აქაურობა სამარისებურ მყუდროებას მოუცავს“ (ეგნატე ნინოშვილი - „პარტახი“).

დიდ შეცდომას დაკუშვებდით, თუ ამ სურათებს მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური გასაჭირის ილუსტრაციად ჩავთვლიდით. მარტო სოციოლოგიური კუთხით განვიხილავდით. დაქცეული სახლ-კარი დაპატიმრებული თავისუფლების სიმბოლოც არის. თუ ქონებრივი სიდუხჭირე, ერთი მხრივ, ნიპილისტთა წისქვილზე ასხამდა წყალს, მეორე მხრივ, ოპტიმისტთა ოცნებას ფრთებს აკვეცავდა. ბოჭავდა და ზღუდავდა მათ. სიღატაკის სურათები იმ კაეშანსა და სევდას გვიჩვენებენ, რომლითაც შეპყრობილია არა მარტო პროტაგონისტები ამ



მოთხრობებისა და რომანებისა, არამედ მათი ავტორებიც, ამდენად, მთელი მე-19 საუკუნის მოაზროვნე საქართველოც. ამას ადასტურებს ის წერილიც, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა გაუგზავნა ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, 1843 წლის 21 აგვისტოს.

„ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ ვძინავს! მე არ მძინავს. მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოპ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზს!“

წერილის თარიღს მნიშვნელობა არა აქვს. ეს მთელი მე-19 საუკუნის საქართველოს ოცნებაა. საქართველოსაც სჭირდებოდა კაცი, რომელიც გაიყვანდა მას ეროვნული მონობის ღრე-კლდიდან.

გათავისუფლების პრობლემა სხვადასხვა კუთხით ისმოდა: პიროვნული, ეროვნული და ორივე ერთად. რაკი მკვიდრდებოდა საქართველოში ახალი, უცნობი ზნე-ჩვეულება, ცხოვრებისა და აზროვნების წესი, ქართველს არა მარტო ქონებრივი რღვევა ემუქრებოდა, არამედ ცნობიერების დაშლაც.

თუ აღექვსანდრე ორბელიანი გაუბედავად მაინც ფიქრობდა, – „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ“, – დიმიტრი ყიფიანი გულახდილად აღიარებდა, – „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ, და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მომძეთა ენით“.

ასე დაკავშირდა ერთმანეთთან ქონებრივი და სულიერი ვითარება: რუსი ვარ, რაკი რუსის ხელფასით ვიკვებები, ქართველი ვარ, რაკი ქართულად ვმეტყველებ. ჩამოყალიბდა ახალი ტიპი, რომლის არსი რუსთა პატივში მყოფმა ვლახა ჭილაშვილმა (მეორე სახელითაც არის ცნობილი – გაბრიელ ჭილაძე) ასე გამოხატა: „რუსიცა ვარ და ქართველიც“. გაჩნდა ორბუნიებიანი ქართველი, რომლის არსებობა დღესაც გრძელდება.

„ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს:  
 სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია;  
 ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს, –  
 ვინც ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!  
 არ მოსწონს სალაშური, არც თარი, არც ჩონგური,  
 ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-შანცია;



ვერ დაუძრახავთ: ოპერისთვის მიუჩვევია ყური!  
უპ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!..  
თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,  
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;  
უსწავლვლებთან, თურმე, მოსდის ზაფრის ქარები;  
რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!..  
გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტყევა ყელში,  
მთელს „ნაციას“ ის მოსწონს, მას სძულს მთელი „ნაცია“!  
აი, სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში,  
ქართველების შეხვედრით ყოვლად კარგი კაცია!..  
(აკაკი წერეთელი)

მიმდინარეობს დიდი სულიერი, შინაგანი კონფლიქტი. დრო აჩვენებს, რა დასძლევს – ქართული თუ რუსული ბუნება. დიმიტრი ყიფიანი ღონიერი კაცი იყო და, როცა ვითარებამ მოითხოვა, მასში ქართულმა ბუნებამ გაიმარჯვა. მართალია, ამ გამარჯვებას ხორციელად შეეწირა, მაგრამ სული მისი გადარჩა. ყველას არა აქვს დ. ყიფიანის ძალა, ამიტომ ბარე ორი საუკუნე მიმდინარეობს სულის რღვევა.

ენა სულის ნაწილია, თუ სული ირღვევა, ირყენება ენაც და პირიქით – თუ ირყენება ენა, ირღვევა სულიც. ეს გრიგოლ ორბელიანმა აფორიზმით გამოთქვა:

„ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით;  
რა ენა წახდეს, ურაც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..“

ხოლო გიორგი ერისთავმა მთელი სურათი დახატა. მისი პერსონაჟები ამღვრეული ენით შეტყვევებენ: ქართულ-რუსულ-სომხურად.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ ლავრენტი არღაზიანმა, გიორგი ერისთავმა, გიორგი წერეთელმა დაგვიხატეს ახალი, ვაჭართა კლასის გამოჩენის სურათი ქართულ სინამდვილეში. მაგრამ არაფერს ვამბობთ უმთავრესზე: როგორ შემოვიდა ქართულ მწერლობაში ცნობიერების მთლიანობას მოკლებული ადამიანები. განსაკუთრებით სრულად ეს გ. ერისთავის პიესებში გამოჩნდა.

ცნობიერების მთლიანობას მოკლებული ადამიანები სრულიად თავისებური მოვლენაა. ისინი არსებობენ მხოლოდ კოლონიურ ლიტერატურაში და იბადებიან ორი კულტურის შეჯახების დროს. მით უმეტეს, თუ ერთი კულტურა მეორეს ჩაგრავეს პოლიტიკურად, სამხედრო და სახელმწიფო ძლიერების მხრივ.

ცნობიერების მთლიანობას მოკლებულ ადამიანების სამყაროში არ არსებობს ამაღლებული. მათი სულიერი მიდრეკილებანი შეზღუდულია



და არ სცილდება ქონებრივ ინტერესს. მათ სამყაროში იღვწებიან ისინი, ვისი სულიც იღვიძებს. მათი მიდრეკილება მიბძვება უფლებრივად, ან წოდებრივად, ან ქონებრივად უპირატესისა. ამდენად, უცხოა მათთვის თავისუფლების წყურვილი. სულერთია, გულით ამბობენ თუ ორპირობენ, ისინი ელაჭუცებიან ძლიერს, მბრძანებელს. ავლენენ ლაქიურ ერთგულებას. ივიწყებენ ეროვნულობას.

„ეხლა მე ვიცი, თქვენ ამ უბედურის-შვილს დააჭერინებთ, ციხეშიაც ჩასომთ, მაგრამ იმას კი გეხვეწებით – ბევრს ნუ აცემინებთ: აზიზადა მყავს გაზრდილი, მაგას – ერთი ორმოც-სამოცამდე რუსის წიკპლა ჭირადაც და ლხინადაც თავსაყრელად ეყოფა. რა ვქნა? ჩემი გაზრდილია, მაინც შებრალება. გთხოვთ უმორჩილესად, მაგაზედ მეტს კი ნუ დააკრეუნიებთ. რაც უნდა იყოს, მე ეგენი, ეგ გველის წიწილები, მაინც ჩემად მეგულებიან, შეილებსავით დაგვიზრდია, დიდი სიბრალოული მაქვს. ვერე, გეთაყვანე, ბევრს ნუ აცემინებთ. თუ სამოცი გეცოტავოთ, ერთი ოციოდე კიდევ მიუმატეთ, არა უშავს-რა. მაგაზედ მეტს კი... აი, მუხლმოდრეკითა გთხოვთ – ნუ გადააჭარბებთ. ეს კია, რომ რუსს უნდა დააკრეუინოთ როზგები, თორემ ქართველი ხომ მოგეხსენებათ, მაგისთანებშიაც ქალაჩუნა არის, ისე ვერ დაკრავს, როგორც ზაკონი და კანონია. ამასაც, თქვენმა შუემ, მაგისათვის ვამბობ, თორემ ცემა ცემად ჩათვლება და ეგ კი ისევ-ისე ვირად დარჩება“ (ილია ჭავჭავაძე – „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“).

„მე იმას, თუ ქალი ვარ, ქართველობას დავავიწყებ! რა ხალხია ქართველები? სულმდაბალი, ღარიბი, გაუნათლებელი, ერთი ნემსის საღირალზე გაგყიდის... რა ენაა ქართული ენა? პოვრების და ლაქიების ენაა, განათლებულ საზოგადოებაში ვინ გაიგონებს მას? მე ჩემი შვილი ისე უნდა გავზარდო, რომ ქართული არ გავაგონო. ის კი არა, თუ ღმერთმა მომასწრო მისი გაზრდა, გვარსაც კი გამოუცვლი, რუსულ გვარს დავარქმევ, იმიტომ რომ რუსული გვარი ჩემი აზრით კეთილშობილების ნიშანია. რაც მალე გარუსდება ჩვენი ხალხი, ისე უფრო მალე შევა ბედნიერებაში“ (გიორგი წერეთელი – „გულქანი“).

ჩამოყალიბებულია საზოგადოება, რომელმაც სახე დაკარგა. გაითქეფა და აირია. უარყო საკუთარი მე. დრო მიდიოდა, მაგრამ ვითარება არ იცვლებოდა. მდგომარეობა იგივე რჩებოდა. როცა დრო მდინარებს, მაგრამ ვითარება-მდგომარეობა უცვლელი რჩება, ხალხს ეუფლება სასოწარკვეთილება. ყოველი ადამიანი დროის სვლასთან აკავშირებს ვითარება-მდგომარეობის ცვალებადობასაც. ეს ბუნებრივი სურვილია. ბუნებრივი კანონიც არის. ხალხი თუ პიროვნება, რომელიც ამ კანონზომიერებიდან ამოვარდება, განწირულია.

უნდა გადალახულიყო სასოწარკვეთილებისა და განწირულების



განცდა. სასოწარკვეთილებასა და განწირულებას მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ოთხი მხრიდან შეუტია: ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული და პიროვნული თავისუფლების ამბოხით, რაფიელ ერისთავის სოფლის ყოფის მშვენიერებით, ილია ჭავჭავაძის ეროვნული და სოციალური პროგრამით და აკაკი წერეთლის შემოქმედებითი არსებობის სიხარულით. ამ ოთხ დარტყმას უნდა დაეგონა რუტინა და ქართველი ერისათვის ისტორიის ასპარეზი გაეკაფა.

ნ. ბარათაშვილის რთულ და ნაირფეროვან პოეზიაში ბობოქარი, მოუსვენარი, აჯანყებული სული ტრიალებს. მართალია, მარტოობის მძაფრი განცდა მას არასოდეს ტოვებდა, მაგრამ ამ სოფელზე უარის თქმა მას ადამიანის დამცირებად და უღონობად მიაჩნდა. აქარსებობას მომღერალ, ცრუსა და მუხთალ სოფელს ეძახდა, მაგრამ მის ხიბლსაც უტყუარად ხედავდა. მას არც საყვარელი ქალის საყურის თამაში დარჩენია შეუმჩნეველი და არც ყაბახით აღზნებული კეკლუცის ფეფები. არც მიბნედილი თვალების მიმართ დარჩენილა გულგრილი და არც ნიავის მიერ მიშლილ-მოშლილი დალალებისა. მის ყურს ფორტეპიანოზე მომღერალი მზეთუნახავიც ატკობდა და ჩვილი ყრმის ტიკტიკიც. მას ფრიალო კლდეზე გადაშდგარი ჩინარიც ხიბლავდა და მცინარი და ცრემლიანი მთაწმინდაც. მაგრამ გულში მაინც განუკურნებელ სევდას ატარებდა. სევდას, გამოწვეულს მამულისა და პიროვნების ბედით.

„ძნელი არის მარტოობა სულისა:  
 მას ელტვიან ხიაშენი სოფლისა,  
 მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
 ოხვრა არის შვება უბედურისა!“

თუმცა გულდახურულობისა და სოფლისმომღერაობის გამო არ გამხდარა იქარსებობის მონატრული. პირიქით, სხვა რამ ეოცნებებოდა – „მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი, რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყუთა ფრინველნი და ვარდი...“ უნდოდა მარადიულ კოსმოსურ კანონზომიერებას შერწყმოდა: „სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო“. იმასაც ნათლად ხედავდა, რომ მარადიული კოსმოსური კანონზომიერებისაკენ მიმავალი ვზა იმ მუხთალ და ცრუ წუთისოფელზე გადიოდა, რომელსაც ყოველი კაცი უჩივის, მაგრამ არავის ეთმობა.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვეჭიან – შვილნი სოფლისა,  
 უნდა კიდევა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.“





არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!”

„მერანის“ ავტორი თავის ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო და მამულის ბედი – მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი. მართალია, საქართველოს ბედი „დიდი ხანია გარდუწვევებია გულს ირაკლისა“, მაგრამ ნ. ბარათაშვილი ვერ გახდებოდა მისი თანახმა. ის, რასაც „ბედი ქართლისაში“ სოფიო ამბობს, პოეტის გულის ამოძახილია.

„უწინამც დღე კი დამელევა მე!  
უცხოობაში რაა სიამე.  
სადაცა ვერ ვის იკარებს სული  
და არს უთვისო, დაობლებული?  
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული!  
და ველად იგი, ამხანავთ შორის,  
ჭირსა, ვით ღზინსა, ერთგვარ დამღერის!  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?“

ამას ის გულახდილი, დაუფარავი აღტაცება-შეძახილი ადასტურებს, რაც ნ. ბარათაშვილს არ შეუნიღბავს არატენდენციურობის ბურუსით: „პოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკილ-სახსოვარნო!“

როგორც პიროვნების, ისე ერის მონობა სამყაროს მთლიანობასა და პარმონიას არღვევდა. იმ უხილავ, მისტიკურ კავშირს წყვეტდა, რომლითაც ყველაფერი ერთმანეთს ებმის და ერთიანი ხდება. რა კავშირსაც ნ. ბარათაშვილი მთელი არსებით გრძნობდა და სულის თვალებით ხედავდა. „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის, და უცხოელეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“ ამას საუკუნის დასასრულს მეორე ჯადოქარიც დაინახავს და წინაპარს „გველისმჭამელის“ დაწერით შეესიტყვება. საუკუნის სული გამოვლიანდება. ნ. ბარათაშვილსაც ის ენა ესმის და ის კავშირი აქვს კოსმოსთან, რა ენაც ესმის და რა კავშირიც აქვს ვაჟა-ფშაველას. ქართული მე-19 საუკუნე 1783 წელს იწყება და 1907 წელს მთავრდება, მაგრამ იგი ერთიანია, რამეთუ მისი გამჭოლი ხაზი ნ. ბარათაშვილის მერანის ლტოლვაა თავისუფლებისაკენ. მე-20 ასწლეულში მას მესამე ჯადოქარი გამოეხმაურება „ღურჯა ცხენებით“. ნ. ბარათაშვილსა და ვაჟა-ფშაველას დარად მანაც იცოდა, რომ „სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!“



გამოუცნობი ქიშკრების წვდომა თავისუფალ სულს შეუძლია. მას ერიც უნდა მიწვდეს და პიროვნებაც. არ არსებობს თავისუფალი პირი თავისუფალი პიროვნების თვინიერ და პირიქით: არ არსებობს თავისუფალი პიროვნება თავისუფალი ერის თვინიერ. თავისუფალი კაცობრიობა თავისუფალი ერებისა და პიროვნებებისაგან წალიბდება.

„სად დამიღამდეს, იქ გამითინდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო; მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, გამცნო გულისა შე საიდუმლო!“

რა არის ეს გულის საიდუმლო?

„რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ქართული მე-19 საუკუნე ამ მზიანი დილის მოლოდინი იყო. ამბოხებულ სულის გვერდით, საქართველოში ის კაციც ცხოვრობდა, ვინც დღედაღამ მიწას დასცქეროდა და დაკოჲრილი ხელებით ხორციისა და სულის საზრდელს ქმნიდა. მას იმედი და სიზარული სჭირდებოდა. რაფიელ ერისთავი გლეხის ყოფის მძიმე სურათს ხატავდა, მაგრამ ამას გვერდით თან ახლდა რაღაც სილამაზე, რასაც სოფელური არსებობის იდილია და გლეხის დაუმორჩილებელი და გაუტყეხელი ბუნება ქმნიდა. ბატონის, მამასახლისის, ვზირისა და მევახშის მიერ დანაგრულ მშრომელს აქარსებობის მაინც არ ეშინოდა.

„მოხან, მოთესე, მოიშკე,  
ბუნება მწყალობელია;  
გამხნევი, ძაო, იმედი  
არსად არ ვაგიფრინდება,  
ღმერთი დიდია, ღარიბო,  
გული ნუ შევიშინდება“.

...  
„ვცხოვრობ ბეჩავი, ღვთის მადლით,  
არ გამტყენია გულია  
ნუ გეგონებათ, შეეშინდე  
ჯაფისგან მოქანცულია!“

მიწას მიბმულ მამერალს აქარსებობის იმედს თავად ბუნების მშვენიერება აძლევდა. ყველაფერი გარემომცველი უთვალავ სილამაზეს შეიცავდა. ნუთუ შემოქმედი ამ მშვენიერებას ადამიანის აქყოფნის გასამწარებლად ქმნიდა? ძნელი დასაჯერებელი იყო ეს. ამიტომ ადამიანი ბუნებით ტკბობას უნდა მისცემოდა და სულის სიმშვიდე ეპოვნა.

რ. ერისთავს ყველაფერი ახარებდა – მზის ამოსვლა, მწიფე ყანის ბიბინი, შრომით დაქანცული გლეხის ხილვა, თოვლის მოსვლა, რთველი ერთი სიტყვით, ბუნება, მთელი მისი ყოფიერებით.

„მინდორი და ველი ჰყვავის,  
ნამი ბზინავს ათასფერად,  
მზემაც თვალი დააჭყიტა,  
ამოვიდა მათ სამზერად...“

...  
„ბიჭო, პური შემოსულა,  
ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად,  
უფლის თვალი შიგ ტრიალებს, –  
მოდიო, ნახეთ, თუ არ გვერათ!“

...  
„თავზე წაუკრავს ნარმის ნახკვი,  
მოდის, ღიღინებს დაბალს ხმაზედა,  
მოდის ამაყად, მჭრელი ნამგალი  
გადაუდვია მოღლილს მკლავზედა...“

...  
„მახსოვს, როცა ბაღლი ვიყავ,  
მიხაროდა თოვლის მოსვლა.  
თოვლის გუნდის გაკეთება,  
სროლა, თოვლში ვორვა. მოსვრა...“

...  
„ყურძენი დამწიფებულა,  
დახე, როგორ წითლად ღუის,  
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ  
კოლო-ბუზი თავს დაჰხუის...“

სიცოცხლე განუქორობელი მშვენებით იყო სავსე. მის წინაშე ფერმკრთალდებოდა ყველა სოციალური გასაჭირი და უბედურება. აქარსებობის ჭიდილში ადამიანი მარტო არ იყო. მას ამხნევებდა და ძალას მატებდა ოჯახიც, მეზობელიც, ამხანაგ-მეგობარიც. ყოფის იდილიური სურათის ხილვაც კი მხნეობის მომგვრელი იყო.

„ცხელა და ცხელა, პაპანებაა,  
ჭოხის წინა ზის ყმაწვალნი დედა,  
პაწია ბიჭი, ჩჩვილი ფუნთუშა  
ხელს უცაცუნებს ტუტეებზედა...“

ოჯახის მამას, ამის მხილველს, ყველა ჭირ-ვარამი ავიწყდება. სიტყვეც, გლეხის მძიმე შრომაც, ჩასაფრებული გზირ-მამასახლისიც,

ვლიცა და ვახშიც. ყველაფერი წარმავალია. მარტო აქარსებობის მშვენიერებაა წარუდინებელი. წუთისოფლის წისქვილი ყველასა და ყველაფერს ფქვავს, მაგრამ ვერას უშვრება სიცოცხლის მარადიულობას. იგი ვრძელდება და ადამიანიც ყოველთვის პოულობს არსებობის წყაროს. ქერივ-ოხერ ბენავ თინიას ღმერთი წყალობის თვალით უყურებს. ერთი მუჭა ხორბალი დათესა, მაგრამ „ზღვა გასკდა, შივ დატრიალდა ღვთის თვალი“, არც მოსაელის აღება, ყანის მომკა ვასჭირვებია, მამითადი\* დაეხმარა.

„დილა-ადრიან მოადგნენ  
კარზე რჩული ბიჭები,  
„მოოპუნათი“, კიყინით  
მოედგნენ ქერივის ყანასა,  
არ შევხვედრივარ მამითადს  
მე არსად ამისთანასა!“

რაფიელ ერისთავის აზრით, გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების უფლებას აქარსებობის მშვენიერება არ იძლევა. ბუნების, ყოფიერების, ადამიანის მშვენიერება ღმერთის ხილული გამოვლენაა და, ამდენად, იმედის საფუძველიც.

„წყალია ჩვენი აწმყო დიდება,  
ურჯულოება წყლით იწმინდება!  
წყალი გზა არის ქრისტეს სჯულისა,  
წყალი – განმწმენდი ჩვენი სულისა!  
წყალი – წამალი სნეულებისა,  
წყალი წყაროა უკვდავებისა!“

არა მარტო რ. ერისთავს, არამედ მე-19 საუკუნის მთელ ქართულ მწერლობას სწამდა და სჯეროდა, რომ ქრისტეს მიერ მონათლული კაცობრიობა არ დაკმაყოფილდებოდა შრომის იდილით. შრომა გათავისუფლდებოდა და კაცობრიობაც შვებით ამოისუნთქებდა.

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი  
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის...  
შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ჭეშმარიტების მის ძლიერებით  
და განტიცილება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით...“

\* მამითადი (ნადი) – მეზობელ-ახლობელთა უსასყიდლო დახმარება მოსაელის აღებაში.

ახლგაზრდა ილია ჭავჭავაძე ამ სიტყვებით რ. ერისთავის ოცნებასაც ავრძელებდა და საკუთარ მრწამსსაც ერს აცნობებდა.

შრომის გათავისუფლებაც ქართული მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო.

აღბათ, მეტად იშვიათად გამოსულა სამოღვაწეო ასპარეზზე ყმაწვილი კაცი ისეთი ნათელი და გარკვეული პროგრამით, როგორიც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუშლვე წინა ერსა“. და მართლაც, წინ უძღოდა, სანამ წიწამურში არ დაეცა განგმირული. ილიას პიროვნებისა და ცხოვრების წესის თავისებურება იყო ისიც, რომ თანაბრად მოახერხა შემოქმედებითი და პრაქტიკული საქმიანობის შერწყმა. დღეს უკვე გვიჭირს, გავარკვიოთ – ვინ უფრო დიდია, შწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი) ილია ჭავჭავაძე, თუ ბანკირი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. ვინ უფრო სჭირდებოდა მე-19 საუკუნის საქართველოს. უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძის ორივე ჰოპოსტასი თანაბრად აუცილებელი და საჭირო იყო. ადამიანური საქმიანობის ორივე მიმართულებას – მხატვრულ შემოქმედებასა და ეკონომიკურ-ფინანსურ პრაქტიკას – იგი ერთი მიზნისათვის იყენებდა: საქართველოს თავისუფლებისათვის. მაგრამ, ილიას აზრით, ვერც სოციალურად და ვერც ეროვნულად ვერ გათავისუფლდებოდა ქართველობა, თუ სამი პრინციპი არ განხორციელდებოდა რეალურად: შრომის უანგარო სიყვარული, იდეალის უდრეკი სამსახური და ეროვნული ერთიანობა.

ოთარაანთ ქერივი და მისი გიორგი იდეალური მშრომელი ადამიანები არიან. გიორგისათვის ჩემი და სხვისი არ არსებობს. სხვისას იგი ისევე უკლის და პატრონობს, როგორც თავისას.

არჩილის მეჯინიბესაც გულიანად სცემა. რატომ? მეჯინიბეს არჩილის გაოფლიანებული ცხენი დაება. არ გაუტარ-გამოუტარებია, რომ ოფლი შემრობოდა. ცხოველს დახუთვა ეძუქრებოდა. ეს უსულგულობა ვერ აიტანა ვიორგომ.

გიორგის ეს თვისება სოფელს უკვირს. „ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი“. გიორგი არც გიჟი იყო და არც ღვთისგან მოგზავნილი. იგი მშრომელი კაცის ის იდეალი იყო, რომელზეც ილია ოცნებობდა, მაგრამ გიორგისა და მისთანების სიცოცხლისათვის გარემო არ არსებობდა. იმისათვის, რომ ადამიანმა შემოქმედებითად იცოცხლოს, მარტო მისი თვისება არ კმარა. გარემოც უნდა უწყობდეს მას ხელს, მისი გავევობდეს და ესმოდეს. სამწუხაროდ, გიორგის გაგება, არა თუ გარემოს, არჩილსაცა და კესოსაც არ შეეძლოთ. არა იმიტომ, რომ ისინი სოციალურად იყვნენ განსხვავებული. ომარაანთ მოჯამაგირეც გლეხია და არჩილის მეჯინიბეც, მაგრამ იმათაც ვერა გაუვიათ რა



გიორგისი. მათი გათიშვის საფუძველი ცნობიერების სხვადასხვაობა იყო. გიორგი იმ ცნობიერების ნაყოფი იყო, რაც ილიას ჰქონდა, რაც ახალი იყო და მომავლის იდეალი. არჩილიც, კესოც, ომარაშვილი მოჯამაგირეც თუ არჩილის მეჯინიბეც ჯერ ძველისაგან ვერ გათავისუფლებულიყვნენ. მათ ტრადიცია ბოჭავდა, ზღუდავდა. არჩილსა და კესოს გონება გიორგის სიკვდილმა გაუთავისუფლა, შიგნიდანმზღველი თვალები აუხილა. ამიტომ გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი. ამით დაინახა მან გაყოფილი ცნობიერების გამთლიანების იმედი, ძველი ირღვევოდა და იშლებოდა. შორეულ თვალსაწიერზე მოსჩანდა ახალი. ცნობიერების გამთლიანება ეროვნული მასშტაბით უნდა მომხდარიყო. სხვაგვარად თავისუფლების მოპოვება არ მოხერხდებოდა. ცნობიერებადამოწმებული ხალხი მონობას თავს ვერ დააღწევდა.

„აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძნიათ,  
 ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,  
 ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ  
 და ერთმანეთს კი არ ენდობიან.  
 ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰმურთ,  
 თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;  
 თვით ამხოზენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,  
 თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან...“

ეს გაორება იმის ბრალიც იყო, რომ იდეალის სამსახურში ბევრი მერყეობდა. რაც დღეს სწამდა, იმისი ზვალ არ სჯეროდა. რასაც ზვალ იწყებდა, იმას ზეგ ეჭვის თვალთ შეხედავდა. იდეალის წამდაუწუმ ცვლა მათ ზნობრივ ტკივილს არ აყენებდა. სულის სიმტკიცე იშვიათი თვისება გამხდარიყო. როცა „განდევილი“ იწერებოდა, ილიას სწორედ რწმენის სიმტკიცის პრობლემა აწუხებდა. ბეთლემს შეხიზნული ბერი მანამ მშვიდად და პირნათლად გრძნობდა თავს, სანამ მწყემსი ქალის სახით განგებამ ცდუნება არ მოუვლინა. განდევილის რწმენის სიმტკიცე შეირყა.

„- მამ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,  
 ველარ დავიხსნიით ვერაფრით სულსა?  
 - ხსნა ყველგან არის... ზოლო გზა ხსნისა  
 ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

ეს უკვე მერყეობა აღარ იყო. ეს რწმენის უარყოფა იყო. განდევილიც დამარცხდა.



იმ სამ პრინციპს, ილიამ რომ წამოაყენა – ენა, მამული, სარწმუნოება – განხორციელება მაშინ ეწერა, როცა ქართველი შრომის სიყვარულს ისწავლიდა, ეროვნულ ერთიანობას მიაღწევდა და იდეალის სამსახურში ვერავითარი ცდუნება ვერ დასძლევდა.

ეროვნული ცნობიერების გამთლიანებაც, შრომის სუფევაც, თავისუფლებაც ქართული მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო.

ალბათ, მე-19 საუკუნის არცერთ ქართველ მწერალს არ უთქვამს იმდენი მწარე სიტყვა საქართველოზე, რამდენიც აკაკი წერეთელს. ეს მან დაიკენესა – „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!“ ეს მან დაამუნათა ქართველი – „თუ გშია, პატრიოტობ, შენ მოძმესაც უწყრები; მაგრამ მაშინ კი სხვა ხარ, როდესაც გამოძლები; თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი – ფეხები.“ ეს მან უსაყვედურა ჩვენს ხალხს – „გამტანია ჩემი ერი, გარეგანად შშენიერი... ისე უყვარს ქვრივ-ოხერი, რომ ჰსურს იყოს ჩვენში ბევრი...“ მაგრამ აკაკის შემოქმედებაში არის ერთი თვისება, რომელიც მას რენესანსული ტიპის პოეტად ხდის. მრავალ ღირსებასთან ერთად, რენესანსულ ხელოვნებას ჰქონდა კიდევ ერთი თვისება – შემოქმედების სიხარული. რენესანსის ეპოქის ხელოვნება იქმნებოდა სიხარულით. თავად შემოქმედება იყო სიხარული. არა ძალდატანება, არა იბულება, არა შეკვეთა, არამედ სიყვარული. ტკივილი, ტანჯვა, მწუხარება, სიკვდილი, ყველაფერი წარმოჩენილი იყო აქარსებობისა და შემოქმედების სიხარულის ნათელში. ასეთი სიხარულის ნათელით არის გამსჭვალული აკაკის პოეზიაც. ამ თვალსაზრისით არის იგი რენესანსული პოეტი. გესლიან სატირას წერს იგი თუ პათეტიკურ პოემებს, სვედით ევსება გული თუ ომახიანად ყიფინებს, აწმყო გულს უკლავს თუ მომავალი ახარებს – ყველგან სიხარულის ნათელი სუფევს, რომელსაც მის შემოქმედებაში სიმბოლური ხატი აქვს – ცისარტყელა.

„როგორც შეიძალი ფერადი  
ამშვენებს ცისარტყელასა,  
ისე დაეტყო სახეზე  
სიამოვნება ყველასა...“

...  
„რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,  
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა  
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე  
გამოესახათ მათ ცისარტყელა...“

...  
„ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტად  
გადმოეშვა ცისარტყელა:“



აიტაცა შუქმა შუქი  
და მას გაჰყვა თანვე ყველა!"

აკაკი წერეთლის შემოქმედების ამ თვისებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისთვის. შემოქმედი მარტო ის კი არ არის, ვინც ქმნის, არამედ ისიც, ვისაც შემოქმედება ესმის და გაეგება. ქართველ ხალხს ესმოდა კიდევ და გაეგებოდა კიდევ აკაკის შემოქმედებაში არსებული სიხარულის ნათელი. ეს ნათელი თავად ქართველი ერის ბუნებიდან ამოდიოდა. გრივოლ რობაქიძეს აქვს ნათქვამი – ქართველი ცხოვრობსო პრინციპით: გაიხარე – გამახარე. მართალია, აკაკი, ბევრად ადრე, მისებურად ენაკვიმატობდა და ხუმრობდა: ქართველების დევიზია – გატირებ და გიტირებო, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ქართველის ბუნების უმთავრესი თვისება სწორედ სიხარულია. სიხარულით ებრძოდა ქართველი ყველა ჭირ-ვარაშს, რომელიც კი მას თავზე დასტეხია გრძელი საუკუნეების მანძილზე. ქართველის გონება არასოდეს არ ყოფილა ფანატიზმით დაბნელებული. არც რელიგიურ, არც პოლიტიკურ, არც სოციალურ, არც ფილოსოფიურ ფანატიზმს მისთვის საღი განსჯის უნარი არ წაურთმევია. არც გამარჯვებას და არც დამარცხებას ქართველში არ ჩაუკლავს ცხოვრების ხალისი. იგი ყველგან და ყველაფერში პოულობდა სიხარულის წყაროს. თუ ჩვენს ისტორიაში ბევრი შავი ფურცელია – ადამიანით ვაჭრობით დაწყებული, ღალატითა და დასმენით დამთავრებული, – ეს მაშინდელია, როცა ქართულ სულიერ სამყაროს უცხო ძალა თრგუნავდა. რაც ყოველთვის გვიჭირდა და დღესაც გვიჭირს, ეს არის უცხო სულიერი გავლენისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ზორციელ ბრძოლას უფრო იოლად ვახერხებთ, ვიდრე სულიერს. სულიერად დაბეჩავებული კი ადვილად კემორჩილებით ბოროტებას. ყოველნაირ ბოროტებას აკაკი წერეთელი სიხარულის ნათელით ებრძოდა – „ენახავ ქორწილს ბუნებისას, გავიგონებ მის მაყრულსა“. ანდერძად კი გვიტოვებდა:

„მონას რად უნდა კრული სიცოცხლე?  
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?  
სჯობს მონობაში გადიდკაცებულს  
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

მაგრამ ეს ანდერძი უკვე მე-20 საუკუნის საქართველოს ეკუთვნოდა. სიხარულის ნათელის დადგომაც მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო. მოლოდინი მოლოდინად, სურვილი სურვილად, ოცნება ოცნებად დარჩა. მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ მაინც ვერ სძლია და





დაამარცხა საბოლოოდ სასო- და იმედწარკვეთილობა, ამიტომ დაიგმინა გრივოლ ორბელიანმა: „ან ეს რაცა ვკსთქვი, რადა ვკსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვკსთქვი...“ თქმით, რაც სათქმელი იყო, კი ითქვა, მაგრამ პრაქტიკული შედეგი არ სჩანდა, ალბათ, ამის მიზეზი იხიც გახლავთ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ყოველი ზნეობრივად ამაღლებული და სპეტაკი პროტაგონისტი იღუპება.

ზვინიდან გადმოვარდნილი გიორგი ურმის ჭკალს ზედ დაეგო და დაიღუპა. ოთარაანთ ქვრივი შვილის დარდს გადაჰყვა („ოთარაანთ ქვრივი“).

ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა, რაკი მისმა აღზრდილმა ზნეობასა და კეთილშობილებას უღალატა („გამზრდელი“).

ბეთლემს შეხიზნულმა ბერმა ცდუნებას ვერ გაუძლო და შეიშალა („განდევილი“).

რაკი ონისემ მამის იმედი ვერ გაამართლა, გონამ შვილი მოკვლა და საზარელი დანაშაულით შეძრწუნებული შეირყა („ხვეისბერი გონა“).

ალუდა ქეთელაური, ვინც, მტრის ვაჟკაცობით აღტაცებულმა, მარჯვენის მოკვეთის ადათი არ შეასრულა და მოსისხლეს მსხვერპლიც შესწირა, თემმა მოკვეთა და გააძევა („ალუდა ქეთელაური“).

მოძღვარი ონოფრე კატორღაში ჩაკვდა, რაკი უსამართლო და უკანონო ქვეყანაში უდანაშაულობა ვერ დაამტკიცა („მოძღვარი“).

ზებუნებრივი ნიჭი დაკარგა და გველისმჭამელმა მინდიამ თავი მოიკლა („გველისმჭამელი“).

ასე ტოვებენ აქარსებობის ასპარეზს ისინი, ვინც ღვთის მადლით არიან ცხებულნი. ერთი მხრივ, მორღვეულ-მოშლილი სახლ-კარი და, მეორე მხრივ, სიკვდილი აღარ ტოვებენ იმედისა და ნუგემის ადგილს. აღამიანის სული შეებასა და ვანს<sup>\*</sup> ზმანებებსა და ხილვებში ჰპოვებს.

აკაკის „თორნიკე ერისთავში“ ხილვაა.

„ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ  
 ნინო, ქეთევან და თვით თამარი.  
 თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი  
 და ქეთევანსა – წმინდა მოწმობის.  
 ნინოს ზელთ ეყრა ვჯარი ვაზისა,  
 ნიშანი დიდი ქრისტიანობის.  
 ზეცად აეყროთ სამთავეს თვალნი,  
 საქართველოსკენ იშვერდენ ხელსა  
 და შეერთებით, ხმაშეწყობილად,  
 კვალობდენ ტბილსა საგალობელსა:

\* ვანი – სადგომი, სავანე.

– დედაო ღეთისაუ! შენი ზვედრია  
ეს საქართველო დიდჭირნახული,  
შეუნდე ცოდეკა!.. ნუ ააღებ ზელს,  
ღმობიერებით იბრუნე გული!..  
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,  
და გარდმოსახე ძლიერად ჯვარი,  
რომ აღადგინო ქართველთა ური,  
ღღეს დაცემული და ცოცხალ-შკვდარი!  
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას  
განუშტკიცებდე აღმაფრენასა  
და შენს საქებრად, სადიდებულად  
ნუ დააეწეებ იმ ტკბილ ენასა,  
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,  
ქუთეან მარად შენ გადიდებდა  
და ნინო ძისა შენისა მცნებას  
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!”

ამ ხილვაში როგორც აკაკი წერეთლის, ისე მთელი ქართველი ერის ოცნებაა გაცხადებული.

ვაჟა-ფშაველაც ზმანებაში ხედავდა საქართველოს თავისუფლებას. „ბახტრიონში“ ამას არა მარტო კვირიას სიზმარი ადასტურებს, არამედ პოემის ფინალიც, გველი რომ მკურნალობს ლუხუშს და ლაშარის გორზე შედგომის შესაძლებლობას აძლევს. ვაჟას კვირიაც სიზმარში შავ ვეშაპს ხედავს, რომელსაც „პირითაც ცეცხლი სდიოდა, საზარელ იყო შეტადა“, აკაკის მოძღვარიც „ბაში-აჩუქში“ გველეშაპს ნახულობს სიზმრად, ალავერდის მონასტერს რომ შემოხვევია. აკაკისთანაც და ვაჟასთანაც გველეშაპის მოკვლა საქართველოს მტრების დამარცხებას ნიშნავს.

სოციალური თავისუფლება-სამართლიანობაც ხილვაში ცხადდება. ნიკო ლომოურის „ვიგო ღრუბულაშვილში“ დიდებული მანდილოსნის სახით ჩვენებაში იბადება იმედი სოციალური სამართლიანობის დამყარებისა და თავისუფლებისა. მართალია, დიდებული მანდილოსანი მალე ქრება, მაგრამ იმედს მაინც ტოვებს. თან არ მიაქვს.

ზნეობრივი მანკიერების მგმობელი და გამკიცხველიც ხილვაში მოდის. ერისა და მოძმის ღალატს, პირმაობას, მზაკვრობას, მუხთლობას, სიცრუესა და ფლიდობას ის ქალი უთელის წყევლა-კრულვას, რაფიელ ერისთავს ზმანებაში რომ მოველინება.

„ვნახე, წარმოსდგა ბრწყინვალებით მოცული ქალი,  
ვერ მოვაცილე უცნაურსა ჩვენებას თვალი..“

ქართული მე-19 საუკუნე ზმანებებისა და ხილვების საუკუნეც იყო.  
მე-20 ასწლეულის დასაწყისში მათ გაქრობა ელოდათ, ის თაობა  
მოდიოდა, რომელიც წინამორბედთა იდეალებზე უარს იტყვოდა. პირველი  
საგანგაშო ზარი რუსი ნაროდნიკების ქართველმა მიმდევრებმა შემოპყრეს,  
როცა ხალხოსანმა მიზეილ ასათიანმა თერგდალეულთა თაობას  
გამოუცხადა:

„ის ჭია, რაიც თერგის ნაპირზედ  
ილიას „მგზავრსა“ გულს უღირღნიდა,  
ეხლა სრულიად მე არ მაწუხებს,  
ის დრო ჩემთვისა მანდვე წავიდა.  
მე ეს კითხვები კარგა ხანია  
დამიძლევეია, გამომიხსნა!  
ჩემ გულის ბოღმა, თქვენთან საკითხი,  
სიტყვა სრულებით სხვანაირია...“

ქართული ეროვნული ნიჰილიზმის ნიადაგში სოციალიზმის ხე  
ირვებოდა. იმათ, ვისაც საქართველოს ეროვნული ენერგია არ სწამდათ,  
ერთგული გამგრძელებლები ებადებოდათ ქართველი მარქსისტების  
სახით: „რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავენებს  
უცხო ტომობა?“ ნ. ბარათაშვილის ეჭვი რეალური საფრთხე ხდებოდა.  
„ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინეთ  
და, რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო – ის მას ხონჩიანა შორს  
აგდებს“, – ირწმუნებოდა ნოე ჟორდანიას და აღტაცებული დასძენდა:  
ქართველმა ხალხმა ნაციონალიზმის დროშა გადააგდო და ინტერნაციო-  
ნალიზმის დროშა ააფრიალაო.

მართლაც, ქართველი აღარ მღეროდა – „მოვა დრო და თავს  
აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს ვმირთა ვმირი!.. სიხარულით შეეცვლება  
იმდენი ხნის გასაჭირი!“ მას ხელში სოციალიზმის დროშა ეჭირა და  
უეწ პოტიეს „ინტერნაციონალს“ აქუხებდა.

„მიწა გვეკუთვნის ჩვენ და ჩვენ მხოლოდ,  
ვინცა ვართ მიწის, ქარხნის მუშები.  
მუქთახორები უნდა ჩავქოლოთ.  
იჭება ბრძოლა დაუნდობელი!  
სასტიკი მეხი როს ვავარდება,  
როცა გაწყდება მუქთახორები,

მხეცი, ყორნები, ავი ქორები —  
მზე საშუღამოდ აულვარდება!  
ეს არის ბრძოლა უკანასკნელი.  
გავერთიანდეთ! სიკვდილი დალატს!  
კაცობრიობა გახდება მთელი  
სანატრულ ინტერნაციონალად!”

(ვ. გაფრინდაშვილის თარგმანი)

გახდებოდა თუ არა კაცობრიობა მთლიანი, ინტერნაციონალური, ეს არავინ უწყოდა. ჭკვეფანას რომ დაანგრევდნენ და გაანადგურებდნენ, ეს ცხადი და ნათელი იყო, მაგრამ ისტორიის ჩარხი მაშინ მანც მარქსიზმის სასარგებლოდ ბრუნავდა.

ილიას ეტლი წინამურს უახლოვდებოდა.

მას წინამურის ჯაგებში ჩასაფრებულ-ჩაცუცქული სოციალისტ-ინტერნაციონალისტები ელოდნენ.

დიდი ეპოქა მთავრდებოდა.



შრომით გაძდიდრებულნი კაცნი ქართულ მწკრილობას არ დაუხანტავს. თუ კისძე მდღიარია ქართულ მწკრილობაში დახანტული, ქონება აუკლეულად აკაკობით აქვს შექნდლია ეს, ერთის მხრივ სოციალური ვითარების კრიტიკას ნიშნავს, მაგრამ, ქორქს მხრივ გულგატეხლობას ნუნტავს — შრომით სიძდიდრქს კურ შეიქნ და სულ მათხი ვართ იქნება.

საჭინოთ იფთ სოციალური ვითარების კრიტიკაც და რწქების ჩანერტაც შრომის სასარტებლოდ. ქორქ კომუნისტური რეჟიმის დროს, შრომა ღირსების საქმედ გამოტხვადდა, მაგრამ იმ ადამიანებს, ესაუ საკუთარი გადატყაფობლი ხელებით მქონდათ ქონება შექნდლი, ეულავი დაარქუსა დატხინქს, განაქვლავს, გადაასანლქს, შრომა ისევე ქვს დადტა, დლქს რომ ქართული ქვით უარქვს შრომას, ამის ბრალეუ არის, ნუნტბრევი თვალსაზრისით შრომა, როგორც დდდი საქმელე და ქონებრევი თვალსაზრისით სიძდიდრის წყარო, ქართულ მწკრილობას არ დაუხანტავს.

ქართული მწკრილობა არ იცნობს ისეთ ტემს, როგორიც, ეთქვათ, დავით ხარაჯიშვილია, ანდა ზუბლაშვილების იჯახა.

საქაი ხეი



## „სურამის ციხის“ ბაგომ

დიდი ხნის წინათ „სურამის ციხე“ ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილ თხზულებად მიიჩნიეს და მის ძირითად ღირსებადაც ეს აღიარეს. თუმცა როცა „სურამის ციხე“ გამოქვეყნდა (როგორც ცნობილია, იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის მე-12 და 1860 წლის პირველ ნომერში), რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების საკითხი გადაწყვეტილი იყო. ქართული საზოგადოებაც კარგად იცნობდა იმპერატორ ალექსანდრე მეორის სიტყვას, რომელიც 1858 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა და სადაც აღირებული იყო ამ რეფორმის ჩატარების აუცილებლობა. მთელ სახელმწიფოში უკვე შექმნილი იყო სათანადო კომიტეტები, რომელნიც რეფორმის შინაარსსა და ხასიათს საბოლოოდ ამუშავებდნენ. ეს დ. ჭონქაძემ შესანიშნავად იცოდა. მას თავად ჰყავს გამოყვანილი „სურამის ციხეში“ იმ ახალგაზრდათა შორის, რომელნიც, დათქმული პირობის თანახმად, რიყზე იკრიბებოდნენ და სხვადასხვა ამბავს ყვებოდნენ, ლიბერალი თავადი ლ. დ., ვისაც „დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება“. ასე რომ, „სურამის ციხის“ დასტამბვა დ. ჭონქაძეს არ შეიძლება სამოქალაქო გმირობად ჩაეთვალოს. ობიექტურნი თუ ვიქტივით, ეს უფრო იმდროინდელი კონიუნქტურა\* იყო. თუ მწერალს მაინც უპირებდნენ კუკიის ხიდიდან გადაგდებას ან ცემას, ეს ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის გონებალღუნგობას მოწმობს და არა „სურამის ციხის“ ავტორის გამბედაობას. დ. ჭონქაძემ, უბრალოდ, კარგად დაინახა ისტორიული პროცესი. რა თქმა უნდა, ეს მწერლის აზროვნების პროგრესულობის დასტურია, მაგრამ არა უფრო მეტი. როცა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს „სურამის ციხისადმი“ დამოკიდებულებას დღევანდელი თვალით ვუყურებთ, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის უსაშველო ჩამორჩენილობამ უფრო უნდა გაგვაკვიროს, ვიდრე დ. ჭონქაძის მოქალაქეობრივმა სიმამაცემ. თუ „სურამის ციხეს“ მივიჩნევდით მხოლოდ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად, მაშინ უნდა გამოეტყვდეთ და ვაღიაროთ, რომ იგი მეტად დაგვიანებული პროტესტია. „სურამის ციხის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების, ღირსება სხვა რამ არის და არა ოდენ ბატონყმობის მხილება. თუმცა ფილიპე მახარაძით დაწყებული დღემდე მიწყევ ამას ვიმეორებთ და მეტი არაფრის დანახვა გვინდა. მართალია,

\* კონიუნქტურა – აქ: ხელსაყრელი ვითარება.



ეს პროტესტი მოთხრობაში მძლავრად უღერს, მაგრამ, ვიმეორებ, მას მაინც არ არის „სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი.

ძირითადი აზრობრივი შინაარსის ამოცნობის მიზნით, თვალი გავადევნოთ „სურამის ციხის“ პერსონაჟთა ცხოვრებას.

მოთხრობის პერსონაჟებიდან ყველაზე მწარედ და მწვავედ ნოდარმა, ანუ ოსმან-ალამ, განიცადა ბატონყმური უსამართლობის სისასტიკე. იგი გაყიდეს, დედა უღელში პირუტყვივით შებმული მოუკლეს, მისი ხაცოლე კი აიძულეს, თავი დაეხრჩო.

ოსმან-ალა დაუნდობლად განიკითხავს ბატონყმურ უსამართლობას, ბატონებს, მათ გულჭკაობას.

„იმათ (ბატონებს – ა. ბ.) ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვქონდეს გული და არ გვქონდეს სჯა“.

„ო, რა საზარელი იყო ის სიცილი დედაჩემის მწუხარებასთან! მე დარწმუნებული ვარ, რომ მასში არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი; იმისთანა დროს მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება.“

„...ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებული იყო, რო მე ვიყავ იმისი ერთგული; ხა! ხა! ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში... საკვირველი არიან, შენმა გაზრდამ, ვე ხალხნი!“

მიუხედავად ბატონყმობის ამ მოურიდებელი მხილებისა, ოსმან-ალა ყმის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგი არსებითად არ არის. როცა ოსმან-ალამ გადაწყვიტა ღურმიშხანისათვის მისი ნათლული მიეთხოვებინა, მაშინ იგი საპატარძლოს მშობლებს ყმა-მამულის ყიდვას დაჰპირდა.

„– აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ, წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ გამოაცხობს.“

– განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლიან, რო იყოლიოს გოგო-ბიჭი?

– რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს, აზნაურს თავისი ეყოლება.

– თუ აგრეა, ხვალვე უყიდი ყმებს! (ხაზი ჩემია – ა. ბ.).

– უყიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“

განა ის ყმები, რომელთაც ოსმან-ალა იყიდის, ისევე არ დაიჩაგრებიან, დაიტანჯებიან, ეწამებიან, როგორც ნოდარი, როცა იგი ბატონმა კახეთიდან ჩამოსულ მღვდელს მიჰყიდა? აშკარაა ოსმან-ალა ისეთსავე დანაშაულს სჩადის, როგორც მისმა ბატონმა ჩაიდინა, მაგრამ ამის შეგნება ყოფილ ყმას არა აქვს. ამიტომ მცდარია აზრი, გამოთქმული ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში, თითქოს ნოდარი, ანუ ოსმან-ალა, ქართულ ლიტერატურაში ბატონყმობის წინააღმდეგ პირველი მებრძოლი პროტაგონისტი იყოს. ოსმან-ალა მხოლოდ შურისმგებელია და არა



მებრძოლი. ნოდარმა დედის მკვლელობაც კი აპატია ბატონს. თავისუფალი არაგველ ბატონს, ნოდარის ნანდაური ნატოც რომ არ გაეუბედურებინა, შურისძიება არ ემუქრებოდა. ყმა, ტკივილითა და ტანჯვით, მაინც შეეგუა ბატონთან ცხოვრებას. ვინ უწყის, ნოდარს ნატოს შერთვის ნებართვა რომ მიეღო, ცხოვრება ყმობაში უდრტყინველად დამთავრებინა. მხოლოდ უზომო უსამართლობამ და ბოროტებამ დააკარგვინა ნოდარს წონასწორობა და ამოაწყვეტინა ბატონის ოჯახი. ამ დროს ჩაიდინა გონებადაბნელებულმა ყმამ ცოდვა – მოჰკლა უდანაშაულო ბავშვი, შვილი ბატონისა.

– ნოდარჯან, მე მოშკალ, ჩემ გიგოს! ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია რა შენთვის! – მითხრა ქალბატონმა ხვეწნით. – მე ნუ მომიკლამ, შენთვის არა დამიშავებია რა, – გაიმეორა ყმაწვილმა.“

ეს ცოდვა ნოდარს ყველგან თან დასდევს და სულსა და გულს უფორიაქებს.

ღურმიშხანთან პირველი შეხვედრისთანავე უდანაშაულოდ მოკლული ბავშვი ახსენდება.

„ღმერთო, ის ბავშვი არ მაძლევს მე მოსვენებას, დღე და ღამე მიდგას თვალწინ და არ ვიცი, საით გავიქცე... ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, ერთხელ მეც შემეძლო შემეხედნა წმინდა სინდისით ცისათვის, მაგრამ ეხლა... კაცის მკვლელი, ქრისტეს ორგული, რა ცა შემირიგებს მე!“

ასე ტანჯავს და აწამებს ოსმან-ალას ჩადენილი ცოდვა.

„მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უშეტესად განდგომა ქრისტიანობისა (ამ სიტყვებს დააკვირდით – ა. ბ.), არ მაძლევდნენ მე მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ოშში, ან თუ საცა გინდა, ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალმობით:

– მე რა დაგიშავე, რათ მოშკალ?

რამტენჯერ მე ვეძიე ოშში სიკვდილი, რამტენჯერ გიჟივით ვადავარდი ვახშირებულ ოშში, რო ჩქარა გავსწორებულყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არა მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულაღობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთავობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ დამშვიდდა ჩემი სვინდისი. შემდეგ იმ ფიქრით, რო გავიქარვო ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა. ვაჭრობაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სვინდისი არ დამშვიდდა.

– ღმერთო, მომეტყვება როდისმე მე ჩემი შეცოდებანი? – სთქო ჩუმად ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა: – საიდუმლო ხმა მეუბნება, რო არაო.

<sup>1</sup> ამ ადგილას „სურამის ციხის“ ზოგიერთ გამოცემაში ვოგო წერია, ზოგიერთში – გიგო.



– ღმერთი მრავალ-მოწყალეა, – უთხრა ღურმიშხანმა, – მე გამოსვიდა, რო არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევოსო, თუ წმინდა გულით მოინანიებს.

– არა, ჩემთვის არ არის მოტყეება, – ჩაფიქრებით სთქო ოსმან-ალამ, – არა სჩანს მოტყეება.“

ცოდვის გამოსყიდვის მიზნით მისცა ოსმან-ალამ ღურმიშხან წამალაძეს ქონების ნახევარი.

„... – მე ვიცი რითაც, მე მივსცემ ჩემი ქონების ნახევარს.

– რათა?

– ის მე ვიცი! აკი გუებნები, რო უნდა შეუდგე ღმერთსა: იქნება კიდევ შეღირსოს მოტყეება.“

ცოდვის მონანიებისათვის დაუბრუნდა ოსმან-ალა ისევ ქრისტიანობას და ახალი ტანჯვა-გვემისათვის გასწირა თავი.

„რო მივიდნენ სტამბოლში, ოსმან-ალამ ნახევარი ქონება თავისი მართლა მისცა ღურმიშხანს, მეორე ნახევარი კი შესწირა ეკლესიას, თვითონ კი შემდგომ დალოცვისა პატრიარხიდგან, ცხადად აღიარა ქრისტე. მოგეხსენებათ, რა წვალებას მიიღებდა ის მაჰმადიანთაგან? იმ აზრით, რო როგორმე მიექციათ ისევ მაჰმადიანთა სჯულზე, ოსმალოთ მოღუბმა და სხვათა იხმარეს ყოველი შესაძლო მათგან ცბიერება, მაგრამ, რო სიკეთით ვერ შეძლეს იმისი მიტყევა, შემრე იხმარეს ძალა და ამისთვის მოლალეს იმაზე სხვადასხვა ტანჯვანი, მაგრამ იმითაც რო ვერა გახდნენ რა, შემდგომ კრეს შაყა, ესე იგი, გასჭრეს შუაზე.“

შეაყიოდ ვხედავთ, რომ ოსმან-ალას სამშვინველის მოძრაობა მთლიანად განპირობებულია ცოდვით. მისი გამოსყიდვის დაუძლეველი სურვილი წარმართავს მის მოქმედებას.

სოციალურმა უსამართლობამ ჩაადენინა ოსმან-ალას ცოდვა. იგი არასოდეს განდებოდა ცოდვილი, მისი ბატონი მხეცურად რომ არ მოქცეულიყო. მის პიროვნებაში თავს იყრის, ერთიანდება სოციალური და ზნეობრივი დანაშაულის შედეგი. ოსმან-ალა, ერთი მხრივ, მსხვერპლია ბატონის ბოროტმოქმედების და, მეორე მხრივ, – საკუთარი დანაშაულის. ამიტომ დაიშალა მისი პიროვნება, რაც მისი ფიზიკური დაღუპვით დამთავრდა.

ზნეობრივი დანაშაულის მთელი სიმძაფრე განსაკუთრებით ნათლად ჩანს ღურმიშხანის თავგადასავალში.

ღურმიშხანიც ბატონყმური უსამართლობით იყო დაჩაგრული, მაგრამ, როცა მან გულისვარდი მოატყუა, მაშინ მისი საქციელი მხოლოდ პიროვნული უზნეობით იყო განპირობებული და სოციალური უსამართლობა აქ არავითარ როლს არ ასრულებდა.





დურმიშხან წამალაძის მშენიერი მდგომარეობა უფრო მრავალპლანინანია, ვიდრე ოსმან-აღასი. იგი წერეთლის უხსნიერი შვილია\*. მანხელ გოგო აცდუნა ახალგაზრდა ბატონმა და ამის შედეგად განხდა დურმიშხანი. ბავშვობისას მას განსაკუთრებული ტანჯვა არ განუცდია და ბატონის სახლში შედარებით ნებიერად იზრდებოდა. მაგრამ ერთ დღეს მისი „კეთილდღეობა“ დაირღვა. წერეთელთან სტუმრად მოსულ მუხრანბატონს მოეწონა დურმიშხანი და ბიჭიც სასწრაფოდ აჩუქეს მას. ამან დურმიშხანის დედას თავზარი დასცა. „საწყალი დედაჩემი რანაირად იკლამდა თავს, უნდა გენახა, გულოჯან, მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს“, არავის მიუქცევია მისი მწუხარებისათვის ყურადღება. საცოდავი ქალი გადაჰყვა შვილის დარღს. დურმიშხანი ახალი ბატონის ოჯახში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. „ვინც რასმეს დააშავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო; ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერლის ბიჭს. ვის სცემენ გავაჯერებულ გულზე? იმერლის ბიჭს... მე, ვარდო! ბევრჯერ მიგმა ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯერ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშისმცემელი? არავინ.“ მართალია, დურმიშხანი ბატონყმური ყოფის მძიმე სურათს ხატავს, მაგრამ მკითხველს უფლება აქვს მის გულწრფელობაში დაეჭვდეს. ამის საფუძველს იძლევა დურმიშხანის რეალური მდგომარეობა და მისი პიროვნება.

როგორც კი გულისვარდმა სთხოვა თავის ქალბატონს დურმიშხანის ყმობისაგან განთავისუფლება, წამალაძე მაშინვე გააზატეს\*\*. ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ ქალბატონის სახელი და გვარი – მარიამ წერეთელი – მოხსენიებულია მოთხრობაში. ეს ქალი ღვთისწიერი, კეთილი და მოწყალე პიროვნებაა. იგი სრულებით არ ჰკავს ოსმან-აღას ურჯუკ ბატონს. აბა, შეადარეთ: ბატონმა ოსმან-აღას ცოლის თხოვნის ნება არ მისცა, მერე კი ნატოს გაუპატიურებაც მოინდომა. დურმიშხანი კი პირველი თხოვნისთანავე გაათავისუფლეს ყმობისაგან. ასევე დაუყოვნებლივ გააზატა მარიამ წერეთელმა გულისვარდიც, როგორც კი ეს ითხოვა პირისფარეშმა.

„– რათა, გოგო, განა შეგძულდი? – ჰკითხა ქალბატონმა.  
– არა, ქალბატონო, ღმერთმანი, არა, – უპასუხა ვარდომ არევით.

- მითხარი... რათ გინდა განთავისუფლება?
- იქნება უფრო კარგმა კაცმა შემირთოს...
- ჰო, თუ აგრეა, ხვალვე თავისუფალი იქნები, მაგისათვის რასა სტირი, ტუტუცო? ამაღამ ბატონი მოვა, კეტყვი და ხვალვე წიგნს დაგიწერინებ!“

\* უხსნიერი შვილი – უკანონო შვილი.  
\*\* გააზატეს – თავისუფლება მიანიჭეს.



მარიაში არ უშლის ხელს თავის ყმას, ეწიოს ოჯახსა და ბედნიერებას. მკითხველმა იცის, რომ ვარდოს ტყუილი ქალბატონმა არ უნდა იყოს. როგორც ვხედავთ, დ. ჭონქაძეს ორი სრულიად სხვადასხვაგვარი ბატონის ტიპი ჰყავს მოთხრობაში: ოსმან-ალას ბატონი – დაუნდობელი და მხეცი; მარიამ წერეთელი – მზრუნველი, ყურადღებიანი და შემბრალებელი.

დააკვირდით იმასაც, რომ უკვე ყმობისაგან თავისუფალი ღურმიშხანი ვარდოს ეუბნება: „ღმერთი მომიმართავს ხელს, ჩემო ვარდო, წიგნი ვიცი, ენები და რამდენიმე ხელობა“. სად ისწავლა ესენი დაჩაგრულმა ყმა? ცხადია, მუხრანბატონის სახლში, რაკი იგი სხვაგან არსად ყოფილა. მაშასადამე, ამ სახლში მას მარტო არ დასცინოდნენ, აბუნად არ იგდებდნენ, – ასწავლიდნენ კიდევ, რაკი წერა-კითხვას დაუფლებია, ენებიც აუთვისებია და რამდენიმე ხელობაც შეუსწავლია.

როცა ყმობისაგან თავისუფალი ღურმიშხანი წამალაძე ბედის საძებნელად გზას დაადგა, დ. ჭონქაძემ ასე აგვიწერა იგი: „მეორე დღეს ღურმიშხანი ღამაზათ მორთული, ვერცხლის ყაწიშებით, შვევრცხლილი იარაღით შეკაზმული, კარგი შავი ცხენით გავიდა ქალაქიდან“. რაღაც არ ჰყავს ეს დაჩაგრული ყმის პორტრეტს. ამიტომ, ღურმიშხანის წუწუნი გულისვარდთან უფრო თვალთმაქცობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მისი რეალური მდგომარეობის ობიექტურ აღწერას. ღურმიშხანი რომ მაშინ ვარდოსთან თვალთმაქცობდა, ამას ადასტურებს მისი ფიქრიც, რომელიც მერე უკვე გამდიდრებულსა და გაზულუქებულს უტრიალებს თავში: „რო ის არა ყოფილიყო, ხომ არ განმათავისუფლებდა ბატონი. რა კარგად მოვიქცე, რანაირად ვაჩვენე თავი, რო მითომ მიყვარდა, მაგრამ, ღმერთმანი, ღირდა სასიყვარულოთ, რამტენი ვატყუე საწყალი, რო მოვალ-მეთქი.“

მკაფიოდ ჩანს, რომ მზაკვრობა წინასწარ დაგეგმა ღურმიშხანმა. იგი სპეკულაციას ეწევა\* საკუთარი თავგადასავალით და მას ვარდოს დასაშინებლად იყენებს. მან შესანიშნავად იცის, რა დასცემს ქალს ყველაზე მეტად თავზარს და ამ გარემოება-განწყობილებით ოსტატურად სარგებლობს.

„– მემრე წავა დრო, გაგვიჩნდება შენსავით ღამაზი ბიჭი; შენ გაზრდი დიდი ამბით. განა გეყვარება ჩვენი შვილი, გული?“

– ძრიელ, ძრიელ! – საჩქაროდ სთქო ვარდომ.

– წარმოვიდგინოთ, რო ერთხელ მოვიდა ვინმე ჩვენს ბატონთან და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?

ამ კითხვამ შეაკრთომა გულისვარდი: საწყალს არასოდეს არ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო წაერთოთ იმისათვის შვილი.

\* სპეკულაციას ეწევა (რაღაცით) – ცდილობს საქმის მოსაკვარაზჭინებლად გამოიყენოს რაიმე ამბავი ან ვითარება.



- ეგ არ შეიძლება! ქალბატონი სადა მყავს, განა ჩემი ქალბატონი ისე ღამივიწყებს? არა, ეგ არ იქნება! - რამდენსაქ ხანს შემდეგ სთქვამდნენ ვარდომ ჩაფიქრებით.

- წარმოვიდგინოთ, რო შენი ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა, იმის ფეხს სულ არ უყვარხარ, მაშინ?

- ოი! ეგ არ შეიძლება, ღურმიშხან, არა! უწინ დღე დაშლიოს.“ ასე უნერგავს ღურმიშხანი ვარდოს შიშს მოსალოდნელი ბედის წინაშე. იგი ყველა ხერხს ხმარობს, რომ ვარდომ არ დაზოგოს ენერგია და მიაღწიოს ღურმიშხანის ყმობისაგან განთავისუფლებას.

ვარდოს დახმარებით, ღურმიშხან წამალაძემ ახატობა მიიღო. მას უკვე აღარ სჭირდება ეს ქალი. ამიტომ სრულიად უმტკივნეულოდ დაივიწყა იგი. ამით არ კმაყოფილდება დ. ჭონქაძე და თანდათანობით ავლენს ღურმიშხანის ბუნებას.

ღურმიშხანმა არა მარტო შეგნებულად მოატყუა და მიატოვა ვარდო, არამედ შეპირებული თანხაც არ გაუგზავნა, იმდენად ხარბი და გაუმაძღარი აღმოჩნდა იგი. „მართლა, ფული რო დავპირდი უკანასკნელ წიგნში, რატომ არ გაუგზავნე? ეკ, რათ უნდა ფული, ჩემთვის უფრო საჭიროა.“ ამის მეტად ღურმიშხანს თავი აღარ შეუწუხებია ვარდოს ბედით. ამ ქალზე ფიქრი დამცინავი სიტყვებით მოიცვალა: „ვინ იცის, როგორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა! ნეტა მომიგონებს ხოლმე კიდევ? მომიგონებს კი არა და მგონია ერთმა ბიჭმა ვინმემ შეირთო და შეიღებით აავსო. სად ეცლება ჩემ მოსაგონებლად...“

სიყვარულით არც სურამელი ავთანდილაანთ ქალი შეურთავს. აქაც ანგარება ამოდრავებდა ღურმიშხანს. ამ ქორწინებას იგი იმიტომ დათანხმდა, რომ ამით ოსმან-აღას ქონების ნახევარს ეპატრონებოდა. „აი, ღურმიშხანი ღვას კვლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პირობას თავის მუდღელს სიკვდილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას თავის დანიშნული? არა, იმას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავის დანიშნული, არც გულისვარდი და არც ოსმან-აღა, ღირსი სიყვარულისა იმა კეთილთათვის, რომელიც უყო იმან ღურმიშხანს და არც ღმერთი, შემოქმედი მისი (ყურადღება მიაქციეთ ხაზგასმულ სიტყვებს - ა. ბ.). იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას შეწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა.“

არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარი ბუნების კაცი ვერაგულად მოექცა კეთილისმყოფელ ოსმან-აღასაც.

„საწყალო ოსმან-აღა! იმან მისცა ღურმიშხანს ნახევარი თავისი ქონება იმ აზრით, რო ის ერთხელ მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს ერთს სანთელს იმისი ცოდვების შესამსუბუქებლად და იმის



საფლავზე ჩამოაგდებდა ერთს ერთგულს ცრემლს. საწყალო ოსმან-აღა! რა მწარედ მოსტყუედი შენ ფიქრებში!”

ყოფილმა ყმამ ისევ არ დაინდო და გასწირა ხანდაზმული ოსმან-აღა, როგორც ახალგაზრდა ნოდარი გაიმეტა ბატონმა. დურმიშხანმა ბატონზე მეტი დანაშაულიც ჩაიდინა. მან არ დამარხა ნაწამები ოსმან-აღას გვამი. „დურმიშხანი კი იმ დროს, როდესაც იმას აწვალბედნენ და შემდეგ ისე საშინლად მოკლეს, არა ფიქრობდა არც ერთსა ღონისძიებას იმის შველისათვის და შემდეგ სიკვდილისა იმტენი ვერ შეიძლო, რომ გამოეთხოვნა სტამბოლის მართებულობისათვის იმისი დამარხვის ნება.“ ამ უსულგულობისათვის დურმიშხანს სინდისი არ აწუხებს და სამშენიველი არ სტკივა. ხანდახან თუ გაიფიქრებს თავის საქციელზე, თავს ლიტონი სიტყვებით ინუგეშებს: „საწყალი ოსმან-აღა, აბა თუ ერთი ვაწირვინე იმისათვის, აბა თუ ერთი სანთელი აუნთე! სირცხვილი შენთვის, ჩემო თავო! იმისი წყალობით ხარ ასე ბედნიერი!.. რა ვქნა, ღმერთმანი, ფულები კი არ მშურს, მაგრამ მოცლა არ არის. რა უყო.“

დურმიშხანი თავის თავსაც ატყუებს, როცა ამბობს, ფულები არ მშურსო. ფული გახდა მისი კერპი და სალოცავი. ფულმა ამოაცალა სული და გული. ფულის გამო განუდგა მოყვასს. როცა ცოლმა უთხრა, ბავშვი ჩვენთან გოგიას მოვანათვლინოთო, კინალამ გაცოფდა: „გოგია კი არა, მოგია არ გინდა! უთხარი, რო თავადიშვილს უნდა მოვინათვლინო-თქო“. გასოვდაგრებულმა ყმამ დაგმო საკუთარი კლასიც.

ასე გამოიკვეთა დურმიშხანის უზნეო ბუნება. იგი ყალბი და ცრუ პიროვნებაა.

დურმიშხანის ბუნებით განპირობებული ტყუილი და ღალატით უშედეგოდ არ დარჩენილა. ამ საქციელის რეზულტატად წარმოიშვა გულისვარდის შურისძიება.

ბევრჯერ გააფრთხილა მკითხვემა ვარდო: „შურისძიება ცოდვა არის, შვილო, ღმერთზედ მიანდე, ღმერთი ილოცე, რო იმან გადაუხადოს მაგიერი“, მაგრამ მოტყუებულმა ქალმა თავისი მაინც არ დაიშალა. მთელი წელიწადი არ ასწავლიდა მარჩიელი თავის ზელობას ვარდოს. ცდილობდა, ცოდვა აეცილებინა გაუბედურებული ქალისათვის, მაგრამ ამოდ: გულისვარდი მაინც გახდა მკითხავი. როცა ვარდოს შურისგების ზარმა დარეკა, თავზარდამცემი რჩევა-დარიგება მისცა ვეზირს: თუ გსურთ სურამის ციხე აშენდეს, დურმიშხან წამალადის დედისერთა ვაჟი ზურაბი ჩაატანეთო კედელში ცოცხლად.

დურმიშხანის ზნეობრივმა დანაშაულმა დაშალა და დაარღვია ვარდოს პიროვნება. შურისგებაზე ოცნებამ და მისმა მოლოდინმა დააჭკნო, დააბურა და გადაავგარა გულისვარდი. შურისძიებას შეეწირა ზურაბი.



იმსხვერპლა დედამისი. შვილის შემზარავი ბედის შემყურე, იგი გაგიჟდა. ქონებრივად მდიდარი, მაგრამ მშვინვიერად ლატაკი ღურმიშხანი ვერცხლს სატყვერით განივძირა.

ცოდვას ბაღებს როგორც სოციალური უსამართლობა, ისე ზნეობრივი დანაშაული. თუ ედვის უღელში მოკვლამ და საცოლის თვითმკვლელობამ აიძულა ოსმან-ალა, მოეკლა უსუსური ბავშვი, ღურმიშხანის ღალატმა და ტყუილმა დააყენა ვარდო შურისძიების გზაზე და ცოცხლად დასამარხად გაამეტებინა უმწიკვლო ზურაბი. ცოდვა იწვევს არა მარტო უდანაშაულო მსხვერპლს, არამედ ბოროტმოქმედებათა მთელ ჯაჭვს. არღვევსა და შლის შურისძებლის პიროვნებას.

ახლა უკვე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სურამის ციხის“ პრობლემა ცოდვის პრობლემაა.

არ შეიძლება ყურად არ ვიდრთ „სურამის ციხეში“ ორი პარალელური ამბის არსებობა: ოსმან-ალას თავგადასავალი და ღურმიშხანის თავგადასავალი. თითქოს ორივე თავგადასავალში ბატონყმური უსამართლობაა მხილებული, მაგრამ ეს პარალელიზმი აჩენს კითხვას – ნუთუ ბატონყმობის სამხილებლად არ კმაროდა ნოღარის, ანუ ოსმან-ალას, ცხოვრება? რა თქმა უნდა, საკმარისიც არის და ბევრად უფრო მძაფრი და შთამბეჭდავია, ვიდრე ღურმიშხანის ბედი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბატონყმური უსამართლობის ორ მსხვერპლს შორის არსებითი სხვაობაა. თუ ნოღარი მართლაც მსხვერპლია, ღურმიშხანი არ არის ასეთი.

ღურმიშხანი ეშმაკი და გაიძვრეა. მას ჩინებულად ესმის ბატონყმობის მშაგვრელი და პიროვნების შემბოჭავი თვისება. იგი მართალს ეუბნება გულისვარდს: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“, ანდა „სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება არ არის“. მაგრამ საკითხავია, რა მიზანს ემსახურება ეს სიმართლე? რა მიზნით სურს ღურმიშხანს თავისუფლება? მისმა ცხოვრებამ ამ კითხვის მკაფიო პასუხი მოგვცა: მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის, მხოლოდ უგონიშმის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიმართლე და თავისუფლება ყოველთვის არ ყოფილა კეთილის გამოვლენა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ზნეობრივად როგორმა ადამიანმა მოიპოვა თავისუფლება. ამორალური ადამიანის თავისუფლება შესაძლებელია გახდეს სხვათა დამონების საფუძველი და უფრო მეტად ბოროტი დაამკვიდროს, ვიდრე კეთილი. ასეც მოხდა „სურამის ციხეში“: განთავისუფლებული ყმა ღურმიშხან წამალაძე თავად იქცა ბოროტებად.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ღურმიშხანის პიროვნება დაამახინჯა ბატონყმურმა სინამდვილემ (ამგვარი აზრი გამოთქმულია ლიტერა-



ტურისმცოდნეობაში), მაგრამ რატომ ვერ მოერია იგივე პირობებიც ოსმან-ალას? როგორ შეინარჩუნა მან ზნეობრივი ღირსება და მოკიდებულია პიროვნების ბუნებასა და მშენიერი სიმტკიცეზე. ეს თვისება აქვს ოსმან-ალას. დააკვირდით დ. ჭონჭაძის შექმნულ ნაამბობს: ნოდარის უბედურების საბაბი ორჯერ იყო მღვდელი. ერთხელ, როცა იგი კახეთიდან ჩამოსულმა ზუცესმა იყიდა და მეორედ, როცა ქალაქს თავშეფარებული დედა-შვილი გასცა და დაასძინა თბილელმა მოძღვარმა. ამ ფაქტებს ქრისტიანული ზნეობისადმი ნოდარის რწმენა უნდა შეერყია, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, ოსმან-ალა მწვავედ განიცდის ქრისტიანობისაგან განდგომას. ბოლოს იგი უბრუნდება ქრისტიანობის წიაღს, რაც მას სიცოცხლის ფასად უჯდება. ეს ამბავი ნათლად მეტყველებს, ერთი მხრივ, ნოდარის შინაგან უდრეკობას და, მეორე მხრივ, შეგნებულობას. იგი შეუძცდარად ხედავს განსხვავებას ქრისტიანულ ეთიკასა და მღვდლების ზნედაცემულობას შორის.

ადამიანისა და სოციალური სინამდვილის ურთიერთობა მძიმე და სასტიკი ბრძოლაა, მაგრამ პიროვნების მოვალეობაა, დაიცავს საკუთარი ზნეობრივი ღირსება და არ გახდეს სათამაშო ტიკინა გარემოების ხელში. ამისათვის სჭირდება ადამიანს სულიერი სიმტკიცე. ადამიანს ყოველგვარ პირობებში შეუძლია იყოს კეთილი, მოწყალე, ღვთისნიერი და კაცთმოყვარე. შეიძლება ებრძოლოს ბოროტს, მაგრამ ეს რომ გააკეთოს, ამისათვის აუცილებელია ცხოვრობდეს და მოქმედებდეს სუფთა სინდისით. ოსმან-ალა ცხოვრობს სინდისით. ამიტომ განიცდის იგი მთელი სიცოცხლე უდანაშაულო ბავშვის მოკვლას. ცდილობს, კეთილი საქმით გამოისყიდოს უნებლიეთ ჩადენილი ცოდვა. ღურმიშხანი ცხოვრობს უნაშუსოდ და ამიტომ არ აწუხებს არც ერთი ბოროტმოქმედება, ჩადენილი სრული შეგნებით.

ასე ძირეულად განსხვავდება ეს ორი პროტაგონისტი ერთმანეთისაგან. ასევე განსხვავდებიან მარიამ წერეთელი და ოსმან-ალას ბატონი, თუმცა ერთი ფეოდალია და მეორეც. მაგრამ პირველი ცხოვრობს ზნეობის, მეორე – უზნეობის კანონით.

გამოვლინდა „სურამის ციხის“ მეორე პრობლემაც – პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი. როცა ადამიანი ცდილობს, თავიდან მოიხსნას პასუხისმგებლობა და ყველაფერი სოციალურ სინამდვილეს, გარემო პირობებს დააბრალოს, იგი ან თვალთმაქცი და არამზადაა, ან მშენიერი ლაჩარი. ასეთი თვალთმაქცისა და ლაჩრის გამოკვეთილი ტიპია დახატული „სურამის ციხეში“ ღურმიშხანის სახით.

მკაფიოა სურამის ციხის ლეგენდის ალეგორიული შინაარსიც. ყოველი სოციალური სინამდვილე სისხლსა და ცრემლზეა აგებული, თუ მას



მაღალი ზნეობა არ უდევს საძირკვლად. ცოდვიანი სინდისით ვერც თავისუფლებას მოიპოვებ და ვერც ბედნიერებას ეღირსები.

ეს არის „სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი. ბატონყმური უსამართლობის მხილება, ზნეობრივი დანაშაულის გამოაშკარავება კი ძირითადი აზრობრივი შინაარსის ცალკეული მოტივებია. ამიტომ არ არის სწორი და მართალი ცალკეულ მოტივებზე ყურადღების გამახვილება და მოთხრობის ძირითადი აზრობრივი შინაარსის მოღიანობა-ერთიანობის მიფუჭჩევა.

სწორედ ამ აზრობრივ შინაარსს უნდა მივაქციოთ ყურადღება, თორემ დღეს არც ყმაწველს და არც ხანდაზმულს ბატონყმური უსამართლობის დიდი ხნის წინათ მკვდარი პრობლემა აღარ აინტერესებს. „სურამის ციხის“ ღირსება მარტო ბატონყმობის მხილება რომ იყოს, იგი ქართულ მკითხველს კარგა ხნის დავიწყებული ექნებოდა. მაგრამ, თუ ჩვენი საზოგადოება სათუთად ინახავს ამ პაწია მოთხრობას, ეს იმიტომ, რომ მასში ხედავს ცოდვილი ადამიანის სამშენველის ტკივილის მარადიულ პრობლემას.



შეფულის დიდი ბატონყმური ვარ, რადგან შეფლი ნოტივების ბადალა. უნც შეფლის უბრძვებს, ის ან უსაშუალოდ ბრძიყა ან გაბყვნა თვალთმაქცა. უფულოდ ნოტივრება ვრანყურს შექმნის - არც ხეშსტყვ კაპულა ექნებოდა უფულოდ და არც მღვანის დუთძი. არაუთ უწყის, კაცობრიობას ბუნყიერება შეფლა უფრო მთუქანა თუ ნოტივრება. ამიტომ შეფლზე ათვალწუნყობთ ლაპარაკ თაყის გაბრძიყება და შექცე არაფერი. მართალა, შეფლა ბყერი უბეღურებატ მთიქანა, მაგრამ ნოტივრებას არ მთუქანა უბეღურება? კაცის მისაჯულელი ყულა იმალა, მთ შორის ატმთური ბომბიუ და წყალბადის ბომბიუ. ნოტივრების შექმნა, უნტობას მისი გაკუება არ შეუქლა. უნტობას მარტო ზება და სმა შექლა. უნტო იფთი წინგისნანი ან პიტლერი, უნ იტყვის, მაგრამ რამდენი უბეღურება მთიქანეს. შეფლს უბეღურება ამიტომ მთაქეს, რომ მისაღმი დამთიდებულა არ ვიცი. სხანბე ანგარება გქლა და ეს არის უბეღურების საფუძვლი და არა შეფლა. შეფლი რომ არ ფიფილიფთ - რთ უყელა-ცანტრო ამუნტობა?

საქაი ხე/ფი



## ცოდვა და ვადლი\*

აღბათ, კარგად გახსოვთ ლავრენტი არდაზიანის მოთხრობა „სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილი“. მართალია, წვალებით, ჯახირით, ვაინაჩრობით, მაგრამ სოლომონმა იმას მიაღწია, რომ მდიდარი კაცი შეიქნა და მას აღარაფერი აკლდა. როცა ამ მდგომარეობას მიაღწია, რატომღაც შინაგანი, სულიერი წინასწორობა დაკარგა და სამშენველში რაღაც შეუცვდა. თავად ამბობს – „მე ვიყავ საესე მდიდარი, პატივცემული, მხიარულად ვეჩვენებოდი ხალხს და მრავალნი დამნატროდნენ, მაგრამ იმ დღიდან, როდესაც დაეიწყე დიდებით ცხოვრება, ჩემს გულს ჰქენჯინდა რაღაც განუსაზღვრელი ჭმუნვა და მე აღარ მესიამოვნებოდა-რა ქვეყანათაზე“. ბუნებრივია, რომ სოლომონს სურს გაიგოს, რა არის ის, რაც აწუხებს და იგი ასკვნის, ეს არის ცოდვა, რომელიც მან ჩაიდინა: „მე მღევნიდა ცოდვა, ჩემი მტერი იყო ცოდვა. სხვა მტერი მე არ მყვანდა“.

რა ცოდვა ჩაიდინა მან და რატომ ირწმუნებს სოლომონი ასე ჯიუტად თავს, რომ მას ცოდვა სდევნის?

სოლომონი ერთი წლისაც არ იყო, როცა მამამისი ისაკი გარდაიცვალა და თექვსმეტი წლის დედამისი გაიანე ქვრივად დარჩა. უპატრონოდ დარჩენილ ყმაწვილ ქალს მეწვრილმანე ვაჭარმა კასპარ სარქისბე-გაშვილმა დაადგა თვალი. ქალის დაყოლიების მიზნით იგი გაიანეს საჩუქრებს უგზავნიდა და ბოლოს ერთი მაჭანკალი დედაბერიც მიუგზავნა, რომელმაც უტიფრად გამოუცხადა ქალს ვაჭრის სურვილი – „გასპარა ვთხოვს ერთ ღამეს გაატაროს შენთან დროება“. ამის გაშვონე გაიანეს მეხი დაეცა. დედაბერი სახლიდან კინწისკვრით გაავლო, მაგრამ ქალს ასე იოლად არ შეარჩინეს უარის თქმა. ჯერ დედაბერი „მოუვარდა კეტი, წყველით და უშვერის ლექსით დაუწყო სულის მტერმა ლანძღვა და არ გაათავა, სანამ ყბები არ ჩამოსცვივდა“. მერე, ღამით თავად მეწვრილმანე მიუხტა და გაიანეს სახლს ქვები დაუშინა. შიშით კინალამ გული გაუსკდა ქალს. ასე უკეთებდნენ ყოველდღე მანამ, სანამ უბედურმა ქალმა თავისი ქოხი არ მიატოვა და მუშუთა ბავშვით ქუჩაში არ გავარდა. უბედურად დამთავრდებოდა გაიანესა და სოლომონის სიცოცხლე, რომ შემთხვევით, ჩიხში მათ ახალგაზრდა ლუარსაბ რაინდიმე არ შეხვედროდა. რაინდიმეთა ოჯახმა შეიხიზნა ისინი და გადაარჩინა. სანამ ლუარსაბის დედა დარეჯანი ცოცხალი იყო, მეჯღანუაშვილთა ცხოვრება ბედნიერად მიედინებოდა. როცა კნენა

\* ფრაგმენტი სამედიცინო ინსტიტუტში წაკითხული ლექციიდან. დასა-თაურება ჩვენია (რედ.).





გარდაიცვალა, გაიანეც მალე გაჰყვა უკან თავის კეთილისმყოფელს, თქვესმეტ-ჩვიდმეტი წლის სოლომონმა კი დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო.

ამ ხნის განმავლობაში გასპარ სარქისბეგაშვილი დიდი და მდიდარი ვაჭარი გაშნდარიყო. სარქისბეგაშვილობაც აღარ მოსწონებოდა და გასპარ მიკირტიჩ სარქისბეგოვი შექმნილიყო. სოლომონმა იცოდა, რა მწარე და გაჭირვებულ დღეში ჩააგდო ამ კაცმა დედამისი და გადაწყვიტა, შური ეძია. მართლაც, სოლომონმა ვაჭრული მაქინაციებით მოახერხა და სრულიად გააკოტრა სარქისბეგოვი. განვრეტილი შაურიც კი აღარ შერჩა ოდესღაც უმდიდრეს კაცს და ლუკმა-პური მოენატრა. მართალია, სოლომონმა მთლად არ გაწირა სარქისბეგოვი და გასპარის ქალიშვილები ჩუმად თავად გაათხოვა და გაამზითვა. „სვინდისმა მამხილა ჩემი შეცდომა, ჩემი უგუნურება, რომ მე შური ვუგე ბოროტ კაცსა: შურისგება მე არ მეკუთვნოდა და ამიტომ შევინანე, ცრემლით განუბანე ჩემი შეცდომა“, მაგრამ ვაჭარმა ვეღარ აიტანა გაკოტრება და გარდაიცვალა.

უკვე ხანდაზმული სოლომონი განიცდის, რომ შური იძია, არ ეყო საშვინველის ძალა, ბოროტებისათვის კეთილით გადაეხადა. სოლომონი იქამდე შეაწუხა შურისძიებამ, რომ თავის ცოდვას აბრალებს იმასაც, რომ ყვარლელმა დალაქმა ოსტატურად შეატყუა თავისი გონჯი ქალიშვილი სოფიკო და ცოლად შეართვევინა. დალაქმა განკუთვნილი მშვენიერი ქალი, რომელიც სოლომონს შორიდან დაანახვეს, მერე მასპინძლის (დალაქის) ცოლისძმამ სოლომონი მოატყუა, ეს ლამაზი ქალი დალაქის ასულია და თან დიდი მზითვევი აქვსო. სილამაზესა და სიმდიდრეს დახარბებულმა სოლომონმა ჯვარი მოვრალმა დაიწერა და, როცა მეორე დღეს ცოლი ლოგინში ნახა, მიხვდა, რომ გაეცუცურაკებინათ – მზეთუნახავის მაგიერ ჯოჯო შექნებინათ. მაგრამ ამასაც სოლომონი თავის ცოდვას აბრალის – „რასაც დასთესავ, იმას მოიქვი. მე რომ სარქისბეგაშვილი მახეში არ გამეხა, მეც ასე არ მოვტყუვდებოდი“.

მარტო სარქისბეგაშვილის განადგურება არ არის სოლომონის ცოდვა. მისი ცოდვა ტყუილიც არის. ტყუილის საშუალებით გამდიდრდა იგი. თუმცა პირველად უნაგაროდ იცრუა. დაუმალა მაჭანკალ დედაბერს, რომ გაიანეს შვილი იყო. „მანამდისინ ტყუილი არ მეთქო, მაშინ ვთქვი, და ამ ერთმა ტყუილმა, ოპ, ღმერთო, შემდგომში რამდენი ტყუილი მათქმევინა“. თითქოს ეს უცოდველი სიცრუე იყო, მაგრამ მერე ტრელობა\* სოლომონის სიმდიდრის საფუძველი გახდა. „მთელი ჩემი მოქმედება ტყუილზე იყო დაფუძნებული“.

\* ტრელობა – პირფერობა.



სოლომონს, რამდენიმე გროში რომ მოეგო, ტყუილი უნდა დაეწყო. „ტყუილად უნდა დაშეფიცნა. მაგრამ ამასაც შეეწვიე. ასე რომ, ხელის ხელსახოცად გავიხადე ტყუილი ფიცი, რადგან შეუძლებელი იყო უამისოდ მომეგო გროში“.

ცოდვას ცოდვა მოსდევს. ფულის უზომო სიყვარული წარმართავდა სოლომონის საქციელს.

„კაცის ენაზედ ვერ ვპოვებ სიტყვასა, რომ გამოეთქო, როგორ შამიყვარდა ის ოქრო! ღვიძლი შაიქნა ის ჩემი სულისა! ჩემმა გულმა გაუღო კარები და მაგრა ჩაიკრა!“

ამ „სიყვარულმა“ ისე დააბრმავა სოლომონი, რომ თავად ხომ შიმშილობდა და შიმშილობდა, ცოლ-შვილიც უკიდურეს გასაჭირში ამყოფა, სანამ ერთ დღეს, სოსია გამწყვლადის წინაშე შერცხვენილი, შინ არ მივიდა და გადამალული ფულები არ გადათავალა. აღმოჩნდა, რომ აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო. მართალია, სოლომონმა სახლიც იყიდა, მდიდრულადაც მორთო, ცოლ-შვილიც ოქრო-ვერცხლში ჩასვა, მაგრამ სულის სიმშვიდე ამით ვერ მოიპოვა. განსაკუთრებით მწვავედ განიცდის იგი მისი ქალიშვილის თამარის დაჭლებას. თამარს აღექანდრე რაინდიმე შეუყვარდა, მაგრამ ახალგაზრდა თავადმა ელენე არაგვლისშვილი შეირთო. ფულმა ვერ იყიდა სიყვარული. ფულმა ვერ მიაწვდინა ბედნიერება თამარს და იგი ღლოვინად ჩავარდა.

სოფიო ვერ გარკვეულა, რაშია საქმე, რატომ წავიდა მათი ოჯახიდან ბედნიერება.

„საკვირველია! ციხისუბნის ქოხში ერთობლივ მთლიანად ვიყავით; არც სიცივე და სიცხე, არც სიშიშველე და ნოტიო სახლი, არც შიმშილი და მწყურვალება არას გვაუნებდა. აქ კი, ღვთის წყალობით, ყოველივე უხვად გვაქვს: სახლი ისე არის მორთული და შემკობილი, რომ ხელმწიფეს ედგომილება; ჰერი უკეთესია; ნებიერება, სიამოვნება, სტუმარი, საზანდარი არ გვაკლია; მოსამსახურეები სულ თავს გვეკლებიან. სულიერ მამათაგან კურთხევა ხშირად მოგვეცემა ხოლმე; წყევა არავისაგან არა გექონია, მაგრამ ველარ ვიხიერეთ! აი მეცა, მგონია, დავსნეულდი; შენც, სოლომონ ისაკიჩ, ველარ ხარ უწინდელად მხიარული“.

თუ სოფიო ვერ ჩასწვდომია მდგომარეობის არსს, სოლომონისათვის ეს ნათელია. იგი ყველაფრის საფუძვლად ცოდვას სახავს. მას ეშინია ცოდვის სამაგიერო არ ეზღოს: „ფიქრშიაც შევედი, რომ სამაგიერო არ გადამხდოდა. შიშისაგან კანკალი დამაწყებინა, ცოტას გაწყდა, ჭკუიდან არ შევიშალე“. ასე ძლიერ ზემოქმედებს სოლომონის სამშენველზე ცოდვა. „...ამოვიკვნესე და ვიგრძენ, რომ კვნესა იყო შედგომილება იმ ბოროტისა და საცოდაობისა, რომელშიც ჩავაგდე



უბედური სარქისბეგაშვილი. მე ვცდილობდი, გამედევნა ეს ბნელი და მავნებელი ფიქრები, მაგრამ სვინდისი მდევნიდა, მაშხილებდა ცოდეგსა...

მართალია, სოლომონი სიკვდილამდე მდიდარი იქნება, პატივცემული და სხვათა შურის საგანი, მაგრამ მას ნამდვილი სიხარული აღარ ეწვევა. იგი მუდამ მჭმუნვარე იქნება, რამეთუ, როგორც თავად ამბობს, „ამ ჭმუნვის მიზეზი იყო ჩემში, ჩემს გარეთ არ ყოფილა“. თავისთავს კი ადამიანი ვერსად გაექცევა.

ჯერ კიდევ ნუ გავაკეთებთ დასკვნას. მხოლოდ კარგად დავიმახსოვროთ, რომ სოლომონ მეჯღანუაშვილს ცოდეგ აწუხებს და ჭმუნვისა და მწუნვარების მიზეზი მან თავისთავში აღმოაჩინა. მიზეზი გარეთ არ არსებობდა.

შკითხველს აღბათ ემახსოვრება „გლახის ნამბობის“ ერთი ეპიზოდი: ახალგაზრდა მღვდელმა დასახრჩობად განწირული მუშა გადაარჩინა. გაბრიელი ძლიერ გააკვირვა ხუცესის საქციელმა. განათლებულმა, პრივილეგირებულმა, კარგი მდგომარეობის მქონე კაცმა თავი გასწირა და გაიმეტა ვიღაც ბოგანოსათვის. ამასთანავე, ისიც ყურადღებაშისაქცევია, რომ მღვდელი დედისერთა იყო. დედამისს მის მეტი მანუგეშებელი და მარჩენალი არაფერ ჰყავდა. თან ავადმყოფობაც ახალგადატანილი ჰქონდა. თავს მთლად კარგად ვერ გრძნობდა, მაინც სხვის მისამველებლად დაუფიქრებლად გადაეშვა მდინარეში. უთხრა კიდევ ამის გამო საყვედური გაბრიელმა მოძღვარს:

„- მეტის-მეტი გამომეტებული ყოფილხარ. თუ შენი თავი არ გებრალებოდა, დედა-შენს მაინც შეიბრალებდი. უფრო ცოდეგ არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგვედო ამ ტრიალ ქვეყანაზე?.. სხვის მოსარჩენად დედა-ჩემს არ დავლუპავდი, ვერ დაუთმობდი, იმის იმოდენა საცოდაობას კისრად ვერ ავიღებდი. შენი სიცოცხლე იმისთვის სხვა რამ არის, სხვა ნუგეშია!“

ამის პასუხად მღვდელმა ეს უთხრა გაბრიელს:

„- სიცოცხლე ჩენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა...“

ცოტა ხნის შემდეგ ამ სიტყვებს მღვდელმა ესეც დაუმატა:

„იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო - მწყურვალე ვიყავ, არ მასვითო; მშვიდი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო; როცა მეტყვიანო: უფალო! სად გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ-განკითხული, - მე ვიყავიო. ესეა, ძმაო! სხვა შენთვის და შენ სხვისთვის; აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა...“

ასე ზრდიდა ილია ჭავჭავაძე ადამიანს მოყვასისადმი სიყვარულით. მაგრამ არცერთ სახელმძღვანელოში, რომელშიც „გლახის ნამბობზე“ ლაპარაკი, ეს ეპიზოდი, ეს დიალოგი უმთავრესი მსჯელობის საგანი



არ არის, უმთავრესი ანალიზისა და განმარტების საგანი არ არის უფრო მეტიც, როცა „გლახის ნამბობი“ ფილმად გადაიღეს, სწორედ ეს ადგილი გამოტოვეს, ხოლო მღვდელი მასწავლებლით შეცვალეს. ამით გამოიზატა ფილმის ავტორების ათეიზმი. ის კი ვეღარ შეამჩნიეს, რომ ილიას მოთხრობას გულ-ღვიძლი გამოაცალეს და ჩონჩხი დატოვეს.

ახლა ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“ გავიხსენოთ:

ვახტანგი ძმისწულია ლევანის, მაგრამ თავდავიწყებით სძულთ და მტრობენ ერთმანეთს. შუღლი დაბადა სურვილმა – მითთვისონ ერთმანეთის ქონება.

„არ გეყო, რომ მამაჩემს, შენს ძმას, რისხვა მეფისა თავს მოავლინე. მეფის ბრძანებით ჩაკალი და ეხლაც უცნობ ადვილას გდია. დედა ზაფარზე გარდამეცვალა. რაც მოძრავი, თეთრი თუ სამკაული მქონდა, წაიღე. თუ შეგარგებს, შეგარგოს ღმერთმა. ახლა კი იმ სამის სოფლიდანაც მიპირობ განდევნას, რომელიც დამრჩა“, – სწერს ვახტანგი ბიძას.

ლევანი მართლაც ცდილობს საერთო ენა გამოიხსოს აფხაზეთის მთავრის შვილთან, ოდიშელ პაატა ბატონიშვილთან, რომ საბოლოოდ მოსპოს ძმისწული. ეს შეთანხმება არ გამოვიდა, მაგრამ შემთხვევის წყალობით ვახტანგი მაინც ჩაუვარდა ხელში ლევანს და ბიძამ ძმისწული საზარელი სიკვდილით დასაჯა.

მაგრამ ისეთი მხეციც კი, როგორც ლევანია, ჩასწვდება თავის დანაშაულს და ბერად აღიკვეცება. იგი სათნოების განსახიერებად გადაიქცევა. „დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა. ჩიტები თამამად ჯდებოდნენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდნენ მის თმაზე. შველი, წყალზე ჩამოსული, ხელიდან ართმევდა ჭადის ნატებს. მოხუცი კი ღოცულობდა ხატის წინ. განუწყვეტლივ კითხულობდა სახარებას; უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გადათელვისათვის, მზის სხივის შეურაცხყოფისათვის. ორიოდ ლუკმისათვის, რომელსაც შორიასხლოს უტოვებდნენ მცხოვრებნი“.

ასევე დღედღამ ცოდვის გამოსყიდვაზე ფიქრობს ნიკო ლორთქიფანიძის სხვა მოთხრობის – „ჟამთა სიავის“ – პერსონაჟი იულონიც, რომელსაც დედა შემოაკვდა. მან იცის, რომ ამ დანაშაულს ხალხი არ აპატიებს. ამიტომ უნდა მონახოს გზა, რომელიც დაეხმარება მონანიებაში და შეუმსუბუქებს სასჯელს.

მაგრამ ცოდვის მონანიება ორგვარია – პასიური და აქტიური. ლევანი პასიურად ინანიებს ცოდვას. იგი განდევილობით ცდილობს დაადგეს კეთილის გზას. იულონი კი აქტიური საქმიანობის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზით აპირებს ჩადენილი დანაშაულის მონანიებას. „...თავს დაედებ მთელი საქართველოსათვის და მხოლოდ შემდეგ წავალ მონასტერში“. იულონი იწყებს საქმიანობას საერთო



ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნისათვის. თუ მოხერხდება საქართველოს გაერთიანება, ეროვნული მთლიანობის აღდგენა, „მაშინ დაიბადება მეორე შოთა და აშენდება გელათი და სვეტიცხოველი“. მოხდება არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული აღორძინებაც. ამისათვის თავის გადადება მაღლია, რომელიც წარხოცავს ცოდვას.

ასეთი აქტიური მონაწილის მომხრეა ნიკო ლორთქიფანიძე. იგი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს გულისხმობს და იბიტომ. აქ ღვივდება ოპტიმიზმისა და ისტორიული პერსპექტივის ნაპერწკალი.

ანატოლ ფრანსს დაწერილი აქვს ნოველა „შავი პური“, რომლის მთავარი გმირია ნიკოლა ნერლი.

ქალაქ ფლორენციის ბანკირი ნიკოლა ნერლი ძალიან ძუნწი იყო. ერთხელ შინ მობრუნებულს სახლთან მათხოვრები დაუხვდნენ და მოწყალება სთხოვეს. ნიკოლა ნერლის არ უნდოდა, რაიმე მიეცა მათთვის. მიერეკებოდა მათ, მაგრამ მათხოვრები თავს არ ანებებდნენ. ნერლი ქვის ასაღებადაც კი დაიხარა, მაგრამ ამ დროს დაინახა, რომ მის მსახურს კალათით შავი პური მიჰქონდა, რომელიც იმ მუშებისათვის უნდა ეჭმია, რომელნიც ნერლის თავლაში, სამზარეულოსა და ბაღში მუშაობდნენ. ნიკოლამ მსახურს მოუხმო, კალათიდან პურები ამოიღო და მათხოვრებს გადაუყარა. მერე სახლში შევიდა, დაწვა და დაიძინა. ეს იზმრა, რომ გარდაიცვალა და საიქიოში მთავარანგელოსი მიქელი დაინახა. მას ხელთ სასწორი ეჭირა. ნიკოლა მიხვდა, რომ მთავარანგელოსი აპირებდა, აეწონა მისი ცხოვრება, ცოდვა და მაღლი. ნერლი შეშინდა და უთხრა: მესსერ სანმიქელე, არ დაგავიწყდეთ ჩემი ქველმოქმედებანი – ტაძარი სანტა-მარია-ნოველლა, იონანე მოციქულის ეკლესიის საავადმყოფო, ანდრია მოციქულის კათედრალი, რომელსაც ბუნებრივი სიდიდის ქრისტეს ქანდაკება აშშვენებს.

ყველაფერი დადო მავარანგელოსმა მაღლის პინაზე, მაგრამ მაინც ვერ გადაწონა ცოდვის პინა. ნერლის ცივმა ოფლმა დაასხა. „ნუ გეშინია, ნიკოლა“, – უთხრა მიქელმა და მაღლის პინაზე\* ის შავი პურები დააწყო, რომელიც იმ დღეს მათხოვრებს გადაუყარა ნიკოლამ. პინა თანდათანობით დაიწია და გათანასწორდა. „შენ ჯერ არც სამოთხისა ხარ და არც ჯოჯოხეთის, – უთხრა მთავარანგელოსმა ნიკოლას, – წადი, ისევ იცხოვრე და გაამრავლე ის შავი პური, რომელიც დღეს დაარიგე და ღმერთი მოწყალეა“.

კიდევ სამ წელს იცოცხლა ნიკოლა ნერლიმ და იყო მოწყალე უბედურთა მიმართ.

ასე რომ, მხატვრული ნაწარმოების კითხვისას ესეც უნდა გავითვალისწინოთ – როგორ არის ცოდვა-მაღლის პრობლემა დასმული და გადაწყვეტილი.

\* პინა – სასწორის თეფში.

ცნება - „თერგდალეული“ - ორი მნიშვნელობით იხმარებოდა. ერთი, როგორც თიკუნი\* იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც მე-19 საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში წავიდნენ განათლების მისაღებად. რაკი მათ დარიალის ხეობაში საქართველოს საზღვარი და მდინარე თერგი გადალახეს, ხუმრობით „თერგდალეული“ შეირქვეს. მეორე, რაც უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია, „თერგდალეული“ სახელია გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის წევრისა. ეს საზოგადოებრივი მოძრაობა არსებობდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

„თერგდალეულები“ იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, ვახტანგ თულაშვილი, სამსონ აბაშიძე, პეტრე ნაკაშიძე...

„თერგდალეულთა“ წრის ჟურნალ-გაზეთები იყო „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კრებული“. „თერგდალეულობის“ როგორც საზოგადოებრივი მოძრაობის არსს სწორედ ამ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი თხზულებანი გამოხატავდნენ.

თერგდალეულთა მოძრაობის დასაწყისად მიჩნეულია 1861 წელი, როცა ჟურნალ „ცისკრის“ მე-4 წიგნში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის სტატია - „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შემლილის“ თარგმნაზედა“. ამ სტატიას მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში ცხარე კამათი მოჰყვა. საზოგადოება ორად გაიყო. ახალგაზრდები მხარს უჭერდნენ ილია ჭავჭავაძეს, ხოლო ხანდაზმულები გულმხურვალედ ედავებოდნენ მას. შემდგომ ამ დავა-პაექრობას „მაშათა და შვილთა ბრძოლა“ უწოდეს.

„თერგდალეულთა“ საერთო მიზანი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის შეცვლა და განახლება იყო. ამ მიზნის მისაღწევად მათ ერთიანი, საერთო თვალთახედვა ჰქონდათ შემდეგი საკითხებისა:

პირველი:

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარია. მეცნიერება და ტექნიკა უკვე გაბატონებულია. თვინიერ მეცნიერებისა და ტექნიკისა რაიმეს კეთება და რაიმე წინსვლა, რაიმე განახლება შეუძლებელია. ევროპა მომავლის ოცნებას მეცნიერებისა და ტექნიკის ძალას უკავშირებს.

\* თიკუნი - შერქმეული სახელი, მეტსახელი.

მეცნიერებას და ტექნიკას რომ მტკიცედ დაუფულო, აუცილებელია საყოველთაო განათლება.

„თერგდალეულებიც“ განათლების აპოლოგეტები\* არიან. ამას თხზნი არა მარტო თეორიულად მოითხოვდნენ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ. ამის დასტურია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება, სკოლების გახსნა, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და სხვა ამდაგვარი საქმიანობა. მაგრამ განათლება რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, აუცილებელია სალიტერატურო-სამეცნიერო მეტყველება დაუახლოვდეს ხალხის მეტყველებას. მათ შორის კედელი არ უნდა იყოს აღმართული. მეცნიერება-ხელოვნება არ უნდა მეტყველებდეს ხელოვნურად შექმნილი, საგანგებო, ძნელად გასაგები ენით. „თერგდალეულებმა“ სამეცნიერო-სალიტერატურო ენის ძირეული რეფორმა მოახდინეს. სამეცნიერო-სალიტერატურო ენა ხალხისათვის მისაწვდომი და იოლად გასაგები გახადეს.

ენის რეფორმას ცხარე სჯა-ბაასი, შეხლა-შემოხლა მოჰყვა, მაგრამ „თერგდალეულებმა“ ეს საქმე გამარჯვებით დაავსებდნენ.

მეორე:

„თერგდალეულები“ ხელოვნება-მწერლობას ხალხის, საზოგადოების მსახურად მიიჩნევდნენ. ხალხისა და ქვეყნის ჭირ-გარამი, შება-ლხენა, მწერლობა-ხელოვნების ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს შეხედულება მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის და სხვათა ნაწერებში. ყოველი მათგანი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ამ შეხედულების.

მესამე:

როგორც მთელი რუსეთის იმპერიის, ისე კერძოდ საქართველოს წინსვლა-განათლებას ძალიან უშლიდა ხელს ბატონყმობა. ბატონყმობის გაუქმება გადაუდებელი საქმე იყო, მაგრამ ძნელად განსახორციელებელი. აუცილებელი გახლდათ ხალხის ცნობიერების აღზრდა. ბატონყმობის გაუქმებას ეწინააღმდეგებოდა არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ ყმაგლეხობაც. რუსეთის იმპერიის ყმაგლეხობას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა უბატონოდ. დღეს ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ასე არ ყოფილა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ყმაგლეხობის გათვითცნობიერება, მათი დაჯერება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე თავადაზნაურობის. როცა რუსეთში ბატონყმობა გაუქმდა, უამრავმა ადამიანმა მოიკლა თავი, უბატონოდ რა მესველეთაო. ხელისუფლება იძულებული იყო სოფლებში ჯარი ჩაეყენებინა და თვითმკვლელობანი აღეკვეთა. შეხედულებათა შეცვლაში, ახალი ცნობიერების აღზრდაში

\* აპოლოგეტი – დამცველი, მოძრე.



განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლი შეასრულა მწერლობამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გამოქვეყნების შემდეგ, ბატონყმობა, როგორც საზოგადოებრივი წეს-წყობილება, მკაცრად და დაურიდებლად სწორედ „თერგდალეულებმა“ გააკრიტიკეს. მათ მოამზადეს საზოგადოებრივი აზრი საქართველოში ამ დიდი რეფორმის ჩასატარებლად. ამ მხრივ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაშრომებს.

მეოთხე:

ბატონყმობის გადავარდნას და ახალი წეს-წყობილების თანდათან ჩამოყალიბებას შრომის განთავისუფლებაც უნდა მოჰყოლოდა. „შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი ძლევა მოსილის ამ საუკუნის“ (ი. ჭავჭავაძე – „აჩრდილი“). მაგრამ „თერგდალეულთა“ აზრით, შრომის განთავისუფლება არ უნდა მომხდარიყო კლასობრივი ბრძოლის საშუალებით, როგორც ამას სოციალისტ-კომუნისტები ქადაგებდნენ. არცერთი „თერგდალეული“ არ ყოფილა კლასობრივი ბრძოლის მომხრე. კლასობრივი ბრძოლა მათ უაღრესად საშიშ მოვლენად მიაჩნდათ, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერებისათვის. კლასობრივი ბრძოლით ერი თვითგანადგურებას ეწევა. არაერთარი კეთილი ნაყოფი ამ ბრძოლას არ მოაქვს. იგი აქცევს ქვეყანას. ხდება ადამიანთა უაზრო და უძიზნო ხოცვა-ჟლეტა, ამიტომ, „თერგდალეულთა“ შეხედულებით, აუცილებელი იყო ერის, ხალხის მთლიანობა-ერთიანობა. ახალი სამყარო ყველას ერთად უნდა ჩამოეყალიბებინა და ეშენებინა. თუ რაიმე მიზეზით ადამიანთა და წოდებათა შორის ხიდი ჩატეხილი იყო, იგი უნდა აღედგინათ. ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლა ერთიან ნიდავს უნდა დაყრდნობოდა.

მეხუთე:

„თერგდალეულთა“ დაჟინებული ყურადღების საგანი იყო ეროვნული პრობლემა. საქართველო კოლონიური ქვეყანა იყო. იგი იურიდიულად აღარ არსებობდა. იურიდიულად საქართველო იყო ორი გუბერნია – თბილისისა და ქუთაისის – და სამი ოლქი – სოხუმის, ბათუმისა და ზაქათალის. ამ ვითარებას, რა თქმა უნდა, ვერცერთი საღად მოაზროვნე ქართველი ვერ შეეგუებოდა. ამიტომ, „თერგდალეულთა“ ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა საქართველოს ბედ-იღბალი, მასზე ფიქრი და ზრუნვა. მოღვაწეობის დასაწყისშივე, ილია ჭავჭავაძის პირით, წამოაყენეს მათ მოღვაწეობის ძირითადი მიზანი – ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო.





„თერგდალეულთა“ პოლიტიკური იდეალი იყო საქართველოს ავტონომია რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ავტონომიის საფუძვლის გავლა მათ აუცილებლად მიაჩნდათ. მათი აზრით, ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კოლონიას წარმოადგენდა, ცხოვრობდა უარესად ჩამორჩენილ ფეოდალურ წესწყობილებაში, ეკონომიკურად ღარიბ-ღატაკი იყო, განათლებით კულში მისჩანჩალებდა იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებს, ერთბაშად ვერ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. თუ შემთხვევით მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, ვერ გამოიყენებდა მას. დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი მომზადება იყო საჭირო. ამ მომზადებისათვის კარგ პირობებს შექმნიდა ავტონომია. რუსეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიური საქართველო ყველა თვალსაზრისით – ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად, კულტურულად, განათლებით, სამხედრო კუთხით – კარგად მოემზადებოდა. როცა ყველა თვალსაზრისით მომზადებული საქართველო სრულ თავისუფლებას მოიპოვებდა, მერე მას ამ დამოუკიდებლობას ვეღარავინ წაართმევდა. თავდაცვაც შეეძლებოდა და მტრისათვის საკადრისი პასუხის გაცემაც.

მაგრამ „თერგდალეულთა“ ამ მისწრაფებას განხორციელება არ ეწერა. ქართველ სოციალ-დემოკრატთა, ანუ სოციალისტ-კომუნისტთა საქმიანობამ მათი ოცნება მოკლა.

ამ ერთიანი და საერთო შეხედულებების მიუხედავად, „თერგდალეულობას“ მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სახე არ ჰქონდა. მოგვიანებით ამას თავად იაკობ გოგებაშვილიც აღნიშნავდა:

„მართალია, ვერ შევექმნით შესამოცეებმა (სამოციანელებმა, „თერგდალეულებმა“ – რედ.) ორგანიზაცია და ეს იყო სუსტი მხარე ჩვენი მოქმედებისა, მაგრამ ვერც ჩვენმა უღმობელმა კრიტიკოსებმა ისახელეს ამ მხრივ თავი. მათაც არავითარი რეალური მოქმედი ორგანიზაცია არ შეუქმნიათ, მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა დაარსეს და გაჩარხეს ძლიერი ორგანიზაცია და აკი კიდევაც გაჰყავთ და გაჰყავთ თავისი“ („რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, 1977 წ., გვ. 130).

ალბათ, ამისი ბრალია, რომ „თერგდალეულობამ“, როგორც საზოგადოებრივმა მოძრაობამ, ცოტა ხანს იარსება და 70-იანი წლების დასაწყისში მოქმედება შეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ „თერგდალეულები“, როგორც პიროვნებანი, დიდხანს და აქტიურად მოღვაწეობდნენ მწერლობაშიც და საზოგადოებრივ ასპარეზზეც. მათ საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდი და წარუშლელი კვალი დაამჩნიეს.

თუ არავინ დავობს „თერგდალეულობის“, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობის დასაწყისზე, ქართულ მეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი



აზრი მის დასასრულზე. სხვადასხვა თარიღი ივარაუდება. აქ უტყუარად იმისი თქმა შეიძლება, რომ „თერგდალეულთა“ მოძრაობის სხვადასხვა მოვლენამ შეუწყო ხელი.

პირველი: ილია ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბის“ დახურვის (1863 წ.) მერე დუშეთში მსახურობდა. მართალია, მაშინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქტიურად თანამშრომლობდა, მაგრამ თბილისის, ანუ ცენტრის საზოგადოებას მაინც მოწვევტილი იყო.

მეორე: 60-იანი წლების ბოლოს ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრნენ. თერგდალეულთა მოძრაობისათვის ესეც ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. ევროპული სამყაროს გაცნობამ ნიკო ნიკოლაძის და გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა. ისინი დარწმუნდნენ, რომ თუ საქართველოს უნდოდა, მარადიული ჩამორჩენისათვის თავი დაედოწია, იგი განვითარების ევროპულ გზას უნდა დადგომოდა. მართალია, ტერიტორიულად რუსეთი ევროპას ეკუთვნოდა, მაგრამ არც რუსულ კულტურას, არც რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას ევროპული ხასიათი და თვისება არ ჰქონდა. ფუჭად ჩაიარა პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის თავგამეტებულმა მცდელობამ ევროპულ სახელმწიფოდ ექციათ რუსეთი.

ევროპული კულტურა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჩამოყალიბდა ბერძნულ-რომაულ ანტიკურობასა და კათოლიკურ-პროტესტანტული ქრისტიანობის საფუძველზე. რუსული კულტურა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება კი შეიქმნა ბიზანტიურ-მონღოლური შუასაუკუნეების საფუძველზე. მათი მორიგება უაღრესად ძნელი იყო. საქართველოს არჩევანიც მომავლისათვის ამ ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-სახელმწიფოებრივ სისტემათა შორის უნდა მომხდარიყო. ეს პრობლემა ცხარე კამათს იწვევდა „თერგდალეულთა“ შორისაც.

მესამე: 1871 წელს კავკასიას იმპერატორი ალექსანდრე მეორე ეწვია. იგი საქართველოშიც გულლიად და ხელგაშლით მიიღეს. მაშინაც დიდი კამათი აღყდა — რას შევედროთ ხელმწიფეს, რა წყალობა გამოვთხოვოთ. ამ პაექრობამაც ქართული საზოგადოება ორად გააყო.

ერთი ნაწილი ფიქრობდა, ყველაზე მეტად უმაღლესი სასწავლებელია საჭირო და იმპერატორს მისი დაარსება უნდა ეთხოვოსო. ეს აზრი პირველად გიორგი წერეთელმა გამოთქვა. ილია ჭავჭავაძემაც მას დაუჭირა მხარი.

მეორე წყება სამხედრო სასწავლებლის დაარსებას ამჯობინებდა. სერთოდ კავკასიური და კერძოდ ქართული საზოგადოების უძრავლესობა (არისტოკრატიული წარმომავლობისაც კი) დარიბ-ლატაკი იყო.



უნივერსიტეტში სწავლის ქირის გადახდა უჭირდა. სამხედრო სასწავლებელში სწავლა უფასო იყო, ხელისუფლების ხანჯზე მიმდინარეობდა. ამიტომ უმრავლესობას უნივერსიტეტს სამხედრო სასწავლებელი ერჩია.

ნიკო ნიკოლაძე არც პირველს მიემხრო და არც მეორეს. მან შესაძებ აზრი გამოთქვა: ხელმწიფეს კავკასიაში ერობის შემოღება ვთხოვოთო. ერობა თითმმართველობის ფორმა იყო. იგი საკუთრივ რუსეთში არსებობდა. კოლონიებში ერობის შემოღება ხელისუფლებას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. ნ. ნიკოლაძეს მხარი მხოლოდ ერთმა კაცმა დაუჭირა – სომეხმა მოღვაწემ ნაპოლეონ ამატუნიმ.

ნიკოლაძეს ერობის შემოღება კავკასიაში იმიტომ უნდოდა, რომ ფიქრობდა: ერობის მეშვეობით ხალხი სახელმწიფოს მართვას ისწავლის. როცა საქართველო და დანარჩენი კავკასია დამოუკიდებელი გახდება, ხალხს ახალი სახელმწიფოს აშენება არ გაუჭირდებაო. ეს შორსგაჭურჭილი წინადადება იყო, მაგრამ მაშინ ამას ვერავინ მიხვდა.

მაშინ, 70-იანი წლების დასაწყისში, სამხედრო სასწავლებლის დაარსების იდეამ გაიმარჯვა. დაარსდა კიდეც.

მეთხევ: „თერგდალეულთა“ შორის საადგილმამულო ბანკის დაარსების გამოც ატყდა კამათი. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ორი საადგილმამულო ბანკი უნდა დაარსებულიყო, ერთი თბილისში აღმოსავლეთ საქართველოსათვის და მეორე ქუთაისში დასავლეთ საქართველოსათვის. თბილისის საადგილმამულო ბანკისათვის ილია ჭავჭავაძის შედგენილი წესდება მიიღეს. ქუთაისის საადგილმამულო ბანკისათვის წესდება ბესარიონ ლოლობერიძეს უნდა დაეწერა. მას ილიას შედგენილი წესდება მოეწონა. ახალი აღარ დაუწერია, ქუთაისის ბანკიც იმ წესდების შესაბამისად ამოქმედდა, რომლის საფუძველზეც თბილისის ბანკი მუშაობდა. ამის გამო ბესარიონ ლოლობერიძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის ხანგრძლივი დავა გაიმართა. ნ. ნიკოლაძეს უნდოდა, რომ ქუთაისის საადგილმამულო ბანკს საკუთარი, თავისებური წესდებით ემუშავა. ამ დავაში ილია ჭავჭავაძეც ჩაება. იგი ბესარიონ ლოლობერიძეს მიემხრო.

ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

სხვადასხვა საკითხებზე ამგვარმა იდეურმა დავამ „თერგდალეულთა“ მოძრაობა შიგნიდან დაშალა. ამას დაემატა ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა, 70-იანი წლების დასაწყისში, ახალ მიმართულებას ჩაუყარეს საფუძველი. იგი მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიაში „მეორე დასის“ სახელით არის ცნობილი. ზოლო „პირველი დასის“ სახელი „თერგდალეულთა“ მოძრაობას დარჩა.



### ლიტერატურა:

- კიტა აბაშიძე – „ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“.
- არჩილ ჯორჯაძე – „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“.
- ვახტანგ კოტეტიშვილი – „ქართული საზოგადოებრივი ისტორიის ნარკვევები“, ტ. 2.
- პროკოფი რატიანი – „თერგდალეულთა“ რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“ და სხვ.



ჯერ არ შეხვედრია ამ ქვეყნად ადამიანი, უსაუკუნოება უშეცდომოდ გაეცლოს. მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი გამძვინვარებული პიროვნებაა და ცხოვრებაში მხოლოდ ცეცხლით დააქსოვს მძიმე თაობების ვალს, ციფრით დაეკრძალოს აწონოს აუკარგი ამა თუ იმ მოღვაწისა და ყველაფერს საკადრისა მთელს თან კარგს – კარგი, აქს – აუა.

საქმის კატობას ისევე სჭირდება ღვთის ბოძებული ნაწი, რით გორს პოეტიკობას და შუაი კოსობას.

1941 წლის



## ილია ჭავჭავაძე

### სიყვარულს უშიშაობა

როცა ილია ჭავჭავაძის ლირიკას თავიდან ბოლომდე გადაავლებთ თვალს, პირველი შეხედვით მოულოდნელი სურათი დაიხატება. მისი ჭაბუკობის პერიოდის ლექსები სავსეა უიმედო, სასოწარკვეთილი, სევდიანი განწყობილებით. მერე ეს იცვლება სატირული, მაშნილებული, მოურიდებელი დამოკიდებულებით და ბოლოს მთავრდება დინჯი, დაჯერებული, მტკიცე რწმენით.

ჩვეულებრივ, ადამიანი ალტაცებული და იმედით სავსე იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას. მერე თანდათან იფერფლება ანთებული ცეცხლი. სიცივე და სუსხი მატულობს. მოახლოებული სიბერე და სიკვდილი კი საბოლოოდ ნერგავს უსასოობის გრძობას და ყველაფერს არარსებობის დამორგუნველი აჩრდილი ეუფლება. ილიასთან კი პირიქით არის. ასაკმა და დრომ მხნეობა და იმედი უფრო განუმტკიცა, ვიდრე შიში და უიმედობა.

ალბათ, ახალგაზრდობის ასაკში შექმნილი ლექსები უფრო საერთო განწყობილების გავლენა-კარნახით არის დაწერილი, ვიდრე უშუალო, საკუთარი ანალიზისა და დაკვირვების შედეგად. ადამიანებს, საერთოდ, სჩვევიათ სოფლის სამღურავი. ჩივილით, ვიშვიშით პრანჭიაობა და გონებრივი სიღრმის მოჩვენებითი დემონსტრაცია. ამ ტრაფარეტულ სულიერ მდგომარეობას ადამიანი ყმაწვილკაცობაში ადვილად ემორჩილება. ბუნებრივია, ეს მორჩილება არც ილიას ასცდენია.

18-20 წლის ასაკშია ქვემოთ ციტირებული სტრიქონები შეთხზული:

ვგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,  
რა ეწვევა მას სიკვდილი – მტერი,  
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება  
ერთი მუჭალა გამხმარი მტკერი.  
(„სანთელი“)

გამიჭრა ბედის ჩემის ვარსკვლავი,  
კვლავ დამიბოღდა ობოლი თავი,  
წამერთო ყველა და ნუგეშად დღეს  
მარტოლა ცრემლი მე დამშთენიეს.  
(„ვაი მას – ვისაც...“)



...  
განძრცვილვარ გრძნობით, უდროოდა მეკვეთენ ფრთენი,  
გაზაფხულია, მე კი ვდგევარ, ვით უფოთლო ხე.  
(„ოჲ, სად არიან...“)

...  
ესე უწყალოდ განწირული და დაშლილი  
ვევლე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა,  
ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო დუმილი,  
მოლხენით იყენენ უდარდელნი მთიები ცისა!  
(„მწუხარება“)

...  
დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,  
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;  
აღარ მაქვს საზრდო ხულისათვის მე,  
არც სიძულვილში, არც სიყვარულში!  
(„დაბნელდა სული“)

ამ ლექსებში ყველაფერია – უნუგეშობა, მარტოობა, სევდა, უიმედობა, განწირულება, – მაგრამ არ არის ილიას სულის ნამდვილი თვისება და ბუნება, რაც მალე ასე მკაფიოდ გამოვლინდება მის შემოქმედებაში. თუმცა ერთი რამ კი უნდა ითქვას: მიუხედავად ნაცნობი და გავრცელებული მოტივებისა, ამ ლექსებში აშკარად ჩანს შინაგანი ენერგიით სავსე კაცი. საერთო განწყობილებაში იკითხება ბრძენის სკეფსისი\*, რომელსაც, ცხადაა, არაფერი აქვს საერთო წუწუნთან. ბრძენისათვის პიროვნების არსებობის წარმავლობა ღვთაებრივი კანონზომიერებაა. მართალია, სევდისა და დარდის აღმძვრელი, მაგრამ ნუგეშის მიზნიჭებელიც, რამეთუ ადამიანს ელის მარადიულთან შერწყმა. მარადიულთან შერწყმის მოლოდინი კი თავად არის სულიერი მხნეობის და სიმშვიდის წყარო.

ოდეს დემონი ურწმუნოების,  
უკუთქმისა და მაცთურების  
საწამლაით თვის სავსეს თასს მაცდურს  
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძღურს, –  
ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, –  
ნა დამაწაფებ დემონის ფიალს;  
და უკეთუ არს შესაძლებელი,  
მე განმარიდენ იგი სასმელი.  
მაგრამ, თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,

\* სკეფსისი – აქ: დაქვეება.

რათა გამოცდა მით ქჷონდეს ჩემს სულს,  
განჰქრნენ შენს ხმასთან სურვილნი ჩემნი  
და იყავნ ნება, უფალო შენი!



(„ლოცვა“)

ილიას სევდა ბუნების შეცნობილი კანონზომიერების და ღვთაების ნების აღიარებაა.

სინამდვილისადმი დამოკიდებულებას თანაბრად განაპირობებს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი. როგორც ობიექტურ მოვლენას შეუძლია წარმოშვას ადამიანის სულში სასოწარკვეთის განწყობილება, ასევე დაბადებითაც შეიძლება იყოს ადამიანი უნუგემო და უსასოო თვისების მქონე. ასეთ ადამიანებს, როგორ პირობებშიც უნდა იცხოვრონ მათ, არასოდეს უნდებათ სინამდვილისადმი აქტიური დამოკიდებულების გრძნობა-სურვილი. მთელი მათი არსებობა ერთი გაუთავებელი გლოვა და წუწუნია. აქტიური ბუნების ადამიანები შეიძლება წამიერად, ღროებით შეიპყროს სკეფსისმა, მაგრამ ისინი მალე სძლევენ ამ განწყობილებას და არსებულის შესაცვლელად, გარდასაქმნელად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან.

ილია ბუნებით აქტიური ადამიანი იყო, მისი ზღვა ენერგიის სასოწარკვეთის ჩარჩოში მოქცევა არავითარ ძალას არ შეეძლო, თუმცა სინამდვილე, რომელშიც აღიზარდა და მოღვაწეობა დაიწყო, უპერსპექტივობის გარდა, სხვა გრძნობას ვერ გაუჩნდა.

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი  
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეაღერსება...  
ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,  
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?

(„ეღვიძება“)

განა საღათას ძილით შეპყრობილი ქვეყნის ხილვა რაიმე ნუგეშს ან იმედს მოჰკვრიდა?

მრავალწლიან მონობას ქართველი ხალხის სიმტკიცე გაეტეხა. იგი კმაყოფილი იყო, ფიზიკურად რომ არსებობდა. თავდახსნის ყველა ცდა მარცხით იყო დამთავრებული: 1804 წლის მთიულეთის ამბოხი, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1821 წლის იმერეთის ინსურექცია, 1832 წლის შეთქმულება, 1841 წლის ჯანყი გურიაში. სისხლით დაცლილი, გულგატეხილი საქართველო ღუშდა. ყველა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილიყო.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუუზიარო!

(„მას აქეთ, რაკი“...)

განა მარტოობის, სრული უკონტაქტობის ატმოსფერო რაიმე ნუგეშს ან იმედს მოჰკვრიდა?

ასეთ სიტუაციაში ბუნებრივად უნდა გაჩენილიყო უსასრულო სევდის განწყობილება, მაგრამ პირიქით მოხდა, ამის საფუძველი ილიას სულიერ სამყაროში იდო. ზუსტად შენიშნა ვახტანგ კოტეტიშვილმა: „არცერთ ქართველ პოეტს არ ჰქონდა სიკვდილის ისეთი დიდი შიში, როგორც ილია ჭავჭავაძეს“. გასაგებია, რომ ვ. კოტეტიშვილი ლაპარაკობს არა ხორციელი სიკვდილის შიშზე, არამედ სულიერი სიკვდილისა, როცა ადამიანი ცოცხალია, მაგრამ მისი არსებობა უმაქნისია. სწორედ უმაქნისი არსებობის, სულიერი სიკვდილის შიშმა აღძრა სამოქმედოდ ილიას ენერგია.

ყველას გაუძლებ, როგორც კლდე ქვისა,

ბედთანა ბრძოლა ვით შემინება?

ხოლო ჩემ თავის არაფრობისა

არ ძალმიძს, მძანო, ვერ რით გაძლება!

(„ბევრი ვიტანჯე, ვიცი რომ მელის“...)

ერთ ლექსში („მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“...) ილია თავისთავს ზღვის თვალუწვედენ სივრცეში მარტოდმარტო დარჩენილ ადამიანს ადარებს. „და ზღვის ღელვაში, გრივალთ ქროლაში არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად“. ასეთი განწირულების მიუხედავად, პოეტი მაინც ყველაფრის გაძლებას ეტრფიალება და დამარცხებას ვერ ეგუება.

და ურგებს ჩემს კვალს იგი სინქარით

სქლადა დაჰფარავს ზვირთთა კამარით...

თუ ვერე წარუხდე, ნუ ატირდები,

მე იმ ცრემლებად არ ველირები!...

თანდათანობით მკაფიოდ და ცხადად იკვეთება, რომ ილია ძლიერი პიროვნების მეტრფეა. მაგრამ რა ზნეობრივი იდეალი უნდა იყოს ძლიერი პიროვნების საზრდო? ადამიანს ორი გზა აქვს – ღვთიური და ეშმაური. ორივე გზას ძლიერი პიროვნება ადგას, სუსტი არც





ღვთიურის მიმდევარია და არც ეშმაურის. იგი არაფრობაა, რომელიც  
 ესოდენ ძლიერ სძულს ილიას. თუ ძლიერი პიროვნება ღვთიურ ვაზს  
 დაადგება, ქვეყანას ააშენებს. თუ – ეშმაურს, ქვეყანას დააქცევს.  
 ამიტომ აქვს ზნეობრივ იდეალს განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

ნუთუ არ იცი, რას გვამცნობდა ღმერთი ვჰარცმული,  
 როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“.  
 („როდემდის“)

თურმე ზნეობრივი ამოცანა უზენაესის ბადალი სრულყოფისაკენ  
 ლტოლვაა, რომ ზნესრული ადამიანი ჩამოყალიბდეს.

ადამიანთა დიდი უმრავლესობა არაფრობის წილში შესანიშნავად  
 გრძნობს თავს და განცხრობით ცხოვრობს. მცირე ნაწილი ეშმაურს  
 ეტრფიალება. მხოლოდ რჩეულნი კაცნი მისწრაფვიან ზნესრულობისაკენ.  
 ოღონდ მარტო მისწრაფება არ კმარა, იცოდვე უნდა კიდევ, რა გზით  
 იარო.

უსულდგმულო ცხოვრება  
 ცის ნიჭად ნუ გგონია,  
 იგი მიწის ყოფილა –  
 რასაც ბოლო ჰქონია!  
 ცხოვრებას აცისკროვნებს  
 სული, საქმით მეტყველი,  
 და ის უბოლო არის,  
 ვით სულის შთამბერველი.

(„უსულდგმულო ცხოვრება“)

ზნესრული ადამიანისაკენ მიმავალი გზა საქმით მეტყველი სული  
 ყოფილა. უკვდავებაც საქმით მეტყველი სულის წილხვედრია. იგი  
 უსასრულოც არის, როგორც ღმერთი („სულის შთამბერველი“ ამ  
 ლექსში ღმერთის ეპითეტია).

საქმით მეტყველ სულს შინაგანი მამოძრავებელი ძალა სჭირდება.  
 ეს ძალა სიყვარულია. ცალ-ცალკე საქმით მეტყველი სული და  
 სიყვარული არ არსებობს. ისინი ერთი მთლიანობაა.

კაცო, ვიყვარდეს!  
 ცით შთამომძახეს,  
 როს მათ დაჰბადეს.  
 ყველგან ეს სიტყვა  
 ლამპრად წინ მიშვეა

და ქვეყნად ჩემ სვლას  
სცემდა წმინდ ნათულს.  
მისთვის გეტყვი ძმას:  
შენცა გიყვარდეს!

(„გიყვარდეს“)

...  
გებრალუბოდეს, ნუ პრისხავ  
კაცს შენზედ შურით შწდომსაო!..  
კეთილი ფარად უფარე  
შენთვის ბოროტის მდომსაო!..  
მადლისა წყაროს ასმევედ  
ცოდვის გუბეში მდგომსაო.

(„დამაკვირდი“)

...  
მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!  
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი, ვდგეკარ შენ წინა:  
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,  
არ მინდა ამით შუურაცხ-ვკყო მე ლოცვა წმინდა...  
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,  
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,  
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,  
გთხოვდე: „შეუნდე – არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.

(„ლოცვა“)

ხალხური სიბრძნისათვის დამახასიათებელი უბრალოებით და  
სიცხადით გამოთქვამს ილია არსებობის მარადიულ წესს.

წუთის-სოფელი ესეა:  
ღამე დღეს უთენებია,  
რაც მტრობას დაუქცევია,  
სიყვარულს უშენებია.

(„დამაკვირდი“)

ასეა, კეთილის, ანუ ღვთაებრივის საფუძველი სიყვარულია. ბოროტის,  
ანუ ეშმაურის – სიძულვილი. არსებობა კი იმ ორი საწყისის მარადიული  
ბრძოლაა. არსებობისათვის ბრძოლაში საქმით შეტყვევლი სული ირჩევს  
კეთილს, სიყვარულს. არაფრობა და ეშმაური – ბოროტს, სიძულვილს.  
ამ ბრძოლაში არაფრობა და ეშმაური ერთმანეთის მოკავშირეა საქმით  
შეტყვევლი სულის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ილიას ცხოვრების



დასასრული მკაფიო სურათია ამისა. წინამურის ველზე არაფრობასთან შეკავშირებული ეშმაური ჰკლავს საქმით მეტყველ სულს.

საქმით მეტყველი სულის, ანუ ზნესრული ადამიანის მრწამსი ილიასთან ასეთია:

ზოლო გვწამს ღმერთი —  
 უქმთა წამწყმელი,  
 ტვირთმძიმეთა და მამურალთა მხსნელი,  
 ღმერთი ტანჯულთა,  
 ღმერთი ჩაგრულთა,  
 ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი,  
 ყოველთა ძმობის,  
 თანასწორობის  
 მოძღვრობისათვის ქვეყნად ვკარცმული,  
 ძლიერთ დამხმელი,  
 უძლურთ ამხსნელი,  
 თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-ღვეწული;  
 ორგულობისა,  
 ორპირობისა  
 ძირსა დამცემი და დამორგუნველი,  
 ფარისევლთა,  
 სადუკეველთა  
 გამაკიცხველი და გამღვეწელი.  
 („პასუხის პასუხი“)

უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ილიას ლირიკის გმირია ზნესრული ადამიანი, ანუ საქმით მეტყველი სული, რომელსაც სიყვარული უნათებს გზას ღვთაებრივის სამსახურში და რომელიც კატეგორიულად უარყოფს არაფრობას, როგორც ეშმაურის მოკავშირეს და საფუძველს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პოეზიაში დასმული თითქმის ყველა პრობლემა ილიას გადააქვს პროზაში და სახისმეტყველებით წარმოადგენს. პიროვნების არაფრობა განსახიერებულაა ლუარსაბ თათქარიძეში („კაცია-ადამიანი?!“), საქმით მეტყველი სული — ოთარაანთ ქვრივში („ოთარაანთ ქვრივი“), პატიების და სიკეთით ანახლაურების საკითხი — პეტრეს, ბეჟანის და მისი ძმის ურთიერთობაში („სარჩობელა ზედ“).

ყოველ აზრს მაშინ აქვს ფასი და ჭეშმარიტი ღირებულება, როცა მისი ავტორი თავად ცდილობს აზრის საქმედ ქცევას. თავად ცხოვრობს და საქმიანობს შემუშავებული აზრის თანახმად. საერთოდ, თუ ღმერთმა აზროვნების უნარი მოგანიჭა, შედარებით იოლი საქმეა ნაირნაირი



აზრის გამოთქმა-ჩამოყალიბება. უძნელესია (უძრავლესჯერ შეუძლებელი) აზრის საქმედ გადაქცევა-განხორციელება. სწორედ აქ მარცხდება ხშირად თავისთავად მომხიბლავი და ლამაზი აზრი. აქ გამოჩნდება, რომ მოაზროვნე შიშველია, საქმესა და აზრს „შუა უღვეს დიდი მზღვარი“.

აზრისა და საქმის ერთიანობის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ილიას შემოქმედებისა. ამიტომ არ მიაჩნდა მას მიზანშეწონილად მწერლისა და მოქალაქის გაყოფა. ისინი ერთიანი და მთლიანი იყვნენ მისთვის.

მე ცა მნიშნავს და ერი შზრდის  
 მიწიერი ზეციერსა;  
 ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
 რომ წარვუძღვე წინა ერსა.  
 („პოეტი“)

ამ ლექსში ორი საკითხია დასმული: პირველი – არ არსებობს პოეზია თვინიერ ორი საწყისისა – ზეციერისა და მიწიერის, ე.ი. ღვთაებრივისა და ადამიანურის თვინიერ. მეორე – ხნესრული ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ერის სამსახური. კაცობრიობას ემსახურება მხოლოდ ის, ვინც ემსახურება ღვიძლ ერს. ვინც თავის ერს არ ემსახურება, ის არაფრობის ყმაა. მშობელი ერისაგან განდგომა „ზოგადკაცობრიული საქმიანობის“ სახელით მტკნარი სიცრუეა და ურცხვი დემაგოგია.

ერის წყლული მანდეს წყლულად,  
 მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
 მის ბედით და უბედობით  
 დაძვდავოს მტკიცე გული...  
 („პოეტი“)

ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე პეტერბუგიდან შინ, საქართველოში, ბრუნდება. იგი მამულის სამსახურად ემზადება და გულალაღად ეკითხება თავისთავს – „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?.. – შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ეუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოეურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უწვევმოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო?“

საქართველოს სამხედრო გზით მომავალს მოხვეე ღელთა ღუნია შეხვედრია. უბირ გლეხს ეს უთქვამს ილიასთვის – „ჩვენი თავი



ჩვენადვე გვეკუდნესო". ლელთა ლუნიას სინანულსა და წუხილს შეუძრავს მწერალი. „გავიგონე თუ არა ეს, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტკინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიძარხა. როდემდის დამჩნეს ეს ტკივილი გულში, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი" („მგზავრის წერილები“).

საქართველოს ეროვნულ თავისუფლებაზე ლაპარაკობს ილია და სვამს კითხვას – როდემდის? დემოს მიმსგავსებულ ზნესრულ ადამიანზე ოცნებობს და ლექსს სახელად არქმევს – „როდემდის?“ ამ კითხვით ილია მტკიცედ უკავშირებს ერთმანეთს ერის თავისუფლებისა და ზნესრული ადამიანის პრობლემას. არ იქნება ერი თავისუფალი, თუ მას არ ეყოლება ზნესრული, პირველხატს მიმსგავსებული ადამიანები. არ იქნებიან ზნესრული ადამიანები, თუ ერი არ იქნება თავისუფალი. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ.

თუ პიროვნების ყმობაა ანტიბუნებრივი მოვლენა, მით უმეტეს, ანტიბუნებრივია მთელი ერის მონობა. ბუნების კანონზომიერება და პარმონია ქმნის, აჩენს სხვადასხვა ერს – ზოგს მრავალრიცხოვანს, ზოგს მცირერიცხოვანს, მაგრამ ყველას მისთვის განკუთვნილი შეუცვლელი და განუმეორებელი ფუნქციით. ერის ცხოვრების ამოცანა ამ შეუცვლელი და განუმეორებელი ფუნქციის განვითარება-აღორძინებაა. ამით იჭერს იგი თავის მუდმივ ადგილს კაცობრიობის თანავარსკვლავედში. თუ ერი დამონებულია, მაშინ იგი მოკლებულია თავისთავადობის განვითარების საშუალებას. ყოველი დამპყრობელის უპირველესი მოთხოვნაა „მემსგავსე მე!“ წამიერი გამარჯვებით გონდაბნელებულს თავი სრულყოფილ არსად წარმოუდგენია და ჰკონია, დამარცხებული გაბედნიერდება, თუ გამარჯვებულის ჩრდილად გადაიქცევა. ერის თავისთავადობის ნებით თუ ნაძალადევად დათრგუნვა-მოსპობა დანაშაულია არა მარტო დამონებული ერის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე. ეს აქტი კაცობრიობის ძარცვა და მისი მრავალფეროვნების მოსპობაა. მრავალფეროვნება კი ბუნების ერთ-ერთი ძირითადი კანონია. თუ პიროვნების სიკვდილით ღარიბდება კაცობრიობა, მთელი ერის სიკვდილით მთლად ღატაკდება იგი. უფრო მეტიც, ირღვევა ბუნების არსებობისათვის აუცილებელი წონასწორობა. ყოველი ერი ბუნების ნაწილია და ამიტომ ერის წინააღმდეგ მიმართული რაიმე აქცია ამასთანავე არის ბუნების წინააღმდეგ მიმართულიც.

დამონებული ერის განთავისუფლება ბუნების დარღვეული პარმონიის აღდგენაა. ეს კანონზომიერება იწვევს აღტაცებას თავისუფლების ყოველი ქომაგის გულში. ამიტომაც ზეიმობდა ილია ჯუშუბევე გარიბალდის მეთაურობით იტალიელი ხალხის გამარჯვებას და ეროვნული მთლიანობის აღდგენას.

მესმის, მესმის სანატრული  
 ხალხთ ბორკილის ხმა მტვერევისა!  
 სიმაღლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს.  
 დასათრუნვლად მონობისა.  
 აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა  
 და აღმიგზნებს იმედს გულში...  
 ღმერთო, ღმერთო! ის ხმა ტკბილი  
 გამაგონე ჩემს მამულში!

(„მესმის, მესმის“)

ამ ხმის გასაგონად, ცხადია, მარტო სურვილი არ კმარა. ეს მთელი ერის აუცილებელ მოთხოვნილებად უნდა იქცეს. მაშინ მივიღებთ სასურველ შედეგს. ამისათვის კი საქართველო მზად არ იყო. არავის აუხსნია ობიექტურად და გულწრფელად, რამ მიიყვანა საქართველო ეროვნულ კატასტროფამდე. ცრუ თავისმართლების მიზნით ყველაფერი ბრალდებოდა გარეშე მტერს. არავის ჩაუხედავს თავად ერის სულში და იქ არ მოუძებნია თავისუფლების დაკარგვის მიზეზები. ილიამ პირველმა გამოიჩინა ისინი ყველაზე მტკივნეულ და სათუთ ადგილას – ნაციის სულიერ წყობაში. ამ უფსკრულში ჩახედვამ, შესწავლამ, ანალიზმა ილია უძძიმეს დასკვნამდე მიიყვანა. იგი მან მკაცრად და დაუნდობლად გამოთქვა სატირულ ლექსში – „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“. მართალია კიტა აბაშიძე, როცა ამბობს, ამ ლექსის სტრიქონები ყოველ ისტორიულ მონოგრაფიაზე უმაღლესი და უძლიერესიაო. უძლიერესია არა მარტო ემოციური ზემოქმედებით, არამედ ანალიზის სიზუსტითაც.

მერე, როცა მოკვდა შევე, -  
 აიშალნენ შევეთ ძენი  
 და ერთმანეთის შურითა  
 სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი, -  
 რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?  
 - ჩვენც ლამაზად სულ ყველასა  
 თვითო-თვითოდ ვლაღატობდით.

...  
 მერე, როცა მაგ ცილობით  
 ერთმანეთი ჩვენ დავლუპეთ,  
 ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს  
 ცეცხლი ჩვენვე წაუკიდეთ,-  
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?  
 - ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ  
 ვისხედით და ხელს ვითბობდით.



და ასე გრძელდება დაუნდობელი მზილება. იგი აუცილებელად  
 ერთ პიროვნებას ჰკავს. როგორც პიროვნებას აქვს კარგი და ცუდი  
 თვისებები, ასევე აქვს ერსაც. კეთილი სულის გვერდით, ყოველ ერში  
 არის თავიშეგარებული ბოროტი სულიც. როცა ერთ თავისუფალია, იგი  
 ებრძვის, თრგუნავს ბოროტ სულს, არ აძლევს მას გამოვლენის  
 საშუალებას, რათა, რაც შეიძლება მეტი ასპარეზი მისცეს კეთილ  
 სულს. როცა ერთი დამონებულია, მაშინ კი პირიქით ხდება – იჩაგრება  
 კეთილი და ვლინდება ბოროტი სული. ამას ხელს უწყობს და ეხმარება  
 დამპყრობელი, რადგან როცა ერს ბოროტი სული დაუფლება, მისი  
 დამორჩილება ადვილია. დამპყრობელის მთავარი ამოცანაც ეს არის.  
 ამიტომ იგი ეხმარება იმ ძალას, რაც მის ბატონობას განამტკიცებს.  
 ერს კი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია, რამეთუ იგი აღარ  
 არის თავის უფალი, თავისთავის პატრონი, თავისთავის ბატონი (თავად  
 სიტყვა თავისუფალი – მკაფიოდ გამოხატავს ქართველი კაცის  
 წარმოდგენას თავისუფლებაზე. უფალი ღმერთის სინონიმია. მაშასადამე,  
 თავისუფალია ის, ვინც თავად არის თავისთავის ღმერთი, ვისაც  
 თავისთავზე დიდი ბატონი არ ჰყავს). ასეთ სიტუაციაში აშვებული  
 ბოროტი სული აღორძინებს მანიკერებას, დაატყვევებს ხეობას. ამიტომ  
 კოლონიალიზმი მხოლოდ მატერიალურ-ეკონომიკურად კი არ არის  
 საშიში, არამედ – ზნეობრივადაც. 1882 წელს „ივერია“ წერდა:  
 „...ქონებით ჩვენი გლეხობა უკან არ ჩამორჩება რუსეთის გლეხობას.  
 მაგრამ აბა შეადარეთ, ჩვენი ენის, ლიტერატურის, ჩვენი მეცნიერების  
 და სხვა ეროვნულ ძალთა უფლებანი რუსეთისას და თქვენ მათ  
 შორის დაინახეთ განუზომელ მანძილს“. სწორედ ეს სულიერი  
 დაცემა-დაკნინებაა უსაშინელესი დანაშაული, რაც ყოველთვის ერის  
 დამონების შედეგია. „ადამიანი, – ამბობდა ილია, – თუ მთელი ერთ  
 იმისათვის კი არ არის, რომ პური სჭამოს, პურსა სჭამს იმიტომ, რომ  
 კაცურ-კაცად აცხოვროს თავისი შთამომავალი.“ ამიტომ, როგორც  
 პიროვნება უნდა იბრძოდეს თავისთავის სრულყოფისათვის, ასევე ერიც.  
 იგი მოვალეა განიწმინდოს მანიკერებისაგან. ეს რომ მოხდეს, ერმა  
 ყველაფერი უნდა იცოდეს თავისთავის შესახებ. ხოლო იგი, ვინც  
 ერის საშსახურში ჩამდგარა და მოწოდებად ქვეყნისათვის ღვაწლი  
 მიუწევია, პირუთენელად უნდა ამბობდეს სიმართლეს, რარიც მძიმეც  
 უნდა იყოს ამ ტვირთის ტარება. ილიას ცხოვრების და საქმიანობის  
 აზრი და მიზანი კი საქართველოს ბედის ძებნა იყო.

ავგიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა  
 და დაე გეძრახონ, – ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი,  
 („ჩემო კალამო, ჩემო კარგო...“)



საქართველოს ბედის მძებნელის დიდი მისია რომ შეესრულებინა ილიას ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა ჩვენი ხალხის წარსული და აწმყო, ხასიათი და თვისება, ზნე და ჩვეულება, სულიერი წყობა და გონებრივი ავლადიდება.

ფანატიკოსის სიყვარულით და დაუნდობლობით უნდა გაეისინჯა, გაეჩხრიკა, აეწონ-დაეწონა ყოველივე. ასეც მოიქცა. ანატომის გულგრილობით დადო საოპერაციო სარეცელზე საქართველოს ეროვნული სხეული. არ დაუტოვებია კუნჭულიც კი შეუძომებელი. შეისწავლა და დასვა თავზარდამცემი დიაგნოზი:

ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის სადმე ერი?!  
 მძიძე ყალნით,  
 ლამაზ ფალნით  
 მორთული და მშუენიერი;  
 უწყინარი,  
 უჩინარი,  
 ქვედრეკილი, მაღლიერი,  
 უშფოთველი,  
 ქვემძროშელი,  
 რიგიანი, წესიერი;  
 ყოვლად მთმენი,  
 ვით ჯორ-ცხენი,  
 ნახუნნი და ღონიერი.  
 ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის სადმე ერი?!  
 ყველა უნჯი,  
 ყველა მუნჯი,  
 გულჩვილი და ღმობიერი;  
 თვალაბმული,  
 თავაკრული,  
 პირს ლაგამი ზომიერი;  
 ყველა ყრუი,  
 ყველა ცრუი,  
 ჭკვადამჯდარი, გულხშიერი;  
 მცირე, დიდი,  
 ყველა ფლიდი,  
 ცუღლუტი და მანკიერი.  
 ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის სადმე ერი?!



მტვერწაყრილი,  
თავდაზრილი,  
ყოვლად უქმი, უდიერი;  
უზღუდონი,  
გზამრუდონი,  
არ გამტანი და ცბიერი;  
მტრის არ-მცნობი,  
მოყვრის მგმობი,  
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;  
არ-რის მქონე,  
არ-რის მცოდნე,  
უზრუნველი და მშიერი.  
ჩვენისთანა ბედნიერი  
კიდევ არის სადმე ერი?  
(„ბედნიერი ერი“)

როცა ამ ლექსს წერდა, ილია 34 წლის იყო. კარგა ხანი იყო გასული იმ დღიდან, როცა მან კითხვა დასვა – როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას? ილიამ ყველაფერი ალაღად და გულწრფელად უთხრა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ყოველგვარი პირმოთხეობა, გუნდრუკის კმევა, ცრუ ხოტბა-დიდება ღალატს უდრიდა. ამასთანავე ზნესრული ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელი და შეუფერებელი იყო სუტპატრიოტობა\*.

არა, არ ვუქებ ვაჟაკსა  
კაცთა მუსერას და ომხაო!..  
ვაჟაკ ივია, ვინც მართალს  
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;  
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,  
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო.  
ვინც კრავს უმანკოს კრძალვის  
და პირში უღვა ლომსაო.  
(„დამაკვირდი“)

საქართველო მცდომი ქვეყანა იყო და მართალი სიტყვა ჰაერივით სჭირდებოდა.

„ბედნიერ ერს“ იოლად დასანახი ორი პლანი აქვს – მამხილებელი და თანამგრძნობი. უკვე კითხვა – ჩვენისთანა ბედნიერი განა არის

\* სუტპატრიოტობა – ცრუპატრიოტობა

სადმე ვრი? – რომელიც რამდენჯერმე მეორდება, ერთდროულად შეიცავს შწარე ირონიას და ჭირისუფლის უკურნებელ სევდას.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცულს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი ვული კი მაშინვე სცნობს – ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!  
(„ჩემო კალამო, ჩემო კარგო!“)

ათასხუთასწლიან ქართულ ლიტერატურაში „ბედნიერი ერის“ ბადალი სატირული ლექსი არ არსებობს. არ არსებობს არც გაბედულებისა და გულახდილობის, არც სულიერი ტკივილისა და ტანჯვის თვალსაზრისით. თითოეული სტრიქონი დაწერილია სისხლით, თითოეულ ფრაზას დავით აღმაშენებლის მოქნეული ხმლის ძალა აქვს.

ერის მანკიერი თვისებების წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადი ამოცანის – ერის განთავისუფლების – ნაწილი იყო. ზნესრულობას მუღმივი და უწყვეტელი კავშირი აქვს თავისუფლებასთან. თუ ეს კავშირი დაირღვა, იქმნება ტრაგიკული მდგომარეობა. ილიას აღწერილი სურათიც ამ კავშირის დარღვევის ნაყოფია. ილიას ერთ ლექსში („კითხვა-პასუხი“) საქართველო-ქვეყანა ეუბნება საქართველო-ერს:

– მე სამოთხე ვარ, და თქვენ კი, თქვენ კი!..  
ვაი, ძე ჩემი, ბედკრულ, უძღური!..  
იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია,  
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური.  
საყვარელი ვარ... ჩემს შხიან ჩრდილში  
სიყვარულს უნდა თვით ტახტი უდგას, –  
და ვაი, იმის სანაცვლოდ თქვენ კი  
ერთმანეთს აყრით კრულვას და წყევლას!..  
მადლით საუსე ვარ და ვაი, ჩემს შვილს  
ეგ მადლი ჩემი ვერ უშენეცია;  
და ან იქ რა კქმნას თვით წმიდათ-წმიდამ,  
სად ცოდვას მადლი დაუძლეცია?  
მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...  
ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,  
მე ტყბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით,  
და ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!..  
იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელი,  
უდაბნო-დაა ურგებ-ურწყული,



სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა  
სული მართალი და წრფელი გული.

მართალი სული და წრფელი გულიც ზნესრულობის ატრიბუტებია\*. მაგრამ მათ ფუნქცია დაუკარგავთ. გათიშულია ქვეყანა და ერი. გამჭრალა ჰარმონია. ამის აღდგენაა უპირველესი ამოცანა და მოვალეობა. ეს ამოცანა, ეს მოვალეობა თანაბრად უნდა ესმოდეს კონკრეტულ პიროვნებას და მთელ ერს. ილია „ქართველის დედას“ ეპიგრაფად უმძღვარებს ლაიბნიცის სიტყვებს – „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. თუ აწმყო არ გარდაიქმნება, ფუჭი ოცნებაა კეთილი მომავლის მოლოდინი.

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,  
უკან პრჩეს კვალი განათლებული.

გამოჩნდა ახალი პრობლემა – მომავლის შექმნა. ვინ უნდა განახორციელოს ეს? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ილიას ლირიკის ღრმად დამალული სქემა უნდა გავაშიშვლოთ.

სქემა ასეთია: ქართველთა ერს მანკიერება დაეუფლა (გარდა ზემოთ ციტირებული ლექსებისა, ეს „აჩრდილშიაც“ მძაფრად არის აღწერილი). ილია ამხელს მანკიერებას. ითხოვს მის უარყოფას, დათრგუნვას. დაექებს მხსნელს, რამეთუ მან უნდა შექმნას მომავალი.

აქ ბაზალეთის ტბის სახით მითოლოგიურ-ალეგორიული პლანი შემოდის ილიას პოეზიაში. ბაზალეთის ტბაში ჩადგმულ ოქროს აკვანში წვეს ყრმა.

ამას კი აღარ ამბობენ, –  
აკვანში ვინ ჩააწვინა,  
ან თვით ყრმა თვისი ცრემლი  
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

მითოლოგიის თანახმად, წყალი განახლება-აღორძინებას ნიშნავს. წყალში მწოლიარე ყრმა, ცხადია, განმაახლებელია. ამასთანავე ვაშინერსი\*\* ადევს და ხსენება არ შეიძლება მხსნელის, მესიის. ესეც მითოლოგიური ტრადიციაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილიას ლირიკის სქემა ჰგავს ბიბლიის ავტორების სქემას: ებრაელთა ერს დაეუფლა

\* ატრიბუტი – ნიშანი, თვისება.

\*\* ვაშინერსი – ტაბუ (აკრძალვა) მეგრულად.



მანკერება. ამის გამო გოდებენ წინასწარმეტყველნი. იუწყებიან მესიის, მხსნელის მოსლვას. იგი მოდის: „შვეს ძე და უწოდინ სახელი ძისი იესო, რამეთუ მან იხსნეს ერი თავისი ცოდვათა მათგან“. ამიტომ მიმართავს ილია ქართველის დედას:

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
 საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,  
 შთააგონებდე კაცთა სიფვარულს,  
 ძმობას, ერთობას, თავისუფლებას...

აწმყოს გარდაქმნას, მომავლის მოშზადებას, მხსნელის მოლოდინს შეეწირა ილიას სიცოცხლე, მაგრამ, როცა იგი წიწამურის ველზე განგმირული დაეცა, მას მისი ცხოვრების ძირითადი კითხვის – „მაბულო, საფვარულო, შენ როსლა აყვავდები?“ – პასუხი მიღებული არ ჰქონდა.

### არაფროზის უარყოფა

ლუარსაბ თათქარიძის სახით ილია რომ საერთოქართულ მოვლენას გულისხმობდა, ეს თავად აღნიშნა მრავალგზის „კაცია-ადამიანში?“.

„ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“, იმთავითვე აცხადებს მწერალი მკაფიოდ და ნათლად. მერე გზადაგზა, ყველა აუცილებელ შემთხვევაში, ახსენებს მკითხველს მოვლენის საერთოქართულ ხასიათს.

დავაკვირდეთ.

ილია ლუარსაბ თათქარიძის უბადრუკ სახლ-კარს აღწერს და დასძენს: „იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა, ეტყობა, რომ ქართველია!“

სიღარიბეს და გაჭირვებას არ დაუქცევია თათქარიძის კარ-მიდამო, ლუარსაბი კარგა მდიდარი კაცია. „მაშინ, რაღად სდგას ეგრე ცუდად? – მკითხავს გაკვირებული მკითხველი, იმიტომ, რომ ქართველია, – მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.“

სახლ-კარი კი დაქცეოდა ლუარსაბს, მაგრამ სამაგიეროდ „ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რალა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედსა და უბედობას ბაღნით არჩევს“.

მოტყუებული ლუარსაბი ბედს უდრტივინველად ემორჩილება. მაგრამ არც ეს მორჩილებაა პირადი თვისება. ესეც საერთოქართული ყოფილა.



„კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბელსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე.“

დარეჯანმა არ იცის, ვინ არის ბიბლიური იაკობი, მაგრამ მარცხდნის აღიარებას თაკილობს. „ისევ რაღაც მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე“.

იღია არ კმაყოფილდება ამ მითითებებით და მოთხრობის დასასრულს მკითხველს ასე მიმართავს: „ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში – როგორც მოყვარე – გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ტუბუთი გაზრდილან, ვინდა მიწყინე, ვინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ – ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწყუხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმან ქმნას, რომ ეგ ვერე იყოს.“

ამრიგად, ცხადია, რომ თათქარიძეობა საერთოქართული მოვლენა ყოფილა. ასევე გაიგო „კაცია-ადამიანი?!“ მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. კიტა აბაშიძე წერდა: „იღია ჭავჭავაძე თათქარიძეთა სახით მთელი ჩვენი ერის ცუდ-თვისებათ და ნაკლოვანებას გვიხატავს“.

მაინც რა არის ეს ცუდითვისება და ნაკლი? რა კონკრეტული კომპონენტებისაგან შედგება თათქარიძეობა?

თვისება პირველი: სიზარმაცე.

ლუარსაბზე ამბობდნენ, სტუმარი ეჯავრებოდაო. მაგრამ ეს თურმე სიძუნწით არ მოსდიოდა. იღია ირონიულად შენიშავს, სიძუნწე და ქართველი ერი ისე ვერ მოთავსდება ერთად, როგორც ცეცხლი და ყინულიო. მაშინ რატომღა ესიკვდილებოდა ლუარსაბს სტუმრის მოსვლა? „სტუმარი იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაცეკვა. ადგომა კიდევ არაფერი. ეს ისე არ ეზარებოდა ლუარსაბს: ტანთ ჩაცმა იყო ამის სიკვდილი“.

სიზარმაცე არ არის ერთფეროვანი მოვლენა. იგი მრავალსახიანია. სიზარმაცის ნაირსახეობა ცრუსაქმიანობა, ცრუაქტიურობაა. ამაში ლუარსაბის თანამეცხედრეს დარეჯანს ტოლი არ ჰყავს. ეს ქალი ხშირად ტყუილუბრალოდ გამოვარდებოდა, მოსამსახურეებს დააწიოკებდა. აქაოდა საქმეს ვაკეთებ, დღე და ღამე ჯარასავით ვტრიალებ, უქმად კაციშვილი ვერ მნახავსო.

„საკვირველიც იყო და სასაცილოც იმ ჩვენის კნენის ტყუილუბრალოდ ფაცი-ფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი ჩაგოდრებული, ჩასორს-ლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით



დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც ხჩანს: იქ მუჯღლუგუნს წაპკრავდა საკერაუზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყავუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუსხანდელ გაქონილს შანდალსა, აქ იმას გაუწყებოდა — რაზედ? თითონ კნენამაც არ იცოდა — რაზედ; აქ ამას გამოვიღანძლავდა — რისთვის? არც ეს იცოდა კნენამა; დასწყევლიდა, დაპქოლავდა, დატუქსავდა. — ერთის სიტყვით — მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხვედა ქვეშევრდომებზედ, — და შერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა: თუ გოგო დაპხვდებოდა, ვერ მართმენდა, რომ ერთი მუჯღლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეზი კი დაგეცასაც“ ზედ დაატანდა, თუ ქეიფზედ იყო, — და ვერე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში...”

ეს უაზრო ბზრიალ-ტრიალი და ფაცა-ფუცი ლუარსაბს საქმე ეგონა და კმაყოფილი ბუტბუტებდა: „კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედაკაცია! გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე.“

სიზარმაცის, ცრუაქტიურობისა და ცრუსაქმიანობის შდღევი ნათელია. ამის უტყუარი ილუსტრაციაა ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი. დანატულია სრული გაპარტახების, ნგრევისა და იავარქმნის სურათი. ლუარსაბ თათქარიძის უბადრუკი სახლ-კარის ხილვა ყოველ ნორმალურ ადამიანში ერთ სურვილს უნდა იწყვედეს: ხელუბი დაიკაპიწოს. ნებისყოფა მაქსიმალურად დაძაბოს, მდგომარეობა გონივრულად ვანჭკვიტოს და არსებობის შესანარჩუნებლად თავდაუზოგავად იშრომოს. ამ ლოგიკური დასკვნის მაგიერ ლუარსაბ თათქარიძე უზომოდ თვითკმაყოფილია და კვეხნის დაუოკებელი სურვილით სავსე. ეს თათქარიძეობის პარადოქსია, მაგრამ მაინც შინაგანი ლოგიკით გაპირობებული, რამეთუ კვეხნის აუცილებლობა მაშინ იბადება, როცა სიზარმაცის დაძლევა აღარ შეიძლება. ჭეშმარიტი საქმე და ცრუსაქმიანობა ერთმანეთისაგან ვერ გაგიჩვეია და აღარც უნარი შეგწვეს მდგომარეობა უკეთესისაკენ შეცვალო. არადა არც იხტიბარის გატეხვა გინდა. პოზის შესანარჩუნებლად იწყება კვეხნა.

ასე ვლინდება თათქარიძეობის მეორე თვისება — თვითკმაყოფილება და კვეხნა.

„ძლივს არ გავისტუმრე ურემი (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს! დალახვროს ღმერთმა გლეხკაცი. ვეფო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყვივლებ, ხელს კი არ გასძრავს და. გაგონილა! მე რომ არ ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვიღაპებოდა.“

...

„— ეპ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნაკები მქონდა, — მიუგო ლუარსაბმა. ამგვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა



იცოდა. — რას ბრძანებთ!.. ჩემოდენა მოსავალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა...”

ცოლ-ქმარი მკითხავემა მოატყუა. გაამახსრა და ვააცუცუროვ: ლუარსაბიცა და დარეჯანიც მოგვიანებით მიხვდნენ ამას. მოტყუება იუკადრისეს, მაგრამ ისტიბარი არც ერთმა გაიტყუა და არც მეორემ. ვითომ მკითხავს ოინებს მაშინვე მიუხვდნენ, ოლონდ თავაზიანობის გამო არა აკადრეს რა ცრუსა და მატყუარას.

„— მე კი გამოვიცან, აი! — დაიკვება ლუარსაბმა. დარეჯანს თუძცა ლუარსაბი უყვარდა, მაგრამ მაინც კიდევ თითონ უნდოდა, რომ გამოცნობის სახელი ამისი იყოს და არა ლუარსაბისა: კაცი სულელი თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა, — განა რომ მდომებოდა, მე კი ვერ გამოვიცნობდი, — მიუგო დარეჯანმა, — არ მინდოდა, თორემ გუშინვე გამოცნობილი მქონდა.“

თათქარიძისებური კვენის საინტერესო მხარე ის არის, რომ ამ ტრაბახის არავის სჯერა, ვარდა თავად ლუარსაბისა და დარეჯანისა. მაშასადამე ეს კვენა მხოლოდ თვითმოტყუებაა.

„— პურის მოსავალი როგორი გაქვთ წელს? — ჰკითხა დარეჯანმა.

— თქვენმა მზემ, შარშანდელზედ ცოტა. თქვენს მაზლს ოც-დაათის ურმის იმედი აქვს, — დაიტრაბახა ელისაბეძმა.

— ევ, ბატონო, კაი მოსავალია. ოც-და-ათი ურეში ხუმრობა არ არის; ჩვენც მოგვივა მაგდენი, მაგრამ ჩვენ ერთი ორად მეტი ნახნავი გვქონდა თქვენზედა, — იტყუა თავის რიგზედ დარეჯანმაც.“

თათქარიძეებს რაიმე აუცილებლობა ან შემთხვევითობა არ აძულებს, იცრუნონ. ტყუილი მათი არსებობის პრინციპია. დარეჯანმაც იცის, რომ ტყუის და ელისაბეძმაც, მაგრამ ორივენი მაინც ცრუობენ. ასევე შეგნებულად ტყუიან მათი ვოგო-ბიჭვებიც.

ცბიერი და გაიძვერა მკითხავი შვილს დანატრებულ ლუარსაბსა და დარეჯანს ატყუებს: შთამომავლობა იმიტომ არ გყავთ, რომ თქვენს სახლში ჯადო ყოფილა. სანამ ამ ჯადოს არ მოიცილებთ, არაფერი გეშველებათო. მერე ვითომ ეს ჯადო სახლის უკან ორმოში იპოვეს. ნამდვილად კი არც ორმო ყოფილა და არც ჯადო. ეს ლუარსაბმაც იცის და ბიჭვებმაც, მაგრამ ლუარსაბი თავს იტყუებს, ბიჭვები კი ლუარსაბს ატყუებენ.

— არა, თქვენის ორი თვალითა ჰნახეთ?

— ორის თვალითა, აი ასე, როგორც შენა გხედავთ, ბატონო!“

ამ სიცრუეს ბიჭვები იმით ამართლებენ, რომ ტყუილი ბატონს ესაიმოვნება: „— შენ რა გენაღვლება, ძმაო, — წასწორწულა ერთმა ხნიერმა გამოცდილმა გლეხკაცმა, — ხომ ხედავ — ბატონს უხარიან, რომ იქ ორმოა. დაე, ევონოს, რომ ორმოა, შენ რა?“



არც ისე გულუბრყვილო და უმტკივნეულოა ეს – „შენ რა პირადი სარგებლობისა და გამორჩენის პრინციპია შენიღბული. პრინციპი – შენ რა – ყოველგვარ ვერაგობას უხსნის გზას. ვერაგული მოტყუებით შეირთო ლუარსაბმა დარეჯანი. ძმა რომ ძმავ, ძმამაც კი გაყიდა მაშინ ლუარსაბი. ჯერ სუტ-კენინამ დაახვია თავბრუ ლუარსაბს: მოსე გრძელადის ქალი დარეჯანი შხეთუნახავიაო. მართალია, ჯვრისწყერის წინ დავითი მიხვდა, რომ მოატყუეს. მაგრამ ამოქმედდა პრინციპი – შენ რა? შენ ხომ არ ირთავ დარეჯანს ცოლად? აიღე ათი თუმანი, ჯიბეში ჩაიღე და გაჩუმდი. დავითმაც არხეინად გაყიდა ათ თუმნად ძმა.

თუ ლუარსაბი სუტ-კენინამ მოატყუა, მოსე გრძელადემ სუტ-კენინა დატოვა შშრალზე. ჯერ გასამრჯელოს შეჰპირდა, მერე როცა საქმე გაინაღდა, სუტ-კენინას ის გასამარჯელოც წაართვა და ხულაშიც დაამწყვდია.

ამრიგად, ყველა ცრუ და მატყუარაა. მაშასადამე, თათქარიძეობა ტყუილზე აგებული არსებობაა.

თითქოსდა ტყუილი აღშფოთებასა და პროტესტს უნდა იწვევდეს. მაგრამ თათქარიძეობის პარადოქსი ის არის, რომ ამა თუ იმ პროცესს ლოგიკური შედეგი არ მოსდევს, პირიქით, ალოგიკური რეზულტატია მისთვის ბუნებრივი. ამჯერადაც ასე მოხდა: პროტესტის მაგიერ სრული კმაყოფილება დაიბადა.

„ჩვენმა ლუარსაბმა ესე დაიწერა ჯვარი. თუმცა ძალადობით მოხდა ეს, თუმცა შხითვეშიც მოატყუეს და შხეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ – შებლზედ ეგ შეწერაო – იფიქრა და დაემორჩილა ბედისწერასა. ბოლოს ხომ, – შენც იცი, მკითხველო, – რომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ამათ კი ისე ეგონათ, რომ უყვართ ერთმანეთი და სხვისა კი არ ვიცი. „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“; – ნათქვამია, ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში ცოტასა აქვს მიღებული სიყვარულად? კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისათვის გაიხეთქს თავს და არც მეორისათვის დაიწყებს ბრძოლასა, – და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად აღიღებენ; კმაყოფილება კიდევ – ვიღაცამა სთქვა – ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვგობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. შე კი დაწუმებულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმადლონი სჯერდებიან



მას, რაც არის, ამიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი, მაღლიანი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ ყველა უფრო კარგი მოსდევს თანა, „შჯობის მჯობი არ დაეღვევაო“, – ნათქვამია.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი ამისთანანი არ იყვნენ: ამათ თავიანთ ცხოვრებაზედ „შჯობი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში, დავა არაუვისთანა ჰქონდათ და დარაბა...“

ეს სრული კმაყოფილება ბუნებრივად იწვევს პირფერობასა და ფარისევლობას. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთით არსებობენ.

ლუარსაბმა მოურავ დათოს მოუხმო. უნდოდა შეეტყო, სანოვავე მოიტანა თუ არა ბაზრიდან. დათომ არ დააყოვნა და ბატონს ნაირ-ნაირები ჩამოუთვალა. კმაყოფილმა ლუარსაბმა მოურავი შეაქო:

„– ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს. ბარაქალა. თუნდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა, რომ საესეო (ხედავთ, აქაც ტყუილისაკენ მოწოდებაა – ა.ბ.). შენ გამოცდილი კაცი ხარ, – ეს ყველაფერი იცი.

– ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენი ჭირიძე,“ – მოუქონა თავი ლუარსაბს დათომაც.

გლეხის ქალი ბაბაღე მოვიდა და დარეჯანს სთხოვა: ჩვენი კამენი მველეებს დაუჭვრიათ, უბრძანეთ, გაუშვანო. დარეჯანმა ეს ლუარსაბს აცნობა. ლუარსაბმა მოურავს დაუცაცხანა და ბრძანა – კაძენი დაუყოვნებლივ გაუშვითო.

„– ჰხედავ, – უთხრა დარეჯანმა, როცა ლუარსაბი წავდა, – ჰხედავ რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ აწიოკებს.

– დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ.

– ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მაზლი: იმას კაცად არავენ აგლებს.

– აბა, შენი კენესამე, იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ; ელისაბედიც მითამ თავადისშვილის ცოლია და თქვენცა?“

ქალბატონს რძალ-მაზლის ლანძღვა-გინება ესიაზონებო და გაიძვერა ბაბაღემაც გუდას თავი მოხსნა, დავითი და ელისაბედი მიწასთან გაასწორა. მერე მოულოდნელად ჭორაობა შეწყვიტა, ცნობისსწადილმორეული დარეჯანი ჩააცივდა, კიდევ რას მეტყვიო, მაგრამ ბაბაღემ პირში წყალი დაიგუბა და აღარაფერი თქვა. დადუმებულ ბაბაღეს დარეჯანმა შეაპარა, იმათი ხომ არ გეშინიაო? ქლესა ბაბაღემ სასწრაფოდ მიაგება პასუხი ქალბატონს: „– თქვენისთანა მწყალობელი რომ კაცს სადმე ეგულებოდეს, იქ ვიდასი უნდა ეშინოდესო“.



- შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმე!
- რაც უნდა იყოს, მამასავით გაატრონობთ.
- დიად, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შევიღობით

ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყურებით, ავკივლებთ, წაგვარიშვებთ, - ეგ რა? სულ ჩვენი სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შეიღობს არ გაუწყურება?"

ასე ვრძელდება ბატონსა და ყმას შორის ფარისევლური საუბარი. ერთმანეთი სძულთ, ეზიზღებათ, მაგრამ მაინც ლიქნასა და ლაქუცს ამჯობნებენ, სხვაც მოატყუე და თავიც მოიტყუე. თუ არაფერს შეიძენ, არც არაფერს დაკარგავ. თან მშვიდად იცხოვრებ და ამქვეყნიური ჭირ-ვარამიც ნაკლებად შეგაწუხებს.

უნებლიეთ იბადება კითხვა - სიზარმაცის, ცრუსაქმიანობის, ტყუილის, თვითკმაყოფილების, კვებნისა და პირფერობის ატმოსფეროში რა უნდა აკეთოს ადამიანი? ჭამოს. სხვა აღარაფერი დარჩენია მას და ლუარსაბიცა და დარეჯანიც ჭამენ. „ხვალ რა ვჭამოთ“, - იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი აზრის ალებ-მიცემა“.

ლუარსაბისა და დარეჯანის ცხარე დისკუსიები თართისა და ორაგულის, ჩიხირთმისა და ბოზბაშის შესახებ ყოველი წიგნიერი ქართველისათვის კარგად არის ცნობილი და ამიტომ ციტატებით მკითხველს თავს აღარ მოვაბეზრებ.

თათქარიძეების ცხოვრების სურათი ნათელია. მაგრამ ასეთ ცხოვრებას რა უნდა მოჰყვეს, როგორ უნდა გაგრძელდეს იგი? ილია მკაფიო პასუხს იძლევა - სრული უნაყოფობაა ასეთი ცხოვრების დასასრული. რამდენი არ იწვალეს ლუარსაბმა და დარეჯანმა, რამდენი არ ილოცეს, როგორ არ შეაწუხეს ღმერთი, მკითხავსაც კი დაუჯერეს და თულეთის ხატიც მოილოცეს, მაგრამ არ იქნება და არა: არ შეეძინა ლუარსაბს შვილი. ილიას მოთხრობაში ლუარსაბისა და დარეჯანის შვილიერების ხაზს ალგორითული შინაარსი აქვს. ეს უნაყოფობა ყოველგვარ საქმეში უნაყოფობას გულისხმობს. ამიტომაც არ გააჩნია ცოლ-ქმარს არავითარი ნიჭი. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, ჭამა და ძილია. არც აკეთებენ სხვას არაფერს.

უშვილობით დადარდინებულმა დარეჯანმა სოფლის აქიმს მიმართა. ორი კვირა ასმევედა ექიმბაში რაღაც წამალს დარეჯანს. ბოლოს, მესამე კვირას იმ წამალმა დარეჯანი წუთისოფელს გამოასალმა. ცოლის სიკვდილმა ლუარსაბი წაახდინა. გაახზო და დააჭნო ეს ქონითა და ხორციით სავსე კაცი. მერე ფერიცვალობის დღეს ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მიართვა ლუარსაბს. ზაფრანშეყრილმა ლუარსაბმა



ცდუნებას ვერ გაუძლო. იმ კალმას ლაზათიანად მიადლა. ანთება მოუვიდა და სული განუტევა.

„მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენთაგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“.

თავიდან ბოლომდე გავადევნეთ ჩვენ თვალი ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებას. თათქარიძეების დამახასიათებელი თვისებებიც გამოვყავით და უკვე შეგვიძლია დავასკვნათ:

თათქარიძეობა არის ზარმაცობა, ცრუსაქმიანობა, ცრუაქტიურობა, თვითკმაყოფილება, ბაქიაობა, მატყუარობა, პირფერობა, თვალთმაქცობა, ღორმუცელობა და უნაყოფობა.

ამგვარად, თათქარიძეები არაფრობის განსახიერებაა. სად არის მათი ხსნა?

ილიას აზრით, ყოველი პიროვნების ხსნა მტკიცედ უკავშირდება ღმერთმისგავსებულობის პრობლემას. ამას ილია აშკარად და მკაფიოდ ამბობს „კაცია-ადამიანიში?!“ თათქარიძეების დახასიათებისას იგი შენიშნავს – „რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია“. რატომ უნდა გაერისხებინათ უწყინარ ლუარსაბსა და დარეჯანს ღმერთი? დანაშაული არ ჩაუდენიათ და ბოროტი არ უქნიათ. ეს თურმე არ კმარა: „წირვა-ლოცვას არ ვაკლდებით, რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა, იფავ შენ სრულიო.“ აბა, ან ერთს წაშს შენს სიცოცხლეში მაგისტვის სცილიხარ? არა, შენ მაგისტვის არა სცხოვრობ“. ე.ი. ადამიანის უპირველესი ამოცანა უზენაესის ბადალი სრულყოფისაკენ ღტოლვა ყოფილა, რადგან იცხოვრო, ნიშნავს ეცადო, აღასრულო მცენება – „იფვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათე, V, 46). ასეთია ილიას დასკვნა „კაცია-ადამიანიში?!“

სხვათა შორის, იგივე აზრია გატარებული მოთხრობის სათაურშიც. სიტყვა „ადამიანი“ უთუოდ ადამიდან არის წარმოებული: ადამიანი – ადამის ძე. ამდენად, ადამიანი იგულისხმება დაცემამდელი პირველხატი და მისდაგვარი სრულყოფილება. ილიას აზრით, კაცი არ არის ადამიანი, თუ იგი თავის ცხოვრებით არ ეცდება იყოს პირველხატივით სრულქმნილი.

აღბათ ყველას ახსოვს „ოთარაანთ ქერივის“ დასასრული. სოფელის საგოდებელზე მეცხვარეებმა შვილის საფლავზე გადამხობილი, მკვდარი ოთარაანთ ქერივი იპოვეს. სოფელი ფეხზე დადგა. შეიქნა ერთი ვაი-უშველელი. ეცოდებოდათ აგრე საცოდავად გათავებული ქერივი, მაგრამ დამტირებული მაინც არაუინ ჰყავდა. შვილის სიკვდილის შემდეგ ოთარაანთ ქერივი მარტოდმარტო და უპატრონო დარჩა. ერთადერთი კაცი, ვისთვისაც ქერივის სიკვდილით ცა ჩამოიქცა, სოსია მეწისქვილე იყო.

„სოსია მეწისქვილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქერივის წინ, იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითინებდა ჩუმაღ.

– ადე, რას ჰღმუი უპატრონო ძაღლსავით! – დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხროდ. – შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო?

– ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო! – უპასუხა თავისებურად ტკიბილად ტირილის ხმით. – სხვა სხვის ომში ბრძენიაო...

იქნება კიდევ ეთქვა რაშე სოსიას, მაგრამ ამ დროს ხელდახელ გაკეთებული საკაცე მოიტანეს და რომ მივიდნენ მკვდრის ასაწვეად და საკაცეზე დასადებად, ვილაცამ წაიბორძიკა მეწისქვილის ფეხზედ და ითაკილა.

– ეს ვილა ოხერია, ფეხებში გვედებო! – სთქვა წაბორძიკებულმა და ღონიერად წაჰკრა რა ფეხი ბერიკაცსა, დაატანა: – წადი, იქით გაუთრიეო.

დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზედ, როგორც იყო წამოდგა, და როცა ტყავის კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკერელს:

– ცოცხალზე არ გამახარა წუთის-სოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო! ცოდო ვარ, შვილო ცოდო!..

მართლა რომ ცოდოა!..

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყველა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთის-სოფელში“.

ამ სურათს მთელი გულისყურით უნდა დავაკვირდეთ. გამოვყოთ მისი დეტალები, საერთო განწყობილება, დასკვნა, რაშეთუ აქ ყველაფერია ნათქვამი.

დეტალი: მკვდარი ქერივის ხელი სოსიას უჭირავს და ქვითინებს. ამით მინიშნებულია: იგია ერთადერთი ნამდვილი ჭირისუფალი ოთარაანთ ქერივისა.



განწყობილება საქმიანია. ფუსფუსებენ, მოქმედებენ, ვიშვიშებენ, ამ მდგომარეობაში გამოიკვეთება მოტივი: მიცვალებულს პატრონობენ, მაგრამ არავის აინტერესებს ცოცხალი ადამიანი – სოსია.

ხალხის დამოკიდებულება სოსიასადმი უხეში, უსულგულო და დამცინავია. ცოცხალი სოსია მეწისქვილე ისევე მარტოა და უპატრონო, როგორც მკვდარი ოთარაანთ ქვრივი.

დასვენა: ეს წუთისოფელი უთავბოლო და უსწორმასწოროა. ამქვეყნად ყოველი კაცი ცოდოა. ვინც მოკვდა, თავისთავს მოუკვდა.

და ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ ადამიანსა და ადამიანს შორის, ადამიანსა და საზოგადოებას შორის არ არის კონტაქტი, ჩატეხლია ხიდი. ასე და ამრიგად, დაისმის „ოთარაანთ ქვრივში“, დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, უკონტაქტობისა და გაუცხოების პრობლემა.

გაუცხოება ყოველისმომცველია. ხიდი ჩატეხილია, როგორც სხვადასხვა წოდების, ისე ერთი და იმავე კლასის წარმომადგენელთა შორის. უფრო მეტიც: დედასა და შვილს შორის.

როცა ოთარაანთ ქვრივის გიორგი დაიღუპა, არჩილმა დას უსაყვედურა, გიორგის უანგარო სიყვარული ვერ დაინახეო. კესომ იუკადრისა ეს და თავი იმართლა: გიორგის იმიტომ ვერ შევირთავდი, რომ არ მიყვარდაო. სიყვარული კი ბრძანებით არ მოდიხო. ამაზე ძმამ გულისტკივილით მიუგო: „განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალო!.. აქ თავისთავად უნდა მოხულიყო, რომ, უკაცრავად, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი...“

არჩილი მართალია კესოს მიმართ. წოდებრივმა სხვაობამ გააჩინა უფსკრული კესოსა და გიორგის შორის, მაგრამ არჩილის სამართლედ სრული სიმართლედ მანც არ არის. იგი მცირე ნაწილია იმ სრული სიმართლისა, რომელსაც კაცობრიობამ უნდა მიაგნოს, თუ სურს, გაუცხოების პრობლემა მოაგვაროს.

განა ოთარაანთ ქვრივისა და სოსიას ურთიერთობა ისეთივე ტრაგიკული არ არის, როგორც გიორგისა და კესოსი? ქვრივმაც ხომ ისევე ვერ დაინახა სოსიას სიყვარული, როგორც კესომ გიორგისა. მართალია, ვრცლად არ აღუწერია ოთარაანთ ქვრივისა და სოსიას ურთიერთობა, მაგრამ რაც ნათქვამია მოთხრობაში, სრულიად საკმარისია მეწისქვილის ბედის გასაგებად. „თითქმის ოცდაათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღე და ის დღე, სხვა არავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა, მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა გუნებაში იმისმა შერთვამ, მაგრამ თავის გულში სთქვა – მაგას ისეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც



არ ვეკადრებოდი... ველარ შევბედავ, ველარა!..." ოთარაანთ ქვრივისათვის რომ ვინმეს ეკითხა, სოსია მეწვისქვილეს მისთხოვდებოდიო, ისიც კესოსავით უპასუხებდა ალბათ - არაო, არ მიყვარდა და იმიტომაც...

თუ კესოსა და გიორგის წოდებრივი განსხვავება თიშავს, ქვრივსა და სოსიას აცალცალკევებს ადამიანური ღირსება. თავის დროზე ან ოთარაანთ ქვრივს არ უცვნიას სოსია ქმრობის ღირსად, ან ქვრივის მშობლებს - სიძობისა. თავად სოსიასაც მიაჩნია ქვრივი მასზე აღმატებული ღირსების ადამიანად, ერთხელ დაწუნებული ველარც კი უბედავს დალაპარაკებას.

სიყვარული კი არა, ოთარაანთ ქვრივმა სოსიას თანაგრძნობაც არ მიიღო...

ოთახში მკედარ შვილთან მარტოდმარტო დარჩენილი ოთარაანთ ქვრივი ვოდებს. ამ დროს მოულოდნელად ტირილი მოესმა, ქვრივი ოთახში უცხოს არ მოელოდა და წყრომით იკითხა:

- ვინ ხარ?
- სოსია.
- ვინ სოსია?

თუ გაგონდება, კარგია, თუ არადა მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში.

- რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ღხენა თუ არ გვონია!

...

- წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს, - უთხრა ოთარაანთ ქვრივმა: - მარტო მინდა ვიყო...

- შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძაღლსავით მივეგდები. თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე.

- კარგი, მოშორდი!.."

როგორც ხედავთ, ოთარაანთ ქვრივმა ვერც გაიხსენა, ვინ იყო სოსია.

ვინ შეიძლება იყოს დედა-შვილზე უფრო ახლობელი ერთმანეთისათვის? მაგრამ დგება დრო, როცა ირვევეა ეს ახლობლობა და გაუცხოება ისადგურებს მათ შორის.

ოთარაანთ ქვრივმა შვილს უგუნებობა შეამჩნია. ემცხეთა დედას ეს, არადა, შვილი არ უმხელს დარდის მიზეზს. ბოლოს მაინც გამოუტყდა, თუმცა სათქმელი ბოლომდე არ უთხრა. დედის გულმა ზუსტად იგრძნო, რატომ უნდოდა გიორგის არჩილს მოჯამაგირედ დასდგომოდა. მიხვდა, აქ ვერას გახდებოდა და შვილი არჩილიანთ გაისტუმრა.

წავიდა გიორგი.



„— უკან აღარ მოიხედა!.. — დაიკვნესა დედამ, — ჩემგან მიდის, თითქოს ძაფიც არ იჭერს, სხვაგან მიდის, თითქოს თოკით ეწვევიანო... — ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაპრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!..“

... დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? — ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავის თავსა. — დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არ ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორი თვალითა, რად? — რატომ ერთი თვალი არ ებრძავეს, როცა მეორე იფურება? ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედა-შვილობაში?... ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამის ჰკიდებდა თურმე დედა-შვილობაცა.“

აქ დედა-შვილის გამთიშავ ძალად ფსიქო-ბიოლოგიური ფაქტორი მოგვევლინა.

გაუცხოებას თურმე მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. ზოგჯერ ეს საფუძველი კლასობრივი სხვაობაა, ზოგჯერ — ადამიანური ღირსება, ზოგჯერ — სიყვარული და ზოგჯერ კიდევ, ვინ იცის, რა. გამოდის, რომ გაუცხოება ადამიანის არსებობის თვისება ყოფილა. თუ ასეა, მაშინ არც ხსნა ყოფილა და რატომღა გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი?

„— არჩილ, წინ რაღაა წინ? — შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორისავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტკრევა დაუწყო.“

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და აშწანებს. ეგ ნამი რომ გაბეურდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამართულოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ...“

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

— სწორედ.“

ამ ტირილის და სიხარულის აზრის ამოსაცნობად აუცილებელია კარგად გავარკვიოთ, როგორი ადამიანებია „ოთარაანთ ქვრივში“ დახატული.

თავად ქვრივი ერთგული ცოლი და დედაა. თვეღორეს სიკვდილის მერე ბევრ მამაკაცს რჩებოდა მასზე თვალი, მაგრამ ქვრივმა ქმრის ხსოვნას არ უღალატა, ოჯახს უმამაკაცობა არ დაამწნია. საკუთარი ხელით ბარავდა, თოხნიდა, მარგლიდა, თესავდა, კრეფდა. მართალია, სოფელში ამბობდნენ — ვის გაუგონიაო დედაკაცის თოხნი და ბარი,





მაგრამ ქერივი ამას აინუნშიაც არ ავლებდა: თუ არ გაუგონიათ, ახლა გაიგონონო, ეზო-კარი შიგნით თუ გარეთ მოვილილ-დაკრიალულნი კქონდა. „ოთარაანთ ქერივის კარ-მიდამოში მზის და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქერივის უნებურად.“ მოკითხვაც იცოდა და განკითხვაც. არც მწარე სიტყვას ვრიდებოდა. ქარ-ცეცხლში გაატარებდა ყველას, ვინც უნათობით და ბედოვლათობით იმსახურებდა ამას, მაგრამ დამცირებით, სხვის თვალში ადამიანს არ დაამცირებდა. მათხოვარს საქალამნე ტყავი მისცა, მაგრამ შედუქნეს უთხრა. ვალი მემართა და იმიტომაც მივეციო.

სამართლიანობის მისაღწევად მზად არის, რკინის ქალამნები ჩაიკვას და გუბერნატორამდე იაროს. ხარჯს არას დაგიდეეთ, ოღონდ სამართლიანობამ იზვიმოს. ქერივი უაღრესად აქტიური ბუნების ადამიანია. წამით ვერ წარმოუდგენია უქნარობა და სიცონილი\*. „თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაავთელავს, როგორც დიდოვლი ლეკი ნაბადსა.“ ქერივისათვის ძუნწობა უცხოა, მაგრამ ყაირათიანობა აუცილებელ თვისებად მიჩნია. მისი ზუთი ქისა ამის უტყფარი დასტურია. ზედმიწევნით ზუსტად აქვს გაანგარიშებული, რა დახარჯოს, როგორ და რატომ.

ამ თვისებების შედეგი და ნაყოფია ოთარაანთ ქერივის ოჯახი. ეს ოჯახი ილიას მოთხრობაში არსებობს, როგორც ქერივის სულიერი ღირსების მატერიალური საბუთი.

მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ ოთარაანთ ქერივს დათრგუნვილი აქვს მარტოობისა და სიკვდილის შიში.

„- ახლა შენ რომ მარტო დარჩები? - იკითხა კესომ.

- მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის. ჭირადაც მყოფნიან და ღზინადაც.

- აკი ნათლიდელამ მიხვევა-მოხვევა არ იცისო? მე აქ არა მესმის რა, - სთქვა არჩილმა და შეხედა დას, თითქოს იმას ეკითხებოა.

- მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა, წუთის-სოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.“

შრომით თრგუნავს ოთარაანთ ქერივი მარტოობის გრძნობას და იგივე შრომა ანიჭებს სიმშვიდეს სიკვდილის წინაშე. „...სიკვდილის მოლოდინი ღზენა თუ არა გვინია!“ - ეუბნება იგი სოსია მეწისქვილეს.

ასეთივეა გიორგიც. „მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა, ღალატი და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა. თავს გამოიღებდა.“

\* სიცონილი - სიზარმაცე.



მაგრამ გიორგის კიდევ ერთი თვისება აქვს; მან არ იცის ჩემის და სხვისის გარჩევა. ორივეს თანაბარი ყურადღებით ექცევა. არჩილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქვს ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას.“

ტყეში ჭიგოს საჭრელად წასულმა გიორგიმ ომარაანთ მოჯამაგირე ნახა. იგი ჩრდილში წარმოწოლილი არხვინად ხვრინავდა. კამეჩები კი წნელით გამოება ურემზე. საცოდავი პირუტყვები აქვე ეყარნენ და უილაჯობით გაწამებულნი ზარმაცად იცოხნებოდნენ. გიორგიმ ვერ გაუძლო ამ უსინდისობას („პატრონს ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება!“) და ომარაანთ მოჯამაგირე ლაზათიანად მიბეკვა.

ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ურმით საფეკავი მიჰქონდა. ტვირთი თავშესუბუქად დაედო. კამეჩებს აპეურები ყელში უჭჭრდა და პირუტყვები საწყალობლად ხრილებდნენ. გიორგი ურემზე აიჭრა, ტვირთი გაასწორა და მოჯამაგირესაც თავში წაუთაქა („ვერა ჰხედავდი, კამეჩები იხრჩობოდნენ, რა პირით მიდიოდი პატრონთან“).

არჩილის ცხენი მეჯინიბემ ოფლიანი დააბა. გიორგი ამას შეესწრო. უსაყვედურა – ცოდოა პირუტყვი, წახდება ცხენი, ან ზურგის ჰავას აართმევს, ან ფეხებში დაიხუთებაო. მეჯინიბემ გაატრიზავა\* გიორგი, – არამკითხე მოაბეო, მიტყაპე და მიაგდეო. შეატყო გიორგიმ, მეჯინიბე თავს არ შეიწუხებდა. თავად გადაწყვიტა, გაეტარებინა ცხენი. ამით გაგულისებულმა მეჯინიბემ დედა შეაგინა, დედის გინება ეგრე არ უნდაო და გიორგიმ მეჯინიბეს ძვალი და რბილი გაუსწორა.

როცა ცუდად გაშენებული კენახი დაინახა, გიორგი არ მოერიდა არჩილსაც. თავმოძწონე თავადიშვილი გონივრულად დაარიგა და ასწავლა, რა უნდა გაეკეთებინა და როგორ.

ნათლად ჩანს, რომ გიორგი სხვისას ისევე უფრთხილდება, როგორც თავისას. მას არ ამოძრავებს ვიწრო კლასობრივი ინტერესი, მისი გონება არ არის შეზღუდული წოდებრივი ჩარჩოთი. არ აბრმავებს წოდებრივი სიძულვილი. იგი თავისუფალია როგორც პიროვნული, ისე კლასობრივი ეგოიზმისაგან.

გიორგის საქმისადმი ზნესრული ადამიანის დამოკიდებულება აქვს. სხვის საქციელს ზნეობის თვალსაზრისით ზომავს. მაგრამ სინდისის გასაღვივებლად მხოლოდ შთაგონებას არ მიმართავს. როცა საჭიროა, სასჯელსაც იყენებს. როცა შთაგონება უძლურია, სასჯელი სამართლიანობის გამოვლენაა. შთაგონება გარკვეულ გონებრივ დონეს მოითხოვს. თუ ეს დონე არ არსებობს, მაშინ სიტყვიერი ზემოქმედება ნაყოფს არ გამოიღებს. „ნუ მისცემთ სიწმინდესა ძაღლთა, ნუცა დაუფნოთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუკუკუ დათრგუნონ იგი ფერხითთა მათითა და მოიქცენ და განხუთქნენ თქუენ.“ ასეთ შემთხვევაში

\* გატრიზავება – დაცინვა.



აუცილებელია სასჯელი, რასაც მიმართავს გიორგი. მაგრამ მისი სასჯელი არცერთხელ არ არის ერთი პიროვნების მიერ შეორეზე ძალდატანება. გიორგის ხელით ღვთაებრივი სამართლიანობის კანონი ზორციელდება.

აქვს გიორგის კიდევ ერთი თვისება, რაც სრულქმნილების ელფერს აძლევს მის პიროვნებას. იგი სიტყვაგაუტყებელი კაცია, რასაც ამბობს, იმას აკეთებს.

სიტყვისა და საქმის შეთავსება-შეუთავსებლობა ურთულესი და მარადიული პრობლემაა. მეტად იშვიათად მოიძებნება კაცი, რომელიც იმას აკეთებდეს, რასაც ამბობს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ადამიანები თვალთმაქცობენ (რა თქმა უნდა, ასეთიც უამრავია, მათ რა გამოლევს), არამედ ამიტომ, რომ არ შეუძლიათ მათი გაერთიანება. ერთიანობას ბევრი რამ უშლის ხელს – სუბიექტურიც და ობიექტურიც. ჯერ ერთი, თქმა ადვილია, ქმნა კი – უძნელესი. მეორეც, თქმა ყოველთვის პიროვნებაზეა დამოკიდებული, ქმნა კი – პიროვნებაზეც და საზოგადოებაზეც. ქმნისათვის აუცილებელია საზოგადოების მიმხრობა. ამისათვის კი საზოგადოება ყოველთვის მზად არ არის. საზოგადოების მომზადება და მიმხრობა თვით არის ურთულესი პრობლემა. ასეთ ვარუბოებაში სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის მებრძოლი, უხშირეს შემთხვევაში, მსხვერპლია. ამიტომ, ვისაც სურს სიტყვა და საქმე ერთიანი ქქონდეს, უნდა შეეძლოს თავისთავის ზვარაკად გაღება. ეს აუცილებელი პირობაა. უამისოდ სიტყვა და საქმე ყოველთვის გათიშულია. თუ ასეა, გიორგის პიროვნება უკვე მსხვერპლია. ასე იქნება თუ ისე, იგი მაინც დაიღუპება.

თავისთავში მსხვერპლის ტარება ღვთაებრივი თვისებაა. ამიტომ არის რომ დედა-შვილის საქციელი თანასოფლელებისათვის უჩვეულო და გაუგებარია. მათი მოქმედების მიმართ ყოველთვის გაორებული დამოკიდებულება აქვთ. როცა გიორგიმ ომარაშვილისა და ბეჟანიშვილის მოჯამაგირენი ცუდკაცობისათვის გალახა, ხალხი ამბობდა, – „ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი“. როცა გაოგნებულ დამძას ოთარაანთ ქვრივმა უთხრა – მარტო რად ვიქნები, მარტონი თქვენა ხართო, ორივემ გაოცებით იკითხა – რა არის ეს, „წინდახედული მხილება თუ წინდაუხედავი კადნიერება?“ მათთვის მოუწვდომელია დედა-შვილის ჩვეულებრივობის სამანს გადაცილებული თვისებები. თუმცა უნდა ითქვას, რომ არჩილი გრძნობს გიორგის არაჩვეულებრივობას. როცა გიორგიმ არჩილს მოჯამაგირეობა სთხოვა, თავადიშვილმა იკითხა – ჯამაგირი? გიორგიმ უპასუხა – რაცა ვლირდე, ის მომეციო. ამ პასუხმა არჩილი დააფიქრა და ათქმევინა – „ჩემი ნამუსი რომ შენს კაცობას არ გასწვლეს?“ (აქ არც გასწვდა). აქ რომ მარტო მატერიალურ ღირებულებაზე იყოს ლაპარაკი, არჩილს არ გაუჭირდებოდა გიორგისთან



მოჯამავირების ხელფასის გადახდა. არჩილს არ ძალუძს გიორგის ადამიანური არსის შეფასება. ამას თავადაც აღიარებს – „დღესაც ვერ გამირკვევია – რა მოგვეჩვენა გიორგის სახით? ჩვენ ხელგად უღარ შეგნადაც უღონონი ვართ.“

თითქოს სხვათა შორის, მაგრამ ზუსტად მიგვანიშნებს ილია დედაშვილის თვისებების ზეციურ წარმომავლობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ გიორგი შობის დამეს დაიბადა („...შობის დამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი... დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს“). ოთარაანთ ქვრივიც შობა ღამით გარდაიცვალა. ეს შემთხვევით მინიშნება არ არის. იგი მიგვითითებს გიორგის თვისებების ღვთაებრივ თვისებებთან წილნაყარობაზე. კიდევ ერთხელ გვახსენებს გიორგის მსხვერპლობას, რამეთუ ისიც, ვისი დღესასწაულიც შობაა, ტარიგი\* იყო კაცობრიობის ხსნად მოვლინებული.

ახლა დედა-შვილის თვისებებს დასკვნის სახით თუ ჩამოვყალიბებდით, შეიძლებოდა გვეთქვა – მათთვის დამახასიათებელია შრომისმოყვარეობა, საკუთარი გარჯით ცხოვრება, უშურველობა (გვიონისისაგან თავისუფლება), სხვისისა და საკუთარის მიმართ თანაბარი ყურადღება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, რწმენისათვის თავისთავის ზვარაკად მიტანა, მარტოობის შრომით დაძლევა, სიკვდილის შიშის დათრგუნვა.

ამ თვისებებიდან თითქმის არც ერთი არ ახასიათებს არჩილსა და კესოს. თუმცა სიტყვიერად კი მიილტვიან აქეთკენ.

არჩილი და კესო განსაკუთრებით უძღუნნი არიან მაშინ, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობაა საჭირო. ეს არჩილმა თვითონაც კარგად შეამჩნია და ამას იგლოვს კიდევ... „–სჩანს, ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა“... „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებსო“, ნათქვამია და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, – რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამის ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალით ნახული ვერ დავინახებთ“.

გიორგის სიკვდილმა და-ძმას დაანახა, რომ მათ ზნესრული ადამიანისათვის აუცილებელი სულიერი სიმტკიცე არა აქვთ. ჩვენ დონდლონი ვართ, დუნენი, დაბლანდუნონი, – ასეთია არჩილის თვითმხილება.

დედა-შვილი და-ძას უპირისპირდება როგორც სრულქმნილი და არასრულქმნილი არსნი, თორემ ოთარაანთ ქვრივსა და გიორგის მეტი

\* ტარიგი – მსხვერპლი.



საერთო აქეთ არჩილსა და კესოსთან, ვიდრე ომარაანთ მოჯამაგირესა, არჩილის მეჯინიბესა და ბეჟანიშვილის მოჯამაგირესთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნიც წოდებრივად ვლევები არიან.

გვარიშვილობა, წოდება და სხვა ამგვარები გაუცხოების ისეთი მიზეზია, რომელიც ხელისგულზე დევს. მათი შემწევა შეუძლია ყველას, ცოტად თუ ბევრად გონების თვალთ მზირალს. ძნელი დასანახია უფრო ღრმა ფესვები, რომელნიც ადამიანის სულში იმალება. ის მიზეზი, რომელმაც ილიას ერთ-ერთ პერსონაჟს ათქმევინა – „მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო... ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩაუტეხე ხიდი. მე ერთი აქეთ პირს დაურჩი, თქვენ მრავალნი იქით“ („სარჩობელაზედ“). გიორგის სიკვდილმა ეს დამალული მიზეზი დაანახა და-ძმას. მათ მომხდარი ფაქტი გააცნობიერეს. ამიტომ გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი. დის ტირილში გამოჩნდა ის შუქი, რომელიც ადამიანის დაბინდულ გონებას ანათებს. მართალია, მიხვედრა საქმის მოგვარებას არ ნიშნავს, მაგრამ იგი მაინც დიდი იმედია. ამ ვინცის\* გამო უწოდა ილიამ კესოს ტირილს განთიადის დასაწყისი.

ეს წყველა-კრულვიანი პრობლემა რომ მოგვარდეს, აუცილებელია, ყოველი კაცის შეგნებამ მიაღწიოს ღონეს, როცა იგი იწამებს: ყოველი ადამიანის სული აბსოლუტური ღირებულებაა და ტოლფასოვანია უზენაესის წინაშე. ამ შეგნებას მღვდელი „გლახის ნაამბობში“ ასე აყალიბებს:

„როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: – განკითხვის დღეს ვეტყვი: მწყურვალე ვიყავ, არ მასვითო; შშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო; როცა მეტყვიანო: უფალო, სადა განხეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვი: – ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არგანკითხული, მე ვიყავიო. ესეა, ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისათვის. აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხოვრებისა, აი, გასაღები სამოთხისა!..“

იქნება კი ოდესმე ასეთი კაცობრიობა? თუ მისი არსებობის მარადიული საფუძველი სრულქმნილის და არასრულქმნილის ბრძოლაა, რომელშიც სრულქმნილს მსხვერპლის როლი აქვს დაკისრებული? თუ მაინც უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ შეუმჩნეველად, ტაატიით კაცობრიობა წინ მიდის და იდეალს უახლოვდება? ესეც წყველა-კრულვიანი საკითხია, რომლის პასუხი ჯერჯერობით არავინ უწყის.

\* ვინცი – იმედი.



ილიას არც ერთ თხზულებას თანამედროვენი ისე უარყოფითად არ შეხვედრიან, როგორც „განდევილს“. თითქმის ერთსულადად პოემა სუსტ ნაწარმოებად მიიჩნიეს.

ესტატე ბოსლეველი წერდა:

„ამ პოემიდან სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა თითქოს მიაჩნება თავი ცხოვრებითი კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონაც ცხოვრებასაც შესწერა და მის ავსა და კარვს გვერდი აუქცია!..“

ბატონ ჭავჭავაძის პესიმიზტურს შეხედულებას „სააქიოზე“ სამზღვარი არა აქვს. ამ შეხედულებასთან ღმერთმა შეარცხვინოს თვითონ ბაირონის აზრიც, რომელსაც ბუნება იმდენად მშვენიერად და სრულად მიაჩნდა, რამდენადაც ადამიანი მდაბლად და ბოროტად.

ამ გვარს ფაქტს ლიტერატურაში და ცხოვრებაშიც კი აქვს, რასაკვირველია, თავის გამამართლებელი საბუთი, მაგრამ ამის მაინც ვერ დავარქმევთ ჩვენის მწერლობის ფეხის წინ წადგმას. პირიქით, ძალიან საშწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურ ცხოვრებას, როგორც ერთს რაიმე ჭირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს „განდევილისთანა“ პოემებში“.

დავით კეზელი ჩიოდა:

„პოემა „განდევილი“, ჩემის აზრით, ყველაზე უსუსტესია, რაც კი ილ. ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა. უსუსტესია-მეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით... ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორიც ილია ჭავჭავაძეა, თავისი ქნარი რომელიმე განდევილი ბურის უსაგნოდ და უმიზნოდ ცხოვრების დასამღერად მიმართოს... ჩვენი ხალხის იდეალს სრულებით არ ეთანხმება ამ სოფლიდან სამუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება.“

კიტა აბაშიძე გვიამბობს, რომ ქუთაისის საზოგადოებაც ძალიან აღაშფოთაო „განდევილმა“: „ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერაო, ამბობდა ერთი; აბა რა შევილიაო, გაიძახოდა მეორე, ილია გვიქადაგებს, ბერად შევდგეთ, საწუთრო ესე საზიზღარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსაჲ უდაბნოს სენაკში მოიპოვებთო. საშინლადაც სწყინდათ, ავტორმა „კაცია-ადამიანისა“ და „კაკო-ყაჩაღისამ“ ასეთი რამ რად დაგვიწერაო.“

უკვე შემუშავებულ უარყოფით აზრს კ. აბაშიძე დაუპირისპირდა. იგი „განდევილს“ მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებად თვლიდა:



„განდევილი“, უკანასკნელი პოემა ილ. ჭავჭავაძისა, დამამთავრებელი და დამავკირგინებელია რეალური მიმართულების განვითარებისა, როგორც დედა აზრი პოემისა (ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაურბის და ზურგს აქცევს მას, განდევილივით დაისჯება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით ცხოვრება გამოვა), ისე მთელი მორალური ფილოსოფია ავტორისა, რომელიც ამ პოემაში იხატება, და ბოლოს თვით ფორმაც პოემისა, არის სრული დამაკმაყოფილებელი რეალიზმის მოძღვრებისა.“

ამის შერე „განდევილზე“ ბევრი დაიწერა, მაგრამ კიტა აბაშიძის ძირითადი დებულება თითქმის ყველამ გაიზიარა. ვასტანგ კოტეტიშვილი წერდა: „სხვა გვარად „განდევილის“ გაგება ჩვენის აზრით შეუძლებელიც არის. აქ სრულიად მარტივად არის დაპირისპირებული საზოგადოებრიობა და ასკეტიზმი, და ასევე მარტივად არის ნაჩვენები უკანასკნელის დამარცხება.“

თუ მართლა ასეა, მაშინ ერთი რამ რჩება გაუგებარი – რატომ აქცია ილიამ ასკეტიზმის გმობა პრობლემად? უბრალო ლოგიკის თანახმად, დასაგმობი შეიძლება გახდეს ის უარყოფითი მოვლენა, რასაც, ამა თუ იმ მიზეზით, საზოგადოებაში აქვს ფეხი მოკიდებული. ასკეტიზმი კი მაშინ არც ფეხმოკიდებული ყოფილა და არც ფეხგადგმული. ამას, სხვა საბუთების მოუშველიებლად, ზემოთ ციტირებული სტრიქონებიც კი კარვად ადასტურებს. როგორც ვნახეთ, მაშინდელი საზოგადოება გაბრაზებული კიდევ, ილიამ განდევილობის ქადაგება რად დაიწყო. მაშასადამე, განდევილობის გმობა ფუჭი გასროლა ყოფილა და არარსებული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთი შეცდომა ილიას ყოვლად შეუძლებელია მოსვლოდა. როგორც ჩანს, ეს ამკარა უხერხულობა ვ. კოტეტიშვილს აწუხებდა. მართალია, იგი კ. აბაშიძის აზრს ეთანხმებოდა, მაგრამ აფართოებდა კიდევ: ილია „მოუსვენარი სიცოცხლის აპოლოგეტად დარჩა დასასრულამდე. ყველაფერი, თუნდაც მთელი ჯოჯოხეთი, ოღონდ კი მოძრაობა იყვეს, ილია ჭავჭავაძისათვის მისაღებია, რადგან მისი სტიქიონი აქ იშლება. ეს მთავარი მოტივი გასდევს მთელს მის შემოქმედებას და ყველგან დაპირისპირებულია უძრაობისა და მოძრაობის საკვარვე. მაგრამ თითქოს ილია ჭავჭავაძე არ დააკმაყოფილა ამ დიდი პრობლემის უბრალოდ გადაწყვეტამ და სცადა ერთგვარი ფილოსოფიური ნიადაგის მოძებნა. მან აქაც („განდევილში“ – ა.ბ.) კონტრასტების წესით დაუპირისპირა „ვაი-ვაგლახიანი“ ცხოვრება, მოძრაი, დაუდეგარი არსებობა „მყუდრო ნეტარებას“, დაყუდებულ ცხოვრებას, ცივს და მიუკარებელ ყველაფრის დავიწყებას“.

ასე დაკავშირდა, პრობლემატიკის თვალსაზრისით, „მგზავრის წერილები“ და „განდევილი“. ერთიც და მეორეც აქტიური მოქმედების



აპოლოგიად იქნა მიჩნეული. ოღონდ ეს „გზავრის წერილებში“ ლოზუნგის სახით გამოითქვა, „განდევილში“ კი პოემის აზროვნებით შინაარსად იქცა.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ასკეტიზმი, მონაზნობა სრულიად არ გულისხმობს პასიურ ცხოვრებას. მართალია, ასკეტიზმი ღმერთის უსახლდურო რწმენაა, გარნა\*, იაკობ მოციქულის სიტყვების თანახმად, „საქმეთაგან განმართლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო“, უფრო მეტიც: „ვითარცა კორცნი თუნიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თუნიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკობი, 2, 24-26).

რწმენა და საქმე ერთიანი და განუყოფელი ყოფილა. ასკეტობა არ ყოფილა „მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება“, როგორც დავით კეზელმა განგვიმარტა ეს.

უცნაური ის არის, რომ არც „განდევილის“ მოწინააღმდეგეებს და არც მომხრეებს არ უცდიათ განდევილობის არსის ახსნა და მერე ილიას პოემის აზრობრივი შინაარსის ამოცნობა. ჩემი აზრით კი, უამისოდ ძნელი იქნება (თუ შეუძლებელი არა) „განდევილის“ ანალიზი. ამიტომ მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ დღევანდელი საზოგადოების მიერ დავიწყებულ ზოგიერთ საკითხს.

ქრისტიანული რელიგიის კანონების მიხედვით, ბერობა, კერძოდ, განდევილობა, ნებაყოფლობითი აქტია. „დიდი რჯულის კანონი“\*\* ამბობს, რომ მონასტერში შესვლა შეუძლია ყოველ ადამიანს, ვისაც ათი წელი შეუსრულდა, მაგრამ აღთქმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ მოწიფულ კაცს ან ქალს, ვინც იცის, რას აკეთებს და რატომ. მონაზნობის უფრო მკაცრი ფორმა განდევილობა კი დამატებითი მოთხოვნები და კამაყოფილებასაც საჭიროებს. დაწყების მოსურნემ სამი წელი მკაცრ მორჩილებაში უნდა გაატაროს. ამით იგი ადასტურებს, რომ გულწრფელად და ნებით აირჩია განდევილობა. ამის მერე ადგილობრივი ეპისკოპოსი უფლებამოსილია კიდევ გამოსცადოს იგი. ბერმა ერთი წელი უნდა გაატაროს მონასტრის გარეთ, რომ საკუთარი გადაწყვეტილება შეამოწმოს და კიდევ ერთხელ დაადასტუროს მისწრაფების აუცილებლობა და ურყევობა. გამოცდის წარმატებით ჩატარების შემდეგ, ბერს შეუძლია იცხოვროს მის მიერ არჩეულ განმარტებულ ადგილას, ე.ი. გაზდეს განდევილი.

ეს წესი საყოველთაო და სავალდებულოა. ცხადია, ილიას განდევილმაც ეს გზა გაიარა, თუმცა პოემაში ამაზე არაფერია ნათქვამი. ეს თავისთავად იგულისხმება.

\* გარნა – მაგრამ.

\*\* დიდი რჯულის კანონი – კანონიკური მწერლობის ძეგლი, რომელშიც შუღის მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები. ქართულად ითარგმნა მე-12 ს-ში არსენ იყალთოელის მიერ.





კი მაგრამ, რატომ ირჩევს ადამიანი ნებაყოფლობით არსებობის ასეთი ფორმას? რატომ ებრძვის ხორცს და სულს ეტრფიალებს? უნდა გავიხსენოთ, რას გულისხმობს ცნებები ხორცი და სული.

პავლე მოციქულის მკაფიო განმარტებით, ხორცის საქმეა სიძვა, მრუშობა, მტრობა, შური, წვალება, შფოთი, კაცისკვლა, მთვრალობა, ლირწება\* და ამდაგვარნი. მაშასადამე, ხორცი ბოროტებაა.

სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, რწმენა, მყუდროება, მოთმინება და ამდაგვარნი. მაშასადამე, სული სიკეთეა (გალატელთა მიმართ ეპისტოლე, 5, 19-20-21-22).

ადამიანის მიწიერი არსებობის მიზანია გათავისუფლდეს ბოროტებისაგან (ცოდვებისაგან) და განწმენდილი მიემსგავსოს პირველსახეს, რაკი ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისად. პირველი ხატად თვისად შექმნილი კაცი ადამია და ვიდრე იგი ცოდვით დაეცემოდა, იყო ღმრთის სახლი, ტაძარი ღმრთისა. მასში იყო სიტყვა (ე.ი. ღმერთი) და სიტყვა იფარავდა ადამს. ამდენად, ადამი თავისუფალი იყო ცოდვისაგან, ბოროტებისაგან, მაგრამ ადამის არსში შეიპარა ცოდვა და შეაჩერა ადამიანის ლტოლვა ღმერთმიმსგავსებულობისაკენ.

ცოდვისაგან კაცობრიობის სახსნელად ამქვეყნად ღმერთმა გამოგზავნა მისი მხოლოდშობილი ძე: „რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რამთა დასაჯოს სოფელი, არამედ რამთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“ (იოანე, 3, 171). ქრისტემ იტვირთა კაცობრიობის ცოდვა, გოლგოთის გზა გაიარა და ჯვარს ეცვა. ჯვარცმის პროცესის შინაარსია ხორცის (=ბოროტების) დასჯა და სულის (=სიკეთის) გათავისუფლება: „ხოლო ქრისტესთა მათ კორცნი თუსნი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და გულის თქუშით“ (ეპისტოლე გალატელთა მიმართ, 5, 24).

ამიტომ მოსკოვის სასულიერო აკადემიის დოცენტის, არქიმანდრიტ ტიხონის სიტყვით, ქრისტიანობა უპირველესად არის ადამიანის შინაგანი მუშაობა, შინაგანი ბრძოლა თავისთავის გარდასაქმნელად, ქრისტეს მისამსგავსებლად.

ქრისტეს მიმსგავსება კი უფლის წიაღში დაბრუნებას ნიშნავს, რამეთუ იესო იყო უხილავი ღმრთის ხატი, მოსული ქვეყნად.

თავისუფალი ნებით ადამიანი იმიტომ ირჩევდა განდევნილობას, რომ ტანჯვის გზის (სიმბოლურად ქრისტეს გზის) განმეორებით დაეგმო ხორცი (=ბოროტება) და სულით (=სიკეთით) ამაღლებული მიმსგავსებოდა უზენაესს. ეს არის განდევნილობის არსი.

ეს გზა გაიარა ილიას განდევნილმაც.

დღე-ღამე ლოცვით, გოდებით, გვეშით  
ხორცი სულისთვის უწამება,

\* ლირწება – გარყვნილება.

და ვით ჭურჭელი იგი წყმდელი –  
ცრემლით ურეცხავს, უსველებია.

ასეთი ცხოვრებით განდევილმა მიაღწია კიდევ გარკვეულ შედეგს.

ლოცვით და მარხვით ზორც-უძღურ-ქმნილი  
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,  
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა  
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე მაკარი მეგვიპტელი განმარტავს, რომ ქრისტიანული მოძღვრებით, ადამიანის ბუნება არის ბუნება შესაძლებლობებისა და მისწრაფებებისა, მაგრამ არა უკვე დასრულებული იდეალებისა. ადამიანის ბუნებამ რომ იდეალური სახე მიიღოს, აუცილებელია ღმერთის დახმარება. დამოუკიდებლად ამის გაკეთება ადამიანს არ შეუძლია. ამიტომ ადამიანი პირველხატს რომ მიემსგავსოს, ორი ფაქტორია საჭირო – თავისუფალი ნება და ღვთაების დახმარება. ამ დახმარებას ღმერთი სათნოებით ავლენს. ღმერთის სათნოება არ აიძულებს ადამიანს იფიქროს ხსნაზე. სათნოება მხოლოდ ხსნის სურვილს უღვიძებს ადამიანს. სათნოება თანდათანობით იპყრობს სულს, რომ არ დათრგუნოს ადამიანის თავისუფლება და არ გააოროს მისი თვითშეგნება. ილიას განდევილიც თავისუფალი ნებით და ღვთაების დახმარებით მიისწრაფოდა უმაღლესი იდეალისაკენ.

ღვთაების დახმარება პოემაში მზის სხივის ალეგორიით იხატება.

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,  
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,  
და სასწაული ნიშნად მადლისა  
მლაღადებელზედ მოუვლენია.  
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,  
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,  
და მუნით თურმე გადმოდენილა  
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.  
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზე,  
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,  
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში  
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.  
როს კლოცულობდა, იმ სხივისა თურმე  
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,  
და ზორცთუსხმელი მზის სხივი იგი  
უფლის ბრძანებით ზედ შეიჩინდა.



თითქოსდა განდევილმა მიზანს მიაღწია. უზენაესს და ადამიანს შორის კავშირი დამყარებულია. მაგრამ ტრაგედია მაინც მოხდა. რატომ? ადამიანის ღმერთისაკენ ლტოლვა ორი სახით ხორციელდება, როგორც გრძნობის სურვილი და როგორც გონების ნება. პირველ ეტაპზე, ამბობს მაკარი მეგვიპტელი, ადამიანის მისწრაფება ჯერ კიდევ გაორებულია: ერთის მხრივ იზიდავს ზეციერი ხულის იდეალური ხატი და მეორე მხრივ თავისკენ ეწვევა მიწიერი ცხოვრების სახე. ამ დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს გონებას. გონებით უნდა შეერწყას ღვთაების არსს ადამიანი. მაშინ მყარდება უწყვეტი კავშირი უზენაესსა და ადამიანს შორის.

განდევილისა და მწეშის ქალის შეხვედრა მოხდა ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის პირველ საფეხურზე, როცა კავშირი მათ შორის ხორციელდებოდა გრძნობის სურვილით და არა გონების ნებით, როცა განდევილი ჯერ კიდევ გაორებული იყო. ამიტომ, მწეშის ქალი სხვა არა არის რა, თუ არა განდევილის მიერ უარყოფილი მიწიერი სინამდვილე, რომელიც ჯერ კიდევ ემახდა ბერს. ამდენად არ უნდა იყოს მართალი სიმონ ჩიქოვანის აზრი, რომ მწეშის ქალი „თერგის მონათესავეა, თერგის განტოტებაა თუ თვითონ თერგა“. იმ აქტიურობის განსასახიერებლად, რომლის სიმბოლოდ ილია თერგს მიიჩნევს, მწეშის ქალი არ გამოდგება. ასეთ საპროგრამო აქტიურობას „განდევილში“ მწეშის ქალი არ იჩენს. მართალია, მან გაახსენა მუუდაბნოეს მიწიერი ცხოვრების მშვენიერებანი, მაგრამ არაფერი უთქვამს ისეთი, რაც მწირისათვის უცნობი იყო. არც ამ ცნობილი მშვენიერების დასაცავად გამოუმჟღავნებია ქალს განსაკუთრებული ენერჯია.

ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!  
 მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!  
 აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
 აქ ჭირია და იქ კი ღვინია.  
 ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი  
 ყველა გულიდამ ამოვიღია?  
 ნუთუ ნადველი, დარდი და ჯავრი  
 თან არაეისი არ წავიღია.  
 არ გაგონდება არც მამა, დედა,  
 ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?  
 ნუთუ მის-დღეში არა გყოლია  
 მოკეთე, გულის შემატკივარი?!

როგორ მოშორდი?..



თუ საქმეს ზერულედ შევხედავთ, - როგორ მოშორდი? - კითხვის პასუხი განდევილს იოლად უნდა ეპოვა - ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწყემსი ქალის მიერ დახატული ტკბილი წუთისოფელი განდევნილისათვის ნაცნობი და განცდილია, მერე კი ნებაყოფლობით უარყოფილი. მეორეც, განდევნილმა უარყო არა სიცოცხლე, არა თვისტომი და მოყვასი, არამედ - ქვეყანა.

სადაც მართალი ვზას ვერ აუქცევს  
 განსაცდელსა მას ეშმაკისასა;  
 სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-ღამ,  
 ვითა მპარავი და მტაცებელი,  
 სად, რასაც მხადის მართალი მართლად,  
 მას უმართლობად კქმნის ცოდვის ხელი;  
 სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,  
 სადაც მძა მპარობს სისხლსა მისასა,  
 სად ცილი, ზაკვა ძულებადა მხდის  
 წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.

განდევილს უარუყვია ცოდვა და არა - მადლი. თორემ სიკეთისა და მადლის სამსახური ქრისტიანობის უპირველესი მცნებაა. ამას დასტურად არ სჭირდება საბუთების მოშველიება. ეს პოემაში მკაფიოდ ჩანს. როცა ქარიშხალი ამჟინვარდა, ცამ პირი მოიხსნა და ქვეყანას წარღვნით დაემუქრა, განდევილი

ცრემლით ალტობდა ღვთის-შშობლის ხატსა  
 და ხელაყრობით ევედრებოდა  
 წაწყმენდისაგან ქვეყნისა ხსნასა.

როცა ვზადაკარგული ადამიანის შვილის ხმა მისწვდა განდევილის სმენას, მეუღაბნოე გაეპასუხა:

მართალი სთქვი შენ.. თუ ხარ ძე კაცის,  
 ცოდვაა გარეთ დაგტოვი ამ ღროს...

და მერე:

- გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,  
 ვაგიზიარებ ჩემსა ხენაკსა...  
 სახლი ღვთისაა. შენც შევივრდომებს,  
 შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა.



მიუხედავად ამისა, – როგორ მოშორდი? – კითხვის პასუხის მიგება განდევილს მეტისმეტად უჭირს. ეს კითხვა ძველი ალტერნატივაა და იგი ყოველთვის აწუხებდა განდევილს: მაშინაც, როცა მკვლად შედგა, როცა განდევილად ცხოვრობდა და მაშინაც, როცა მწყემს ქალს შეხვდა. ასე რომ, მწყემსი ქალი არ ყოფილა იგი, ვინც განდევილის რწმენა შეარყია. დაუძლეველი ეჭვი მის სულში ყოველთვის არსებობდა. ოღონდ ეჭვის გამოვლენისათვის აუცილებელი იყო რაღაც ბიძგი. ამ ბიძგის როლი შეასრულა მწყემსმა ქალმა.

რა აპირობებდა და ასულდგმულებდა განდევილის სულში ეჭვის არსებობას?

ერთხელ განდევილი ბუნების მშვენიერებას დააკვირდა:

მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად  
 მთისა ვადაღმა არ დასულიყო  
 და მთის წვერზედ, ვით ცუცხლის ბორბალი,  
 ირვვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.  
 ცისა ლავეარდი, ვით ნაკვერჩხალი,  
 წითლად და ყვითლად მზისგან პლუვოდა,  
 და განმსჭვალული მისით ღრუბელი  
 შორს ათასფურად სხივებში ჰიროთოდა.  
 ამა უბიწო დიადის ხილვით  
 წარტყვენილ იქნა განყენებული  
 და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას  
 შესცქერდა მზესა განცვიფრებული.

განდევილისაგან დამოუკიდებლად ბუნების ასეთივე სურათი იხილა მწყემსმა ქალმაც.

ღამაში იყო ამ დღის საღამო,  
 რა-რიც მშვენიოდა მზე დამავალი.  
 შევხვდე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,  
 გავშტრდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი.  
 ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული  
 მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალედა  
 და საკვირველი ის სანახავი  
 თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.

აქ საყურადღებოა ის, რომ სულის მსახური განდევილიც და ზორცის მხვეალი მწყემსი ქალიც ალტაცებულან და გაოგნებულად ბუნების დიადი სურათის ხილვით. ორივესათვის ამ სურათში ღვთაების აღეკლინდება.



განდევილი „ვით ცხოველს ხატსა ღვთის დიდებისას, შესცქერდა მზესა განცვიფრებული“.

„ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული მთის წვერზედ დიდ ბრწყინვალედაო“, ამბობს მწვემსი ქალი.

მაშასადამე, მზის სახით ღვთაება თანაბრად ეცხადება როგორც სულს (ამ შემთხვევაში განდევილს), ისე ხორცს (ამ შემთხვევაში მწვემს ქალს).

ეს თანაბარი დამოკიდებულება პრობლემაა, რომელიც უნდა ამოხსნას განდევილმა. მეორე საკითხიც აქვს გადასაწყვეტი განდევილს – სულისა და ხორცის თანაბარი მშვენიერება.

მწვემსი ქალი უმშვენიერესი არსებაა.

გასაოცარი რაღაც შენება  
 განდევილს თვალწინ წარმოუდგინა.  
 ყმაწვილი ქალი, საესე სიცოცხლით,  
 საესე შენების ჯადოთი, გრძნებით,  
 ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს ივდა.  
 ვით მინდვრის შველი ველმოღერებით,  
 ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს,  
 თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,  
 მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,  
 ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.  
 თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს  
 ხორცსხმულად კლენა ოდესმე ქვეყნად,  
 უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა  
 თავის სიცოცხლის გამოშსახველად.  
 მაშინაც, ვინ სთქვას, – ვინ ვის აშვენებს,  
 მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..  
 თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა  
 ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.  
 მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქვებით,  
 გულ-ჰკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..  
 დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას  
 თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩნოლდეს.

მწვემსი ქალის გარეგნული სილამაზის აღწერა საგანგებოდ ამოვწერე თავიდან ბოლომდე. როგორც ხედავთ, ილია არსად არცერთ სიტყვას არ ამბობს მწვემსი ქალის სულიერ მშვენიერებაზე. მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ეს ნიშნულია. სამაგიეროდ, ვანდევილის გარეგნობას გულგრილად

ეპყრობა მწერალი. მეუდაბნოეს სულიერ სილამაზეს კი, პირიქით,  
დაწვრილებით და გულმოღვინედ აღწერს.

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს,  
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,  
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეპიზნებოდა.  
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი  
სიწმინდის მადლით დაჰშენებოდა,  
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,  
შარავანდელი გადაჰფენოდა.  
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება  
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,  
თითქო მათ-შიგან ჩასახებულა  
თვით სათნოება, კდემით მოსილი;  
თითქო ნელისა სიხარულითა  
სამოთხის ღია კარს შექხარიან  
და სულთან ერთად უფლისა მიმართ  
სასოებითა მიისწრაფიან.

ორი მშვენიერებაა, ერთი ხორცისა და მეორე სულისა. სრულიად  
ბუნებრივია, რომ ორივე მშვენიერება თანაბრად ძლიერია. ამის გამოა  
ძნელი ხორციელი ცდუნებისაგან თავის დაღწევა, ცდუნების სიტკბოზე  
უარის თქმა. აქ ილია ტრადიციულ გზას მიჰყვება. ცდუნების პირველ  
ამბავშიაც ევა მშვენიერია. ასეა სიტყვაკაზმული მწერლობის სხვა  
ნიმუშებშიც, სადაც ცოდვით დაცემის სიუჟეტია გამოყენებული. ჩემი  
ცოდნით, ერთადერთი შემთხვევა, სადაც მშვენიერება კი არ აცდუნებს  
ასკეტს, არამედ სიბრალოელი, ლ. ტოლსტოის „მამა სერგია“.

განდვეილი წინააღმდეგობების რკალში მოექცა. იცის, რომ ხსნა  
ღმერთის დაუხმარებლად არ განხორციელდება.

მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას.  
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...  
ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ უბღვის  
მისი მარჯვენა შემწყნარებელი.

მაგრამ რატომ ვლინდება ღმერთი ერთნაირად ხორცშიაც და  
სულშიაც? აქ გაორდა განდვეილის რწმენა და იფიქრა:

ხსნა ყველგან არის... ხოლო ვზა ხსნისა  
ესეთი მერგო მე... უბედურსა...



ეს იყო საბედისწერო შეცდომა. რამ გამოიწვია იგი?

ხორცსა და სულში ღმერთის თანაბარ გამოვლენას, ხორცისა და სულის თანაბარ მშვენიერებას განდევილი გრძნობის თვალთ უყურებდა და არა გონების, ამიტომ მათ შორის განსხვავების აღმოჩენა გაუჭირდა, ანუ იაკობ ბოქმეს სიტყვებით რომ ვთქვათ, გაუჭირდა დაპირისპირება. დაპირისპირებით ხდება ყველაფერი ნათელი: რომ გამოვლინდეს, სინათლეს სჭირდება სიბნელე, სიკეთეს – ბოროტება და ა.შ. ამის მისახვედრად გონების ნება იყო აუცილებელი. ე.ი. განდევილი ღმერთთან ურთიერთობის მეორე საფეხურზე იდგა, როცა კავშირი ხორციელდება გრძნობის სურვილით და ადამიანი ჯერ კიდევ გაორებულია.

გაორების დასაძლევად კიდევ ერთი გამოცდის გადატანა იყო აუცილებელი: ხორცის მშვენიერების კვლავ ხილვა და მისი დაძლევა.

ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა  
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?

...  
მაგრამ იქნება ბედმა ვეე ჰქმნა  
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..  
და კისრად იღო, ვით ნება ღვთისა,  
სასოებით და გულდამშვიდებით.

მიღებით მიიღო განდევილმა განსაცდელი, მაგრამ ვეღარ გაუძლო. იგი დაეცა.

მეარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ  
და, ეკე, სხივმა არ დაიჭირა!..  
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,  
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,  
ერთი საშინლად შეპბავლა ღმერთსა  
და იქვე სხივ-ქვეშ უტევა სული.

ამრიგად, „განდევილში“ ილიას გამოყენებული აქვს ცოდვითდაცემის კლასიკური სიუჟეტი. მაგრამ ამჯერად დაცემა გამოწვეულია რწმენის ღალატით. ამდენად „განდევილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის ღალატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა.

ახლა კი პასუხი უნდა მოვუძებნოთ კითხვას – რატომ დაწერა ილიამ „განდევილი“, ანუ რწმენის ტრაგედია?

„განდევილის“ ალეგორიული ხასიათი პირველად მარჯორი უორდროპმა შეამჩნია და აღნიშნა, პოემა საქართველოს ცხოვრების სიმბოლური ასახვააო, ეს მართლაც ასეა.





ოცდახუთი წლის ილია ჭავჭავაძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა მისი მოღვაწეობის პროგრამა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ („საქართველოს მოამბეზედ“), ამ პროგრამის განსახორციელებლად ილიას პირუთვნელად უნდა აეხსნა, რანი ვიყავით და რანი ვართ. მერე ეჩვენებინა, საით უნდა წავიდეთ და რანი გავხდეთ. მაგრამ სახლი რომ ააშენო, ჯერ საშენებლო მოედანი უნდა გაწმინდო, გაასუფთაო, შემდეგ კი მშენებლობა დაიწყო. ილიაც ასე მოიქცა. მან მოურიდებლად და ობიექტურად ამხილა მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილე. „აჩრდილის“ მიხედვით, იგი ასეთია:

აქ არვის – დიდსა, თუ პატარასა, –  
 ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,  
 დაკვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა  
 ღვთად მოუცია მარტო მამული.

ტყუილი, სიცრუე და უნდობლობა დასადგურებულა.

აგერ უფალი და მისი მონა!  
 თრთოლევით, სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა  
 და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,  
 უფალი პინას ზედ აღგამს ფეხსა  
 და მით მის ხარჯსა ერთსა – ორად ქხდის.

შური და მტრობა სუფევს მათ შორისაც კი. ვისაც ერთი საერთო საქმის გაძღოლა უკისრიათ.

აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძნიათ,  
 ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,  
 ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ  
 და ერთმანეთს კი არ ენდობიან.  
 ერთმანეთისა მათ სიკეთე კშურთ,  
 თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;  
 თვით ამზობენ მას, რის აღდგენაც კსურთ,  
 თვით კშველიან მას, რასაც ებრძვიან.

უსამართლობასა და თვალთმაქცობას უზეიძია.

შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,  
 დედას ბუბუღვან შეილსა აგლეჯვენ,  
 ვინ იცის, სიღამ სად გაპყდიან...  
 უწმინდურისა ხელითა სთხრიან  
 დედისა გულში უკეთესს გრძნობას...

პლხინობენ კიდევ, კიდევ მხარობენ,  
 პეიქრობენ, პერძობენ და კმოქმედებენ.  
 მხედვე ფაცა-ფუცს და ყველგან ვლივილს,  
 უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმილს,  
 მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძობას,  
 კმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას  
 ფრჩხილის ოდენაც არა აქვს აზრი  
 და ყველა იგი თვალთმაქცი არი.  
 ფუჭია იგი მისი ცხოვრება,  
 უფერულია და ცალიერი...

ყველაფერი წამხდარა, დაცემულა და შეგინებულა, მცხეთაში

აწ აღარა სჩქევს წყარო ცხოველი,  
 ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა  
 და იგი დედა-ქალაქი ვრცელი  
 აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.  
 ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,  
 დიდი ცხოვრება მის დაცემულა,  
 დღეს იმ ცხოვრების წმინდა აღავანი  
 პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა.

არც თბილისშია უკეთესი მდგომარეობა.

აგერ ტფილისიც... ყრმასაც და ბერსაც,  
 ქალსა - მახინჯსაც და მშვენიერსაც,  
 დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა,  
 მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,  
 მაგრამ კი, უფიცავ ქართულის სახელსა,  
 მათ აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.

რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ -  
 დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.  
 გრძობას - ოქროსა ფასად ჰყიდიან.  
 მთვარის ღიმილზე - პატრონებას,  
 და დაფანგებულ ბორკილზე სცვლიან  
 თავის მამულის თავისუფლებას.

ტოტალურად\* გაბატონებულია მტრობა, შური, თვალთმაქცობა,  
 გულგრილობა, უდარდელობა, უზრუნველობა, ორპირობა, სიცრუე,  
 მუხთლობა, ღალატი... ე.ი. ყველა ის ცოდვა, რასაც ხორცის საქმედ  
 მიიჩნევს პავლე მოციქული. ხორცის გაბატონების შედეგად უმაღლესი  
 ჭეშმარიტებაც დაკარგულია.

\* ტოტალურად - საყოველთაოდ.

სად არის იგი, მალაღებელი  
ქვეყნის ხსნიხათვის ჭეშმარიტება?  
სად არის იგი, ბიწის მღვენელი  
ჯვარცმული ღმერთის მალაღი მცნება?  
(„აჩრდილი“)

ზუსტად ამ სინამდვილის უარყოფის მიზნით მიაშურა განდევილმა ბეთლემს. დატოვა ქვეყანა დაცემული, იავარქმნილი და უბედური.

მეცა ვტანჯულვარ, მე, ბედკრული, შენის ტანჯვითა,  
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,  
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატკრითა,  
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულვებია.  
შენცა გფვნია ქვეყნის მადლი – თავისუფლება,  
ეხლა აღვეილა ყველა ესე, ვითარცა მტკერი...  
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,  
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,  
მას დაკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი ოწყება  
და დაუგდინარ, ვით ტამარი გაუქმებული.

იქნება ეს განდგომა თავისთავის გადარჩენას გულისხმობს და არა ქვეყნის ხსნას? ასე არ არის. აქ უნდა გავისხენოთ, რომ განდევილი მყინვარის ბეთლემში ცხოვრობს. ამას ყურადღება მიაქცია სიმონ ჩიქოვანმა და იკითხა – „რისთვის დააბინავა განდევილი ავტორმა მყინვარწვერის წიაღში?“ სამწუხაროდ ს. ჩიქოვანმა ამ კითხვას ბოლომდე არ უპასუხა. საქმე ის გახლავთ, რომ ბეთლემი არის „სახლი ცხოვრებისა, გინა სიწმინდისა“ (საბა). მყინვარწვერი იმ უზენაესის საცხოვრისია, რომლის თვალი დარაჯობს საქართველოს.

და მოძველინა მე კაცი დიდი,  
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული;  
ვითა ქვეყანა – ის იყო მშვიდი.  
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.  
(„აჩრდილი“)

ეს დიდი კაცი მიმართავს საქართველოს – „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა... მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული“. განდევილმა მიაშურა საქართველოს უკვდავ სულს და მის წიაღში ეძებს როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის ხსნას. ილიას აზრით კი, საქართველოს ეს უკვდავი სული ქრისტიანული მოძღვრებაა. ჯერ

ერთი, იმიტომ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა („დედა ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“) და მეორეც, საქართველო თავად ეწამა მაცხოვრისათვის („ჯვარცმულის ღვთისთვის“ თუ „ჯვარცმულო და წამებულო“...)

გარდა ამისა, კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებას იღია აკავშირებდა ქრისტიანულ ხნობასთან. საყოველთაოდ ცნობილია, როგორი ალტაცებით შეზღდა იღია პარიზის კომუნას და როგორ განიცადა მისი დამარცხება.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა  
წმინდა სისხლი წამებულის,  
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე,  
ყოულად მხსნელის სიყვარულის.  
კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,  
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,  
რომლისთვისა თითონ ღმერთი  
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.

(„1871 წელი 23 მაისი“)

აქ პარიზის კომუნის იდეალები და ქრისტეს მცნება გაიგივებულია. ეს არა მგონია, სადავო იყოს.

შრომისა და მუშაკაცის განთავისუფლებაც ნაქადაგვეი და ნავარაუდევია ქრისტიანულ მოძღვრებაში.

შრომისა შეიღო, მძიმე უღელი  
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწვეს კისრად,  
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწეარებელი  
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;  
თუმცა ქვეყანას იმის მოძღვრება,  
დღეს მარტო სიტყვით უქმით კრწმენია,  
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,  
რომ მყოლობადი მარტო შენია.

(„ჩრდილი“)

იღია მთელ ერს მოუწოდებდა:

ვემსხვერპლოთ ქრისტესა მცნებას,  
ვაშორეთ ქართული მონებას,  
ქართულის უბრალო მადლობა,  
გვერჩივნოს ყოველ დიდებას.

(„ჩემი თარიარალი“)

„ზორცი მივეციტ სულისათვის და ერთმა შუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში“ („რა ვითხრათ? რით გაგახაროთ?“).

დამოწმებული ნიმუშების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ ამ მცირედითაც სრულიად ნათელია, რომ ილიას შემოქმედებაში ქრისტიანული ზნეობა მიწნეულია პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად.

ზოგიერთ უმეცარს ჰგონია, რომ რელიგიურობა მხოლოდ ბრმადმორწმუნეობას გულისხმობს. უპირველეს ყოვლისა, რელიგიურობა მაღალ ზნეობრიობას ნიშნავს, ურომლისოდაც მწერლობა არ არსებობს. ნიშნავს იმ ეთიკური მრწამსის გაცნობიერებულ აღიარებას, რომელიც მოსეიზმმა\* და ქრისტიანობამ ათი მცნებით გამოხატა – არა კაც კლა, არა იპარო, არა ცილისწამო, არა იმრუშო, არა ქმნა თავის შენისა კერპი, პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და ა.შ. ამ ზნეობრივ პრინციპებს კაცობრიობამ ჯერჯერობით ვერაფერი მიუმატა, ვერც რომელიმე საზოგადოება, მათ შორის სოციალისტურიც, უარყოფს მას. ამ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით არსებობს ქრისტიანობა ილიას შემოქმედებაში.

ქვეყნის ხსნა ვერ განზორციელდება, თვინიერ პიროვნების ხსნისა. აქაც ორი საფეხური ყოფილა: ჯერ პიროვნება, მერე ერი.

როცა პიროვნების სრულყოფის პროცესი დამთავრდება, მერე იწყება ერის ხსნა. ყოველმა კაცმა ხორცი უნდა მისცეს სულისათვის, მაშინ გახდება შესაძლებელი ერის გათავისუფლება. განდევნილსაც ეს გზა უნდა გაეკლო. ჯერ საკუთარი სულის ხსნისათვის უნდა ებრძოლა და შემდეგ მიეცემოდა საშუალება მამულზეც ებრუნა. მაგრამ პიროვნების სულის ხსნა არ არის იოლი საქმე. ამისათვის ჯვარცმულის რწმენა, ნებისყოფა და ენერგია უნდა ჰქონდეს კაცს. მისი სულის სიმტკიცისა და ძალის პატრონი უნდა იყოს. სხვანაირად არაფერი გამოვა. რაკი განდევნილს ეს თვისებანი არ აღმოაჩნდა, დაიღუპა კიდევ. ეს სიკვდილი სულის სიმტკიცის, ძალის, ენერგიის, ნებისყოფის აღზრდისაკენ მოუწოდებს მკითხველს.

\* მოსეიზმი – იგივე მოსეს რჯული. მომდინარეობს ბიბლიური პატრიარქის მოსეს სახელიდან.

## აპაკი წერითელი

### გადი ძართლისა და აპაკი წერითელი

უკვე სამოცდარვა წელს მიღწეული და სიკვდილის შიშით გულგატეხილი აპაკი წერითელი სკეპტიკური ლექსით გამოუთხოვა სამშობლოს:

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ;  
გუთხოვები, საქართველო! —  
მეც ვჭკნები და შენცა სჭკნები,  
როგორც ზამთრის პირად მდგელო.  
(„ჩაფიქრება“)

ეს ლექსი არ ყოფილა წამიერი განწყობილების ნაყოფი. საქართველოს სიკვდილის შიში მას მთელი სიცოცხლე აწამებდა. მაშინაც, როცა სამოცდაშვიდი წლის მოხუცი სამგლოვიარო სიტყვით მიმართავდა მუხანათურად მოკლულ ილიას ცხედარს — „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰკონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!“ და მაშინაც, როცა ოცდასამი წლის ყმაწვილი იმედიანად ფიქნებდა: „მაგრამ აწ კი დრო მოვიდის, გაცოცხლდები, საქართველო!“ („სიმღერა“).

იმედსა და უგინცობას შორის მერყეობა გამოწვეული იყო იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობით. თავად აპაკიმ შეადარა ჩვენი ქვეყანა წაქცეულ კაცს, რომელსაც ადგომა არ სურს და „გდია, ვით მკვდარი“, ვინც დამცემს არ ებრძვის და „მტერს პირუტყვეებრ ემორჩილება“. ამ სურათის წარმოდგენამ მას უმწარესი სიტყვები ათქმევინა — „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“ („ვედრება“).

როცა აპაკი წერითელმა ღრმად ჩაიხედა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ყველაფერი შეისწავლა, გაანალიზა და ასწონ-დასწონა, მან ცხადლივ დაინახა სწეული საქართველო და შექმნა კიდევ მისი მხატვრული სახე.

ეს იყო თავისუფლებადაკარგული, ეროვნულად დამონებული ქვეყნის ავადმყოფობა.



ბუნებრივად იბადება კითხვა – როგორი იყო ყოფიერება, რომელმაც განსაზღვრა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველის ცნობიერება?

საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობდა. მის მაგიერ ორი გუბერნია გაჩენილიყო – თბილისისა და ქუთაისის. ქართული ეკლესია გაუქმებულია. აღარც სამეფო კარი იყო და აღარც კათალიკოსატი. მათ მაგიერ მეფის ნაცვალნი ან მთავარმართებელნი და ეგზარქოსნი იხდნენ. ქართული ენა განდევნილია ეკლესიიდან და სასწავლებლიდან. მას პატუა-უნის\* ფუნქცილა აქვს შერჩენილი. მხოლოდ რამდენიმე თავდადაებული მოღვაწე ცდილობს შეინარჩუნოს ქართული ვაზეთი ან ჟურნალი. სიტუაცია იძენად მძიმეა, რომ ბევრს ნებისყოფამ უღალატა და სასოწარკვეთილმა იკითხა – იქნებ აღარ ღირს მცირე ერების არსებობა? იქნებ უმჯობესია შევერწყათ დიდ ერებს და ამით ავიცილოთ უსასრულო ტანჯვა და დამცირება? მწელი იყო ეროვნული თვითმკვლელობის ჩადენა. ნუთუ დავით აღმაშენებელი 16 წლიდან დაწყებული სიკვდილის დღემდე ხმალს იმიტომ იქნევდა, რომ ერთ უბედურ დღეს ქართველს აღარ სცოდნოდა მისი ვინაობა, მისი რწმენა, მისი საქართველო, მისი „გალობანი სინანულისანი“, მისი გელათი? ნუთუ „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ იწერებოდა, რომ მოსულიყო დღე, როცა ქართველს მისი წაკითხვა აღარ შეეძლებოდა? ნუთუ ანისის თაკარა მზის ქვეშ შიშველ-ტიტკველი, ტანზე თაფლწასმული და ბუნებდახვეული ცოტნე დადიანი მოედანზე იმისთვის ეგდო, რომ მომავალში აღარავის გახსენებოდა ერისა და მოყვასისათვის ეს შემადრწუნებელი თავგამეტება? ნუთუ ქეთევან დედაფაღს იმისათვის აგლეჯდნენ, უშანთავდნენ და უწკავდნენ სხეულს, რომ ქართველს მხოლოდღა ეკატერინე მეორის ცხოვრება გაუზეპირებინა? ნუთუ დიდგორში, შამქორსა და ბასიანში, მარტყოფსა თუ მარაბდაში, ხრესილსა თუ კრწანისში ათასობით უცნობი ვაჟკაცი იმიტომ ჩაწვა მიწაში, რომ შთამომავლობისათვის მათი ხსოვნა ნიორწყლად ქცეულიყო? აღამიანს წარსულის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე აწმყოს წინაშე. აწმყო წარსულის ძელებსა და სისხლზეა აგებული. არავითარი უფლება არა აქვს არავის, უნიათობისა და სულმოკლეობის გამო, მას უღალატოს. ამიტომ ყოველი ქართველი მოვალე იყო გამოენახა თავდახსნის გზა, მაგრამ როგორ?

მომავლისათვის ბრძოლა წარმატებით მაშინ მოხერხდება, როცა მკაფიოდ გაქვს აწმყო შესწავლილი, კარგად იცნობ თანამედროვე აღამიანს. აკაკი წერეთელი, ერთი მხრივ, ხედავდა უწუგემო სინამდვილეს

\* პატუა ენა – მხოლოდ შინაურობაში გამოსაყენებელი ენა.

და, მეორე მხრივ – მის ნაყოფს, მის შედეგს, იმდროინდელ ქართველ კაცს. რა თქმა უნდა, მაშინდელი ქართველი საზოგადოება ერთფეროვანი არ ყოფილა. კარგი და ცუდი გვერდიგვერდ სახლობდა. აუცილებელი იყო გამორჩევა – კეთილს მზარდაჭერა სჭირდებოდა, ბოროტს – დაუნდობელი უარყოფა. აკაკი წერეთელმა ზუსტად განჭვრიტა და დახატა მანკიერი ქართველის მშვენიერი პორტრეტი. „თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი – ფეხები“... უთხრა პოეტმა იმ ქართველს და ყოველი გონიერი ადამიანისათვის საცნაური გახდა, ვინ უნდა მოეკვეთა ჩვენს საზოგადოებას, თუ სურდა გადარჩენა.

აკაკი წერეთელი არ დაკმაყოფილებულა მანკიერების საერთო განსაზღვრით. მან ქონით სავსე თავისა და ტვინით გატენილი ფეხების პატრონი ქართველის ცალკეული ნიშნებიც ნათლად გამოკვეთა.

ნიშანი პირველი: მისთვის დამახასიათებელია ცრუ ცოდნით მანჭვა-გრეხა და მშობლიური ენის უარყოფა.

თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,  
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;  
უსწავლელებთან, თურმე, მოსდის ზაფრის ქარები;  
რა პქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!..  
(„აპელაციის მცოდნე“)

ნიშანი მეორე: მას არ აწუხებს სამშობლოს ბედ-იღბალი.

მოშწონს კალინა, მალინა,  
მბუღს ვარდები და იაო!  
სამშობლო რასა მიქვიან,  
მეწყვერსაც წაუღაო!  
(„ერთი ქალისას ამბობდნენ...“)

ნიშანი მესამე: სრულიად დაკარგული აქვს საზოგადოებრივი ინტერესი და მთლიანად შეპყრობილია ეგოიზმით. პირადულს ანაცვალებს ყველაფერს.

მეც ის მინდა!.. მეც იქ შევალ, –  
სადაც ტკბილა, სადაც თბილა!  
თორემ, თუ მე არ ვიქნები,  
ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა“  
(„დიდი ვინმე“)



თვალ-ტანადად ქართველი ხარ,  
მაგრამ გულით კი სხვა სჯულის;  
ღმერთად არ ვწამს არაეინ სხვა,  
გარდა კუჭის, გარდა ფულის!..

(„თანამედროვე გმირი“)

ნიშანი მეოთხე: რაკი სულიერად გამოფიტულა და ყოველგვარი ამაღლებული მისთვის უცხოა და უცნობი, ატარებს ნიღაბს. ცდილობს არავის ეჩვენოს ნამდვილი სახით და მტერ-მოყვარეს ნაცარი შეაყაროს თვალში.

უმეცრებამ სძლია ცოდნას,  
დაიმონა კუჭმა გული!  
ფარისეულის ლოცვად გახდა  
„სამშობლო“ და „სიყვარული“.

(„ბოდეკა“)

ნიშანი მეხუთე: მისთვის გაუქმებულია ყველა მცნება, რომელიც ადამიანს ავალებს მოყვასის სიყვარულს, კეთილს ქმნას, ბოროტებასთან ბრძოლას.

იქ სისხლ-ხორცობა, ძმობა, მოყვრობა,  
სიყვარული და ამხანაგობა  
იციან მარტო სხვის საჩვენებლად, –  
ნამდვილ – კი მხოლოდ არს ვერაგობა!

(„გამოსაღმება“)

ნიშანი მეექვსე: ემართება გონებრივი დაქვეითების უცნაური სენი. იმის მაგიერ, რომ ერისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძოლოს, ღვიძლ ხალხსა და სამშობლოს ამუნათებს:

თუ გსურთ, რომ დაურჩე ქართველად,  
ვიხდიდე მშობლურ ვალებსა,  
ნუ გამოძილვეთ ღვინოსა,  
ცხელ მწვადს და ღამაჲ ქალებსა!

(„ქართული პატრიოტიზმა“)

მის ცნობიერებაში სამშობლო და ეროვნულობა უთანაბრდება ღვინოს, ცხელ მწვადს და ღამაჲ ქალს.

ნიშანი მეშვიდე: საკუთარს გმობს და ემსახურება, ადიდებს და ეთაყვანება უცხოს.

შამის სული გაუშვიათ,  
პაპისას – კი ივონებენ;  
დედას დედინაცვალზედა  
სცვლიან და თავს იწონებენ!  
(„მზრუნველებს“)

ეროვნული სწეულების ეს ნიშნები აღმოაჩნდება ყველა ხალხს, ვისაც დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაუკარგავს. ავადმყოფობას მანამდე ვერავითარი საშუალება ვერ განკურნავს, სანამ ერი ისევ არ მოიპოვებს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ამგვარ თვისებათა თავმოყრა და გაბატონება ზრწნის არა მარტო პიროვნებას, არამედ მთელ საზოგადოებას, მთელ ერს. ამის გამო საქართველო მივიდა მდგომარეობამდე, როცა

...მონება ჭკუა არის,  
ორპირობა – სიბრძნე დიდი,  
და მას რჩება მოედანი,  
ვინც კი არის მეტად ფლიდი!  
ცოტა მაღლა ასასვლელად  
ძმა ძმის იხდის კიბე-ხიდად,  
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,  
ქმარს ცოლი ჰსურს გასაყიდად.

(„ახალი გზა“)

ასე ხდება ყოველთვის, როცა ცნობიერება მთლიანად მორჩილდება ყოფიერების გამსაზღვრელ ძალას. იშლება საზოგადოება. იგი შინაგანად აღარ არის ერთიანი. თუმცა შესაძლებელია გარეგნულად ცდილობდეს კიდევ თავი ერთიანად და მტკიცედ მოგაჩვენოს. ილუზია საქმეს ვერ უშველის. ნამდვილი არსი გამოვლინდება და აღმოჩნდება, რომ პიროვნებაც გამქრალა.

ეკ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?  
მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზედ წინა ხარ,  
უცხო კაცად არ ვარჯიხარ, აღარცარა შინა ხარ,  
ორთა შუა აგდინხარ, სანაგველას ფინა ხარ!

(„ეკ, ქართველო...“)

ასეთია აკაკი წერეთლის მიერ დახატული სწეული საქართველოს პორტრეტი. მაგრამ ერთია ავადმყოფობის დანახვა და შეორეა მისი გამომწვევი მიზეზის მიგნება. თუ არ იქნება მიგნებული მიზეზი,



შეუძლებელი გახდება განკურნება. თუ აკაკი წერეთელი განკურნებას ვერ შეძლებდა, ის მაინც უნდა ეთქვა, როგორია ავადმყოფობისაგან თავდალწვევის გზა. ყველა მანკიერების საფუძვლად მან მიიჩნია ეროვნული თავისუფლების დაკარგვა. ხოლო გადარჩენა კი შეეძლო, მისი აზრით, დამოუკიდებლობის მოპოვებას.

ეროვნებავ, ღვთის ნიჭი ხარ,  
 არც საპოვნი, ვერც სასყიდი,  
 და მხოლოდ თვითარსებობა  
 არის შენი გზა და ხიდი!

(„საქართველოს დღევანდელი სახე“)

მართალია, არსებული მდგომარეობაც ზუსტად იყო დანახული, ავადმყოფობის მიზეზი მიგნებული და მიზანიც დასახული, მაგრამ მდგომარეობისაგან თავის დაღწევა მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ ქართველ ხალხს ეყოლებოდა ზნეობრივად სპეტაკი და ამაღლებული ადამიანები. არსებობის უპირველესი და ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ცნობიერება ბრძად არ დამორჩილდეს ყოფიერებას. პირიქით, ცნობიერებამ უნდა მოახდინოს ზემოქმედება ყოფიერებაზე, გარდაქმნას, შეცვალოს იგი. მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ ზნეობრივად მტკიცე ადამიანებს შეუძლიათ. სხვაგვარად არც პიროვნების ამაღლება მოხერხდება, არც საზოგადოების წინსვლა და არც ერის განთავისუფლება. ამიტომ აკაკი წერეთელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა ის ზნეობრივი იდეალი, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოადგებოდა. ასეთი იდეალის სიმბოლურ გამოხატულებად მან სამი ქალი მიიჩნია – ნინო, თამარ და ქეთევანი.

თამარს, ქეთევანს და ნინოს  
 თაყვანს-ვცემ, როგორც იდეალს...

...  
 დიდება ერთის მშობას!  
 მეორის მოთმინებას!  
 მესამის სარწმუნოებას!..  
 და მათსა მოვლინებას!..

(„ჩემი ლოცვა“)

წმიდა ნინოში აკაკი წერეთელი ხედავდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მთლიანობას, გამოვლენილს ქრისტიანობის სახით. მაღალი ეროვნული მიზნის მისაღწევად ყოველ ხალხს სჭირდება სულიერი



მთლიანობა. ამ მთლიანობის შექმნა კი მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია, ამიტომ შეძთხვევით არ იყო, რომ ქრისტეს აღდგომას აკაკი წერეთლის საქართველოს აღდგომასთან აკავშირებდა. ეს ორი მხატვრულ-აზრობრივი სახე მას ერთმთლიანობად ჰქონდა წარმოდგენილი.

არიან ჩვენშიც თომასთანები,  
რომ არ სწამთ ქვეყნის მათ მომავალი;  
დღევანდელ ჯვარცმით გულგატეხილებს  
სამორჩხვევლოთ არ უჭრისთ თვალი.

...  
მანამდე-კი ჩვენ ვიტყვით და ვამბობთ,  
(თუმც დასაჯერი ჯერ-კი ძნელია),  
რომ სდგება ქრისტე! ის ვინც სიკვდილით  
სიკვდილისავე დამორგუნველია.

(„თომა მოციქული“)

აღორძინებული ღმერთი და აღორძინებული ქვეყანა ერთმანეთს სრულიად ბუნებრივად დაუკავშირდა, რამეთუ აკაკი წერეთლისათვის საქართველო მიჯაჭვული ამირანიც იყო.

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჯაჭვული ამირანი  
არის მთელი საქართველო  
და მტრები – კი ვვავ-ფორანი.

(„ამირანი“)

მიჯაჭვული პრომეთე, მიჯაჭვული ამირანი და ჯვარცმული ქრისტე ერთი და იმავე იდეის სხვადასხვა ვარიაციაა. ეს არის კეთილის გვემისა და მისი აღორძინების, მისი მარადიული სიცოცხლის და უკვდავების იდეა. თუ ამ იდეას ბერძნული და ებრაული გენია ქმნიდა, ერთი ვარიანტი ქართული გენიის ნაყოფიც არის. აქაც აკაკი წერეთელი ეროვნულ ნიადაგზე იდგა. იგი კარგად ხედავდა იმ გენეტიკურ ურღვევ კავშირს, რომელიც პრომეთეს, ამირანსა და ქრისტეს შორის არსებობს. რა ვუყოთ მერე, თუ აღორძინებული ღმერთის იდეა ქრისტიანობამ უკეთ და სრულყოფილად გამოხატა. ქრისტიანობა ქართველი ხალხისათვისაც ეროვნული სარწმუნოება იყო, ამ სარწმუნოების მქადაგებელი კაბადოკიელი ასული კი – ქართველი ხალხის სულიერი მთლიანობისა და ერთიანობის სიმბოლო.



მწამს! და შენც მწამხარ წინამორბედად  
იმ აღდგომისაც, რომ ველი მეცა!..  
როდესაც, ქვეყნად ტანჯულ სიმართლეს  
მკვდრეთით აღადგენს კურთხევით ზეცა.

(„ქრისტე აღსდგა“)

თუმცა გულახდილად უნდა ითქვას, რომ საქართველოს სულიერი ერთიანობისათვის ეს არ კმაროდა. უკვე რამდენიმე საუკუნე იყო გასული, რაც საქართველო სულიერად ორ ნაწილად – ქრისტიანულად და მაჰმადიანურად – იყოფოდა. უნდა გამოეყენათ სულიერი ერთიანობის ისეთი მოძღვრება, რომელიც ორივე ნაწილს კვლავ შეადუღებდა ეროვნული მთლიანობის ურყევი რწმენით. სამწუხაროდ, მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ეს პრობლემა ვერ გადაჭრა და გადასაწყვეტად მომავალ თაობას უანდერძა.

საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ძლიერების ხატად კი აკაკი წერეთელმა თამარი მიიჩნია.

ყოველს ერის ისტორიაში არის პერიოდი, როცა ესა თუ ის ხალხი მაქსიმალურად გამოავლენს თავის ეროვნულ ენერჯიას. ჩვენი ხალხის ისტორიაში ასეთია თამარის ეპოქა. ამიტომ წარმოიდგინა იგი აკაკი წერეთელმა ქართული ძალმოსილების სიმბოლოდ. ამასთანავე დაქსაქსული და დაფანტული ერი ვერასოდეს მოახარხებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებას. თამარის დროს ქართველ ხალხს ის ეროვნული ერთიანობა ჰქონდა, რომელიც ყოველგვარი გამარჯვების საწინდარია.

აკაკი წერეთელმა, ავადმყოფი ერისა და მიჯაჭვული ამირანის გვერდით, საქართველოს მესამე ხატიც შექმნა. ეს არის საქართველო-ჩონგური. ჩონგური მან ქართველი ტომების ერთიანობის სახედ წარმოგვიდგინა.

ჩონგური საქართველოა,  
სიმები ჩვენ ვართ ვეღაო,  
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები,  
„ოდელა-დელა-დელაო...“

ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის სახრჩობელო!..  
მტრებს „ვაი დედა“ ვამახოთ  
და ჩვენ უთქვათ: „დელა-დელაო“.

(„ნათელა“)

და თუ ოდესმე საქართველო აწყობილ ჩონგურს ჰგავდა, ეს იყო თამარის ეპოქაში. აკაკის იდეალი თავისუფალი ქვეყნისა თამარის საქართველომ გამოხატა და ამიტომ პოეტის საოცნებო სამების შეორე კიპოსტასი თამარია.

აკაკი წერეთელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ვერც ეროვნული ძალმოსილება, ვერც ზნესრულობა ხორცს ვერ შეისხამს, ოცნებიდან სინამდვილედ ვერ იქცევა, თუ არ არიან ადამიანები, ვისაც ძალუძს ამისათვის თავგანწირვა, ვინაც საკუთარი ხორცისა და სულის გვემით შეიძლებს გოლგოთაზე აზიდოს ჯვარი. ასეთი პიროვნება იყო ქეთევან დედოფალი. ამდენად იგი აკაკის სამების შესაშუ კიპოსტასია.

ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,  
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო.  
(„თემურ-ლენგის ტყვე“)

ამ სამ მანდილოსანს აკაკი წერეთელი ყოველთვის ერთად იხსენიებს. პოეტს არ ეუცხოება ის, რომ ისინი სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ეს არ უშლის ხელს მათ სიმბოლოდ წარმოდგენას და აზრობრივად გაერთიანებას. მკითხველსაც მათი ერთად წარმოსახვა სრულიად ბუნებრივად მიაჩნია.

აქ ნინო, თამარ, ქეთევან  
სამარადისოდ ქებულან,  
დედათ გვირგვინად ზეგარდმო  
კურთხევით გაბრწყინებულან.  
(„ბოდვა“)

როცა ჭაბუკი გამოუცდელი  
მას თაყვანს-ეცემდი თავდადებულად,  
ვხვდავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,  
იმათში შენათხზ-შეერთებულად...  
(„ქებათა-ქება“)

„ქეთევან მისთვის ეწამა  
და ნინო მოუვლინდაო:  
თამარსა მისი გულისთვის  
სულ სისხლის ცრემლი სდინდაო...  
(„ზოლერა“)

აკაკი წერეთლის პოეზიაში ერთ მხარეს არის მწარე სინამდვილე და მეორე მხარეს – ტკბილი ოცნება. მათი დაპირისპირების ნიადაგზე აღმოცენდა პოეტის სკეპტიციზმი, რომელიც დროგამოშვებით, ამა თუ იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, თავს იჩენდა. როცა აკაკი წერეთელმა გამოიღვიძებული ხალხი დაინახა, იმედით აივსო.

მოდის... მოდის სხვა თაობა,  
ჩვენ რომ გვინდა იმისთანა!  
უუვალობით მას „მზე-შინა“  
და ძველებს – კი უუთხრათ „ნანა“,  
(„მობზუცის აღსარება“)

მაგრამ მაშინვე გული გაუტყდა, როგორც კი შეამჩნია, რომ ახალი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს ეროვნული პრობლემა არ აწუხებდა და საქართველოს ბედით დაინტერესებული არ იყო.

„მტერი იმახის: „ვინ გაიგონა  
ახლანდელ დროში ეროვნებაო?“  
(„ჩემი ჳმუნვა“)

აკაკი წერეთელი მთელი არსებით ეტრფოდა პიროვნების, შრომის, სიტყვის თავისუფლებას. ამისათვის ბრძოლას შეაღია მთელი ცხოვრება. ამიტომ შეხვდა იგი 1905 წლის რევოლუციას ალტაცებული.

გამოიღვიძა ხალხმა მიძინარმა,  
რომ შოიპოვოს თავისუფლება  
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის  
და აასრულოს საერთო ნება!...

...  
მადლობა უფალს! მოვიდა წარყვნა,  
რომ წაიღეკოს უსამართლობა  
და დაემკვიდროს ამიერიდან  
შეება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!  
(„ნატვრა“)

მაგრამ აკაკისათვის თავსუფლების ყველა გამოვლენა, იქნებოდა იგი პიროვნების, სიტყვის თუ შრომის, დაკავშირებული იყო ეროვნულ თავისუფლებასთან და უიმიისოდ არ არსებობდა.

„ვევლაზე პირველ მე ქართველი ვარ,  
მერე, თუ გინდა, სხვა გვარი ისტი.  
სხვისი თვალთაც არ ვიყურები,  
არ გადამკვრია ჩემსაზე ბისტი.“

(„გამოტეხილი სიტყვა“)

ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,  
ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?  
ვისაც სძულს თავის სახლი და კარი,  
ვინდა გაუღებს სამოყვროდ კრებს?

(„თერთმეტი ენკენისთვე“)

პოეტი მართალი იყო. ყოველგვარი თავისუფლება, თვინიერ ეროვნული თავისუფლებისა, ფიქციაა\*. როგორ შეიძლება მიიჩნიო პიროვნება თავისუფლად, თუ იგი მოკლებულია უფლებას მშობელი ერის ინტერესების შესაბამისად ემსახუროს კაცობრიობას? როგორ გამოვლინდება სიტყვის თავისუფლება, თუ ვერ ილაპარაკებ ეროვნულ ტკივილსა და გაჭირვებაზე? როგორ იქნება შრომა თავისუფალი, თუ მოქალაქე იმ საქმეს ვერ აკეთებს, რომელიც მისი ხალხისათვის არის აუცილებელი და გადაუდებელი? ამიტომ, თუ ერის სულში არ ჩამქრალა საკუთარი ღირსების გრძნობა, მარად უნდა იბრძოდეს თავისუფლებისათვის. მაგრამ, საშწუნაროდ, ამა თუ იმ მიზეზთა გამო, ზოგჯერ ერის ენერგია ამოიწურება, მას ძალა და ნებისყოფა აღარ აქვს და აღარც თავისუფლებისათვის ბრძოლა ძალუძს. მაშინ იგი დაცემის გზას დაადგება. აკაკიმ დაურიდებლად და პირუთენელად უთხრა ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ერს:

მაგრამ იცი, მე რას გირჩევ,  
ვით სნეულსა და ავადმყოფს?  
თუ ორს ჭირში ერთს აირჩევ, —  
გარყენას ისევ სიკვდილი სჯობს!...

(„სიყვარული“)

მაგრამ აკაკი წერეთლის შემოქმედების ოპტიმისტური ხიბლი ის არის, რომ მიუხედავად ყაშიდან ყაშზე გამოვლენილი უცინცობისა, მის გულში საბოლოოდ მაინც არასოდეს გამქრალა ეროვნული თავისუფლების იმედი. არც მაშინ, როცა დადარდიანებული ჩიოდა — „და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე „ქართველი“ აღარ სწერია“ და არც

\* ფიქცია — აქ: ტყუილი.





მამინ, როცა რწმენით ანთებული ყველას არწმუნებდა – „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს ვმირთა ვმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი...“

ამ იმედის საფუძველი კი ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია იყო.

### სულის ნებარება

აკაკი უბრალოდ ან შეცდა, ან მორცხვობამ ათქმევინა: „მე ჩემი თავი ყოველთვის მიმანდა და მიმანია პატარა, დღიურ მუშათ...“

უამრავი ნიშუშის მოხმობა შეიძლება იმის საბუთად, რომ პოეტი მეტად თავმდაბლურად აფასებდა საკუთარ ნიჭსა და ღვაწლს. ზოგჯერ ირონიული ღიმილითაც კი.

„ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არა მაქვს რა და ერთხელაც არ მახსოვს, რომ ღმერთი დამლაპარაკებოდეს!“

„ერთადერთი ჩემ თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და გასაოხრებლად მენანება, არის „ჩემი თავგადასავალი“. ნათქვამია: „ყვავს თავისი ბახალა მოსწონსო“. შეიძლება დიდი არა იყოს რა, მაგრამ მე კი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული“.

ამ ციტატებში უფრო აკაკის პიროვნების ბუნება-თვისება მოჩანს, ვიდრე მისი შემოქმედებითი მრწამსი. ეს კრედიო გაცილებით ღრმა და რთულია. აკაკის პოეზიის სიღალით, სიმსუბუქით, გამჭვირვალებით არ უნდა მოვტყუვდეთ. როგორც მოწმენდილი, კამკამა, უღრუბლო ზეცა მალავს კოსმოსის უღრმეს საიდუმლოებას, ასევეა დაფარული აკაკის პოეზიაში შემოქმედებითი მულამი.

საერთოდ, უზენაესი შემოქმედლის სიდიადეს აკაკი სიწყნარესა და სიმშვიდეში უფრო ჭვრეტდა, ვიდრე ხმაურსა და გრიალში. თუ ადამიანს ხმაური უფრო განაცვიფრებდა, ვიდრე სიწყნარე, ეს კაცის ბუნების სისუსტისა და არასრულყოფილების ბრალი იყო.

„როდესაც ფოთოლი გამოდის და ყვავილები იშლებიან, ეს დიდებული შემოქმედებითი პროცესი ადამიანს არაფრათ არ მიანია უმცერების გამო, მაგრამ იგივე ადამიანი ელვა-ჭექა-ქუხილის დროს კი პირველის წერით იძახის: „დიდება შენს ძლიერებას, ყოვლის შემოქმედლო...“

ლიტერატურულ ხმაურ-გრიალსაც შეეძლო უფრო მეტად მიეპყრო ადამიანთა ყურადღება, ვიდრე მშვიდ და წყნარ მწერლოურ საქმიანობას. ამას ითვალისწინებდა აკაკი, მაგრამ ფეხის ხმას არახოდეს აჰყოლია.



მაშინ, აკაკის სტუდენტობის ეპოს, რუსულ ლიტერატურაში ცხარედ ებრძოდა ერთმანეთს ორი პრინციპი, ორი მიმართულება – ხელოვნება ხელოვნებისათვის და ხელოვნება ცხოვრებისათვის. აკაკი თავად აღნიშნავს, რომ არცერთს არ ემხრობოდა.

„ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოებასათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია. მწერლობაშიც შემქმლო, რომ სხვების აყოლით, დიდი სახელი მომეპოვებია, მაგრამ ჩემს რწმუნებას ვერ ვუღალატე... ორთა შუა მყოფს მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად.“

ეს გზა იყო ორივე პრინციპის შერწყმა და ერთმთლიანობად წარმოდგენა. ცალ-ცალკე არც ერთი – არც ხელოვნება ხელოვნებისათვის და არც ხელოვნება ცხოვრებისათვის, როგორც ცის, ისე მიწის მსახურება მიაჩნდა აკაკის პოეტის დანიშნულებად. ამ მსახურებასაც უყურებდა როგორც ერთ მთლიანობას. პოეტშიც, როგორც ადამიანში, ორ საწყისს ხელავდა – დედაკაცურსა და მამაკაცურს.

„იმათ (პოეტებს – აბ.) გული ქალისა აქვსთ და თავი კი კაცისა. ეს ორი თანასწორი ძალა, შეცდომით, ერთს გვაშში მოთავსებულა.“

აკაკი თავის ცხოვრებაში მოქმედობს თავით, გულს ადვილად ერევა, რადგანაც უსუსტესი აქვს თავზედ, და ამის გამო მის მოქმედებაში იხედება ერთგვარობა და დადგრომილობა! ქალის გული, როგორც უძლიერესი, მუდამ იმორჩილებს თავს და მის მოქმედებაშიაც ერთგვარობა, ერთხასიათობა იხატება.

მაგრამ რა უნდა ჰქნან საბრალო პოეტებმა, რომელთაც თავიცა და გულიც ერთის ძალისანი აქვსთ? მათ ბუნებაში ეს ორი ძალა მუდამ იბრძვის: ხან ერთი იმორჩილებს და ხან მეორე. გული გაიმარჯვებს, – პოეტი გრძნობას მისდევს; და თავი გაიმარჯვებს – გონიერებას...

აი, რა მიზეზია, რომ მათს მოქმედებაში ორგვარობა იხატება. აი, რათ გვეჩვენებიან ჩვენ პოეტები დაუდგრომლებათ და უხასიათობათ!..

აქვსთ პოეტებსაც დრო ხანდახან, როდესაც მათი თავი და გული ერთმანეთს უთანხმდებიან, მაშინ ისინი ემსგავსებიან მაღალს ზეგარდმო ჩაგონებულ ქმნილებებს და მაშინ კი, დიახ, უტყუარად მიგვაჩნია მათი სიმღერა.“

გულისა და გონების ერთიანობა ქმნის ამაღლებულსა და მშვენიერს. მაგრამ გარემოებათა ცვალებადობის მიხედვით, პოეტი შეიძლება იყოს ხან მიწისა და ხან ცის, ხან არც ერთისა და არც მეორის, ხან კი შუაკაცისა და გარემოების საყვირის როლი შეასრულოს („პოეტი“). ეს არ არის დაბნეულობა. ეს არის შედეგი ცხოვრების წესისა. ცხოვრების მრავალფეროვნება ბევრი საჭირობოროტო პრობლემის პასუხს ითხოვს.



მწერალს კი გვერდის ავლის უფლება არა აქვს. იგი ყველაფერს უნდა გამოეხმაუროს. როგორც თავად ხუმრობდა, ხან ბატისფრთის კალამი უნდა ეჭიროს ხელში, რომ ჩიტოვით იჭიკჭიკოს, მკითხველს აღმაფრენა მოჰგვაროს, ხან კი ძაღლისძვლისტარიანი კალმით ყეფა-ღრენა ეხერხებოდეს ბოროტის დასათრგუნად:

პოეტო! ნურც შენ ეკრძაღვი  
 მრისხანე გულის ღელვასა!..  
 ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი  
 და სიბნელის დროს ეღვასა!

(„ზღვაო, აღელდი, აღელდი!..“)

ეს მაშინ, როცა ადამიანი მიწიერი არსებობის ორომტრიალში ბრუნავს. მაგრამ ადამიანი, როგორც კერძო პირი და ერიც, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ერთობლიობა, ნაწილია მთელი სამყაროსი. განკერძოებულად არაფერი ხდება. ერთმანეთის ბედში ყველაფერი მონაწილეობს. როცა საფარ-ბეგის ბნელი გულისთქმა უნდა აღსრულდეს და ნაზიბროლა გააბახოს, მთელი ბუნება ირყევა, ძრწის, წარღვნით ემუქრება სულიერსა და უსულოს.

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს,  
 თითი, თვალთან მიტანილი...  
 ცა მრისხანებს, ეღვა-ჭექემ  
 ნადირსაც კი უფრთხო ძილი!..  
 ქარი ზუის გულსაკლავად,  
 წვიმა უშვებს კოკის პირად,  
 ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში  
 გავარდება მეხი ხშირად.  
 თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს  
 აუშვია ქვეყნად ზარი!  
 აიტანა შიშის ქარმა  
 თანასწორად მთა და ბარი!

(„გამზრდელი“)

კოსმოსისა და ადამიანის უხილავ კავშირს კაცი ხშირად ვერ ხედავს. მას უბედურებაც და ბედნიერებაც კონკრეტული, კერძო მოვლენა ჰგონია. არ სურს დაიჯეროს, რომ ყოველი სულიერი უკავშირდება უკიდევანო სამყაროს. ეს სამყარო განიცდის ყოველი ადამიანის ბედნიერებას თუ უბედურებას. ამ მთლიანობის გრძნობაშია ადამიანის თუ მთელი ერის ძალა. ეს არის ის ჰარმონია, რაც აძლევს სიცოცხლეს აზრსა და მიზანს.

გათენდა დილა საამო,  
ქვეყანამ ვაძიოღვიძა:  
ცა დედამიწას დაჰზარის  
და ცას შეჰნატრის ძირს მიწა.  
კაცი, პირუტყვი, მცენარე  
მზეს მოვლიან საამურს.  
ბუღბუღი ჩანგურს უშზადებს  
და შაშვი უკრავს სალაშურს.  
ტორილა მალლა ჰაერში  
ზარს აწკარუნებს რიკ-რიკით,  
ჩაუქროლ-ჩამოუქროლებს  
მერცხალი ტკბილი ჭიკჭიკით!  
ქვეყანა აღტაცებული  
უგალობს ქებათ-ქებასა  
და ყვაილები სამსხვერპლოდ  
უკმევენ სურნელებასა!..

(„ნათელა“)

ამ კოსმოსური პარმონიის დარღვევა აკაკის პოეზიაში არასოდეს ხდება ვიწროდ, შემოფარგლულად. მას ყოველთვის თან ახლავს გლობალური, საყოველთაო რყევა.

საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამკვიდრებას წინ უსწრებს კოსმოსური მოვლენა – მზისა და მთვარის ბრძოლა.

ერთხელ თურმე მზეს და მთვარეს  
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:  
გაშორდნენ და შემაერთი  
ჩაინგრიეს გზა და ხიდი.  
შუა ჩადგა გველეშაპი,  
დრო იხელთა, ჩაეპარა...  
აღარც მზე სჩანს, აღარც მთვარე...  
ორივე ერთად მიეფარა.  
დადგა ბნელი, საზარელი  
დრო, მზეცების სანაყარდი!..  
მზის სხივების ველარ მჭვრეტე,  
გახმა ია, დასჭკნა ვარდი!..

(„ნათელა“)

ასე ხდება მაშინაც, როცა თემურ-ლენგი დააქცევს საქართველოს.

ცა მოწმენდილი, ლაყვარდოვანი  
დაიფარა და დაბნელდა არე,



ვით გველემამა მზეთუნახავი  
ისე ჩაყლაპა ღრუბელმა მთვარე.  
(„ბაგრატ ღიდი“)

ყველა უბედურება მაშინ იწყება, როცა სამყაროს ჰარმონია ირღვევა. როგორც წესი, მიწიერ უბედურებას თუ ბედნიერებას ეხმაურება სამყარო. იგი არ არის გულგრილი. უყურადღებოდ არაფერს ტოვებს. თუ კოსმოსური ერთმთლიანობა არსებობს, ადამიანს არაფრის უნდა ეშინოდეს, არც კაცი და არც ერი უპატრონოდ არ დარჩება. როცა მონღოლი ნოინი ეკითხება ცოტნე დადიანს – რის იმედით იბრძვით, ვინ გყავთ მშველელი და დამხმარეო, – ქართველი მთავარი უპასუხებს:

– ამქვეყნად ზღვა და ხმელეთი,  
მაღლა ცა, მზე და მთვარეო!  
(„ნათელა“)

ეს ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი სამყარო მაშინ აისახება პოეტის სულის სარკეში, როცა იგი თავად ხდება კოსმოსის ნაწილი. ამჯერად უკვე აღარ შეიძლება პოეტი მხოლოდ ან მიწის იყოს, ან ცის, ან ოდენ გარემოების საყვირად მოგვევლინოს.

შეიძლება სამყაროს ერთმთლიანობას შეხედო სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ეს ხედვა ცალმხრივი იქნება. აკაკი წინააღმდეგი იყო ცალმხრივობის. იგი ხედვის მთლიანობას უჭერდა მხარს. მაგალითიც მოპყავდა. ვთქვათ, კვარცხლბეკზე მდგარ ადამიანს „ზოგი ერთი მხრიდან უყურებს და ზოგი მეორე მხრივით; ზოგი მარტო ზურგსა პხედავს, ზოგი თავს, ზოგი ფეხს, ზოგი რას და ზოგი რას, – ერთის სიტყვით, იმ მხარეს, საიდანაც უყურებს და რომ მაშინ თვითოველმა მათგანმა დაიჯინოს, რომ იმ კაცს მის მეტი, რაც შე მინახავს, არა აქვს რაო: ზოგმა სთქვას, მარტო ფეხები აქვსო, ზოგმა – მარტო თავი, ზოგმა – მარტო ზურგიო და სხვანი და სხვანი, იმ მაღლა ასულის კაცის რა ბრალი იქნება?! ვისაც უნდა, რომ მართალი და შეუმცდარი ჰაზრი იქონიოს, უნდა ავიდეს იქვე, სადაც ის დგას, ათვალიერ-ჩათვალიეროს ის კაცი, ასწონოს, გაზომოს და მერე დააფასოს.“ ადამიანის გარდა, ასევე საჭიროა სამყაროს ხედვა მთლიანობაში. ამას ვერც იმ პრინციპით მოახერხებ, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ რომ ჰქვია და ვერც იმ მეთოდით, „ხელოვნება ცხოვრებისათვის“ რომ ეძახიან. მათი შეერთებაა საჭირო, მათი ერთმთლიანობაა აუცილებელი. პრინციპის, მეთოდის, მსოფლმხედველობის ერთმთლიანობა მისცემს მწერალს, ხელოვანს საშუალებას, მეტ-ნაკლები სიზუსტით განჭვრიტოს კოსმოსი. ამისათვის

შემოქმედი უნდა ამაღლდეს და შეუერთდეს სამყაროს დიად  
ერთმთლიანობას.



ამაღლდი, გრძნობავ, გონებავ!..  
ასცილდით მზე და მთვარესა!..  
შუქკავშირდით ვარსკვლავებს,  
მოციმციმ-მოელვარესა!

შეიტყვეთ საიდუმლობა  
ზეციურ ტკბილი ხმებისა  
და შეისწავლეთ კანონი  
იმათი შეთანხმებისა!

მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,  
ხელი შევახო ჩანგურსა  
და მწარე ზარი ამ ქვეყნის  
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა.

(„ნათელა“)

აკაკი წერეთელი იყო ამ ზეციური საიდუმლოს პოეტი და არა  
ყოველდღიურობის მუშა. ეს, გარდა უკვე თქმულისა, მის თხზულებებში  
გაფანტული სხვადასხვა ალეგორიითაც დასტურდება.

მგოსანი ერთ ქართულ ლეგენდას გვიყვება: როგორ გაჩნდა ყაჭი,  
ანუ აბრეშუმის ჭია.

ლეგენდა ლექსად ყოფილა შეთხზული, აკაკის ზოგიერთი სტროფი  
ზეპირად სცოდნია. ზოგიერთი დავიწყებია, შინაარსი კი ბოლომდე  
ნათლად ხსოვებია.

ბიბლიური იობის თავგადასავალს გვიამბობდა ის ლეგენდა. ოღონდ  
უსახელო ქართველ ავტორს ამბის დასასრული დაემატებინა და  
თავისებურად გაეაზრებინა.

გახსოვთ, ალბათ, ეს: სვებენიერად ცხოვრობდა იობი. მრავლად  
ჰყავდა საფოლელი და უხვად ჰქონდა საქონელი. ესეა ცოლი, შვიდი  
ძე და სამი ასული.

ერთხელ ჰკითხა უფალმა სატანას – როგორ არისო ჩემი მორჩილი  
იობი, ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში, უბოროტო კაცი? დაცინვით  
მოუგო სატანამ: რატომ არ იქნება ღვთისმოყვარული? ვანა შენ არ  
იცავ მის ოჯახს, სარჩო-საბადებელს, სახლ-კარს!.. აბა, წაართვი  
ყველაფერი ეს და ნახავ, როგორ დაგიწყებს გმობას.

მისცა უფალმა ნებართვა სატანას, დაეჩაგრა იობი. არაფერი შერჩა  
მას – არც შვილები, არც ქონება, არც ბედნიერება. მაინც არ ჰგმო



ღმერთი. „უფალმა მომცა, უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს მისი სახელი!“

მეორედ ჰკითხა უფალმა სატანას: ახლა როგორღა არისო ჩემი მორჩილი იობი? ისევ ქირქილით უპასუხა სატანამ – ეს უბედურება აიტანა, მაგრამ, აბა, პირადად შეეხე მას, მის ხორცს, ძვალს, სიცოცხლეს, მაშინ ნახავ, რა უშვერი სიტყვებით დაგიწყვებს გინებას. ისევ აღიჭურვა სატანა უფლებით – მიეყენებინა იობისათვის უსაშველო ვნებანი.

ენით უთქმელი და კალმით აუწერელი სენი შეტყვარა სატანამ იობს. უსახლვრო იყო მისი ტანჯვა. მაინც არ ამუნათებდა ღმერთს. „სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა“.

სამი მეგობარი ეწვია სანახავად სნულ იობს. ვერ უთხრეს ნუგეშის სიტყვა. მეტისმეტად დიდი იყო წამება. მაშინ დასწყველა იობმა თავის განენის დღე. პასუხად მეგობრებიც ალაპარაკდნენ. დიდხანს ისაუბრეს, იკამათეს, იდავეს, გულწრფელად თქვა იობმა თავისი სამღურავი. მოეწონა უფალს იობის გულახდილობა. შეიბრალა იგი. „უკურთხა უფალმა იობს დარჩენილი დღეები წინანდელზე უფრო მეტად“. დაუბრუნა საქონელიც, საყოლელიც, სახლ-კარიც და შვილებიც.

უბრუნველად დალია იობმა სიცოცხლის დღენი.

ამის მერე ცკლის ქართული ლეგენდა ფინალს და უმატებს: ღმერთის ანგელოზმა იობს მოსარჩენად ერთი ჯამი წყალი გადაასხა. ციდან ღრუბელი ჩამოვიდა და დაღვრილი წყალი შეიწოვა. ცა ამ წყალს წვიმაში ურევს, რომ დედამიწა გაანაყოფიეროს, რომ პურეულმა, ხე-ხილმა, ბოსტნეულმა, ადამიანის სარჩენად, ნაყოფი გამოიღოს. ჭია-ლუა, რომელიც იობს ესეოდა, ფუტკრად, წურბელად, ყაჭად გადაიქცა. იმ დღიდან ფუტკარი თაფლს აწვდის ადამიანს, წურბელა მკურნალობს, აბრეშუმის ჭია სხეულიდან ძაფს იღებს, რომ კაცი შემოსოს...

ადამიანისა და მთელი სამყაროს ერთიანობა-მთლიანობა იმ ჩვეულებაშიც ნათლად მოჩანს, რომელიც საქართველოში ყოფილა ძველად გავრცელებული. მართალია, მე-19 საუკუნეში იგი უკვე დავიწყებიათ, მაგრამ ქართველი საზოგადოებისათვის ალექსანდრე ორბელიანს შეუხსენებია.

„ქართველი რომ სათესავად გავიდოდა, ჯერ რამდენიმე მუჭა ხორბალს ისე აბნევდა ხნულში ამ სიტყვებით: ეს ღმერთს! ეს მეზავრს, ეს მტერს, ეს მოყვარეს, ეს ქვრივ-ობოლს, ეს მკვდარს, ეს თავვს, ეს ფრინველს, ეს ამას და იმასო!.. ჩამოყვებოდა, არავის ივიწყებდა. მერე იტყოდა: ეს მე და ჩემიანებსო!.. და იწყებდა ერთპირად თესვასო.“

ეს არა მარტო გულუხვობის გამოძულავენება იყო, არამედ იმ კავშირის ქვეცნობიერი გამოვლენაც, რომელიც სულიერსა და უსულოს, ხილულსა და უხილავს, პირუტყვსა და მეტყველს, ცასა და მიწას შორის არსებობს.



თუ სარჩენად ფუტკარი თავის უმზადებს ადამიანს, ყაჭი -- ძაფს სამოსელისათვის, წურბელა მკურნალობს, ადამიანიც არ რჩება ვაფსო იგიც გულუხვად არიგებს თავის ნაშრომ-ნაღვაწს. ღმერთსაც უგზავნის მტერ-მოყვარესაც, ფრინველსაც, ცხოველსაც... ამ ერთ მთლიანობის ჯაჭვში ყველას თავისი ფუნქცია აქვს, თავისი ამოცანა და თავისი მოვალეობა.

ამ ერთიანობის გამოც შეიძლება იყოს ფუტკარი პოეტის სიმბოლო.

სხვებმა უძღვრონ ვარდ-ბუღბუღს,  
 ადიღონ ღოში ძლიერი;  
 თვალ-მარგალიტით შეამკონ  
 შეწიერება ცბიერი.  
 სხვა არის ჩემი გალობის  
 და ჩემი ჩანგის საგანი;  
 პატარა ბუზი... ფუტკარი,  
 იობის ჭიათავანი.  
 სიტკბოს რომ ეძებ სათაფლოს,  
 მიტომ ხარ მოუსვენარი...  
 და ვინც ხელს ვიშლის შრომის დროს,  
 მხოლოდ იმისი მკებნარი.  
 მაგრამ ქვეყანა უძღები  
 განა დაეძებს სიმართლეს?  
 ბნელს შენის სანთლით ინათებს  
 და ბნელს ჰფენს შენსა სინათლეს.

...  
 მაინც დაბზუი, დაფრინავ,  
 არც იშლი დროზე კბენასა,  
 ქვეყანას თაფლუკს უმზადებ  
 და სანთელს უნთებ ზენასა...  
 სარკე და სახე მგონსობის,  
 ემბლემაცა ხარ შრომისა,  
 შენათხზი სიყვარულისა  
 და წმინდა გულისწერომისა.

(„ფუტკარი“).

აკაკის განსაკუთრებით მოსწონს ფუტკარის თვისებანი: ადამიანი-სათვის (მიწისათვის) თაფლის კეთება და ღმერთისათვის (ზეცისათვის) -- სანთლისა.

თაფლს ცოცხლებისთვის ვამზადებ,  
 მკვდრებისთვის წმინდა სანთელსო,



და ვაკავშირებ ორ სოფელს:  
სიტკბობას და ნათელსო!  
(„ბოდვა“)

ხატის ბუხი, ზეცის მუშა  
პაწაწინა ფუტკარია!  
შორს მიფრინავს სამუშაოდ,  
მიიმღერის, უხარია!

დაბრუნდება დატვირთული,  
მიაშურებს ისევ სადგურს;  
სულს სწირავს და გულსა უძღვნის  
ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს!  
(„ფუტკარი“)

ზეცის მუშას შეძახიან,  
არ ვარ მარტო სამიწეო!  
(„ხარაბუზა და ფუტკარი“)

პოეტიც იმით ჰგავს ფუტკარს, რომ იგივე ღმერთსა და კაცს ემსახურება.

შენც, პოეტო, კაცთა შორის  
ფუტკარადა ხარ გაჩენილი,  
ენა-ისარ-ნაღვლიანსა  
ნაყოფი გაქვს ნათელ-ტკბილი.  
(„შეღარება“)

თუ ფუტკარი პოეტის სიმბოლოა, იობი საქართველოს სიმბოლოა. როგორც იობი უძღვება უსაშინელეს ტანჯვას, მაგრამ არ კარგავს ღმერთის იმედსა და სიყვარულს, ასევე უშკლავდება, აკაკის აზრით, საქართველო თავზე დატეხილ ყოველნაირ უბედურებას, სჯერა უზუნაესისა და ნათელი მომავლისა. როგორც იობის ტანჯვა-ვაება შეცვალა უფალმა ბედნიერება-კეთილდღეობით, ასევე გადმოხედავს იგი მოწყალე თვალთ საქართველოსაც. აკაკი იზიარებს იობის თავგადასავლის დედააზრს: ტანჯვის გზით იბადება ბოროტებიდან კეთილი. ეს კანონზომიერება თანაბრად ვრცელდება პიროვნებაზეც და ერზეც.

ვკონებ, მაგალითს გვაძლევს ბუნება:  
ჯერ უნდა ენახოთ ჩვენ განსაცდელი.



რომ მით, გვირგვინი გამოცდილების,  
ბოლოს ვიხილოთ ბნელით ნათელი!..

(„ორი სურათი“)

ასე არის ეროვნებაც,  
ვისაც ბევრი გადახდია,  
ის ური სხვა ერთა შორის  
გამომწვარი ფოლადია.

(„ომი“)

უბრალო სიმბოლო არ არის ფუტკარი აკაკის პოეზიაში. იგი მრავალმნიშვნელოვანია. ფუტკარი ამზადებს სანთელს, სანთელი კი, თავის მხრით, უკავშირდება სიწმინდესა და ნათელს. „უწმინდურ ოჯახში ფუტკარიც არ დგება“, – ამბობს მოხუცი საჩინო მოთხრობაში „ვეითელი სანთელი“. „ოჯახში თუ რაიმე ნაუკუღმართევი შევიდა და ან როგორმე გაუწმინდურდა, იმ ოჯახში იმ დღიდან ფუტკარი აღარ იხარებს. ან დაივსება, ან გაიპარება სადმე უდაბნოში“, – დასძენს ბერიკაცი. ქართული გადმოცემით, როცა ფუტკარი შრომობს და ბზუის, მაშინ ამბობს თურმე: სანთელი სულს, თაფლი ხორცსო, სანთელი სულს, თაფლი ხორცსო... სულისა და ხორცის დამაკავშირებელიც ყოფილა იგი. ანთებული სანთელი არა მარტო ბნელს ფანტავს, არამედ ადამიანის დანიშნულებაზეც მიუთითებს. ადამიანიც უნდა იწვოდეს და ჭკუა-გონებით ანათებდეს წყვდიადს, რომელსაც უგუნურება და უმეცრება ამკვიდრებს.

მიყვარს, როდესაც ხატის წინ  
ანთია წმინდა სანთელი,  
და საიდუმლო პარაკლით  
ბნელს ჰფანტავს მისი ნათელი.  
მყუდროდ, უხმოდ და უძრავად  
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,  
რომ მაღლით გაასპეტაკოს  
თვალუწვდენელი წყვდიადი.  
რალაც უცნაურ ერთობას  
ვხვდავ სანთელს და ჩემ შუა,  
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება  
ჩემი გონება და ჭკუა.  
სანთელი ჩემი ხორცია,  
სიცოცხლე – მოკლე პატრუქი,  
ნათელი – ჭკუა-გონება  
იმათგან გამონაშუქი.

(„ხატის წინ“)



აქაც ერთმთლიანობაა: ფუტკარი → სანთელი → ნათელი → ხული  
 → ხორცი → ადამიანი → წვა, როგორც სიცოცხლის შინაარსი, რაც  
 არ იწვის, არ ანათებს, — უჩინარად ღვება ნელა.“

აკაკის პოეზიაში დროც ერთმთლიანობაა. წარსული, აწმყო და მომავალი პირობითად არის დაყოფილი. სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები პიროვნებები შეიძლება ერთდროულად გამოეცხადონ ადამიანს. „ღვთისმშობლობა დღეს, ერთი სიზმარი ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ ნინო, ქეთევან და თვით თამარი“ („თორნიკე ერისთავი“). მართალია, ეს ხილვაში ხდება, მაგრამ იმავე პოემაში გამარჯვებული ქართული სპა იმ სიმღერას მღერის, რაც თამაზ ჭილაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უფრო დამარცხებულს შეეფერება, ვიდრე ძღვეამოსილსა და გამარჯვებით გალაღებულ ლაშქარს.“

მოვა დრო და თავს აიშვებს.  
 იმ ჯაჭვს გასწვევს გმირთა-გმირი!..  
 სიხარულად შეეცვლება  
 იმღენი ხნის გასაჭირი!

ხილვა, ზმანება, სიზმარი რეალობის ნაწილია. სიზმრად ნანახი თამარი, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები — ნესტანი და თინათინი — უფრო მეტად არის სინამდვილე, „ვიდრე ის დრო, რომელშიც არც ნესტანია, არც თინათინი და არც თამარი. დროის ერთმთლიანობა აძლევდა უფლებას, ეფიქრა:

მაგას რათ ბრძანებთ, აბა, ბატონო?  
 განა თამარნი ქვეყნად კვდებიან?  
 საუკუნიდან საუკუნეში  
 ისე, ვით მოვარე, გაახლდებიან.  
 („თამარ ცბიერი“)

რადგან დრო ერთმთლიანობაა, წარსულის უარყოფა აწმყოს უარყოფასაც ნიშნავს და მომავლისაც, ამიტომ ვდავებოდა თავგამეტებული ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც წარსული გველივით ეზიზღებოდათ და აწმყო ჭირივით ეჯავრებოდათ. მათ ახალი მომავლის აშენება უწარსულოდ და უაწმყოოდ უნდოდათ.

„ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზეც ხელს იღებს... ჩვენ კი გვინდა მისთანა მომავალი თაობა, რომელიც უარის მყოფელი კი არ არის წარსულისა, მკვლევარია და მამა-პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადეგ საფუძვლად უდებს მომავალს, რომ კავშირ-გაუწყვეტლად



(ხაზი ჩემია - აბ.) განაგრძონ ისტორიული ცხოვრება. ამავე აზრს იმეორებს სხვა წერილშიც. ისეთი თაობა გვინდა, რომელიც მომავალ აწმყოსა და წარსულზე დაამყარებსო. ამით ერთმთლიანობა და დაირღვეოდა.

აკაკისათვის წარსული და აწმყო თანაბრად ცოცხალი იყო. წარსულის ადამიანები ისევე ცოცხლობდნენ მის გვერდით, როგორც თანამედროვენი.

ეუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,  
 მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს.  
 ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,  
 მოელის ტურფა გამომხსნელს!  
 („ჭალარა“)

ამას ისე ამბობს, თითქოს გამოგონებულ პერსონაჟებს ან წარსულის ადამიანებს კი არ მიმართავს, არამედ გვერდით მდგომ თანამედროვეებს. ამ ერთმთლიან დროში ცხოვრობს ერთმთლიანი სამყარო.

ერთმთლიან სამყაროს ერთ-ერთი გამოვლენა-გამოსხივებაა კაცობრიობა.

კაცობრიობაც ერთმთლიანობაა და სხვადასხვა ერი ამ ერთმთლიანობის ცალკეული გამოვლენა-გამოსხივებაა.

ქართველი ერიც ერთმთლიანობაა და სხვადასხვა ქართული კუთხე-ტომი ამ ერთმთლიანობის გამოსხივება-გამოვლენაა.

ერთის მრავალსახეობა, ერთის მრავალფეროვნებაა არსებობის მშვენიერების საფუძველი.

ამის გაუთვალისწინებლად შეიძლება მოვტყუვედეთ. შეცდა გრიგოლ რობაქიძე, როცა იფიქრა: „მარტოღმარტო „მამულის“ სიყვარულით უნივერსალურ პოეზიას ვერ შექმნი.“

როცა აკაკი სამშობლოს თავისუფლებასზე ლაპარაკობდა, კაცობრიობის თავისუფლებასაც გულისხმობდა. მრავალი ვერ იქნება თავისუფალი, თუ ერთი არ არის თავისუფალი. ერთი ვერ იქნება თავისუფალი, თუ მრავალი არ არის თავისუფალი. აკაკის რწმენაა:

ჩემი ხატია სამშობლო,  
 სახატე - მთელი ქვეყანა.  
 („ხატის წინ“)

კარგად ცნობილია და ყველამ იცის, რომ აკაკი მთელი ცხოვრება ებრძოდა შოვინიზმს, ერთა უთანასწორობას, ჩაგვრასა და დამცირებას. პოეტი წამდაუწუმ იმეორებდა:

იმას არ ეთქმის „აღამიანი“,  
ვინც აღიარებს მარტო თავის ურს,  
და სხვა ტომებს-კი იხე შეკუურებს  
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.  
(„ჩემი კომუნა“).

განურჩევლად გვარ-ტომობის,  
ყველასათვის კეთილი მსურს,  
ვინც-კი კაცად-კაცადია  
და სიძმართლით გული უზურს.  
(„მგობარს“)

არის მხოლოდ ერთა შორის  
ერთი ძალა საკავშირო,  
ვით ღვთაება მადლმოსილი  
უსაზღვარო და უძირო.  
ეს ძალაა სიყვარული,  
სხივოსანი, მოელვარე,  
ყველასათვის ერთად-ერთი,  
როგორც ერთი შხე და მთვარე.  
(„აღბოშში“)

არა მარტო სხვადასხვა ერებს, არამედ სხვადასხვა რელიგიის  
აღამიანებსაც აკავშირებთ და აერთებთ სიყვარული, ძმობა, ერთობა. ამ  
იდეალისაკენ უნდა მიისწრაფოდეს კაცობრიობა, ყოველი ერი.

მიუწვდომელსა და უხილავსა,  
ყოვლის შემოქმედ ბუნების ძალას,  
ჩვენ, ქრისტიანნი, ვუწოდებთ ღმერთად!..  
მაჰმადიანნი უხშობენ ალლაჰს!..  
თუმც წარმოდგენა იდეალური  
ორივესათვის იგივე ერთია,  
მაგრამ ჰგონია უგნურებას-კი,  
რომ სულ სხვადასხვა ორი ღმერთია –  
ერთი-შეორის მოშურნე მტერი,  
მათ-მათ ძმისათვის მტრად გადამკიდე!  
და იმ თავითვე მოძმების სისხლით  
მორწყული იყო კიდითი-კიდე!..

...  
აწ აღარც რჯულის სხვადასხვაობა  
და არც სხვადასხვა გვარ-უროვნება!  
სუველა ერთად, ერთ დიდ სამეფოდ



შეკავშირებულ, შემტკიცებულ!  
და ყველას გულზე ზე წარწერილა:  
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.  
(„ძმური სიტყვა“)

ერთობა რგულის, ერთობა გულის  
უფარისველო და პირდაპირი,  
აი, რა არის სხვადასხვა ტომის  
შემხორციელები წმინდა კავშირი!  
(„თერთმეტი ენკენისთვე“)

ამ ერთიან ძმურ კაცობრიობაში თავისი ადგილი უნდა დაეჭირა ქართველ ხალხსაც. ეს იყო აკაკის ოცნება. ამ ოცნების განსახორციელებლად საჭირო იყო ქართველი ხალხის ერთმონიანობა და ბრძოლა. აკაკის პოეზიაში ჩნდება ერთიანობის სიმბოლო – ჩონგური. იგი ხშირად ფიგურირებს აკაკის თხზულებებში. არა მარტო „ნათელას სიმღერაში“ – „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“, – არამედ პუბლიცისტიკაშიც. „ავიღოთ მაგალითად საქართველო. ეს არის ჩანგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვ...“ ფუტკარით ჩონგურიც მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა. რაკი იგი მუსიკალური ინსტრუმენტია, პოეზიის სიმბოლოდაც არის გამოყენებული.

მე ჩანგური მისთვის მინდა,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს,  
განამტკიცოს აზრი წმინდა,  
გულს სიწმინდით ახურებდეს...

გამიქვავდეს მაშინ ენა,  
თუ რომ ვისმე მივეფერო,  
და გამიხმეს ეს მარჯვენა,  
თუ სიმრუდით სიმთ ვაფერო!..  
(„ჩანგური“)

ჩანგურო, ჩემო დიდებავ,  
და ძლიერებავ, კალამო,  
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,  
ზოგჯერ წყლოლისა მალამო!  
(„გამოფხიზლება“)



თუ, ერთი მხრივ, ჩონგური „ციური ტკბილი ძალა“ („ავადმყოფი მგოსანი“), მეორე მხრივ, „ეროვნება ღვთის ნიჭია“ („საქართველოს დღევანდელი სახე“). აქაც ხდება მათი სიმბოლური გაერთიანება. თუ პოეზია, უზუნაესი შთავონებით, ადამიანის შემოქმედების ნაყოფია, ერი თავად ღმერთის შემოქმედების შედეგია. ამდენად, შესაძლებელია ჩონგური პოეზიის სიმბოლოც იყოს და ერის მთლიანობისაც.

აკაკი ქართველი ხალხის ერთიანობა-მთლიანობისათვის იბრძოდა. მაგრამ არც იმ მრავალფეროვნებისა და თავისებურების წაღმა-შოსპობა უნდოდა, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და სხვადასხვა ქართულ ტომს ახასიათებდა. აქაც ძალა და მშვენიერება ერთის მრავალსახეობა იყო. აკაკი სწავლობდა და ბევრს წერდა ქართველ ტომთა ხასიათის ნიშან-თვისებებზე. კარვსაც ხედავდა და ავსაც. მანკიერებასაც აღნიშნავდა და უზადოსაც. რაკი ერის, მისი ტომების ხასიათის, თვისებების, ბუნების ზუსტად ამოცნობა შეუძლებელია, აკაკიც ცდებოდა ზოგჯერ. მაგრამ მის კვლევა-ძიებას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პოეტი ამხელდა იმ მკვნი ზნეს, რაც დრომ, საუკუნეებმა დააგროვა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. გამოყოფდა იმ კარვს, რაც არამცდარმც არ უნდა დაეკარგა ერს. ამ კუთხით მიაქცია ყურადღება „ვეფხისტყაოსანსაც“. მისი პერსონაჟების ხასიათში ქართველი ტომების ნიშან-თვისებებს დაუწყო ძებნა. კონკრეტულად აღწერა თითოეული პერსონაჟი და დაასკვნა: ტარიელი თავისი ბუნება-თვისებით ქართლელს ჰგავდა, ავთანდილი – იმერელს, ფრიდონი – შავიზღვისპირელ ქართველს. ამ პრობლემით გატაცებული საჯაროდ გამოდიოდა. ლექციებს კითხულობდა ქართულად და რუსულად. მაშინდელი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. „იმის ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“ დიდძალ ხალხს იზიდავდა, სხვათა შორის, გორშიაც წაიკითხა... ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო, შემდეგ დიდებული ნადიმი გაუპართეს“, – გვაუწყებს სოფრომ მგალობლიშვილი „მოგონებანში“.

პუბლიკუმის დასწრებით და ინტერესით თავადაც კმაყოფილი იყო. ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილს სწერდა: „უკანასკნელმა ჩემმა ლექციამ დიდი აღტაცება მოახდინა მსმენელებში.“

საერთოსაზოგადოებრივი მოწონების შემდეგ აკაკისათვის მოულოდნელი იყო ილია ჭავჭავაძის კრიტიკული დამოკიდებულება. ილიას უუცხოვა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო იდეების მხოლოდ ქართულ ჩარჩოში ჩაკეტვა. ვერ გაიზიარა რუსთაველის პოემის პერსონაჟების ზოგადადამიანური თვისება-ხასიათების შემოფარგვლა ქართლით, იმერეთით, საქართველოს შავიზღვისპირეთით. არც ილიას და არც აკაკის მეგობრობა ხელს არ უშლიდა, რაც არ მოსწონდათ



ერთმანეთის, იმაზე მოურიდებლად, მკაცრად ემსჯელებად. ამჯერადაც ასე მოხდა. მათი აზრი რადიკალურად გაიყო.

დღევანდელმა მკითხველმა იცის, რომ ამ დავა-პაექრობაში ილია იყო მართალი. მაგრამ იმის დავიწყება კი არ შეიძლება, რა მნიშვნელობა-აზრი ჰქონდა მაშინდელი ქართველებისათვის აკაკის ლექციებს. ეს გაზეთმა „დროება“ შეუცდომლად ამოიცნო და აუწყა კიდევ ხალხს:

„სწორედ მოსწრებულ დონეზედ იყო წაკითხული ეს ჩინებული საკითხავანი; სწორედ დროზე გაისმა მილიონჯერ განშორებული მოწოდება მამულის შეღლთა ძმობისა და ერთობისადმი. მოწოდება რათა დაივიწყოთ პიროვნული ინტერესები საზოგადო სარგებლობისათვის, ვსდევნოთ ყველამ თითოსი და თითომ ყველასი სენი...“

თავად აკაკიც ასე განმარტავდა თავის ლექციების მიზან-ამოცანას:

„...ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები ნამდვილი ქართველები არიან, სხვადასხვა კუთხებიდან აღებული. მაგრამ მარტო ეს მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. აქ ჩვენ ვხედავთ დიდ წინასწარმეტყველებას ჩვენი სამშობლოს შესახებ: ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. აქ, რასაკვირველია, თქვენც მიხვდით, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და ზნეობით მდგომარეობაზე მოგახსენებთ. იმის გაუმჯობესება, გამოხსნა მარტო ტარიელს, რაგინდ რომ უცნაური ძალისაც იყოს, არ შეუძლია მისი პირდაპირობით, თუ იმას ავთანდილიც არ მიეხმარა თავის წინდახედული მიხვევ-მოხვეულობით და თუ ფრიდონმაც მასალები და ხელსაწყოები არ მოუშხადა და არ მოეხმარა“.

არა მარტო ქაჯეთში დატყვევებული ნესტან-დარეჯანი იყო დაპყრობილი საქართველოს სიმბოლო, არამედ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის მეგობრობაც სახავდა იმ გზას, რასაც ერთიანი ქართველი ხალხი უნდა დასდგომოდა თავდასახსნელად. ერთიანობის თვინიერ აკაკი შეუძლებლად თვლიდა საქართველოს განთავისუფლებას. ამიტომ ამინებდა ქართველი ერის ერთმთლიანობის დაშლის ყოველი მინიშნება. ეს შიში გამომჟღავნდა იმ ლექსშიც, ვაჟას რომ მიუძღვნა: „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო...“

რამ გამოიწვია ეს კრიტიკული შენიშვნა? ვანა მანამდე არ იცოდა აკაკიმ – როგორ წერდა ვაჟა? მხოლოდ 1913 წელს გაახსენდა ეს? ამ დროისათვის ზომ უკვე დაწერილია ვაჟას ყველა მნიშვნელოვანი თხზულება? ჩანს, რაღაც ღრმა საფუძველი ჰქონდა ამ საყვედურს. შენიშვნა მით უფრო დამაფიქრებელია, რომ აკაკი უდიდესი პატივისმცემელი იყო ვაჟას ნიჭისა და შემოქმედების, ეს ხსენებულ ლექსშიც კარგად ჩანს. ვაჟა წოდებულია „მარგალიტების მთესველად“. ეს ადრეც უთქვამს: „როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის





ბაჩანასი და თედოსი, საზოგადოთ სამარგალიტო შაირები არიან... პროზა ზომ კიდევ უკეთესი“. იქვე დასძინდა: „ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“ ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში.“

მტერმაც კი იცოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ერის თავისთავადობისათვის ენას. არა მარტო სკოლიდან და ეკლესიიდან უნდოდათ ქართული ენის გაძევება, არამედ მისი დაშლაც. ამის გამო მუშაობდა დუშმანი აფხაზური, მეგრული, სვანური ანბანის შესაქმნელად. ეს ბრძოლა მთელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა. ქართველი მოღვაწეები მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. მაგრამ აფხაზეთში ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა; შეიქმნა აფხაზური ანბანი. გამოიცა აფხაზურად დაწერილი წიგნები. განსაკუთრებით ენერგიულად ეს პროცესი სწორედ 1912-1913 წლებში წარიმართა. დაიწყო საქართველოდან აფხაზეთის სულიერი მოწყვეტა. თუ ქართული საზოგადოება არ გასაღკლდედებოდა, საფრთხე სხვა კუთხეებსაც ემუქრებოდა. ამ ვითარებაში ყოველი გადახვევა მაგისტრალური ეროვნული პოლიტიკიდან საზიფათო იყო. რისი უფლებაც ვაჟას ჰქონდა, იმისი უფლება არ ჰქონდათ კიკნა-ფშაველებს, რომელნიც ქართულ მწერლობაში იმხანად მრავლად იყვნენ.

გულნატკენი ვაჟა აკაკის პასუხს აძლევდა: „მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა“. არც აკაკი წუნობდა. პირიქით, იგი მოითხოვდა საქართველოს ყველა კუთხის ღრმა ცოდნას, ყველა დიალექტის შესწავლას.

„...რა ეჭირვება მწერალს? ის, რომ იმან არ წარმოადგინოს საერთო ქართულ ენად ის ენა, რომელიც მის სოფელში გაუგონია. უნდა მოვლილი ჰქონდეს ყველა კუთხეები საქართველოში, ყური დაუგდოს ყოველი მხარის საუბარს, დაუკვირდეს, ამოკრიფოს ის ქართული სიტყვების მარგალიტები, რომელიც დღეს აქა-იქ გაბნეული არიან. აგრეთვე გამოჰყოს ის უცხო სიტყვები, რომელნიც ნაძალადეკად შემოდებულან, არ მოუდგებიან ქართულს და ისე სწეროს.“

„ზოგიერთთა მისი (ქართული ენის – ა.ბ.) ცოდნის მწეშებლებს – ზოგს ქალაქური, კინტორი, სხვა-და-სხვა ენებისაგან შემდგარი ენა ჰგონია ნამდვილი ქართული, ზოგს სიტყვებდაკარგული ამერული და ზოგს სხარტულობით გაცეცხებული იმერული, მაგრამ ყველანი კი სტყუიან და სანამ ყოველ კუთხეს არ მოივლიან, ყველგან არ გამოსძებნიან და არ შეასწორებენ ძველთან, ცუდად მოყვრობენ სამშობლო ენას.“

„...მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები.“



მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოულია, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეხიჩრება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეავსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.“

აკაკის პოზიცია მტკიცეა და ნათელი: ერთიანი სალიტერატურო ენა, როგორც ერის ერთიანობის საფუძველი. არ არსებობს ერის სულიერი ერთობა თვინიერ ერთიანი ლიტერატურული ენისა.

ქართველი ერის სულიერი ერთობა კი მაშინ ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნას სწყვეტდა. მართალია, რუსეთმა საქართველო ტერიტორიულად გააერთიანა, მაგრამ, სანაცვლოდ, სულიერად დააქუცმაცა. არა მარტო იმით, რომ საქართველო, როგორც ეროვნულ-პოლიტიკური ცნება, აღარ არსებობდა და იყო მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის, ზაქათალის და სოხუმის სამხედრო ოლქები, არამედ იმითაც, რომ ქართულ ენას წაართვეს სახელმწიფო და საეკლესიო ფუნქცია. ამ ვითარებაში ერთადერთი ძალა, რომელსაც ქართველი ხალხის სულიერი ერთიანობის შენარჩუნება შეეძლო, იყო ქართული მწერლობა. შეინარჩუნა კიდევ.

ფიქრობ, ამ სიტუაციით იყო გამოწვეული აკაკის საყვედური ვაჟას მიმართ.

„ჩემი აზრით, ჯერ საჭიროა თვით ერი შეერთდეს, ცალკე, ერთ მთლათ და მერე შეიძლება სხვა ერებთან გაერთიანებაზე ფიქრი თავიანთი ეროვნების დაცვით“.

ერთი უპირველესი შემაკავშირებელი დულაბი კი სწორედ ენა იყო და არის. ასე იქნება მუდამ.

„ფერადოვანი კაცობრიობა სხვა-და-სხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითუელმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა.“

ერის რაობას, ხალხის მე-ს უპირველესად ენა გამოხატავს. მისი ხელყოფა დაუშვებელია. მით უმეტეს, მაშინ, როცა ერი დატყვევებულია და ენაც განიცდის მეორე დიდი კულტურული ენის მძლავრ ზეგავლენას. აკაკისა და ვაჟას პოეტური პაექრობის ფაშს კი დაძაბული კოლონიური ურთიერთობა ბატონობდა. აკაკი ამას ითვალისწინებდა და სხვებსაც მოუწოდებდა, ყურადღება არ მოედუნებინათ.

ისიც უთუოდ აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის განვითარება სწორედ იმ გზით წავიდა, რასაც აკაკი სახავდა. დედა-ქართულის ლექსიკა მე-20 საუკუნის მწერლობამ გაამდიდრა მეგრულიდან, სვანურიდან, სხვადასხვა დიალექტებიდან



ამოკრეფილი სიტყვებით. მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.

აკაკის შემოქმედების მასშტაბი ალექსანდრე ხახანაშვილმა უტყუარად დაინახა. ოღონდ მისი ხასიათის განსაზღვრა შეეშალა. „ქართველი მგოსანი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო ვოდების პოეზია“. აკაკი, ჩემი ფიქრით, „მსოფლიო ვოდების პოეზიის“ წარმომადგენელი კი არ არის, არამედ მსოფლიო სიხარულის პოეზიისა.

რა არის, თუ არ ღვთის რისხვა,  
სიცოცხლე უსიხარულოდ?  
(„სიბერე“)

მართალია, აკაკის ლირიკაში ხშირად გაიგონებთ სოფლის სამღურავს, მაგრამ იგი მაინც, ძირითადად და არსებითად, სიხარულის მომღერალია.

ცხოვრებაშიც ბევრი ჭირ-ვარამი, უმადურობა, უსიამოვნება შეხვედრია, ბევრი უნამუსო შეურაცხყოფა მოუთმენია, ბევრი ბილწი ცილისწამება აუტანია, მაგრამ ცხოვრების ხალისი და წყურვილი არ განუღებია. მართალია, ქართულმა სინამდვილემ ათქმევინა – „ჰეი სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ, ჩემთვის კი ავო დედინაცვალო“ („სასოწარკვეთილება“), – მაგრამ მისი გონება მამხვილობდა და კვიმატი ენა ყოველთვის უმკლავდებოდა ცხოვრების ბნელი ძალის შემოტევას.

ერთ დაბოღმილ მკითხველს წერილი მიუწერია: უნიჭო ლექსების წერას თავი დანებე. თუ კალაში არ გასვენებს, თავი ეპიტაფიების წერით შეიქციეო. აკაკიმ გაიზიარა რჩევა და უპასუხა: მზად ვარ, პირველად თქვენ მოგემსახუროთო.

საქართველოში ბანკები და აქციონერები რომ მომრავლდნენ, მაინცდამაინც არ გახარებია. მათში ქართველის გაკოტრების საფრთხე დაინახა. საზოგადოებას მაშინვე განუმარტა – რას ნიშნავს სიტყვა „აქციონერი“. „ეს ლექსი არის ორი ქართული ლექსისაგან შემდგარი „აქციონ“ და „ერები“. ე.ი., სადაც ის ბანკი გაიმართება, რა ხალხშიც, რა ერშიც, ის ხალხი, ის ერი უთუოდ დაილუპება, დაიქცევა და ამისათვის იმ ბანკის შემდგენლებს აქციონერები ჰქვინან.“

ხალისიანი ბუნება ჰქონდა, ხშირად იმასაც არ ინდობდა, ვინც ან რაც უყვარდა. ქუთაისს „სავარდოსა და სამაისოს“ უწოდებდა. იქ ყოფნა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. იქაურებში თავს ბედნიერად გრძნობდა. ვაჭირვების გაძღვებისაკენ მოუწოდებდა: „მოთმინება!..



მოთმინება!.. სევდით გული არ აივსო!..“ მაგრამ მაინც აფრთხილებდა ყველას: ვისაც ქუთაისში ცხოვრება გსურთ, სამი რამ შეიძინეთ აქლემი, თოფრა და თურმანიძე\*. აქლემი იმისათვის, რომ ავღარში, ქუთაისში ქუჩების ტალახში არ დაიხრჩოთ. თოფრა იმისათვის, რომ დარში პირი აიკრათ, თორემ მტკვერი გაგგუდავთ. თურმანიძე კი იმისათვის, რომ დამტკვეულ წვიგებს უშკურნალოსო.

არაფრის მიმართ არ ჰქონია ფანატიკური დამოკიდებულება. სიბნელე და გონების სიღუხჭირე ჭირის დღესავით სძულდა. ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს მის ლირიკას, იცის – როგორ იყო შემართული, ბრძოლისა და თავგანწირვისათვის მზად:

რაც ძალადობით წაიღეს,  
 ვინ დააბრუნებს ნებითა?  
 ვინ ნახა თავისუფლება  
 ტანჯვით და მოთმინებითა?!

(„ზარი“)

...  
 თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს  
 ჩემი სიკვდილი, პა, მეც მზად ვარ!..  
 მოდი, ჯალათო, შენი მახვილი  
 შეუბრალებლად ზედ გულზე დამქარ!

(„მომაკვდავის ფიქრები“)

მაგრამ ჩიტირეკიებისა და შარახვეტიების „პატრიოტიზმს“ ვერ ურიგდებოდა და აპაძულებდა.

ზამთარი რო წავიდა,  
 მოვიდა გაზაფხული,  
 სახლში ჭყვივის მერცხალი,  
 ბაღში კვიის ბუღბუღი.  
 აყვავებულა ვარდი,  
 ნესვიც დამწიფებულა,  
 ღობეში-კი მსუნაგი  
 ღორი გაკვებებულა!  
 მებაღე დიდი ჯოხით,  
 ღორზე ამხედრებულა...  
 გაუმარჯოს სამშობლოს,  
 მტერიც დამარცხებულა!

(„სახუმარო გასართობი“)

\* თურმანიძე – აქ: მკურნალ თურმანიძეთა მალამო.

პოეტის ირონიული გონება არყოფნასაც კი ხუმრობით ეგებებოდა: სიკვდილის წინ, მძიმედ სწეულს შეგობარი ბეითალი\* ეწვია სანახავად, რომ დაინახა, გახარებულმა მიიპატიჟა: მოდი, მოდი, მთელი ცხოვრება ვირივით ვმუშაობდი, ვინმე თუ მომარჩენს, ისევ საქონლის ექიმო.

აკაკის სიხარულის მომნიჭებელი თვისება ბუნებრივად გადავიდა მის პოეზიაში, განსაკუთრებით შრომისა და სიყვარულისადმი მიძღვნილ ლექსებში.

იგი შრომას თავგანს სცემდა. მიაჩნდა, რომ საქმესა და შრომაში კპოვებდა ადამიანი არსებობის გამართლებას. საქმე და შრომა ანიჭებდა მას სიხარულს და აღავსებდა იმედით.

საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო,  
გულიცა წმინდად დაბადებული  
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით  
სული სიწრფელით გაახლებული!..

(„თორნიკე ერისთავი“)

არ მწამს სიტყვა ცარიელი,  
სათვალთმაქცო მძულს მე წერა,  
საქმე... საქმე, მხოლოდ საქმე!  
როცა ვხედავ, ეს-კი მჯერა.

ეს მამხნევებს მანუგეშებს!..  
ეს მიმთელებს გატეხილ გულს  
და აფერად-აფრთოვანებს  
ჩემს სიხარულს და სიყვარულს!  
სიყვარული სიხარულს შობს,  
სიხარული - შეება-ლხენას  
და ორივე კი ფრთებს ასხამს  
საოცნებო აღმაფრენას.

(„ბოდვა“)

არც სისხლითა და არც ცრემლით  
არ იჭნება ტანის ბანა!  
შრომაშია მხოლოდ შეება  
და ცხოვრების გამოცანა.

(„გაზაფხული“)

თხზულებებში, სადაც შრომის სურათებია დახატული, თავად ლექსის რიტმი, დინამიკა მხიარულია, მოძრავი, მჩქეფარე, განწყობილება -

\* ბეითალი - ექიმი ვეტერინარი.

ჯანსაღი, ღონიერი, ენერგიული. ასეა მაშინაც კი, როცა ბატონყმობის უსამართლობაზეა ჩივილი.

სულ მათ მიაქვთ რაც რომა გვაქვს:  
ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი.  
ჩვენც ყოველდღე ტანჯვას ველით!..  
გლეხებს რა გვაქვს გასახარი?

შინდის წკნელებზე სწერია  
ჩვენი სახელი და გვარი,  
განვავრძოთ, ძმებო, მუშური,  
ჩვენი სევდის განმაქარი!  
(„მუშური“)

თურმე არც იმ დროს ყოფილა გამორიცხული, კონიუნქტურული ძალდატანებით, ლექსში „მამხილებელი პათოსის“ გაჩენა. მაშინ ამას იწვევდა ორი მიმართულების ბრძოლა – ხელოვნება ხელოვნებისათვის და ხელოვნება ცხოვრებისათვის. თავად აკაკი აღიარებს:

„გარემოება აიძულებს ხოლმე მწერალს, რომ თავისი ნაწარმოები თვითონვე დაამახინჯოს, თუ უნდა რომ გასავალი ექნეს. ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ მე ერთი ლექსი დაეწერე: „სიმღერა მკის დროს“. იმ შესაფრად არ იყო ურიგოთ დაწერილი, მაგრამ კიჟინი დამცეს: ეს უნაყოფო ბულბულობაა და სხვა არაფერი!.. ხელოვნება ხელოვნებისათვის... აქ სასარგებლო არა არისო. მეც აუღეჭი და ბოლოში მივაწეპე:

უხვად მოვიდა დღეს პური,  
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,  
რომ მას ბატონი წამართმევს  
და მე კი ოფლსა ტყვილათ ვღერი.

ეს რომ ნახეს მომატებული, მაშინვე მოიწონეს და დამიბეჭდეს. მე კი ვხედავდი, რომ ეს ხელოვნების შეურაცხყოფა იყო, ჩემს სიმღერას ვირის კუდი გამოვაბი, მაგრამ რას ვიზამდი, რომ უმისობა აღარ მოხერხდებოდა!“

სხვათა შორის, აკაკის ეს ლექსი ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში გადაშეწყვეტი მნიშვნელობა აქვს – როგორი განწყობილებაა შექმნილი მხატვრულ თხზულებაში. ხშირია შემთხვევა, როცა განწყობილება ეწინააღმდეგება სიტყვით გამოთქმულს. მხატვრულ თხზულებაში განწყობილებისა და დეკლარირებულის



დაპირისპირება მაშინ ჩნდება, როცა მწერალი ცენზურას თვალს უხევეს, როცა განწყობილება მწერლის გულისნადებს გამოხატავს, ხოლო დეკლარირებული\* – ოფიციალურ ტენდენციას. ამიტომ განწყობილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ნამდვილ აზრს და შინაარსს იგი გვეუბნება. ლექსში – „სიმღერა მკის დროს“, – მართალია, მუშები სწუხან, რომ პურს ბატონი წართმევს, მაგრამ მასში შრომის ისეთი აზარტიანი, ხალისიანი, მზარული სურათია დახატული, რომ ამკარად ჩანს, ბატონის თვითნებობა არც აწუხებთ და არც ამინებთ.

ჰოოპუნა, ავხე! ავხე!  
 ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე  
 და, თუ შენ მკაში ჩამოგრჩე,  
 ქალაჩუნა დამიძახე,  
 ჰოოპ! ჰოოპ! ჰერი! ჰერი!  
 ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი.  
 ნამგლებით გარს შემოვერტყათ,  
 დავიჭიროთ პურის მტერი.  
 მეთაურო, ბარაქალა!  
 ხომ ნახე აწ ჩენი ძალა?  
 საღამომდე სულ მოვრჩებით,  
 ნამგალმაც თუ დაგვაცალა!  
 ნელა, ბიჭო! აწ კი კმარა,  
 კხუდავ? მზემაც გადიხარა;  
 ჯერ რიგინად ვისამზროთ,  
 მერე მოემკით უფრო ჩქარა!

აკაკის თვალსაზრისით, შრომა ფიზიკური თუ სულიერი სიჯანსაღის წყაროა.

მეფე ვახტანგ გორგასალი შავსევდიანობამ შეიპყრო. დასწეულა. გარს შემოეხევივნენ მკურნალები, მკითხავები. შრომა და ცოდნა არ დაუკლიათ. არაფერი გამოვიდა. მეფე დღითიდღე უარესად და უარესად ხდებოდა. გამოკეთების პირი აღარ უჩანდა. მეფის განკურნების იმედი რომ გადაიწურეს, სასახლეში ერთი გლეხი გამოცხადდა. მე განკურნაო მეფეს, – ანუგემა ნაზირ-ვეზირები. – ოლონდ შინ უნდა გამატანოთ და მანაც უნდა დაივიწყოს ცოტა ხნით, რომ მეფეაო, – დაამატა ნათქვამს. მეტი რა ჩარა იყო. უნდა დათანხმებოდნენ გლეხს.

გლეხმა თავის ქონში დაასახლა მეფე. რასაც გლეხი ჭამდა, მეფესაც იმით კვებავდა. ღვინის მაგიერ ცივ წყალს ასმევდა. ირმის მწკვადების ნაცვლად ზმელა ჭადით აპურებდა. დილიდან საღამომდე ერთად ხნავდნენ, ერთად თესავდნენ, ერთად მკიდნენ. ერთად უვლიდნენ ვენახს და

\* დეკლარირებული – განცხადებული.



მწეშსავდნენ ნახირს. წელიწადმა ისე გაირბინა, ფრჩხილიც არ წამოსტკენია ვახტანგს. გააკაგებულ-გაჯანსაღებული დაბრუნდა სასახლეში. იმ დღიდან უკვე სხვაგვარად მეფობდა ვახტანგ – შრომისა და ოფლის ღვრით.

თურმე, ტყეილი ყოფილა ყველა  
ჭრულაჭრულები ამ ქვეყნიერად  
და, ადამიანს თუ გსურს იცხოვრო  
აქ მოსვენებით და ბედნიერად,  
უნდა იშრომოს და შრომის ოფლით  
გაჰხანო შენი დაღალულობა,  
რომ არ დაეტყოს შენს ნაშრომ-ნაღვაწს  
ძალდატანება და უგულობა.

(პოემა „გორვასლანი“)

მშრომელი ადამიანი არასოდეს ფიქრობს წაგლეჯაზე, მითვისებაზე, დაჩაგვრაზე, საერთოდ ბოროტებაზე. მისი სინჯის-ნაჟუსი სპეტაკია. მისი სული მშვიდია და მადლიერი. არ არის დამძიმებული შავი განზრახვით, მისი სურვილი, ნატვრა ყოველთვის კეთილშობილია.

ჭორი ვარ, სხვას რომ მოვსტაცო?  
რად გავიშავო პირი მე?  
გარს შემოგველი ჩემს გუთანს!  
ჩემი სახნისის ჭირიმე!  
რად დავიბნელო სიხარბით  
სამიწე წუთის თვალეები?  
ხერხსა, ხელწოხს, სატეხსა,  
ნაჯახ-ცულს ვენაცვალეები!..  
რაც ჩემი ურმის არ არის,  
სახლში არ შემიტანია!  
ღმერთმა მამოროს, რაც ჩემის  
ოფლით არ გამიბანია!

(„მუმის ნატვრა“)

შრომა საქმით ლოცვაა და არა სიტყვით. იგი ადამიანს ღმერთთან აკავშირებს. საქმით მლოცველი გაცილებით ახლოა ღმერთთან, ვიდრე სიტყვით. სიტყვა შეიძლება იფოს ცრუ, საქმე კი – არა. ამას ასწავლის სწორედ კათოლიკოსი თორნიკე ერისთავს, როცა ბერადღალკვეცილმა სარდალმა უარი თქვა ეთავკაცა ბიზანტიის დასახმარებლად მიმავალი ქართული ლაშქრისათვის.





თვითონ არ დაჰგმო ფარისველების  
გზაჯვარედინზე ლოცვა საქვეწო  
და ნაცვლად მოგვცა მოკლედ სათქმელი  
საყოველღეო „მამაო ჩვენო“?  
ასე არ ბრძანა: „თვინიერ საქმის,  
სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკედარ არსო?  
და მრავალისა შეტყველებითა  
ვერ ვინ გაიღებს სამოთხის კარსო?“

(„თორნიკე ერისთავი“)

კათოლიკოსთან საუბრით თორნიკესათვის ცხადი გახდა უმთავრესი  
სიბრძნე: „მეც კარგად მესმის, რომ ქვეწიურის შრომით ეძლევა  
სულს ნეტარება“. ამის მერე საეკვო აღარ არის, რომ უფლის თვალი  
დაჰყურებს მშრომელს, თან ახლავს და მადლით მოსახვს.

ცისკრის ვარსკვლავიც კაშკაშებს –  
ის ხომ თვით უფლის თვალია!  
დაძნარის მუშას, როცა ის  
საქმეზე მიმავალია.

(„მუშები“)

მაგრამ შრომა, ლოცვასავით,  
თავისთავად ცაძლი აღის,  
როგორც სანთელ-საკმევეელი  
ქვეწის შვება-სიდიადის.

(„ბოდვა“)

შრომით მოპოვებული სულის ნეტარება ყოველდღიურ ცხოვრებაში  
სინარულით ვლინდება. ამ სინარულის განცდა არასოდეს ტოვებს  
აკაკის ღირიკას.

ასევე სიყვარულიც.

სიყვარულის არცერთი სახეობის (შრომის, სამშობლოს, მოყვასის,  
ქალის...) მიმართ არ დარჩენილა გულგრილი აკაკის კალამი. სერგი  
დანელიას განმარტებით, „სიყვარულია აკაკისათვის ის ნაზი და ცოცხალი  
ნივთიერება, რომლისგან და რომლის ძალითაც მოქსოვილია ყველაფერი,  
ვარდის ბუნქიდან დაწყებული ცის ვარსკვლავებით გათავებული. აკაკის  
შეხედულებით ან უკეთ მისი განცდით, სიყვარული თვითონ ქსოვს  
თავის არსიდან მთელს მრავალფეროვან ბუნებას.“

სიყვარული არის სჯული,  
ტრფიალება – წმინდა ლოცვა!..



ხამს გულსა და გონებაში  
საიდუმლოდ მათი დაცვა.

...  
ტადრად გულს და საკურთხველად  
მისთვის ვიდგამ გონებასა,  
რომ არ სთელიდე ქვეყნიურად  
ამ ზეციურ მონებასა!

(„პოეტს“)

ქართულ კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში ხშირად აღნიშნულა, რომ ძნელი გასამიჯნავეა, სატრფოში როდის გულისხმობს პოეტი სამშობლოს და როდის ქალს. რა თქმა უნდა, ეს გადაჭარბებულია. ამის გამოიჭვნა ძნელი არ არის. სატრფო-სამშობლოს აღეს, ანუ სახეს, იმდენად მკაფიო კონკრეტული ნიშნები აქვს, რომ შეუძლებელია რაიმე შეგეშალოთ.

სატრფო-სამშობლო „ცხრაკლიტურშია მჯდომარე“, რომელსაც „შეოვისებას უპირებს გაიჭვერა მოყვარე“ („სატრფოს“).

სატრფო-სამშობლო „ძველი ტურფაა, დღეს მკვდარივით მძინარი, ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქახდილი...“ („მუხამბაზი“).

სატრფო-სამშობლო ნესტან-დარეჯანია, რომელიც ქაჯებს ჰყავს ტყვედ და გამოხსნას ელის („ჭალარა“).

ტარიელი დაგეძებს  
გავარდნილი დღეს ველად,  
ავთანდილი ფრიდონით  
მიდის გამოსახსნელად.

(„სატრფოს“)

სატრფო-ქალსაც მკაფიო კონკრეტული ნიშნები აქვს. ეს ქალი შეიძლება იყოს ზორციელად უმშვენიერესი არსება, მაგრამ იგი ვერ აანთებს ცეცხლს პოეტის გულში, თუ მამულის ტრფობა არ სწვავს, თუ არ გაუზრდის სამშობლოს გმირ შვილს („გამოსაღმება“).

ქალმა ვაჟს ბრძოლისაკენ უნდა მოუწოდოს, დაჩაგრულ მოძმეთა თავისუფლების მოპოვებისაკენ, თავდადებისა და სიმამაცისაკენ.

ნუ მეტრფი ქალწულს, ჭაბუკო,  
ნუ ამბობ: „შემიყვარო“,  
ჯერ შენ მიჩვენე გმირობა,  
ქვეყანა ანეტარეო.  
დაჩაგრულ მოძმეთ მიხედე,

სიცოცხლე გაიმწარეო,  
და მერე ჩემი შვენება  
მალამოდ მოიხმარეო.

(„ანუ მეტრფი“)

ქალის იდეალი აკაკის ლირიკაში დახატულია ნინოს, თამარის და ქეთევანის სახით. თავად პოეტი ამ სამ მანდილოსანს „ზეციურ ტრიუმფირატს“ უწოდებდა. მიაჩნდა ქალობის, ანუ, როგორც მე-19 საუკუნეში იტყოდნენ, დედაკაცობის ნიშნად. მათთვის უნდა მიებაძა ყოველ ქართველ ქალს. მაშინ აასრულებდნენ ისინი სატრფოს ღვთაებრივ მოვალეობას.

თამარს, ქეთევანს და ნინოს  
თაყვანს-ვსცემ, როგორც იდეალს,  
საკვერთხად უუდგამ წმინდა გულს  
და უუკმევ ტრფიალების აღს!

(„ჩემი ლოცვა“)

ვაფასებ შენს სრულ არსებას,  
ვადიდებ სულ-ანთებულად,  
თაყვანს-ვცემ შენში თამარსა  
და ნინოს შეერთებულად!..

(„მომავალ ქართველ ქალს“)

მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ,  
მშვენიერება უსხივცისკარა!..  
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე  
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!

როცა ჭაბუკი გამოუცდელი  
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,  
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,  
იმაში შენათხზ-შეერთებულად...

(„ქებათა ქება“)

სიყვარული ყოველთვის არ არის ნეტარება. ზოგჯერ იგი მწარე ტკივილია, მაგრამ ყოველთვის სრული ნიჭია („სიყვარული“). მარადიული გრძნობაა, განახლებული და აღორძინებული თაობიდან თაობაში. ადამიანის მოდგმის უწყვეტი კავშირია, რადგან სიყვარულია ის ძალა, რომელიც „სიკვდილით ჰბადებს სიცოცხლეს, თვით ბნელზე ნათლის მფენიო...“ („შვილის დამკარგავ ორსულ დედას“). ეს აძლევს აკაკის უფლებას უარყოს სიყვარულის დასასრული („ძველ შეგობარს“).

\* ტრიუმფირატი – სამთა მმართველობა.

ამერიიდან უკუნისამდე  
არ კვდება მხოლოდ სიყვარული.  
და თუ მოკვდება, ის მარტოოდენ  
ჩაიქარგება სულს და გულშიო!..  
გაერთხორცდება, გაერთხულდება  
სხვის სიყვარულში სიყვარულიო!

(„ოცნება“)

სატრფო-სამშობლოს, სატრფო-ქალის, მოყვასის თუ ღმერთის  
სიყვარული ვნების თანაბარი ძალით არის გადმოცემული აკაკის  
პოეზიაში. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა. სიყვარულით  
ხორციელდება ადამიანისა და ღმერთის კავშირი. ამ კავშირის ჯგჯვის  
ერთიანობა-მთლიანობა დაირღვევა, თუ რომელიმე რგოლი ამოვარდება.  
ამიტომ მოყვასი უნდა გიყვარდეს, მიუხედავად იმისა, ვმტრობს თუ  
გემეგობრება იგი.

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს;  
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს!

(„გამოცანა“)

ეს არ არის იოლი განსახორციელებელი, მაგრამ აუცილებელია.  
ადამიანის ამოცანა სწორედ ამგვარი სიყვარულის აღზრდაა თავისთავში,  
ამიტომ უტოვებდა შეილს ანდერძად:

ყველა გიყვარდეს და ცოდვაც  
შეუნდე წრფელის გულითა!  
მით ამაღლდება მდაბალი,  
სხვებისგან სიყვარულითა.

(„ანდერძი ჩემს შეილს“)


ქალის სიყვარულით, მოყვასის სიყვარულით, სამშობლოს  
სიყვარულით, კაცობრიობის სიყვარულით მიემართება გზა ღმერთის  
სიყვარულისაკენ. უერთდება მას.

შემყვარებიზარ ერთხელ და,  
ხომ სიყვარულიც ერთია?  
და სადაც სიყვარულია,  
იქ სიწმინდეა!.. ღმერთია!..

(„რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი““)



ჩვენ ის ურთიერთდამოკიდებულება, რაც შრომას, სიყვარულსა და ლოცვას შორის არსებობს, გრაფიკულადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.



შრომა და სიყვარული საძირკველია, რასაც ადამიანის მიწიერი არსებობა ეყრდნობა. ლოცვა კი ის მწვერვალია, რომლის საშუალებითაც ადამიანს უზენაესთან მიახლოება სურს. ამ სამკუთხა სივრცეში ტრიალებს ადამიანის ამაღლებული და მოღვნილი სული. შრომით, სიყვარულით, ლოცვით იბადება სიხარული, რაც უმსუბუქებს ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრების მძიმე ტვირთს.

არც შევარება არც მიყვარს,  
 არც მღობებია, არც მინდა,  
 არც მწამებია, არცა მრწამს  
 შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!  
 („დიდება მაღალთა შინა“)

### „სულიკო“

„მაგრამ რადგან პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანა“, – ამბობდა აკაკი, მართალია, ირონიანარევი კილოთი. საერთოდ კი, მას მკაფიოდ საუბარი უყვარდა. აკაკის პოეზიაშიც და პროზაშიც თითქოს ყველასათვის ყველაფერი გასაგები, იოლი და მისაწვდომია. მაგრამ ხშირად მისი ლექსი იმდენად ღრმაა, რომ მოსილია იდუმალებით. ასეთია, მაგალითად, „სულიკო“, თუმცა, როგორც ზუსტად წერს ტარიელ ჭანტურია, „რომელ ქართველსაც უნდა უთხრა, „სულიკო“ ბოლომდე არ გესმისო, ირონიული ღიმილით მოგაჩერდება“. მოგაჩერდება, მაგრამ უკვე რამდენი წელიწადია პასუხი ვერ მივეციტ კითხვებს, რომელიც ტ. ჭანტურიამ დასვა.

„ეინ იყო ის – საყვარელი? რა მოხდა, სად დაიღუპა, რისთვის? რატომ დაიკარგა საფლავი?“



იმას ვერ ვიტყვით, პასუხი არ უძებნიათო, უძებნიათ, მაგრამ  
ძიების შედეგი არ გვაკმაყოფილებს.

ვასილ ბარნოვი ფიქრობდა, რომ „სულიკოში“ გამოხატულია  
სატრფო-სამშობლოს ძებნის ტკივილი.

„მიჰმართავს იგი სამშობლოს ველზედ ობლად ამოსულს ვარდს  
გადაფურჩქნილს და იგი კოკობი უსმენს მას, უპასუხებს, შეირხვევის  
ნიშნად თანხმობისა, დაჰხარის და ციურ თვალ-მარგალიტს ცრემლად  
აფრქვევს მის წინ. ევედრება ოცნებისშვილი ფოთლებში მიძალულ  
ბუღბუღს: შენ ხომ არა ხარ სულიკო? და იგიც ხმატკბილად უგალობებს  
მას: დიახ, დიახო! შეჰღალადებს შუქურ ვარსკვლავებს, წყვიდადის  
გასაშუქებლად რომ დაჰქათქათებენ მის სამშობლო მხარეს, და მაღალნიც  
თანაუგრძნობენ მას, პასუხს აძლევენ, სხივთ აფრქვევენ ნიშნად  
დასტურისა. სამშობლოს ნიავიც ჩასჩურჩულებს მას სანატრულ სათქმელს  
და კვალს უჩვენებს მას სახეს იმ სატრფოსას.“

გრიგოლ რობაქიძე ვარაუდობდა, რომ „სულიკო“ სატრფო-  
მშვენიერების ძიებაა.

„პოეტი დაექებს საყვარლის საფლავს და სჩივის გულამოსკვნილი:  
„სად ხარ, ჩემო სულიკო!“.. იგი ხვდება ვარდს ეკალნარში ამოსულს,  
— და შეკითხვის წამს ვარდი შეირხვევა თანხმობის ნიშნად და დაჰყრის  
ცრემლად ცვარსა ციურსა... იგი ნახულობს სულგანაბულ ბუღბუღს,  
ფოთლებში მიძალულს, — და პოეტის გულის კითხვას კვნესა-სტკენით  
„დიახ-დიახ“-ს შეჰყეფს, იგი მზერს მაღლა ვარსკვლავს, ლურჯა ცის  
ფსკერზე მოციალეს, — და ვარსკვლავიც დასტურს აძლევს ალერსიანი  
ციმციმით... და ნიავი კი, ცელქი და კეკლუცი, ჩურჩულით ახარებს  
მას: „ეგ არის, რასაც ეძებდიო“... ყველგან, საცა კი მშვენიერებაა  
მიძალული, საფლავია საყვარლის... პოეტი თხრის ამ საფლავსა და  
აღადგენს მთვარეულს ლანდს მშვენიერებისას...“

ჩემი აზრით კი, „სულიკო“ დაკარგული ღმერთის ძებნაა.

საქართველოში ღმერთის დაკარგვის გამო წუსილი ერთ-ერთი  
ძირითადი თემაა აკაკის შემოქმედებისა.

დაუზოგავად გაძარცვეს  
ყველგან მონასტრის ტაძრები  
და იმ ნაძარცვით აავსეს  
საუკუღმართო ბაზრები.  
ზალხმა სთქვა: „ეს რა ფოფილა?  
ზატს არ ჰქონია ძალაო,  
თორემ თავისი ვაგლეჯა  
სხვას როგორ დააცალაო?“



დღეს-ხვალეობით ცოტ-ცოტად  
გადაუბრუნდა ხალხს გული:  
აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,  
დაკარგული აქვს მას რჯული!

(„რაჭა-ლეჩხუმი“)

ღმერთი განრისხებულია იმის გამო, რომ მთელმა ქვეყანამ დაკარგა სარწმუნოება. სასჯელად ხოლერას აგზავნიან („ხოლერა“). გადაგვარებულია ყველა – თავდაზნაურობა, გლეხობა, ვაჭრები, ქალი, ვაჟი... ამის მხილველი წმიდა გიორგი შეძრწუნებულია. მაგრამ ღმერთს მაინც თხოვს:

დავიწყებია ქართველებს  
შენი სესხი და ვალია,  
გადაცდენია ძველ გზასა  
და დაბნეულია კვალია;  
მაგრამ იმისი გაქრობა,  
ჯერ მაინც ცოდეა... ბრალა.

შეისმენს უფალი წმიდა გიორგის ვედრებას, ნებას დართავს, იხსნას საქართველო ხოლერისაგან. ხოლერისაგან შეიძლება ქვეყნის გადარჩენა, მაგრამ რა უშუველოთ იმას, რომ საქართველოში აღარ ისმის „აღარც წირვა, აღარც ლოცვა, არც ქართული ლაპარაკი?“ („სანამ ვიყავ ახალგაზრდა“). სანთელსაც კი აღარ უნთებენ ხატს ძველებური წესის შესაბამისად. მამაკაური ყვითელი სანთელი გადაუგდიათ და ხელოვნურ თეთრ სანთელს იყენებენ. ისიც კი აღარ ახსოვთ – რა მნიშვნელობა აქვს ყვითელ სანთელს („ყვითელი სანთელი“). მღვდელს უხარია, უვიცი ექიმები ადამიანებს ბუზებივით რომ ხოცავენ. წყველის მაგიერ, ასეთ ექიმებს ლოცავს ეკლესიის მსახური: „ღმერთმა აკურთხოხ იმათი მოხელობაო. ისინიც რომ არ გვშველოდნენ, რაღას გვარგებდა მღვდლობაო“ („მღვდელი და ექიმი“). არც ერმა და არც ბერმა აღარ იცის – როდის რა საეკლესიო დღესასწაულია. „წრეულ კახეთში ერთ სოფელში, ახმეტაში, აღდგომა, კვირის მაგივრად, სამშაბათს გაუთენებიათ! მხოლოდ სამშაბათს შემოუვლიათ ლიტანია, „ქრისტე აღდგაც“ მაშინ უთქვამთ და მაშინ გაუხსნილებიათ“. სარწმუნოების დაკარგვის გამო, ერთ დროს თავაზიანობით ცნობილი და ქებული ერი პირველყოფილ ადამიანებს დამსგავსებია. „...ველური ხალხის უზრდელობას აღარ ჩამოუვარდება მათი უზრდელობა და სიტყვა-პასუხი“.

წმინდა საფლავიც და ჯვარიც  
დაკარგეთ!.. სხეების ხელშია!  
(„ნინოობას“)

საბუთად ასეთი სტრიქონების მოხმობა მრავლად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ესეც კმარა. სურათი ნათელია.

ამ მდგომარეობის შეგუება აკაკის მეტიმეტად უჭირს. ზოგჯერ იგი გაქცევას ფიქრობს.

დავაგდე შხარე ფარისველების,  
ის შხაკვარების უნივერსტეტი,  
სადაც სატანა წვრილ-წვრილ ეშმაკებს  
კვზანის, რომ ხერხი ისწავლოს მეტი...  
(„გამოსაღმება“)

მაგრამ ეს წამიერი განწყობილებაა. უიმედობა არ შეჰფერის და არ შეუწინის ღმერთის შექმნილ არსებას, ადამიანს ყოველითვის უნდა ახსოვდეს მისი დანიშნულება.

მე შონია, მისთვის ვართ  
ქვეყნად მოვლინებული,  
მაცხოვარი რისთვისაც  
იქნა ჯვარზე ვნებული!  
(„პასუხი მეგობარს“)

ამ დანიშნულების შესრულებას მტკიცე რწმენა სჭირდება. ღმერთის დაკარგვა შეუძლებელია. უფალი ყველგან არის, მართალია, ადამიანი მას ვერ ხედავს, მაგრამ იგი მარადიულად სუფევს ხილულ და უხილავ სამყაროში, სულიერ და უსულო საგნებში... ყველაფერში, რაც ადამიანს გარს არტყია და ახვევია. მონოთეისტური\* რელიგიისათვის ღმერთის ყველგანგანფენილობის იდეა უდავოა, ჭეშმარიტებაა.

და აკაკიც იწყებს ღმერთის, ანუ საყვარლის ძიებას. საყვარელი რომ ღმერთის სახელია, ამას პირდაპირ გვეუბნება ვახტანგ მეექვსე „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ კომენტარებში. სასულიერო შწერლობაც ადასტურებს ამას. რაც ამჯერად ჩვენთვის მთავარია, აკაკიც იზიარებს ამ აზრს.

\* მონოთეისტური რელიგია – რელიგია, რომელიც ემყარება ერთი და არა მრავალი უზენაესი არსების რწმენას, განსხვავებით პოლითეისტური, ანუ მრავალღმერთიანობის აღმსარებელი რელიგიებისგან.





სიყვარული კავშირია  
ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა;  
იგივეა მაცხოვარი...  
„მაღლი“ კაცთა გამოხსნისა.

(„ჩრევა“)

პოეტი ერთნაირად მიმართავს ქრისტესა და სიყვარულს, ერთნაირად უწოდებს ორივეს – ქვეყნისა და ცის შუამავალსა და კავშირს.

ციო მოვლენილო, ქვეყნად შობილო,  
ცისა და ქვეყნის შუა კავშირო!

(„ქრისტე აღდგა“)

შენ, სიყვარულო! ცისა და ქვეყნის  
კავშირო და თან შუამავალო!

(„ქებათა ქება“)

საყვარლის, ანუ ღმერთის ძებნას უშუღვეოდ არ ჩაუვლია. პოეტმა იგი იპოვა ვარდში, ბუღბუღში, ვარსკვლავში, სულ უბრალო კითხვა დაუსვათ: რა შეიძლება იყოს, გარდა ღმერთისა, დამარბული, შენახული ვარდში, ბუღბუღში და ვარსკვლავში? ცხადია, არაფერი. ერთადერთი, რისი საფლავიც (ანუ შემნახავი) შეიძლება გახდეს სამივე, არის უზუნაესი, რაკი იგი ყველგან სუფევს. არსებითია ისიც, რომ ძიება მიმდინარეობს ვერტიკალურად – ქვევიდან ზევით, მიწიდან ცისკენ. ამალღების პროცესია ნაჩვენები. საერთოდ, აკაკის პოეზიაში მოძრაობა ყოველთვის ქვევიდან ზევით არის მიმართული. ესეც განაპირობებს იმას, რომ აკაკის ლექსების დიდ ნაწილს საგალობელის ხასიათი აქვს.

ცხადია, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს „სულიკოში“ ნათქვამი: „სამად დაშლილა ის ერთი: ვარსკვლავად, ბუღბუღ, ვარდათო“. ქრისტიანული კონცეფციით ღმერთი სამპიროვანი ერთარსებაა. ლექსში კი ამის პირდაპირი მინიშნებაა. ამჯერად ამ კონკრეტულ სტრიქონში მოძრაობა ზევიდან ქვევით, ციდან მიწისკენ მიმდინარეობს: ვარსკვლავი → ბუღბუღი → ვარდი. ეს კი უფლის მოვლინების სურათია.

საყვარლის პოვნა პოეტს უდიდეს სიხარულს გვრის: „და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამომიტქვამს ენითა“. თუ ადრე პოეტს უიმედობა და სასოწარკვეთილება ფლობდა, ახლა კი უკვე „ისევე გამეხსნა სიცოცხლე, დღემდე რომ მწარედ კრულ იყო...“

რამ შეიძლება მიანიჭოს ადამიანს ესოდენ უზომო სიხარული? პასუხი, ჩემი აზრით, ერთი შეიძლება იყოს: დაკარგული ღმერთის პოვნამ. ამ სიხარულის ლექსია „სულიკო“.

ორი ორბელიანი საუბრობს, ძმები ალექსანდრე და ვახტანგი. ალექსანდრე ბრძანებს – „მე ქართველი ურწმუნო ვერ წარმომიდგენია“. ვახტანგი ამატებს – „ულმერთოდ არ გადაწყდება ჩენი სამშობლოს ბედი“ (პოემა „ვორონცოვი“).

ეს თავად აკაკის წუხილია. მისი აზრია. იგი თავიდან ბოლომდე გასდევს მის შემოქმედებას. ერთი წუთითაც არ ავიწყდება.

და ეს შენ ხარ, მგოსანო,  
ციური მოციქული,  
რომ გულგატეხილ ქართველს  
გამოუბრუნო გული.  
(„ვორონცოვი“)

მძიმე ვითარება საქართველოში, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ორმა გარემოებამ შექმნა – შიგნიდან ეკლესიის გახრწნამ და გარედან ათეიზმის გავრცელებამ.

ეკლესიიდან ქართული ენის გაძევებამ და რუსული წირვა-ლოცვის გავრცელებამ გამოიწვია რწმენის დაქვეითება ხალხში. რუსული ენის უცოდინარ ქართველს აღარ ესმოდა, რას უქადაგებდნენ მას, რითი მოძღვრავდნენ. თანდათანობით მოსწყინდა მას გაუგებარის მოსმენა. ქართველი გულგრილი გახდა ეკლესიის მიმართ და ზურგი შეაქცია მას.

ჯერ ეკლესიას ებერენ,  
სთქვებს: „აქ მარხია ძაღლიო!“  
ჯერ ძირი გამოუთხარე,  
თუ გსურს დაიქცეს სახლიო.  
...  
ღვთის სავედრებლად რას ვარგა  
რაღაცა... ძაღლის ენაო?  
(„რაჭა-ლეჩხუმი“)

ამას დაერთო ეკლესიის მსახურთა გადაგვარება. მათ დაივიწყეს ღვთის სამსახური. ანგარება გაიხადეს კერაად. მღვდლებმა წმიდა სიტყვა ქარს გაატანეს. სიბუღვილის თაყვანისმცემელნი გახდნენ. ფესვი გაიდგა შურმა, ქიშკმა, მტრობამ.

სულო ბოროტო! შენდა მოვილტვი,  
ბედნიერებას არ გთხოვ, ნუ მომცემ!  
შენგან წყალობად იმას მივითვლი;  
თუ ჩემს მოძმეებს როგორმე დასცემ!

მოშეცი მხოლოდ იმდენი სწავლა,  
ხერხი, გონების განვითარება,  
რომ მე შეშემძლოს ხალხის დაჩაგვრა  
და მით გულს მივსცე მე ნეტარება!

(„ზოგიერთების ლოცვა“)

ეკლესიის ავტორიტეტის შერყევას ეშმაკურად იყენებდნენ ათეისტები. ისინი ურწმუნოების მძლავრ პროპაგანდას ეწეოდნენ. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ჯერ ხალხოსნური (ნაროდნიკული) და მერე სოციალ-დემოკრატიული სოციალიზმის წარმომადგენლები ფართოდ ნერგავდნენ ხალხში ათეიზმს. ლიანგს\* უჩინებდნენ: იმ სასუფეველს, რომელსაც ქრისტიანობა საიქიოში შეგპირდათ, სოციალიზმი ამქვეყნად დაამყარებსო.

სასუფეველის დამყარება  
ქვეყნად ქრისტემ ვერ გაბედა,  
საიქიოს გადიტანა,  
იქ რაღაცა დაგვიყებდა.  
ჩვენ აქავე მოვიპოვეთ  
იმ სასურველ ნეტარებას  
და თვით ხალხსაც არ უუფარავთ  
საიდუმლო აღსარებას!

(„მამლის ყვილზე“)

ათეიზმი თანდათანობით მტკიცედ იკიდებდა ფეხს. აკაკი პოეზიის საშუალებით ებრძოდა ამ პროცესს. ქართველობას ლექსად უამბობდა საქართველოს გაქრისტიანების ისტორიას. ლექსითვე ყვებოდა ქრისტეს ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს. ამით მას დაკარგული რწმენის დაბრუნება უნდოდა. მისი აღორძინება სურდა.

ქართველი ხალხის ქრისტიანად მოქცევის ისტორიას აკაკიმ ორი პოემა მიუძღვნა – „ანდრია პირველწოდებული“ და „წმინდა ნინო, ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“.

ქართული მატრიანე გვაუწყებს, რომ საქართველოში ქრისტიანობის პირველმქადაგებელი მოციქული ანდრია იყო. ცხადია, იმ ეპოქაში ჯერ კიდევ არ ყოფილა შემზადებული ნიადაგი ქრისტიანობის საბოლოოდ

\* ლიანგი – ხალხის მასა.

დასამკვიდრებლად. ამას გარკვეული დრო სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, წმიდა ანდრიას ქადაგება მაინც ღრმა კვალს დატოვებდა ქართველი ხალხის ცნობიერებაში. შეიქმნებოდა ქრისტიანული მოღვაწეების აღმსარებელ ქართველთა ცალკეული ჯგუფები. დაიწყებოდა ხალხში ქრისტიანული რწმენის გავრცელება. არც ის არის გამორიცხული, რომ იქნებოდა ცხარე შეტაკება-ბრძოლა ქართული წარმართული რელიგიის ქურუმებთან.

მართალია, აკაკის პოემის — „ანდრია პირველწოდებულის“ — ფაბულა მარტივია, მაგრამ იმდროინდელი საერთო ვითარება მაინც მოჩანს.

ქართველებს საკუთარი წარმართული ბოჩო-კერპი ჰყავთ. იგი შვიდთავა და შვიდხელაა, მაგრამ ხალხში ბოჩოს რწმენა უკვე შერყეულია. არც სპარსეთიდან გამოსული არმაზის კერპი სწამს ერს. ერთსაც და მეორესაც უნდო თვალთ უყურებენ. ქურუმები ეძებენ გზებს წარმართული რწმენის გასამტკიცებლად. მათ რწმენის ბედი იმდენად არ აწუხებთ, რამდენადაც საკუთარი კეთილდღეობა. „სანამ ქვეყანა ბრმაა, ეს სოფელიც ჩვენია“.

ანაზდეულად გარდაიცვალა სამცხის დედოფლის დედისერთა ვაჟი მზეჭაბუკი. მწუხარებით ზარდაცემულ დედას ახლობლები ურჩევენ: სამცხეში ერთი უცხოელი მქადაგებელი გამოიწინა. მისი მოძღვარი თურმე მკვდრეთით აღადგენდა მიცვალებულებს. მოუხმვით მას, იქნებ მასაც ძალუმს სასწაულის მოხდენა. დედოფალი რჩევას ყურად იღებს. უცხოელ მქადაგებელს სასახლეში მოიყვანენ. დიდად უკმაყოფილონი არიან ქურუმები დედოფლის საქციელით. იმუქრებიან — თუ უცხოელი სასწაულს არ მოახდენს, მას შესაჭმელად ბუაგველს მიუვადებთო.

წმინდა ანდრია სასახლეში თავშეყრილ ხალხს წარუდგება.

ღარიბ სამოსლით მგზავრად ჩაცმული,  
არ ბრწყინავს ძვირფას სამკაულებით,  
ხელში უჭირავს ხატი ღვთისმშობლის  
თავ-ქუდ მოხდილსა, ფეხზედ ქალმებით.  
მშვენიერისა სახის სიმშვიდე,  
ციურის ძალის გამომეტყველი  
და მის თვალების სიბრძნისა სიღრმე  
სარწმუნებელი და უეჭველი.

უცხოელი მქადაგებელი მარტო რჩება მიცვალებულთან. დაჩოქილი იგი დიდხანს ევედრება იესოს მოავლინოს სასწაული. დაუბრუნოს სიცოცხლე მზეჭაბუკს. ევედრება შესმენილ იქნა. სამცხის დედოფლის

ვაჟი მკვდრითი აღსდგა. აღტაცებული ხალხი, ქურუმებიც კი, მოციქული ანდრიას წინაშე მიწაზე დაემხოდა.



უარყო მან (ხალხმა – აბ.) ის, რაც წინათ სწამდა,  
უშიშრად, მედგრად შელენა კარი  
და სადაც ძველი კერპები იდგნენ,  
იქვე აღმართა მან წმინდა ჯვარი.

დიდი ჟამი რომ გავა, ანდრია პირველწოდებულის დაწყებულ საქმეს  
წმიდა ნინო გააგრძელებს.

პოემა „წმინდა ნინო, ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“  
– კვალდაკვალ მიჰყვება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ტექსტს. პოეტი  
არაფერს ცვლის, ოღონდ ზოგჯერ პასუხს აძლევს ზოგიერთ ცრუ  
შეხედულებას, იმ დროის საქართველოში გავრცელებულს. მაგალითად,  
მაშინ ზოგიერთი სწავლული ფიქრობდა, რომ წმიდა ნინო  
წარმომავლობით სომეხი იყო. პოემაში აკაკი მსჯელობს ამ საკითხზე.  
რაკი პოემა დაწერილია პაპისა და ბადიშის\* საუბრის ფორმით, ბაბუა  
განუმარტავს შვილიშვილს.

სულ ძველად კაბადოკიაში ქართველთა მოდგმა ცხოვრობდა. მერე  
რომაელებმა კაბადოკია დაიპყრეს. იქაური მოსახლეობა გაარომელ-  
გააბერძნეს. ნინოც კაბადოკიაში დაიბადა. იგი იმ ძველი ქართული  
მოდგმის შთამომავალი იყო. ნინოს წინაპრებმა ქრისტიანობა ჯერ  
კიდევ მაშინ მიიღეს, როცა კაბადოკიაში იესოს მოძღვრებას ანდრია  
პირველწოდებული ავრცელებდა.

ყმაწვილი ნინო იერუსალიმში მიემგზავრება. აქ იგი კიდევ უფრო  
ღრმად უცნობა ახალ აღთქმას. ხშირად ფიქრობს იმ ქვეყანაზე, სადაც  
ელიოზმა ქრისტეს კვართი წაიღო. ერთხელ, ღამით, მას სიზმარში  
ღვთისმშობელი გამოეცხადა. ვაზის ჯვარი გადასცა

და უბრძანა: „მე წილად მხვდა  
ივრია... კერპთა მხარე,  
შენ, გიბრძანებ, ჩემ მაგიერ  
იქ მიხვიდე... მოიარე!“

წმიდა ნინო საქართველოში გამოემგზავრება. იგი ესწრება არმაზის  
ღლეასწაულს. კერპთაყვანისმცემლობით აღშფოთებული ღვთის რისხვას  
დაატყვის თავს კერპებს – არმაზს, გაცსა და გაიძს.

წმიდა ნინო მცხეთაში, მაყელოვანში, დაბინავდება. იგი სწეულებს  
მკურნალობს. ქრისტიანობას ქადაგებს. მძიმე სენით დაავადებულ

\* ბადიში – შვილიშვილი.



დელოფალ ნანასაც წმიდა ნინო წარმოაყენებს ფეხზე. დადოფალო  
 ფარულად ნინოს მიმდევარი ქრისტიანი ხდება. ქრისტიანობის  
 აღმსარებელთა რიცხვი მცხეთაში თანდათანობით იზრდება. მეფე მირიანი  
 მძვინვარებს. მას არა სურს მამაკაპური სალოცავების დავიწყება,  
 უარყოფა. იმდენად არის გაბრაზებული, რომ თხოთის მთაზე სანადიროდ  
 მიმავალი კარისკაცებს ეუბნება:

რომ დავბრუნდეთ მცხეთას, ისევ  
 მთლად სამეფო იქ შევყაროთ  
 და ეს ჩვენი განზრახული  
 საქვეყნოდაც აღვიაროთ.  
 დავგმობთ ნინო, ვით გრძნეული!..  
 დაუდგება ეშმაკს თვალი  
 და თუ ნანაც არ დაგვთანხმდეს,  
 გავწიროთ თვით დელოფალი...

ეს უკეთური სიტყვები მეფეს დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ცაბ  
 იქუსა და ირგვლივ ჩამობნელდა. ევეღრა მირიანი თავის კერპებს,  
 მაგრამ წყვდიადი არ გაიფანტა. არავინ მიეშველა მეფეს. მაშინ იგი  
 ნინოს ღმერთს შეეშუღარა. ბნელეთი ნელ-ნელა განათდა. დედაქალაქში  
 დაბრუნებულმა მეფემ ქრისტიანობა იწამა. მთელი ერი მოინათლა.

როცა წმიდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა, მეფე მირიანს  
 მოციქულთასწორის ცხედრის მცხეთაში წამოსვენება და იქ დაკრძალვა  
 უნდოდა, მაგრამ:

ვეღარ დასძრეს ადგილიდამ  
 წმინდა კუბო... მძიმედ ნახეს  
 და დამარხვა ნეტარისა  
 ადგილობრივ გაიზრახეს...

ქართველთა გამანათლებელი ბოდბეში მიაბარეს მიწას. ეკლესიაც  
 იქვე ააგეს.

პოემა მთავრდება წუხილით ქართველთა ნაძალადევი გადარჯულების  
 გამო.

მაგრამ დღეს კი აღარ მიდის  
 ქართველი, რომ სცეს თავიანი,  
 რადგანც მისთვის დაკეტილი  
 არის წმინდა ვალაყანი.  
 თითქმის თოთხმეტ იანვარსაც



არ მიდიან!.. თავს არ ზრიან,  
რადგანაც იქ ქართულის წილ  
„პაკი-პაკის“ იბაზიან.

ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ ეჭვითაა აკაკის შემოქმედებაში ქრისტიანულ რელიგიას ესოდენ დიდი ადგილი. ეს თავად პოეტს აქვს მკაფიოდ ახსნილ-განმარტებული. პოემაში – „მომაკვდავის ჩვენება“ – მგოსანს სიკვდილის წინ ანგელოსი და ბელზებელი\* ეწვევიან. ორივე ცდილობს მომაკვდავის გადაბირებას. ბელზებელი სიცოცხლის დაბრუნებასაც პირდება, თუ მგოსანი სულს მიჰყიდის. ერთი პირობით მოგყიდო სულს – ეუბნება პოეტი ბელზებელს, –

რომ საქართველომ ქვესკნელი დაკმოს,  
მოიახლოვოს ზეცა და ღმერთი...  
რომ ქართველობამ მტკიცედ დაიჭრას  
ქრისტეს მოძღვრება და წმინდა რჯული...

რა თქმა უნდა, ამ პირობის შესრულება ბელზებელს არ შეუძლია. იგი უსიტყვოდ გაიპარება. პოეტს სიცოცხლე უბრუნდება.

სარწმუნოებისა და ზნეობის განმტკიცება მიაჩნდა აკაკის საქართველოს აღორძინების საწინდრად.

როგორც პიროვნებას, ისე მთელ ერს შინაგანად შლის და არღვევს ყოველნაირი ორჭოფობა, შერყეობა, ეჭვიანობა.

გრძნობა-გონების სასწორის რყევას  
ამაგრებს მხოლოდ სარწმუნოება:  
ის სიყვარულის პირშმო ნათელი,  
თვით სასოება და სათნოება.

(„ნ. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო“)

აკაკის სულიც ვანიცდიდა შერყეობას. დაბადებას იგი „არარსიდან არსად მოსვლას“ უწოდებდა, ხოლო სიკვდილს – „არსობიდან არარსად გარდაცვლას“. თუ ადამიანის სიცოცხლე არარსიდან არარსში მოგზაურობაა, რაღა რჩება მისი მიწიერი არსებობიდან? მაგრამ ქრისტიანული მოძღვრება სხვაგვარად გვასწავლის. ადამიანი ზეციერი მამის შვილია, მისი უკვდავი სულის მატარებელი. იესომ სიკვდილი დაამარცხა. აღსდგა, ამით მინიშნებულია, რომ მაცხოვარში გაერთიანებული ადამიანიც დათრგუნავეს არყოფნას. ადამიანი, მეორე დაბადების გზით, პირველ სახეს უბრუნდება. მასში მარადისობაა ასახულ-არეკლილი.

\* ბელზებელი – სატანა, ეშმაკი.

თუ აღდგომის რწმენა, ერთი მხრივ, ინდივიდუუმის განახლების იმედს ნერგავდა, მეორე მხრივ, ერის ხელმეორე აღორძინების გინცსაც იძლეოდა.

არიან ჩვენშიც თომასთანები,  
რომ არ სწამთ ქვეყნის მათ მომავალი;  
დღევანდელ ჯვარცმით გულგატეხილებს  
სამორსმხედველად არ უჭრისთ თვალი.  
მაგრამ როდესაც თვით მომავალი  
მათ წარუდგება, ვით ქრისტე თომას,  
დაიჯერებენ, რაც დღეს არა სწამთ  
და დაიტკობენ შწარე გულისთქმას.  
მანამდე-კი ჩვენ ვიტყვით და ვამბობთ,  
(თუმც დასაჯერი ჯერ-კი თნელია),  
რომ სდგება ქრისტე! ის, ვინც სიკვდილით  
სიკვდილისავე დამთრგუნველია!

(„თომა მოციქული“)

აკაკის პოეზიაში შესაძლებელია თვალი გავადევნოთ რწმენისა და მოქმედების ერთ მთლიან ხაზს. ვინც აკაკის შემოქმედებას მეტ-ნაკლებად იცნობს, შემჩნეული ექნება, რომ პოეტი ხშირად ახსენებს ძველი აღთქმის ორ პროტაგონისტს – იერემია წინასწარმეტყველს და მსაჯულ სამსონს.

აკაკი თავისთავს იერემია წინასწარმეტყველს ადარებდა, მაგრამ ირონიულად იქვე დასძენდა – „სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი? სად ჩემი სტვირი, სად მისი იერიქონის საყვირი?“ („ირაკლის საფლავზე“). როგორც იერემია წინასწარმეტყველი იგლოვდა ებრაელთა სვე-ბედს, ასევე დასტიროდა აკაკიც ქართველთა ბედ-იღბალს.

ვინც იყო იერემია,  
ან კგლოვდა რომელ ერსაო,  
ამას ბიბლია მოგვითხრობს  
და ძველი აღთქმა სწერსაო.  
გოლგოთის აღმართს შეუდგა,  
დადგა მთის მაღალ წვერსაო:  
დასცქერდა იერუსალიმს,  
ატყობდა ყოვლიფერსაო,  
იგლოვდა იმის მომავალს,  
იგლეჯდა თმა და წვერსაო:  
„იუდიანთა დიდებაჲ!  
ჩაუვარდები მტერსაო,



ბევრს რასმე მოვანატრებენ,  
დაგვიწყებენ ბევრსაო,  
მუსრს გაავლებენ ერთგვარად  
ქაღს, კაცს, მოფშს და ბერსაო...  
ახალი ძველსა შელახავს,  
შუეცკლის ხორცს და ფერსაო!..  
შენც, სოლომონის ტაძარო,  
ზურგზე ავადენს მტვერსაო...  
მაგრამ ჯერ ბრმა ხარ, ისრაილ,  
ვერ ხელავ ვერაფერსაო  
და მტერი აღარ გკონია,  
ვინც დღეს მოყვრულად მღერსაო!..“

(„ირაკლის საფლავზე“)

მაგრამ აკაკი მარტო იმისათვის არ ახსენებს ხშირად იერემია წინასწარმეტყველს, რომ მათ საგლოვს ერთნაირი სარჩულ-საპირე ჰქონდა. პოეტი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა იერემია წინასწარმეტყველის შეგონებას: „ასე ამბობს უფალი: დაწყველილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს და ხორციელში ეძებს შემწეობას, გულით კი შორდება უფალს.“

ბაბილონი და მისი მეფე ნაბუქოდონოსორი ღმერთმა ებრაელებს სასჯელად მოუვლინა. მათ დაივიწყეს უფალი. ბოროტების გზას დაადგნენ. იერუსალიმი და იუდეანნი მაშინ აიცდენდნენ სასჯელს, თუ ზნესა და საქციელს შეიცვლიდნენ. აღარ შეავიწროებდნენ ხიზანს, ობოლოს, ქვრივს, არ დაღვრიდნენ უბრალო სისხლს, არ ეთავყვანებოდნენ უცხო ღმერთებს. არ შეისმინეს ებრაელებმა არც ღმერთის, არც წინასწარმეტყველის. მოვიდა ბაბილონი და ყველაფერი პირისაგან მიწისა აღგავა. დააქცია და იავარჰყო.

„როგორც მარტო დარჩა ქალაქი, ოდესღაც ხალხმრავალი, ზის ქვრივი ქალივით; ხალხთა ქალბატონი და მხარეთა დედოფალი მოხარკე შეიქმნა.“

ტირის ღამ-ღამობით, ღაწვებზე ცრემლი სდის, არავინა ჰყავს ნუგეშისმცემელი, ყველამ უღალატა, მტრად გადაეკიდნენ მეგობრები.

გადიხვეწა იუდა, დაბეჩავებული და დამონებული; დასახლდა უცხოთა შორის, ვერ უპოვინა მოსვენება; ვიწროებში დაეწივნენ მისი მღევრები.

მოთქვამენ სიონის გზები; დღესასწაულზე არავინ დადის, დაცარიელდა მისი ჭიშკრები; ოხრავენ მღვდლები, დანადგლიანდნენ მისი ქალწულები, თავადაც გამწარებულია სიონი.“

გოდებადა თავზარდაცემული იერემია (I,1-4).



ასეთსავე დღეშია საქართველოც.  
თავისუფლებისა და ხსნის ეპი ებრაელებს მაშინ დაუდგებათ,  
როცა ისინი ისევ დაუბრუნდებიან უფლისა და საკუთარი ძალ-ღონის  
რწმენას. მაშინ ღმერთი ისევ მოიხელავს მათკენ. ისევ დარეკავს  
იერუსალიმის აღორძინების საათი.

ასეთივეა საქართველოს ბედიც. აკაკის აზრითაც,

... ჩვენი ნუგეში  
ყოვლისშემძლე ღმერთია,  
იმას უნდა მივუდეთ  
მხოლოდ ერთადერთია!“  
(„ეორონცოვი“)

საყურადღებოა ისიც, რომ ამ სიტყვებს პოემაში აკაკი ალექსანდრე  
ორბელიანს ათქმევინებს. ალექსანდრეც მაშინ ამბობს ამას, როცა  
იუდეანთა ბედს და იერემია წინასწარმეტყველს გაიხსენებს.

ხოლო „ეორონცოვის“ დაწერამდე ბევრად ადრე შთააგონებდა –  
„სხვისი იმედი რას არგებს თავისუფლების მძებნელსა“ („არაბი-ფაშა“).

ერიც ისევე უნდა აავსოს ძალ-ღონით უფლის სულმა, როგორადაც  
სამსონს ავსებდა.

სამსონიც ხშირად იხსენიება აკაკის პოეზიაში.

ერთი-გვარი რამ ღიმილი  
სამსონისას მძლევეს ღონეს,  
და მაშინ გინდ ჯოჯოხეთიც  
შემეჭიდოს თავმომწონეს.  
(„ღიმილი“)

...  
სოლომონის სიბრძნეს მომცემს,  
სამსონისა ძლიერებას,  
და გინდ შავი დღეც დამადგეს,  
არ მომაკლებს ნეტარებას.  
(„კინც მიფარს“)

...  
ვევლგან, ყოველთვის, შორს მყოფს თუ ახლოს,  
თვალწინ ოცნებით მეზატებოდი,  
და აღმაფრენის გრძნობა-გუნებით  
სამსონის ძალად მემატებოდი!  
(„უიდეალო“)



სამსონის წინა ეპოქაშიც უკუღმართად მოიქცნენ ებრაელები. მასწავლებლის რისხვად უფალმა ფილისტიმელები მოუვლინა მათ, რომლებიც წელიწადი ამყოფა ისრაელი ფილისტიმელთა ხელში. ისრაელთა შველად და ფილისტიმელთა სასჯელად გაჩნდა სამსონი.

მანოახს და მის ცოლს შვილი არ ჰყავდათ. ქალი ბერწი იყო. გამოეცხადა ერთ დღეს ქალს უფლის ანგელოსი და ახარა — დაორსულდებიო შენ, ვაჟი შეგეძინებაო. ოღონდ სამართებული არ უნდა მიეკაროსო მის თავს, რადგან ბიჭი ღვთის მოწმინდარი\* იქნებაო დედის წიაღიდანვე.

ღვთის ანგელოსის სიტყვა რომ ასრულდა და მანოახის ცოლს ვაჟი შეეძინა, ბიჭს სამსონი დაარქვეს, როცა იგი გაიზარდა, უფლის სული გაუგონარი ძალით აესებდა მას. სამსონმა თიკანივით გახლიჩა ლომი შუაზე. თვალის დახამზამებაში დახოცა ოცდაათი ფილისტიმელი. ქალაქის კარი და ორი ბჭე ურდულიანად მოგლიჯა და მთაზე აიტანა. შავ დღეში ჩაცვიფდნენ ფილისტიმელები. სამსონის მოსაცილებლად მზაკრობას მიმართეს. სამსონს ერთი ქალი უყვარდა — დალილა. შეუჩნდნენ ფილისტიმელები დალილას — ათას ვერცხლს მოგცემთ, გამოსტყუე სამსონს, რა ანიჭებსო უსაშველო ძალას. სამჯერ ეცადა დალილა საიდუმლოს შეტყობას, მაგრამ სამჯერვე ცრუ პასუხი მისცა სამსონმა. მერე ქალი გაიბუტა: არ გყვარებივარ, თორემ სამჯერ არ გამაპამპულებდიო. შეეცოდა სამსონს დალილა და საიდუმლო გაანდო: სამართებული არ გააკარებია ჩემს თავს. თმა რომ გადაამარსონ, ძალა გამოძეცლება, დავძაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნებიო. გაიქცა დალილა ფილისტიმელთა მთავრებთან. შეატყობინა, როგორ შეიძლებოდა სამსონის დამარცხება.

დალილას მუხლებზე ეღო თავი სამსონს. ქალის კალთაში ეძინა. შემოიპარნენ ფილისტიმელები. მოპარსეს თმა. დაუძღურებული სამსონი შეიპყრეს, ლაზაში ჩაიყვანეს, თვალები დათხარეს და საპყრობილეში შეაგდეს.

თანდათან ეზრდებოდა სამსონს თმა. ძალ-ღონე უბრუნდებოდა. ფილისტიმელებმა მისი გასამართლება გადაწყვიტეს. სასამართლოში წაიყვანეს. უამრავ ხალხს მოეყარა თავი. სასამართლო სავსე იყო ფილისტიმელებითა და მათი მთავრებით. სვეტებთან მიმდევანე, რომ დავისვენო, — შეეხვეწა ბრმა სამსონი ყმაწვილს, რომელიც დაატარებდა ებრაელ გმირს. მიიყვანა. სამსონმა ორივე სვეტს ხელი მოხვია. ღმერთს შევევდრა: ერთხელ კიდევ ამავსე შენი ძალით, რომ ფილისტიმელებს ჩემი თვალების სამაგიერო მიუზღლო. მოგლიჯა სამსონმა ორივე სვეტი. დაიქცა სასამართლოს შენობა. ნანგრევების ქვეშ გაიჭყლიტა

\* მოწმინდარი — ხატის მსახური. აქ: ღვთისმოსავი.



თავად სამსონიც, იქ თავშეყრილი ფილისტიმელებიც და მათი მთავრებიც („მსაჯულნი“, XIII-XVI).

აკაკი სწორედ იმ ლექსებში ახსენებს სამსონს, სადაც სიყვარულზეა ლაპარაკი. სიყვარული მავსებსო სამსონის ძალით, — ამბობს პოეტი. თუ ადამიანს სიყვარული უღალატებს, დადაბუნდება და მტერი იოლად მოერევა. ამიტომ ანიჭებს პოეტი განსაკუთრებულ ადგილს ქალს როგორც პიროვნების, ისე მთელი ერის ცხოვრებაში. ეთაყვანებოდა კიდევ უზენაეს ქალურობას, რასაც, აკაკის აზრით, რელიგიაში განასახიერებდნენ ღვთისმშობელი და წმიდა ნინო, ისტორიაში — თამარი და ქეთევანი, სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში — ნესტან-დარეჯანი და თინათინი. პოეტის ოცნება იყო ასეთი ქალები საქართველოს რეალურ ცხოვრებაშიც განეწილიყვნენ. მაგრამ უბედურება ის გახლათ, რომ დალილაები იყვნენ ერთობ მომრავლებული.

რა მძიმე ასატანიც და დასაძლევიც უნდა ყოფილიყო ღმერთის რწმენის დაკარგვაც, სამშობლოს დამონებაც, ქალის ღალატიც აკაკის სულში (აქედან მის პოეზიაში) მაინც არსებობდა ნუგეში და იმედი — იესო ქრისტე.

აღმოსავლეთით გამოჩნდა  
ვარსკვლავი ბეთლემისაო,  
ნიშანი ახალ აღთქმისა,  
წინამორბედი ღვთისაო.  
(„ხალხური“)

პოეტის გონება, ფიქრი, გრძნობა გამუდმებით ტრიალებდა ქრისტეს შობის საიდუმლოს გარშემო: „დიდება ქვეყნად მაცხოვრის ხორციელ მოვლინებასა“ („შობა“). მთელი არსებით ცდილობდა ნათლისღების მისტერიის\* ამოცნობას: „მე ნათელს-ვცემ მხოლოდ წყლითა, ის ნათელს-სცემს სულიწმინდით“ („ნათლისღება“). მაგრამ განსაკუთრებით იტაცებდა აღდგომის თემა. ბევრი ლექსი მიუძღვნა მას — „აღდგომა“, „აღდგომა სოფელში“, „აღდგომის განთიადი“, „ქრისტე აღსდგა“ (ამ სათაურით ორი ლექსი აქვს დაწერილი), „ქრისტე აღსდგას“ დაწვერს“...

მრწამს! და შენც მწამხარ წინამორბედად  
იმ აღდგომისაც, რომ ველი შეცა!...  
როდესაც ქვეყნად ტანჯულ სიმართლს  
მკვდრეთით აღადგენს კურთხევით ზეცა.  
(„ქრისტე აღსდგა“)

\* მისტერია — საიდუმლო.



როგორც ყოველ ადამიანს, ისე აკაკის აოცებდა თავად ალე იესო ქრისტესი: ძე ღმრთისა, ხორციელად ამ სოფლად შობილი, ადამიანთა ცოდვის გამოსასყიდად ამქვეყნად მოვლინებული, ჯვარცმული, მკვდრეთით აღმდგარი და ამალღებული.

საკაცობრიო აზროვნება არ იცნობდა სხვა ამგვარ სახეს. ღვთაებრივ საიდუმლოს შეიცავდა არა მარტო ის, რასაც ამბობდა მაცხოვარი, არამედ თავად მისი ხატიც და თავგადასავალიც. რაღაც შორეულ ნათესაურ ნიშანს ხედავდა პრომეთესა და ამირანის მითში. ამიტომ, ამირანი საქართველოს სიმბოლოდ წარმოადგინა: კლდეს მიჯაჭვული, მრავალტანჯული, მაგრამ მაინც ცოცხალი და განთავისუფლების მომლოდინე. გათავისუფლება და აღდგომა რომ მომხდარიყო, ამისათვის ადამიანს თავისი დანაშაულიც უნდა გამოეყიდა და სხვისიც. ამით შთაგონებულმა შექმნა უბადლო მხატვრული სახე ჰაჯი-უსუბისა, რომელმაც საკუთარი სისხლით გაასპეტაკა სხვისი დანაშაული.

### „გამზრდელი“

დანაშაული მოხდა.

პატიოსნებას გულისთქმამ სძლია და საფარ-ბეგმა („გამზრდელი“) ძიძიშვილის ცოლი გააუპატიურა.

სიყვარულის თავდავიწყებამ წაიღო და ონისემ („ხვეისბერი გონა“) გუშაგის მოვალეობა დაივიწყა. შტერი შემოეპარა.

უცხო ტომის ქალი შეუყვარდა და ანდრი (ნ. გოგოლის „ტარას ბულბა“) ღუშმანის მხარეს გადავიდა. ესეც არ იკმარა: თავისიანებს მეღგარი ბრძოლა გაუმართა.

ბავშვურ სულწასულობას ვერ მოერია და ფორტუნატომ (პ. მერიძეს „მატეო ფალკონე“) ბანდიტი ჯანეტო სანაიერო გასცა.

არც ხვეისბერმა გონამ, არც ტარას ბულბამ, არც მატეო ფალკონემ შვილებს დანაშაული არ შეუნდეს და სიკვდილით დასაჯეს. მხოლოდ ჰაჯი-უსუბი („გამზრდელი“) მოიქცა სხვანაირად: საფარ-ბეგის დანაშაული თავად ზღო – თავი მოიკლა.

თითოეულმა მათგანმა – საფარ-ბეგმა, ონისემ, ანდრიმ, ფორტუნატომ – მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მკითხველი მაინც არ არის მათ მიმართ უარყოფითად განწყობილი, ებრალება ისინი და მათდამი თანაგრძნობის ნაპერწკალიც უღვივის გულში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ბუნებით პატიოსანი, კეთილი, გულწრფელი ადამიანები



არიან. ისინი მზად არიან სიცოცხლის დათმობით გამოისყიდონ დანაშაული. მხოლოდ პატარა ფორტუნატო შედრეკება სიკვდილის წინ. მამას შეევედრება, ნუ მოშკლავო, მაგრამ ეს სრულიად გასაგებია – ფორტუნატო ათი წლის ბიჭი იყო.

საფარ-ბევი, როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე მიხვდა დანაშაულის მთელ სისაძაგლეს. როცა დილით მძინარე საფარ-ბევი ბათუმ გააღვიძა, პირველი, რამაც ბოროტმოქმედს გაუელვა თავში, იყო:

არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,  
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.  
ჩემს საქციელს სამარცხვინოს,  
ვინ გაივებს, ვინ დამძრახავს?

ნადრევი გამოდგმა საფარ-ბევის ცოდვილი სიხარული. ბათუმ ყველაფერი იცოდა, თუმცა ძუძუმტე სასიკვდილოდ არ გაიშეტა.

– არა! შენ ვერ შეგეხება,  
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია,  
დედინჩემის გაზრდილი ხარ,  
მისი ძუძუ გიწოვია...

ერთი შეხედვით, უმაღლესი ზნეობით აღჭურვილმა ბათუმ დაჯაბნა საფარ-ბევი, მორალურად გაანადგურა იგი. მაგრამ აკაკი წერეთელი გვიამბობს არა სინდისიანისა და უნაშუსოს ბრძოლაზე, არამედ აღამიანში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედიაზე. საფარ-ბევი ტოლს არ უღებს ბათუს:

... მართალი ხარ!  
აღარა მაქვს მე სათქმელი!...  
შემაცდინა თვით ეშმაკმა  
და დამრია ცოდვის ხელი!...  
შენი ტყვე ვარ!.. კა, ხომ ხედავ,  
იარაღი დამიყრია...  
სასიკვდილოდ ჩემი ნებით  
შენ წინ თავი დამიხრია...  
ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,  
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,  
მაზღვევინე, რაც შევცოდე,  
სინიღისი გამიშთელე!



აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი მშენებელი ღმრთის  
 კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენლი და მეორეს — არა.  
 საფარ-ბეგმა გააცნობიერა თავისი დანაშაული და თავადვე გამოუტანა  
 საკუთარ თავს განაჩენი: მან არა მარტო ბათუს წინაშე დახარა თავი  
 მორჩილად, არამედ — გამზრდელისაც. საფარმა პაჯი-უსუს ალაღად  
 უამბო ყველაფერი, დაუშალავად და შეულამაზებლად.

მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს  
 საფარ, მისი გამოზრდილი...

ასევე თავად აღიარა ონისემაც დანაშაული თემის სასამართლოს  
 წინაშე. თუ ონისე გაჩუმდებოდა, სიძართლეს არ იტყოდა, დაისჯებოდა  
 უდანაშაულო გუგუა. ამით კიდევ უფრო ცოდვილი ვახდებოდა ონისეს  
 სინდისი. იგი გამოუტყდა როგორც მამას, ისე საზოგადოებას.

„— შესდევ, ხევისბურო. გუგუა მართალია! — დაიძახა ონისემ...

— სთქვი, რას ამბობდი?

— გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით... გუგუას და მე  
 მიზეზი გვაქვს ერთმანეთის მოსისხლენი შეგქმნილიყავით... ეგ მთიდგან  
 რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ  
 გზაში მტერს შეხვდა და მოლაღატობას ტყუილად სწამობთ... მოძმეთ  
 ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა...”

ონისემ იცის, რაც ელის დანაშაულისათვის, მაგრამ მისთვის  
 ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე.

არსებითად განსხვავდება ანდრი ბულბას საქციელი საფარ-ბეგის  
 და ონისეს ქმედებისაგან.

ანდრი ბულბა ბრძოლის დროს შეიპყრო მამამ. ანდრი პოლონელ  
 პუსართა პოლკში იყო და კახაკებს ებრძოდა. როცა ტარასმა შეამჩნია  
 იგი, თავისიანებს სთხოვა, ტყეში შემოიტყუეთო. კახაკმა გოლო-  
 კოპიტენკომ შეასრულა ტარასის დავალება. ის-ის იყო ანდრი  
 გოლოკოპიტენკოს უნდა დასწეოდა, რომ ცხენის აღვირში უტაცა  
 მამამ შვილს ხელი და გააჩერა. მამის დანახვაზე ანდრი გაფითრდა და  
 აცახცახდა. ტარასმა ცხენიდან ჩამოსვლა უბრძანა. როგორც ბავშვი,  
 მორჩილად ჩამოხტა იგი ცხენიდან და მკვლარ-ცოცხალი გაჩერდა  
 ტარასის წინ. „იდექ, არ გაინძრე. მე ვმობე, შევე უნდა მოგკლა!“ —  
 თქვა ტარასმა, გადადგა ერთი ნაბიჯი უკან და მხრიდან თოფი გადმოიღო.  
 ანდრის ნაცრისფერი დასდებოდა, ეტყობოდა, ჩუმად ტუჩებს ამობრავებდა,  
 ვიღაცის სახელს ახსენებდა, მაგრამ არ იყო იგი არც სამშობლოს,

არც დედის, არც ძმის სახელი – არამედ ტურფა პოლონელი ქალისა. დასცალა თოფი ტარასმა“ (ა. და ი. ახალშენიშვილების თარგმანი).

ანდრიმ უღრტვინველად მიიღო სასჯელი, მაგრამ არ განუცდია ღალატის გამო სინდისის ქენჯნა. დანაშაულის გაცნობიერება არ მომხდარა. ისევე როგორც ანდრის პოლონელი ქალი, ონისესაც თავდავიწყებით უყვარდა ძიძია, მაგრამ ხვეისბურის შვილმა მაინც მოახერხა სიყვარულის ბანვისაგან განთავისუფლება. ანდრიმ ეს ვერ შეძლო. სიკვდილის წინ იგი მაინც მიჯნურობის მონა იყო.

სამივე პროტაგონისტი – საფარ-ბეგი, ონისე, ანდრი – პატიოსანი ადამიანია, მაგრამ ეს პატიოსნება სხვადასხვაგვარია.

საფარ-ბეგისა და ონისეს პატიოსნებას, მართალია, დანაშაულის თავიდან აცილება არ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ ძალუძს დანაშაულის გაცნობიერება, მონანიება და სასჯელის მიღებაც, თუნდ იგი სიკვდილიც იყოს.

ანდრი ბულბას პატიოსნება სხვაგვარად ფიქრობს: სიყვარულის ერთგულება უფრო მაღალ მოვალეობად მიაჩნია, ვიდრე – თანამომძეებისა და თანამემამულეებისა. ანდრი არ ინანიებს თავის დანაშაულს. არც სასჯელს იღებს ნებაყოფლობით. ანდრი ბულბასათვის მამის სასჯელი გარდაუვალი აუცილებლობაა, რომლისგან თავის დაღწევა გამორიცხულია.

როცა აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გოგოლისა და პროსპერ მერიმეს პერსონაჟებს ვაკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანაშაული არ უნდა მომხდარიყო, რამეთუ არც ერთს არ აკლია არც პატიოსნება, არც ნებისყოფა, არც ვაჟკაცობა. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილებაა. მათი ხასიათის ღრმად შეცნობის დროს თანდათან გამოიკვეთება და გამოუმჟღავნდება მათი სულიერი სამყაროს ხარვეზი. ეს გახლავთ მორჩილება ვნებისადმი. საფარ-ბეგიც, ონისეც, ანდრიც ვნების მორჩილნი არიან, ფორტუნატო კი ბავშვური სიხარბის, უფრო სწორად, სულწასულობის მსხვერპლია.

აკაკი წერეთელი მაშინვე მიუთითებს და აღნიშნავს, საფარ-ბეგის ხასიათის სუსტ მხარეს. საფარ-ბეგი მოსვლისთანავე ატყობინებს ბათუს, რა მიზნით ეწვია ძიძიშვილს სტუმრად და რატომ გადაწყვიტა მოიპაროს აღმასხვი ინალიფას ცხენი. საფარ-ბეგს მზეთუნახავი ზია-ხანუმი შეპყვარებია. მართალია, საფარი იცნობს ამ ქალის მზაკვრულ ბუნებას, მაგრამ მის სიღამაზეს ვერსად გაქცევია. საფარ-ბეგი ნანობს კიდევ ზია-ხანუმთან ურთიერთობას, მაგრამ სინანულს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, რადგან ვაჟი მთლიანად ემორჩილება ქალის ნებას-სურვილს.



მეც მომხიბლა ჯადოსანმა,  
დამამარცხა, დამიმონა!..  
და, თუ ქალი მაჯობებდა,  
არ ვფიქრობდი, არ შეგონა...

ამ შემთხვევაში საფარი მთლიანად მართალს არ ამბობს. შეიძლება ეს გამოწვეულია იმით, რომ მან ზუსტად და მტკიცედ არ იცის, მართლა უყვარს თუ არა ზია-ხანუმი. საფარ-ბეგი საერთოდ ვერ არის გულგრილი ქალის მშვენიერებისადმი, ამიტომ ვნება და სიყვარული ვერ განუსხვავებია ერთმანეთისაგან. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მარტო დარჩენილიყო ნაზიბროლასთან, რომ დავიწყებოდა სიყვარულიცა და მორღუობის ადათიც. ვნებით დაბრმავებულმა და ცნობაწართმეულმა არ დაინდო ძიძიშვილის ცოლი და ნამუსი ახადა მას.

საფარ-ბეგის საქციელს წარმართავს დაუოკებელი ვნება და არა სიყვარული.

ონისესა და ანდრის საქციელს კი აპირობებს სიყვარული, თუმცა ტრფობისადმი მათი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია.

ონისემ კარგად იცის, რომ არა აქვს ძიძიას სიყვარულის უფლება. ჯერ ერთი, ძიძია სხვისი ცოლია და მეორეც, ონისე გუგუას ხელისმომკიდეა. ონისე ებრძვის გულში დაბუდებულ ტრფობას, ცდილობს გაექცეს, დაემალოს მას, მაგრამ ამაოდ. იგი ვერ ამართლებს მამის დარიგებასაც – „გახსოვდეს, ვისი ვორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი... ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...“

ძიძიას სიყვარული ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა და ონისემ დანაშაული ჩაიდინა.

ასეთივე ყოვლისმომცველი და ძლიერია ანდრის სიყვარულიც, მასაც თავდავიწყებით უყვარს პოლონელი ვოევოდას\* ასული. როცა ანდრი აღფაშემორტყმულ დუბნოში შეიპარა და საყვარელი ქალის ოჯახს საზრდელი მიუტანა, უარი თქვა, უკან, კაზაკთა ბანაკში დაბრუნებულიყო. „სამშობლო ის არის, რასაც სული დაეძებს, რაც ყველაზე მეტად შეგვყვარებია. ჩემი სამშობლო შენ ხარ“, – უთხრა ანდრიმ ნანდაურს. საერთოდ, რომანის კონცეფციით, სიყვარული უძლეველ ძალად არის მიჩნეული. ერთ-ერთი პერსონაჟი, ებრაელი იანკელი, ტარას ბულბას ეუბნება – როცა კაცს ქალი შეუყვარდება, იგი დაემსგავსება წყალში დამბალ ლანჩას, როგორც გინდა ისე მოღუნავ. ანდრის დანაშაულიც ამით არის გამოწვეული.

თუ ამ სამ პროტაგონისტს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ მათ შორის ყველაზე ტრაგიკულია ონისე.

\* ვოევოდა – ოლქის მმართველი ძველ პოლონეთში.



იგი საფარ-ბეგზე უფრო ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მას გულწრფელად და ალაღად უყვარს ძიძია. ონისეს სიყვარული ნამდვილია. ამიტომაც ვერ დააღწია თავი ამ ტრფობას.

საფარ-ბეგს კი ბრმა ვნება წარმართავდა მაშინ, როცა ნაზიბროლა გააუპატიურა.

ონისე ანდრი ბულბაზე ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მოვალეობას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე პირად გრძნობას. თანამემამულეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულს მძაფრად განიცდის და შზად არის ყოველგვარი სასჯელის მისაღებად. ანდრი ბულბა კი პირად გრძნობას ამჯობინებს სამშობლოს. სრულიად არ განიცდის თანამემამულეთა წინაშე ჩადენილ დანაშაულს. თუ, ბოლოს და ბოლოს, ონისეში მოყვასის სიყვარული იმარჯვებს, ანდრი სიკვდილამდე სიყვარულით გამოიწვეული ეგოიზმის ერთგული რჩება.

რა თქმა უნდა, პატარა ფორტუნატო ვნებათა ამ სიმძაფრემდე ვერ მიდის. იგი ბავშური სულწასულობის მსხვერპლი ხდება. როცა მას სერჟანტი გამბა საათის ჩუქებას შეჰპირდა – თუ იგი იტყოდა, სად იძალებოდა ჯანეტო – ბიჭმა ცდუნებას ვერ გაუძლო და თივის ბულულში დამალული ბანდიტი გაყიდა. ამ დანაშაულის საფუძველი სიხარბეა. ფორტუნატოს სიხარბე გაუცნობიერებელია და, ამდენად, მისი დანაშაულიც უნებლიეა. სამაგიეროდ ასე არ არის „გამზრდელში“. ზია-ხანუმის სიხარბე გაცნობიერებულია. იგი გადამდგება და შეიძლება სხვასაც უბიძგოს ბოროტებისაკენ. ასე დაემართა საფარ-ბეგს. აღმასხიტი ინალიფას ცხენის მოპარვა ნაკარნახევია ზია-ხანუმის სიხარბით. ქალის სიხარბეს საფარმა ვერაფერი დაუპირისპირა. პირიქით, მან ზია-ხანუმის გულის მოგება სცადა არა ქალის სიხარბის უარყოფით, არამედ მისი დაკმაყოფილებით. გაჩნდა დანაშაული. ჯერ შედარებით უბრალო – ცხენის მოპარვა და შემდეგ უკვე უპატიებელი – ტუქუმტის ცოლის გაბაზება.

სიხარბეა „ხვევისბერ გოჩაშიც“ ბოროტმოქმედების საფუძველი. ამჯერად ფეოდალის გაუმაძღრობით ვლინდება იგი. ნუგზარ ერისთავს არ ჰყოფნის უკიდევანო მამული და თავისუფალი ხვევის დაპყრობაც სურს. შზად არის ძმა ძმას გადაჰკიდოს და მეზობელს მეზობლის სისხლი აღვრეინოს, რათა სიხარბე დაიკმაყოფილოს, მტერ-მოყვარე დაამინოს და ყველა დაიმორჩილოს. მართალია, ნუგზარ ერისთავის მასშტაბისა არ არის, მაგრამ ზია-ხანუმსაც ძალაუფლებისმოყვარეობა აწამებს. ამ ქალს იმიტომ არ მოსწონს აღმასხიტი ინალიფა, რომ იცის, „სხვებსავით ის იმას ვერ იმსახურებს“. რაკი აღმასხიტი არ ვახლება ზია-ხანუმის სიხარბის მსახური, ამიტომ ქალი სხვებს აქვზებს მის წინააღმდეგ. ცხადად ჩანს, რომ ზია-ხანუმის სიხარბე ადამიანთა ურთიერთობის იმ სახეობას ცნობს, რომელსაც მორჩილება ეწოდება. ასევეა ნუგზარ ერისთავიც. ოღონდ მისი სიხარბე გაცილებით დიდია



და ვრცელი. მას ვერ დააკმაყოფილებს ცალკეულ პირთა მორჩილება, ნუგზარის მადა მთელი ხალხის მორჩილებას ითხოვს.

ნუგზარის უსახლვრო სიხარბემ გამოიწვია ძმათამკვლელი ომი, ომმა კი გაამძლავნა ყველა დამალული ტკივილი.

„ტარას ბუღბაშიც“ სიხარბე ამოქმედებს კახაკთა სპასაც. „აქ მუდამ კპოვებდნენ საქმეს ომის, ოქროს თასების, ძვირფასი ფარჩების, ბაჯალლო ოქროებისა და სხვა დიდების მოყვარულნი, — ყველა, გარდა ქალის თავყანისმცემლებისა, რადგანაც ქალი სეჩის გარეუბანშიც კი ვერ გაბედავდა გამოჩენას“, — წერს გოგოლი. მართალია, ნათქვამია ისიც, რომ მართლმადიდებლობას იცავდნენ, ურჯულოებს — თურქებსა და თათრებს — ებრძოდნენო, მაგრამ ეს რომანში რიტორიკული განცხადებაა. საქმით კი ომის დამწყები კახაკები არიან, ტარას ბუღბას თავკაცობით.

მშვიდობიანობაა, კახაკებს არავინ ემუქრება. ასე არ მოსწონდა ტარასს. „მიტომაც მუდამ იმის ფიქრში იყო, როგორმე სეჩი\* საღაშქროდ აღედრა, სადაც ყველას შეეძლებოდა თავისი რაინდობა დაემტკიცებინა, საომარი ნიჭი გამოეჩინა. ბოლოს, ერთ დღეს მივიდა ტარასი კოშევისთან\*\* და უთხრა პირდაპირ:

— რაო, კოშევიო, განა დრო არ არის, გაინავარდონ საითმე ზაპოროჟიელებმა?

— საით მერე? — მიუვო კოშევიომ, პირიდან პატარა ჩიბუხი გამოიღო და გვერდზე გააფურთხა.

— როგორ თუ საით? შეიძლება თურქებზე ან თათრებზე გავილაშქროთ.

— არ შეიძლება არც თურქებზე, არც თათრებზე, — უპასუხა კოშევიომ და ისევ გულგრილად ჩაიღო პირში ჩიბუხი.

— როგორ თუ არ შეიძლება?

— ისე, სულთანს მშვიდობიანობის პირობა მივეცით..

— მერე ის ხომ ბუსურმანია\*\*\*: ღმერთიც და საღმრთო წერილიც გვიბრძანებს მათ ამოწყვეტას.

— უფლება არა გვაქვს. სარწმუნოებაზე რომ არ შეგვეფიცნა, იქნებ კიდევ მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა არ შეიძლება.

— როგორ თუ არ შეიძლება? როგორ ამბობ, უფლება არა გვაქვსო? აი, მე ორი შეილი მყავს, ორივე ახალგაზრდა, არც ერთი ჯერ ომში არ ყოფილა. შენ კი ამბობ: ვერსად წავალთ ზაპოროჟიელებით.

— პოდა, ასე, არ შეიძლება.

\* სეჩი — უკრაინელ (ზაპოროჟიელ) კახაკთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია XVI-XVIII სს-ში.

\*\* კოშევიო — კახაკთა მეთაური.

\*\*\* ბუსურმანი — მუსულმანი.



– მაშ აგრე უქმად უნდა იყოს კაზაკის ძალ-ღონე მინებებულნი, რომ ძალივით გადიღრძოს კაცი და ერთი კეთილი საქმე არ გააკეთოს, სამშობლოსა და საქრისტიანოს არაფერი სარგებლობა არ მოუტანოს? (რბევა-აწიოცება ჰკონია ტარას ბულბას სამშობლოსა და ქრისტიანობის სამსახური – ა.ბ.). მაშ, თუ აგრეა, მითხარი, რაღადა ვცოცხლობთ, სიცოცხლეს რა ეშმაკად ვაქწევთ?"

ამ კითხვას კოშევიმ არ უპასუხა, მაგრამ ომის განაღებაზე კი მტკიცე უარი მოახსენა. გაბოროტებულმა ტარასმა კაზაკები წააქეზა – ძველი კოშევი გადავაყენოთ და ახალი დავსვათო. ასეც გააკეთეს.

„მეორე დღეს ტარას ბულბა უკვე მოელაპარაკა ახლადამორჩეულ კოშევის, ზაპოროჟიელნი როგორ უნდა ამხედრებულნიყვნენ და ვის წინააღმდეგ. კოშევი ჭკვიანი და ეშმაკი კაზაკი იყო, მასთან ზაპოროჟიელთა ზნე-ხასიათის მეტად კარგად მცოდნე: „არა, ფიცის დარღვევა არ შეიძლება“, – უპასუხა პირველად ბულბას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: „არა უშავს რა, ვინძლო ფიცს არ დავარღვევთ, ისე რასმე მოვიმიზეზებთ; ოღონდ ხალხი შეიკრიბოს, მაგრამ ჩემი ბრძანებით კი არა, თავისით, – ეს თქვენ უკეთ იცით, როგორ მოახერხოთ, – მაშინ ჩვენც სტარშინებთან ერთად უცბათ იქ გაჰყვანდებით მოედანზე, ვითომ არა ვიცით რა“.

კაზაკობა მოედანზე შეიკრიბა. დაიწყო სჯა-ბაასი. მზაკერულად ხლართავდა საქმის ვითარებას კოშევი. თან ხალხს მშვიდობისაკენ მოუწოდებდა, თან ომისაკენ აქეზებდა. ამ დროს ტანსაცმელშემოფლეთილ კაზაკთა ერთი ჯგუფი გამოჩნდა. ამბავი მოიტანეს – შავ დღეში ჩაცვივდნენო გეტმანშინაში\* კაზაკები.

თურმე ურიებს იჯარით აუღიათ საყდრები და თუ წინასწარ ქრისტიანი ფულს არ გადაიხდის, წირვა-ლოცვას ვერ ჩაატარებს.

თურმე, თუ ურია პასქას ნიშანს არ დაასვამს, მისი კურთხევა არ შეიძლება.

თურმე ქსენძები\*\* ტარატაიკებით\*\*\* დადიან უკრაინაში და, ცხენების მაგიერ, შიგ მართლმადიდებელ ქრისტიანებს აბამენ.

თურმე ურიის ქალები ქვედა კაბებს მღვდლის ფილონებისაგან\*\*\*\* იკერავენ.

თურმე გეტმანი სპილენძის ქვაბში მოუხრაკავთ და პოლკოვნიკებს მისი ხელ-ფეხი ბაზრობაზე დააქვთ.

ეს მტკნარი სიცრუეა, ბრბოს ასაღელვებლად გამოგონილი. მაგრამ რაც ეშმაკურად მოიფიქრეს, ეშმაკურად განახორციელეს. კაზაკთა სპა ქალაქ ღუბნოს შეესია.

\* გეტმანშინა – ძველი უკრაინის ერთი ნაწილის სახელწოდება.

\*\* ქსენძი – კათოლიკე მღვდელი პოლონეთში.

\*\*\* ტარატაიკა – ორთვალა ეტლი.

\*\*\*\* ფილონი – მღვდლის შესამოსელი.



როგორც ვხედავთ, თუ „ხვეისბერ გოჩაში“ მოხვევები თავს იცავენ მოძალადისაგან, „ტარას ბულბაში“ კაზაკები თავად პირველნი უსმძაან თავს მშვიდობიან ქალაქს.

თუ ნუგზარ ერისთავის სიხარბე სამფლობელოს გაფართოების სურვილით ვლინდება, ტარას ბულბასა და მისი ამხანაგების სიხარბე დავლის\*, ალაფის\* შოვნით გამოინატება, რაც ვარეგნულად ვაჟკაცობის სახელით არის შენიღბული.

როგორც ცნობილია, სიხარბე მხოლოდ ადამიანის თვისებაა. ბუნება ამ გრძნობას არ იცნობს, მან იცის მხოლოდ აუცილებელი. ადამიანი კი ყოველთვის ცდილობს აუცილებელს მიუმატოს სიხარბე და სწორედ აქ ჩნდება დანაშაული.

ყოველი ადამიანის მშვინვიერ სამყაროში არსებობს კონფლიქტი აუცილებელსა და სიხარბეს შორის. თუ ადამიანმა მოახერხა და სძლია სიხარბეს, დაკმაყოფილდა აუცილებლით, მაშინ იგი იძენს სულიერ წონასწორობას, ერწყმის ბუნების ჰარმონიას და მონოლითურად მთლიანია. მან ამ გზით უკვე მოკვეთა ბოროტი და, ბუნებრივია, გაემიჯნა დანაშაულს. თუ აუცილებლისა და სიხარბის კონფლიქტის დროს ადამიანმა დაუთმო სიხარბეს, ვერ დაჯაბნა იგი, მაშინ ბოროტი იმარჯვებს და დანაშაულიც გარდაუვალია.

აკაკის „გამზრდელის“ პერსონაჟს ბათუს იმიტომ აქვს შენდობის დიდი უნარი, რომ თავისუფალია სიხარბისა და ამოების გრძნობისაგან. აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს მას:

ერთი ვინმე ახალგაზრდა  
 აფხაზია, ამ მთის შვილი,  
 რთულ ცხოვრების უარმყოფი,  
 მცირედითაც კმაყოფილი.  
 კარგი თოფი, კარგი ხმალი,  
 კარგი ცხენი და ნაბადი!..  
 რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,  
 კაცი მისებრ დანაბადი?

როცა შინშობრუნებულმა ბათუმ შერცხვენილი და გაბახებული ცოლი ნახა, თავზარი დაეცა, მაგრამ ეყო სულის სიმტკიცე, ნუგეში ეცა გაუბედურებული ქალისათვის.

ყოველგვარი მოსავალი  
 კაცის თავზე უნებური,

\* დავლა, ალაფი – ნადავლი.



ღვთის რისხვაა და ტყვიად ბედს  
რას უჩივი, რათ ემღერი?  
გადააგდე გულიდან ეგ  
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..  
მე და შენი სიყვარული  
წმინდა არის, ვით ლამპარი.

შეიძლება ვინმემ გაიფიქროს (ყოველგვარი ზნეობის კაცი არსებობს ამქვეყნად), რომ ბათუ წინდაუხედავად მოიქცა, როცა მარტო დატოვა ნაზიბროლა და საფარ-ბეგი. ეს ფიქრი უსამართლო შეურაცხყოფა იქნება ბათუსი. ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი თვისება გამოამჟღავნა – ნდობა. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ თქმულება, რომელიც სწორედ იმ კუთხეშია შექმნილი, საიდანაც ნაზიბროლა იყო.

ერთ ჭაბუკს ბელაური ჰყოლია. მეორეს შესშურებია ეს და დაუკვეხნია – ცხენი ჩემი იქნებაო. რანაირად – გაოცებულან ტრაბახის გამგონენი – იმ ბელაურს ვერც იყიდი და ვერც მოაპარვას მოახერხებო. მაშინ შურიანს ხრიკი მოუგონია. შემოუხევია ტანზე, დაუხოკავს სახე, ნაცემ-ნაგვემის გამოშეტყველება მიუღია და იმ გზაზე გაწოლილა, სადაც ცხენის პატრონს უნდა გაეველო. მართლაც გამოუვლია ჭაბუკს. დაუნახავს უბედურ დღეში ჩაყარდნილი კაცი და მისაშველებლად გადმომხტარა ცხენიდან. შურიანს მოუსაწყლებია თავი; ვიგინდარები დამქსნენ, გამძარცვეს, მცემეს, ძლივს გადაერჩი. ვაგდივარ ასე უპატრონოდ, მშვიერ-შწყურვალი, იქნებ მიშველო და მახლობელ სოფელში მიმიყვანოო. აუყვანია ყმაწვილს, მატყუარა ცხენზე შეუსვამს და თავად ფეხით გაძლოლია წინ. სწორედ ეს უნდოდა ცრუსაც. ჰკრა თურმე ცხენს დეზი და გაქუსლა. თან ნიშნის მოგებით შემოჰყივლა თურმე ჭაბუკს – ხომ წაგართვიო ცხენი. გაოგნებული ყმაწვილი ერთხანს ჩუმად მღგარა და მერე მატყუარასთვის უთხოვნია, გემუდარები, არავის უამბო, როგორ მომტაცე ცხენი, თორემ ადამიანი ნდობას დაკარგავს, ყველა ყველას ეჭვის თვალით შეხედავს და უნდობლობა ქვეყანას დააქცევსო.

ადამიანთა ურთიერთობა ნდობის თვინიერ წარმოუდგენელია. თუ ადამიანი ბუბუშტესაც არ ენდო, როგორღა იცხოვროს მან? ან საზოგადოება როგორღა იარსებებს უნდობლად? ნდობის თვინიერ ადამიანთა საზოგადოება ბაკში შერეკილ ჯოგს დაემსგავსება და თუ არ იფანტება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალტა\* მაღალი მესრით არის შემორაგული.

ლამპარივით წმინდა სიყვარულმა და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობა. ალ. ყაზბეგის

\* ქალტა – საქონლის დასამწყვდევი შემოკავებული ადგილი.



ელგუჯასაც ლამპარივით წმინდა სიყვარული შველის შეუნდოს მხოლოდ „დანაშაული“. მზალმ ვერაფრით დაიხსნა თავი „ნაჩალნიკისგან“ უფროსმა სძლია უღონო ქალს და ნაშუსი ახადა. როცა განკურნებული ელგუჯა ისევ შეხვდა მზალს, ქალის პირველი სიტყვები იყო:

„— დამნაშავე ვარ... თავი უნდა მომეკლა, მაგრამ შენი ნახვის სურვილმა შემიშალა ხელი...“

ამ სიტყვებზე ელგუჯა ხანჯალს მისწვდა, მაგრამ თავი შეიკავა, ისევ დაიკრიფა გულ-ხელი და ისე შეჭმუხვნილი უყურებდა.

— მითხარ, რაი ამბავია?

მზალო მოუყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ უღირდა.

— ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი აღარა ვარ?

— ბარემ, ბარემ მინდოდა, აგრე მეთქვა, მაგრამ რაი ვქნა, რომ მიყვარხარ, ჩემ თავზედ მეტად... მიყვარხარ... — ელგუჯამ ძალზედ მიიკრა გულზედ მზალო და დაუწყო გაშმაგებით კონცა.

ბათუსა და ელგუჯას საქციელი თანაბრად დიდსულოვანია. მაგრამ ყოველთვის არ ძალუძს მამაკაცს ამგვარი დამოკიდებულების გამოჩენა. უფრო ხშირად მას ეჭვი აწამებს და ამჟღავნებს მშვინვიერ სილატაკეს. ამგვარი სულიერი სიდუხჭირის გამოვლენა აქვს აღწერილი ალექსანდრე კუპრინის მოთხრობაში „ზღვის ავაღმყოფობა“.

არც ელენე ტრაინა ყოფილა დამნაშავე. ისიც მოტყუებითა და ძალდატანებით დაამცირეს.

ელენე ტრაინა ოდესიდან იალტაში მიდიოდა გემით. ქალი ზღვის სენმა შეაწუნხა. მგზავრებით გაჭედვილ გემში მყუდრო ადგილისა და საწოლის შოვნა ვერაფრით მოახერხა. იძულებული გახდა გემბანზე, სკამზე ჩამოშვდარს გაეტარებინა რამდენიმე საათი. როცა ეს შეამჩნია კაპიტნის თანაშემწემ, სულგრძელად შესთავაზა თავისი კაიუტა. კაპიტნის თანაშემწე იმ ღამეს მორიგე იყო და კაიუტა არ სჭირდებოდა. ელენეს არ უნდოდა იქ შესვლა, მაგრამ იმდენად უჭირდა ზღვის ავაღმყოფობასთან ბრძოლა, რომ დასთანხმდა. კაპიტნის თანაშემწეს მზაკვრული განზრახვა ედო თურმე გულში; როგორც კი ზღვის ავაღმყოფობითა და მგზავრობით დაღლილ-დაქანცული ქალი კაიუტაში დაიგულა, შეუვარდა და გააუპატიურა.

უსაშველოდ აწამებდა ქალს მომხდარი ამბავი. შინდებრუნებულმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ეთქვა თუ არა ქმრისათვის ყველაფერი. ბოლოს მაინც თქმა ამჯობინა და სერგეის უამბო, რაც შეემთხვა.

ქმარმა მშვიდად მოისმინა ნაამბობი. ცოლს მოუაღერსა, ტკბილი სიტყვით ანუგემა და გაუქარწყლა შიში და ტკივილი, მაგრამ სერგეის სიმშვიდე ცრუ და მოჩვენებითი აღმოჩნდა. იგი იტანჯებოდა, მთელი ღამე არ უძინია. უცბად ლოგინიდან წამოხტა და წამოიძახა: ბავშვი,

ბავშვი რომ გაჩნდეს, ელენე? იქნებ ის მეზღვარი სნეულია? ალკოჰოლიზმი, სიფილისი? და კაცმა მოსვენება დაკარგა. იგი ეხვეწებოდა ცოლს ეთქვა, რომ ყველაფერი ტყუილია, მოგონილია, მსგავსი არაფერი მომხდარა, რომ ამ ნაამბობით ქმრის გამოცდა ეწადა. ელენე მიხვდა, რომ სერგეის არ ეყოფოდა მხნეობა, სამშვინველის სიმტკიცე, სულდიდობა, მიეტყუებინა ცოლისათვის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა.

დილით ელენე ტრავინა სახლიდან გაიპარა. სერგეის დაუტოვა წერილი, რომლითაც ატყობინებდა ქმარს: ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. თუშცა, შენ ერთადერთი მამაკაცი ხარ, რომელიც მიყვარდა, ნუ დამიწყებ ძებნას, ნუ შეეცდები შერიგებას. შენ იცი, რომ მე გადაწყვეტილებას არ შეეცვლი. ხოლო წუხელ რაც ვიამბე, ის სიცრუეა, მე გამოვიფონე.

ლევ ტოლსტოის უთქვამს: „ადამიანი იტანს მიწისძვრებს, ეპიდემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და ყოველგვარ სულიერ წამებათ, მაგრამ ყოველ ზანაში მისთვის ყველაზე უმწკავესი ტრაგედია იყო, არის და იქნება – საწოლი ოთახის ტრაგედია“. ვისაც ძალუძს ამ ტრაგედიას შეგნებულად შეხედოს, ემოციას არ აკყვეს და რუასით განსაჯოს, მას აქვს პატიების ღვთაებრივი უნარი. ეს უნარი გამოავლინა ბათუმ ნაზიბროლას მიმართ, ელგუჯამ – შხალოსადმი. სერგეის კი იგი არ აღმოაჩნდა.

ნაზიბროლა მსხვერპლი იყო და ამდენად, თითქოს, ბათუს შედარებით იოლად შეეძლო მისი გაგებაც და პატიებაც, მაგრამ ეს რომ ადვილი არ არის, მკაფიოდ ჩანს ელენე ტრავინასა და სერგეის მაგალითით. ელენეც მსხვერპლი იყო, მაგრამ მის ქმარს ამის მიხვედრის ნიჭი არ გააჩნდა. ამიტომ, ბათუს ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია. ეს სიღრმე მოჩვენებითი და ცრუ კი არ არის, არამედ ნამდვილი, რადგან ბათუმ საფარ-ბეგის დანაშაულიც ასევე ბოლომდე შეიცნო. ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა და არც საფარ-ბეგი დასაჯა, რაკი დაინახა, რომ დამნაშავე ალაღად ნანობს დანაშაულს და ესმის მისი საქციელის არსი. საყურადღებოა ის, რომ ბათუ დანაშაულს არ ურიგდება. მას შეუძლია დააფასოს დამნაშავის მონანიება, შეუძლია შეუნდოს, რაკი თავად მიხვდა, რაც გააკეთა. დანაშაულთან შეურიგებლობამ გამოიწვია ის, რომ ბათუმ საფარ-ბეგი გამზარდულთან გაგზავნა.

დანაშაული შეგნებულია. შენდობის აქტიც აღსრულებულია, მაგრამ საფარ-ბეგის ბედი მაინც არ არის გადაწყვეტილი. იგი მოვალეა, ეახლოს გამზარდულს და შეულამაზებლად უამბოს ყველაფერი. ასეც მოიქცა საფარ-ბეგი.

როცა პაჯი-უსუბმა ნაამბობი მოისმინა, მან ნათლად დაინახა, რომ





დაირღვა მოყვასის მოყვასისადმი სიყვარულის კარმონია. ფიქროსი რომ აღდგეს, აუცილებელია სასჯელი, რაც დაუვიწყარ გაქვითა და დარჩება არა მარტო საფარ-ბეგს, არამედ ყოველ ადამიანს. ამიტომ სასჯელი სამაგიეროს მიზლვა კი არ უნდა იყოს, არამედ ზნეობრიობის დემონსტრაცია. ცხადია, ჰაჯი-უსუბს შეეძლო დაესაჯა საფარი, მოეკლა იგი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სამაგიეროს გადახდა, ერთი დანაშაულის შეცვლა მეორეთი, ბოროტების მოკვეთა ბოროტებით. სასჯელი მაშინ გახდებოდა ზნეობრივი აქტი, როცა იგი გამოიხატებოდა არა ახალი დანაშაულით, არა ძალდატანებით, არა ბოროტებით, არამედ იმის შიშით, რომელიც ჩვენებით, როგორც უნდა იყოს პატიოსანი ადამიანის დამოკიდებულება დანაშაულისადმი. ჭეშმარიტად პატიოსანია მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც შიშნია, რომ თავდაც აგებს პასუხს სხვისგან ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო.

ჩვეულებრივ, როცა ერთი ადამიანი სჩადის სიკეთეს, მას სხვებიც ეტმასნებიან და ყოველგვარად ცდილობენ ამა თუ იმ დოზით იყვნენ მისი თანაზიარნი. კეთილის თანაზიარობაზე არავენ ამბობს უარს, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი კეთილის ქმედებას წარმოადგენს კოლექტიურად, ერთიან საზოგადოებრივ აქტად. ბოროტის, დანაშაულის მიმართ ეს გრძობა არ არსებობს. ბოროტი და დანაშაული ყოველთვის გვინდა წარმოვიდგინოთ, როგორც ინდივიდუალური ქმედება, გავემიჯნოთ მას. ჩავთვალოთ, რომ დანაშაულს სჩადის ერთი, ინდივიდი, სხვა ყველა კი უმწიკვლო ვართ. მთლად ასე არ არის. როგორც კეთილს ვერ მოიძოქმედებს ადამიანი მარტოდმარტო და მას მოყვასის თანადგომა სჭირდება, ასევე ბოროტიც. ვერც მას ჩაიდენს ინდივიდი მარტოდმარტო. მასაც სხვათა მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომ, ბოროტების ქმედების თანაზიარი ყოველთვის არის საზოგადოება. მართალია, იურიდიულად სამართლის წინაშე ბოროტმოქმედი მარტოდგას, მაგრამ ზნეობრივი ვასამართლების დროს ინდივიდის გვერდით საზოგადოებაც იგულისხმება. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პიროვნების პასუხისმგებლობას ამცირებს და შეღავათს აძლევს. მართალია კონსტანტინე გამსახურდია, როცა ამბობს – „არის რაღაც საშინელი მოირა\* იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთმა მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი, ათასების ვარაში ერთმა უნდა იგრძნოს, ასეთი იყო მოსე, ასეთი იყო ბუდა, ასეთი იყო ქრისტე“ (ვაზ. „ლომისი“, 1922 წ. №3). რა თქმა უნდა, ყოველ პიროვნებას არ ძალუძს მოსეს, ბუდას ან ქრისტეს ძალა შეიძინოს, მაგრამ მათი ცეცხლის პაწია ნაპერწკალი მაინც უნდა უღვივოდეს სულში. სხვაგვარად პიროვნება ვერ იქნება,

\* მოირა – ბედისწერა.



ვერ ზიდავს ზნეობრივი პასუხისმგებლობის ტვირთს. ამის შეგნება კი ყოველ ინდივიდს უნდა ჰქონდეს.

საფარ-ბეგის მონანიების დროს ჰაჯი-უსუბმა თავის თავი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია და, ერთი შეხედვით, უცნაური და მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა:

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!  
 სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,  
 რომ კაცად ვერ გამოხრდიხარ!

და ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა. როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ ჰაჯი-უსუბს გამოჰქონდა არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი განაჩენი, გასაგები გახდება მისი საქციელის სიმართლე და სისწორე. როგორც ვნახეთ, საფარ-ბეგის დანაშაულის საფუძველი ჰაჯი-უსუბმა თავის თავში მოძებნა. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რომ ჰაჯი-უსუბი საფარის გამზრდელი იყო, არამედ უფრო მეტად იმის შეგნებამ, რომ ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ერთის კეთილი მეორის კეთილიც არის და ერთის ბოროტი მეორის ბოროტიც არის.

ამრიგად, ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავისთავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი.

არც ხევისებრ გოჩას, არც ტარას ბულბას, არც მატეო ფალკონეს ეს უნარი არ გააჩნია.

ხევისებრმა დააყვედრა კიდეც შვილს – „მაშ ვერე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულეებული, დედ-მამის საფლავიდან ამომგდებო!“ ვერც თემის თხოვნამ – „შენს შვილს ხევი არ გაუყიდა. მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუვდია...“ – შეანელა გოჩას მძვინვარება. მამამ შვილი სატვერით განგმირა.

სრულიად გულგრილად, ისე, რომ ხელიც არ აკანკალებია, მოკლა შვილი ტარას ბულბამ. იგი დაჰყურებს მკვდარ ანდრის და ამბობს: „რით არ იქნებოდა კაზაკი?.. ტანი მალალი, შავი წარბები, სახე ნაზი, კეთილშობილი, მკლავი მაგარი ბრძოლაში – და დაიღუპა! ძალივით უსახელოდ დაიღუპა!...“ ასე შვილზე კი არა, მტერზეც ვერ ილაპარაკებ. როცა ოსტაპმა ანდრის დამარხვა სთხოვა მამას, ტარასმა უპასუხა: „უჩვენოდაც დამარხავენ. ჭირისუფლები და ნუგეშისმცემელნი გამოუჩნდებიან!“ მართალია, მერე ორიოდვე წუთით კი დაფიქრდა – დაემარხა თუ არა შვილი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ვეღარ მოასწრო, რადგან მტერი უტევდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო.



როცა ანდრის ვადანაშაულებთ, ერთი რამ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ: იგი შეაძრწუნა და შესძრა კაზაკების მიერ ალყაშემორტყმულ დუბნოში ნახულმა სურათმა.

„ანდრის სუსტი კვნესა შემოესმა თითქოს. მიმოავლო თვალი და შეაძინა, რომ მოედნის მეორე მხარეს ორი თუ სამი ადამიანი იწვა მიწაზე, თითქმის სრულებით უძრავად. უფრო მაშტერა თვალი ანდრიმ და ყურადღებით დაუწყო ცქერა, რათა გაერჩია, ეძინათ თუ მკვდრები იყვნენ, რომ ამ დროს რაღაც რბილს ფეხი წამოჰკრა. ეს იყო, ალბათ, ურიის ქალის გვამი. ეტყობოდა, ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, თუმცა დაუძღვრებულ და განაწამებ სახეზე ეს აღარ ეჩნებოდა. თავზე წითელი აბრეშუმის თავმალა ჰქონდა მოხვეული, ყურსაფარზე ორ რიგად უბრალო მძივი თუ მარგალიტი ჰქონდა შემოვლებული. ორი-სამი გრძელი ჩაწნული კულული გამხმარ, მარღვებდაჭიმულ ყელზე გადმოშლოდა. გვერდით ეწვა ბავშვი, რომელსაც გამშრალ და გამხმარ ძუძუსათვის წაველო ხელი და უნებური ბრაზით მთლად მოეგრიხა თითებით, რახან რძე ვერ ეპოვნა. ბავშვი ახლა აღარ ტიროდა, აღარც ყვიროდა, მხოლოდ ოდნავ მჭეთქავ მუცელზელა შეატყობდა ადამიანი, რომ ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო. სულსა ღვედა. ქუჩებში რომ შეუხვიეს, აქ უცებ ვიღაც შემოილი დახვდათ, რომელმაც დაინახა თუ არა ძვირფასი ტვირთი, სტაცა გაშმაგებულმა ხელი და შეკვირა „პური“. მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა. ჰკრა ხელი ანდრიმ და შემოილი მიწაზე გაიშხლართა. შეებრალა ანდრის გიჟი და ერთი პური გადაუგდო, რომელსაც იგი მაშინვე ცოფიანი ძაღლივით ეცა. დაღრღნა, დაკბინა პური გიჟმა და დაკრუნხულმა საშინელი ტანჯვით იქვე ქუჩაში დაღლია სული, რადგანაც საჭმელს უკვე გადაჩვეული იყო. თითქმის ყოველ ნაბიჯზე შიმშილის უბედურ მსხვერპლთ ხედებოდნენ. თითქოს ტანჯვა სახლში ვეღარ აუტანიათო, ბევრი ქუჩაში გამოსულიყო: იქნება მასაზრდოებელი რამ ჰაერმა მაინც მოგვივლინოსო. ერთი სახლის კართან ბებერი დედაკაცი მიმჯდარიყო, მაგრამ ვერავინ შეატყობდა — ეძინა, მომკვდარიყო თუ თავდავიწყებას მისცემოდა; სძენით სრულიად აღარა ესმოდა რა და ვეღარას ხედავდა. ჩაეკიდა თავი და იჯდა უძრავად. მეორე სახლის ჩარდახიდან თოკი იყო ჩამოშვებული და ზედ ჩამოშხრწვალი კაცის ჩამომტკნარი გვამი ეკიდა: საბრალოს შიმშილით ტანჯვა ვეღარ აეტანა და თვითმკვლელობა ეშვოინებინა. შიმშილობის ასეთი საზარლობა რომ ნახა, ვეღარ მოითმინა ანდრიმ და დაეკითხა თათრის ქალს:

— ნუთუ ვეღარაფრით მოახერხეთ თავის გატანა? კაცს რომ მეტისმეტად გაუჭირდება, ყველაფერი უნდა ჭამოს, რასაც წინათ იზიზღებდა, — შეუძლია სჯულით აკრძალული ცხოველებიც კი ჭამოს; ერთი სიტყვით, ყველაფერი გამოიყენოს საზრდოდ.



— ვველაფერი შევჭამეთ, — უპასუხა თათრის ქალმა, — ვერაფერ ცხოველს, ვერც ცხენს, ვერც ძაღლს, ვერც თავგეს აქ ველარ იპოვეთ. ასეთსავე საზარელ მდგომარეობაშია ანდრის სატრფოს ოჯახიც. ერთი მხრივ, ამ მძიმე მდგომარეობამ და მეორე მხრივ, პოლონელი ქალის სიყვარულმა ანდრი დააბნია. თავვ ზადაკარგულმა ჭაბუკმა საბედისწერო ნაბიჯი გადადგა: თავისიანების წინააღმდეგ აღმართა მახვილი.

ტარას ბულბას კი არაფრის მხედველობაში მიღება არ სურს — არც იმის, რომ კაზაკები თავად იყვნენ თავდაშხმელნი, არც იმის, რომ ქალაქი საშიშროლოდ გაწირეს და იქ ჯოჯობნეთური პირობები შექმნეს, არც იმისა, რომ ანდრიმ დამშეული ადამიანები იხსნა.

ანდრი თავისი საქციელით უფრო კეთილშობილია, ვიდრე ტარასი. ტარასისათვის სრულიად უცნობია ადამიანის სამშენველის რთული მოძრაობა. იგი კაზაკობის ბრმა ერთგულია და სხვისგანაც ამას მოითხოვს. ტარასის სჯერა, რომ ვინც ამ ერთგულებას უღალატებს, იგი სიკვდილის ღირსია. შვილსაც ამიტომ კლავს.

არც მატეო ფალკონე უწყევს ანგარიშს გარემოებას. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ფორტუნატო ბავშვია, რომ ბალლი იოლად გააბრიყვა გამოცდილმა და გაქნილმა ჟანდარმმა. არც შვილის ვედრებამ იმოქმედა მატეო ფალკონეზე. მან სრულიად მშვიდად მოკლა ფორტუნატო და ასევე აუღელვებლად უთხრა ცოლს — „...ახლავე დაგასაფლავებ, მოკვდა, როგორც ქრისტიანი, მღვდელს ვაწირვინებ. ჩვენს სიძეს ტეოდორო ბინკის უნდა შევუთვალოთ, ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლად“ (გ. ქიქოძის თარგმანი).

შვილის მოკვლა მამის მიერ, რა პირობებშიც უნდა მოხდეს ეს, ანტიბუნებრივი მოვლენაა. ამგვარი პათოლოგიური შემთხვევა აღწერეს გოგოლმა, პროსპერ მერიმემ, ალ. ყაზბეგმა. თუმცა ყაზბეგი უფრო დამაჯერებლად ხატავს მამის მიერ შვილის მკვლელობის სურათს. ჯერ ერთი, ხვეისბერი აფექტის\* დროს კლავს ონისეს. ე.ი. გოჩას საქციელი არაცნობიერია. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს ქმედება კი ცნობიერია. ისინი ამას წინასწარმოიფიქრებულად აკეთებენ. მეორეც, როგორც კი ხვეისბერმა გააცნობიერა, რაც ჩაიდინა, იგი გააფიქდა. ბუნებრივია, ჩადენილი აქტის სიველურე თავზარდამცემია და ვერც ერთი ნორმალური გონება ვერ გაუძლებს მას.

თუ ზნეობრიობის თვალსაზრისით შევხედავთ ალ. ყაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწერილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა). მაგრამ ხვეისბერმა გოჩამ

\* აფექტი — ძლიერი სულიერი მღელვარება.

ზღო ეს დანაშაული, გამოწვეული ელდის დაცემით, მან გონება დაკარგა, თავადვე შეიქნა თავისივე საქციელის მსხვერპლი. ტარას ბუღბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილებისადმი თანაგრძობის მისხალიც კი არ აღმოჩნდა.

ძველი აღთქმის დაბადების წიგნში (თავი 22) ნაამბობია: აბრაამს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა – წაიყვანე შეილი შენი ისაკი მაღალ ქვეყანას და შესწირე მსხვერპლად უფალს. ადგა ადრე დილით აბრაამი, დააპო შეშა, შეკაზმა სახედარი, იახლა ორი მონა და, ისაკთან ერთად, გაემართა ღმერთის მითითებულ ადგილისაკენ. შესამე ღღეს დაინახა აბრაამმა ადგილი, რომელიც უწვევს. იქვე დატოვა მონები და ვირი. დაუბარა მათ: წავალთ მე და ისაკი, თაყვანს ვცემთ და დაგბრუნდებით. წაიღეს შეშა, ცეცხლი და დანა. ბიჭმა იკითხა – გვაქვს შეშა და ცეცხლი, მაგრამ სად არის სამსხვერპლო ცხვარი? მამამ უპასუხა: ღმერთმა თავად უწყის, რომელია ტარივი. მივიდნენ მინიშნებულ ადგილას. აბრაამმა გააკეთა საკურთხეველი, დააწყო ზედ შეშა, შეკრა ისაკი და დააწვინა სამსხვერპლოდ. აღმართა დანა შეილის დასაკლავად, მაგრამ უფლის ანგელოსმა მოუწოდა აბრაამს – ნუ მოკლავ ჭაბუკს, ვხედავ, როგორ გშინებია ღმერთის, რაკი არ შეიბრალე ერთადერთი ძეც. აღაპყრო თვალნი აბრაამმა და უკან დაინახა ვერძი, ჯავნარში რქებით გაბმული. დაიჭირა იგი, შესწირა ღმერთს შეილის მაგიერ და უწოდა იმ ადგილს იჰოვა-ირე, რაც ნიშნავს „უფალმა იხილა.“

ანდა ბერძნულ მითს დავაკვირდეთ.

ამბავი მაშინ მოხდა, როცა ბერძნები ტროაში მიდიოდნენ საომრად. ელინთა სარდალმა აგამემნონმა შევლს ისარი ესროლა. შევლი თურმე ქალღმერთ არტემიდეს ეკუთვნოდა. ატრევსის ძის თავხედობამ განარისხა ქალღმერთი. მან პირქარი მოუვლინა ბერძენთა ხომალდებს და ტროასკენ წასვლის საშუალება მოუსპო. აგამემნონი იძულებული გახდა შევედრებოდა არტემიდეს და საშინელი ფიცი მიეცა. თუ ზურგქარს მოგვივლენ და ომშიაც დაგვეხმარები, ღვიძლ ქალიშვილს იფიგენიას შემოგწირავო ზვარაკად. მამამ ავლიდში ჩამოიტყუა შეილი დაპირებით – აქილევსს უნდა გაგაყოლოო ცოლად. გათხოვების მაგიერ, აგამემნონმა არტემიდეს ბავინზე\* გაგ ზავნა შეილი მსხვერპლად, მაგრამ ქალღმერთს შეებრალა უმანკო ასული და საკურთხეველზე შევლით შეცვალა იგი. მერე იფიგენია ტაყრიდში წაიყვანა ქალღმერთმა და ქურუმი გახდა.

სხვათა შორის, პომპეიში არსებობდა ანტიკური ფრესკო (ამჟამად ნეაპოლის ეროვნულ მუზეუმშია გადატანილი), რომელზეც ასახულია

\* ბავინი – ადგილი, სადაც წარმართები ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ.



იფიგენიას ზვარაკად მიყვანა. იფიგენია ორ მონას უჭირავს ხელში და ბაგინისაკენ მიჰყავთ. მოშორებით, შვილისაკენ ზურგმექცეული დვას აგამემნონი. მას ხელი აქვს თვალზე აფარებული და სახე არ უჩანს. სპეციალისტები ამბობენ, რომ აგამემნონის ამგვარი გამოსახვა მხატვრის დიდ ნიჭიერებას მეტყველებს. არავის ძალუძს გვიჩვენოს დამაჯერებლად მამის ტანჯვა, როცა იგი შვილის სიკვდილს უყურებს (მით უმეტეს, მკვლელობას). ამიტომ, როგორც უნდა დაეხატა მხატვარს აგამემნონის სახე, მაინც უკმარობის გრძნობას დაუტოვებდაო მაყურებელს. ახლა კი, როცა მის სახესა და თვალებს მნახველი ვერ ხედავს, თავად შეძლებისამებრ შეუძლია წარმოიდგინოს მამის ტანჯვა.

აღბათ, ამიტომ არის, რომ ყაზბევმაც, ვოგოლმაც, მერიმემაც მამების საქციელი აღწერეს, მაგრამ არ გადმოუციათ მათი სულის მოძრაობა შვილების მკვლელობის დროს. არც ერთი მათგანი არ შეეჭვიდა შეუძლებელს.

დღესავით ნათელია ორივე მითის აზრი: მამის მიერ შვილის მოკვლა ღმერთისათვის არასასურველი საქციელია. არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ ისაკი და იფიგენია უდანაშაულონი იყვნენ. მართალია, ეს თითქოს აძლიერებს მამების უღმობელოებას, მაგრამ ახლა ხომ იმის გამო არ ვმსჯელობთ – რომელი მამა უფრო შეუბრალებელია, ის, ვინც უდანაშაულო შვილს იმეტებს მსხვერპლად, თუ ის, ვინც დანაშავე შვილს ჰკლავს. უმთავრესად ის მიმაჩნია, რომ შვილის მოკვლით მამა არსებითად თვითმკვლელობას სჩადის, რამეთუ ანადგურებს საკუთარ მომავალს. ეს ნათლად იხატება ალ. ყაზბევის მოთხრობაში, როცა ონისეს მოკვლის შემდეგ გონა გიჟდება. მართალია, „ტარას ბულბას“ და „მატეო ფალკონეში“ მომავლის განადგურების მოტივი უშუალოდ არ ვლინდება, მაგრამ თავისთავად იგულისხმება. ტარას ბულბა მტრებს რომ არ დაეწვათ, სულერთია მაინც ძირამოვდებული, უმომავლო კაცია. იგი ქვეცნობიერად გრძნობს იმას, როცა ყველა ღონეს ხმარობს იხსნას მეორე შვილი. ასევეა დაქცეული მატეო ფალკონეს მომავალი. იგი იძულებულია სხვას მოუხმოს, ოჯახი რომ ჩააბაროს.

ამრიგად, მამამ, რომელმაც შვილი მოკლა, არსებითად ჩაიდინა თვითმკვლელობა (ე.ი. გაიმეორა ჰაჯი-უსუბის საქციელი), მოისპო მომავალი, დაარღვია ბუნების კანონი (მამა უნდა მოკვდეს, შვილი დარჩეს) და გაწყვიტა დროთა კავშირი.

ლიტერატურაში ამ პრობლემას ეწოდება ანტიდაბადება ან არსებობის მარადისობის რღვევა.

აკაკი წერეთლის გამზრდელი სჯის დანაშაულს, მაგრამ არ არღვევს არსებობის მარადისობის კანონს. წარსულის სახელით არ ჰკლავს მომავალს.

თუ შვილების მიმართ ასე დაუნდობელი არიან ტარას ბუღა და მატეო ფალკონე, როგორიღა იქნება მათი დამოკიდებულება ჩვენთან მოყვასისადმი?

მათ ქმედებას შეუბრალებლობა და დაუნდობლობა წარმართავს და არა სიყვარული. ორივე სრული უარყოფაა ზნეობრივი პრინციპისა — „უკეთუ არა მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმა მოგიტევენს თქუენ შეცოდებანი თქუენნი.“ უცოდველი კაცი კი ამქვეყნად არ არსებობს. გაიხსენეთ სახარების ივაი. ხალხს ერთი დედაკაცი შეეპყრო. ამ ქალს მრუშობა ედებოდა ბრალად. იგი იესოს მიჰკვარეს და უთხრეს: მოძღვარო, ეს ქალი მეძავია. მოსეს სჯულის თანახმად იგი ქვით უნდა ჩაიქოლოს. რას იტყვი? იესომ თავი ჩაქინდრა. იგი თითოთ მიწაზე რაღაცას წერდა და დუძდა. მერე თავი ასწია და ხალხს უთხრა: თქვენს შორის ვინც უცოდველია, პირველად მან ესროლოს ამ დედაკაცს ქვა. და ისევ ჩაღუნა თავი. არავინ აღმოჩნდა უცოდველი. ყველა ჩუმად გაიპარა. დარჩნენ მარტონი ქრისტე და ქალი იგი. როცა იესომ ისევ ასწია თავი, მიმოიხედა და ვერავინ იხილა, ჰკითხა მან მეძავს: სადა არიან შემსმენელნი შენი? არავინ განგიკითხა შენ? დედაკაცმა მიუგო: არავინ, უფალო. მაშინ იესომ ეს თქვა: არც მე განგიკითხავ შენ. წარვედ და ამიერიდან ნულარა სცოდავ (იოანე, VIII, 3-11).

თუ უფალიც კი ცდილობს არ განიკითხოს ცოდვილი, კაცს ვინ მისცა ამის უფლება? მაგრამ უსაზღვროა ადამიანის ამპარტავნება და მუდამ ცდილობს სხვათა მსაჯულის როლი იკისროს. ეს კი ზშირად ხდება დანაშაულის საფუძველი.

როგორც ონისეს მოკვლა არის ხვეისბერის დასჯაც, ასევე იქნებოდა ჰაჯი-უსუბის დასჯაც საფარ-ბეგის მოკვლა. ამიტომაც ამჯობინა გამზრდელმა თვითმკვლელობა. აკაკი წერეთელი აქ ქრისტიანული მითის მოდელს იმეორებს. ადამიანთა ცოდვის გამოსყიდვის მიზნით ქე ღმერთმა თავი გაწირა — ჯვარს ეცვა. საკუთარი სისხლითა და ზორცით ზღო სხვათა დანაშაული. ასევე საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდა ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგის დანაშაული. შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა აორკეცებს საფარ-ბეგის დანაშაულს. ეს თვითმკვლელობა საფარ-ბეგის სამშენველის განწმენდას იწვევს. კაცი, რომელსაც დანაშაულის გაცნობიერება შეუძლია, ვერ დარჩება გულგრილი ჰაჯი-უსუბის საქციელისადმი. საფარ-ბეგს კი დანაშაულის გაცნობიერება ძალუძს. ამას მოწმობს ისიც, რომ იგი სასიკვდილოდ გამზადებული, თავდაზრილი იდგა ბათუს წინაშე და ისიც, რომ გამოცხადდა გამზრდელთან და თავად უამბო ყველაფერი. ასეთი ადამიანი ჰაჯი-უსუბის სიკვდილის მერე სხვანაირად

და სხვა ზნეობით იცხოვრებს. ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ – სიკვდილშიც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე, ალბათ, ცხოვრებით. წარსულმა (ჰაჯი-უსუბმა) მომავალს (საფარ-ბეგს) პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა.

ამ მოდელს დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ვლინდება, რა პრინციპით ცხოვრობს ადამიანი – დანაშაულის გამოსყიდვისა თუ შურისგების? ცალკეული პიროვნება იქნება თუ მთელი საზოგადოება, არ შეიძლება ცხოვრობდეს შურისგების პრინციპით. ასეთი პიროვნება და საზოგადოება უშედეგოა. დანაშაულის შენდობა-პატიებისა და გამოსყიდვის პრინციპი კი მეტყველებს მოყვასის სიყვარულზე. სიყვარულით შედუღებული საზოგადოება კი მტკიცეა და მომავლიანი.

„გამზრდელის“ პერსონაჟებისათვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატიებითაც (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი). შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება. როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი. ამიტომ, ჰაჯი-უსუბის ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხვეისბერის, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონესი.



კრიტიკის მიმართ აქვს იქნა, თუ კრიტიკოსმა მხატვრობა ნაწარმოებში წაიკითხა ის, რაც სხვამ კურ წაიკითხა. ეკ სულერთია, უარყოფითი თვალსაზრისით იქნება წაკითხული თუ დადებითით. იმიტომ, რომ კრიტიკამ სხვა კანონის ნაწარმოებებს, რომელსაც იგი განიხილავს, რაღაც უნდა შეძამოს.

საქათნო ხეობა



მას პერე, რაც ვაჟას შემოქმედების კვლევა დაიწყო, რავინდარა -იზმი არ მოუწერიათ მისთვის – ჰილოძიოზში, პანთეიზმი, პაგანიზმი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ათეიზმიც<sup>1</sup> კი.

ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, არც იყო ეს მოულოდნელი. იმ უცნაურ სამყაროში, ვაჟა-ფშაველამ რომ შექმნა, თავისუფლად იპოვიot საკვებს ყოველგვარი -იზმისათვის. პოეტის უკიდუგანო ფანტაზია და ნიჭი თანაბარი ძალით ჭკურეტდა და გრძნობდა სულიერსა და უსულოს, ხორციელსა და უხორციოს, რეალურსა და ირეალურს, მიწიერსა და ზეციერს. ტყუილად ხომ არ ამბობდა კვეხნანარევი სიამაყით:

უსულო საგნებს სული ჩაებერე,  
ავასაუბრე ლოდები კლდისა  
და როგორც მეფე, გავათამამე  
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.  
მადლი მფენია მარჯვენაზედა  
იმ შემომქმედის, მაღალის ღვთისა!  
(„ნუგეში მგოსნისა“)

უკვე გამოჩნდა ვაჟას შეხედულების ორი მხარე: პირველი ის, რომ მიწიერი შემოქმედი, ანუ პოეტი, ზეციერი შემოქმედის, ანუ ღმერთის წილნაყარია და მეორე – პოეტს ისევე ძალუძს უსულო საგნებს სული შთაბეროს, როგორც უზენაესს. პოეტის ღმერთთან ურთიერთობაზე ვაჟა ხშირად ლაპარაკობს.

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,  
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,  
გულზე მესვენა მზე-მთვარე,  
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.  
(„მთას ვიყავ“)

ხოლო მოაუქტრეებს, რომელთაც უჭირდათ მისი შემოქმედების არსის გაგება და მუნათს რასმეს სდებდნენ პოეტს, ვაჟა სრულიად დარწმუნებული პასუხობდა: „მაგრამ გაიგებთ, ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“ („მე რომ ტირილი მეწადოს“). რაკი ორივე

<sup>1</sup> ვაჟა „სრულიად უარყოფს ღმერთს“ (ალ. ქუთელია – „ვაჟა-ფშაველა“, 1947 წ., გვ. 12).

შემოქმედს, მიწიერსა და ზეციერს შორის მჭიდრო, უწყვეტი კავშირია, სრულებით არ არის მოულოდნელი, რომ მის მიერ შექმნილ პერსონაჟებს ვაჟა ისეთსავე რეალურ არსებებად მიიჩნევდა, როგორც ირგველი მყოფ ცოცხალ ადამიანებს. ამიტომ გამოგონილ პროტაგონისტებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ავალეზდა. სასოწარკვეთის წუთებში, როცა ეჩვენებოდა, რომ ყურს არავენ უკვდებდა და ამაოდ ააჟღერა ჩანგი, გაბრაზებული მიმართავდა საკუთარსავე პერსონაჟებს:

თავში ვცემ გუმინდელს სატრფოს:  
მთასა, წყაროს და იასა,  
აღუდას, ზვიადურსა,  
ლეღას, შუბითა აღჭურვილს,  
კვირიას – კონკებიანსა.  
ვცემ და დაუყვარი: „მე ჩემი  
ყოველივე ვსთქვი სათქმელი:  
ხმა ამოიღეთ, თქვენცა სთქვით,  
მე დაუიფბედე რამდენი.  
თქვენ გაანათეთ სამყარო,  
მე რომ გამიქრა სანთელი!

(„სიმღერა“. ვაჟას ბევრი ლექსი აქვს სახელწოდებით „სიმღერა“. ეს იწყება სიტყვებით: „მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ“).

ვაჟა თავისუფალია გარემომცველ სამყაროსადმი დამოკიდებულებაში. იგი ყველაფერს, როგორც მის საკუთრებას უყურებს. როგორც ღმერთს ეკუთვნის ყველაფერი, რაც არსებობს (მისი შექმნილია და იმიტომ), ასევე ეკუთვნის პოეტსაც (მასაც შემოქმედის უფლებით):

მთლად მე შეკუთვნის ქვეყანა:  
მთაში – მთა, ბარად – ბარია;  
ზღვა და ხმელეთი ერთიან,  
ცას – ვარსკვლავების ჯარია,  
დილით შზე მანათობელი,  
ღამის გუშავი მთვარია.

(„სიმღერა“. იწყება სტრიქონით  
– „არცრა ტანთ მცვია...“)

თუკი ყველაფერი, მთელი ქვეყანა, პოეტის კუთვნილებაა, თუკი ნამდვილსა და გამოგონილს შორის არავითარი განსხვავება არ არის, მაშინ ისეთ პერსონაჟს, როგორც მინდიაა, ისევე თავისუფლად შეეძლო



ეცხოვრა რეალურ სინამდვილეში, როგორც პოეტის ცნობიერებაში არსებობდა. ვაჟას ეს არც ეეჭვება, ოღონდ ადამიანი ფერისცვალების გზით უნდა მივიდეს მინდიას ღონემდე (თუმცა მერე არც დაცემაა გამორიცხული). რომ წარმოვიდგინოთ, როგორ ხდება ეს, თვალი უნდა გავადევნოთ და დავაკვირდეთ ადამიანის კონცეფციას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

ეს კონცეფცია ძნელი მისაგნები არ არის, რამეთუ ვაჟა ამაზე ხშირად და აშკარად ლაპარაკობს. დავიწყით ლექსით „ადამიანი“.

ზღვის პირად მდგარი ქალი სასოწარკვეთილი ჰკივის, აკენიანად წაულია ზღვას მისი ჩვილი. ცასა და მიწას მოუხმობს დედა მშველელად. ვილაც თავგანწირული ტალღებში გადაეშვება. სტიქიონს ბავშვს გამოსტაცებს და დედას მოუყვანს. მაღლიური დედა ხელ-ფეხს უკონის უცნობს და აღარ იცის, რით გადაუხადოს ამაგი, როგორ დააფასოს მისი ვაჟკაცობა და თავგამეტება. პასუხად ჩვილის გადაშრჩენული დედას ეუბნება:

ასწავლე მოყვასის შველა,  
როს სჭირდეს რამე სენია;  
რჩევა მოყვასთა საშველად  
ხშირ-ხშირად მიუძღვნია;  
კეთილის ჩასაგონებლად  
შენამც ნუ მოგიწყენია;  
მხოლოდ ამით მცემთ პატივსა,  
ჩემთვის ეს დიდი ძღვენია!

ვაჟა აქ ზუსტად იმეორებს იმას, რასაც ქრისტიანული ზნეობა ქადაგებს: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი (მათე, XIX, 19). მაგრამ ამ იდეალის განხორციელებას ხელს უშლის ორი საწყისის – კაცისა და არაკაცის – არსებობა ადამიანში. ორივე საწყისს ვაჟა მკაფიოდ ახასიათებს ლექსში „კაი ყმა“, როცა სვამს კითხვას – „კარგ ყმად ვინა ვსთქვათ ვოყებო, ნათქვამი არა გვრცხვენოდეს...“

კაცი უნდა იყოს:

მეომარი, „პირველად ომის დაშწყები, ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს“;

ბრძენი მრჩეველი, „სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდეს“;

სიმართლის მცველი, „იქ იდგეს ხმალამოწვილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს, გაბქნავებულ სიმართლეს, უსამართლობა სძალავდეს“;

ნუგეშისმცემელი, „სიცხეში სიოდ დაჰბეროს, დაეთბოს, როცა ჰყინავდეს“;



უშიშარი და შუედრეკელი, „თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრინავდეს“;

უნაგარო, უხარბო, სახელის პატივისმცემელი და დამფასებელი, „სჯობ, მოკვდეს შშიერ-ტიტველი, კვდებოდეს, არა გმინავდეს; თავის სამარხად, სუდრადა, მარტო სახელსა სწირავდეს“.

სწორედ ამ კაცებრივ საწყისს უპირისპირდება და ებრძვის არაკაცებრივი საწყისი, რომელიც, ვაჟასავე დახასიათებით, ამგვარია:

არა თქვენ, სადიაცნო,  
რო ძროხებით სძლებითა;  
ღამე მძღვრები დასწვებით,  
ღილით შშივრები სდგებითა;  
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ  
არც როს არ გამასდგებითა.  
თაუისად სცოცხლობთ, მცონარედ  
ლეში ალალოთ, ჰკვებდითა;  
გაივებთ კარვის გარჯასა,  
გწვინსთ და შურითა ხდებითა;  
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,  
უქმად საფლავეში სწვებითა.  
დაჰკარგავთ სააქოსა,  
ვერც საიქიოს სწვდებითა,  
არ იცით, დახწნდით რისადა,  
არ რისათვისა ჰკვდებითა!

აქაც ქრისტიანული კონცეფციის შესაბამისად (ქრისტე და ანტიქრისტე) დაპირისპირებულია ორი ხატი – კაცი და არაკაცი. კაცებრივია ის, რაც ქრისტესეულია, არაკაცებრივია ის, რაც ანტიქრისტესეულია.

კაცისა და არაკაცის დაპირისპირება ვაჟას შემოქმედებაში ნშირად მუორდება. „კაი ყმაში“ გამოთქმულ აზრს ზუსტად ეხმიანება ის, რასაც ამბობს ლექსში – „ის-კი არ არის ბიჭობა“, ბიჭი მაშინ ხარ, თუ სხვის დაუნმარებლად ვარგობ. როცა გმია და გწყურია, გული არ გაგიტყდება და მაინც ვალობ. არ ყოფიწობ და სხვაზე მეტად თავი არ მოგაქვს და, რაც მთავარია:

არც ის მგონია ბიჭობა,  
ვისაც ერევი, არწობდე.  
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,  
რომ სხვის დამრწვალსა სწამლობდე.



მითხარ ვის უთქვამ ბიჭობად,  
დამჩაგვრულებსა სწვალობდე?  
აბა, ბიჭობა ის არი  
დაჩაგვრულთათვის სწვალობდე.

ამის სრული ანტიპოდია ის ხატი, რომელიც აღწერილია სატირულ ლექსში – „ვინ არის კაცი?“ ვაჟა მწარე ირონიით ამბობს, რომ „კაცი“ ის არის, ვინც მთელი ცხოვრება ჭამაში გაატარა და არსებობის დანიშნულება ამაში ჰპოვა. ვინც ქუჩაში შეხვედრისას სალაშს არ მოგვეცემს, მაგრამ შინ თუ მიიპატივე სადილად, მაშინვე გამოგვიძვება. სიტყვით შენია, მაგრამ საქმით სხვისი. ვისი ოცნება ღვინო და სამიკიტნოა. ვისაც წიგნისათვის შაური ენანება, მაგრამ შეარღვისათვის მანეთს არ იშურებს. და ბოლოს, დასკვნა:

კაცი ის არი, სიცოცხლე  
ვინაც ატარა ტკილადა, –  
სიკვლის შემდეგ იწოდა  
დიდფურიანის შეილადა.

არაკაცის ხატი სრული არ იქნებოდა, თუ არ მივეუთითებდით მის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს: იგი სინდის-ნამუსისაგან გარეცხილია. თუ შეაწუხებს სინდისის ქენჯნა, შავ საქმეს ვერ გააკეთებს, ამიტომ ყოველი საშუალებით, რითაც შეუძლია, ნამუსს თავიდან იშორებს.

მე ვუპასუხე. „ააჩუმი,  
გრცხენოდეს საწყლის ღლეტო,  
ულუკმაპუროდ გასწირე  
ოთხის წვრილშვილის დედაო!“  
ადგა, წამიგდო წიხლს ქვემა,  
ჩამარტყა ზედი-ზედაო:  
„ჩემთან მაგვევარად საუბარს,  
შე წუწყო, როგორ კბედაო?!  
რამდენს სხვას ვუთხარ, ვინ მოსთვლის,  
როგორ გაჰყიდე დედაო!...  
სუყველამ წიხლით გამოთლა –  
მაგას როგორა კბედაო?!“

(„სინდისის სიმღერა“)

არაკაცის საპირისპიროდ (ისევ დაპირისპირება, ისევ ანტიდამოკიდებულება, ისევ ბრძოლა, ისევ ქმედება) მაშინვე ჩნდება კაცის იდეალი,

რომელიც ითხოვს ბილწისა და ავის ჩამოშორებას, ანუ ნამუსიანობას, სინდისიერებას.

რაც უნდა ჭირი მომკერძო,  
ბილწთ არ შევეკერი ზავითა,  
მცნებას ვერ შემაცვლევინებ  
მოზღვავებულის ავითა!..

(„დამსეტყვე ცაო“)

არაკაცის დახასიათებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უქმობასა და უმოქმედობას (პირდაპირი კავშირია ლუარსაბ თათქარიძესთან). უქმობისა და უმოქმედობის ანტიცნებაა მეომრობა. მეომარი ვაჟას ლექსიკაში არ ნიშნავს მხოლოდ იარაღით მებრძოლს. მოუხედავად იმისა, რომ ვაჟა მეომრის გარეგნულ ატრიბუტებსაც დიდად აფასებდა – „კაცისად იარაღისა აყრა სიკვდილთან სწორია“ („გოგოთურ და აფშინა“) – და თავადაც უყვარდა საჭურველის ტარება. მეომარს ვაჟასთან სხვა შინაარსიც აქვს. იგი გულისხმობს მოქმედსაც, შემოქმედსაც. „ვისაც რომ ქუეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია!“ („ხმა მესმის...“). მეომარია იგი, ვინც ახლის შესაქმნელად იბრძვის, ვინც დამყაყებულ სინამდვილეს ანგრევს. მეომრისათვის მთავარია ქმნა. ამიტომ, ადამიანის ვაჟასეულ კონცეფციაში შრომას, რაკი იგი ქმნაა, გამორჩეული ადგილი უჭირავს. შრომა საამაყია, იგი ღმრთის საამო საქმეა.

ღმრთმა დამბადა მუშადა,  
იმან მიკურთხა მარჯვენა,  
უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო  
და გამოვკებო ქვეყანა.

(„გლეხის სიმღერა“)

შრომა ამკვიდრებს ადამიანის სულში პარმონიას, სიმშვიდეს, იმედს. იგი უზენაესთან კავშირის გზაც არის, „რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაა მკვდარი საქმეთა გარეშე“ (იაკობის ეპისტოლე, II, 26). ადამიანის მუშა მარჯვენა და უფლის წყალობა ავეირგვინებს შრომას.

გლეხის მარჯვენის ნაღვაწო  
და გლეხის ოფლით მორწყულო,  
ჯეჯილო ნაჭარმაგევი,  
უფლის წყალობით მოსულო.

(„ჯეჯილი“)



შრომა უშუალოდ უკავშირდება სამშობლოს სიყვარულს. ვაჟასათვის სამშობლოს სიყვარული სიტყვით არ შეიძლება: „დაგვეშეგვიფეროს სმენანი: სისხლის დაღვრასთან სწორად გვანს ქალაღს ნათითხნი მელანი“ („1795 წლის სახსოვრად“). იგი შეიძლება ოდენ შრომით, მამულის საკეთილდღეოდ – „გაკეთებულის საქმითა მეც გამილაღდეს თვალია“ („გუთნისდედის სიმღერა“) და ბრძოლით ქვეყნის თავისუფლებისათვის – „არ გვეშველება, თუ ერთ დროს სისხლად არ იქეც, მელანო!“ („სახალწლო“).

სამშობლოს სიყვარულშიც უპირისპირდება კაცს არაკაცი, რასაც კაცი ჰქმნის, არაკაცი იმის დანგრევას ცდილობს. თუ კაცი სამშობლოს ჯარისკაცად ღვას – „ვერ მივცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანად“ („დაშეტყვე ცაო“), არაკაცი „გადაამტერებს ერთმანეთს ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, საკუთარს, ანბანს შეუდგენს სამეგრელოს და სვანეთსა“ („ვინ არის კაცი?“).

ვაჟას შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარული ნაწილია ღმერთის სიყვარულის. აგაპე იმისათვის არის სრული, „ვინაც თავისი სამშობლო თვით ღმერთზე მეტად იწამა“ („ილიას საღამო“).

გველსაც კი, „ბერის ცოდვების მოქმედსა გადაუბრუნდა გუნება“, როცა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ლუხუში ნახა სასიკვდილოდ დაჭრილი. უმკურნალა და ფეხზე წამოაყენა.

„ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი (დღეს წაიკითხე: ინტერნაციონალიზმი – ა.ბ.), ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოს, მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერთ თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

კაცი და არაკაცი სულიერი გარდაქმნა-ამაღლების, ანუ ფერისცვალების, ასპარეზზეც ებრძვიან ერთმანეთს. ვისაც ღმერთთან მიახლოება სურს, მან სულიერი სრულყოფით უნდა დაჰკმოს ხორცის მანკიერებანი.

ხორცი, დაჰნელდი, დამჰლევდი,  
 სულო, იხარე, ჰლაღობდე,  
 ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას  
 სიტყვის შნოსათვის ვამბობდე.

\* აგაპე – ღვთაებრივი სიყვარული.

ხორცი რას მიშველს მარტოკა,  
თუ სულით არა ვგალობდე.  
სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,  
დაე ლეშითა ვსწვავლობდე!  
(„ხორცი, დაჰბნელები“)

ფერისცვალებასაც ქმნა უნდა. მაგრამ ქმნა შეიძლება ღმერთის სახელითაც და სატანის სახელითაც. განსხვავება, რომელიც ამ ორ ქმნას შორის არის, ვლინდება გოგოთურისა და აფშინას ურთიერთობით. ხორციელად ისინი დიდად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან. ერთიც ვაჟკაცია და მეორეც. მაგრამ სულიერად შორიშორს დგანან. გოგოთური მოქმედებს ღმერთის სახელით, აფშინა – სატანისა. აფშინასათვის სულერთია, ვის ძარცვავს – მდიდარს თუ ღარიბს. ეს კი ყველაზე მძიმე დანაშაულია, როგორც მთელი ჩვენი ხალხის აზრით – „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა?“ („არსენას ლექსი“) – ისე ვაჟს შეხედულებით – „კაცი ბეჩაეის მზაგრაეი სად ვაგონილა გპირიო!“ – ამბობს იგი ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც იწყება სიტყვებით – „მუტრუკი მიტომ მუტრუკობს“. აფშინამ გოგოთურის წახდენა და დამცირება მოინდომა, მაგრამ მარცხი იწვნია. გოგოთურმა სულდილობა გამოიჩინა. არ შეურაცხყო აფშინას ღირსება. პირიქით, ერთად პურიც ჭამეს და ღვინოცა სვეს. ცხენ-იარაღიც არ წაართვა. ძმებადაც შეიფიცნენ. გოგოთურის სულდილობამ აფშინას სამშვინველი შეარყია. იგი მიხვდა თავის არაკაცობას და აფშინაში ფერისცვალება მოხდა. იგი მძიმედ განიცდის წარსულს.

ამბობენ, ქვითინი მოდის  
ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა:  
„ვამ, მკვდარო ვაჟკაცობაო,  
ცოცხლად დამარხვავ თავისა!“  
(„გოგოთურ და აფშინა“)

ვაჟს ძირითადი თხზულებების თითქმის ყველა პერსონაჟი განიცდის ფერისცვალებას.

ალუდა ქეთელაურის ფერისცვალება იწყება მაშინ, როცა მუცალის ვაჟკაცობა იხილა და გადაწყვიტა, ხელი აღარ მოეჭრა მისთვის, თუმცა ამით თემის წესს არღვევდა და სოფელს ემიჯნებოდა.

ჯოყოლას და ალაზას ფერისცვალება იწყება მაშინ, როცა სოფელმა სტუმარ-მასპინძლობის წმიდათა წმიდა კანონი დაარღვია და ზვიადური დასასჯელად წაიყვანეს.





მინდიას ფერისცვალება იწყება მაშინ, როცა გველის ზორცი ჭამა და არაადამიანური სიბრძნე შეიძინა.

ვაჟასთან, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ფერისცვალების საფუძველი დიდი სულიერი შერყევია, როცა ამოქმედდება ზეცნობიერი. ადამიანის გონებას სამი ასპექტი აქვს – ქვეცნობიერი, ცნობიერი და ზეცნობიერი (სარვაპალი რადჰაკრიშნანი). ზეცნობიერი ვაჟასთან სხვადასხვაგვარად ვლინდება. გამოვლენის ერთ-ერთი გზაა სიზმარიც. სიზმარში ვაჟას პერსონაჟები ხედავენ იმას, რაც უნდა მოხდეს. გავიხსენოთ უმთავრესი ნიმუშები.

როგორც კვირიას დაესიზმრება, სწორედ ისე მოხდება („ბახტრიონი“).

სიზმარში კვირიამ ტრიალი მინდორი იხილა. ცხენზე იჯდა და მიჰქროდა. ფრანგულის ტარზე სამი სანთელი ენთო. ფარზე ციური შუქი იყო ჯვრად გამოსახული. გახედა და დაინახა: ყვავილებით მოჩითულ ველზე ვეშაპი მოცურავდა. კვირიამ თავი გაუპო ვეშაპს, მაგრამ ურჩხულმა მაინც მოახერხა, სისხლი შეენტხია მისთვის სახეზე, ცხენიც წაექცა კვირიას და თვითონაც მიწაზე დაეცა.

კვირიას სიზმრის აზრს მარტო ლუხუში მიხვდა („ეწყინა ლუხუშს სიზმარი, ცრემლები მოსდის წვეილადა“), რადგან მასში ზეცნობიერი მოქმედებს.

მართლაც ახდება სიზმარი, ქართველებმა ბახტრიონის ბრძოლაში გაიმარჯვეს (ვეშაპს თავი გაუპეს. ცოტა მოგვიანებით აკაკის „ბაში-აჩუკშიც“ გამოჩნდება ვეშაპი. იქაც სიზმარში ვეშაპს ნახულობს მოძღვარი. გველუშაპი ალავერდის მონასტერს შემოხეოდა სამკეცად), მაგრამ ომში კვირია დაიღუპა (ვეშაპმა სისხლი შეანთხია). აყვავებული მინდორი, სამი სანთელი და ჯვარი გამარჯვების სიმბოლოებია.

„გველისმჭამელშიც“ ისე მოხდება, როგორც მზიას დაესიზმრება.

უზარმაზარი ნიაღვრის მოვარდნა ნახა მზიამ სიზმარში. „თან მაარღვედნენ მთა-ბარსა, იდგა დგანდგარი, ღრიალი“. ილექებოდნენ კლდეები. კუპრივით შავ ცას ცეცხლის წვეთები სცვივოდა. ირღვევოდა ქავ-ციხეები. ხალხი შველას ითხოვდა. არავინ იყო გამკითხავი. ბოლოს მინდიას კარ-მიდამოსაც მოაწყდა ლვარციფი. ციხეს ლიბო მოვლიჯა და სახლი ჭერხოთურთ წაიღო. მზია ბაღლებს გულში იკრავდა. მათი გადარჩენა უნდოდა, მაგრამ ხელი ჰკრეს და წყალში ჩააგდეს. ამ დროს ნიაღვარმა მინდიაც ჩამოატარა, იგი მზიას პატიებას ვეღვრებოდა.

ეს სიზმარი ზუსტი სურათია იმისა, რაც მერე მოხდება. სიბრძნე-დაკარგული მინდია ჯარს ვეღარ უწინამძღვრებს. ქართველები დამარცხდებიან. მტერი ყველაფერს მიწასთან გაასწორებს. მინდია თავს მოიკლავს.



აღუდაც თავზარდამცემ სიზმარს ნახავს („აღუდა ქეთელაური“): ნატყვიარ მკერდში ბრძამწაფენილი\* მუცალი ეწვევა. სიკვდილი მინდა და არ ვკვდები, მომკალიო, — ვედრება. მერე ვილაცამ აღუდას წინ წვნიანი ჯამი დაუდგა, კაცის თავ-ფეხით სავსე. თან აძალბდა, ჭამეო. დასცინოდა კიდევ: „კიდევ მიმირთვით აღუდას წვენ-ხორცი გაცხელებული“.

მერე ეს სიზმარი აღუდას დასჯითა და მოკვეთით გაცხადდება. აღუდა და მისი სახლობა იძულებულია, თოვლიან ქარბუქში, საქონელ-საყოლელი, ეზო-კარი მიატოვონ და გადაიხვეწონ. „ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო, ქვა-ქვაზე აღარ დგებო, ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე ეხლა ყოვები სხდებო“.

ზეცნობიერი ხილვით ადამიანი უახლოვდება ღმერთს. ხდება ისე, როგორც ვაჟა ამბობს — „უფლისა მსგავსად იქცევა. მით უფალს გაუჩნია“ („გამამერია ჭალარა“) —, და რასაც ითხოვს მახარებელი — „იყავით სრულყოფილნი ისევე, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათე, VI, 48). მაგრამ ადამიანი ამ პროცესს მარტო ვერ აღასრულებს. იგი არსებობს ოჯახში, საზოგადოებაში, ბუნებაში.

ტრაგიკულია პიროვნებისა და ოჯახის ურთიერთობა „გველის მჭამელში“. მზიამ და მინდიამ ვერ გაუგეს ერთმანეთს. ეს გაუგებრობა მათი შეგნების ძირეული განსხვავების საფუძველზე იშვა. მინდია უზენაესი სიბრძნის მფლობელი გახდა. მან ბუნების ენა ისწავლა: „რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო“ (კავშირი ნ. ბარათაშვილთან: „მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის, და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“). ყველა ხედავს მინდიას უსაზღვრო სიბრძნეს, — „ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი, რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა“. ყველა უზომო მოკრძალებითა და პატივისცემით არის მის მიმართ გამსჭვალული, მაგრამ გველისმჭამელის არ ესმის არც ოჯახს, არც სოფელს. ვერც გაურკვევიათ, თუ მინდია მტერს დაუზოგავად ხოცავს („მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავს მინდია სდგამდეს გორასა“), მაშინ როტომღა არ უნდა მოჭრან ხეები, არ ჭამონ ჯიხვისა და შვლის ხორცი? ამ კითხვას ვერ უპასუხებს ვერც სოფელი და ვერც მინდიას ცოლი მზია, რამეთუ მათ არ გააჩნიათ მინდიას ცოდნა. ამ ცოდნის თვინიერ კი დამაჯერებელი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ვერც პოემის მკითხველი უპასუხებს ამ კითხვას. არც მას აქვს მინდიას ცოდნა. ჩვენ ემოციურად გვზიბლავს მინდიას პიროვნება, გვაჯადოებს იგი, მაგრამ მისი გაგება, მისი წვდომა ჩვენთვის ისევე მიუღწეველია, როგორც მზიასთვის,

\* ბრძამი — მთის ტყეებში გავრცელებული ბალახი.

ამიტომ ნაირნაირი ვარაუდების იქით ვერ მივდივართ. მართალია, როცა დაგვჭირდება, წამლაუნწუმ ვახსენებთ მინდიას, როცა მოგვეხალიხება ყველა მეყვავილესა და მწვემს მინდიას ვეძახით, მაგრამ გველის-მჭამელის პიროვნების არსი ვერ ამოგვიცვნია. ისე ვიქცევით, როგორც პოემაშია ნათქვამი:

მაგრამ ნაგრძობსა გულითა  
ვონებით კშველენ ვერასა:  
ბალახსაც სთიბენ, ნადირს კკვლენ,  
შემით ანთებენ კერასა,  
ქათმის ხორცს რა შეაძლებს,  
თქვენვე მითხარით, შელასა?!

ამ შეიდი ბეჭდით დაბეჭდულ საიდუმლოში მხოლოდ ერთია ნათელი. თავის მხრივ მზია ისევე მართალია, როგორც მინდია. თუ მინდია თავის ღვთაებრივ სიბრძნეს უფრთხილდება და ეშინია მისი დაკარგვა, ასევე უფრთხილდება მზია ოჯახს, შეილებს და ეშინია მათი დაშვევის. მზია რომ მართალი არ იყოს, მაშინ მინდიასა და ოჯახის კონფლიქტი არ იქნება მწვავე და ტრაგიკული. არც ვაჟა მიაქცევდა მას საგანგებო ყურადღებას. არც გოგოთურის საქციელი მოსწონს ცოლს.

– რად ვინდა დიდი სხეული,  
თუკი ზღურბლს არ გასცილდები,  
როგორც სახადით სნეული?!

.....

წადი, შენც ვინმე გაცარცვე.  
არ ვინდა სარჩო ნეტარა?  
ქისტებს თავები გაჰბალთე.  
ხვესურთ დაადევ ბეგარა.  
ამბობენ, აფშინაის ცხენს  
ტანი სრულ ვერცხლით ეფარა.

აი, ეს ავკაცობისაკენ მოწოდებაა. არაფერი ამდაგვარი მზიას მინდიასთვის არ უთქვამს. მზია გულწრფელი და მართალია, როცა ამბობს – „ის ცოლდა რად უნდა იყოს, ფიქრი რო მივეც გარჯისა“. ამდენად, მზია არ იმსახურებს იმ საყვედურს, რასაც გაბრაზებული მინდია მიახლის: „ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდი“. არაკაცს ცხოვრების მაგალითად გოგოთურს უსახავს ცოლი. ამიტომ არ აქცევს მას ყურადღებას გოგოთური. „– რასაც შენა მთხოვ, იმისა, წავალ, ვიქნები მქნელიო. მოყვრებში გამაემართა ამის დაცინვით (ხაზი



ჩემია - აბ.) მთქმელიო“. მაგრამ მინდია მზიას ნათქვამს არ უყურებს დაცინვით. ის ხედავს რაღაც სიმართლეს ცოლის მოთხოვნაში. ეამის გამოც დაარღვია აღთქმა, რაც საბედისწერო გახდა მისთვის. **სიმბლიოთეკა**

თუ მინდიასა და მზიას პოზიციებს შევადარებთ ერთმანეთს, მივიღებთ ორ სიმართლეს: მიწიერ სიმართლეს, რომელსაც ადამიანის ჩვეულებრივი ცნობიერება ხედავს, და ზეციერ სიმართლეს, რომელსაც მხოლოდ ზეცნობიერება წვდება.

ამდენად მზიასა და მინდიას დაპირისპირებაში არ არის ბოროტისა და კეთილის კონფლიქტი. ეს არის ორი სიმართლის კონფლიქტი.

ვაჟას შემოქმედებაში ქალი შარავანდედით არის მოსილი და ეს დამოკიდებულებაც კი გამორიცხავს იმას, რომ მზია განასახიერებდეს ბოროტს, რომელმაც კეთილი უნდა აცდუნოს. საერთოდ, ისეთი ირონიული დამოკიდებულება ქალისადმი, რაც მჟღავნდება გოგოთურის ცოლის მიმართ, ძალიან იშვიათია ვაჟას პოეზიაში. თავი რომ დავანებოთ ლელასა და ალაზას, ვაჟასთვის ქალი ოდენ აღტაცების საგანია.

თქვენ რომ არ გვევანდეთ, ქალებო,  
რა იქნებოდა ქვეყანა?  
ვისაც რა უნდა, ისა სთქვას,  
მე კი გადარებთ მზესთანა.  
(„ქალებს“)

თუ ვაჟას შემოქმედებაში რაიმე საყვედური შეგხვდებათ ქალის მიმართ, ეს დაწუნებული მამაკაცის ჩივილია, რომელშიც უფრო მეტი სიყვარული ვლინდება, ვიდრე მუნათი.

არ დაინდობა დიაცი -  
მიწივ ორპირი, ფლიდია,  
როგორც სავალად ბეწვისა,  
ზღვას გადებული ხიდია, -

წუწუნებს გაწბილებული ვაჟი, მაგრამ იქვე ჩანს - მაშინვე დაავიწყდება ყველაფერი, თუ ის გოგო გაუღიძობს, რომელმაც გაამწარა: „თუ მომკლავ, ისევ შენ მომკლავ, ქალავ თავდახრით მცინარო...“

წყველი იფოს ღვთისაგან  
ის დღე, როდესაც ვნახეო  
შენი ფოფინა თვალები  
და მოვლვარე სახეო!..



შეიძლება ცოდნა არ მყოფნის და ეს მათქმევინებს, მაგრამ არა მგონია, რომელიმე პოეტს ქალის ნაწნავები შეედარებინოს, იმ სანთლებისათვის, რომელთაც ქვესკნელში უნდა გაუნათონ გზა ძამაკაცს:

ქალს, თვალაშავას უთხროდით,  
 მალე მაიჭრას თმანია,  
 შავეთში კელაპტრად მინდან,  
 რო გავაკვლიო გზანია.  
 („მწვემსის ანდერძი“)

აღარ შევუდგები ვრცელი ამონაწერის მოტანას. ვინც ცოტად თუ ბევრად დაკვირვებია ვაჟას პოეზიას, ის უთუოდ დამეთანხმება, რომ „სტუმარ-მასპინძლის“ ავტორისათვის ქალი სამყაროს მშვენიერების ერთ-ერთი გამოვლენაა.

თუნდ სრულად გასწყდნენ ვარსკვლავნი,  
 მზემ ტანთ ჩაიცვას შავები,  
 ისეც მზეობას მიზამენ  
 შენი ფოფინა თვალები!  
 („რამ გავაჩინა ქალაო“)

ცოცხალს შენა მყენ გულზე ვარდს  
 თუ ავდარი, თუ დარია,  
 საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,  
 შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია!  
 („სიყვარული“)

ეროსი, ანუ სქესობრივი სიყვარული, ნაწილია ავაპესი, ანუ ღვთაებრივი სიყვარულისა. იგი საფუძველია ოჯახისა. ოჯახი კი ისევეა ღმერთის შემოქმედება, როგორც თავად ადამიანი. რასაც ოჯახის კეთილდღეობა ითხოვს, ის არ არის მხოლოდ ადამიანის სურვილი. იგი უზუნაესის ნებაც არის. მზიას მოთხოვნაში ღვთაებრივიც ურევია. საზოგადოებას ხომ ესმის და ესმის ეს, მაგრამ ამას მინდიაც გრძნობს. ამიტომ აღმოჩნდა მისი სიბრძნისათვისაც კი შეუძლებელი იმ კონფლიქტის მოგვარება, რომელიც გაჩნდა მინდიასა და მის ოჯახს შორის. ამიტომ გადადგა გველისმჭამელმა საბედისწერო ნაბიჯი.

ორ სიმართლეს შორის მოქცეული ადამიანის ბუდი ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება. ამას მოწმობს, მინდიასთან ერთად, ჯოყოლასა და ალოდა ქეთელაურის თავგადასავალიც.



ჯოჯოლამ ზვიადური ისტუმრა... სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა დიდი სიჭკველუა. ამ ადათს პატივს სცემს საზოგადოებაც და პიროვნებაც („ვის გაუყვიდავ სტუმარი? ქისტეთს სად თქმულა ამბადა?“). ვინც მას დაარღვევს, ის გასაკიცხია. უფრო მეტიც, სასჯელის ღირსიც.

სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვით ჯოჯოლა აკეთებს იმას, რაც უნდა იმსახურებდეს საზოგადოების კმაყოფილებას, მოწონებას. ასეც იქნებოდა, რომ ზვიადური არ ყოფილიყო ქისტების მტერი. რაკი ქისტების მტერია ზვიადური, ამოქმედდა მეორე ადათ-წესი შურისგებისა („თავის მტანჯველის შემუსრვა ან კი ვის არა სწადიან?!“ „მაგრამ მტერს მტრულად მოექე, თვითონ უფალმა ბრძანაო...“). საზოგადოებამ მოითხოვა ზვიადურის გაცემა და დასჯა.

ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ზნეობრივი წესი – სტუმარ-მასპინძლობა და შურისძიება. ორივე, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების მიერ თანაბრად არის აღიარებული, დადგენილი და პატივცემული. რა უნდა ჰქნას, ერთი მხრივ, ჯოჯოლამ და, მეორე მხრივ, საზოგადოებამ? ორივე ადათის დაცვა შეუძლებელი და გამორიცხულია. აუცილებლად უნდა მოხდეს არჩევანი. საქმე ასეც წარიმართა, მაგრამ არჩევანი სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა: ჯოჯოლამ (პიროვნებამ) სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა ირჩია, საზოგადოებამ – შურისძიებისა. დაირღვა პარძონია. ორი სიმართლე დაეჯახა ერთმანეთს. მართალია ჯოჯოლა, იგი იცავს სტუმარ-მასპინძლობის ადათს. მტყუნანია ჯოჯოლა. იგი არღვევს შურისგების ადათს. მართალია საზოგადოებაც. იგი იცავს შურისგების ადათს. მტყუნანია საზოგადოება – იგი არღვევს სტუმარ-მასპინძლობის ადათს. ორი სიმართლის და ორი სიმტყუნანის ბრძოლისას გაიმარჯვა საზოგადოებამ. დამარცხდა ჯოჯოლა (პიროვნება): ზვიადური წაიყვანეს და სასაფლაოზე დაკლეს. ეს შედეგი ბუნებრივი იყო. საზოგადოება ფიზიკურად ყოველთვის ძლიერია პიროვნებაზე („თქმს რაც სწადია, მას იზამს თავის თემობის წესითა“).

აღუდა ქეთელაური ყოველთვის იცავდა საზოგადოების მიერ დადგენილ წესს. მოკლულ მტერს მარჯვენა ხელი უნდა მოეჭრას („ბევრს ქისტს მათჭრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი“). მაგრამ, ერთხელ, მუცალის ვაჟკაცობით მოხიბლულ-მოჯადოებულმა აღუდამ დაარღვია ადათი. მართალია, მტერი მოჰკლა, მაგრამ მარჯვენა არ მოჰკვეთა. („მარჯვენას არ ჭრის მუცალსა, იტყოდა: ცოდვა არიო; ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო“). ამ საქციელით პიროვნება (აღუდა) საზოგადოებას დაუპირისპირდა. ზნეობრივად აღუდა მართალია („ვაი ევეთსა სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა“), მაგრამ მართალია საზოგადოებაც. იგი იცავს მის მიერ დადგენილ წეს-ჩვეულებას. ეს წეს-ჩვეულება, გარკვეულ ისტორიულ



პერიოდში, საზოგადოების ერთიანობის, სიმტკიცის და ძლიერების საფუძველია. ამიტომ, საზოგადოება ვერ დაუშვებს, რომ ყოველი პიროვნება, რარიც ვაჟკაცი და მართალიც უნდა იყოს იგი, ოქცეოდეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობილებას მოესურვება. ამგვარი თავისუფლების დროს საზოგადოების ერთიანობა-მთლიანობა დაიშლება და ქაოსი გამეფდება. ქაოსი კი დაღუპვით დაემუქრება როგორც პიროვნებას, ისე მთელ საზოგადოებას. ამას კარგად ხედავს და გრძნობს თვითონ ალუდაც („ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყვეთ, ნუ გადიქცვით ცეტადა!“). მაგრამ მას აღარ ძაღუძს მოერიოს თავისთავს და სულიერად დამორჩილდეს საზოგადოების მიერ მიღებულ წესს. მისი ჰიბრისი (დაუმორჩილებლობა) კიდევ უფრო გამოშწვევი და გამაღიზიანებელი ხდება. ალუდა მუცალის ხსოვნას მოზვერს შესწირავს. ამის ატანა და მოთმენა საზოგადოებას აღარ შეეძლო. ალუდა მოკვეთეს.

ალუდა ქეთელაური, ოჯახითურთ, ტოვებს მშობლიურ მიწა-წყალს.

„ალუდა ქეთელაურშიც“ ორი სიმართლე უპირისპირდება ერთმანეთს – სიმართლე პიროვნებისა და სიმართლე საზოგადოებისა. აქაც საზოგადოება იმარჯვებს და პიროვნება მარცხდება („გადვიდნენ, ქელი გადავლეს, თხრილი აღარ ჩანს კვალისა. ერთი მაისმა შორითა მწარე ქვითინი ქალისა“).

მაგრამ აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, რა ხასიათს ატარებს ამ შემთხვევაში პიროვნების დამარცხება და საზოგადოების გამარჯვება. საზოგადოება იმარჯვებს ხორციელად, მაგრამ მარცხდება სულიერად. პიროვნება, მართალია, მარცხდება ხორციელად, მაგრამ იმარჯვებს სულიერად. საზოგადოებას შეუძლია ჯოყოლას წაართვას სტუმარი, მაგრამ არხელეწიფება, მშვინვიერად გატეხოს ჯოყოლას სიმტკიცე. საზოგადოებას შეუძლია მოკლას ზვიადური, მაგრამ არახელეწიფება მისი სულის მოდრეკა („გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა“). საზოგადოებას შეუძლია, მოკვეთოს, გაამეღოს ალუდა ქეთელაური, მაგრამ არხელეწიფება მისი დამორჩილება, დამონება. საზოგადოებას შეუძლია, წამიერად დაახვიენოს უკან მინდიას, აიძულოს ხის მოჭრა თუ ნადირის მოკვლა, მაგრამ არხელეწიფება, ხელი შეუშალოს მის თვითმკვლელობას, რაც შექმნილ ვითარებაში გველის-მჭამელის მიერ წუთიერი სისუსტის გამოსყიდვას და ღვთაებრივი სიბრძნისადმი ერთგულებას მოასწავებს, ადასტურებს.

ამიტომ უყვარს მკითხველს ჯოყოლაც, ალუდაც, მინდიაც, იგი ყოველთვის იმის მხარეზეა, ვინც სულიერად იმარჯვებს, თუმცა კარგად ესმის საზოგადოების ქმედების აზრიც.

მიუხედავად ხორციელი დამარცხებისა და ტრაგიკულობისა, ჯოყოლაც, ალუდაც, მინდიაც პუბლიკუმს იმედითა და რწმენით ავსებენ.



მათი სულიერი გამარჯვება იმის მაუწყებელია, რომ ღვება მომენტი, როცა პიროვნების ამბოხება, თუნდაც მარცხით დამთავრებული, იწყებს საზოგადოების ვარდაქმნას, მის ამაღლებას. ჯოჯოლას, ალუდას, მინდიას მოვლინების მერე საზოგადოება აუცილებლად იცვლება, თუმცა ეს გარეგნულად შეიძლება არც შეიმჩნეოდეს. ხდება შინაგანი, მშვენიერი ვანწმენდა. მართალია, დღეს მინდიას სიბრძნის წვდომა არ ძალგვიძს, მაგრამ პუბლიკუმის ძალისხმევა ქვეცნობიერად მიმართულია მის შესაცნობად მომავალში. მინდია ორიენტირია, რომლისკენაც მიდის საზოგადოება. მართალია, ნელა და ტატიტ, მაგრამ მაინც იქით ისწრაფის. მიდის ამაღლებული და მშვენიერი პიროვნების ზნეობრივი სრულყოფისა და თავისუფლების გზით. იმ პიროვნების გზით მიდის, რომლის შეზღუდვა-დამორჩილება საზოგადოებას უკვე აღარ შეუძლია, თუნდაც რომ არსებულ ვითარებაში საზოგადოების ქმედება თავის არსში მართალიც იყოს. ეს პროცესი ბუნებრივია, რადგან ახალი სიმართლე, რომელიც საზოგადოების ცნობიერებას ცვლის, პიროვნებას მოაქვს.

გამოდის, რომ ადამიანში არ არის სიმშვიდე. მასში ბრძოლაა, რაკი ორი ხატი – კაცი და არაკაცი – ებრძვის ერთმანეთს.

არც საზოგადოებაშია სიმშვიდე. იქაც ბრძოლაა, რაკი ორი სიმართლე ერკინება ერთი მეორეს და შუაში ადამიანია მოქცეული. როგორღაა საქმე ბუნებაში?

ბუნება მბრძანებელია,  
 იგივე მონაა თავისა,  
 ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,  
 ზოგჯერ მქმნელია ავისა;  
 ერთფერად მტკირთველი არის  
 საქმის თეთრის და შავისა;  
 საცა პირიშვხს ახარებს,  
 იქვე მთხრელია ზვაისა...  
 („ღამე მთაში“)

ანდა სხვანაირად, „მოკეთე თუმც ხარ თავისა (ბუნება – ა.ბ.), – მასთან თვისივე მტერია“ („ქებათა-ქება“).

ბუნებაშიც ბრძოლა ყოფილა. ამ საგრობაში\* ერთმანეთს პირისპირ უდგანან და ერკინებიან მბრძანებელი და მონა, სიკეთისმქმნელი და ავისმქმნელი. უფრო ფართოდ რომ ვთქვათ – ნათელი და ბნელი.

\* საგრობა – ბრძოლა.





ცა იქცეოდა და მიწა  
თავისთვის სუღარს ჰკერავდა,  
სამყაროს ნგრევას ეშმაკი  
გახარებული ჰზვერავდა.  
ღამის წყვდიადში კისკისი  
მისი ჰზარავდა ყველასა...

(„როგორ საშინლად ბნელოდა“)

სურათი ტრადიციულია: ნათელი ღვთაებრივის ემანაცია\*, ბნელი — ეშმაურის. შავ ღრუბელს უნდა მზეს გადაეფაროს, დააბნელოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. მზე მაინც სძლევეს მას და „სხივს აფრქვევს დღეღამიწასა, ბუნებას აძლევეს შეებასა“ („შავი ღრუბელი“). და მოუხდავად ამისა, ბუნება „მაინც კი ღამაში არის, მაინც სიტურფით ყვავისა“. მშვენიერება ბრძოლა ყოფილა, ქმნა და ქმედება ყოფილა. ამდენად ის, რაც ვაჟამ ბუნებაზე თქვა, თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ ადამიანზეც და საზოგადოებაზეც:

მართალია, ადამიანში ერთმანეთს ებრძვის კაცი და არაკაცი, მაგრამ ადამიანი „მაინც კი ღამაში არის, მაინც სიტურფით ყვავისა“.

მართალია, საზოგადოებაში ერთმანეთს ებრძვის ორი სიმართლე, მაგრამ საზოგადოებაც „მაინც კი ღამაში არის, მაინც სიტურფით ყვავისა.“

ადამიანის, საზოგადოების, ბუნების კავშირი მშვენიერებითაც არის გამოხატული.

რაკი არსებობის აზრი ბრძოლაა, ქმედებაა, ვაჟა ბუნებითაც მაშინ არის აღტაცებული, როცა იგი (ბუნება) ბობოქრობს.

მაშინ კი უფრო მიყვარხართ,  
როცა ჩამოვდისთ ღვარია,  
ქოთობით, ვაი-ვაგლახით,  
ისმის ბუნების ზარია.

(„თქვენი ჭირიძე, პოი, მთებო“)

ადამიანიც მაშინ არის სიცოცხლის ღირსი, როცა მოუსვენარია, იტანჯება, მოქმედებს, იბრძვის. თავისუფლების, ბედნიერების შეგრძნება-გაგება შეუძლია ადამიანს ბრძოლისა და ქმედების დროს. უმოქმედობა არყოფნის გამოვლენაა.

გონებას ფიქრი ტანჯავდეს,  
გულს ცეცხლი სწვაავდეს ძლიერო,  
მშვილ-მწყუროდეს კეთილი,

\* ემანაცია — გამოსხივება.

ვერ გავძლე მოვკვდე შშივრი...  
 ნუ დამასვენებ ნურა დროს,  
 მამყოფე შებრწუნებული,  
 მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,  
 როცა ვარ შეწუხებული;  
 როცა გულს ცეცხლი მეღება,  
 გონება მსვეჯლობს საღადა, –  
 მაშინ ვარ თავისუფალი,  
 თავს მაშინა ვკრძნობ ლაღადა.

(„ჩემი ვედრება“)

საზოგადოებაც მოქმედი და მებრძოლი უნდა იყოს. თორემ, თუ საზოგადოება უმოქმედოა, მთელმარე, მცონარე და გულხედაკრეფილია, ხალხი გადაიქცევა ბრბოდ. ხალხი და ბრბო სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ხალხი მოქმედი, ბრბო – უმოქმედო; ხალხი მებრძოლია, ბრბო – მორჩილი; ხალხი – შემოქმედი, ბრბო – მომხმარებელი; ხალხი თავისუფლების ტრფიალია, ბრბო – მონობისა. ხალხი მოაზროვნეა, ბრბო – გონებაჩლუნგი; ხალხს რწმენა აქვს, ბრბო – ურწმუნოა; ხალხი იმედით არის სავსე, ბრბო – სასოწარკვეთილია; ხალხი მომავლის შექმნით ცოცხლობს, ბრბო – წუთისოფლის მოჭმით; ხალხი კეთილს ემსახურება, ბრბო – განჯგონებულია (საბას განმარტებით, განჯგონებული იმას ჰქვია, ვისაც ბოროტი კეთილი ჰგონია); ხალხი პიროვნებებისაგან შედგება, ბრბო უსახურია, მის წევრებს ერთმანეთისაგან ვერ გააჩრევ. თუ ხალხის ყოველი წევრის ოცნებაა:

ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო  
 დანაგრულების მცველადა.  
 ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა;  
 ცხვრადვე მამყოფე ისევა,  
 ოღონდ ამშორდეს მეგლობა,  
 არ წამიხდინო, მეუფევე.  
 ეს ჩემი წმინდა ხელობა,  
 მაშრომე საკეთილოდა,  
 თუნდ არ მოვიძკო ნაყოფი,  
 შვილთ საგმოდ არ გამიხადო  
 ჩემი მუღმივი სამყოფი.  
 გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,  
 მნათობს ტრფობისა შეშითა,  
 ნუ მაელევე ქვეყანაზედა  
 გაცივებულის ლეშითა. –

თვალებში მადლდაკარგულსა,  
შუბლზე გაკრულის მეშითა.  
(„ჩემი ვედრება“)

ბრბოს არავითარი სურვილი და ოცნება არა აქვს. იგი უმოძრაო, გაშეშებული და გაყინულია.

ბრბო მაინც არ გათეთრდება,  
რაც უნდა ხეხო ქვიშითა,  
იმის სიყვარულს მოიხვეჭ  
მხოლოდ ძალით და შიშითა.  
(„ქებათა-ქება“)

თუ საზოგადოებას, საერთოდ და კერძოდ ქართულს, არ უნდა ამგვარი შეშზარავი მეტამორფოზა\* განიცადოს ხალხიდან ბრბოსაყენ, მაშინ იგი უთუოდ და უთუმცაოდ უნდა იბრძოდეს, მოქმედებდეს, საკუთარი ნიჭის, ძალისა და უნარის იმედით.

ბეგლთა თქვეს ბეგელი ქართული  
თავის ბეგლებურს წესზედა:  
„ხელებს ნუ იკრებთ გულზედა,  
საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა“,  
მტრედსაც მოქჳონდა ბარათი,  
გადახვეული მხრებზედა:  
„თვით უპატრონეთ თავის თავს,  
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა“.  
(„სახალწლო“)

ადამიანის, საზოგადოების, ბუნების ურღვევი კავშირი, გარდა მშვენიერებისა, კიდევ ბრძოლით, ქმედებით, ქმნით არის გამოხატული. ბუნება იმედია. იგი ადამიანს გინცით აღავსებს.

უპატრონოდ, უთვისტომოდ დარჩენილი ობოლი ურუგემოდ არ დატოვა ბუნებამ. ყველა მის საშველად დაირაზმა – პეკელა, ბაჭია, თავუნა, ქედანი, ტოროლა, მწყერნი, ბალახ-ბულახნი, ირემი. ერთი სიტყვით, „მთელი ბუნება ხელებს ჰშლის ჩაგრულის დასაცველად“ („ობოლი“). როცა მარტოხელა მთვარემ დაიჩილა – „მომწყინდა წვევდიადთან ბრძოლა, თავ-პირის მტერევა ღამითა“, მთამ უსაყვედურა – „წესს რადა ჰმტყუნობ თავისას, ეშმაკს რად აძლევ სულსაო“ („მთა და მთვარე“). დაამშვიდა და ის კანონზომიერება აუხსნა, რის საფუძველზეც შენობს სამყარო:

\* მეტამორფოზა – სახეცვლილება, გარდაქმნა.



ყველა ვერე ვართ შობილნი  
ერთიმეორის მსახურად;  
ერთურთს ვშველთ, ერთურთსა ვსწყალობთ  
პირნათლად ჩამოხატულად.

მარადიული განახლება, რაც ბუნების წესია, იმედის უტყუარი წყაროა. როცა გაქრება სუსხი, ყინვა, გაზაფხულის პირი გამოჩნდება, არუმარე წვიმით განიბანება, ია აყვავდება და საფლავის ქვასაც კი დაამშვენებს ოფოფი, თავისთავად მოეფინება ნათელი ადამიანის სვედიან ვულს.

გულო, ჩვენც სიცოცხლეს ვიგრძნობთ,  
ლალს მოვისურვებთ მღერასა,  
ჩვენც შევუფერებთ კიჟინით  
ყოვლგნივ ბუნების ღხუნასა.  
იმედი ბევრად სჯობია  
უაზრო ბედისწერასა!

(„გულო, რას დაკლონებულხარ“)

როცა ჩვენი ზეცნობიერება დახშულია, მაშინ არ გვეყურება ბუნების ენა, თორემ მინდიას ესმის იგი და იცის, ვინ რას შესჩივის.

„მინდიას გაუმარჯოსო“,  
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა,  
ზეები ფოთლებს არჩევენ,  
ბუნება იწყებს ბიბინსა,  
და მერე სათითაოდ  
ყველა მოჰყვება ტიტინსა:  
„მე ვარო ამის წამალი“,  
სხვა გაიძახის – „იმიხა“.

...  
თურმე ზნედა სჭირთ ყვაილთა:  
ოღონდ ეწამლონ სნეულთა,  
სიცოცხლით გაფუფუნებულს  
არად ავდებენ სხეულთა;  
სალხინოდ მსახვენ, კაცთ სარგოდ,  
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა.

(„გველის მჭამელი“)

ადამიანის, საზოგადოების, ბუნების კავშირი იმედითა და ნუგეშითაც იხატება.

ბუნება თავისუფლებასაც ასწავლის ადამიანს. ვაჟა შექხარიძის ნისლს, რომელიც თავისუფლად მიმოღის ამქვეყნად მისი თავისუფალი მოძრაობის შიშის გარეშე, შეფერხება არაფერს და არავის ძალუძს.

შენ არ დაიშლი შენს წესსა,  
თუმც ცრემლი ბევრი ვლენია,  
ვერ შეაფერხებს შენს სვლასა  
მთელი ხმელეთის ძალია,  
ვერც გვირგვინოსანთ ბრძანება,  
ვერც ამოწვდილი ხმალია.

(„ნეტავი, შენა, შავ-ნისლო“)

ბუნებამ არ იცის ჩაგვრა. ტყუილად არიან განაწყენებული ტურები ლომზე („საახალწლოდ“). ლომი მათ არ ჩაგრავედა, უბრალოდ ბუნების წესს ასრულებდა.

ლომი რის დამნაშავეა,  
ეს ხომ ბუნების წესია:  
აბედი აბედი არის,  
კვესი, ხომ ვიცით, კვესია.

თავისუფლებითა და უჩაგვრელობით ადამიანი (და საზოგადოებაც) ბუნებას უნდა ჰკავდეს. უთანასწორობა, ჩაგვრა, არათავისუფლება, რომელიც საზოგადოებაში არსებობს, ადამიანის (უფრო ზუსტად: ადამიანში თავსმეფარებული არაკაცის) მოვონილია და ანტიბუნებრივია. ამით ირღვევა ბუნების ჰარმონია. მართალია, არაკაცი და ბუნების ბნელი ერთიანდება და ებრძვის კაცსა და ნათელს, მაგრამ ეს საგრობა, როგორც უკვე ითქვა, აუცილებლობაა, რადგან განსხვავებული და დაპირისპირებული ძალების შერკინებისა და დავის შედეგად იბადება ახალი. ეს ისეთივე ბუნებრივი კანონზომიერებაა, როგორიც ორი განსხვავებული სქესის ურთიერთობის ნიადაგზე ახალი სიცოცხლის აღმოცენება. ორი ერთნაირი სქესის ურთიერთობა კი გარყვნილებას, ვახრწნას წარმოშობს და მეტს არაფერს. ასევე ბერწი იქნება საზოგადოების და ბუნების ცხოვრებაც, თუ მათში ერთი, ანდა ერთსაზოვნება-ერთფეროვნება იბატონებს.

მრავალსახეობის მოსპობის ყოველგვარი ცდა თანაბრად არის მიმართული ბუნებისა და ადამიანის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს მარადიული განახლების ბუნებაში არსებული წესი. წელიწადის დროთა მონაცვლეობა ავლენს განახლების იდუმალ სურათს.

მაგრამ რა? ერთსახეობა  
არ არის სიბრძნის დარგია,  
ზაფხულის შემდეგ ზამთარი,  
კაცმა იფიქროს, კარგია.  
(„ბუნების სურათი“)

...  
ამაც მომცა საღამო,  
დამ კვლავ ძმა იცნო თავისა.  
გვერდს უღვას დიაგონალი,  
როგორ ამაყად ქვეყვისა!..  
მონა ვარ, მონა ბუნების,  
ღონე არა მაქვს დავისა!  
(„ვაზაფხული“)

უთვალავი ძაფით ადამიანი უკავშირდება ბუნებას. იგი ისეთივე ნაწილია ბუნებისა, როგორც ყოველი ხილული და უხილავი საგანი. ბუნებისადმი მიყენებული ჭრილობა ადამიანის ჭრილობაა და პირიქით: ადამიანის ჭრილობა ბუნების ჭრილობაა. დღეს მეცნიერება იმ დასკვნამდე მივიდა, სადაც ვაჟას პოეტური გუმანი\*. ბუნებაში არაფრის დაშლა-დარღვევა არ შეიძლება. ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ზედმეტი დნობა ყინულისა ზემოქმედებს აფრიკის უდაბნოებზე. საპარაში ტემპერატურის მატება კი ტუნდრაში გამოიღებს მავნე ნაყოფს. ამაზონის ჯუნგლებში თუ ციმბირის ტაიგაში ტყეების გაჩეხვა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ევროპისათვის. ყოველივე ეს განსაზღვრავს ადამიანის ყისმათს\*\* და მდგომარეობას. კაცის გონებისა და შორის-ჭვრეტელობის დაკარგვამ კი, არაუადრე უწყის, რა უბედურება შეიძლება გამოიწვიოს ბუნებაში. მოსალოდნელია დაირღვეს ის თანხმობა, რასაც ციკლონი ბუნების ხმას (naturae vox) უწოდებდა. ადამიანის დაცემა გამოიწვევს ბუნების დაცემას და, შებრუნებით, ბუნების დაცემა – ადამიანის დაცემას. მათ შორის სრული ერთიანობაა. ბუნებაში ყოველი არსება ისევეა აღჭურვილი გონებითა და გრძნობით, როგორც ადამიანი. რა კანონზომიერებაც მთელშია, იგივე კანონზომიერებაა ნაწილშიც და პირუკუ – რა კანონზომიერებაც ნაწილშია, იგივეა მთელშიც. ოღონდ ამის გაგონება უნდა შეგებლოს. ვაჟას ზეცნობიერს ეფურებოდა იგი. ამიტომ ფიქრობს, განიცდის, ესმის, სტკივა და უხარია, ეშინია და ეიშვება ყველაფრის – შვლის ნუკრი იქნება იგი თუ ხმელი წიფელი, ღურჯთვალა ია თუ ცანცარა კურდღელი, მოჩუხჩუხე წყარო თუ პიტალო კლდე, ცადაზიდული მთები თუ ბობოქარი მდინარეები, გოროზი არწივი თუ მფრთხალი წრუწუნა.

\* გუმანი – ალღო.

\*\* ყისმათი – ბედი, იღბალი.

ხუეი მთას კმონებს, მთა - ხევა,  
წყალნი - ტყეს, ტყენი - მდინარეთ,  
ყვავილნი - მიწას და მიწა -  
თავის აღზრდილთა მცენარეთ.  
და მე ხომ ყველას მონა ვარ,  
პირზე ოფლგადმომდინარედ!

(„ღამე მთაში“)

თუ ცნებებს გერმანულ მისტიკოსებს დავესესხებოდით, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ვაჟას წარმოდგენაში ადამიანი მიკროკოსმოსია\*, ხოლო ბუნება - მაკროანთროპოსი\*\*.

ამ საყოველთაო თანხმობასა და ჰარმონიაში თითქოს მოუთმენლად და უცნაურად გაისმის ვაჟას სასოწარკვეთილი ხმა:

იას უთხარით ტურფასა:  
მოვა და შეგჭამს ჭიაო,

...

შენ თუ გგონია სიცოცხლე  
სამოთხის კარი ღიაო;  
ნუ მოხვალ, მიწას ეჟარე,  
მოსვლაში არა ყრიაო.

(„იას უთხარით ტურფასა“)

ამ სკეპსისში არაფერი იქნება უცნაური და მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაჟა, რაკი პოეტი იყო, გარემომცველ სამყაროს გულთ უყურებდა და არა გონებით. „გულს ბევრი უნდა ტიაღსა - ხარია ალაღებული. ნუ მომთხოვთ, მაშინ არ ძალშიძს მსჯელობა დალაგებული“ (უსათაურო ლექსია. იწყება სიტყვებით: „ერთი რამ მინდა სათქმელად“...). ვაჟას სკეპსისში გულის ულოგიკობაა და კიდევ ის კანონზომიერება, რომელიც მან თავადვე ასე ჩამოაყალიბა, - „საცა სიმართლე ჰღალადებს, იქვეა აზრთა ცდომაცა!“ („ჩვენს მხცოვან მოღვაწეებს“). თორემ თავად ვაჟა არ გვარწმუნებდა?

მრწამს აზრი კაცთა სიცოცხლის,  
მრწამს საიდუმლო სოფლისა;  
მრწამს, რომ ანათებს ღვთის სადგურს  
სანთლები მშრომელთ ოფლისა.

(„შემოვეზიზნეთ ქედებო“)

\* მიკროკოსმოსი: მიკრო - მცირე, კოსმოს - სამყარო (ძვ. ბერძნულად).

\*\* მაკროანთროპოსი: მაკრო - დიდი, ანთროპოს - ადამიანი (ძვ. ბერძნულად).

გარდა ამისა, ადამიანს, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ სიკვდილი სიცოცხლის წყაროა, შეუძლებელია შინაგანად დაეჯერებინა – „მოსვლაში არა ყრიაო“.

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,  
სიცოცხლე შენობს შენითა,  
და შენც სიკვდილო, ფასი ვღე  
სიცოცხლის ნაწყენობითა.

(„მოვონება“)

ასეთი შეხედულება ძველთაძველია. მას პლატონთანაც შეხვდებით – „ცოცხალნი მკვდართაგან იბადებიან, ისევე როგორც ცოცხალთაგან მკვდარნი“ („ფედონი“) და ჩვენს დავით გურამიშვილთანაც – „ცოცხალნი შობენ მკვდართა და მკვდარნი ცოცხალთა კბადებენ.“ ვაჟას შეიძლება ერთიც სცოდნოდა და მეორეც, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ იგი ჩვენი ხალხის რწმენას იზიარებდა. ამ რწმენით, სიკვდილსა და სიცოცხლეს თავი ერთად უღვევთ.

სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,  
ეს მიტომ დაღვა წესადა;  
სიკვდილი გაუჩნია  
მას თავის გასაკვებადა.

(„სოფლისა წესი ასეა“)

მაგრამ, თითქოს თავის ნათქვამისა არა სჯერაო, ვაჟა იკითხავს:

რამ შემქმნა ადამიანად?  
რატომ არ მოვედ წვიმადა...

გარდა იმისა, რომ სიცოცხლეს აგრძნობინებდა მომაკვდავ არემარეს, მთა-ბარს გაახარებდა, მინდორ-ველს მწვანედ ააბიბინებდა, ვაჟას წვიმოზა კიდევ იმიტომ უნდა, რომ:

თოვლად ქცეულსა გულშია  
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,  
რომ ისევ ჩემი სიკვდილი  
სიცოცხლედ გადაიქცეოდა  
და განახლებულ ბუნებას  
ველ-ყურზე მოეხვეოდა.

(„რამ შემქმნა ადამიანად“)





თუ ვაჟას არ სჯერა ადამიანის სიცოცხლის განახლებისა და მარტო ბუნების პროცესის გამოვრების სწამს, მაშინ აღმოუჩნდებათ თითქმის აუხსნელი საიდუმლოს წინაშე. ამგვარი ფიქრი კი შეიძლება გააჩინოს იმან, რომ წვიმად ქცევას განახლებისათვისაც ნატრობს („რომ ისევ ჩემი სიკვდილი სიცოცხლედ გადაქცეოდა...“). მაგრამ თავადვე ხომ ამბობს – სიკვდილი კვებავსო სიცოცხლეს. ლოცავს კიდევ მას („ღმერთმა ვიშველოს სიკვდილო...“). ეს ერთი, მაგრამ არის მეორე თავსატეხი კითხვაც. ვაჟას სძულს მკვლელობა. სიკვდილი სხვაა, მკვლელობა სულ სხვა. სიკვდილი ბუნებრივი პროცესია, მკვლელობა – ნაძალადევი და ანტიბუნებრივი. ვაჟას უკვირს –

სიკვდილი ყველას ვეაშინებს,  
 სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან,  
 კაცნი ვერ პერძობენ ბევრჯერა,  
 როგორ დიდს ცოდვას სწადიან.

(„სტუმარ-მასპინძელი“)

შვილის ნუკრი ცას და მიწას შესტირის, დედა რომ მოუკლეს („შვილის ნუკრის ნაამბობი“). ია გულამოსკვნილი ქვითინებს იმის გამო, რომ ხე მოჭრეს. მერე დაღლილ-დაქანცული ქედანიც მოკლეს („ია“). ყველა თოფ-იარაღიანი კურდღელს დასდევს. ეს ისეთი თავზარდამცემი სანახაობაა, რომ გულგატეხილმა შეიძლება იკითხო – „წადი და შენ კაცს ღმერთი და სამართალი სთხოვე“ („კურდღელი“). კლდე გმინავს, როცა მკერდზე სისხლი დაეწვეთება („კლდე“). არა თუ მკვლელი, ხარის უდიერად მზავრელი გლეხიც კი დასწეულდა: „წინათ მტანჯველი ხარისა ეხლა იტანჯვის თავადა. ცოდვიანია, ამდენს ხანს იმიტომ არის ავადა“ („ხარისთვის უდიერი“). რაღა ბევრი გავაგრძელო, ვაჟასთვის მკვლელობა, სისხლის ღვრა გამოუსყიდი დანაშაული და ცოდვაა. ამავე დროს იგი სრულებით არ წუხს, პირიქით ალტაცებულია და ხოტბას ასხამს მტრის სიკვდილს. „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“ („ბახტრიონი“). ხმალი, რომელიც უხმარობით დაჟანგდა, იმ დღეს ნატრობს, როცა ისევ სისხლით შეიღებება („ხმლის ჩივილი“). როცა საქმე წახდა და ვაჟაკობა გაცუდდა, ბაკურმა საკუთარ ცოლ-შვილს დასჭრა თავები და მერე მომხდურ მტერს. „თორმეტი მოჰკლა ციხის კარს, ერთურთზე დააწვინაო“ („ბაკური“). ჯარისკაცი სიამაყით და გამამხნეველად სწერს დედას:

შშვიდობით! დაკრეს საყვირსა,  
 კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:



საჩუბრად, სისხლის საღვრელად,  
თოფის, ზარბაზნის სროლაზე.  
მხნელ მივალ, ვერვინ დაგცინებს  
ლაჩარის შეილის ყოლაზე.

(„ფშაველი ჯარისკაცის წერილი“)

რა არის ეს – ვაჟა ზნეობრივ შეხედულებათა წინააღმდეგობაში მოექცა თუ დაჩაგრული ერის შეილში შურისგების გრძნობამ გაიმარჯვა? მოყვასის სიყვარულს ამჯობინა სამაგიეროს მიზლვა? ამ კითხვას, ალბათ, ორი პასუხი შეიძლება მოეძებნოს. პირველი ის, რომ სამშობლოს დაცვა, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა ისევე წმიდათაწმიდა და დიდია, როგორც ღმერთის სიყვარული, როგორც მოყვასის სიყვარული. „ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს პოულობს. ბუნებაც ამას ალბათ იმიტომ ჩაადენინებს კაცს, რომ იმისათვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა“ („ფიქრები“). ამიტომ, თუ საჭიროა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დასაშვებია სისხლის ღვრა. ეს არ არის ცოდვა. იგი მადლია: ვინც მტერს მტრულად არ დაჰხედავს, მისი სახელი კრულია“ („სისხლის ძიება“). ეს არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს. თავად იესო ბრძანებს: „ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ მოისხამს, მოჭრიან და ცეცხლში ჩააგდებენ“ (მათე, III, 10). თორემ რა ემართება შემოქმედს, მადლი თუ გამოუღევა და ცოდვა მოსჭარბდება, ეს ვაჟას მკაფიოდ აქვს აღწერილი:

სღუმს ჩანგი, გული ბნელია,

...

იგივ მარჯვენა და კაცი,  
იგივ კალაში მჭრელია  
დაჩლუნგებულა, დამდგარა,  
შემოხვევია გველია.

რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარად არის საქმე, როცა ცოდვა იშვიათია და მადლი გამრავლებული.

მხრები მესხმება, ვიზრდები,  
ცად ვიწვე ასაფრენადა,  
გაჩნდება სადღაც ნათელი,  
გულს ჩამიდგება სვეტადა.

(„როს უუკვირდები თავის თავს“)



მეორე პასუხია ის, რომ ვაჟას სჯერა სულის უკვდავება: „მწამს, მარად მიწაშებია მუდმივ სიცოცხლე სულისა“... („მწამს, მარად მიწაშებია“). ღმერთის ბოძებული სული ღმერთისავე წიაღში ბრუნდება... „...სული ღვთისაგან ჩადგმული, ღვთისგანვე წაგერთმევისა“ („მოწოდება“) და „სული ღმერთთანა, – იქ, სადაც ბრწყინვენ ციური ძალები“ („ხმა სამარიდამ“). რაკი ასეა, სული უკვდავია და განახლება-აღორძინებასაც ემორჩილება. ღმერთის წიაღში იგი განიწმინდება, კათარსის გაივლის და ხელახლა მოგვევლინება. მიწაზე მტრობისა და ბოროტების დასჯა იმიტომ არის აუცილებელი, რომ ზეცაში დაბნაშავეს და ბოროტმოქმედს მონანიების და განახლების საშუალება ჰქონდეს.

სულთა სიკვდილი არ ითქმის,  
 დროდადრო აიშლებიან,  
 ხელს უკიდებენ ერთმანეთს,  
 მთა ველად გაიშლებიან...  
 („ბნელეთი“)

როცა ზვიადაურის, ჯოფოლას და ალაზას მიწიერ ვნებათაგან გაწმენდილი სულები მთაზე შეიკრიბებიან:

ვაჟაკობისას ამბობენ,  
 ერთ-ერთის დანდობისასა,  
 სტუმარ-მასპინძლის წესზედა  
 ცნობის და და-ძმობისასა.  
 („სტუმარ-მასპინძელი“)

მე არ ვიცი, რა -იზმი შეიძლება ეწოდოს იმას, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რაც ვაჟას ნააზრევში დავინახე. ვიცი მხოლოდ ის, რომ ვაჟას პოეტური ხილვების რომელიმე კონკრეტული -იზმის ჩარჩოში ჩასმა შეუძლებელია.

ნათელია ისიც, რომ ვაჟა მორწმუნე ქრისტიანის თვალთ უყურებდა სამყაროს. მისთვის ღმერთი „ცა-ღვდამიწის გამშენია“ („ქებათა-ქება“).  
 – ვიცანი, ღმერთო, სამყარო, – ეს შენი დანაბადები“ („ვიცანი, ღმერთო, სამყარო...“).  
 „ღმერთო, შენია ქვეყანა, შენი ნაღვაწი სრულადა“ („შემოდგომა მთაში“).

მთელი სამყარო ერთმანეთს ღმერთისმიერი სიყვარულით უკავშირდება.

ცოცხლებს უძგერებს კვლავ გულსა,  
 შივ ია-ვარდის მრგველია,

იმისგან ჰყვირის ირემი,  
მისით დაფრინავს შველია;  
მისგანა ვალობს ბულბული,  
მისგნითვე მწვანობს ველია,  
იმისგან ხარობს ბუნება –  
უკანასკნელი მწერია...  
ზღვაში ილუპვის ჭაბუკი,  
თავის სატროფოსთვის ხელია.  
დიდება ქვეყნის შემოქმედს,  
რა კარგად დაუწერია!..

(„სოფლისა წესი ასეა“)

ამ უდიდესი პარმონიის ცენტრში დგას ადამიანი, რომელსაც, ზეცნობიერების საშუალებით, ყველაფერთან აქვს ურთიერთობა და შეუძლია ყოველი არსის ენა გაიგოს.

უზარმაზარი მითოლოგიური სამყარო, დახატული ვაჟას შემოქმედებაში, ორგანული ნაწილია იმ კუთხის მოსახლეობის ცნობიერებისა, რომელიც პოეტის დაკვირვებისა და ასახვის საგანი იყო. მითოსის თვინიერ ვაჟას პერსონაჟები, მათი ყოფა არასრული იქნებოდა. თორემ ვაჟა თავად განმარტავდა „ეთნოგრაფიულ წერილებში“: „როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი, ფშაველი არის ცრუმორწმუნე: ეშმაკებით და დევეებით სავსე ჰგონია ქვეყანა. თვითეულ ადგილს, მთას, გორას, ხევს მისი წარმოდგენით, ჰყავს დედა, რომელსაც „ადგილის დელას“ ეძახის.“

ეს ერთი, მეორეც: მითოსური აზროვნების გარეშე, საერთოდ, პოეტური აზროვნება ნაკლებია. ვაჟას ღრმად სწამდა, რომ სამყაროს, ადამიანის არსებობას კეთილი წარმართავდა, მაგრამ ხანდახან მაინც ეჭვი ეწვეოდა და კითხვას სვამდა:

რით დასრულდება სიტურფე  
სიცოცხლის, მთისა, ბარისა?!  
მზის ძალა მაცოცხლებელი,  
მასთან ნათელი მთვარისა?

(„მთას ვუცქერ“)

ამის პასუხი კი ვაჟას აღარ მოუცია.



## არსებობის შიში

როცა გვიანი შემოდგომა ბუნებას გააშიშვლებს, სხივდაღლილი მზე გაკრეფილ ვენახებს, აჩაღულ ყანებს, ფოთოლგაცვივებულ ტყეებს გააშუქებს, მოახლოებული ზამთრის ქარი ყვითელ ფოთლებს ჰაერში ააფრიალებს, ხოლო კაცის გულს სევდა და კაემანი შემოაწვება, იმერეთის ორღობებში ყველაზე ღუხჭიბრი ფანტაზიის მქონე ადამიანიც კი დაინახავს ფერდებჩაცივებულ, ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებულ პლატონ სამანიშვილს და მასთან მოსაუბრე ადვოკატ ივანე გვერდევანიძეს...

სოფელ-სოფელ ჯორით მოჯირითე სოლომან მორბელაძეს...

უკვე აღებულ ყანაში მოფუსფუსე ეფროსინე ქაშუშაძეს, აქა-იქ შემორჩენილ ტაროებს რომ დაეძებს...

თავის დაქცეული ქოხის წინ, ჯირკზე ჩამოძვდარ, დამუნჯებულსა და დაჩაჩანაკებულ ლევან ქაშუშაძეს...

წმინდანის უყურადღებობითა და უსულგულობით გაოცებულ და გაოგნებულ კაცია საგუნაშვილს...

ხორციელად ლამაზსა და მოხდენილ, მაგრამ სიღარიბით დაბეჩავებულ და ცხოვრების ხალისწართმეულ კაროენა ქარსიძეს...

ღობესთან გაქვავებულ, დაღლილ-დაქანცულ, გაფითრებულ და პირგამეხებულ ფეფენას, რძალსა და ახნაურ დავით კარუგდელაძეს რომ მისჩერებია...

მოწულ კარავთან მდგომარე უცნაურ ბერიკაცს მიქელა გიორგაძეს, სწულ შეილიშვილს გრძელ ჯოხზე ჩამოცმული ქოთნით რომ აწოდებს საზრდელს...

საიქიოდან დაბრუნებულ ვასილ კარიკაძეს, რომელიც პირდაბჩენილ მეზობლებს უამბობს იმქვეყნად ხილულსა და გაგონილს...

ჯორზე გადაძვდარ მზიარულ ხუცესს, ვისაც უკვე დავიწყებია, სად არის თეთრი ზღვა თუ ჰქრორის ლავრა და გვარის იმედად, ათითორმეტი წლის ბიჭი რომ მიჰყავს სასულიერო სასწავლებელში...

ეკლესიის ეზოში თავმოყრილ მრევლს, სინანულითა და საყვედურით სავსე სიტყვებით რომ ამუნათებს მღვდელი...

„— ერთობ უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ გადვიფრენთ ხანდა-ხან თავზედ... გულის-წყრომას ხომ საზღვარი არა აქვს ხშირად... თუ რამ დავიჯინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც რომ მტყუანიც ვიყვიო... უთუოდ ჩვენს ნებაზედ უნდა იქნეს ყოველისფერი და თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც აღარ გავარჩევთ, ოღონდ-კი სურვილი ავისრულოთ... დათმენა რა არის — ხშირად არც-კი გვინდა



ვიცოდეთ. და აი, სადამდის მივეყვართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... უყვით  
ღმერთსაც-კი ვებრძვით... კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზე  
არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულებო... ამაზედ მეტი შეიძლება?!  
აი, სადამდის მივეყვართ ჩვენს გულფიცხობას... აი, სადამდინ მიდის  
ჩვენი უგუნური გულის-წყრომა!.. დამშვიდდით, შეილუბო, ისწავლეთ  
მოთმინება... რომ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელი შესანანიებლად  
ისევ თქვენვე არ დაგირჩეთ!..“ („შერისხვა“).

რამ გამოიწვია ეს საყვედური? რა დანაშაულს მოჰყვა იგი?

ერთი საყანე ადგილი კაცია საგუნაშვილმა შესასვენებლად გაუშვა.  
მიწა მოღალუელი იყო და მოსავალს აღარ იძლეოდა. ამ შემთხვევით  
ისარგებლეს სოფლელებმა და შესვენებული ადგილი ვზად გადააქციეს.  
თავდაპირველად კაცია საგუნაშვილს ამისათვის ყურადღება არ მოუქცევია,  
მაგრამ მერე, როცა გადაწყვიტა შესვენებული ადგილის ისევ ყანად  
დამუშავება, სოფელმა თემშარა აღარ დათმო. არც კაცია იხვედა უკან  
და არც სოფელი. საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ წაგებული  
კაცია დარჩა. სოფელმა თავისი გაიტანა. ამან კაცია საშინლად  
გააბოროტა. განსაკუთრებით შეიძულა მეზობელი ანდრია ჭურაშვილი.  
დაბოლომილი კაცია ვველა აკაკობას ანდრიას აბრალებდა. რაკი  
სამართალი ადამიანთა შორის ვერ ჰპოვა, საშველად კაცია საგუნაშვილმა  
წმინდა გიორგის ხატს მიმართა. ანდრია ჭურაშვილი დასწყევლა და  
ხატზე გადასცა. ასე ფიქრობდა: წმინდანი მიუკერძოებლად გაარჩევდა  
მტყუნსა და მართალს და ანდრია ჭურაშვილს უთუოდ დასჯიდა.

მიდიოდა დრო და წმ. გიორგის აზრად არ მოსდიოდა ანდრიას  
დასჯა. ჭურაშვილი ჩინებულად გრძნობდა თავს და მალე დაივიწყა  
ხატზე გადაცემაც და საგუნაშვილის მტრობაც.

ერთ დღეს, როცა წმ. გიორგის ხატი ეკლესიის ეზოში გამოასვენეს  
და მღვდელმა ვედრებით მიმართა, კაცია საგუნაშვილი ხატთან მიიჭრა  
და ჰგმო წმ. გიორგი:

„ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?.. ძალლი ვიყავი მე, ჩემი რომ  
არაფერი შეისმინა მაგან?!“

კაციას მკრეხელობამ თავზარი დასცა ხალხს. არც კაციასათვის  
დარჩენილა უშედეგოდ წმინდანის გმობა. ბერიკაცი თანდათან დასნეულდა,  
დაუძლორდა, განმარტოვდა და შეშლილს დაემსგავსა.

როცა კაცია საგუნაშვილი მოკვდა, სოფელმა იგი სასაფლაომდე არ  
მიაცილა. „ვერ ვიტყვით, ღმერთს ვაწყენიებთ, რომ მისი მგმობელი  
ვიტყვიეთ“.

კაცია საგუნაშვილის ამ გულზვიადობამ გამოიწვია მღვდლის  
გულისტკივილი.



„შერისხვაში“ მკაფიოდ ჩანს დავით კლდიაშვილის შემოქმედების ძირითადი თემატ და პრობლემატ – ამპარტავნება, ცრუმორწმუნეობა. როცა მწერალი გადატაკებული აზნაურების ცხოვრებას გვიამბობს, კაცებრივ ამპარტავნებას ემატება კლასობრივი გულზვიადობაც.

მართალია, მშრომელი და მუშაკაცია ოტია ქაშუშაძე, მაგრამ ძალიან ეთაკილება, თოხი რომ უჭირავს აზნაურს ხელში („ქაშუშაძის გაჭირვება“).

ერთ დღეს ყანას ხნავდა ოტია. დედამ სადილით მიაკითხა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ოტია სირცხვილით დაიწვა, როცა, ეკვირინეს გვერდით, ცოლიც დაინახა, იგი არ ელოდა სონიას მოსვლას. არ უნდოდა ცოლს ენახა აზნაური ოტია ქაშუშაძე ყანაში გლეხივით გუთანსმოკიდებული. სონია ახალშერთული ჰყავდა და ქალმა ჯერ კიდევ არ იცოდა კარგად ქაშუშაძეების გასაჭირის სიღრმე-სიდიდე.

„შენ რამ ჩამოგიყვანა?! – ღიმილით უთხრა მან ცოლს, რომლის მიჩერებულ თვალების ქვეშაც უხერხულად გრძნობდა იგი თავის თავს; ოტიას სცხვენოდა, რომ სონია ხედავდა მას პერანგისა და მის ამხანაგის ამარა, ტიტველი წვივები ტალახით აზელილ მიწით შეითთხნილი, ხელებ მოხერილი“.

სონიასაც თავზარი დასცა ქმრის ამ მღვომარეობაში ნახვამ. ვერც ქალის ამპარტავნება შეგუებოდა და შეჩვეოდა აზნაურის გლეხივით მუშაობას:

„როგორც იგი თავის თვალთ ხედავდა, ამ წამში, ამ ხანად მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქაშუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოვლის მხრით ისეთივე გლეხი, როგორიც აი გადაღმა ყანაში რომ მუშაობდა, მათი მეზობელი პეტრია დინარაძე, სრული მსგავსი მისი, გარდა ამისა, რომ აზნაურიშვილად იწოდებოდა, აზნაურობისათვის სასაცილო ხასიათი ეძლეოდა და თითქმის უფრო ამცირებდა ოტიას ამ გარემოებაში. ამას ხედავდა, ამას გრძნობდა სონია და შელახული მისი თავმოყვარეობა უცნაურად ამუშავებდა მის გონებას“.

სონია ჯინჭარაძე-ქაშუშაძე კინალამ გაგიჟდა, როცა დედამთილმა უთხრა – ბავშვი გლეხ სამადაძეს უნდა მოვანათლინოთო.

„მათ უყურე, ამათ უყურე!.. შენი ჭირიმიე!.. ეს-ლა მაკლდა, რომ ყაზახს მოვაკიდინო ხელი შვილისათვის?! ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი ამას, რას, რას?! დედა, უთხარი რაშე, ნუ გვარცხვენენ, ნუ ოხრობენ... საბოლოოდ ნუ მუდრეგდებიან!... მიშველე, შენ გენაცვალე!“

ამპარტავნება არც პელაგია ჯინჭარაძეს აკლია, მაგრამ იმის უნარი კიდევ შერჩენოდა, დაენახა ამ გარიგების სარგებლიანობა ქაშუშაძეების ოჯახისათვის. შვილი დააშოშმინა და დაითანხმა, ყოფილიყო სამადაძე

პაწია ქაშუშაძის ნათლია. ხოლო ლაზღანდარა და შარახვეტია პორფირი ბიაშვილი ცინიკურად ხითხითებდა – „ნეტავი მეც მომნათლავდეს ეს ოჯახ-დაქცეული, თუ-კი მართლა მდიდარია! ცოტა რამეს მაინც გამოჩნებოდა კაცი!“

ნათლობის დღეს, როცა ღვინომ ყველას წაართვა განსჯისა და მორიდების უნარი, გლეხი სამადაძე და აზნაური ბესარიონ ქაშუშაძე წაიწივნენ ერთმანეთს, აქაც ამპარტავენებამ იჩინა თავი.

„– გაწყინა პატივისცემამ, ყაზახო?! – შეუბღვირა მან და მისკენ გამოწყულ სამადაძეს ისე ღონივრად წაჰკრა ბლიქვი გულ-მოსულმა, რომ ეს კაცი საცოდავად დაენარცხა მიწაზე.“

დაცემული უცბად წამოაყენეს, ამან იგი თითქო გამოაფხიზლაო, ათრთოლებული, გაბრაზებული, იგი მთელი სხეულით ცახცახებდა და თავდაპირველში სიტყვის წარმოთქმა არ ეხერხებოდა.

– ყაზახი ვარ! – შეჰყვირა მან, წელში გამართულმა, – ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნოუშვილს კიდევ ვჯობივარ!.. თუ ძალაზედაა, მობრძანდი, ახლა მობრძანდი, ისე დაგებუნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული!.. შენისთანა აზნოუშვილების რა მცოდნია?!“

ატყდა ჩხუბი, ცემა-ტყეპა...

ასე გამოშხურდა, ერთი მხრივ, გვარიშვილობით გამოწყეული ამპარტავენება და, მეორე მხრივ, სიმდიდრით, ქონებრივი შეძლებით დაბადებული გულზვიადობა.

ეს ამპარტავენება-გულზვიადობა უშლის ხელს მათ, დაამყარონ ერთმანეთში ადამიანური სათნოება და სიყვარული.

აზნაურს ფეხით სიარული არ შეშვენის და პლატონ სამანიშვილი მზად არის, მტრის თვალის მოსატყუებლად, ჯაგლავი ცხენით იჩანალოს („სამანიშვილის დედინაცვალი“).

„– ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია? – უთხრა მელანომ.“

პლატონმა რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ცხენმა სულ კანკალი დაიწყო.

– აბა, ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?!

– კი, მარა სულ არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?

– ფეხ-ფეხა მივეყები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივეყები!.. სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!..“

მართლაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა უკან პლატონი თავის „ბედაურს“, რომ გზად ადვოკატი ივანე ვვერდეკანიძე წამოეწია და იძულებული გახდა ამხედრებულიყო. მთელი ეს სურათი ნათლად ავლენს, კლასობრივი ამპარტავენების გამო, როგორი ვაინაჩრობით\* ცდილობენ შეინარჩუნონ

\* ვაინაჩრობით – ძლიერებით, წვალებით.





აზნაურობის პეწი. თუშკა იგი დიდი ზანია გაზუნდა და მისგან აღარაფერი დარჩა.

ჯიშურ სალობერიძის ოჯახში სტუმრობდნენ. ღვინით გამტყვრალმა კირილე მიმინაშვილმა გასცა პლატონ სამანიშვილის მოგზაურობის მიზანი.

„ერთ უშვილო დედაბერს ღვეძებს სადღეინაცვლოდ და მითხარით, ჩემგან რა შეწუხება მიჰყენებია... დავსდევ უკან შეძებარეით!.. ეგებ, ბიძია, გვეულებოდეს სადმე უშვილო დედაბერი და ამ ყმაწვილს ეგებ გული დაუშოშმინო!..“

პლატონი გაშრა, სირცხვილისაგან ცოცხლებში აღარ ერია“.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟებისათვის მნიშვნელობა და ფასი ნამდვილს კი არა აქვს, არამედ – მოჩვენებითს. მთავარია მოჩვენებითი მხარე იქნეს შენარჩუნებული. თუ ეს ილუზია დაირღვა და სინამდვილე გაშიშვლდა, მაშინ მორბელაძეების, სამანიშვილების, ქაშუშაძეების, ქარსიძეების ამპარტავნება და პატივმოყვარეობა შეურაცხყოფილი და დამცირებულია. ამის ატანა კი მათთვის მეტისმეტად ძნელია. მათი სული ბორჯავს, ვერ ისვენებს. მწუხარება, დარდი, კაეშანი გარდაუვალი ხდება. თითოეული მათგანი საკუთარი ამპარტავნების მსხვერპლად იქცევა. ზოგჯერ ეს სასაცილოდ გამოიყურება, ზოგჯერ – შემადრწუნებელ უბედურებად. მაგრამ ამას არაფერ უწევს ანგარიშს. ამაზე არაფერ ფიქრობს. კუდაბზიკობა ამარცხებს სიმართლეს.

სოლომან მორბელაძეს შინ ერთი ქოთანნი ლობიოც არა აქვს, მაგრამ, როგორც გულუხვი და დარდიმანდი მასპინძელი, კალთას ახვეს სტუმარს, ვახშმად დარჩიო („სოლომან მორბელაძე“).

„შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!.. ბიჭო! – დაიძახა სოლომანმა: – პლატონის ცხენს უნაგირი მოხადე!“

....

დაგაწვეწ, დაგზურავ, დაგაძინებ... დილით ადრე ადგები და წახვალ, შე კაცო!.. – არ ეშვებოდა სოლომანი“.

სტუმარი არ დარჩა. შინშებრუნებულ სოლომანს ცოლი საყვედურით შეხვდა:

„აბა, რომ ეპატიუბოდი იმ კაცს, რა გვეულებოდა სახლში მისატანად?! ნეტავი შენ კუდაბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდა რა!.. რომ დარჩენილიყო, რას აპირებდი?!“

თვითდაცინვით და ირონიით არის სავსე სოლომანის პასუხი:

„ერთი, ორი შეპატიუებით რავა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს... შევეპატიე, ვალი მოვიხადე... ისე ხომ ვერ გავუშობდი...“



თურმე ორივე მხარემ კარგად იცის, რას ნიშნავს ეს თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა. მონვენებითა ყველაფერი თავიც ამის შესაბამისად უჭირავთ. ორივე მხარე ზუსტად თამაშობს. მოხდენილად ატარებს ნიღაბს. არაფერი ეშლებათ. მაგრამ ამპარტავენებით გამოღრღნილ მათ სულს თანდათანობით ეშუქრება სრული დაშლა. ამპარტავენება აიძულებს მათ ჯერ იცროუნ, ტყუილი ილაპარაკონ, მერე კი თავმოყვარეობა დაკარგონ.

არაფერი გააჩნია დარისპან ქარსიძეს, მაგრამ პელაგია საბელაშვილს მაინც ატყუებს („დარისპანის გასაჭირი“):

„თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ კაი ოჯახები გვაქვს გვარში... თუ ყველას არა... ზოგიერთებს მაინც... ჩემს თავზედ მოგახსენებთ — რომ მობრძანდეთ ჩემს ოჯახში, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვერაფერს დამიწუნებთ, თქვენ არ მომიკვდეთ!.. ერთობ გაწყობილი ოჯახი მაქვს!..“

ეკვირინე ქამუშაძეც ტყუილით ცდილობს ანუგეშოს რძალი. გაპარტახებული ოჯახი დოვლათითა და ბარაქით სავსედ წარმოუდგინოს („ქამუშაძის გაჭირება“):

„აქანაი, შვილო, ჭურები გვაქვს... იცოცხლე, ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა!... საპანე რატომ ოცი მანეთიც არ ღირდა, ისეთი რამ მშვენიერება იყო!.. აძლიეს კიდევ თექვსმეტი მანეთი, მეტსაც მისცემდნენ, მარა არ შევლია!.. ძნელი შესალევია, შვილო — კაი ღვინო ოჯახის დამამშვენებელია... წრულსაც, იმედია, ღმერთი კიდევ უკეთესს მოგვცემს!.. ღვთის მადლით, ვენახი კარგი გვაქვს, თუ არა შენი ღამაში თვალებით ნახავ ეხლავე!.. ისეთი ტვენები ასხია, თითოსაგან რატომ ბოთლი ღვინო არ გამოიწურება!..“

ასევე უქებს დედამთილი რძალს ბალ-ბოსტანს, სასიმინდეს, ეზო-კარს, მაგრამ სონია კარგად ხედავდა, რომ ეკვირინე ატყუებდა მას. ეს არ ყოფილა წინასწარ განზრახული სიცრუე, უბრალოდ მოხუცი ცდილობდა რძლისათვის რწმენა ჩაენერგა, იმედი მიეცა, დაღონების საფუძველი მოესპო. მაგრამ ეკვირინე ქამუშაძეს ერთი რამ ეშლებოდა: სიცრუის საძირკველზე იმედის სასახლე არ აშენდება. არც სოლომან მორბელაძემ იცის ეს. ისიც სიცრუით ცდილობს გამხნეებას:

„იმის შეგემინდა რომ არაფერი გვაქვს?! თუ არა გვაქვს — გვექნება, გვექნება!.. იმისთანა ტკიცინა, წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, რომ თვალები ავიჭრელოს... ექვსს ერთად... როგორც კაცი!.. შენ დარდი ნუ გაქვს, გული არ გაიტეხო, მხიარულად იყავი... ჯერ ხომ არაფერი წამიხდენია?..“

კაცებრივი და კლასობრივი ამპარტავენება წარმოშობს ტყუილს. ტყუილი კი სპობს თავმოყვარეობას. როცა ამ პროცესს ადევნებთ



თვალს, მკაფიოდ ხედავთ, როგორ იკვეთება დავით კლდიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟი – თავმოყვარული ბადაკარგული ამპარტავანი კაცი.

პირველად შეიძლება მოგეჩვენოს, რომ შეუძლებელია ერთ ადამიანში ერთდროულად არსებობდეს ეს ორი, ერთმანეთის გამოძრიცხავი, თვისება, მაგრამ მწერლის ყოვლისმხილველი თვალი წვდება ადამიანის ყოფის საიდუმლოს და ეს უცნაური მოვლენა დღის სინათლეზე გამოაქვს. დ. კლდიაშვილს არ ეპარება ადამიანის სულის მოძრაობის არც ერთი ნიუანსი. ზუსტად გადმოგვცემს მას და მკითხველს ეჭვის საფუძველი აღარ რჩება.

ამპარტავნება და უთავმოყვარეობა სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს. საკმარისია ტყუილის კოშკი დაინგრეს, რომ ისინი სასოწარკვეთილებას მიეცნენ. ნისლივით ქრება ორივე – ამპარტავნებაც და თავმოყვარეობაც.

როცა სოლომან მორბელაძე გააცუცურაქვს და სამაშვლო არც ბესარიონ საქარაძემ მისცა და არც ქაიხოსრო ქათამაძემ, სვედამწარებული მაჭანკალი სიძეს მივარდა და შეპირებული თანხა მოსთხოვა. ნიკო ქათამაძემც ჯიბეგამოფხეკილი იყო და სოლომანის დამშვიდება ტკბილი სიტყვით სცადა.

„– სოლომან, ენდე ჩემს ყმაწვილ-კაცობას, არ დაგიკარგავ შენს გასამრჯელოს... ერთ დღეს იქნება, გავისწორდები... მეღვას ვალად ეგ შენი სამსახური!

– ვალად გეღვას? კუჭი მიხმება, ყმაწვილო, კუჭი მიხმება! ახლა მინდა საჭმელი... ვალად გეღვას?.. მაგის იმედი რას მომეშველება, როცა ეს არი ვკვდება კაცი?! მიბოძე, თუ რაზე გაქვს მაგ პორტმანეში!..“

ნიკომ საფულე მოჩხრიკა და შიგ ექვსი მანეთი და ორი აბაზი აღმოჩნდა. სოლომანმა მაშინვე გამოსტაცა ეს ფული და მადლობაც არ უთქვამს, ისე განშორდა ყმაწვილ კაცს.

სადღა არის გულზვიადი, ამპარტავანი აზნაური, რომელიც ტკიცინა თუშნინებით ტრაბახობდა. საცოდავი, მშვიერი, შესაბრალისი კაცილა დარჩა.

უნამუსოდ და ურცხვად მოიქცა ბეგლარ ჯინჭარაძე. ჯერ დისწულის ნათლობაში ყველას დასანახად დანიშნა ნინო ქველიძე, მერე კი, როცა გაიგო ფულად მზითევს იმდენს არ მისცემდნენ, რასაც ითხოვდა, დაუყონებლივ მიატოვა ქალი („ქამუშაძის გაჭირვება“). არ შეუწყუხებია იგი არც ქალის ბედს და არც საკუთარ სინდისს. არც ნინო ქველიძის საჯარო შეურაცხყოფა უდარდა და არც ღვიძლი დის ოჯახის უზერხულ მდგომარეობაში ჩავდება.

ბეგლარის საქციელი არ უნდა გვიკვირდეს. უნამუსობა ამპარტავნების მედლის უკანა მხარეა.

აღბათ პლატონ სამანიშვილის აზნაურული ღირსება ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ფეხმძიმე ქალს საცემრად გაიმეტებდა, მაგრამ როცა ძმის გაჩენა მის ქონებრივ მდგომარეობას დაემუქრა, დედინაცვალი სასიკვდილოდ გასწირა. მართალია, მოკვლით ვერ მოკლა, მაგრამ, მამის გარდაცვალების შერე, დედინაცვალსაც და პატარა ძმასაც ცხოვრება გაუმწარა.

ეს დაუნდობლობაც თავმოყვარეობის დაკარგვის შედეგი იყო.

რამ შექმნა და ჩამოაყალიბა თავმოყვარეობადაკარგული ამპარტავანი კაცი? სოციალურად – უკიდურესმა ქონებრივმა სიღატაკემ, ზნობრივად – ნამდვილი რწმენის შეცვლამ ცრუმორწმუნეობით.

სიღარიბის შემზარავი და უნუგეშო სურათია დახატული „მრეკლშიც“ და „ქაშუშაძის გაჭირვებაშიც“.

„ეს წველიაღი, რომელიც ამ სახლში დამყარებულიყო და რომელიც ისე უსამაოვნოდ მოხვდა გულზე პირველი ფეხის შემოდგმისთანავე, ეს სიღარიბე, ეს სიღატაკე, ამ სახლის ყოველი კუთხიდან რომ გამოსჭვივოდა, ეს საწყალი ავადმყოფები, რომელთა უსაშუალობაც თვალებში ეჩხირებოდა, ეს მუმიასავით შეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი, ჩუმაღ რომ ცრემლებს ღვრიდა, თავისი უღონობა ამათი შეწვევისათვის, – ყოველივე ეს კიდეე უფრო ნაღველს უმატებდა მის ისედაც დანაღვლიანებულ გულს, მწუხარებას უმწვავებდა, უნუგეშობაში ავდებდა, ამ ცხოვრებას ყოველსავე სინათლეს აკლებდა და ყოველსავე სასოწარკვეთილებას უკვეთავდა. სვედით მოცული გული, ამღვრეული სული, შემოწოლილი გრძნობა გამოთქმას ითხოვდა, იწვევდა საღალადებლად, ხმა-მალლა წარმოსათქმელად თავის უნუგეშობისას, თავის სვედიანობისას“.

ანუსიას ოჯახის ხილვით მარტო ზოსიმე მღვდელი კი არ არის თავზარდაცემული, არამედ – მკითხველიც.

„ჩვენ რომ გვიფურო, ამას იტყვი, კაცის მჭამელს უნდა შეეცოდოსო და შვილმა მივივიწყოს?! ა, ვარჩევ გამხმარ სიმინდს ყანაში თითო ტარობით და მომაქვს, დაკაკლავ და ეგება ვინმემ სამოწყალოდ წამიღოს ეს ერთი კალათა წისქვილში დასაფქვავად. მრცხენია, თავი მოვაწყინე ყველას დაფქულის თხოვნით... ჩვენთვის, შვილო, არც საჭმელია, არც სასმელი, არც წყალი, არც შეშა... ცხელ საჭამადს ეგებ ორ-სამ დღეში ერთხელ ველირსოთ, თუ არა და ცივ ჭადზე ვაგდივართ, ჩემო შვილო!“ – შესტირის ეფროსინე ქაშუშაძე სონიას.

ოდესღაც თავმოწონე აზნაური როსტომ მანველაძე მარტომმარტოა მიტოვებული. შეილებსაც აღარა სცალიათ ბერიკაცისათვის. ისინი სხვათა კარზე დახეტიალობენ. „თავათაც დროს ატარებენ და სხვებსაც ეხმარებიან დროს ტარებაში“. თუ ხანდახან შინ შემოიხედავენ, შეკრებენ,



შეაგროვებენ შემორჩენილს და სასწრაფოდ ისევ ქალაქის გზას დაადგებიან. შოსამსახურე დათიას ამარად არის დაგდებული როსტომ მანველაძე და ზანტ მთქნარებაში ჰკლავს წუთისოფლის უკანასკნელ დღეებს. იგი სულიერად უკვე კარგა ხანია მკვდარია. ამიტომაც „აღარც სახლთ-უნუკვისს ჯავრი აქვს. აღარც მარშლების, აღარც ბანკისა, აღარც ოჯახისა, აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, — კარგად არიან, ავად არიან, სად არიან, ვისთან არიან? თხოვლებიან თუ ისევ ქალიშვილობაშივე ბერდებიან“ („როსტომ მანველაძე“).

თუ დარბაზან ქარსიძე ასულის გასათხოვრად მინც დაწანწალებს, როსტომ მანველაძეს ამისი თავიც აღარ აქვს. იგი სრული უმოქმედობა და აპატიჟაა.

თუ ხორცის უმოქმედობა წარმოშობს ქონებრივ სიღარიბეს, სულის უმოქმედობა შობს გონებრივ სიღატაკეს. დ. კლდიაშვილი თანაბარი ძალით აღწერს ქონებრივი და სულიერი სიღუბნების თავზარდამცემ შედეგს.

რალაც საზადმა გაანადგურა მიქელა გიორგაძის ოჯახი („მიქელა“). აღარც უფროსი შვილიშვილი სპიდონა შეარჩინა განგებამ. იგიც დასნეულდა. კულგახეთქილმა მაიამ, მიქელას რძალმა, შვილი, პატარა ნესტორა, დედულეთს გახიზნა. იქნებ იგი მინც გადარჩენილიყო და საძულამოდ არ ჩამქრალიყო მიქელას კერა.

თავგზადაკარგულ მიქელას სახლის გაწმენდა ურჩიეს: შეიძლება რაიმე მანვე შეგებარათ სახლში და შიგ იყოსო დაბუდებული. ამ რჩევამ გამოაცოცხლა ბერიკაცი. სასწრაფოდ შეუდგა საქმეს. კარავი დაწნა, ეზოს კუთხეში დადგა და სნეული სპიდონა იქ გადაიყვანა. აღარ უნდოდა გაწმენდილ სახლში ავადმყოფი დაეტოვებინა. აღარც სპიდონას მორჩენის იმედი ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ერთ დღით, ავადმყოფმა თავად განაცხადა — საიქიოში ვიყავი, ერთი წლის ვადით გამოშაბრუნეს. ერთი წლის შერე კი ისევ საიქიოში მიხმობენო. იყო მიტოვებული სნეული სპიდონა, მხოლოდ საზრდელს თუ მიაწოდებდნენ ხანდახან.

ერთ ღამეს საშინელი ლესტერია<sup>1</sup> დაატყდა თავს სოფელს. ყველაფერი წალეკა ნიაღვარმა. დღით სპიდონა ქვა-ლორღში არეული იპოვნა ბაბუამისმა. როცა მიქელამ რძალს უთხრა, სპიდონა მომკვდარაო, საშინლად ჯაიოცა მაიამ — „მომკვდარა?! წელიწადი რომ არ შესრულდება?“ მიქელამ დაამშვიდა ქალი — „ალბათ შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუვია, რა ვადა დაუნიშნეს“.

<sup>1</sup> ლესტერია — დიდი წვიმა, თავსხმა.



როცა ამ სიტყვებს კითხულობთ, სული გვეინებათ: სადამდე შეიძლება იყოს ცრუმორწმუნეობით დაბნელებული ადამიანის ვინება. რა საშინელი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მიაშიტობამ და უმეცრებამ. ბუნებით კეთილი და სათნო ბერიკაცი არაცნობიერად მკვლეელი გახდა. და ეს ჩაიდინა „კეთილი მიზნით“ – ჯიშის, მოდგმის გადარჩენის სახელით.

მთელ სოფელს სჯერა, რომ ფეფენა კუდიანია („მსხვერპლი“). ვეელას ეშინია მისი. ფეფენა კი ნამდვილად ერთი გაჭირვებული, გაუხარელი ქალია. იგი წუთისოფლის სიმძიმემ უკმეზ და პირქუშ ადამიანად აქცია. ასაკით და ცხოვრებით მოტეხილ ფეფენას ვერ აუტანია ახალგაზრდა რძლის მარინე ხმელაძის სიხალისე, სილაღე, მხიარულება. დედაბერს ეშინია ლამაზი და ცქრიალა მარინე ვინმემ არ აცდუნოს და ოჯახს თავი არ მოეჭრას. ეს შიში მას მერე გაუძლიერდა განსაკუთრებით, რაც ახნაურ დავით კარუგდელაძისა და რძლის მეგობრული ურთიერთობა შენიშნა.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა რძალ-დედაძილილი ერთმანეთს. ფეფენამ სძლია მარინეს. სიცოცხლით სავესე ყმაწვილი ქალი ჩამოხმა, ჩამოღრა, გაყვითლდა და დაჭკნა. მძიმე სნეულს დაემსგავსა. სოფელში კი ხმა დაირხა, კუდიანმა დედაძილმა მარინეც კუდიანი გახადაო. მაშინ მარკოზა ხმალაძემ შეიღის შინ წაყვანა გადაწყვიტა. მაგრამ მარინე იმდენად იყო დამფრთხალი და დაძაბუნებული, რომ მამას ეძუდარებოდა: „გამიშვი, შენი ჭირიმე, ჩემო მამა... მომკლავენ, მამა!...“ სულიერმა ტერორმა სრულიად უნებისყოფო გახადა იგი.

მარკოზა ხმელაძეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „უხსნა“ შეილი კუდიანობისაგან. „საიქიოში ნამყოფმა“ ვასილა კარიკაძემ „გამოტეხა“ მარინე და ათქმევინა – ჩემმა დედაძილმა შემაცდინა და დამაჭერიანო კავშირი ეშმაკთან.

შვილის უბედურებით გადარეულმა მარკოზა ხმელაძემ გავარვარებული ნაღით დადალა ფეფენა. ნაწამებმა, ღონეშიხდილმა და დაოსებულმა მარინემ ვერ გაუძლო ამდენ საშინელებას და დედის ხელებში დალია სული.

შემზარავია მარინე ხმელაძის ბედი, მაგრამ უფრო შემადრწუნებელია სოფლის კმაყოფილება მარინეს ეშმაკისაგან „ვანთავის-უფლებით“:

„გამოტეხილს რაღა აცოცხლებს?... არ გამოეტებათ, უარესი ცოდვა იქნებოდა... იცოცხლებდა-კი, მარა რაღა სიცოცხლე იქნებოდა მისი... ბოლოს ზომ წაწყმედილი იქნებოდა მაინც...“

დიდად მადლიერი იყო ხალხი მარკოზასიც: კარგი მამობა გაუწიაო შეილს. „სვინდისიერი კაცი ბრძანებულხართ... შეილის კაი პატრონი... ღმერთმა გიწინამძღვროს!“



ვასილა კარიკაძით ხომ ყველა აღტაცებული დარჩა და დარჩა:

„— ძალიან საქმე ქნა იმ დალოცვილმა ადამიანმა!

— ღვთის კაცია, შე დალოცვილო... ვივინდარა ვინმე ხომ არ არის!”

მართლაც არ არის კარიკაძე ვივინდარა. მას გულწრფელად სჯერა იმისი, რასაც აკეთებს. ვასილამ დიდსულოვნად თქვა უარი ფულზე, რომელიც მარინეს „განკურნებისათვის“ შეაძლიეს. „ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფულის საბოჭავათ კი არ მოუნიჭებია, შე კაცო!“ — უთხრა მან მარკოზას.

სამინელი და თავზარდამცემია სწორედ ის, რომ ბოროტებას სწადიან გულწრფელი, მართალი და პატიოსანი ადამიანები, რამეთუ უმეცრების, სიბნელის, ცრუმორწმუნეობის გამო არ უწყვიან, რას აკეთებენ. ბოროტების აქტი აღესრულება კეთილის სახელით. დ. კლდიაშვილი ხატავს სამყაროს, სადაც, საუბედუროდ, თავდაყირაა დაყენებული რწმენა, თავმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული. ამ სამყაროში რწმენად ცრუმორწმუნეობაა მიღებული, თავმოყვარეობად — ამპარტავნება, მოყვასის სიყვარულად — მოყვასის მოტყუება-გაცუცურაკება. ადამიანის ღირსება ხურდავდება ლუკმაპურად.

ომან ქამუშაძეს უყვარს ძმა, მაგრამ ცრუმორწმუნეობის გამო მასაც, სოფელთან ერთად, სჯერა, რომ მისი რძალი, ლევან ქამუშაძის ცოლი ეფროსინე კუდიანია. ომანი შვილის — კოწიას — ავადმყოფობას ეფროსინეს აბრალებს. კეტით მოსაკლავადაც მიუვარდება ომანი ძმასა და რძალს: „რა ვუქენით საამისო მაგ არა-წმინდას, ასე კბილი რომ ჩაასვა საწყალ ბავშვს!.. მოვკლავ, მოვკლავ, ამ წუთში მოვკლავ, ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ იღვამს!..“ ვინ იცის, რა ცოდვას დაატრიალებდა ომანი, ოტია ქამუშაძეს რომ არ ეყოჩაღა და ბიძისთვის კეტი არ წაერთმია.

სოფელიც შელადადებს ეფროსინეს:

„— გაანებე თავი, ეფროსინე... თუ მართლა შენგან არის, შენი მიზეზითაა ეს ბავშვი, მიუტოვე, აპატივე, ნუ ჩადგამ ფეხს ცოდვაში.

— ოუშვი, ეფროსინე, თუ რამე შენგანაა! ნუ შერები მაგას!..“

ამ უსამართლო და უნიადავო ბრალდებით გაოგნებული ეფროსინე დაბნეული უაზროდ ლულულუდებს:

„შენ მოჰკითხე, შენ მოჰკითხე, ჩემო გამჩენო, პასუხი, შენ მოჰკითხე პასუხი, ვინც მე ათასნაირ უბედურებას და უცნაურობას მახვევდეს და მიგონებდეს...“

გამოიკვთა და ჩამოყალიბდა დავით კლდიაშვილის მეორე ძირითადი პერსონაჟიც — სიღარიბით და ცრუმორწმუნეობით დაბნელებული კაცი.

როცა დავით კლდიაშვილის პროტაგონისტების თავგადასავალს ვკითხულობთ, ზოგჯერ მათი ამპარტავნება ღიმილს გვევრის და სიცილის



გუნებაზე გვაყენებს, მაგრამ მათი სიღარიბე, სიბეჭავე, ცრუმორწმუნეობა და საცოდაობა ყოველგვარი ხალისის სურვილს გვართმევს და იწვევს სიბრალულს, თანაგრძნობას, თანაღმობას. ღიმილი პირზე გვაშრება, როგორც კი მივხვდებით ორ ჭეშმარიტებას: პირველი ის, რომ გაჭირვებული ადამიანი შეუძლებელია იყოს დაცინვის საგანი და მეორეც ის, რომ როგორც არიან ადამიანები, ისეთია ქვეყანაც. თავის სამშობლოს სიბეჭავესა და გაჭირვებას კი არავენ დასცინის ამქვეყნად. ქართველი კაცის ჭაპანწყვეტას დ. კლდიაშვილი გამკილავი თვალით კი არ უყურებდა, არამედ — თანაგრძნობით, თანაღმობითა და სიყვარულით სავსე გულით. და თუ ხანდახან მწერლის ჭკვიან და კაემნიან სახეს სევდიანი ღიმილი გაანათებს, ეს იმედია, ჩანერგილი იმათგან, ვინც, როგორც თავად ბრძანებს, გული სიყვარულით გაუთბო, ასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა.



ქართველი კაცის ბუნებას და თვისებას „ეფნისცყაოსანს“ კი არ გამოხატავს, არამედ „რწმული და ჭაბჭულს“ არაქა „ეფნისცყაოსანს“ საუკეთესო ქართველს თქვება, „რწმული და ჭაბჭულა“ კი — ანსებელი რეალობაა მოყვასის საშველად ქართველი იძულებულია კარდაკარ იაზნოს, თნიუნა-თნიუნით იძიეთს უკლებელი და ასე მძალწითს სანადვოს. ქართველს ცნობების ეს ფიქრულია უკრძკობით არ იცვლება.

საქი შაჩაჩი





## სევდა ისტორიისა

ჩემი აზრით, ისტორიულ თემას, როგორც მხატვრული ნაწარმოების მასალას, ორ შემთხვევაში მიმართავს მწერალი. პირველად მაშინ, როცა სურს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის სული გადმოსცეს, ხოლო მეორედ მაშინ, როცა ისტორიული მასალა გამოადგება იმისათვის, რომ ალეგორიის მოშველიებით გამოთქვას აზრი. თუ კონკრეტული ნიმუშების დასახელებაა საჭირო, შეიძლება გავიხსენოთ ნიკოლორთქიფანიძის მოთხრობები „მრისხანე ბატონი“, „ჟამთა სიავე“, „რაინდები“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. მართალია, ნიკოლორთქიფანიძე ყოველთვის შენიშნავს, რომ მის მოთხრობებში „არაისტორიული ამბავია“ აღწერილი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მწერალს ზუსტად გადმოსცეს საქართველოს ისტორიის სული. „დიდოსტატის მარჯვენა“ კი ძირითადად ალეგორიული რომანია. ამის საბუთად თავად კ. გამსახურდიას ნათქვამიც კმარა: ამ რომანით ჩემი პოეტური მრწამსი გადმოვეციო.

ამ წერილში ნ. ლორთქიფანიძის ზემოხსენებულ სამ მოთხრობაზე იქნება საუბარი. მაგრამ ვიდრე უშუალოდ მათ შევხებოდეთ, ჯერ ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე კონცეფციას, გატარებულს „ქართლის ცხოვრებაში“, ხოლო მერე კი ვნახოთ, რა გადაიტანა მატინიდან თავის მოთხრობებში მწერალმა.

ყველას კარგად მოეხსენება ერთი ამბავი, რომელსაც ლეონტი მროველი მოგვითხრობს.

როცა ალექსანდრე მაკედონელს საქართველო დაუპყრია, ქვეყნის მმართველად აზონი დაუსვაძს. ალექსანდრეს მოუკლავს მცხეთის მამასახლისი სამარიც და მისი ძმაც. სამარის სამი წლის ძმისწული ფარნავაზი დედას კავკასიის მთებში გაუხიზნავს. ამით გადაურჩენია დედას შვილი სიკვდილისაგან. როცა ფარნავაზი დავაჟაკცებულა, შეუკრებია ყოველნი ქართველნი, შებრძოლება აზონს, დაუმარცხებია იგი და თავად გამხდარა საქართველოს მეფე. და ბოლოს ლეონტი მროველი დასძენს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაერცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნიიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ბუნებრივია, რომ ამის წაკითხვის შემდეგ გაგინდება კითხვა — რატომ დააკავშირა მემატინანემ ქართული ენის გავრცელებისა და ქართული მწიგნობრობის შექმნა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა



და ბერძენთა მიერ ხელმწიფედ დასმული კაცის აზონისაგან თავდახსნის პერიოდთან? კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ, რას ჩაუყარა საფუძველი ალექსანდრე მაკედონელმა და რა ხდებოდა ელინიზმის დროს. აი, რას ამბობს ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი რობინ ჯორჯ კოლინგვუდი:

„იმ დროს ჩვეულებრივი გახდა ბარბაროსთა ელინად მოქცევა. ბარბაროსთა გრეციზაცია ბერძნულად იწოდება ელინიზმად (სიტყვა „ელლენიზმი“ ნიშნავს ბერძნულად ლაპარაკს, უფრო ფართო აზრით, ბერძნული ზნე-ჩვეულების მიღებას), ხოლო ელინური პერიოდი არის პერიოდი, როცა ბარბაროსებმა აითვისეს ბერძნული ზნე-ჩვეულებანი. ასე რომ, ბერძნული ისტორიული შეგნება, თუ ადრე პეროდოტიკოსთა უპირველესად იყო ბერძენებისა და ბარბაროსთა შორის მტრობის შეგნება (ომები სპარსეთში), ახლა იგი ყალიბდება ბერძენებსა და ბარბაროსთა შორის თანამშრომლობის შეგნებად, მაგრამ თანამშრომლობის ისეთ შეგნებად, როცა ბერძენები ხელმძღვანელობენ, ბარბაროსები კი ემორჩილებიან მათ ხელმძღვანელობას, ხდებიან ბერძენები, ბერძნული კულტურის შემკვიდრეები და ამით ბერძნული ისტორიული შეგნების შემკვიდრეები“ („ისტორიის იდეა“, 1980 წ., გვ. 33).

ახლა შევიძლია დავასკვნათ, რომ ელინიზმის გაბატონებულ ტენდენციას – ბერძნული ენის ათვისების გზით ბარბაროსების, ანუ არაბერძენი ხალხების, გაბერძენების ტენდენციას – ფარნავაზი უპირისპირებს ქართული ენის გავრცელებას და ქართული მწიგნობრობის შექმნას. ამით ინარჩუნებს ის ეროვნულ სახესა და სულს. ასე მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული თავისთავადობისათვის.

ეს არის მთავარი და არსებითი ლეონტი მროველის ცნობაში. უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაცვისათვის ბრძოლა პასიური არ არის. პირიქით, აქტიურია. ეს გამოხატულია იმით, რომ იღვევება მრავალენიანობა. აღარ იზრახება სომხური, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ქართული ხდება გაბატონებულ ენად. გარდა ამისა, მუშავდება კავკასიის ხალხთა ძმობის თეორია. ლეონტი გვაუწყებს, რომ ქართველთა, სომეხთა, რანთა, მოვაკნელთა, ჰერთა, ლეკთა და კავკასიანთა ერთი მამა ჰყავდათ – თარგამოსი. არ მიძინია საეჭვოდ, რომ კავკასიის ხალხთა ძმობის ეს თეორიაც ფარნავაზის დროს არის შექმნილი, რამეთუ ესეც ელინიზმის ტენდენციის საპირისპიროა. თუ ელინიზმი ცდილობს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში, ბერძნული ენის მეშვეობით, სხვადასხვა ხალხთა ერთიანობა შექმნას, ქართველი მეფე იბრძვის ამ იმპერიას და უპირისპირდეს კავკასიის ხალხთა ერთიანობის სახელით, ამ ძმობის დულაბად კი ქართული ენა გამოიყენოს. აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს აზრი ახლად აღორძინდება მე-



11-12 საუკუნეებში, როცა საქართველოს ხელისუფლება ფაქტიურად მთელი კავკასიის მმართველი ხდება. ქართლოსიანთა დინასტიის თავდაცვის ჩანაფიქრის განხორციელებას ამჯერად ბაგრატიონები ცდილობენ, მაგრამ ეს ცდაც მარცხით დამთავრდება მონღოლთა შემოსევის გამო.

როგორც ვხედავთ, ფარნავაზის დროს თავდაცვის კონცეფცია სრულიად მკაფიოა.

დღეი დრო ვაგა და ქართული ენის, კავკასიის ხალხთა ძმობის გვერდით ქვეყნის სიმტკიცის ახალი ბოძი გაჩნდება – ქრისტიანული სარწმუნოება. ქართველი იდეოლოგი ახალ ფორმულას შეიმუშავებს: „ქართულად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ (სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ *lingua franca*-ს\* როლს კავკასიაში ქართული ენა მე-19 საუკუნის ბოლომდე ასრულებდა. ამის საბუთია 1881 წელს თბილისში რუსულად გამოცემული წიგნი, რომლის სათაურია – „ქართული ენის სახელმძღვანელო-თვითმასწავლებელი, შედგენილი თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის გაბრიელ ტერ-გაბრიელიანცის მიერ“. ამის მერე წერია: „აუცილებელი წიგნი ყველასათვის, ვინც ამიერ-კავკასიაში ცხოვრობს“ (ყურადღება მიაქციეთ ამ შენიშვნას).

ამრიგად, ქართული ეროვნული თავდაცვა სამ ძალას ვერდნობა – ქართული ენა, კავკასიის ხალხთა ძმობა, ქრისტიანობა. მაგრამ ასე იქნება მონღოლთა შემოსევამდე. მათი გაბატონების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვლება. დაიწყება თავდაცვის პასიური იარაღის გამოყენება – ქვეყნის გადარჩენის მიზნით ზვარაკად თავის დადება. ეს პასიური კონცეფცია მთლიანად შეცვლის ძველ აქტიურ კონცეფციას. ქვეყნისა და ერის საკურთხეველზე მიტანილი ტარიგა ცოტნე დადიანი, დემეტრე მეორე, ქეთევან დედოფალი, ლუარსაბ მეორე, შალვა, ბიძინა და ელიზბარი... ეს მსხვერპლის გალების კონცეფციაა. თანდათანობით კნინდება და კნინდება ჩვენი ქვეყანა. ამგვარი ცვლილება საფუძველი გახდა არა მარტო პოლიტიკური დაცემისა, არამედ კულტურული დაქვეითებისაც. დაქვეითების პროცესი ბუნებრივია, რამეთუ ერი აღარ აქტიურობს. ხალხი პასიურად ელის გმირს, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მხსნელად მოველინება ქვეყანას.

იმ დროს, როცა ზრუნავდნენ ქართული ენის გავრცელებისათვის, კავკასიის ხალხთა ძმობის პროპაგანდისათვის, ქრისტიანობის ქადაგებისათვის, აქტიური და მოქმედი იყო მთელი ქართველი ხალხი. ეს ერის მისია იყო და იმიტომ. ცალკეული ადამიანები, რარიგ ნიჭიერიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ამ ამოცანის განხორციელებას ვერ

\* საერთაშორისო ენა.



შეძლებდნენ. ხალხის აქტიურობა ყველაფერში ვლინდება – პოლიტიკურ, კულტურულ, სამეურნეო, რელიგიურ ცხოვრებაში. ამის საბუნთაა იმდროინდელი მწერლობა, რელიგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერება.

იმ დროს კი, როცა ქვეყნის ხსნა მსხვერპლს, ზვარაკს დაევალა, ხალხი პასიური გახდა. როგორც ითქვა, დაიწყო მოლოდინი იმ კაცისა, რომელიც მარტოდმარტო იკისრებს ტარიგის მოვალეობას და ამით დროებით შეანელებს, შეარბილებს მტრის მრისხანებას. მოქმედების ნაცვლად ხალხის თვისებად ხდება მოლოდინი. მოლოდინი პასიური ბუნების არის და ამის შედეგია, რომ, მონღოლთა ბატონობის შემდეგ, დაცემულია ქართველი ხალხის პოლიტიკური, კულტურული, სამეურნეო, რელიგიური ცხოვრება. პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყანა იშლება ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, მურწუბორივად ღარიბდება, რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ ჩანს ჩვენში დაწერილი წიგნი. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ხალხმა დაივიწყა წერა-კითხვა. დაეცა რელიგიური ცხოვრებაც.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პოლიტიკური, კულტურული, სამეურნეო და რელიგიური გამოფხიზლების ახალი პერიოდი იწყება მაშინ, როცა ერის მხსნელი ზვარაკის კონცეფცია შეიცვალა ახლით – თავშესაფრის ძებნის კონცეფციით. მართალია, არსებითად ესეც პასიური კონცეფციაა, მაგრამ გარკვეულ აქტიურობას მაინც შეიცავს. მისი განხორციელება დამოკიდებული არ არის მხოლოდ ცალკეულ პირებზე. აქაც აუცილებელია ხალხის მონაწილეობა და მხარდაჭერა. მოლოდინის მაგიერ მაინც მოქმედებაა საჭირო. ხალხის ამოქმედებას ბუნებრივად მოჰყვა ცხოვრების ყველა სფეროს გამოცოცხლება. განახლდა მწერლობა (თეიმურაზ I, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და სხვანი), რელიგიური მოღვაწეობა (დავით გარეჯის სკოლა, ანტონ პირველი და სხვანი), პოლიტიკური საქმიანობა (ორიენტაციის აქტიური ძიება, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება და ა. შ.).

თუ არ ვცდები, მე-19 საუკუნემდე ამ სამი კონცეფციით არის გამოვლენილი ძირითადად საქართველოს ისტორიის სული. ახლა იმიტომ გავიხსენე ისინი, რომ მკაფიოდ დავინახოთ, რომელია გამოძმავებული ნიკო ლორთქიფანიძის უკვე მოხსენიებულ სამ მოთხრობაში. ამის დადგენაში მოგვეხმარება ის საერთო სვედიანი განწყობილება, რომლითაც გააუღწილია მოთხრობები. რა იწვევს სვედას?

სვედას იწვევს უაზრო შინამტრობა. ვისლა ახსოვს მთელი კავკასიის ხალხთა ძმობა და ერთობა. ერთმანეთს მტრად მოჰკიდებიან კუთხეები და გვარები. „რაინდებში“ ერთმანეთს ებრძვიან იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი. თან არც იციან რატომ, რისთვის და რა მიზნით. დიდი-დიდი რამდენიმე ყმა და მიწის ნაჭერი წაგლიჯონ ერთმანეთს.



ოდის მთავარს ეწყინა, იმერეთის მეფე რომ მცირე ჯარით დასახმარებლად. სამეგრელოს დედოფალი აბუზღუნდა:

„— აი დახმარება თუ გინდა სიმე-ბატონისაგან, ამას ჰქვია!.. თითქოს ხანადიროდ მოსულიყოს! სასაცილოდ აგვიგდო!.. თუ გავიმარჯვეთ, სახელი მისია, თუ დავმარცხდით — ჩვენ აგვიანცხებენ...“

მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ მოკლედ მოსჭრა:

— ცოტაა თუ ბევრი ჩემი ჯარი, გამარჯვება ჩემს კისერზე იყოს... თქვენი ჯარი სრულიად ნუ გამოვა! თუ გაწყრა ღმერთი და დამამარცხებს, ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმია — მოგახმაროთ ღმერთმა!..“

დააკვირდით მეფის პასუხს: ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმიაო. რა გულუხვია და ხელგამლილი იგი. რატომ? იმიტომ, რომ მტერს კი არ ებრძვის, შინაურს ეომება. თუ დამარცხდება, იმერეთის ტახტი ან დადიანს დარჩება ან შარვაშიძეს. ამას მეფისათვის პირადი პატივმოყვარეობის მნიშვნელობა აქვს და არა ქვეყნის ბედის გადაწყვეტისა. რა მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის — ქუთაისში ვინ დაჯდება ტახტზე — ბაგრატიონი, დადიანი თუ შარვაშიძე? ასე გამხდარა ეროვნული საქმე ამა თუ იმ ფეოდალური გვარის პატივმოყვარეობის საგნად.

მართალია, ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ უგულოდ და უხალისოდ. არჩილს, — წერს ნიკო ლორთქიფანიძე, — „ორი-სამი შეტაკების შემდეგ რაღაც გული აუვარდა და მხოლოდ მეფის ხათრით ვერ ტოვებდა ბრძოლის ველს“. ასე იმიტომ დაემართა, რომ ქვეცნობიერად მიხვდა, რასაც აკეთებდა, უაზრო და უმიზნო სისხლისღვრა იყო.

არჩილის მსგავს მდგომარეობაშია ასტამურ ინალიპაც, ანუ ინალიშვილი. იგი „აბჟანდზე ცერებით შედგებოდა და მიმოიხედავდა. ვინც შეუტევდა, უგულოდ გზას უთმობდა და მუომრებიც შორდებოდნენ — ზოგს შუა კაცი ეგონა, ზოგს მგლოვიარე“. როცა ასტამურ ინალიპას ერთი ჯარისკაცი არ მოეშვა, თოფი გულზე მიაბჯინა და უთხრა — „წადი, ძმაო, სხვა მონახე — შენთვის არ მცალია...“ ინალიშვილს ბრძოლა არ უნდა და თუ ვინმეს შეერკინება, ეს აგიაშვილია, რადგან მასთან პირადი მტრობა აქვს. ისინი შეხვდებიან ერთმანეთს ბრძოლის ველზე. აგიაშვილი სასიკვდილოდ დაჭრის ინალიპას. მაგრამ ეს არ გახარებია აგიაშვილს. „ამ გამარჯვებით ცოტა არ იყოს დანაღვლიანებული აგიაშვილი მივარდა ვიღაც აფხაზს და უთხრა: ინალიპა ძლიერ დაჭრილია, აი იქ... მიეშველეთ“. სინდისატკივებულმა გიორგი აგიაშვილმა ვერ მოითმინა და ისევ ასტამურ ინალიპასთან მიბრუნდა. თურმე ეს ომი და მტრობა არც ინალიშვილს მოსწონს. ასტამური გიორგის ეუბნება:



„ახია ჩემზე, რაც მომივიდა: არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშთან და იმერლებთან... არ მიყვარს მთავარი და მისი ოჯახი. შემეშინა მოღალატეთ არ გამოვსულიყავ პატრონის წინაშე, არავის ეფიქრა, რომ შიშმა ამიტაცა და ბრძოლის ველი დამატოვებია... გუშინ ცხარე სიტყვიერი შეტაკების შემდეგ, კიდევ დავტოვე ბანაკი, მაგრამ დავბრუნდი. მინდოდა მოვალეობა შემესრულებია, გესლიანი ენისთვის კლიტე დამედვა და წავსულიყავ... თქვენთან შებრძოლებაც სასახელოა. თანაც თქვენ ჩემი ძმის სისხლი გმართებდათ. გადაეცით მეფეს, რომ მისი გამარჯვება მახარებს...“

რა შეიძლება იყოს უფრო მეტად სევდის მომგვრელი, ვიდრე იმის შეცნობა – როგორ იღუპება მშვენიერი და მამაცი ვაჟკაცი ცრუმოვალეობის შესრულების გამო? რა შეიძლება იყოს უფრო დიდი უაზრობა, ვიდრე სისხლისღვრა იმისათვის, რომ ვინმე ენაწაგდებულმა ლაჩრობა არ დაგწამოს? მაგრამ ყველაზე ტრაგიკული და ტკივილის აღმძვრელი ის არის, რომ ასტამურ ინალიას სიკვდილი „მტრებს“ – იმერლებს და ოდიშარებს არ გაუხარდებათ, მაგრამ ეს იამოვნება და სიხარულს მოგვრის „მოყვრებს“ – აფხაზეთის მთავრის ოჯახს.

„– ვაი საწყალო! რაც იარაღს არ უქნია, იმას საწამლავე დამართებს, – ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა ჩიჩუამ.

– როგორ?

– მაგი არის ინალიშვილების ერთი ბუდის ერთადერთი ვაჟი-მემკვიდრე; ქალი კი მთავრის შვილს ჰყავს და დიდი ხანია უთვალთვალებს მემკვიდრეობას.

– დანარჩენი ინალიშვილები, ნათესაობა რას იტყვის?

– ოჰ, ვინ იცის... იქნება მთავრის ოჯახს იმედები გაუცრუვდეს. მაგრამ ცდას არ დააკლებენ... მორიგებიან ნათესავებთან... ბევრი რამ მაინც დარჩებათ“.

დაკარგულა ეროვნული მასშტაბით აზროვნება. იგი შეცვლილა პიროვნული ინტერესით. გამქრალა სახელმწიფო აზროვნება. იგი დაუკავებია ოჯახურ აზროვნებას. გლეხი, თავადი, მთავარი, მეფე მხოლოდ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრობს, წუხს, ზრუნავს. სახელმწიფო ყველას დავიწყებია. იმის შეგნების უნარიც აღარ აქვთ, რომ თუ სახელმწიფო მოუწყობელია, არეულ-დარეული და ქაოსით მოცული, შეუძლებელია ოჯახური და პირადი ბედნიერების მოგვარება.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება დაკარგა არა მარტო მმართველმა ფენამ, არამედ მთელმა ხალხმაც. ამან მშრომელი გლეხი მაროდირად გადააქცია. ლაზიკა, ექვთიმე, თეიმურაზი („რაინდები“) ბრძოლის ველზე დაძვრებიან და დახოცილებს ძარცვავენ.



„- თვალეში რომ ჩამწერებიხართ, რა მზეთუნახავი იშოვეთ ვაგიდოდით, მოვიარდით ამ კელს, ერთი მარჩილის საღირადღს ვიშოვიდით...“

- ვინ დაგიწყობს ახლა მინდორში ოქრო-ვერცხლს.

- შე ვირისთავი, ოქრო და ვერცხლი მამაშენს არ ქონდა და დედაშენს და ერთ გადაწყვეტილ აღვირს ან აბეანდს ქე ნახავს კაცი... ნალს მაინც ააძრობდი მკვდარ ცხენს!..

- ნალი არა, ბიჭო, და მართლა ერთი ცხენი მაინც გავატყავოთ - ქალაბნად გამოვკადგება.

- ქო და... - დაუკრა კვერი ლაზიკამ.

წავიდნენ, საღამომდის არ დაბრუნებულან.

- რა იშოვეთ?

ორივემ გაიკრიჭა.

- კაცო, ვერცხლის მოყვითლული ბუნუკი.

- ხომ გითხარით, თქვე სულელებო!..

- ნალიც ვიშოვეთ სამი - ორ ცხენს მეტი არ ქონდა და ის ცხენებიც გავატყავოთ.

- ბარაქალა...“

ვერცხლის ბუნუკი, სამი ნალი და ორი ცხენის ტყავი - აი, აღაფი და დაულა, რომელიც „გამარჯვებულმა“ მეომრებმა იშოვეს. ჯერ ეს „დაულა“ რა ღირებულებას წარმოადგენს და იმასაც თუ არ დავიფიწყებთ, რომ იგი მეზობლების, ახლობლების, მოყვრების გაფუქვის გზით მონადირეს, უნდა გულახდლიად ვთქვათ, რომ გადაგვარებისა და დაკნინების უფრო მძაფრი სურათი ძნელად წარმოსადგენია. ბუნებრივია, რომ სევდა და ტკივილი ავსებს მკითხველის გულს.

ნამუსი დიდი ხანია აღარავის ახსოვს. მთავარია გამორჩენა, თუნდაც ღირსების დაკარგვის ხარჯზე.

ნადიმის დროს იულონს ერთი გლეხის გოგო მოეწონა („ჟამთა სიავე“). მასთან ღამის გატარება გადაწყვიტა. მოურავი შეშინდა და ბატონი გააფრთხილა - „ახლავე არ შეიძლება, იმ გოგოს ძმები და მამა ახლავეს“. არ დაიშალა იულონმა თავისი. მოურავი იძულებული გახდა გოგოსთან მიპარულიყო ბატონის ზვაშიადის გასამჟღავნებლად. თურმე გოგოს მამასა და ძმებს შეუძწნეველი არ დარჩენიათ იულონის სურვილი. აღშფოთებისა და პატიოსნების დაცვის მაგიერ, ქალს ასწავლიან - „არ დაგაეიწყდეს, რაც გასწავლე: ყველაფერში დაეთანხმე და ხვალაც არ გაგიწერეს ღმერთი, არაფერი სთხოვო. ისე აჩვენე მხოლოდ თავი, რომ ჩვენი გემინია და ღამით დაბრუნდი უკანვე, რომ ქვეყანამ ვერაფერი შეგნიშნოს...“

ასე უბიძგებენ მამა შვილს და ძმები დას მრუშობისაკენ, რომ ბატონის მცირე საჩუქარი მოიპოვონ.

ხევდას იწვევს ისიც, რომ დაიკარგა ნათესაობა, ნდობა, პატივისცემა. ვახტანგი ძმისწულია ლევანის („მრისხანე ბატონი“), მაგრამ თავდავიწყებით სძულთ და მტრობენ ერთმანეთს. შუილი დაბადა სურვილმა – მიითვისონ ერთმანეთის ქონება.

„არ გეყო, რომ მამაჩემს, შენს ძმას, რისხვა მეფისა თავს მოავლინე. მეფის ბრძანებით ჩაპკალი და ეხლაც უცნობ ადგილს გდია. დედა ზაფრაზე გარდამეცვალა. რაც მოძრავი, თეთრი თუ სამკაული მქონდა, წაიღე. თუ შევარგებს, შევარგოს ღმერთმა. ახლა კი იმ სამის სოფლიდანაც მაპირობ განდევნას, რომელიც დამრჩა“, – სწერს ვახტანგი ბიძას.

ლევანი მართლაც ცდილობს საერთო ენა გამოიხსოს აფხაზეთის მთავრის შვილთან, ოდიშელ პაატა ბატონიშვილთან, რომ საბოლოოდ მოსპოს ძმისწული. ეს შეთანხმება არ გამოვიდა, მაგრამ შემთხვევის წყალობით ვახტანგი მაინც ჩაუვარდა ხელში ლევანს და ბიძამ ძმისწული საზარელი სიკვდილით დასაჯა.

მართალია, იულონი არჩილისა და ვაიანეს მალული და არაკანონიერი ურთიერთობის შედეგად გაჩნდა („ჟამთა სიამე“), მაგრამ მამა მამა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა ეკლესიის მიერ ნაკურთხი დედაკაცისა და მამაკაცის სიყვარული. მამა-შვილობას ხელი არ შეუშლია არჩილისათვის მოტყუებით მიეგვარა იულონი მეფისათვის დასასჯელად. იულონს ბრალად დასდეს შეთქმულებაში მონაწილეობა და თვალები დასთხარეს. ამ სურათს უყურებდა არჩილი, მაგრამ მისი სული და გული არ შეძრწუნებულა ამით.

ტყისპირელები უზომოდ შეაწუხა ლევანის თავნებობამ და სიმკაცრემ („მრისხანე ბატონი“). მოციქულები გაგზავნეს ოდიშის მთავართან თხოვნით – შეგვიფარეთ და გვიხსენით ლევანის ბატონობისაგან. ჯერ ეამა და გაუხარდა ეს მთავარს. აპირებდა კიდევ ტყისპირელების მფარველობას, მაგრამ აზრი პაატა ბატონიშვილმა შეაცვლევინა. ურჩია – რა სარგებელს მოგცემს ცხენისწყლის გაღმა ერთი სოფელი. უკეთესია მოციქულები შევიპყროთ, ლევანს გავუგზავნოთ, როგორც მოლაღალტენი და ამით მისი ნდობა და მეგობრობა მოვიპოვოთ. საქმისათვის ეს აჯობებსო. მთავარი მაშინვე დაეთანხმა ცბიერსა და ვერაგ პაატას. ტყისპირელთა მოციქულები შევიპყრეს და ლევანს გაუგზავნეს.

როცა ოდიშის მთავრის ბადრაგს დატყვევებული მოციქულები ლევანთან მიჰყავდა, ვაზში ვახტანგი და მისი მხლებლები შეეყარათ. ვახტანგი მიხვდა, რაც იყო მომხდარი და უდანაშაულო ტყვეების განთავისუფლება გადაწყვიტა. გაათავისუფლა კიდევ. გადარჩენილები





შინ დაბრუნდნენ. ვახტანგიც ისტუმრეს. „ყოფილი ტყვეების დედები, ცოლები მფარველ ანგელოზს უძახდნენ ვახტანგს. ვაჟები მორჩილებას უცხადებდნენ. პატივსაცემლად დიდი ნადიმი გადაიხადეს“. ყველაფერი თვალთმაქცობა გამოდგა. როცა პირველმა სიხარულმა გაიარა, კითხვა დაებადათ – რა ვქნათ ახლა? ლევანი შეიტყობს ჩვენს ღალატს, მისგან განდგომა და ოდიშის მთავართან თავშეფარება რომ გვინდოდა. და არ შეგვარჩენს ამას. მდგომარეობიდან გამოსავალი ვახტანგის ღალატში იპოვეს. სოფლის თავკაცებმა დაასკვნეს – ვახტანგი დავიჭიროთ, ლევანს მივგვაროთ და მრისხანე ბატონი ორგულობას გვაპატიებსო. ასეც მოიქცნენ. მათი კეთილისმყოფელი და გადამრჩენელი ვახტანგი დაატუსაღეს და სისხლისმსმელ ბიძას მიუყვანეს. სინდისის წინაშე კი თავი იმით იმართლეს, რომ ამ საქციელით სოფელი გადავარჩინეთო დარბევას.

გაიანესა და არჩილის გარდა არავინ უწყის, რომ იულონი ბუშია („უამთა სიავე“). დედა თითქოს უფრთხილდებოდა შვილის ღირსებას, მაგრამ საკმარისია იულონმა აწყენინოს არჩილს, რომ გაიანემ წონასწორობა დაჰკარგოს და ყველაფერი იკადროს.

მოხდა ისე, რომ იულონმა ციხე-სიმაგრეში არ შეუშვა არჩილი. სტუმრად მოსული უკან გააბრუნა. გაიანეს მოთმინების ძაფი გაწყდა.

„– როგორ ვაგწუმდე?.. იმიტომ ვიტანდი ყოველივეს, ვითმენდი საზიზღარ ლეზვს\* მაძიშენიას, რომ ბოლოს ჩემიერ ფეხზე დაყენებულ ოჯახში ჩემს საყვარელ არსებას არ გავევლებოდეს?..“

- გაწუმდი, ვინმე ყურს მოკრავს.
- ყურიც მოკრან და თავიც...
- ნუ მჭრი თავს, ნუ მარცხვენ ქვეყანაში!
- რა მენადლელება, თავი მოგვჭრება თუ არა, თუ ჩემი ურგები იქნება სახელიც და პატივიც?..

– გაკმინდე ხმა თუ არა... – ველარ მოითმინა იულონმა და ქადილით წინ წაიწია.

– აი, შე ბუშო, შენ! – მიაქაქანა ქალმა და უეცრათ აღვირს სტაცა ხელი და მთელი ძალ-ღონით გადაჰკრა“.

ასეა, ბიძა არ ინდობს ძმისწულს, მამა – შვილს, თავადი – გლეხს, გლეხი – თავადს, დედა – შვილს, შვილი – დედას. გადარჩენის საშუალებად მხოლოდ ღალატი, გაყიდვა, დასმენა, დაუნდობლობა, ორგულობა მიაჩნიათ.

ამგვარ ატმოსფეროში, ცხადია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით აზროვნება დანაშაულია. დანაშაულია იმიტომ, რომ წინ ეღობება დაკნინებულ ადამიანთა სურვილების განხორციელებას, მათ ცივამტკავლურ გვემებს.

\* ლეზვი – დორბლი.



მოხუცი მწიგნობარი ოტია ერთიან, ძლიერ, განუყოფელ საქართველოზე ოცნებობს („ჟამთა სიავე“). ამ ერთიანობის აზრს უქადაგებს იგი იულონსაც.

„— აი, რა, შვილო, საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული... ოსმალო, სპარსი, ლეკი. ახლა სხვებიც ძლიერდებიან. ცალ-ცალკე ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს.. ნელ-ნელა გვწეწენ, გვანიავენ... ხომ უყურებ, როგორ თათრდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი სამცხე, მესხეთი — სამშობლო პეტრიწისა, ნიადაგი ოპიზისა. მაგრამ თუ ერთად ვიქნით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს. დრო თამარისა და დავით აღმაშენებლისა ისევ განანათლებს ღვთისმშობლის ხვედრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი ოსმალეთს უპყრია; დიდი ნაწილი სპარსეთმა დაიუფლა; თავისუფალი ჩვენი პატარა იმერეთი-ლა დარჩა... და ჩვენ უნდა გადავუხადოთ წინათ ჩვენზე გაწეული ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს...

- და მერე ვინ უნდა გააერთიანოს?
- მე, შენ, ყველა ჩვენგანმა...“

მოხუცის სიტყვებით შთაგონებული იულონი იწყებს ფიქრს და მოქმედებას დიდი მიზნის განსახორციელებლად. მაგრამ იულონს მსტოვარნი და ქვეკამხედვარნი მეფესთან, „იმერეთის მასხარა მეფესთან“, როგორც მას მწიგნობარი ოტია უწოდებს, დაასმენენ. მერე მოტყუებით შეიპყრობენ და თვალებს ამოსწვავენ, თუმცა არაფერ იცის დანამდვილებით, დამნაშავეა თუ არა იულონი.

„რას ერჩით, კაცო, ვინაა მოწმე, რომ მართლა დამნაშავეა... იქნებ უდანაშაულოა... კაცის ცოდვაში ნუ ჩავიდგამთ ფეხს... — მკრთალად გაისმა აქა-იქ. ხმა იგი საერთო სურვილის წინააღმდეგი — ქრებოდა ღრიანცელში...“

რა საჭიროა საქმის გამოძიება, გამოკვლევა, როცა უბრალო სურვილიც კი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისა დანაშაულია, რადგან ემუქრება იმერეთის მეფის, წერეთლების, აბაშიძეების, აგიაშვილების და სხვა ბობოლა თავადების პირად კეთილდღეობას. ემუქრება მათ თავაშვებულ პარპაშს, თავნებობას, თავხედობას, თავგასულობას. ამღვრეულ წყალში ისინი თევზს თავისუფლად და იოლად იჭერენ. მტერია ყველა, ვინც წყლის დაწმენდას, ქვეყნის დაწმენდას, კანონ-სამართალს მოითხოვს და უნდა განადგურდეს. ჯერ ძალა მათ ხელშია და ამიტომ დრო არ უნდა დაჰკარგონ. უნდა მოსპონ ყველა, ვინც საეჭვოა და მაშინ დამშვიდდებიან. ისინი დაამხობენ იულონს. მწიგნობარ ოტიას მოკვლაც სურდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში



ჩაუვარდათ. ჭკვიანი მოხუცი შინიდან გაიპარა და ტყვეს შეაფარა თავი. მეფის ჩაურები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ. როცა ოტია გაეცა, ყველა დროისა და ყოველი ჯურის ავაზაკის დემაგოგიური ლოგიკა მოიშველიეს – „რათ უნდა გაპარულიყო, თუ დამნაშავეთ არ გრძნობდა თავს?“ ასეა, ჯალათებს გული ეთუთქებათ, როცა ვინმე ჭკუით აჯობებს და მიაძიმობით ამართლებენ საკუთარ ქვებუდანობას.

რა თქმა უნდა, სვედის აღმძვრელია ყოფა, რომელიც ქვეყნის მთლიანობაზე, ერთიანობაზე, სიძლიერეზე მზრუნველს მიიჩნევს შეთქმულად და მოღალატედ, ხოლო მის მოსამართლედ და გამსჯულად დასვაძს უნიათო, უგუნურ, ღვარძლითა და ვერაგობით სავსე ადამიანებს. როცა ამგვარი ატმოსფერო გაბატონდება, კეთილშობილება ადამიანის ზნეობის შინაარსი კი არ არის, არამედ – ნილაბი, რომელიც მალავს მზაკვრულსა და ცბიერ საქციელს.

დაპატიმრებული იულონი რომ ქუთაისში ჩამოუყვანეს, მას შეფე შეხვდა („ჟამთა სიავე“). იგი მიეგება ქვეშევრდომს და მიუსამბიძრა: „თქვენი ღრმად პატივცემული დედის გარდაცვალებამ დიდათ დამაღონა. განსვენებული ჩვენი ქვეყნის მშვენება იყო, როგორც ძველი ქართული ქალი, ოჯახის პატრონი და ოჯახისთვის მზრუნავი. საუკუნოთ იყოს ხსენება მისი და განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ; თქვენ კი იობის მოთმინება მოგცესთ ღმერთმა, რომ გადაიტანოთ ასეთი დედის დაკარგვა...“

ამ სამბიძარმა იულონი ცრუ იმედით გაამხნევა. იფიქრა, ასეთი შეხვედრის შემდეგ მეფის სასჯელი მეტისმეტად მკაცრი არ იქნებაო. ყალბი გამოდგა იულონის ვარაუდი. ამ ცბიერებით და ვერაგობით სავსე სიტყვების შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ იულონი, მეფის თანზობით, თვალების დათხრით დასაჯეს. კეთილშობილება ნილაბი აღმოჩნდა, მომარჯვებული ნამდვილი მზაკვრული განზრახვის დასამალავად.

აფხაზთა ლაშქრიდან ვილაც მხედარი გამოვიდა და იმერლები ორთაბრძოლაში გაიწვია („რაინდები“). გავიდა ავალიანი, უცნობმა მამინვე ჩამოაგდო ცხენიდან. გავიდა აბაშიძე, ისიც თვალის დახამხამებაში განგმირა უცნობმა. „ე, რავა უცადო, სანამ ყველას გაწყვეტს!“ – გაბრაზდა არჩილი და უცნობთან საბრძოლველად გაემართა. მაგრამ აქ უცნაური ამბავი მოხდა.

„უცნობი არჩილის დანახვაზე ცხენიდან გადახტა და საყელოს ღილი გაისხნა.

– ვინა ხარ? – დაეკითხა უცნობს უზერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბატონიშვილი.

– აღანელი, თქვენი ძიძიშვილი.



— მოდი აქ.

აღწერილი ეახლა. არჩილი ცხენიდან გადმოიხარა — და აღბნეწდა. „აქაა აქაა“ — თქვა.

მიძიშვილობის კეთილშობილ ტრადიციას იცავენ. მაგრამ ამას უკვე ფასი აღარ აქვს. ძმათა მკვლელი ომი იმერლებს, მეგრელებს და აფხაზებს შორის დასაშვებად და მისაღებად მიაჩნიათ. ამგვარი შეგნების ადამიანებისათვის რაღა მნიშვნელობა აქვს ტუბუშტეობის ტრადიციას? არაფერი, ოღონდ მექანიკურად ასრულებენ ერთხელ შთავგონებულს. მისი აზრი და ღირებულება კი გაუგებარია.

ბრძოლის დროს იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავრის შვილი ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ აფხაზმა ხმალი არ მოუქნია იმერელს („რაინდები“). რატომ? მოისმინეთ აფხაზეთის მთავრის შვილის პასუხი: „მირონცხებულები მეფე ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი. პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა“. არც მეფეს შემოუკრავს მოწინააღმდეგისათვის მახვილი. ეს რატომღა მოხდა? ახლა მეფის პასუხს დაუგდეთ ყური: „როგორც კი პირველად შევხვდეთ, გაეიფიქრე: ასეთი ვაჟაკის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს-თქო და ჩაუარე გვერდი...“

თითოეული მათგანის საქციელი შეიძლება კეთილშობილების სახელმძღვანელოში შეიტანოთ სანიშნოდ. მაგრამ ერთი კითხვა მაინც აწვალებს მკითხველს: თუ ასეთ პატივს სცემენ ერთმანეთს, რაღაღა ომობენ, რაღაღა ღვრიან უმიზნოდ უდანაშაულო ადამიანების სისხლს? რაღაღა აჩანაგებენ და აქცევენ საკუთარ მიწა-წყალს, სახლ-კარსა და მამულს? ამას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს — უგუნურების გამო. როცა დაკარგულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანი და იდეალი, როცა ერს აღარ აქვს ისტორიული მისიის შეგნება, მაშინ, როგორც მთელი ხალხის, ისე მისი საუკეთესო შვილების ენერგია, უნარი, ნიჭი ფუჭად იხარჯება. უფრო ბოროტების სამსახურში დგება, ვიდრე კეთილის. ამგვარი უაზრობისა და ბოროტების მონაწილეები არიან „რაინდების“ პერსონაჟებიც და ამიტომ მათ კეთილშობილებას ღირებულება არ აქვს. იგი უმიზნო ქმედების ნილაბია და ამ ადამიანთა სულიერ გამოფიტულობას მეტყველებს.

თავზარდამცემი, მწარე ირონიით იმსჯელებით, როცა კითხულობთ, როგორ სხედან დილანდელი მტრები საღამოთი ნადიმზე და ერთმანეთს ამკობენ და ადიდებენ.

„როცა არჩილის საღვებრძელოს სუამდა, აფხაზეთის მთავრის შვილმა ხოტბასა და ქებას ღიმილით დაუმატა:

— შემარცხვინე, ბატონიშვილო არჩილ, ტყვედ ქმნილს, დღეს უარარაოს ისეთი საჩუქარი მიბოძე, რო ვერ გადაგიხდი.



– თქვენ ბრძანე, ბატონიშვილო, და გადამხდელი მე ვიყოფარქონული  
... ..

– ვაკოცოთ ერთმანეთს!.. – სთქვა არჩილმა და ფეხზე წარმოიწია, მაგრამ სანამ მთლად ადგებოდა, მის წინ გაჩნდა ახალგაზრდა აფხაზი და უპირებდა გულზე კოცნას; არჩილი არ დანებდა, ერთმანეთს ღოყები დაუკოცნეს“.

როგორც ვხედავთ, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი. პირიქით, ერთმანეთი ჰყვარებიათ. მაგრამ ამას მაშინ მიხვდნენ, როცა ვნება დაცხრა, ენერგია დაიხარჯა და გონება გამოფხიზლდა. მანამდე კი უმიზნო და უაზრო სისხლი ღვარეს. ასე რომ არ მოხდეს, მათ საერთო მიზანსა და იდეალს უნდა მიაგნონ, უნდა მიხვდნენ, სად არის მტერი და სად – მოყვარე. ენერგია, მამაცობა და ნიჭი ტყუილად კი არ უნდა ფლანგონ, არამედ საერთო იდეალის სამსახურში ხარჯონ. ამის გაუგებრობა და შეუგნებლობა აწუხებს ნიკო ლორთქიფანიძეს. ამით არის გამოწვეული სევდა, რომელსაც მოთხრობის ყოველ სტრიქონში გრძნობთ. ამას აღნიშნავს და მიაჩნებს ის სტრიქონებიც, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული „რაინდებს“:

„ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოღვა, ტკივილების დროს ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, – იგი გაიგებს ჩემს სულის კვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზეპირგადმოცემების და დაღლილი ოცნების ხლართი, მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი“.

ახლა ამ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვას თუ მივუბრუნდები, უნდა დავასკვნა, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს ამ მოთხრობებში გადმოცემული აქვს საქართველოს ისტორიის იმ პერიოდის სული, როცა დაიკარგა კავკასიის ხალხთა ძმობის იდეა, ქართველი ხალხის მთლიანობისა და საქართველოს ისტორიული მისიის შეგნება. ამის შედეგად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება გაღატაკდა და იგი გვაროვნულს, ოჯახურს, ჰირადულს ვეღარ გასცდა, მასში ჩაიკეტა. აქედან დაიბადა ყველა ზნეობრივი მანკიერებაც. ამის შედეგად მივიღეთ ეროვნული ყოფის სურათი, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ასეა აღწერილი:

„ვინც კი მოდის ჩვენში უცხოელი, ფარჩა და აბრეშუმი აცვია, ვერცხლსა და ოქროში არის ჩამჯდარი, ფული აქვს და საქონელი... ჩვენ კი გაძვალტყავებული, განაწამები ველით სიკვდილის დღეს... სხვაგან თურმე ცხოველსაც არ სტოვებენ უაქიმოთ, უწამლოთ, ჩვენში კი დიდებულნი ვერ ღირსებთან ქინაქინას. მეფისათვის ვერ აგვიშენებია ხეირიანი სასახლე და იქ თურმე უბრალო მოქალაქეთაც კი ორ-სამ სართულიანი სახლები აქვთ.“



წერა და კითხვა არ ვიცით, ღმერთს ვერ შევედრებივართ წესიერად, სხვაგან მდებიონიც მეცნიერები ხდებიან, ჩვენში დიდებულები ხელის მოწერის მაგიერ საბუთზე ჯვარს ძლივს სვამენ...

სწავლა გვაკლია, ერთობა და მშვიდობიანი ცხოვრება; ესაა ჩვენი უბედურება... ქალაქში ნახშირი ვერ წაუღია კაცს, რომ გზაზე ორი მარჩილისათვის კაცი არ გამოკუჭონ სააღღვამო ვოჭივით“ („ჟამთა სიავე“).

ამ მდგომარეობიდან თავდახსნა შეიძლება უკვე მომხდარის გაცნობიერებით, მისი დარღვევა-დაშლით და ახლის აღორძინებით. ნიკო ლორთქიფანიძის აზრით, ახალი აღორძინება მაშინ, როცა მოხდება ცოდვის მონანიება, ანუ ყოველი კაცი შეიცნობს საკუთარ დანაშაულს და გამოისყიდის მას.

როგორც მკითხველს ახსოვს, ისეთი მხეციც კი, როგორც ლევანია („მრისხანე ბატონი“), ჩაწვდება თავის დანაშაულს და ბერად აღიკვეცება. იგი სათნოების განსახიერებად გადაიქცევა. „დაყოფილი ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა. ჩიტები თამამად ჯდებოდნენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდნენ თმაზე. შველი წყალზე ჩამოსული ხელიდან ართმევდა ჭადის ნატეხს. მოხუცი კი ლოცულობდა ზატის წინ. განუწყვეტლივ კითხულობდა სახარებას; უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გათელვისათვის, მზის სხივის შეურაცხყოფისათვის, ორიოდ ლუკმისათვის, რომელსაც შორიახლოს უტოვებდნენ მცხოვრებნი“.

ასევე დღედაღამ ცოდვის გამოსყიდვაზე ფიქრობს იულონიც („ჟამთა სიავე“), რომელსაც დედა შემოაკვდა. მან იცის, რომ ამ დანაშაულს ხალხი არ აპატიებს. ამიტომ უნდა მონახოს გზა, რომელიც დაეხმარება მონანიებაში და შეუმსუბუქებს სასჯელს.

მაგრამ ცოდვის მონანიება ორგვარია – პასიური და აქტიური. ლევანი პასიურად ინანიებს ცოდვას. იგი განდევნილობით ცდილობს დაადგეს კეთილის გზას. იულონი კი აქტიური საქმიანობის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზით აპირებს ჩადენილი დანაშაულის მონანიებას. „...თავს დავედებ მთელი საქართველოსათვის და მხოლოდ შემდეგ წავალ მონასტერში“. იულონი იწყებს საქმიანობას საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის. თუ მოხერხდება საქართველოს გაერთიანება, ეროვნული მთლიანობის აღდგენა, „მაშინ დაიბადება მეორე შოთა და აშენდება გელათი და სვეტიცხოველი“. მოხდება არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული აღორძინებაც. ამისათვის თავის გადადება მაღლია, რომელიც წარბოცავს ცოდვას.

ასეთი აქტიური მონანიების მომხრეა ნიკო ლორთქიფანიძე. იგი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს გულისხმობს და იმიტომ. აქ ღვივდება



ოპტიმიზმისა და ისტორიული პერსპექტივის ნაპერწკალი. მაგრამ ნაპერწკალი ცეცხლად მაშინ აგიზგიზდება, როცა ერი არსებულს გააცნობიერებს და მკაფიოდ ჩამოაყალიბებს თავის ისტორიულ ვალსა და მისიას კაცობრიობის წინაშე: აქტიურად იბრძოლებს მის განსახორციელებლად; წარსული ისტორიაც სევდის აღმძვრელი კი აღარ იქნება, არამედ – შემოქმედებითი ენერჯისა.



საერთოდ, წარსულით ცხოვრება არ შეიძლება წარსული შეიძლება განსივს, როგორც გარყვნილი ძველი ცხოვრება ყოველთვის უნდა იყოს წინ მიძირული. ყველა უნი, ყველა პიროვნება უნდა ცხოვრობდეს მიძვლეთ და მიძვლეს უნდა იყოს მისი მხრია მიძვრითილია წარსული არის გარყვნილი გაქაყვნილი მძვნიერება და შეიძლება ამით იაბაყო, მაგრამ – იცხოვრო, წარმოუდგენელია ყველაფერი უნდა წარმიძირითოს წინ, ყველაფერი უნდა წარმიძირითოს მიძვლეს სანულით. აი, მაშინ შეიძლებოთ ახალი ქვეყნის აშენებას და ახალი ცხოვრების დაშენებას.

საქაი ხაჩიანი



ზენი წარსული მაშინ დარჩება ცოცხალი, თუ დღეს ზენი შექმნილი ისტორიას, რითქოც მიძვალს წარსულად გამოიადგება და ზენი შექმნილი ისტორიით სიამაყე შეიძლებათ.

საქაი ხაჩიანი

## მოუხმარელი, ანუ ტრაგიკული თავისუფლება

მიზეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ გროტესკული\* და ალგორითული რომანია. მისი აზრობრივი შინაარსის სრულად ამოცნობისათვის აუცილებელია სამივე პროტაგონისტის – თეიმურაზ ხევისთავის, ჯაყო ჯივაშვილისა და მარგო ყაფლანიშვილის – დაწვრილებით გაანალიზება.

როცა „ჯაყოს ხიზნებს“ კითხულობთ, შეუძლებელია თვალში არ გეცეთ ერთი გარემოება: რევოლუციას, როგორც თავისუფლებას, ერთნაირი ალტაცებით შეხვდნენ ნაბატონარიცა და ნამოჯამაგირალიც.

„თეიმურაზი სიზარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა. სამოთხის კარები გაუღო. დღედაღამე ქედმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაიარლს იქნევდა და ჩაზღუქილი ხმით ჰკიოდა:

– თავისუფლებას გ... გგაუმარჯოს!, ვაშა!.. რევოლუციას გაუმარჯოს. ძ... ძირს შევე და ძალადობა!“

ჯაყოც გულზე ხელს იბაგუნებდა და ჰყვიროდა:

„– ეს ღმერთი და წმინდა ჯივარგი შეგეწიოს რევალციასა, რომელიცა რომა საწყალ ხალხს მიცემდე მიწა, სახლი და კეთილი ცხოვრება. ღმერთი, წმინდა ჯივარგი და არბოს ხატი გწყალობდე ჩუენსა მთავრობასა, რომელიც რომა ყარაულია რევალციისა და ჩვენისთანა საწყალი ხალხისა.“

მაგრამ ძალე გამოირკვა, რომ თეიმურაზ ხევისთავისათვის თავისუფლება მოუხმარელი უფლებაა, ხოლო ჯაყო ჯივაშვილისათვის – ძალადობის ნებართვა.

თავისუფლება თავისთავისათვის თეიმურაზ ხევისთავს არ სჭირდება. იგი ძირძველი არისტოკრატის შვილი იყო, პრივილეგირებული კლასის პირში და სხვათა მძაგვრელი. თეიმურაზის „წინაპრნი რკინას სჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ჰხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ... სულითაც და ხორციითაც ფოლადისგან იყვნენ ჩამოსხმული... მამულიც ვრცელი ჰქონდათ და ყმა-მოსამსახურეც უთვალავი ჰყავდათ. ხევისთავები ცხოვრების სუფრას ყოველთვის თავში უსხდნენ და ყველაფერი უკეთესი მაგათი წილხვდომილი იყო.

კლასობრივად თეიმურაზ ხევისთავს სრული თავისუფლება ჰქონდა მოპოვებული.

იქნება თეიმურაზს კლასობრივი თავისუფლება არ აკმაყოფილებდა და სულის თავისუფლების სახელით მასზე უარს ამბობდა? თავისუფ-

\* გროტესკი – მხატვრული ხერხი. სინამდვილის სატირული, გაზვიადებული, დეფორმირებული ასახვა.





ლების უზენაეს ფორმას ელტვოდა? აკი ერთხელ დიდსულოვნად განუცხადა მოურავსა: „- ტყეც და სსს... სახნავ-სათესიც ეხალხს უნდა ეკუთვნის, თავი და... დაანებე, ღალას ნულარ გამოართმევე. ხაღბო არ შეაწუხო...“

მაგრამ ეს საჩუქარი ხალხმა არ მიიღო. ზოლო მოურავი მიხვდა, მამული უპატრონოდ რჩებოდა და თეიმურაზთან სამსახურს თავი დაანება. რატომ? იმიტომ, რომ ეს განცხადება და საქციელი პრინციპული თვალსაზრისით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ ლაჩრული შიშით, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გაზეთში გამლანძღავენო.

ამრიგად, არც სულის თავისუფლებამდე ამაღლებულა თეიმურაზ ხვეისთავი.

თავისუფლება სხვისთვის კი თეიმურაზისათვის უცხო ხილი იყო. ამ პრინციპის განსახორციელებლად ფოლადის ნებისყოფა და ამოურწყველი ჯერგაია საჭირო. თეიმურაზ ხვეისთავს არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდა. არა თუ სხვისი თავისუფლებისათვის ბრძოლა, არამედ ელემენტური სამსახური არ ძალუძს თეიმურაზს შოფვასისათვის.

„თეიმურაზის კარებს ვეჭილის წარწერა ჰქონდა. ათასში ერთხელ ვინმე გზადაბნული გაბრიყვდებოდა და თეიმურაზს საქმეს ჩააბარებდა, მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა: თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა. ხან არზას დროზე არ დასწერდა, ხან გასაჩივრების ვადას გადააცილებდა, ხან ნაკისრი საქმე სულ დაავიწყდებოდა, რადგან იმ დღეს ან გადაუდებელი საგაზეთი წერილი ჰქონდა დასაწერი, ან კრებაზე იყო წასასვლელი, ან კიდევ სასამართლოში მიმავალი, ქუჩაში ვინმეს წააწყდებოდა და ისე გაჰყვებოდა კამათსა და მუსაიფში, რომ საქმესაც დაივიწყებდა და ოჯახშიც საღამოზე ძლივს დაბრუნდებოდა.“

არც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა შეუძლია თეიმურაზს. ან კი როგორ უნდა იბრძოლოს, როცა მას ქართველი ხალხის ნაციონალური ჯერგაია არ სწამს. მას შეუძლია ქართველი ხალხის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, მის თვისებასა და ბუნებაზე გაუთავებლად ილაყბოს, იყბედოს და ბოლოს მხოლოდ ნიჰილისტური დასკვნა გამოიტანოს.

„ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია! ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული არ არსებობს...“

საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი



ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირიანებით გაუვრობდით და ისე ვერიდებოდით, თითქო სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მოღრეცილი, მეორე დასავლეთისაკენ იხედებოდა და, შესაშე კი ან სამსხრეთისაკენ ჰქონდა მიბრუნებული ან ჩრდილოეთისაკენ, ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა...

წამბაძველობის ნიჭი უდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭარბვეად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვეოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონს გასვლას და ლელოს გატანას...

...შევედრებით ან დავეწვეით ოდესმე ჩვენ ევროპელებს?! ვერასოდეს! მაშ ტყუილი ყოფილა ჩ... ჩვენი ჭინთვა და პრანჭიობა. ჯერ ხეირიანი ფეხისალაგი ვერ აგვიშენებია, ჯერ მკებნარი ვერ მოგვიშორებია, ჯერ ათას ჭირისათვის და სახადისათვის თავი ვერ მოგვირიდებია, და ამავე დროს ისეთს დიდრონს ვ... ვეჭიდებით, რომ ჩემი აზრი მას ვერც მისწვდომია და ვერც გაუზომია“.

ბუნებრივია, რომ ამგვარი სკეპტიციზმით\* გულგამოჭმულ კაცს არაფრისათვის არ ძალუძს ბრძოლა. თეიმურაზ ხევისთავი ცარიელი სიტყვაა, რომელიც საქმით არასოდეს დადასტურდება. იგი უენერგიობის, უმოქმედობის, უმიზნო ლაყობის, ცრუ კვეხნის განსახიერებაა.

თეიმურაზ ხევისთავის უსაფუძვლო ამპარტავნება ებრძვის სიძართლეს. ეს დაცემის უკიდურეს საზღვარს მისული კაცი ურცხვად ტრაბახობს: „მე მომლუნეს, შეიძლება მომტეხონ, მაგრამ ვერარრ... რრასოდეს ვერ დამიმორჩილებენ, ვერრრასოდეს!“ საკუთარი მდგომარეობის ამგვარი ვერშეცნობა გონებრივი სიბრძავის ნათელი გამოხატულებაა. ამ სიტყვებში თეიმურაზის კიდევ ერთი თვისება მოჩანს: იგი ვველაფერს ობიექტურ სინამდვილეს აბრალებს, რათა სუბიექტურად იმართლოს თავი.

მიხ. ჯავახიშვილი სრულიად მკაფიოდ გვეუბნება, რომ თეიმურაზ ხევისთავის მდგომარეობაში მხოლოდ ობიექტური მიზეზის გამო არასოდეს არ ვარდება ადამიანი. სიტუაცია, რომელშიც თეიმურაზ ხევისთავი ცხოვრობს, შედეგია, უპირველესად მისი სუბიექტური

\* სკეპტიციზმი - უნდობლური დამოკიდებულება.



თვისებისა. ერთხელ თეიმურაზს გონება გაუნათდა და იყვირა „გაგიგონია, რომ გონიერი ადამიანი თვითონვე ითხრიდეს სამარულს? არ გაგიგია განა! მაშ ეხლა გაიგონე: მე ვარ მაგისტანა გიჟი, მე! მაგრამ ეს წამიერი გამონათება მაშინვე ჩაქრა და ჩაიფურფლა. ხევისთავი ისევ სიმხდალისა და პასიურობის სიბნელეში ჩაიძირა. ყოველი ადამიანი პასუხს აგებს იმ სინამდვილეზე, რომელშიც ცხოვრობს; ობიექტური საფუძვლის ძებნა სულიერი სილაჩრის გამართლებაა. ჯაყოს ხიზნობაც თეიმურაზის შექმნილი სინამდვილეა. იგი ბრალს სხვას ვერ დასდებს. ამიტომაც ამხელს დაუნდობლად თეიმურაზ ხევისთავს მწერალი.

თეიმურაზი სხვისი ფეხის ხმას აყოლილი კაცია. მან არ იცის არც ის, პირადად რა სჭირდება და არც ის, რასაც ხალხი ითხოვს. ამიტომ, როცა მოუხმარებელი თავისუფლება მიიღო, იგი დაუნანებლად და უმტკივნეულოდ გადაულოცა ჯაყოს.

ჯაყო ჯივაშვილმა კი მარტივად გაიგო თავისუფლება. მან ერთი ძალადობა მეორე ძალადობით შეცვალა. რაც ადრე თეიმურაზს მოტყუებით, თვალთმაქცობით, შხაკრობით, უნამუსობით და მალულად წაართვა, ახლა აშკარად და უნიღბოდ მიითვისა. ჯაყომ არ იკმარა სხვისი ქონების, მამულის, სიმდიდრის მიტაცება. მან სხვისი ადგილის, სახელის, ღირსების, პატივის დასაკუთრებაც მოისურვა. „- ჯაყოს მარტო ხევისთავის გვარი და შენისთანა კნენია გაკლია... ერთი კვირის შემდეგ მარგოს შევირდი რვეულში გოჯის ოღენა ასოებით სჯღაბნიდა: „ჯაყო ხევისთავი...“

ჯაყოს თავგადასავალში მიხ. ჯავახიშვილმა ჯაყოობის, როგორც გარკვეული მოვლენის, არსი ახსნა და მისი ყველა ნიშანი გვიჩვენა.

ჯაყოსა და ჯაყოობისათვის პრინციპი არ არსებობს. მისი ძალა და ღონე უპრინციპობაა. როცა საჭიროდ მიიჩნევს, საჯაროდ და საქვეყნოდ დაიწყებს ღრიანს „-გაგიმარჯოს ჟორდანაის მთავრობასა!.. გაგიმარჯოს! საწყალი ხალხი მიწა მოგცა ჟორდანაიამ“. მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვალა და გარემოებამ მოითხოვა, დაუფიქრებლად და ურცხვად აკივლდება - „ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობაი, რომელმაცა საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა! ძირს ჟორდანაია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუაძის მთავრობაი, აღარა!“

რაკი არავეითარი ღირსება არ გააჩნია, ჯაყოს და ჯაყოობის დასაყრდენი და საფუძველი ძალადობაა.

„ჯაყოს დილით-დილაძდე ზედ კვიდა რუსული თოფი, მაუზერის დამბანა, თეიმურაზის მამაპაპეული ხმალ-ხანჯალი, სამასი ვაზნით გატენილი სამი სავაზნე და ოთხი საომარი ყუშბარა“.

ებილებაძდე შეიარაღებული პირებით გარშემორტყმული დაქპრის



ჯაყო და ყველას ებუქრება, თავზარს სცემს: „მაშ, მამა! ყველაფერი ჩვენია, ჩვენი! დედას ვიტყვებდით, დედასა!“

მაგრამ ძალადობის ტრფიალი იმას არ ნიშნავს, რომ ჯაყოობას მოქნილობა და გაიძვერობა აკლდეს. თუ მუქარა არ გასჭრის, მამინ ჯაყოს აცრემლებაც, აქნაულებაც და გაკრავებაც შეუძლია. თან ჯაყოობა ყოველთვის ხალხის სახელით ლაპარაკობს. ერზე ზრუნვით არის შეწუხებული.

„- ნამინდარის ხალხმა გიბრძანა ჯაყოსა... ჩვენი სამართალი ვინდა!.. ჩვენი ხალხი მაგოდენა ნალოგი არ გადაიხნდი!“

ამგვარი ლაყობა ორპირობის, თვალთმაქცობის, ფარისევლობის ნილაბია. ნამდვილად კი ჯაყო და ჯაყოობა დაუნდობელი ყველფა და ექსპლუატაციაა.

„...თავის ნათესავეს - მამაკაცებს და დედაკაცებსაც ისე ამუშავებდა, რომ მუყაითი და გულკეთილი გლეხი იმრიგად თავის საქონელსაც არ გაიმეტებდა.“

„ჯაყოს საქონელიც ბლომად ჰყავდა და დავაეკაცებული ნათესავებიც, მაგრამ წისქვილისთვის თითქო განგებ არავის იმეტებდა: კოლიან საფქვავს თავის ცოლს აჰკიდებდა და დასჭყიფებდა:

- აბა, თახრაშუ!

ის ორფეხა პირუტყვიც წელში სამად მოიკაკვებოდა და, თავჩალუნული, სანამ წისქვილში ჩალასლასდებოდა, დაღლილი ცხენივით ორი საათი მაინც ჰხვენებოდა და ოფელში იწურებოდა.“

„- ჯაყოსთან ბატონი ამ სოფელს არა ჰყოლია, ვერც ახლო-მახლო მოიძებნება. ერთი თვით ერთი კოდი ხორბალი ვთხოვე, ერთი ორად დამისვა. სხვებსაც ასე უშერება. აქაური ხალხი თანდათან ხელში ჩაიგდო, ყველა ჯაყოს მოვალეა.“

არც ექსპლუატაციის თვალსაზრისით არის ჯაყოობა ერთფეროვანი და ცალმზრივი. ჯაყოობას კეთილდღეობის ილუზიის შექმნაც შეუძლია. ასეთი მოჩვენებითი კეთილდღეობით მოხიბლა ჯაყომ მარგო ყაფლანიშვილი. „... დღედაღამ მარგოზე ლაპარაკობდა, მასზე ზრუნავდა და მისთვის უმოვნელს მოულობდა. აღარავის და აღარაფერს არ ერიდებოდა: თეიმურაზის ცოლი დედოფლად დაისვა და ყველანი ყმებად დაუყვნა.“ თუმცა ილუზია სულ მალე გაიფანტა და მარგოც ჯაყოს მძიმე უღელმა წელში გატეხა.

ახლა შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, პატივის, სახელის



მიტაცება-მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, უსაზღვრო ექსპლუატაცია, სრული უმეტრობა და უკანონობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა, რომლის უკან იმალება გარდაუვალი გახრწნა და დაცემა.

ეს საშინელი მოვლენა ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს, რამეთუ იგი განვითარებას, ევოლუციას, სახეცვლილებას არ ემორჩილება.

მარგო ყაფლანიშვილმა სცადა ჯაყო ჯივიაშვილის გარდაქმნა. ქალმა გაპარსა, გაბანა, ახალი ტანსაცმელი ჩააცვა, წერა-კითხვის სწავლა დააწყებინა, მაგრამ ყველაფერმა ამოდ ჩაიარა. მართალია, ცოტა ხნით „ბანჯგვლიანი დათვი პირგაპარსულ მაიმუნს დაემსგავსა“, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. თეიმურაზმა მალე ნახა, რომ „მარგოს დარიგებით გაპარსული მაიმუნი კვლავ ბანჯგვლიან დათვად გადაქცეულა: წვერი გაუზრდია, გაოხილი ქურჭი და ტლანქი ჩექმები ჩაუცვამს და თავზე ტყავის ბულულა დაუდვია.“

მიხ. ჯავახიშვილს უზომოდ სძაგს ჯაყობა და მკითხველსაც ამ სიძულვილით მსჭვალავს. ამ მძულვარებას განგაშიც ახლავს, რამეთუ მოუხმარელი თავისუფლება და ძალადობის ნებართვა პიროვნებას ანგრევს და შლის, რომლის ტრაგიკული ბუნება განსაკუთრებით ნათლად ჩანს მარგო ყაფლანიშვილის ბედში.

ახლა თვალი გავადევნოთ ამ პროტაგონისტის დაცემა-დამცირების პროცესს.

ჯაყომ თეიმურაზსა და მარგოს მახე დაუგო. ნაბატონარი ნამოჯამა-გირევა ნაშინდარში დატოვა, ვითომ არ შეგაწუხებო, და ვაგზალში მარგოს მარტო ჯაყო დაუხვდა. ჯივიაშვილმა ურემი გააწყო, ნაქალბატონარი ზედ დასვა და სოფლის გზას დაადგა. ჯაყომ მარგო ლიახვის ჭალაში შეიტყუა. ღამით უპატრონო და უქონაგო ქალს ძალით ნამუსი ახადა. ძალადობის ამ ყაჩაღურმა აქტმა მარგო აღაშფოთა. ქალის მშვინივერი სამყარო შეადრწუნა.

„—მხეცო, რას შერები?! პირუტყვო!.. ვერაგო!.. ავაზაკო!..“

მარგო კი, — ნაცემი, ნაბევეი, დაძალებული და გაჭუჭყიანებული მარგარიტა ხევისთავი — ახილ ნამუსს, შელახულ პატივსა და გასრეხილ თავმოყვარეობას ცხელის ცრემლით ჰგლოვობდა, მოწამ-ლულივით პბორგავდა, სიმწირისაგან იკლანებოდა და გულში იშუქრებოდა:

დაიცადოს ჯაყომ; ძვირად დაუსვამს ამ ნადირს თეიმურაზი საშინელ თავხედობას და სიმხეცეს...“

როგორც ვხედავთ, ჯაყოს ძალადობის შედეგად მარგო ხორცით დაეცა, მაგრამ სულით სპეტაკი და სუფთა დარჩა. მას ჯერ კიდევ აქვს



იმედი, რომ მისი შეურაცხყოფილი ზორცის გამოც შურს იძიებს და მოძალადეს ძვირად დაუსვამს დამცირებას. მაგრამ, როცა მარგო თეიმურაზს შეხვდა, აღმოჩნდა, რომ ქალის მშვიფიფიერი მხედობა გაბზარული ყოფილა და მან ქმარს დაუძალა სიმართლე.

„გაწითლებული და დადუმებული მარგო განზე იხედებოდა ქმარს პირისახეს არიდებდა. სდუმდა მარგო და ამ სიჩუმით პირველად გრძნობდა ფლიდობის სიმწვავეს და ღალატის სირცხვილს.“

მარგოს ჯერ არა აქვს გაცნობიერებული, უნებისყოფობის გამო, როგორ გახდა მტრის მოკავშირე და როგორ დაადგა სრული დაცემის გზას.

თუ პირველი ძალადობისას მარგოს აღშფოთების და შეურაცხყოფის შეცნობის უნარი მაინც ჰქონდა, მეორე შემთხვევისას მან უკვე უძღურება და მორჩილება გამოავლინა.

ლამით ჯაყო მარგოს ოთახში შეძვრა და ქალის საწოლს მიეპარა. იმის მაგიერ, რომ ეცვირა და შველა ეთხოვა, „...მარგომ სიბნელეში მკლავები გაშალა და ფაშვნიერი ჯაყო ძალუმად ჩაიხუტა.“ თუ ადრე ძალა იხმარეს, ახლა თავად დანებდა მარგო. მაგრამ ქალი ამ დანაშაულს არ დასჯერდა, მან თავისი საქციელის გამართლება დაიწყო.

„...ვინ იცის, იქნება ჯობდეს კიდევაც, რომ სამუდამოდ შერჩეს ჯაყოს... ჯაყო ყველაფერს მოგცემს, რაც შენ გინდა: სიყვარულს, ცეცხლს, კეთილ ცხოვრებას, ახალგაზრდა ვაჟკაცის ჯან-ღონეს და... დღევანდელზე უკეთეს მომავალს... თეიმურაზი კი... მას აქვს წარსული, მიმავალთა შორის პატივი, საჭურისის ცოდნა... დაანებე თავი თეიმურაზს!“

და მარგომ განსჯის სასწორი ჯაყოსაკენ გადახარა. ნახევრად ტიტველი იგი დილით ეზოში გამოვიდა და ამომავალ მზეს შესცინა, ქალმა შეაშინია, როგორ უთვალთვალებდა ხარბი ჯაყო.

„მარგო შეკრთა. მკერდი პერანგით დამალა. ჯერ ჯაყოს მორცხვი სიხარულით გაუღიმა, მერე ჩაუკისკისა, მობრუნდა და ოთახში შევარდა“.

მარგო დამორჩილდა. ის პასიური წინააღმდეგობაც უარყო, რომელიც თავდაპირველად გაუჩნდა. მაგრამ დაცემის გზაზე მარგო უფრო შორს წავიდა. მან დაცემით და დამონებით ამაყობა დაიწყო.

ჯერ ჯაყოს მიმართ მადლიერების გრძნობა გაუჩნდა. როცა ჯაყომ მარგო მოფარდაგულ, მოხალიჩებულ, რბილი სავარძლებით, ხავერდის ავეჯით და მოოქროვილი სარკეებით გაწყობილ ოთახში გადაიყვანა, კმაყოფილებით თავვეზაბნეული ქალი „სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გახარებული ბავშვივით სცქმუტავდა, კისკისებდა, ლაღობდა... გულაჩუყებული და მადლიერი მარგო ჯაყოს გაპოხილ კისერზე ჩამოეკიდა:

– ჯაყო, ჩემო კარგო!.. ჩემო ჯაყო!..”

მერე თავად დაიწყო მარგომ დამლამობით ჯაყოს ოთახში სტიქიური თეიმურაზს ხელი ჰკრა, მასხარად და აბუჩად აივლო.

– გვეყოფა, გაათავე! ვნახე და გავიგე შენი წიგნების ძალაც და ნამდვილი ცხოვრებაც. ბუნარს შეუკეთე შენი წიგნებიცა და ნაწერებიც!”

– რა ჭირად მინდა შენი ფულურო სიტყვები და ჭიანჭამი ცოდნა? მნატესა და უძელო ჭიანჭელას ბუზიც კი იბრიყვებს. ჯაყომ არაფერი არ იცის, ყველაფერი შეუძლია. შენ ყველაფერი იცი, მაგრამ სანაგვეზე გადასაგდები ჩვარი ხარ, რა კაცი ხარ, ქათამიც ვერ დაგიკლავს!”

ცოლმა საბოლოოდ გასწირა ქმარიც და თავისთავიც. მარგო მთლიანად მიენდო ჯაყოს.

„პირისახეც მშვიდი, უმანკო და მამლარი აქვს. გაფუებული ძუძუები მთვარესავით ამოუვლია. მკრთალი, თითბურის მკერდი გაუღელნია და ხშირი თმა უდარდელ ღიმილით მოსილ პირისახეზე შავი გველივით შემოუვლია. თეთრი, გატიკული და თლილი მარმარილოს მკლავი ჯაყოს ბანჯგვლიან მკერდზე უღვეს.

მარგომ მოჩვენებითი თავისუფლებაც აღარ დაიტოვა. თეიმურაზ ხევისთავს გაეყარა და ჯაყო ჯივაშვილს მისთხოვდა.

მიხ. ჯავახიშვილი მარგოს თავგადასავლით თანამიმდევრულად, გამოწველილვით გვიხატავს თავისუფალი ადამიანის მონად ქცევის პროცესს. თუ ზემორე აღწერილს, დასკვნის სახით თავს მოუყვრით, დავინახავთ, რომ დამცირებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ ადამიანი პროტესტს აცხადებს. ვისაც ნებისყოფა აქვს – აქტიურს, უნებისყოფო – პასიურს, მაგრამ მაინც პროტესტს. ეს პირველი ეტაპია. მორე ეტაპი საკუთარი უძღურების შეგნება და დამორჩილებაა. ამ ორ ეტაპზე ადამიანის გადარჩენა კიდევ შეიძლება, რადგან მასში ჯერ საბოლოოდ არ მომკვდარა თავმოყვარუობის, სიამაყის და თავისუფლების გრძნობა. თუ აქ დაცემულ ადამიანს ხელისგამწოდებელი აღმოაჩნდა, იგი შეიძლება გადარჩეს, სამშვიდობო გზაზე გამოვიდეს. თუ მშველელი არ გამოჩნდა, მაშინ შესაძებ ეტაპი იწყება – თავისუფლების სრული დაკარგვა.

თავისუფლების დაკარგვისა და დამონების ყველაზე შემზარავი და თავზარდამცემი შედეგი ის არის, რომ მონა კმაყოფილია თავის მონობით და ამყობს კიდევ ამით, როგორც ეს მარგოს დაემართა. ამიტომ არის შემადრწუნებელი მარგოს თავგადასავალი.

მიხ. ჯავახიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ დამონების პროცესის ჩვენებით. იგი ამ პროცესის რეზულტატის მკაფიო სურათსაც ნატავს.



ამ სურათს ორი მხარე აქვს – მოჩვენებითი და ნამდვილი. მოჩვენებითმა მხარემ დააბრმავა მარგო და დაუკარგა განსჯის უნარი:

„მარგო სწორედ ისე იყო გამოწყობილი და მორთული, როგორც ათი წლის წინათ, როცა ჯაყოს მაგივრად თეიმურაზს ედგა გვერდით: ტანთ ეცვა თეთრი ატლასის ქართული კაბა; განიერ მკერდს უშშვენებდა ოქროს ზონარით გადახლართული და მარგალიტებით შემკული პირისფერი გულისპირი; განიერი, იასამნის ფერი სარტყელი, თავით-ბოლომდე ოქროთი და აბრეშუმით ნაქარგი, კოჭუბამდე სწვდებოდა. შუბლზე გვირგვინის მსგავსი იალქანი ერტყა, მარგალიტებით და აღმასებით მოჭედილი, ხოლო თავზე და მხრებზე თხელი თეთრი მანდილი ედო, ისიც ოქროს ფოთლებით მოქარგული; თავსაკრავის შუაგულს აღმართული ჰქონდა საუცხოო ჯილა, – ძვირფასი თვლების თაიგული. ამ თაიგულს მსზღის მსგავსი და ნეკის ოდენა მარგალიტი დასცქეროდა, რომელიც ნისლოვან ვარსკვლავით უცნაურისა და ილუმალის შუქით ციმციმებდა.“

ბედნიერების სრული ილუზიაა. მაგრამ მარგოს გონების თვალთ მხერა არ შეეძლო და მისი ნამდვილი შინაარსი ვერ ამოიცნო. იგი ვერ მიხვდა, რომ ყველაფერი, რამაც ბედნიერების ილუზია შეუქმნა, მისი საკუთრება იყო, ვერ მოუარა და სხვამ წაართვა. ახლა ეს სხვა, უცხო და გადაძთიელი, მარგოს თვალს უხვევს და მოსატყუებელ საკენკს უყრის. ჯაყო ქონების მითვისებით და წართმევით არ კმაყოფილდება. მოძალადეს მარგოს სულიერი გახრწნა-გათახსირებაც უნდა, მაშინ იზეიმებს ჯაყო საბოლოო გამარჯვებას. აღწევს კიდევ მიზანს.

უკვე გვიან იყო, როცა მარგომ დაინახა, რა იყო ჯაყოს მოოქროვილი ჩარჩოს ნამდვილი შინაარსი.

„მარგო ისე გამხდარა და გაყვითლებულა, თითქოს სამი თვის ნალოვინარი ყოფილაო. უსისხლო ტუჩები გასცრეცია და ლოყები ღრმად ჩაჰზნექია, ხოლო ღრმად ჩაცვივნილი ნუშის თვალები მიძქრალ ჭრაქივით ძლივს ბუუტავენ. ტანთ ჩითის დაკონკილი კაბა აცვია და მხრებზე გახუნებული შალი აქვს წამოსხმული.“

„– მარგო მოსტყუვდა. მე ადრევე ვიცოდი ამ საქმის დასასრული, მაგრამ სხვის საქმეში ჩარევა ხასიათად არა მაქვს.

- მაშ... მოსტყუვდა?
- ძალიან მოსტყუვდა. სასტიკად დაისაჯა... ჯაყო პირველად შშველელ რაინდად მოჩვენა. ძლიერი კაციაო. შემინახავსო, მფარველობას გამიწვესო. ეხლა კი...
- ეხლა კი?





- რაღა დაგიმალო: უხლა ჯაყომ მარგოც საქონლად გადააქცია.
- რას ამბობ, ივანე?!
- შეტსაც გეტყვი: ზოგჯერ სცემს კიდევაც“.

„მძიმე ტვირთის ქვეშ ორად მოხრილი მარგო ბილიკზე ძლივს მიაბიჯებს“.

ასე სრულდება ზნეობრივი დაცემა სოციალური მონობით.

გარდა ამისა, მარგოს თავგადასავალი ჯაყობის კიდევ ერთ ფარულ აზრს ავლენს.

კარს მოგადგება გუდამშიერი და უსახლკარო გადამთიელი. ლუკმაპურსა და თავშესაფარს ვთხოვს. ერთგულ და მორჩილ მსახურად გინჯვინებს თავს. გულუბრყვილობის, უნიათობის, უზრუნველობისა და უდარდელიობის გამო კარს გაუღებ, ჭერს და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, გაღალღება და გათავებდდება. საკუთარი სახლიდან ვაგავდებს, შენს მამულს, საქონელსა და საყოლელს მიითვისებს, ცოლს გაგიბახებს, ხასად და მხეველად დაისვამს. შენსავე სახლში გაიბულებს მოკამაგირედ დაუდგე და თავად ბატონად დაგიჯდება.

რატომ და როდის ხდება ეს? რომანში ამის პასუხიც არის. როცა მოძალადის თავხედობას და შუშიტყვას უპირისპირდება ყალბად გაგებული კაცთმოყვარეობა, უნიათო ზნეობრიობა, უნებისყოფობა და უნიადაგო ოცნება, მაშინ კეთილშობილი და ამალღებული იღუპება, ადამიანურის ნაცვლად მხეცური იმარჯვებს. ამას მარგო ორჯერ მიხვდა. ერთხელ მაშინ, როცა ქენინა მარგარიტა ყაფლანიშვილი-ხვეისთავი ჯვარს იწერდა ვიგინდარა ჯაყო ჯივაშვილზე. „და ეკლესიიდანაც, - წერს მიხეილ ჯავახიშვილი, - იმავე წაშს, ერთმანეთში უცნაურად არეულმა დედაკაცის კივილმა, ქვითინმა და კისკისმა გამოჰხეთქა.“ ეს მარგო ხვეისთავი დასცინოდა და დასტიროდა თავისთავს. მეორედ მაშინ, როცა თეიმურაზს პირდაპირ და მოურიდებლად უთხრა - „...იმიტომ სდუმდი, რომ ნებისყოფა და გამბედაობა არა გყოფნიდაო.“

უნებისყოფობის, გაუბედაობის და უნიათობის გაკვეთილი თეიმურაზ ხვეისთავმა მთელი თავისი ცხოვრებით უჩვენა მარგოს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო არარაობად გადაქცევის დამადასტურებელი ორი სურათი.

თეიმურაზმა ყველაფერი გაიგო, რაც თავს დაატყდა. არაფრის შველა შეეძლო და სასოწარკვეთილმა ხვეისთავმა თავის მოკვლა სცადა. ღიახვში გადავარდა, მაგრამ იქაც უმტყუნა სიმტკიცემ. მაშინვე მორთო ღრიალი, მიშველეთო. ნინიკამ გადაარჩინა თეიმურაზი. ნახუცარმა ივანემ შინ შეიფარა. შემინებული, თავგზაბნეული მარგო და ჯაყო თეიმურაზის



სანახავად მოცივიდნენ. ცოლი ქმრის გაკიცხვასა და გმობას მოელოდა. პირიქით მოხდა.

„თვითონ მარგო აპირებდა ფეხქვეშ ჩავარდნას და ხვეწნა-მუდარას. ეხლა კი თვითონ თეიმურაზი უღობობდა მარგოს მუხლებს და ისეთი სასოებით ნანობდა ქინძისთავისოდენა ცოდვას, ვითარცა ნაავაზაკარი წმინდანი ნანობდეს უფლის წინაშე განუზომელ ბოროტებას. გაოცებული და დაბნეული მარგო თეიმურაზის შეთხელეებულს, ჭადარა თმას მორთოლვარე ხელს უსვამდა და იმის გახურებულ ბოძვას გულისფანცქალით უგდებდა ყურს.“

კიდევ შეიძლება რაღაც კონტაქტის აღდგენა, მაგრამ თეიმურაზის უსაზღვრო სილაჩრემ ყველაფერი ჩაშალა. მან მარგოს ძმობა შესთავაზა: „— მე ისევ შენი სულიერი ქმარი ვიქნები, არა, ქმარი კი არა, შენი ერთგული სულიერი ძმა და მ... მეგობარი ვიქნები... ეს არის ჩემი უკკ... კანასკნელი მუდარა.“ ეს დაცემაც არ იკმარა თეიმურაზმა: მარგოსთან გაყრას დათანხმდა. დაყბულდა მარგო ჯაყოს შეერთო. თავად იმით დაკმაყოფილდა, რომ ხანდახან, სხვისი თანდასწრებით, ნაცოლარს დაელაპარაკებოდა.

ხორციელი და სულიერი არარაობის ამგვარმა გამოვლენამ მარგო შეაძრწუნა:

„უცებ მარგოს უცნაური რამ დაემართა. თითქოს უსაზღვრო შეურაცხყოფა მიაყენეს და წაუსმული ჩირქი მოსცხესო; წელში გასწორდა, ნაკვეთი თავი მალა ააგდო და ალექსილ პირისახეზე მიუკარებელი ამაყობა, ნაკებ თავმოყვარეობის ნისლი და აზღარბებული ამპარტანება აისახა; თვალბში რისხვის ნაპერწკლებმა გაუელვეს და ტურების ნაოჭებში მძულვარების და ზიზღის ზოლები ჩაუწვნენ.“

თეიმურაზის არარაობის მეორე სრული გამოვლენა მოხდა მაშინ, როცა იგი დათანხმდა ხვეისთავის გვარი მიეცა მარგოსა და ჯაყოს ნაშიერისათვის.

ამიტომ, მარგოს საბოლოო განაჩენი სამართლიანია:

„შენზე ცუდმდინდი სატანაც არ იქნება... შენ... შენის თავმდაბლობით შენი თავიც დაილუქე და მეც გამაუბელურე... ღმერთმა ჩემი ცოდვა შენ დაგაკისროს, თემურ!“

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ მარგოს დაცემას სამი მიზეზი აქვს: ჯაყოს ძალადობა, თეიმურაზის არარაობა და თავად მარგოს უნებისყოფობა.

მარგოს მხატვრული ხატის აზრობრივი შინაარსი სრულად არ იქნება ამოცნობილი, თუ არ ვიტყვით, რომ იგი (მარგო) ალევგორიულად აღნიშნავს ყველაფერს, რასაც დაცვა სჭირდება და რასაც ბოროტება ემუქრება.



ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს თეიმურაზის თავდავიწყებულ სიყვარულს მარგოსადმი... იგი დაუეინყარ დას, დღეს და მუელეს უწოდებს მარგოს. ამ ქალში სახიერდება ყველაფერი ამაღლებული თეიმურაზისათვის. მარტო უმწეობის ბრალი არ არის, რომ თეიმურაზი მზად არის შეუნდოს მარგოს ყველა ცოდვა. ვერ ერთი, ხევისთავი ხედავს თავის დანაშაულს და მეორეც, მას არ ძალუძს მოკვეთოს ფესვები, რომლითაც იგი დაკავშირებულია მარგოსთან როგორც ქალთან, ისე სამშობლოს სიმბოლოსთან.

„...ათი წლის ცხოვრებამ ორივენი ათას უხილავის სიმით და ფესვით შეკრა და შეპბოჭა და როცა მარგომ ეს ფესვები ამოსავლევად ამოსწია და ძაფები დასაწყვეტად დასჭიმა, თავის, ტანისა და სულის ყოველ წერტილში გაუძლიის ტკივილი და გოლოთური კენესა იგრძნო“. მაგრამ, ვითარც ეს დამახასიათებელია უნებისყოფო და უმწეო ადამიანისათვის, თეიმურაზი, დაბნეულობის ეპოს, ამუნათებს ორივეს – ცოლსაც და სამშობლოსაც.

„– თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ მაგოდენა გესღს ანთხვეთ, მაღამ ფალუს?! ბატკნების და თევზების რელიგია მაძღარ ჯაფოს რელიგიაზე გასცვალებთ და მასხარადაც ამიგდეთ?! თქვენი ერთადერთი ღმერთი ფალუსია, თქვენ მხოლოდ მასზე უნდა ილოცოთ, იზრუნოთ და იმხელოთ...“, – შხამიანი სიტყვებით ცდილობს თეიმურაზ ხევისთავი შური იძიოს მოღალატე ცოლზე.

„ჩემი უდიდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ... ქართველოში დავიბადე... ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა მეთქი, როცა ქარ... რრთველად გამაჩინა...“ – წუწუნებს და იგესლება იგი.

მაგრამ ეს სასოწარკვეთილების წუთებში ემართება, თორემ სხვა დროს თავზარს სცემს როგორც მარგოსთან, ისე სამშობლოსთან განშორების გაფიქრება.

„– არა, არა! აქედან ვერსად წავალ! მარგოს ვერ მოვშორდები! თუნდ ფეხქვეშ გამიგდოს, თუნდ ფურთხივით გამგლისოს და მონად გამიხადოს; მაინც ვერ მოვშორდები ჩემს მარგოს... ჩემს მარგუსის! ჩემს მარგალიტს, ჩემს ერთადერთ ღმერთსა და ბატონს...“.

„მეც ემიგრანტი ვარ, ჩემივე ქვეყანაში, უცხოელი ჩემივე მოძმეთა შორის. ღმერთო მიშველე!“

მართალია, თეიმურაზს უყვარს მარგოცა და სამშობლოც, მაგრამ არ ძალუძს უმთავრესი – დაიცვას თავის სიყვარული. როგორც კი საქმე დაცვაზე მიდგება, იგი უკან იხვევს და მორჩილდება ძალდატანებას, ამის შედეგად თეიმურაზის სიყვარული ამაღლებული კი არ არის, არამედ დამდაბლებული და საზიზღარი. მხოლოდ მებრძოლ სიყვარულს



მოაქვს ბედნიერება, თუ ასე არ არის, სიყვარული მონობის თავისებური ფორმაა. თეიმურაზი სიყვარულის მონობის გამოვლენაა და არა აღმართის სამშენებლის თავისუფლებისა. ამიტომ ირყევა იგი სიყვარულსა და სიძულვილს შორის. მტკიცედ ვერც ერთ გზას ვერ დასდგომა.

ამ მერყეობის შედეგია ის, რომ თეიმურაზ ხვეისთავმა კეთილი ვერ მოუტანა ვერც თანამეცხედრეს და ვერც სამშობლოს.

თეიმურაზი თეორიულად მიხვდა თავის დანაშაულს. მისი უკანასკნელი სიტყვები თვითშეიშლებაც არის, ცოდვის აღიარებაც და მონანიებაც.

„ჩემო წამებულო მარგო! ჩემო ჯვარცმულო ანგელოზო! მე ვერ მივიღებ შენს ბოდვას, ვინაიდან მე თვითონ ვარ შენგნით შესაწყნარებელი. უსახლვრო და უძირა ჩემი ბრალი. გშოდა და პური ვერ მოგეცი; გწყუროდა და წყალი ვერ დაგალეეინე; გციოდა და კარი ვერ გაგიღე. განუზომელია ჩემი ბრალი შენს წინაშე, ვოლგოთიდან მომავალი ჩემო მარგუში. შემინდე და დაივიწყე ურიცხვი ცოდვანი ჩემნი... თუ ძაღვიმს, ჩემო წამებულო, მივეცი ყოველივე დავიწყებას და შეეუდგეთ ახალ ცხოვრებას...“

მაგრამ ეს მიხვედრა, მონანიება და მოწოდება – შეეუდგეთ ახალ ცხოვრებას – არაფერს ნიშნავს. თეიმურაზ ხვეისთავის ბუნებასა და ხასიათში არაფერი შეიცვლება. იგი ყველგან და ყველა პირობებში უძლიერი, უნიათო, უსუსური დარჩება, რის გამოც ნებით თუ უნებლიეთ მხოლოდ ბოროტებას მოიტანს. ერთადერთი, რაც მას დარჩენია არსებობის (თუ მის ცხოვრებას არსებობა ჰქვია) გასაგრძელებლად, მოთმინებაა. ამიტომაც ემუდარება თეიმურაზი ღმერთს – „მოგვეც ჩვენ, დავრდომილთა და უღირსთა ძეთა შენთა, მოთმინება უღვევლი, მშვიდობა უსახლვრო და რწმენა უძირო“. მაგრამ თეიმურაზ ხვეისთავი ცდება, მწარედ ტყუვდება, როცა ჰგონია, რომ მოთმინებას, მშვიდობას, რწმენას ვინმე უბრძოლველად უბოძებს. რწმენაც, მშვიდობაც, მოთმინებაც ბრძოლით უნდა მოიპოვოს ადამიანმა. თუ ბრძოლა შეწყვეტიტე, მაშინ ასპარეზს ჯაყო დაუფლება, იგი გაბატონდება. ამაღლებული იდეალი დედის, დისა და ცოლის შეიცვლება ცინიკური ლაზღანდარობით – „დედაკაცი ბალი ხარ, თუ არ მოირწყო, გახმები“. სამშობლოცა და ქალიც იმ ბალს დაემსგავსება, სადაც ყველა მოხვეჭას, გაყვლეფას, ძარცვას ელტვის და არავინ ფიქრობს მოვლა-პატრონობაზე. ჯაყოსათვის მარგოცა და ნაშინდარიც, სამშობლოცა და მამულიც ღუშაა, რომელიც უნდა თალო და თალო და, როცა ხელთ არაფერი შეგვრჩება არხეინად მიაფურთხო და ახალი ეტებო. ჯაყოს ხელში ქვეყანასაც ისე დაემართება, როგორც მარგოს მოუვიდა. მოჩვენებითი კეთილდღეობა შეიცვლება მძიმე ექსპლუატაციით, სილატაკითა და სიდუხჭირით.

„რა არ იყო იმ მაღაზიებში საქვეყნოდ გატანილი ერთი ღუშა



პურისათვის! კაბები და საცვალი, ჭურჭელი და სურათები, წიგნები და ალბომები, სამკაული და სათამაშო, ნაქარგი და ნაქსოვი, ნაჩუქარი და სახსოვარი; ცოლ-ქმრობის, დანიშვნის, ჯვრისწერის, დაქმობის, მამაშვილობის და მეგობრობის ათასნაირი წვრილმანი, უთვალავი მოვლენებით აღსავსე, ნატიფი ნახელავი, ინტიმური და ძვირფასი ნივთი...

...უკლებლივ ყველაფერს ჰქონდა თავისი რომანი და წარსული, სიზარული და დარდი, სიცილი და ცრემლი, ინტიმური ისტორია და უცხო თავგადასავალი, იმედიანი დასაწყისი და სევდიანი დასასრული“.

ასეა, ჯაყობის ბატონობა ნიშნავს წარსულის გაყიდვას, აწმყოს ტანჯვად გადაქცევას და მომავლის სიბნელეს და გაურკვევლობას.

როცა მარგო-ქვეყნის დაცემა-დაქცევას უყურებ, ნათელი ხდება, რომ თეიმურაზ ხევისთავის უმწეო ალტრუიზმი\* ჯაყო ჯივაშვილის მოძალადე მიზანთროპიის\*\* მოკაემირე და თანამდგომია. ჯაყოს მოძალადე მიზანთროპია თეიმურაზის უმწეო ალტრუიზმის დაუხმარებლად და ხელშეუწყობლად ვერ იარსებებს. ამიტომ არის თეიმურაზი ისეთივე დამნაშავე, როგორც ჯაყო. ამიტომ არის დაუნდობელი მიხ. ჯავახიშვილის სატირა როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. მიხ. ჯავახიშვილი არ ნიღბავს თავის დამოკიდებულებას თეიმურაზისა და ჯაყოსადმი. პირდაპირ და აშკარად, მოურიდებლად უწოდებს მწერალი თეიმურაზს წიგნის ჭიას, წიგნის მატლს, ქანალ თავებს, განათლებულ ქათამს, ნაკაცარს, ნათავადარს და ა.შ. ჯაყოც ასევეა დახასიათებული – ბანჯგვლიანი დათვი, ოყრაყი, ორანგუტანი, პირგაპარსული მაიმუნი, რევილოუციის მუნი...

მიხ. ჯავახიშვილი სრულად ამხელს ჯაყობის ყველა საშინელებას. ჯაყობა თავზარდაშკეშია არა მარტო დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, არამედ მომავლისთვისაც. ერთი ფრიად დამაფიქრებელი სურათია აღწერილი „ჯაყოს ხიზნებში“.

თეიმურაზ ხევისთავისა და მარგო ყაფლანიშვილის კავშირის შედეგად ბავშვი არ გაჩნდა. ე.ი. უმწეო ალტრუიზმი და პასიურობა უნაყოფოა. მაგრამ ბავშვი დაიბადა მარგო ყაფლანიშვილისა და ჯაყო ჯივაშვილის თანაყოფის რეზულტატად. ე.ი. მოძალადე მიზანთროპია და პასიურობა ნაყოფიერია, მომავალი აქვს. ეს ხომ თავისთავად საშიშია, მაგრამ უფრო მეტი საფრთხეა მოსალოდნელი, რამეთუ მოძალადე მიზანთროპს სურს შეინიღბოს, კეთილშობილი სახით მოგვევლინოს. ჯაყო სთხოვს თეიმურაზ ხევისთავს „- მოდი, საქმეს ისე გაგაკეთებდე, რომ ამ

\* ალტრუიზმი – სხვისთვის სასიკეთო მოქმედებისადმი მისწრაფება.  
 \*\* მიზანთროპია – კაცთმოძულეობა.



პატარა ჯაყოსა ხვეისთავი დაგარქმევდე. პა, რას იტყოდე?“ თეიმურაზი თანახმაა.

ჯაყო ხვეისთავი, — ასე შეინიღებუბა მიზანთროპია ალტრუიზმით მომავალში და უკვე ვეღარ გაარჩევ, სად არის კეთილი და სად — ბოროტი. ამიტომ დაუნდობლად უნდა იქნეს მხილებული ჯაყო და ჯაყოობა. ჯაყოობის შედეგიც თავზარდამცემი უნდა იყოს. ეს რეზულტატი მარგოს დაცემაა.

მიხ. ჯავახიშვილი ამ დაცემის მკაფიო სურათის სადემონსტრაციოდ ეროტულ სცენებს ხატავს. ეს ბუნებრივიც არის. კლასიკურ სატირულ ლიტერატურაში ეროტიზმი გამოყენებულია როგორც ხერხი, როგორც საშუალება, ადამიანისა და საზოგადოების ზნეობრივი დაცემის საჩვენებლად: ასეა „სატირიკონში“, „ოქროს ვირში“, „დეკამერონში“, „გარგანტუა და პანტაგრუელში“ და სხვაგან, სადაც გროტესკული რეალიზმის კუთხით იხატება ადამიანთა ყოფა. მიხ. ჯავახიშვილიც გროტესკული რეალიზმის საშუალებებს მიმართავს, რათა მაქსიმალურად აღაშფოთოს მკითხველის მშვენიერი სამყარო, აამხედროს მორალური დაცემის წინააღმდეგ. ამიტომაც ზარავს და აძრწუნებს მკითხველს მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობა. ამ ქალის საბოლოო ბედი, როცა იგი წელში ოთხად მოკეცილი, სამპირტყავამძებრალი, მუშა საქონლად გადაქცეული მიათრევს ცხოვრების მძიმე ტვირთს...

ასეა დახატული შეუბრალებელი სატირული კალმით ერთი მხრივ ბოროტება (ჯაყო) და უმწეობა (თეიმურაზი) და, მეორე მხრივ, მათი ერთობლივი მსხვერპლი (მარგო), მაგრამ მოუხედავად ამისა, „ჯაყოს ხიზნები“ იმედით და რწმენით სავსე რომანია.

რწმენასა და იმედს ბადებს როგორც კონკრეტულად ამ რომანის, ისე მიხ. ჯავახიშვილის მთელი შემოქმედების მრწამსი: ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. მწერალს კეთილის აუცილებელი გამარჯვება კოსმოსურ კანონზომიერებად მიაჩნია. მიხ. ჯავახიშვილი ბოროტების დამსჯელს უწოდებს „ბედი მღევარს“, „ვანგების ეთიკს“ და „ბედისწერის ეტლს“.

თეიმურაზ ხვეისთავი ასეთი სიტყვებით მიმართავს ჯაყო ჯივაშვილს:  
 „... ჯაყო! კიდევ ვიღაც არის ამ ქვეყნად ღმერთის გარდა, ის „ვიღაც“ ურმით დასდევს ფეხმარდ მგლებს... ურმით დასდევს, დიდხანს დასდევს, ბოლოს, რაც უნდა მარდად ირბინოს მგელმა, სადაც უნდა გადაიკარგოს, ურმით მღვერი „ვიღაც“ იმ მგელს მაინც დაეწევა და კბილებს დააგლეჯს... დაიხსომე ჩემი უკანასკნელი სიტყვა... ამიერიდან დღე-ღამე-ღამე ამ სამართალს მოელოდე. ჩემს მაგივრად მოვა და ანგარიშს გვ... ვავისწორებს. ბედმა მღევარმა შენ თუ არ მოვისწრო, შენ შეიღებს მაინც წამოეწევა და კბილებით დაპგლეჯს, შამფურზე შესწვავს, ნელ



ცეცხლზე მოხრაკავს, ბნელ ორმოში ჩაყრის და თან გველის წიწილებს ჩააყოლებს...“

აუხდა ჯაყოს თეიმურაზის წყევლა. მართლაც დაეწია ბედი მღევარი. ხალხმა იგი ლაზათიანად მიბუკვა, თავიც გაუხუთქა, ნაქურდალი და მითვისებული წაართვა, თეიმურაზის სახლიდან გამოაგდო და ისევ იმ გომურში შელალა, საიდანაც გამოძვრა „რევოლუციის მუნი, წურბელა, ბაღლინჯო და ტილი“.

როგორც უკვე ვთქვი, მიხ. ჯავახიშვილის რწმენა კოსმოსური სამართლიანობისა ვლინდება არა მარტო „ჯაყოს ხიზნებში“, არამედ თითქმის მის ყველა ნაწარმოებში.

„განგების ეთიკი უკვე ჰყოდა მათზედა, ვინც „ყარდაში“ დამიღუპა და უხილავი თითით უკვე სწერდა ეტლს, როდესაც ხუთმეტი კაცი გააკრეს მიწაზე და ხუთმეტი ჯოხი აღმართეს მათზედა“, – წერს მწერალი „ლაშხალა და ყაშას“ დასასრულს. მერე გვიამბობს აღსასრულს ყველა მათგანისა, ვინც ბოროტება ჩაიდინა და ამთავრებს:

„ბედი-მღევარი სხვებსაც ურმით დაეწია და ახალი რუსეთის წითელ ჟინფილაზე დასწვა:

გენერალ ჩერნოზუბოვს უღმობელმა ბედმა კაკაკეში ჩასჭიდა ბასრი კლანჭები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში ვახვრიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნურატოვი ციმბირში გაიყინა, ხოლო მისი მდივანი ვოლგაში დაიხრჩო.

საზარელი არის ყივილი განგების ეთიკისა!  
დიდი არს ძალა ბედ-მღევრისა!“

„გავი შადურის“ ბოლო ამბავი კი საერთოდ დასათაურებულია ასე „ბედი-მღევარი“. რომანის ამ თავის პერსონაჟები – ყარამან ჯიქურაული და სეხნია ლაჩიშვილი მძიმე, ცოდვებით სავსე ცხოვრების გზას გაივლიან და ორივე ციხეში სიკვდილით ამთავრებს სიცოცხლეს. ორივე, ერთი – თავზეხელაღებული ვაჟაკი და მეორე – ლაჩარი და დამსმენი, ერთსა და იმავე დასკვნას აკეთებს.

ყარამან ჯიქურაული: „ბედს ვერსად წაუხვალ. ერთმანეთს რამდენიმე წელიწადს დავდევედი. მე ქარივით დავქროდი, ის კი ურმით მომდედა. მაინც დამეწია.“

სეხნია ლაჩიშვილი: „ბედი-მღევარი“ მეც დამეწია“.

ამგვარი ნიმუშების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვისაც მიზელი ჯავახიშვილის თხზულებანი დაკვირვებით წაუკითხავს, თავადაც ბევრს გაიხსენებს მსგავს მაგალითებს. ამიტომ, შესაძლებლად მიმაჩნია გავიშეორო დასკვნა: მიზელი ჯავახიშვილს ურყევად სწამს, რომ

ბოროტება აუცილებლად ისჯება, რადგან თავისთავში შეიცავს სასჯელს, იგი თავად ანადგურებს თავისთავს.

ამ რწმენის ნაყოფია, რომ რარიც მკაცრი და დაუნდობელი უნდა იყოს მიხ. ჯავახიშვილის სატირა საერთოდ, და კერძოდ „ჯავოს ხიზნები“, მისი მთელი შემოქმედება და ცალკეული ნაწარმოებნი სავსეა ნათელი ოპტიმიზმით, რწენითა და იმედით. მწერლის ეს რწმენა ქართული ლიტერატურის ტრადიციითაც იკვებება:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“

ეს არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ კრეაია, არამედ მთელი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა. იგი ვერდნობა მოძღვრებას, რომლის თანახმად, ბოროტება არარსია, უსუბსტანციოა.

ამ ლიტერატურის, ამ მოძღვრების სისხლხორცეული ნაწილია „ჯავოს ხიზნებიც“.



თუ ჩვენ კაჭი კაჭანტირბისა და თეძოზან წყისთავის თვისებები საძუადმოდ არ მოუცდელეთ და ამინახის, აუთანდღლის, თთარაანთ ქერივის, მინდაის თვისებები არ აუად თინძინეთ, დამოუკიდებელ საქართველოს ხომ ვერ აუაშქებთ და ვერ აუაშქებთ, საჯოთოდ, ჩვენ, რითგორც უნის, არსებობსაც კი შეიძლება საუჯოთ განდეს.

აქაქი ხიზნები





## ყვარყვარე

აკაკი ბაქრაძე 1973-80 წლებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. სწორედ მისი წინადადებით გადაწყვიტა თეატრმა პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმა. რეჟისორ რობერტ სტურუას სპექტაკლს „ყვარყვარე“ ეწოდა, რადგან თეატრალური წარმოდგენა ყვარყვარიზმის, როგორც მოვლენის, წარმოჩენას ისახავდა მიზნად. ამიტომაც იქნა ჩართული სპექტაკლში ციტატები პოლიკარპე კაკაბაძის სხვა პიესებიდან, აგრეთვე ბერტოლტ ბრეხტის „არტურო უის კარიერიდან“.

აკაკი ბაქრაძე წიგნში „ნიღბების სამყაროში“ მოგვითხრობს ამ სპექტაკლის დადგმის ისტორიას. სწორედ ამასთან დაკავშირებით ანალიზებს ყვარყვარეს სახესა და ყვარყვარიზმის არსს, რაც, ვფიქრობთ, ამ უკვდავი პიესის აზრობრივი შინაარსის ამოკითხვაში დაეხმარება მოსწავლეს.

ასე გვიამბობენ: ერაზმ როტერდამელს (1466-1536 წწ.) ქუთუთოზე მუწუკი ამოსვლია. ძალიან აწუხებდა, მაგრამ ექიმთან წასვლას და წყლულის გაკვეთას ვერ ბედავდა. ერთხელ, თურმე, თავისსავე თხზულებას – „ბნელი ადამიანების წერილებს“ – კითხულობდა. როცა იმ ადგილს მიაღწია, სადაც ეწვერა – *ego me diaboli inutilem pasiam* (ეშმასავით უსარგებლოს ვხდიო თავისთავს), – სიცილი აუვარდა. ისე გულიანად იცინა, რომ ჩირქიანი მუწუკი გაუსკდა და გამოერწყო. ერაზმი განიკურნა.

ლუდვიგ ფოიერბახი (1804-1872 წწ.) ამ ამბავს იხსენებს და დასძენს: „თქვენ, საცოდავო, ბეცო პრაქტიკოსებო, გააკეთეთ აქედან დასკვნა: სამედიცინო ზემოქმედება რომ მოახდინოს, ლიტერატურული ნაწარმოებისათვის სრულებით არ არის აუცილებელი საგანგებოდ განმარტოს პრაქტიკული მედიცინის საკითხები – მწერალს შეუძლია ისეთი ძალით აცინოს კაცობრიობა, რომ ქირურგიული ჩარევის თვინიერ მოაცილოს თვალებიდან ლიბრი“.

რუსთაველის თეატრის ამოცანაც ეს იყო: ლიბრი ჩამოეცილებინა ქართველი საზოგადოების თვალებიდან. ამისათვის ავირჩიე პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.



რატომ მაინცდამაინც „ყვარყვარე თუთაბერიო“? – შეიძლება დაინტერესდეს მკითხველი. პროტაგონისტი, რომელიც პოლემიკურ კაკაბაძემ გამოძერწა, მრავალმხრივ იპყრობდა ყურადღებას. მას ღრმა შინაარსი ჰქონდა. იგი არ იყო უბრალო პიკარო\*, რომელსაც ქართულ სინამდვილეში ფრიად სახელმძვავილი წინაპარი ჰყავდა ამორდიას სახით. თვლი საზოგადოება „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში“ განმარტა კიდევ, რას გულისხმობს ამორდიაობა.

„...ამორდიამ წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იკისრა სამეგრელოს მთავრის ღვეან დადიანის როლი და დაიწყო (უნდა სიმართლე ითქვას, სწორუპოვარი ოსტატობითაც) ყალბი საბუთების კეთება მსურველთათვის თავადაზნაურობის დასამტკიცებლად ქუთაისის სათავადაზნაურო საკრებულოს მიერ. ამორდიას წყალობით, საკრებულომ აუარებელ ხალხს გაუბოძა თავადაზნაურობის ხარისხი. მისი შემწევობით ქუთაისის გუბერნიაში გათავადაზნაურებულთ „ამორდიას აზნაურებს“ ეძახდნენ ირონიულად. ამორდიამ 1907 წელს ციმბირში რუსეთ-აზიის ბანკიდან, მისი ხელით გაკეთებული ყალბი დოკუმენტით, 300 000 მანეთის გამოტანაც კი მოახერხა. თავისი კარიერა ციმბირშივე დაასრულა. მას აქეთ ამორდია გვიქვია ყალბი, ცრუ, გაიძვერა ადამიანისათვის“.

ამორდიამ, ცხადია, მსუყფე საკვები მისცა მიხეილ ჯავახიშვილს კვაჭი კვაჭანტირაძის დასახატავად და პოლიკარპე კაკაბაძეს ყვარყვარე თუთაბერის შესაქმნელად, მაგრამ ერთი პროტაგონისტიცა და მეორეც გაცილებით უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ყალბისმოქმედი გააზნაურებული მდაბიო. ერთიცა და მეორეც არა მარტო მხილებაა, არამედ გაფრთხილებაც. მათ შეუძლიათ ისარგებლონ ამღვრეული დროით, ანუ მიეროზანით, ხალხის მიამიტობით და ისევ და ისევ ამოტივტივდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე. აკი ამბობს კიდევ ურცხვად ყვარყვარე თუთაბერი: „გული არ გაიტეხო, ყვარყვარე, დაილუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძერა, მე კიდევ ავცოცდები“.

უნიჭო, უჭკუო, უმეცარი, მკვეზარა და ლაჩარია ყვარყვარე თუთაბერი, მაგრამ ურცხვი და უტიფარია იგი. ქამელეონივით დრო და ჟამის შესაფერისად იცვლის ფერს. შეუძლია ყველა ვითარებას მოერგოს, ყველასთან გამონახოს საერთო ენა და წაგებული არ დარჩეს. თუ ამორდია ყალბი დოკუმენტებით ბრიფების ზროვას აცუცურაკებდა, ფულს შოულობდა და პირად კეთილდღეობას იწყობდა, ყვარყვარე თუთაბერს სურს ქვეყნის პატრონი იყოს და ხალხის წინამძღოლი. მაგრამ ამის მიღწევა ისე უნდა, რომ პირადად არაფერი ევნოს.

\* პიკარო – თაღლითი.



„ცხოვრების წესი მე ასე გამივია. კაცს კბილი უნდა გაუსინჯოთ, ირყევა, მოთხარე. მაგრამ, თუ მაგრადაა, გაქცევა მოასწარმოს“<sup>\*</sup> – გვაცნობს იგი თავის მრწამსს. სანამ ხელსაყრელი ჟამი არ დაძვარა, ყვარყვარე თუთაბერი თითქოს უვნებელია. თავისთვის ნაცარში იქექება და ზღაპრულ გეგმებს აწყობს. მაგრამ მიეროხანი თუ დადგა, მაშინ იგი ხაშიმ კაცად იქცევა. ბოროტებას მოიტანს, ქვეყნის მძარცველი გახდება და ხალხის მყვლეფელ-მწაგვრელი. „ეს მაზრა ხომ კარგად მივასწორ-მოვასწორე. აწი შევალ ჩემს რევეკომში და, იცოცხლე, ყვარყვარე თუთაბერო, ერთი ათად გამოაჩინო შენი ნამოქმედარი“.

ყვარყვარე თუთაბერი ემინი<sup>\*</sup> და მიაშიტი კაცი არ არის. შელაძუაა, გაიძვრა და ეშმაკი. ამიტომ ყაშმიერობს<sup>\*\*</sup>, დასცინის – „სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს რად უნდა?! მეტ ტვირთად დააწვება. ახლა, ეს მითხარი: გინდა, პროლეტარიატი რომ შეწუხდეს?“ მაგრამ, თუ გარემოება მოითხოვს, მუშათა კლასს ზოტბა-დიდებას აღუვლენს. თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს ხალხზე ზრუნვაში უღამდებოდეს და უთენდებოდეს. მაგრამ ეს კია: რა ვითარებაშიც უნდა მოექცეს, თავი არასოდეს დააუწყდება: „ოქროს სარაიას აგიშენებ, ჩემს საკუთარს რომ მოვათავებ, იმის მერე“.

რთული პროტაგონისტია ყვარყვარე თუთაბერი. ერთი მხრივ, მარტივი, პრიმიტიული კაცი, რომელიც მთელ ცხოვრებას ნაცრის ქვევაში ატარებს და ფუჭ ოცნებას არის გადაყოლილი. მეორე მხრივ, მზაკვარი, ცბიერი, დაუნდობელი და ყოვლისმკადრებელი. ასეთი ორსახიანი ადამიანები ოსტატურად იყენებენ ზან ერთ სახეს, ზან – მეორეს. ისინი ნემსის ყუნწში გაძვრებიან და აცოცდებიან ქვეყნის პატრონის სკამზე. მაშინ დგება ცინიზმის პარაპზის დრო, ზნეობრივი გახრწნისა და ღირებულებათა გაუფასურების ეპოქა. იქმნება სახელმწიფო, რომელშიც, ტიტე ნატურტარის ირონიული სიტყვებით თუ ვიტყვით, „ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოვიღებთ. ყველა ჯეკარს ეცემა ხალხისათვის და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გავაზეციურეთ“.

ვერც გაქნილობა, ვერც მოქნილობა, ვერც ვერაგობა, ვერც თაღლითობა ვერ უშველიდა ყვარყვარე თუთაბერის ჯიშსა და მასაფს<sup>\*\*\*</sup>. ისინი ვერასოდეს ვერ ამოტივტივდებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე, რომ არ არსებობდეს ლიანგის უსაშველო დოფლაპიობა. ეს იცის ყვარყვარემ და იყენებს კიდევ ამას. „ხალხი თავის მტერია,

\* ემინი – გულუბრყვილო.  
 \*\* ყაშმიერობს – ამასხარავებს.  
 \*\*\* მასაფი – აქ: რჯული. არაბული სიტყვისგან „მასაფი“.



თუ არ მომწყმსე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ  
შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად ზუნდა  
დაარტყა“.

კაკუტამ და ქუჩარამ თაიანად\* იციან, რა გვრიტიც ბრძანდება  
ყვარყვარე თუთაბერი, მაგრამ ორივე მორჩილად უკანტურებს თავს,  
როცა დაუეკრებლის დაეკრებას მოითხოვს მათგან ქვეშქვეშა ნაცარქქვია.

ხომ გახსოვთ, ერთხელ სოფელში ხე რომ მოვთხარეო, — შემპარავად  
ეკითხება ყვარყვარე კაკუტასა და ქუჩარას. გვახსოვს, როგორ არ  
გვახსოვსო, დაუფიქრებლად უდასტურებს ორივე.

ხომ ნახეთ თქვენი თვალით, ლოდი რომ მოვგლიჯე და მთიდან  
გრივლით დავგორე, — ისევე ეკითხება გამომცდელად ყვარყვარე კაკუტასა  
და ქუჩარას. ვნახეთ, აბა, არ ვნახეთო, — ისევე უკრავენ კვერს ისინი  
ცრუპენტელას.

არ იფიქროთ, უნაგარო იყოს ეს დოყლაპიობა და ყვეწობა. კაკუტასაც  
და ქუჩარასაც აქვთ თავისი ანგარიში. ისინიც თავის გამოსარჩენს  
ელიან. თუ ყვარყვარე თუთაბერი იმ ნაქურდალს დაუტოვებს კაკუტასა  
და ქუჩარას, რაც მკვდრების ძარცვით მოაგროვებს, ორივე მზად არის  
ტყუილს მართალი დაარქვან და მართალს — ტყუილი.

იტორიამ არ იცის შემთხვევა, რომ პიკაროს მალმურთებელ ლიანგს,  
რაიმე სარგებელი ენახოს. ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებულია და  
დამარცხებული, მაგრამ მაინც კუდში დასდევს და მაინც ეთაყვანება.  
ასევე ემართება კაკუტასა და ქუჩარასაც. მაგრამ მაინც იქ არიან,  
სადაც ყვარყვარეა. მაინც იმ კარებთან არიან ატუზული, რომლის უკან  
ყვარყვარე ზის. არაფერი ერგოთ ყვარყვარეს საშსახურში, დაცინვისა  
და გაცუცურაკების გარდა, მაგრამ შველას მაინც მისგან მოელიან. ეს  
გადაჯატყულობა შემთხვევითი არ არის. თაღლითი ვერ იარსებებს,  
ლიანგის დოყლაპიობის თვინიერ და ლიანგის არსებობა მიზანს დაკარგავს,  
თუ არ ეყოლება კერპი პიკაროს სახით.

ამ ორს — პიკაროსა და ლიანგს — მესამე მეგობარიც ჰყავთ —  
მლიქვნელი. „ყვარყვარე თუთაბერში“ მას სახელად ტიტე ნატუტარი  
ჰქვია. როგორც კი თვალი მოჰკრა ყვარყვარე თუთაბერს, იგი მაშინვე  
მიხვდა — რა კაცი შეახვედრა განგებამ და როგორ უნდა მოქცეულიყო.  
ტიტემ მყისვე შეაგება ყვარყვარეს ხოტბის კორიანტელი. თავიც  
დაუყოვნებლივ შესთავაზა დამხმარედ და მოკავშირედ: „თქვენ იქნებით  
სახელმწიფოს უფალი, მაგრამ დაგჭირდებათ გვერდით პოლიტიკოსი,  
მეცნიერი. ასეთი მე ვიქნები. თქვენ მაგრად დაიჭერთ ხელში მოთურგნილ  
ქვეყანას, მე კი მას სამოთხედ გადავაქცევ. მე ახლავე შემიძლია  
დავვადე და დახუჭულ თვალებით დავწერო ბედნიერ სახელმწიფოს  
სრული კონსტიტუცია“.

\* თაიანად — ნამდვილად, ზუსტად.



წრე შეიკრა. „ბედნიერი სახელმწიფოს“ დასაარსებლად უკვე წასვლიდან წინ  
 ყველა პირობა – თაღლითი, დოყლაპია ლიანგი და მლიქვნელი. შინა  
 შექმნილი „ბედნიერი სახელმწიფოს“ სახეც ჩამოყალიბდა: ყრულ  
 კარდაგმანული სარდაფი-საპყრობილე, რომელშიც განუკითხავად  
 დატუსაღებული ხალხია შეყრილი.

„პირველი რაზმელი: ამდენი ხალხი ერთ სარდაფში არ ეტევა.

ყვარყვარე: კარი ხომ მიხურეთ!..

პირველი რაზმელი: როგორ არა!

ყვარყვარე: მაშ, თუ კარი მიუხურე, დაეტევა აწი, აპა, რას იზამს?!“

ის, რასაც პიესა „ყვარყვარე თუთაბრი“ ამბობდა, მარტო ქართული  
 პრობლემა არ იყო. იყო საერთო საბჭოური და საერთო საკაცობრიო  
 პრობლემაც.

პოლიტიკური პიკაროც, დოყლაპია ლიანგიც, მიწაზე მხოზავი  
 მლიქვნელიც მარადიულად იარსებებენ, რადგან თაღლითობაც,  
 დოყლაპიობაც და მლიქვნელობაც ადამიანის თვისებაა და არა ამა თუ  
 იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური სისტემის მიერ დანერგილი  
 ზნე. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა ადამიანის  
 ამ მანკიერ თვისებებს იყენებს, როცა ამის საჭიროებას დაინახავს.

ყვარყვარე თუთაბერში ყველა დროისა და ყველა ხალხის მბრძანებლის  
 ვნება ბობოქრობს, მერე რა, რომ ყვარყვარე თუთაბერი მაზრის  
 უფროსობას ვერ გასცდა. მნიშვნელობა თვისებას აქვს და არა –  
 სიერცეს. ერთ წვეთ წყალში ყველა ის თვისება და ბუნებაა, რაც  
 ოკეანეში. როგორც ერთი წვეთი წყალი გვახედებს ოკეანის  
 საიდუმლოებაში, ასევე გვიჩვენებდა პატარა ყვარყვარე დიდ  
 ავტოკრატიზმსა\* და მისდამი დარდაკი\*\* ლიანგის დამოკიდებულების  
 ჯურღმულს.



ბრბოს სიძულადზე უფრო საშიში ბრბოს თავანხსუკობა. ბრბოს თავანხსუკობა  
 აქონებებს, აბოიყებს ადამიანს, დღეკაცობს ცრუ ილეუხას უქმის. აქ კი საქარბაა  
 კოთი მკარე შეკდობა, რომ ბრბომ დაუნდობლად გაგწიროს.

აქაი შიქრი

\* ავტოკრატიზმი – მმართველობის სისტემა, სადაც ერთი პირი განუ-  
 საზღვრელ ძალაუფლებას ფლობს.

\*\*დარდაკი – ყვეწი.



## ზნობრივი გმირსათვის

ჩვენი ისტორიის საბედისწერო პერიოდებში, როცა საჭირო იყო, ზნობრივი გმირი პატრონობდა საქართველოს. გააყოლეთ თვალი „ქართლის ცხოვრებას“ და დაინახავთ, რომ კატასტროფის წინაშე მდგარი ყოველთვის ზნობრივი გმირობის წყალობით გადავრჩენილვართ.

არაბთაგან დამარცხებული და დამონებული ქართველები „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ქვეყანა გადაგვარებულია: „რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუვლით, რომელნიმე სიყრმესა შინა უშეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით“. ამ დროს გამოჩნდა ყმაწვილი კაცი, რომელმაც არაფრით დათმო ერთხელ აღიარებული რწმენა და მთელ ერს უჩვენა, როგორ უნდა სულიერი ღირსებისათვის ბრძოლა. ჰაბოს ამ ზნობრივი გმირობის მნიშვნელობა ზუსტად შეაფასეს სამოელ კათალიკოსმა და მწერალმა იოანე საბანის ძემ. ჰაბოს საქციელი საზოგადოების ყველა ფენას უნერგავდა მხნეობას, სულიერად აკაჟებდა.

როგორც ცნობილია, თბილელებმა ჰაბოს გადარჩენილი ძვლები აკრიფეს, ცხვრის ტყავში გაახვიეს და, ზიდის თავში აღმართულ პატიოსანი ჯვრის ახლოს, მტკვარში ჩაყარეს. მერე ამ ადგილას ნიში გააკეთეს. 12 საუკუნე იდგა იგი და რატომღაც მეტეხის ახალი ზიდის მშენებლობისას დავანგრეთ. თუმცა მისი დანგრევის აუცილებლობა არ არსებობდა. ამით არა მარტო ძვირფასი ისტორიული რელიქვია გავაქრეთ, არამედ ზნობრივი გმირობის წინაშეც ჩავიდინეთ დანაშაული. ჰაბო რიგითი ქრისტიანი წამებული კი არ იყო, არამედ პიროვნება, ვინც ხალხს ისტორიული ცხოვრების უმძიმეს დროს სიმტკიცისა და უდრეკობის მაგალითი უჩვენა. ჰაბომ ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის გადასარჩენად არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე არაბთა წინააღმდეგ მებრძოლმა ქართულმა არმიებმა.

აღსანიშნავია, რომ წარსულის ზნობრივ გმირობას იგი ივიწყებს, ვისაც აწმყოს წინაშე არსებული ზნობრივი მოვალეობა ვერ გაუთვალისწინებია.

ახალი ქართული ლიტერატურაც დაინტერესდა ჰაბოს პიროვნებით. გიორგი შატბერაშვილმა ისტორიული რომანის „აბოს წამების“ წერა დაიწყო, მაგრამ, საუბედუროდ, არ დასცალდა. გიორგი შატბერაშვილი ისე განვიდა იმსოფლად, რომ რომანის დასრულება ვერ მოასწრო. ასე წაგვერთვა საშუალება გვენახა, როგორ შეხედავდა დღევანდელი ქართული მწერლობა წარსულის ამ ზნობრივ გმირობას.



როცა არაბთა ბატონობა თანდათან შესუსტდა და ქართულმა სამეფო-სამთავროებმა თვალში გამოიხედეს, საქართველოს ერთიანობის აღდგენის საათმაც დარეკა. ბაგრატ მესამე წინამძღვრობდა ამ საქმეს. მაგრამ მამინ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კიდევ ერთი კაცი, რომელმაც ფეოდალური ეპოქისათვის გაუგონარი უნგარობა და ეროვნული შეგნება გამოამჟღავნა. ამ კაცს ივანე მარუშის-ძე ერქვა. იგი ქართლის ერისთავი იყო. მან, ქართლის თავისუფალმა ერისთავმა, საქართველოს ერთიანობის სახელით უარი თქვა დამოუკიდებლობაზე და ქართლი ბაგრატს გადასცა. მერე მეფეს მხარში ამოუდგა და წმიდათაწმიდა ეროვნული მისიის ასრულებაში უშველა. როგორ არ ჰკავს ეს ქვაბულიძეების, ბაღვივაშების, ვარდანიძეების და სხვათა საქციელს, ვინაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს საკუთარი ბატონობის გამტკიცებას სწირავდა. არც სისხლს, არც ნგრევას, არც შიმშილს არას დაგიდევდნენ, ოღონდ პირადი სარგებელი ენახათ. დღეს ივანე მარუშის-ძეს მარტო ისტორიკოსები იცნობენ. ფართო საზოგადოებისათვის იგი სრულიად უცნობია. ცხადია, მწერლობა ერთბაშად ყველაფერს ვერ აღწერს. თანდათანობით გამოსწორდება ხარვეზები. მაგრამ ივანე მარუშის-ძის დაეიწყება მანც გაუმართლებელი და უპატიებელია. მით უმეტეს, რომ წარსულმა და აწმყომ თანაბრად დაგვარწმუნეს — ჩვენში, კარიერიზმისა და ანგარების თვალსაზრისით, ბაღვივაშებს მეტი მიმდევარი და თავყანისმცემელი აღმოაჩნდა, ვიდრე ივანე მარუშის-ძეს. ამიტომ წარსულში გამოჩენილი ზნეობრივი უანგარობა და კეთილშობილება დღესაც გაკვეთილად ივარგებდა.

ისტორიის გრძელსა და ოღროჩოღრო ვზაზე საქართველო ბევრჯერ დაცემულა. მეცამეტე საუკუნეშიაც წაიქცა იგი. მონღოლთაგან ძლეული დიდხანს იყო ბრძოლის უნარწართმეული. თუ მას ბრძოლის უნარიც დაუბრუნდა, სულიერი მზნეობაც შეინარჩუნა და ბოლოს თავისუფლებაც დაიბრუნა, ეს ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობის წყალობითაც მოხდა.

ცოტნე დადიანს მონღოლებმა უზარმაზარი მამული არგუნეს: მთელი ლიხთიძიერი საქართველო მას და რაჭის ერისთავს მისცეს. სრულიად უდრტკინველად შეეძლო სადმე ხობში ან მარტვილში მჯდარიყო და მშვიდად დაეღამებინა თავისი წუთისოფელი პატივცემულს, განდიდებულს და გამდიდრებულს. მაგრამ კეთილ მონობას ბრძოლა არჩია. კობტასთავის შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა. გარნა, როცა შეთქმულება გაყიდეს და ხმლის ძალა გაცუდდა, ცოტნე დადიანმა ისეთი რამ ჩაიდინა, რომ აკერ ბარე შეიდი საუკუნეა, მაღლიერი საქართველო მოწინაშეობით ხრის თავს მის წინაშე. რკინის ჯვართან მისულმა დალატის ამბავი შეიტყო. ლაშქარი შინ გააბრუნა, ორი კაცის თანხლებით ანისს გაემგზავრა ჩარმაღან ნოინთან. ანისს მისულმა შემზარავი სურათი ნახა: ქართველი



დიდებულები გაშიშვლებულნი და მხრებგაკრულნი ქალაქის მოედანზე, თაკარა მზის გულზე ეყარნენ. უშტი და უშქარი მწერი ეხვია მათ და უზომოდ იტანჯებოდნენ. ეს თავის სიკვდილად და სირცხვილად შერაცხა ტანთ გაიხადა და შიშველი მეგობრებს გვერდით მიუწვა. ამის მნახველი მონღოლები განცვიფრდნენ. ქართველთა სიქველე იწამეს და ტყვეები გაათავისუფლეს. გამარჯვებულს დამარცხებულმა სულის სისპეტაკითა და სიდიადით აჯობა. „უფროს ამისა სიყვარული არა არს, რათა დადევას კაცმან სული თვისი მოყუასისა თვისისათვისო“, დასძენს ჟამთააღმწერელი. ეს ზნეობრივი იდეალი ცოტნე დადიანისათვის ცარიელი სიტყვა კი არ იყო, არამედ ნაღდი საქმე. ეს იდეალი დღესაც იდეალად რჩება, ოღონდ ცოტნეს მასშტაბის განმხორციელებელი სჭირდება. სულმდაბალი კაცუნების ხელში კი ისე მოხდება, როგორც ილია ამბობს:

„მერე როცა ვე ჩურჩული  
 შეგვიტყვეს თუ შეგვაძმინეს,  
 როცა ცხურისა ფარასავით  
 მოგვკრიბეს და შეგვაშწყვედიეს, –  
 რა ვაკეთეთ? რას ვშერებოდით?  
 – ფერმიხდილნი ბეზღობაში  
 ერთმანეთს ვეჯიბებოდით“.

არც ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა გამოჩნენია ქართულ მწერლობას. ამის დასტურია აკაკის „ნათელა“ და გრ. აბაშიძის რომანი... ისტორია გვიდასტურებს, რომ გაჭირვება ერის საუკეთესო სულიერ თვისებებს ავლენს. ალბათ ამიტომ მონღოლთა ბატონობის ეპოქაში ცოტნე დადიანს მეორე ზნეობრივი გმირიც ამოუდგა გვერდით დემეტრე თავდადებულის სახით.

1288 წელს მონღოლთა ყაენის არღუნის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება გამოძვლანდა. შეთქმულების თავკაცობა პირველ ვაზირს ბულა ნოინს დაბრალდა. ბულა სიკვდილით დასაჯეს. მისი ოჯახი, ახლობლები და მეგობრები უწყალოდ გაჟუჟეს. ბულა ნოინს დემეტრე მეორეც მეგობრობდა. ისიც შეთქმულად მიიჩნიეს. დემეტრე არღუნ ყაენმა დაიბარა. მეფეს მონღოლთა ყაენის კარზე გარდაუვალი სიკვდილი ელოდა: „უკეთუ წარვიდე ყაენის წინაშე, დასტურობით უწყი, მომკლავს“, უთქვამს თავად ხელმწიფეს. მიუხედავად ამისა, დემეტრემ მინც გადაწვიტა წასვლა. იცოდა, თუ თავად არ წავიდოდა, მართალია,

\* უშტი და უშქარი – ურიცხვი.





გადარჩებოდა, მაგრამ მონღოლები საქართველოს უეჭველად მოთხრიდნენ. „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს და მე ტვირთ-ძიძიმ ცოდვითა განვიდე სოფლისა აძისაგან“, მოუგია მეფეს დარბაზის ერისათვის, როცა ეპოსკოპოსებს, მოძღვრებსა და მთავართ ურჩევიათ, ნუ წახვალთ, მთიანეთს შეაფარეთო თავი. „მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა“, უბრძანებია ხელმწიფეს და ურდოს გამგზავრებულია.

1289 წლის 12 მარტს დემეტრე მეორეს თავი მოჰკეთეს. საქართველო აოხრებას გადაარჩა.

არა მარტო ხელისუფლებას, არა მარტო ღირსებას და კეთილდღეობას, არამედ სიცოცხლესაც თმობს მეფე იძისათვის, რომ მისი სამეფოს უკანასკნელმა მეჯინიბემ ან კირითხურომ შშვიდად იძინოს და არაფერი ეშუქრებოდეს.

ქართულმა მწერლობამ ორჯერ სცადა დემეტრეს სულში ჩახედვა. ერთხელ მე-19 საუკუნეში, როცა ილიას პოემა „ღიმიტრი თავდადებული“ დაიწერა და მეორედ, როცა პოლიკარპე კაკაბაძის ტრაგედია „მეფე დემეტრე მეორე“ შეიქმნა.

რა ძალა ჰქონდა ჰაბოს, ცოტნე დადიანისა თუ დემეტრე მეორის ზნეობრივ იდეალს, კარგად დასტურდება ქეთევან დედოფლის ცხოვრებითაც.

1624 წელს შაჰ-აბას პირველმა აწამა აშოთან მუხრანბატონის ასული, დავით მეფის თანამეცხედრე, დედა თეიმურაზ პირველისა ქეთევან.

მერე ერთგულმა ყმებმა მისი სხეულის ნაფლეთები საქართველოში ჩამოიტანეს და ალავერდის წმინდა გიორგის ტაძრის ტრაპეზქვეშ დაფლეს. მისი მოხენიების დღედ დაწესებულია 13 სექტემბერი (ახალი სტილით 28 სექტემბერი).

რა არის ქეთევან დედოფლის საქციელი — მართლმორწმუნე ქრისტიანის ფანატიზმი თუ ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება? პასუხი ერთია: ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება. საზოგადოება, რომელსაც არ ჰყავს ქეთევანის მსგავსი პიროვნება, იშლება. გარეგნულად შეიძლება მას ჰქონდეს საზოგადოების ფორმა შენარჩუნებული, მაგრამ შინაგანად იგი ფუცე, ცარიელი და დაშლილია. ზნეობრივი კრიტერიუმები გამქრალია. ქეთევანის მსგავსი პიროვნება კი საზოგადოებას ამაღლებს, სულიერად ასპეტაკებს. უკიდურესად ზნედაცემული კაციც კი მოწიწებით შესცქერის მსხვერპლს. ზვარაკი იწვევს კათარსისს“. თავის მხრივ კათარსისი საზოგადოების შემაკავშირებელი ფაქტორი ხდება.

\* კრიტერიუმი — საზომი.  
\*\* კათარსისი — განწმენდა.



განა ქეთევანს არ შეეძლო რჯულის შეცვლას დათანხმებოდა? საკმარისი იყო ერთი „პოც“ და სამშობლოში ისევ დედოფლად დაბრუნდებოდა. ახლობელიც და შორეულიც ბევრი ჰყავდა მაგალითის მიძღვები. მაჰმად-ყული-ხანისა თუ იმამ-ყული-ხანის სახელებით ისინი სვებდნიერად ცხოვრობდნენ. მათ კეთილდღეობას არც შინაური და არც გარეშე არ ეშუქებოდა. მაგრამ ერი იზრწნებოდა და შეველა იყო საჭირო. ამ შვეველელი მსხვერპლის როლი იკისრა ქეთევანმა ქვეყნის გადარჩენის მიზნით. როცა ერს ბრძოლისათვის ფიზიკური ძალა გამოუღვეა, არსებობას ზნეობრივი ძალით ინარჩუნებს. შაჰ-აბას პირველის დროს საქართველოს უკვე აღარ ყოფნიდა ფიზიკური ძალა თავდასაცავად. ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ამ დროს ქეთევან დედოფალმა ერს ზნეობრივი ძალა ჩაუნერგა ხელთ მისცა იარაღი, რითაც შეიძლებოდა გადარჩენა. ასეც მოხდა: ქეთევან წამებულის სისხლით შედუღაბებულმა ქართველმა ხალხმა კრიზისს გაუძლო.

ქეთევან დედოფალი ქართულ მწერლობას უყურადღებოდ არ დარჩენია. ჯერ კიდევ ღვიძლმა შეიღმა თეიმურაზ პირველმა უძღვნა პოემა. მერე სხვებმაც. ჩვენს დროში ქეთევან ირემამე წერდა რომანს. სამწუხაროდ, არც მას დასცალდა ამ რომანის დასრულება. ხოლო სულ ახლახან გივი მალულარიამ გამოაქვეყნა მოთხრობა „და განიყვეს სამოსელი მისი“.

როგორც ხედავთ, ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი გავიხსენეთ. ამ გახსენებას მიმოხილვის მიზანი არ ჰქონდა. აქ ბევრი რამ არის გამოტოვებული, რაც მიმოხილვას არ შეჰფერის. მიზანი იყო კიდევ ერთხელ მეთქვა შემდეგი: 1. საქართველოს ისტორია სავსეა ზნეობრივი გმირობით. 2. ქართული მწერლობა ყოველთვის სათანადო ყურადღებით ეპყრობოდა მას (იოანე საბანის ძე, თეიმურაზ პირველი და სხვანი). 3. როცა თანადროულობა არ შობდა ზნეობრივ გმირს, მწერლობა მიმართავდ წარსულს (ილია მიუბრუნდა დემეტრე მეორეს, აკაკი - ცონტე დადიანს და ა. შ.). 4. დღევანდელმა ქართულმა ლიტერატურამაც ისტორიას მიმართა. ამის ზოგიერთი ნიმუში მოვიხსენიე კიდევ.

მაგრამ აქ ერთი სერიოზული საკითხი წამოიჭრება: მხოლოდ ისტორიით ცხოვრება არ შეიძლება. განსაკუთრებით ზნეობრივი თვალსაზრისით. ყოველ დროს თავისი ზნეობრივი გმირი სჭირდება - ან ნამდვილი ან შეთხზული. ასეც ხდება, როცა ნამდვილი არ არის, მწერლობა იგონებს მას. გამოგონილი პერსონაჟი ემოციურად და ზნეობრივად რეალურზე ნაკლებ ზეგავლენას არ ახდენს მკითხველ საზოგადოებაზე. ამის მკაფიო ნიმუშია ვიქტორ ჰიუგოს პერსონაჟები. ამ კატეგორიას ეკუთვნის აკაკის „გამზრდელიც“.



სამწუსაროდ, აკაკის „ვამზრდელის“ ზნეობრივი ღირებულება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკას შესაფერისად არ დაუჭერს მის მიუხედავად იმისა, რომ მასზე ბევრია დაწერილი. შესადარებლად მარტო ის რად ღირს, რომ ვერც ალ. ყაზბეგის ხვეისბერი ვონა, ვერც პროსპერ მერიმეს მატეო ფალკონე, ვერც ნ. ვოგოლის ტარას ბულბა ვერ ამაღლდნენ ჰაჯი-უსუბაძედ. არცერთ მათგანს არ ეყო ძალა შვილების დანაშაულის მიზეზი საკუთარ თავში ეპოვნათ. თავისმართლება ყველას შეუძლია, სხვისი გასამართლება – მით უმეტეს. დანაშაულის აღიარებაც შედარებით იოლი საქმეა, მაგრამ სხვისი დანაშაულის მიზეზის საკუთარ თავში პოვნა და სხვისი დანაშაულის საკუთარი სისხლით გამოსყიდვა კი ღვთაებრივ ძალას მოითხოვს. ეს ძალა აქვს აკაკის ჰაჯი-უსუბს. ამით იგი უზომოდ მნიშვნელოვანია.

ახლა გახედეთ მეხსიერების თვალთ დღევანდელ ლიტერატურას და თქვით, ვის დააყენებდით ჰაჯი-უსუბის გვერდით? ვერავის. თუმცა ეს უარყოფითი პასუხი არ ნიშნავს იმას, რომ დღეს არ გვქონია ცდა ზნეობრივი გმირის დახატვისა. მაგალითად, ნოდარ წულუკისკირის გიორგი კალანდარიას („თუთარჩელა“) აქვს ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძობა. ამის გამო ეძებს იგი თავისთავში ანინასა და გვაჩის დანაშაულის მიზეზს. ამიტომ ცდილობს თვითგვემით მაღაწიოს როგორც საკუთარ, ისე მოყვანის – ანინასა და გვაჩის – განწმენდას.

ელიშერ ყიფიანის ზაალ ანჯაფარიძეც („ცაში ასროლილი ქუდები“) გრძობს პასუხისმგებლობას სხვისი დანაშაულის გამო. იგი აღელვებული ფიქრობს: „დღეს ბავშვმა ეს (თვითმკვლელობა – ა. ბ.) არ უნდა ჩაიდინოს. როცა მე ვცხოვრობ ამ მიწაზე და დავდივარ ამ ქალაქში, ბავშვს ეს აზრად არ უნდა მოუვიდეს, თითქოს მაშინ მე ვიქნები დამნაშავე“. მაგრამ ეს მაინც უკმარია. უკმარია რაოდენობის თვალსაზრისითაც და მასშტაბურობითაც.

ქართული კრიტიკა ხშირად წერს და ითხოვს, შრომისა და ბრძოლის გმირები უნდა ასახოსო სიტყვაკაზმულმა ლიტერატურამ. მართალი და აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ რატომღაც უწყრაღლებოდ ვტოვებთ გმირობის კიდევ ერთ სახეობას – ზნეობრივ გმირობას. ვანა იგი უფრო მნიშვნელოვანი არ არის? უფრო მნიშვნელოვანიც არის და ძნელიც.

ზნეობრივი გმირის პოზიცია ყოველთვის არ არის საზოგადოებისათვის ნათელი. უფრო მეტიც, ძალიან ხშირად ზნეობრივმა გმირმა საზოგადოების შექმნილი ცრუ მორალი უნდა დაარღვიოს და ერთხელ გაბატონებული ეთიკური კატეგორიები ძირეულად შეცვალოს. სამწუხაროდ, საზოგადოებას შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ღზინს.



ზნეობრივი გმირი კი ყოველთვის შეუჩვეველი ლხინის მედროსეა, ეს ბადებს წინააღმდეგობას საზოგადოებასა და ზნეობრივ გმირს შორეს: ამ კონფლიქტის გამო ხშირად ზნეობრივ გმირს მტრობს იგი, ვისი კეთილდღეობისთვისაც იბრძოდა (გაიხსენეთ შემახილი - „ჯუარს-ეცუნ, ჯუარს-ეცუნ!“). თუ ბრძოლის გმირი ყოველთვის შარავანდელით მოსილი ილუპება, ზნეობრივი გმირი ხშირად შერცხვენილი და შევინებული ტოვებს ასპარეზს. მერე წლები სჭირდება ზნეობრივი გმირის სისპეტაკის გამოვლენას. ერთია, სიამაფით თავაწეული სიკვდილი და მეორეა, თავლაფდასხმული (მით უმეტეს, უსამართლოდ) სიკვდილი. პირველი ბევრად იოლია მეორეზე. ასეთ წინააღმდეგობებში გახვეული ზნეობრივი გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მეტად მძიმეა. ამის დაძლევა მხოლოდ რჩეულ სულებს შეუძლიათ. ამიტომაც არიან ზნეობრივი გმირები იშვიათნი.

როცა ბოლოს და ბოლოს ფარდა აიხდება და ეს რჩეული სული გამოვლინდება, საზოგადოება კეთილშობილდება. მწერლობის ერთ-ერთი უპირველეს ამოცანათაგანი კი სწორედ ერის გაკეთილშობილებაა. ამისათვის არის აუცილებელი ზნეობრივი გმირი.



აღმაშანის მიწიერი ცნობრება ნაწილია აღმაშანის მარადიული სიცოცხლის. ამიტომ აღმაშანმა მიწიერი მოვლეთა რომ პირნათლად და სრულად მიიხადოს, იგი უნდა იყოს ზნეობრივი და თავისუფალი (პირიქულადაც და ერთქულადაც)

1911 წლის

ვისაც ქართული მხატვრული პროზა უყვარს, უთუოდ ექნება წაკითხული ლეო ქაჩელის „ძაკი აბა“. მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მითხრობაში ნამდვილი ამბავია აღწერილი.<sup>1</sup>

1918 წლის თებერვალი იდგა. ამიერკავკასიას განაგებდა ამიერკავკასიის სეიმი (მითხრობაში არასწორად არის ნათქვამი – ამიერკავკასიის კომისარიატიო. ამ დროს კომისარიატი უკვე აღარ არსებობდა). სეიმის შემადგენლობა ჭრელი იყო. ვის არ მოეყარა აქ თავი – ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკებს, აზერბაიჯანელ მუსავატელებს... ნაირნაირი მიმართულებისა და შეხედულების პოლიტიკოსებს. ერთნი ალთას მიიწვედნენ, მეორენი – ბალთას. დაშნაკური სომხეთის პრემიერ-მინისტრი ხატისოვი მოგვიანებით წერდა – სომხური პარტია დაშნაკუტუიანი კავკასიისათვის ითხოვდა შვეიცარიის მსგავს ფედერაციას, რადგან ითვალისწინებდა სომხების გაფანტულობას მთელ კავკასიაში; ქართველი მენშევიკები კი იცავდნენ რუსეთთან სრული ერთიანობის თვალსაზრისს; რაც შეეხებოდა აზერბაიჯანელებს, მათ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური იდეალი არ ჰქონიათო.<sup>2</sup> ამის გამო ქვეყანაში მტკიცე ხელისუფლება არ არსებობდა და ირგვლივ უწყესრიგობა ბატონობდა.

15 თებერვალს სოხუმის ნავსადგურში მოულოდნელად შეჩერდა დამხმარე კრეისერი „დაკია“. იგი ტრაპიზონიდან სევასტოპოლში ბრუნდებოდა. კავკასია-თურქეთის მოშლილი ფრონტიდან რუსეთში გადაჰყავდა ჯარისკაცები. მეზღვაურთა და ჯარისკაცთა უმრავლესობა ოქტომბრის რევოლუციას მიმხრობოდა და მზად იყო კომუნისტური იდეალისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა.

ადგილობრივ ხელისუფლებას ძალა არ შესწევდა კრეისერი „დაკია“ ქალაქში არ შეეშვა. თავდაპირველად საფრთხეს პირი არ უჩანდა. კრეისერს სურსათის და წყლის მომარაგება უნდოდა. მგზავრებით სავსე „დაკია“ მალე აპირებდა ნოვოროსიისკისაკენ გამგზავრებას, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

სოხუმის ბულვარში „დაკიის“ მეზღვაურთა მცირე ჯგუფი ანაზღად შეეჩხრა აფხაზთა ასეულის პორუჩიკს თავად ნიკოლოზ ემუხვარს. მატროსებმა ოფიცერს სამხრეების მოხსნა უბრძანეს. შურაცხცყოფილმა ემუხვარმა ბრძანება არ შეასრულა. მაშინ გათავხედებულმა მეზღვა-

<sup>1</sup> Г. Дзидвария – Советская власть в Абхазии в 1918 г. 1972г., стр. 15-18.

<sup>2</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1925 წ., 4 იანვარი, № 770.



ურებმა ძალით ჩამოგლიჯეს მას პავონები. დამცირების ბოლომდე გამწარებულმა ემუხვარმა ერთი მოძალადე მოჰკლა, მეორე დასჭრა და მიიმალა.

ამ ინციდენტმა სოხუმში დიდი არეულობა გამოიწვია. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ე. ეშბამ, ნ. სვანიძემ და სხვებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ ამით და ძალაუფლება ჩაეგდოთ ხელში. ისინი სასწრაფოდ გაემუხრნენ სოხუმის გარნიზონში, მოილაპარაკეს გარნიზონის უფროსებთან და მერე თეატრში მიტინგი მოაწყვეს. მიტინგს, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების გარდა, ესწრებოდნენ ნავსადგურისა და სტამბის მუშები, მიტინგი დაუკავშირდა კრეისერს. სამხედრო ზომადღის მეთაურებმა წამოაყენეს ულტიმატუმი: მოკლული მატროსის ოჯახის დასახმარებლად ქალაქს გადაეხადა 15 000 მანეთი, დაუყოვნებლივ მოეებნათ პორუჩიკი ემუხვარი, სოხუმში ხელისუფლება გადასცემოდა რევოლუციურ კომიტეტს.

„დაკიამ“ ულტიმატუმი კი წარადგინა, მაგრამ თავად სოხუმში აღარ გაჩერებულა. ღუზა მოხსნა და იმავე დღეს, საღამოს, ნოვოროსიისკის მიმართულებით გასწია. ოღონდ გემის კომიტეტმა დეპეშა გაგზავნა ბათუმს. ითხოვდნენ, მეყსეულად\* ჩამოსულიყო სოხუმში ან ორი ნაღმოსანი ან დიდი საბრძოლო გემი. მართლაც, მეორე დღეს დილით ბათუმიდან სოხუმს ჩავიდა ბოლშევიკების საეკადრო ნაღმოსანი „დერზკია“.

ეს გემი 1918 წლის თებერვლის დასაწყისში სევასტოპოლიდან გაგზავნეს ტრაპიზონში, რათა თურქეთის ფრონტიდან რუსეთის არმიის ევაკუაციის წესრიგი დაეცვა. იგი იძულებული გახდა ბათუმში შეეარა საწვავისა და მტკნარი წყლის მოსამარაგებლად.

სოხუმში შესვლამდე ნაღმოსანმა რამდენჯერმე გაისროლა ზარბაზანი, რითაც მოსახლეობა დააშინა.

სოხუმის პორტში შესვლისთანავე „დერზკიამ“ შეიარაღებული რაზმი გაგზავნა ქალაქში ეშბასთან, ეშბამ რაზმის მეთაურს მოახსენა შექმნილი ვითარება. ნაღმოსანმა მოითხოვა 24 საათის განმავლობაში დაკმაყოფილებულიყო „დაკიის“ ულტიმატუმი. ამ ულტიმატუმს მიემხრნენ სოხუმელი ბოლშევიკები და ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცები.

სასწრაფოდ შეიკრიბა მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭო. აირჩიეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეშბას თავმჯდომარეობით. ქალაქში ძალაუფლება ამ კომიტეტის ხელში გადავიდა, რადგან, სოხუმის მაშინდელი მერის ჩხიკვიშვილის სიტყვით, „დერზკიას“ მეზღვაურები სხვებს აღარ ენდობოდნენ.

გემის კომიტეტის თავმჯდომარე გრუდაჩევმა ბრძანა: ორ საათში დასცალეთო სასტუმრო „ბრისტოლის“ (ახლა სოხუმის საზღვაო პორტის

\* მეყსეულად — დაუყოვნებლივ.



მმართველობა) შენობა. მოხდა სასტუმროს რეკვიზიცია\* მეზღვაურთა ჯგუფები. მათ უნდა გაეჩხრიკათ ყველა სასტუმრო და მოეძებნათ ემუხვარი, სხვა ოფიცრებიც.

რეკვიზირებული იქნა აგრეთვე სასტუმრო „სან-რემო“ (აწინდელი „რიწა“). იქ დაბინავდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. თურკოვის მეთაურობით ჩამოყალიბდა წითელი გვარდიის შტაბი. ამ შტაბს ემორჩილებოდა სოხუმის ტერიტორიაზე მყოფი შეიარაღებული ძალა.

სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით, კონტრიბუცია 15 000 მანეთის ოდენობით უნდა გადაეხადა ქალაქის ბურჟუაზიას.

16 თებერვალს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მთელ მოსახლეობას მოუწოდა, გულმოდგინედ მოეძებნათ ნიკოლოზ ემუხვარი. მალე დრანდის ახლოს შეიპყრეს პორუჩიკი ემუხვარი და მისი ძიძიშვილი სმელ ბადია. ისინი დაუყოვნებლივ გემზე გაგზავნეს. როცა ნიკოლოზ ემუხვარი ტრაპზე აჰყავდათ, მან იძრო რევოლვერი და მოჰკლა უნტეროფიცერი კონოვალჩუკი. უნდა გაეგშირა გემის კომიტეტის თაემჯდომარე გრუდანიევიც, მაგრამ მეორე ტყვია გაიჭვდა ბრაუნინგის ლულაში. რევოლვერის ხელახლა გატენვა ემუხვარმა ველარ მოასწრო. პირველ მსოფლიო ომში მას დაზიანებული ჰქონდა მარცხენა ხელი და ვერ ხმარობდა (არის ცნობაც, რომ ემუხვარი საერთოდ ცალხელა იყო). მეზღვაურთა გამხეცებულმა ბრბომ ემუხვარი იქვე აკუსა.

უღანაშულო სმელ ბადია, როგორც ისტორიკოსი გ. ძიძარია ამბობს, დახვრიტეს (თუმცა ზეპირი გადმოცემით არის სხვა ცნობაც: სმელ ბადია გემის საცეცხლურის კვამლში დაახრჩვეს).

ამის მერე „დერზკიჲ“ სოხუმში აღარ დარჩენილა. მეზღვარებმა მოითხოვეს, კონოვალჩუკის ცხედრის სევასტოპოლში წასვენება. ნაღმოსანი ყირიმში წავიდა.

ასეთია მოკლედ ნამდვილი ამბავი.

ცხადია, მოთხრობაში იგი ვარკვეული დოზით და თვალსაზრისით გადაკეთებულია. უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ შეცვლილია ორივე პროტაგონისტის სახელი და გვარი. ნიკოლოზ ემუხვარი გახდა უჯუშ ემხა (ემუხვარი და ემხა ერთი და იგივე გვარია. ოღონდ ემუხვარი ქართული ფორმაა, ემხა – აფხაზური), სმელ ბადია – ჰაკი აბბა. მხატვრული ნაწარმოებისათვის ამ ბუნებრივ მოვლენაში თითქოს არაფერია საგანგებოდ აღსანიშნავი, მაგრამ მაინც მიმაჩნია აუცილებლად ამის თქმა: საქმე ის გახლავთ, რომ ორივე პერსონაჟის სახელი და გვარი რიტმიზირებულია. უჯუშ ემხაც ოთხმარცვლიანია და ჰაკი აბბაც. მარცვალთა თანაბარი რაოდენობა აპოეტურებს მათ სახელსა

\* რეკვიზიცია – ქონების ჩამორთმევა.



და გვარს, ხდის იოლად დასამახსოვრებელს და იმთავითვე ემოციური თანაგრძნობით განაწყობს მკითხველს. ეს კი უკვე მწერლის პოზიციას და ამდენად საყურადღებოა.

ლ. ქიანელმა შეცვალა გემის სახელწოდებაც. „დაკიასა“ და „დერზკიას“ ნაცვლად არის კრეისერი „შმიდტი“. ესეც გარკვეული მიზნით არის გაკეთებული.

არც „დაკია“ და არც „დერზკია“ მკითხველს არაფერს ეუბნება. „შმიდტი“ კი უცბად აღძრავს ასოციაციას და დაგაკავშირებს იმ წლებში მეტად პოპულარული ადამიანის სახელთან. ეს კაცი გახლავთ შავი ზღვის ფლოტის ლეიტენანტი პეტრე შმიდტი.

შმიდტი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში, იგი მკაცრად და დაუნდობლად აკრიტიკებდა თვითმპყრობელობას, რითაც მუშებისა და მეზღვაურების სიყვარული დაიმსახურა. შმიდტი სევასტოპოლის მუშათა დეპუტატების საბჭოს მუდმივ დეპუტატად აირჩიეს. 1905 წლის ოქტომბერში იგი დააპატიმრეს. მართალია, მალე გაათავისუფლეს, მაგრამ ფლოტიდან დაითხოვეს. როცა 1905 წლის ნოემბერში მეზღვაურთა აჯანყება დაიწყო, შმიდტი კრეისერ „ოჩაკოვის“ მეთაური გახდა. მან თავი ფლოტის სარდლად გამოაცხადა. შმიდტმა შეადგინა გვემა შავი ზღვის ხომალდების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ სხვა მეთაურთა გაუბედავი მოქმედების გამოისობით კრეისერი „ოჩაკოვი“ დამარცხდა. შმიდტი დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს. სასამართლოზე მან ვაჟკაციური სიტყვა წარმოთქვა. სიტყვა მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ. 1906 წლის 6 მარტს პეტრე შმიდტი დახვრიტეს.

აი, ასეთი მამაცური ბიოგრაფიის მქონე ადამიანის სახელი უწოდა მწერალმა სოხუმის პორტში შემოსულ სამხედრო გემს. ამით ლ. ქიანელმა გემი რევოლუციური რომანტიკით შემოსა.

სახელების ამგვარი ცვლილება თითქოს უბრალო დეტალია, მაგრამ ისეთი, რომელიც მკაფიოდ ავლენს მწერლის მიზანს – დაიცვას ემოციური წონასწორობა.

ემოციური წონასწორობის დაცვის სურვილი განსაკუთრებით ცხადად მჟღავნდება უკუშეშასა და კუზმა კილგასადში დამოკიდებულებაში.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ნიკოლოზ ემუხვარი მარცხენა ხელს ვერ ხმარობდა. არსებითად ცალხელა კაცმა, მტრის წინაშე მარტოდ-მარტო მყოფმა, მაინც მოახერხა ერთი ღუშმანი მოეკლა და გემის უფროსიც შეიძლება გაეგმირა, იარაღს რომ არ ემტყუნა. თავად ეს ფაქტი პორუჩიკ ემუხვარის მამაცობაზე მეტყველებს. ემოციურად მკითხველი ემუხვარს უთანაგრძნობს და მის მიმართ სიმპათიით





იმსჭკალება. მაგრამ მწერალს არ სურს მოთხრობის ერთ პრუტაგონისტს მეორის მიმართ რაიმე უპირატესობა ჰქონდეს. მოთხრობაში არ არის აღნიშნული, რომ უჯუშ ემზა ცალხელა იყო. ემზას არავითარი ფიზიკური ნაკლი არ აქვს. სამაგიეროდ ფიზიკური ნაკლი პროზაიკოსმა კრეისერ „შმიდტის“ კაპიტანს მოუძებნა.

ლ. ქიაჩელი გულმოდგინედ ხატავს კუზმა კილგას პორტრეტს და ხაზს უსვამს კაპიტანის სახის ჭრილობას.

„მათ მხოლოდ ახლა გამოარკვიეს უფროსის გაორებული სახისა და გასამებული თვალების ნამდვილი ამბავი: – ეს იყო შედეგი დიდი, ღრმა, ძლივს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გადაუდიოდა ირიბად. მარცხენა საფეთქლიდან დაწყებული, ვიდრე ნიკაპის მარჯვენა კუთხემდე. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი, შუაში გაჭრილი წარბის ქვეშ, ჩამოთლილი ჰქონდა და გაშისვლებული. კაკლის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლევი შერჩენოდა. ამ თვალიდან ჭრილობა ლოყას მოყვებოდა და ნესტოჩამოკვეთილ ცხვირთან, შუაში გადაჭრილ ტუჩებზე გადავლით, ნიკაპის მარჯვენა კუთხეში წყდებოდა.“

სახის მთელი ეს კანშემოჭიმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკესი რისხვის გამომეტყველებას ატარებდა წინააღმდეგ მეორე მთელი ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა.“

ამ შემზარავი პორტრეტის საშუალებით ლ. ქიაჩელი გვიამბობს, რომ მძიმე და ფათერაკით სავსე ცხოვრება ჰქონდა გავლილი კუზმა კილგას.

თავდაპირველად შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ლ. ქიაჩელი ემოციურ წონასწორობას კი არ იცავს, არამედ აშკარად გამოხატულ, შეუნიღბავი ტენდენციურობის გზას ადგას. უჯუშ ემზას, როგორც თეთრგვარდიელს, მოაკლო ფერი და პირიქით, კუზმა კილგას, როგორც რევოლუციონერს, მოუმატა. უფრო მსუყე საღებავებით დახატა. მაგრამ ეს ზერელე შთაბეჭდილება იქნება და მოთხრობის არსში ჩაუხედაობა. საქმე ის გახლავთ, რომ მოთხრობაში აღწერილი ამბავი მწერალს არ აძლევს საშუალებას უფრო დაწვრილებით გვიამბოს კუზმა კილგას ცხოვრება. ამიტომ, ყველაფერი უნდა გამოიხატოს კილგას რელიეფურად დახატული პორტრეტით. ამ გზით უნდა გამოავლინოს კუზმას ვაჟკაცური ბუნება, რევოლუციის დაუნდობლობაც და რომანტიკაც.

კუზმას კონკრეტულ საქციელს მკითხველი ვერ ნახავს მოთხრობის ფინალამდე, მაგრამ აუცილებელია მწერალმა მოამზადოს მკითხველის



ემოციური განწყობილება ამ პროტაგონისტიხადში, რამეთუ ამბის ბოლოს იგი დაუპირისპირდება უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას. ორივე მხარეს თანაბარი ემოციური ძალა უნდა ჰქონდეს, თორემ მწერლის ტენდენცია (აქედან გამომდინარე აზრობრივი შინაარსის ტენდენცია) გაშიშვლდება და უინტერესო, არამომზიდველი გახდება. თუ ემოციური ინტერესი დაქვეითდა, გაქრება არაჩვეულებრივის, საშიშის, უცნაურის მოლოდინის გრძნობაც. ეს რომ არ მოხდეს, ლ. ქიაჩელი აფორიაქებს მკითხველის ემოციურ სამყაროს, ამ მიზნით პროზაიკოსმა გამოიყენა, ერთი მხრივ, კუზმა კილვას პორტრეტი და მეორე მხრივ, თავზარდაცემულ ქალაქში შექმნილი შიშის განწყობილება. კრეისერის გამოჩენამ ქალაქი ფეხზე დააყენა და ყველას, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, მდიდარსა თუ ღარიბს შიშის კანკალი აუტენა.

ერთი სიტყვით, შიშმა წაახდინა მთელი ქალაქი და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავდაპირველად უჯუშ ემხაც. ამას საგანგებოდ აღწერს ლ. ქიაჩელი.

სასტუმროს პატარა ოთახში ბანქოს თამაშობენ. უჯუშ ემხა არ მონაწილეობს. იგი სავარძელში მიწოლილა და ჩაუძინია. ძილში რაღაც კომმარი აწუხებს და სტანჯავს. ჯერ ამხანაგები უჯუშს ყურადღებას არ აქცევენ. ბატარას თამაშით იყვნენ გატაცებული, მაგრამ თანდათან უჯუშის ტანჯვა-წვალება აუტანელი გახდა და მისი გაღვიძება სცადეს. უჯუშში ფეხზე წამოვარდა.

„ფეხზე დამდგარმა, მაგრამ ისევ მძინარემ ტანი ისე მოიმარჯვა, თითქოს მოსისხლე მტერს უტეკსო – წელზე წაივლო ხელები, სადაც სატკვარი ევლებოდა. მარჯვენით ტარს ეძებდა, მარცხენით – ქარქაშს. როცა ვერც ერთი ვერ მონახა, ხელი რევეოლვერისაკენ გააქანა. ესეც რომ არ აღმოჩნდა, კანკალი დააწყებინა, ბრაზისაგან გაიგუდა.“

„– ამისთანა რა მოგეჩვენა, უჯუშ, რომ ასე შეგვაშინე, დაწყნარდი, შე კაცო, არაფერია... ბოლშევიკები ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან.“

– მე კი სწორედ ისინი მომეჩვენენ... თითქოს... გემით მოვიდნენ. თითქოს...“

ეს ყოვლისმომცველი შიში, რომელიც ადამიანს თავისუფალი მოქმედების საშუალებას ართმევს, დამოუკიდებელი პერსონაჟია ლ. ქიაჩელის მოთხრობისა.

სწორედ აქ იწყება ძირეული განსხვავება ემპირიულ მასალასა და მოთხრობის შინაარსს შორის.

1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებში სოხუმის პორტში რევეოლუციური გემების შემოსვლა მოსახლეობამ შეაფასა როგორც იმ დროისათვის ჩვეულებრივი ინციდენტი, რომელიც ერთათავის უსიამოვნო იყო, ხოლო მეორეთათვის – დიდი სიზარულის მომგვრელი.



გამოიყენეს კიდევ ეს შემთხვევა. მოსახლეობის რევოლუციურმა ნაწილმა ისარგებლა ამით და გარკვეული ხნით ძალაუფლებაც კი ხაივდლო ხელში.

ლ. ქიანელი ამ ამბებს მთლიანად სტოვებს და ხაზს უსვამს, წინა პლანზე წევს შიშის პრობლემას.

შიშმა დააკარგვინა ღირსება ქალაქის თავკაცებს. ისინი რექტდას-ხმული მიმორბიან, ფაციფუცობენ, ცდილობენ ღირსეული შეხვედრა მოუწყონ კრეისერ „შმიდტს“. მეთაურების პანიკა ხალხსაც გადაედო.

„მოქალაქენი მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდნენ და წითელი დროშებით ამკობდნენ. დიდი და პატარა ერთ სურვილს აეტანა: რაც შეიძლება მალე, საჩქაროდ, მეზობლებზე უფრო ადრე გამოეკიდა თავისი სახლის წინ წითელი დროშა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინა. ვისაც შინ დროშა არ აღმოაჩნდებოდა, ბაზრისაკენ გარბოდა, წითელ ნარმას ყიდულობდა და უკან დაბრუნებული, გზადაგზა, დროს მოსაგებად, დროშას სახელდახელოდ ამზადებდა; ნარმას ჯოხზე ამაგრებდა.“

„... ზღვის ნაპირის გასწვრივ გაშლილი პალშების ხეივანზე გამაგალი დიდი სასტუმროს ქვედა სართული, რომელშიაც რესტორანი იყო მოთავსებული, წითელი არშიებით დაებლანდათ. არშიებზე ფერად-ფერადი რევოლუციური წარწერები აეჭრებოდნათ რუსულ ენაზე, ხოლო რესტორნის შესავალი თაღით დაემშვენებინათ და ზედ დიდრონი ასოები აეთამაშებინათ:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

შივ რესტორანში სუფრას შლიდნენ ასი კაცისათვის.“

ეს არ იკმარეს. სახელდახელოდ დელეგაცია შეადგინეს, გემზე გაგზავნეს და კაპიტანს აახლეს. თან ისიც გაითვალისწინეს, როგორი დელეგაცია ესიამოვნებოდა რევოლუციური გემის ეკიპაჟს: „...ქალაქის თავი სამსონ დავანაძე, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნარიქ ეშბა და ხუთი მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვით შერჩეული.“

დელეგაციამ ლაქური სიტყვით მიმართა მეზღვაურებს და მათ კაპიტანს: „ჩვენ აქ მისთვის მოვედით, რომ მთელი ამ კუთხის სახელით, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, გემის მთელ ხელმძღვანელობას და კერძოდ მის სახელგანთქმულ მეთაურს ამხანაგ კუზმას უადრესი პატივისცემა და ძმური საღამო გადავცეთ.“ მერე ერთგულება, თანადგომა და მხარდაჭერა შეპფიცეს და გემის მთელი ეკიპაჟი ქალაქში მიტინგზე მიიპატიეს.



მიტინგიც ზეიმით ჩატარდა. მთელი ქალაქი ერთხმად ყვირდა:

„- გაუმარჯოს „შმიდტს“!

- გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

- გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ლ. ქაჩელს სრული სურათი აქვს დახატული, როგორ დათანხმდა შიშით თავზარდაცემული ქალაქი ყოველგვარ დამცირებას. როგორ ცდილობდა იგი პირფერობით და ლიქნით გადარჩენილიყო.

არაფერმა უშველა. ტრაგიკული შემთხვევა მაინც მოხდა. შტაბსროტმისტრმა უჯუშ ემხამ მოკვლა მეზღვაური ზრიტანიუკი: კრეისერი „შმიდტი“ ფეხზე დადგა. ქალაქის დელეგაციის თავკაცი ბექერბი ჩაჩბა მძევლად დასტოვეს გემზე. თან შრისხანე განკარგულება გაიცა: თუ ქალაქი ერთ საათში არ ჩააბარებდა მკვლელს, მაშინ კრეისერი იმოქმედებდა „სოხუმის წინააღმდეგ, როგორც მოსისხლე და ვერავ მტრის ბანაკის წინააღმდეგ ომის დროს“.

ისედაც თავგზაბნეული ქალაქი მთლად წახდა და დაჩანანაკდა. „ერთი საათის ვადა ყველას ცეცხლივით შეეკიდა და შიგ ტვინში აუვარდა. უშწევობისა და სასოწარკვეთილების გმინვა გაისმა ირგვლივ“. შიშმა თანაგრძობის უნარი წაართვა ხალხს და ყველამ უჯუშ ემხას ძებნა დაიწყო. ემხა გასწირა დეიდაშვილმაც თოხუან მარშანმაც.

„შილიციისა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თავდაპირველად ქალაქიდან გასვალი გზები შეეკრა. მეორე ნაწილი მახლობელ თემებისკენ დაძრულიყო სოფლების ფეხზე დასაყენებლად და ემხასთვის გზის გადასაჭრელად, ვინიცობა იგი ქალაქიდან გასვლას მოასწრებდა. შესაშე ნაწილს კი... სოხუმის განაპირას, მთის კალთის ძირში მიჩქმალულ ემხას სახლ-კარისათვის ალფა შემოერტყა.“

„მოსულებმა ოთახები განხრიკეს, მერე ეზოში მიმოფანტულ შენობებს შეესიენენ - სამზარეულოს, საჯინიბეს, სასიმიინდეს...“

უჯუშ ემხა მიტოვებული, განწირული და იმედდაკარგული აღმოჩნდა. ერთადერთი კაცი, ვინც მისი გადარჩენისათვის იბრძვის, ჰაკი აძბაა, უჯუშის ძიძიშვილი, მაგრამ მარტო ჰაკი რას გახდებდა. შიშით არა მარტო ღირსება და თანაგრძობის უნარი დაკარგეს, არამედ მატყუარებიც გახდნენ. უჯუშს ცრუ გინციით ამხნევებენ:

„...მთელი აფხაზეთი ჩაერევა ამ საქმეში და უჯუშს სიკვდილისგან იხსნის“.

„...შიში ნუ გაქვს: სიკვდილით არაფერს გაგიჭირვებთ“.

ასე ემუდარებიან უჯუშ ემხას, რომ როგორმე დაითანხმონ - დანებდეს კრეისერს და დანაშაული აღიაროს. იმის გამბედაობაც არ ყოფნით, სიკვდილის წინ სიმართლე უთხრან განწირულს და საკუთარი

სილაჩრე აღიარონ. ტყუილი დაპირებებით ცდილობენ ზვარაკი უკლავის მიტვერონ, თუმცა კარგად უწყიან, რომ არც მსხვერპლს და არც მზორავს\* არ სჯერა ამ ლიტონი იმედისა და პირობის მიტყუისა.

უფრო მეტიც: საკუთარი დაცემა არ იკმარეს და ცდილობენ უჯუმიც გამყიდველი გახადონ. როცა სასოწარკვეთილი ჰაკი აძბა ვერას გახდა, და ტუტუშტე ვერ იხსნა, გადაწყვიტა, დანაშაული და ბრალი თავს ელო. მომხდურებს განუცხადა – მეზღვაური მე მოვკალიო. ის იყო უჯუმს უნდა ევეირა, ჰაკი ტყუისო, რომ „ხუთიოდე თავადის ხელის გული პირზე აეფარა და სუნთქვა შეუკრა“.

– უჯუმ, ხმა არ ამოილო.

და ისე ვიწროდ შეჰკრეს წრე მის გარშემო, რომ გასაქანი არ მისცეს, შებორკეს და შეხუთეს.

– ძიძისშვილი რომ არის, თავიც უნდა გასწიროს შენტვის. კარგად იტყევა, იცოდუ: სიტყვა არ დასძრა.

– ერთი გლეხი რომ შენისთანა თავადს შეეწიროს, რა დიდი ამბავია!

– მით უმეტეს, რომ ჰაკი მდაბია, ბოლშევიკები ბატრაკად ჩასთვლიან და, იქნება, არც დახვრიტონ. შენ კი ოფიცერი ხარ და თავადი, სიკვდილი არ აცდებდა. აცალე ჰაკის, ხელს ნუ შეუშლი.

ეუბნებოდნენ უჯუმს ყოველი მხრიდან.\*\*

ხნეობრივი გახრწნილების სურათი დასრულებულია. ეს ხალხი ყველაფერს იკადრებს, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოს. მათთვის აღარ არსებობს ღირსება, თანაგრძობა, ერთგულება, სიძაროლე, პატიოსნება. ყველაფერი ეს შიშმა გამოაცალა და გადააქცია უგუნურ ბრბოდ.

უჯუმ ემზა უნებლიეთ და მოულოდნელად ამ საზოგადოებას დაუპირისპირდა. ამკარაა, რომ ეს ხალხი უჯუმს არ შეიბრალებს. ემზას განწირვით ცდილობენ გადარჩენას და, ცხადია, ყოველგვარი ლაპარაკი გამოსარჩლებაზე ზედმეტია. რა უნდა ქქნას ყოფილმა ოფიცერმა და თავადმა? იგი გადაწყვეტს დანებდეს: რაც მოუვა მოუვიდეს. „– აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლეელი და გნებდებით“.

ლ. ქიაჩელი არ გვეუბნება, როგორ და რატომ მივიდა ამ დასკვნამდე უჯუმ ემზა. სულ ცოტა ხნის წინათ არც უჯუმს და არც ჰაკის „რასაკვირველია, ცოცხლად თავის დანებება ფიქრადაც არ მოდიოდით“. აგვიწერს მხოლოდ შექმნილ სიტუაციას და აქედან ჩვენ უნდა ამოვიცნოთ, რამ აიძულა ემზა წინააღმდეგობის გაუწველად დამორჩილებოდა შიშით თავზარდაცემულ ბრბოს. თუ მოვლენას ზერელედ შევხედავთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უჯუმს შეებრალა მძველად დატოვებული ბეჭირბი

\* მზორავი – მსხვერპლის შემწირველი.



ჩაჩბა და დაპატიმრებული დედაძისი. მათი დახსნისათვის ემხამ ამჯობინა მორჩილება და წინააღმდეგობა შეწყვიტა. მართალი ბეჭირბი ჩაჩბას მძევლობამ და შოუპარი ემხას დაჭერამ შეარყია უჯუშის სიმტკიცე, მაგრამ დანებების გადაწყვეტილების მიღება გაცილებით უფრო რთულ საფუძველს ეყრდნობოდა.

ამ საფუძვლის დასანახად გავყვეთ მოვლენათა პროცესს.

უჯუშ ემხას განზრახ არ მოუკლავს მეზღვაური. პირიქით, იგი ცდილობდა მორიდებოდა რევოლუციური გემის მატროსებს და შეუძინებლად მიმალულიყო. მაგრამ ვასილ ხრიტანიუკმა ფარდულიდან მოჰკრა მას თვალი. დაედევნა, წამოეწია და შეაჩერა. ემხა „გარეგანი სიმშვიდის დაცვით მეზღვაურის შემდეგ ნაბიჯებს ელოდებოდა უხმოდ, უსიტყვოდ. ბრაზი მოერია ვასკა პირატს. მოთმინება არ ეყო ოფიცრის ეპოლეტებისა და ოქროს ორდენისათვის კიდევ ვცქირნა... და მარცხენა ხელი ემხას მარჯვენა მხარს ხმალივით შემოუქნია. კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია.

იმავე წამს რევოლვერი გაგარდა და განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირალმა გაიშხლართა უსულოდ.“

დღესავით ნათლად ჩანს, რომ უჯუშ ემხამ მოძალადე მოჰკლა საკუთარი ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსების დასაცავად. მაგრამ ამის გაგებას არავინ შეეცდება. არავინ გაარჩევს მტყუანსა და მართალს. კლასობრივი ეგოიზმით დაბრძვებულ საზოგადოებაში უჯუშ ემხა უთუოდ დამნაშავეა, რაკი იგი თავადია და ოფიცერი, მას იმთავითვე უარი ეთქვა სამართლიანობაზე. ამიტომ განწირულია. ერთადერთი იმედის ნაპერწკალს შეიძლება აღვივებდეს არისტოკრატთა და მდიდართა კლასის უღონო თანავრძნობა. მაგრამ ესეც გამორიცხულია: უჯუშ ემხა განსაცდელის გაჩენისთანავე მიატოვეს ამხანაგებმა: გამოჩნდა თუ არა მეზღვაური, ისინი უჯუშს „უმაღვე ჩამოცილდნენ. ჯერ შორი-შორს დადგნენ და შემდეგ, როცა ვასილ ხრიტანიუკი ემხას მუდგარი ნაბიჯით დაუახლოვდა, პალმებს შორის დაიფანტნენ, უჩინარნი შეიქნენ“. ასე შეატოვეს „მეგობრებმა“ უჯუშ ემხა მტრებს ხელში. ღალატის პირველი გაკვეთილი უკვე მიიღო უჯუშმა. მეორე გაკვეთილი უფრო ფართო და მასობრივი იქნება.

როცა ქალაქის მესვეურებმა შეიტყვეს, უჯუშ ემხამ მეზღვაური მოჰკლაო, შიშით გაოგნებულმა სამსონ დავანაძემ „ყველას გასაგონად სასტიკი ბრძანება მისცა, ქალაქი ყველა მხრიდან შეეკრათ. არც ტყვია დაეზოგათ, არც ცეცხლი და არც მახვილი, ოღონდ ოფიცერი ემხა აღმოეჩინათ და მისთვის ცოცხალი მიეგვარათ. მერე თავისი მგრავინავი ხმის კიდევ უფრო ამაღლებით ხალხს მიუბრუნდა და რუსულად მიმართა, რათა მისი ყოველი სიტყვა მეზღვაურებსაც კარგად გაეგონათ:



— მოქალაქენო, ჩვენს ქალაქში ქურდულად შემოხიზნული უფიქრულო უჯუშე ემზა ჩვენი დამლუპველი. იგი თავს დასხმია ჩვენს მსტურებს ქუჩაში და საშინელი მკვლელობა ჩაუდენია. ემზა ჩვენი მკვლელიც არის, ამხანაგებო! შინ გვყოლია მტერი, მოლაღატე და დროზე ვერ მივმხვდარვართ. ჩვენი ხსნა საშინელი წყრომისაგან, რომელიც უთუოდ დაეიმსახურეთ, მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია: საკუთარი ხელით შევიპყროთ დამნაშავე და მივეგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღავად.“

და მთელი ქალაქი ერთიანად აღსდგა უჯუშე ემზას წინააღმდეგ. ასე მოექცა უჯუშე ემზა ღალატსა და შურისგებას შორის. როგორც შურისგებას, ისე ღალატს, კვებავს სიძულვილი ემზას მიმართ. სიძულვილი ბრმა და ამშვიდებს მხოლოდ მოწინააღმდეგის განადგურება. უჯუშე ემზამ დაინახა ეს და ამის შეცნობამ უკარნახა მას დანებება-დამორჩილება.

უჯუშე ემზასათვის ნათელი გახდა ისიც, რომ საზოგადოება, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, ზნედაცემული საზოგადოებაა. ამ საზოგადოებას აღარ გააჩნია ღირსება, ვაჟკაცობა, ერთგულების, თანაგრძნობის უნარი. იგი შიშით ნიორწყლად არის ქცეული. მერედა, ღირს კი ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება? ადამიანს უჭირს უკონტაქტოდ არსებობა. ვისთან უნდა პქონდეს უჯუშეს ურთიერთობა? ვის ენდოს იგი? ესენი ხომ პირველი საფრთხისთანავე გაგყიდიან! უჯუშემა გააცნობიერა, რომ იგი სრულიად მარტოა. მარტოხელას ერთადერთი გზა დარჩენია, ან თავი მოიკლას ან მტერს დანებდეს. უჯუშე ემზას შემთხვევაში ეს ორი ვარიანტი ერთ შედეგს იძლეოდა — სიკვდილს. ემზა დამორჩილდა სიკვდილს. ამიტომ შეუშვირა მან ღვთაებრივი სიმშვიდით მეზღვაურების ტყვიას გული.

კიდევ ერთი საფუძველი აქვს უჯუშე ემზას მორჩილებას. უკვე ვთქვი, რომ უჯუშემა დაინახა თვალნათლივ და აშკარად, როგორ დაეცა და წახდა ის საზოგადოება, რომლის შვილიც თავად იყო. ამის შეცნობა ღისრებადუკარგავ ადამიანში უსაშველო სიბრაღელს იწვევს. უჯუშე ემზასაც შეეცოდა თავისი ხალხი. ბუნებრივად გაუჩნდა მისი გადარჩენის სურვილი, მაგრამ რით შეეძლო შველა? დაცემულ საზოგადოებას სიტყვითა და მოწოდებით ვერ გამოაფხიზლებ. იგი ბრმა და ყრუა ამადლებულის მიმართ. ერთადერთი, რაც დაცემულ საზოგადოებას დააფიქრებს და განსჯის სურვილს გაუჩენს, ეს არის მსხვერპლი, ნებაყოფლობით გაღებულ ღირსეულის მიერ.

აი, ამ ზვარაკის სახელითაც დანებდა და დამორჩილდა მტერს უჯუშე ემზა.

ეს უკვე ზნეობრივი გმირობაა და გასაგები ხდება, რატომ თქვა ლეო ქიაჩელმა უარი, აღეწერა ფინალში ნიკოლოზ ემუხვარი-უჯუშე



ემხას ის ვაჟაკური ქმედება, რომელიც სინამდვილეში მოხდა, ეს მაინც ფიზიკური სიმამაცე იყო, რომელიც პროტაგონისტის ზნეობრივ სიღრმეზე არაფერს ეუბნებოდა მკითხველს. მწერალს კი უპირველესად პერსონაჟის სამშენველის მოძრაობა აინტერესებდა და სწორედ ამ კუთხით გააშუქა მან უჯუშ ემხას სახე, უჯუშ ემხამ სიკვდილის ფასად დათრგუნა შიში და შეინარჩუნა ადამიანის ღირსება.

თუ ნიკოლოზ ემუხვარის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული მწერალს მნიშვნელოვან მასალას აძლევდა ფიქრისა და ანალიზისათვის, არა ნაკლებ საყურადღებო იყო სმელ ბადიას საქციელი. მართალია, დღეს სმელ ბადიაზე მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი ძიძიშვილთან ერთად დაილუპა, მაგრამ ლეო ქიაჩელს მამის გაცილებით მეტი შეიძლება გაეგონა და მოესმინა გლეხკაცის თავგანწირულ ერთგულებაზე.

როგორც რეალური პიროვნება სმელ ბადია, ისე მოთხრობის პროტაგონისტი ჰაკი აბბა ერთგულების განსახიერებაა.

ჰაკი აბბას მოქმედების ლოგიკის ამოსაცნობად უნდა გავიგოთ, რამ დაბადა მასში უღრეკი ერთგულების გრძნობა. თვითონ ჰაკი ამ ერთგულებას მამის ანდერძით ამართლებს – „მამაჩემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუშში შენი შზე არის, ეს იცოდეო. სიცოცხლე იმისათვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო, როცა ამის საჭიროება დადგებო“. რა თქმა უნდა, მომაკვდავი მამის უკანასკნელ დანაბარებს შვილისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ აბბას ერგულებას მართო ამით ვერ ავხსნივით. აშკარაა, რომ ერთგულება ჰაკი აბბას პიროვნების თვისებაა (სხვათა შორის, სწორედ ეს ვერ გაიგო კუხმა კილვამ, რითაც სულიერი სიბეცე გამოავლინა. მაგრამ ამაზე ბოლოს ვილაპარაკოთ). თორემ არც თოუხან მარშანი აღუზრდიათ ორგულების ქადაგებით. მასაც თავდადებისა და სიყვარულის იდეალით ზრდიდნენ. მაგრამ, რაკი მის პიროვნებაში არ იღო ერთგულების თვისება, უცბათ დათანხმდა უჯუშ ემხას საწინააღმდეგოდ ემოქმედა. თუმცა ემხას სწორედ მისი, როგორც დეიდაშვილის, დახმარების იმედი ჰქონდა. ისიც საყურადღებოა, რომ თოუხან მარშანი ცრუ დაპირებითა და კეთილგონიერებით ამართლებდა თავის მოღალატურ საქციელს.

ასეა: ყოველი ლაჩარი საკუთარ სიმხდალეს კეთილგონიერებით ამართლებს. თან გაყვედრის და გამუნათებს – შენ უჭკუობით სხვის საქმეს აფუჭებო. შენზე ნაკლები ვაჟაკი არც მე ვარ, მაგრამ სხვას რომ უბედურება არ შევაძთხვიო, წინდახედულად ვიქცევო. ყოველგვარი ნიღაბი არსებობს ამ ქვეყნად. მათ შორის სილაჩრის გამამართლებელი კეთილგონიერებისაც.

ერთგულებამ უკარნახა და ჰაკი აბბამ ორჯერ სცადა უჯუშ ემხას გადარჩენა.





პირველად მაშინ, როცა საზოგადოებამ გასწირა უჯუში და თავდახსნის ყველა გზა გადაუკეტა, მეორედ კი მაშინ, როცა უჯუში კუზმა კილგას მიჰკვარეს გეშუ. ორივეჯერ თავად დაიბრალა ჰაკიმ — მეზღვაური მე მოვკალიო. ორივეჯერ ამაო გამოდგა ტუქუმტის მსხვერპლი. უჯუშ ემზამ ზუსტად გააცნობიერა, რომ როგორც შიმისა და ღალატის, ისე კლასობრივი ეგოიზმის ატმოსფეროში სულიერი კეთილშობილება გაუგებარი და დაცინვის საგანია. უჯუშისათვის სიკვდილი ისე საშიში არ იყო, როგორც დაცინვა. მას არ უნდოდა, რომ ჰაკის სულიერი სისპეტაკე დაცინვის საგანი გამხდარიყო, ამიტომ ყველასათვის ნათელი გახდა ძიძიშვილის უდანაშაულობა. აქ ერთმანეთის გვერდით ორი თანაბარი ადამიანური ღირსების კაცი დგას. გლეხი ტოლს არ უდებს თავადს კეთილშობილებაში და თავადი არ ჩამორჩება გლეხს სულიერი სიმდიდრით. ვერც ამას მიხვდება კუზმა კილგა. გლეხისა და თავადის თანაბარი სულიერი ღირსება მისთვის სრულიად გაუგებარი და მოუწვდომელი ფენომენია.

როცა ჰაკი აბბამ სთხოვა კუზმა კილგას უჯუშის შეწყალება, კაპიტანმა ზიზლით მიუგო თავადის ერთგულ გლეხს „— შენ ხარ მონა, აფხაზო, კრეისერი „შმიღტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას“. ჰაკიმ არ მიიღო ეს განთავისუფლება. კილგამ ვერ გაიგო ჰაკის საქციელი. ვერც გაიგებდა, რამეთუ გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომ თვითონაც მონა იყო. ოღონდ ჰაკი აბბასაგან განსხვავებით, კლასობრივი ეგოიზმის მონა. კუზმა კილგას კლასობრივი ეგოიზმით დაბნელებულ გონებას ეგონა, რომ ჰაკის უჯუშისადმი ერთგულება „იყო ძალდატანება და ჩაგონება თავადების მხრით, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალბდნენ საკუთარი სიცოცხლის გაწირვით ბატონის დახსნას სიკვდილისაგან.“ კუზმა კილგა ადამიანის სულის მოძრაობის მხოლოდ ერთ ვარიანტს იცნობს. მისთვის სრულიად უცნობია ადამიანის სულის მოძრაობის უსასრულო მრავალფეროვნება. მათ შორის ერთგულებით და ეროვნული ტრადიციით გამოწვეული მოძრაობაც.

კუზმა კილგა ჰაკი აბბას პიროვნებით დაინტერესდა. მათ შორის სულიერი ბრძოლა დაიწყო. კაპიტანმა გლეხის „დაპუშავება“ გადაწყვიტა. როგორც მწერალი ამბობს, „კუზმას შეუძლებლად მიანდა, რომ აფხაზ გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადავი მაინც ელემენტარული რევოლუციონური იდეის შესათვისებლად“. ეს კუზმა კილგას შეცდომა იყო. მან ჰაკი აბბას ადამიანური ბუნება ჩათვალა ჰაკი აბბას კლასობრივ შეუგნებლობად. კუზმა კილგამ სცადა წაეყვანა ჰაკი აბბა საკუთარი ადამიანური ბუნების წინააღმდეგ. ეს კი არავეს ხელეწიფება. გონიერება უპირველესად მოითხოვს, გაგებულ



იქნეს სხვისი ადამიანური ბუნება და მერე გამოუმავდეს მისდამი დამოკიდებულების ფორმა. ტრაგედია იბადება მაშინ, როცა არ გვეხმის სხვისი ადამიანური ბუნება და ძალით გვინდა მოვასვიოთ თავს მისთვის უწევულო და მიუღებელი. ჰაკი აბბა რევოლუციის მხარეს გადავიდოდა მაშინ, როცა შეიწყალბდნენ უჯუშ ემხას. ამით დაკმაყოფილდებოდა ჰაკის ადამიანური ბუნების მოთხოვნილება. იგი ისეთივე ერთგული ჯარისკაცი იქნებოდა რევოლუციისა, როგორი თავდადებითაც უგვარდა უჯუშ ემხა. ჰაკი აბბასთვის უცხოა და მიუღებელი სიტყვის გატეხვა და ღალატი. კუზმა კილგას პრიმიტიულმა სულმა ვერ ჩაიხედა ჰაკი აბბას პიროვნების სიღრმეში. ამიტომ შეეცადა მისი „კლასობრივი შეგნების“ შეცვლას. კაპიტნის ამ განზრახვას კარგად მიხვდა ჰაკი აბბა. მან გადაწყვიტა ემშაკობაში ეჯობნა კოლეგისათვის, ნებას დაჰყოლოდა და ეს მოჩვენებითი მორჩილება უჯუშის გადასარჩენად გამოეყენებინა. ჰაკის ეს სვლაც შეუმჩნეველი დარჩა კუზმასათვის. მერე დღეს კილგამ გულმშვიდად დახვრიტა უჯუშ ემხა. როცა ამ აქტის მხილველი ჰაკი აბბას სულიერი და ფიზიკური ბუნება აჯანყდა, კუზმა კილგამ, მისი მოკვლის გარდა,<sup>1</sup> სხვა გამოსავალი ვერ ნახა. თითქოს თავს იმართლებსო, კუზმა კილგამ ეს უთხრა მეზღვაურებს — „სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა... აიღეთ, გადააგდეთ“.

კუზმა კილგას საქციელიც და სიტყვებიც ერთხმად ადასტურებს, რომ კაპიტანმა სულიერი ბრძოლა წააგო.

კრეისერ „შმიდტის“ ხორციტ მამაცი კაპიტანი სულით ლაჩარი გამოდგა.

რა განაპირობებს კუზმა კილგას სულიერ სიმხდალეს?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, გავიხსენოთ, როგორ აღწერს ლეო ქიჩელი უჯუშ ემხას უკანასკნელ წუთს.

„ემხა თავაწეული მოაბიჯებდა, დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი ბეჭები ოდნავი რხევით მოჰქონდა. გემის ბანს იქით იცქირებოდა მაღლა შემართული თვალებით. გახვევებულ და უმეტეველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა, რომელიც უძრავათ თვალებში შეფინებოდა: ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის

<sup>1</sup> არსებობს „ჰაკი აბბას“ გამოცემები, სადაც ეს ფინალი შეცვლილია. ამ გამოცემებში კუზმა კილგა არ ჰკლავს ჰაკი აბბას. უჯუშის დახვრეტის მერე ჰაკი თვითონ გადახტება ზღვაში და იხრჩობს თავს. ამგვარი გადაკეთება ზემოთ გამოთქმულ აზრს არ ცვლის, რამეთუ ჰაკი აბბა მაინც კილგას საქციელის მსხვერპლია. აქ მხოლოდ შერბილებულია კუზმას მოქმედება, ამიტომ ეს ცვლილება გაუმართლებელ მხატვრულ კომპრომისად მიმაჩნია.



ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარღვს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს. პირდაპირ, ცის კიდურზე გართხმულ მოწითალო სინათლის კრომას შეჭყურებდა, სადაც ნათელი დღის კარი უნდა გაღებულიყო".

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ უჯუშ ემხას სამშენველის მდგომარეობა არსებითად განსხვავდება იმ მშენივერი მდგომარეობისაგან, რომელშიც იგი იყო მაშინ, როცა კრეისერი „შმილტის“ ქალაქის ნავსადგურში შემოსვლა შეიტყო. სასტუმროში ემხა შიშმა შეიპყრო, აფორიაქდა და ანერვიულდა, თუმცა საფრთხის მხოლოდ შორეული ლანდი მოჩანდა. არც გადარჩენა იყო გამორიცხული. გემზე კი იგი გარდაუვალი სიკვდილის პირისპირ დგას. მაგრამ მაინც მშვიდი, სიმტკიცით სავსე და შეუდრეკელია. ეს სიმშვიდე იოლად არ ყოფილა მიღწეული. იგი სიცოცხლის ბოლო დღეს გადატანილ მოვლენათა ანალიზის ნაყოფია.

მართალია, მოთხრობაში ადამიანის ცხოვრების ერთი დღეა აღწერილი, მაგრამ ეს ერთი დღე ისეთი რთული ამბებით იყო სავსე, რომ ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ნახავს და განიცდის კაცი. შიში, მკვლელობა, სულმდაბლობა, ერთგულება, ღალატი – ყველაფერი ეს ერთბაშად მოხდა უჯუშ ემხას თვალწინ. ამან გარდაქმნა მისი სამშენველი და აზიარა იმ ჭეშმარიტებას, რომ სიკვდილის წინაშე, საიქიოს კარიბჭესთან ყველა ადამიანური ვნება პაწია, არარა და სასაცილოა. მაგრამ ამ ჭეშმარიტებას მხოლოდ სიცოცხლის დასასრულს იჯერებ ადამიანი. უფრო ადრე რომ შეეძლოს მისი დაჯერება, ალბათ არავითარ ბოროტებას არ ჩაიდენდა. როცა ამ ჭეშმარიტებას შეიტყობს და დაიჯერებს ადამიანი, ერთადერთი ისლა დარჩენია მას, რომ მშვიდად და ღირსეულად შეეგებოს სიკვდილს. უჯუშ ემხაც ასე მოიქცა.

ამ ერთი დღის მანძილზე კუზმა კილგამაც ბევრი რამ ნახა, ოღონდ არ განიცადა: ქალაქის მლიქვნელობა, გამყიდველობა, ფარისევლობა, ხელჭევეთის სიკვდილი, მეზღვაურთა ლაჩრობა (ერთ კაცს ვერ გაუმკლავდა მთელი ჯგუფი მატროსებისა), უჯუშ ემხას სიმტკიცე, პაკი აბბას ერთგულება და თავგანწირვა. ამ მოვლენებს მის სამშენველზე კვალი არ დაუნჩევია, რამეთუ ყველაფერს მან ხორციტ გამარჯვებულის ბრმა თვალით შეხედა. რაკი შეპყრობილი უჯუშ ემხა მოჰგვარებს, კილგამ პრობლემა მოგვარებულად ჩათვალა, მას შეეძლო შურისძიების აქტი აღესრულებინა. ამ კმაყოფილებამ მისი სამშენველის მოძრაობა შეკრა და შებორკა, კმაყოფილება ხორცის თვისებაა, სული კი მარად მაძიებელია. კუზმა კილგაში ეს მაძიებელი სული აღარ მოქმედებდა და აზროვნებდა. როცა პაკი აბბამ კილგას ქადაგება არ დაიჯერა,



კაპიტანს კმაყოფილება დაერღვა და გაბოროტებულმა მოჰკლა თავადის ერთგული გლეხი. სწორედ ეს გაბოროტება და სულის უმოქმედობა კუზმა კილგას სულიერი სიღაჩრის საფუძველი. კაპიტანს არ აღმოაჩნდა ახალი ჭეშმარიტების მიგნების სურვილი.

ასე გაანადგურა კლასობრივმა ეგოიზმმა ღირსება და ერთგულება, მაგრამ ვერ გატუნა და დათრგუნა ისინი. ამიტომ დარჩა ღირსებასა და ერთგულებას სულიერი გამარჯვება.

ასე იქცა ლეო ქიაჩელის ხელში ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა მდიდარი აზრობრივი შინაარსის მხატვრულ ნაწარმოებად.



გაუგებოდ, ბუნდითხად მხოლოდ იმ შემთხვევაში წერენ. ერთხელ, რთცა  
 ბს ცუდად იცაან, რანჯე წერენ. შერთედ, რთცა დუბაგოტოური ძიხნით წერენ და  
 სიქეების კორიანსკულით ძქითხელს თვალში ნაცარს აყრან.

სქაი ნიქიჩე

## „ხოგაის მინდია“

„ხოგაის მინდიაში“ ორი სიუჟეტური ამბავია: ერთი – მინდიას ტყვეობისა ქისტებთან, მეორე – მინდიას მოგზაურობისა გუგულების ქვეყანაში. პირველი სათავგადასავლო თქმულებათა უანრს ეკუთვნის, მეორე – მითოლოგიურ-ფილოსოფიურს. ისინი ერთმანეთს აკვსებენ და ერთად ქმნიან მოთხრობის აზრობრივ შინაარსს.

თავდაპირველად მინდია არაფრით გამოირჩეოდა თვისტომთაგან. იგიც მონაწილეობდა ქისტების წინააღმდეგ ლაშქრობაში, იგიც ასრულებდა თემის ადათს. შემდეგ ტყვედ ჩავარდა მინდია და შვიდ წელიწადს ელოდა ხსნასა და თავისუფლებას. ტყვე მინდიას ქისტი აღდიძის ქალი ხადიშათი შეუყვარდა. იმ დღეს, როცა ხვესურებმა ქისტეთი დალაშქრეს და მინდიაც გაათავისუფლეს, სასიკვდილოდ დაიჭრა და დაიღუპა ხოგაი, მამა მინდიასი. წესისამებრ იგლოვეს არხოტიონებმა ხოგაი და მიწას მიაბარეს. მოუსვენრად აბორცდა ხოგაის ხმალი: შურისძიებას ითხოვდა იგი, სისხლს მოითხოვდა მისი პატრონის დაღვრილი სისხლის წილ. მაგრამ მის შვილებს შორის არ იყო მამის ბადალი ვაჟკაცი. მინდიას კი ტყვეობაში უცნაური სენი შეყროდა: მკბენარი ესეოდა ერთთავად საცოდავს. თან უკურნებელ სვედას შეეყრო იგი: შხისფერი ხადიშათის სიყვარული ეძახდა მინდიას ქისტეთში. ხედავდნენ ხვესურნი: აღარ ვარგოდა მინდია შურისძიებლად.

თითქოს არაფერი არღვევს ამბის ჩვეულებრივ მდინარებას. მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია მოულოდნელად გამოყოფს ერთ დეტალს – „საოცარი სენი შეეყროდა ხოგაის მინდიას: ტილი ესეოდა დღენიდაგ ტანზე და ვერა წამლით ვერ ეკურნათ მისთვის“. ეს უკვე სცილდება ყოფითი რეალიზმის საზღვრებს და ამბავი მითოლოგიურ პლანში გადადის. თუ მიწიერი წამალი არ შველის მინდიას, მაშინ სად უნდა ეძიოს განკურნება? ბუნებრივია, მინდიას ზეციერმა ძალამ უნდა უშველოს. მართლაც, ერთ დღეს, სანადიროდ წასულ მინდიასა და მის ძმისწულ საღირას მონადირის ქვაბში ნადირთ ღმერთი ოჩოპინტრე ეწვია.

ოჩოპინტრე ნადირთ მფარველი ღვთაება რომ არის, ეს ნათლად დასტურდება არა მარტო ხვესურული, არამედ საერთო ქართული თქმულებებითაც. ამიტომ ოჩოპინტრეს ვინაობაზე საუბარს არ გავაგრძელებ.

გუგულების ქვეყანა უკვე მითოლოგიური სამყაროა. სხვათა შორის, არის ერთი ასეთი ქართული თქმულება: სადღაც ინდოეთში ყოფილა ქონდრის კაცებით დასახლებული ქვეყანა. ამ ქვეყანაში შემთხვევით



ერთი ქართველი მოხვედრილა. უჭირდა ქართველს ქონდრის კაცების მიწა-წყალზე ცხოვრება: ცოტას ჭამდნენ და ცოტას სვამდნენ ისინი. ერთი მჭადი და ნახევარი თუნგი ღვინო ჰყოფნიდათ მთელ კვირას. შიშხილი აწუხებდა ქართველს და სამშობლო ენატრებოდა. სამი ზამთარი გაუტარებია ქონდრის კაცების ქვეყანაში ქართველს. ჩამომხმარა იგი დარდით და შიშხილით. მაშინ უთქვამს ერთ ქონდრის კაცს: წავიყვანო სამშობლოში და გამოგზავრებულან საქართველოსკენ. ჯუჯა ადამიანების ქვეყნის საზღვარს რომ მიღწიეს, გამოუტყდა ქართველს თანამგზავრი: გადავცდები თუ არა ჩემი ქვეყნის საზღვარს, გუგულად გადავიქცევიო. ფრენა-ფრენით გაგიძღვები წინ და ისე მივიყვან საქართველოშიო. მართლაც, გადმოულახათ საზღვარი თუ არა, ქონდრის კაცი გუგულად გადაქცეულა, შეშინებული ქართველი პირდაღებული მისჩერებოდა ამ უცნაურ სანახაობას. ბოლოს, ფრთის შეხებით დაუბრუნებია გუგულს გაოგნებული ქართველი ამქვეყნად. როგორც იქნა, მაისის ბოლოს ჩამოსულან ისინი საქართველოში. გახარებული ქართველი ეხვეწა და ემუდარა თურმე გუგულს, სტუმრად დარჩი ჩემს სახლშიო, მაგრამ კატების შინებით საშინლად გუგულად გადაქცეულ ქონდრის კაცებს და ამიტომ სტუმრობაზე მტკიცე უარი უთქვამს. ისევ თავის ქვეყანაში გაბრუნებულა გუგული.

კ. განსახურდია იყენებს ამ თქმულებას. „ზოგაის მინდიაშიც“ ასე წერია: „ასეთი წესია თურმე გუგულების ქვეყანაში: ვინც გალმიდან გამოღმა გამოდის, მან კაცის სხეული უნდა დაჰყაროს და ფრინველის გვამში გადასახლდეს და იძახოდეს მერმე ქვეყნად – გუგულ-გუგულოო.“ მაგრამ „ზოგაის მინდიაში“ გუგულების ქვეყანას სუფთა მითოლოგიური სახე აქვს მიღებული. იგი, ერთი მხრივ, ოჩოპინტრეს უკავშირდება და, მეორე მხრივ, თეთრ გველებს. ორივე, ოჩოპინტრე და გველი მითოლოგიური თქმულებების უცვლელი პერსონაჟებია. თუ გუგულების ქვეყანაში ოჩოპინტრემ ჩაიყვანა მინდია, თეთრი გველების ჭამით განკურნეს გუგულებმა ზოგაის ძე ტილებისაგან. ამასთანავე, გველების ჭამის შედეგად დაჰკარგა მინდიამ საკუთარი ლანდი და შეიძინა ყოველი სულდგმულისა თუ უსულოს ენის გაგების უნარი.

გველის საშუალებით სიბრძნის შექმნის მოტივი სხვადასხვა ვარიაციით ხშირად მეორდება ქართულ ზღაპარში.

თ. რაზიკაშვილს კახეთში ჩაუწერია ზღაპარი „მეცხვარე და გველი“. გზად მიმავალ მეცხვარეს გველი შეხვედრია. მეცხვარეს უფიქრია ეს გველი გზაზე ვინმემ არ მოკლასო, აუყვანა უხსენებელი და ბუჩქებში გადაუსვამს. მაღლიერების ნიშნად გველს უთქვამს მწყემსისათვის – „ჩაგებრავ და არ შეშინდეთ. ჩაჰბერა ვაჟს და გახდა გულთმისანი



მწყემსი. ყველაფრის ლაპარაკსა და ხმას გაიგებდა: ცხვრისას, ძროხისას, კამეჩისას, ბალახისას, წყლისას და სხვა“.

თუ აქ გველის ჩაბერვით გახდა კაცი ბუნების ენის მცოდნე, „გველის ძმობილის“ ზღაპარში სიბრძნე ადამიანს გველის ენის წვერის დადებით ეძლევა. ამ ზღაპარშიაც ყმაწვილი მწყემსი გზაზე გველს იპოვის. აიყვანს, გზიდან გადასვამს, არავინ მოჰკლასო და თან პურითა და ყველით გაუმასპინძლდება. მადლობის ნიშნად გველი ბიჭს ეუბნება – რაკი ვერე მადლიანი ხარ, ენა გამოყავი და ჩემი ენის წვერს დაადეო“. ბიჭი ასეც მოიქცა. იმ წუთიდან ყმაწვილს თავისუფლად ესმოდა ცხოველთა, მცენარეთა და ფრინველთა ენა.

„გველისა და კაცის“ ზღაპარშიაც სიკეთისათვის ადამიანს გველი ჯადოსნური ცოდნით ავიღდობებს. გზად მიმავალი ცოლ-ქმარი გველის წიწილებს წააწყდება. კაცი იფიქრებს ესენი აქ არავინ დახოცოსო და გველის წიწილებს სოროში შერეკავს. მადლიერი დედაგველი კაცს ეტყვის – ენა გამოყავი, უნდა გაკოცოო. გველის კოცნით კაცი მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ენას ისწავლის.

ერთი სიტყვით, ქართულ ზღაპარში გველი და სიბრძნე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს (არაფერს ვამბობ ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელზე“). იგივე მოტივი მეორდება „ხოგაის მინდიაშიც“.

ახლა გავიხსნათ მითოლოგიური ქარაგმა და მივიღებთ შექმვე სურათს: ხორციელმა კაცმა მინდიამ ღმერთთან კავშირი შეკრა (თუ ქრისტიანული წარმოდგენით ოჩოპინტრე ეშმაკის სულია, წარმართული გაგებით – ღმერთია). ღვთაებამ იგი სულეთში (გუგულების ქვეყანაში) წაიყვანა, მიწიერი ცოდვებისაგან (ტილებისაგან) გაწმინდა და ღვთაებრივი ცოდნა მიაღებინა (გველი აჭამა).

სიყვარულით განიშსჭვავლა ხოგაის მინდია ყოველი სულიერისა და უსულოსადმი.

მშვიდობა თქვენდა, ხევსურთა ციხეებო და ქვიტკირებო, მშვიდობა თქვენდა, ქისტების მიზგიეთებო და ცინეკოსკებო!

მშვიდობა თქვენდა, ჯიხვებო და ორბებო, კუებო და არჩვებო, ლურჯო იებო და თეთრო დევისპირებო, ბაბაჭუებო და ჭიანჭველებო.

მზვერბელ იყავით ყვავილებო, დებო და ძმებო!

ქე ხორციელმა მიწიერი ვნებანი უარჰყო და ზეციერი ვნებანი იტვირთა. მაგრამ უღმობელი აღმოჩნდა ადამიანურისა და ღვთაებრივის ბრძოლა. ხოგაის მინდიას წინ აღუდგა მტერი და მოყვარე, ახლობელი და შორეული. მთელმა ქვეყანამ დაიჯერა: ხოგაის მინდია მაცილ-ეშმაკებმა შეშალესო.

აღმოჩნდა, რომ ბრძოლით ცხოვრობს არა მარტო ადამიანთა საზოგადოება, არამედ ბუნებაც, ბუნების ყოველი შვილი.



„...ატყდა სკებთან უცნაური ზუზუნი. ახლადნაყარი ფუტკარი დასხმოდა სკებს... გაცხარებული იბრძოდნენ ფუტკრები. შხამიანი, ისრით განგმირულები თოვლის ფანტელივით სცვიოდნენ ბანზე...“

უთურგვამ სიტყვის დაძვრაც აღარ აცალა მინდიას. ერთი ვადახედა დახოცილ ფუტკრებს, შემდეგ მღუძარე ძმებისაკენ გადაიტანა მზერა და ეუბნება:

„აი ეესრ არ ეს, მინდიავ, წუთი სოფლის წეს“...

უფრო მეტიც, თურმე ღვთაებასაც სისხლი სწყურია. უცოდველი თიკანი უნდა შესწირო ღვთაებას, წყალობის თვალთ რომ გადამოგხედოს. მაგრამ ზოგაის მინდიას ყოვლისშემწყალე გულმა ვერ გაიშეტა ტარიგი ღვთაებისათვის და მან თეთრი თიკანი მოჰპარა მწვევრის საფლავის ხატს.

ხევსურული მითოლოგიური თქმულებების თანახმად, მწვევარი ანთროპომორფული\* არსებაა. იგი თემის ღვთაების თანშხლებია, თავად ნახევარღმერთი. მწვევარი ყოველთვის დაუყოვნებლივ ეხმარება და შველის გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს. მწვევარი იმ ომებშიაც მონაწილეობს, რომელსაც თემი მტრულად განწყობილი მეზობლების წინააღმდეგ ეწევა. იგი თავგამებებული ებრძვის თემის მტრებს, კბილებითა და ბრჭყალებით ვლუჯს მათ.

ამდენად, თიკნის მოპარვით, ზოგაის მინდიამ დანაშაული ჩაიდინა ღვთაებისა და თემის წინაშე. იგი ერთნაირად აუშხედრდა ადამიანურსა და ღვთაებრივს, დაიბნა და წონასწორობა დაკარგა. ამით დაიწყო და ჯიხვის მოკვლით დამთავრდა მისი დაცემა. ღვთაებრივი საწყისი გაეცალა მას და მისი სული ისევ შეიმოსა ხორცით. ხორცს კი ისევ გაუწნდა ლანდი. ეს კი იმის მიმანიშნებელი იყო, რომ საჭირო დროს მინდიას სიკვდილი შეეძლო. მართლაც, როცა ქისტეთთან ომში ვაჟაფგადაცმული ხადიმთ აღდიე შემოაკვდა, ზოგაის მინდიამ თავი მოიკლა. სიყვარულის სიკვდილის შემდეგ მისთვის აღარც ადამიანურ და აღარც ღვთაებრივ ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა.

აქ უნებლიეთ მახსენდება უბრწყინვალესი ბერძნული მითი კენტავრ ხირონისა.

ხირონი იტანჯებოდა უკურნებელი ჭრილობით. იგი გამოქვაბულში განმარტოვდა, უნდოდა მომკვდარიყო. მაგრამ რაკი უკვდავი იყო, სიკვდილი არ შეეძლო. მაშინ ხირონმა პრომეთეოსის მაგიერ შესთავაზა თავისთავი ძვესს. ღმერთების უფალმა მიიღო ეს წინადადება. კენტავრს უკვდავება ელოდა, მაგრამ მარადიულ ტანჯვას სიკვდილი ამჯობინა.

ასე იპოვა ხირონმა შვება, განკურნება და თავისუფლება.

ზოგაის მინდიამაც სიკვდილში ნახა ხსნა, რადგან მის ღვთაებრივ იდეალებს არ ეწერა განხორციელება.

\* ანთროპომორფული – ადამიანის მსგავსი.





## თვინიერების უარყოფელი

ძველბერძნულ მითოლოგიასა და ლიტერატურაში არის ცნება – ჰიბრისი. იგი აღნიშნავს ურჩობას, დაუმორჩილებლობას, ამპარტავნობას. ეს არ უყვართ ღმერთებს და სჯიან ჰიბრისით შეპყრობილ ადამიანებს. ეს გარდაუვალი და აუცილებელი სასჯელი კი გამოხატულია ცნებით ნემეზისი. ჰიბრისს უთუოდ მოსდევს ნემეზისი ანუ შურისგება, სამაგიეროს გადახდა.

პრომეთემ მოიტაცა ცეცხლი და მიუტანა ადამიანებს (ჰიბრისი). ეს ურჩობაა უზენაესის მიმართ, რაც უნდა დაისაჯოს. პრომეთეს კავკასიონს მიაჯაჭვავენ და არწივს მიუჩენენ, რომელიც ტიტანს გულ-ღვიძლს უკორტნის (ნემეზისი).

პენტეესს არ მოსწონს ბაკხანალები და ებრძვის დიონისეს. დიონისე აფრთხილებს პენტეესს – ღმერთის წინააღმდეგ ამხედრება ცუდად დაბთავრდებაო. ჰიბრისით შეპყრობილი თებეს ყმაწვილი მეფე ყურად არ იღებს უკვდავის გაფრთხილებას და აგრძელებს ამბოხს. დიონისე სასტიკად სჯის მზვაობარს\* – ბაკხობით გონდაბინდული ავაკე, დედა პენტეესისა, ჰკლავს შვილს.

იანტე მცირემ, ტროას აღების შემდეგ, ათენას ტაძარში თავშესაფარებლად მისული კასანდრა გააუპატიურა. ამ ჰიბრისის გამო განრისხებულმა ათენამ იანტეს ზომალდი დაუშხვრია. ქალღმერთის ნემეზისისაგან იანტე მცირე პოსეიდონმა იხსნა და კლდეზე გარიყა. ამპარტავნებით თავბრუდასხმული იანტე ვერ მიხვდა, რომ ზღვის ღმერთმა გადაარჩინა და ოლიმპოს მკვიდრთ დაცინვა დაუწყო (მეორედ ჩაიდინა ჰიბრისი) – ყურზე ხახვი ვერ დამაჭვრით, მაინც გადავრჩიო. ამგვარი თავხედობით აღშფოთებულმა პოსეიდონმა კლდე ზღვაში ჩაძირა და იანტე მცირე დაიხრჩო. ნემეზისს ვერსად წაუვიდა მოკვდავი.

ნიმუშების გამრავლება საჭირო არ არის, რამეთუ ასეა ყველა მითოლოგიურ თქმულებაში და მათ საფუძველზე დაწერილ ძველბერძნულ ლიტერატურულ თხზულებანში.

თუ ღმერთებს არ უყვართ ჰიბრისი, სამაგიეროდ უადრესად პატივს სცემენ ზომიერების, თვინიერების ანუ, როგორც ძველი ბერძენი იტყოდა, სოთროსინეს ამლიარებელთ. სოფოკლეს ტრაგედიაში „იანტე“, რომელიც იანტე დიდს ეძღვნება, ქალღმერთი ათენა გულახდილად ეუბნება ოდისევსს: თავშეკავებული იყავი, არასოდეს შეურაცხყო უკვდავნი თავხედური, ამაყი სიტყვით. ღმერთებს უყვართ კეთილგონიერნი, სძულთ ამპარტავნები.

\* მზვაობარი – ამპარტავანი.



როგორც ვხედავთ, ბერძნულ მითოლოგიასა და ლიტერატურაში სრულად, მკაფიოდ გამოკვეთილი იდეური მოდელია შექმნილი ჰიბრიის გამოავლენს აღამიანი, მას არ ასცდება ნემეზისი, ხოლო თუ სოთროსინეს დაიცავს, ღმერთები კეთილი თვალთ გადმოსხედავენ.

ეს აზრი ნასესხები აქვს ქრისტიანულ რელიგიასაც. ქრისტიანობაც გვაფრთხილებს - „არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (მათე, 4,7). მოგვიწოდებს - „ნუ ძლიერობნ კაცი“ (ფსალმუნე, 9, 20). აქაც ზომიერება, მორჩილება, თვინიერება სათნოებად არის გამოცხადებული: „ნეტარ იყვენ გლახანი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 5, 3).

ამ იდეურ მოდელში ერთი წინააღმდეგობაა: მორჩილებას და ზომიერებას ითხოვენ ისინი, ვინც თავად იყვენ ურჩნი და გოროზნი. ზევსი ზომ მამამისს ქრონოსს აუშხედრდა, ხელისუფლება წაართვა, თვითონ გახდა ოლიმპოს მბრძანებელი და ღმერთების მამა. ქრისტესაც ხომ პირში მიახლიან გულმოსული ებრაელები - იმიტომ ვსჯით, რომ „კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ“ (იოანე, 10, 33).

მაშინ როგორღა მოვიქცეთ? ორი შესაძლებლობიდან რომელი ავირჩიოთ - ჰიბრიისი თუ სოთროსინე? ჩემი აზრით, ამ კითხვას ღრმადზროვან პასუხს აძლევს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.

ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე ჰიბრიისიანი კაცია. იგი ეურჩება ფარსმან სპარსსაც, მეფესაც და კათალიკოსსაც.

არსაკიძე კირითხუროდ მუშაობდა ფარსმანთან, როცა მეფემ და კათალიკოსმა ქვეყნის უპირველესი ტაძრის სვეტიცხოვლის აშენება დაავალეს.

ხუროთმოძღვართუხუცესი ამტკიცებდა: ვერ შევძლებთო ასეთი ტაძრის აშენებას ათ წელიწადში... მაშინ ციხეების აგებაც უნდა შეჩერდესო, ლოდსატყორცების და ტარანების კეთებაც...

არც არაგვისა და მტკვრის შესართავის უკვარცხლობეკო ვაკე ვარგოდა საამშენებლო ადგილად. მომავალ სვეტიცხოველს ჯვრის მონასტერი, სარკინეთისა და ზედაზნის მთები გადმოსცქეროდნენ ზევიდან.

იმასაც მიხვდა არსაკიძე, ნებით თუ უნებლიეთ, ფარსმან სპარსს რომ უპირისპირებდნენ: „მოხუცებულ ბრძენკაცს უნდა შებოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი, მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში“.

მაინც არავის და არაფერს შეუშინდა იგი. შეუპოვრად მოჰკიდა ხელი ტაძრის შენებას.

აქვე იბადება უზენაესთან მეტოქეობის სურვილიც. „...ქაოსს შემოაცლის სრულყოფილს, ბედნიერი შემოქმედი შესძახებს ქმნილებას: იქმენინ ნათელი!“



ეს ხომ უფლის სიტყვებია! არსაკიძეს ეოცნებება მათი გაშეორება და გაიშეორებს კიდევ. ტაძრის კურთხევის დღეს, როცა იგი დატრიალდა შეიფანეს სვეტიცხოველში, მან ჩუმად, ისე, რომ არავის გაეგონა, ჩაიბუტბუტა – იქმენინ ნათელი!

არსაკიძემ იცის, როგორი თავდავიწყებით უყვარს მეფე გიორგი პირველს ერისთავ კოლონკელიძის ასული შორენა, მაგრამ არც ამას ებუება ხუროთმოძღვარი. შორენა არსაკიძის ნანდაური შეიქმნება. ფარსმან სპარსმა დააბეზლა მეფესთან სვეტიცხოვლის ავტორი. ხელმწიფემ გაიკვირვა:

„არა მგონია, თავი გამიტოლოს აგრე რივად მაგ ლაზმა“.

„გატოლებათ?“

გაიღიმა ფარსმანმა.

„მეფეებს არც უტოლებს იგი თავს.“

მიწისძვრის მეორე დღეს შვეუარე, ავადმყოფი მეგონა, შინ არ დამხვდა ფხოვს გაქცეული. ერთი სურათი ვნახე მის მიერ ნახატი, იაკობისა და ღმერთის რკინებაა ზედ გამოსახული.

თანაც იცოდე, ღმერთს მელქისედეკის თვალები აქვს, ხოლო იაკობს – დამხატველისა“.

მართალია, ფარსმანმა ჯაშუშის როლი იკისრა, მაგრამ ტყუილი არ უთქვამს.

არსაკიძეს დღენიადავ აწვალებს ფიქრი ღმერთისა და იაკობის ბრძოლაზე.

როცა ერთხელ მელქისედეკი ქადაგებისას ამ ბიბლიურ ამბავს შეეხო და მწვალებელნი და მკრეხელნი დაჰკმო, „ამ წუთს ასე ეგონა არსაკიძეს: მას ერთს შესცქეროდა კათალიკოსი, ეჭვი აღეძრა მცირეოდენი. წელანდელი ფიქრი ხომ არ შეიცნო ამ მოხუცმა გრძნეულების ძალით“. მართლაც სულ ცოტა ხნის წინათ მშენებარე სვეტიცხოველს უყურებდა არსაკიძე და ფიქრობდა – „ათასეული წლები წალუკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“.

მერე, ავადმყოფობის ჟამს, საჭმისაგან მოცილილმა, დახატა არსაკიძემ ღმერთთან მორკინალი იაკობი და ამ სურათში შორენამაც ის დაინახა, რაც ფარსმან სპარსმა: „მელქისედეკ კათალიკოსს მიუგავს ამ ბებერს სახე... ხოლო იაკობ შენა გგავს...“

არსაკიძის ღმერთთან მეტოქეობის სურვილი იმით დავერგვინდა, რომ სიკვდილის წინ ეზმანა – „და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერმე მიწვდა იგი ჭრილობიან ბარკალს და დაუბოშა ვრცელი ბარკლისაი“.



სრული ჰიბრიდია. არსაკიძის შემოქმედი სული შეიპყრო ჰიბრიდმა და ამისათვის ისჯება იგი. სამივე მეტოქემ იძია შური. ფარსმან სპარსმა დაასმინა, მერე მახე დაუგო, მუფემ მკლავის მოკვეთა ბრძანა. ხოლო კათალიკოსმა არ დაიცვა. ერეტიკოსად ჩათვალა, რაკი არსაკიძემ თავი ღმერთთან შებრძოლ იაკობს შეადარა. ნემეზისი აღსრულდა. ყველასაგან მიტოვებული არსაკიძე მორიელეებმა დაკბინეს და იგი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

ხუროთმოძღვარ არსაკიძის ცხოვრება არის სოთროსინეს უარმყოფელი კაცის თავგადასავალი.

კონსტანტინე გამსახურდიას გამოყენებული აქვს ანტიკური ტრაგედიის მოდელი. მაგრამ უშთაფრესი ის არის, რომ არსაკიძე არ ნანობს თავის ხვედრს. უთანასწორო ბრძოლის შედეგად მიღებული დასკვნა მისი ასეთია: „საპატიო ვალია კაცისა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავად უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქედ“.

ასეა, სოთროსინეს ერთგულს არ ელის ნემეზისი და შეუძლია მშვიდად გალიოს წუთისოფელი. ოღონდ ეს არის, ვერც სვეტიცხოველს ააშენებს იგი ვერასდროს.



ბავშობაში ერთი ბავშვიანი გვიძნული ლექსი მასწავლეს. მისი შინაარსი ასეთი იყო: რძით სასუე კასრში თინი ბავაჟი ზავაზღა; ერთმა იფაქრა, აქედან რაღა ამომიყვანსო და ბუღს დაქობიწილა. ფეხები ჯღარ გაანძნია და რძემი დაიბწინო.

მეთრეპ ეს ბრძოლა არ შეწყვიტა, ფეხები მხნამ იქნია, სხნამ რძისაგან კარაქი არ მოღღევაბა, შფარ კარაქს დაჯორღნო და კასრიდან ამიწეცა.

შე ფოველთეფს კარაქის მღღევაბე ბავაჟის ნებესყოფა და იქედანითბა შინბლაყდა და ღღევაბე შინბლაყს.

საქი შაქრი



ვინც რვეზ ინანიშვილს კარგად იცნობს, თავდაპირველად შეიძლება გაუკვირდეს კიდევ ის ეპიგრაფი, რომელიც მწერალმა წაუშმღვარა მოთხრობას „სიკვდილი ბარბაღე ბადიაურისა“: „კუძღვნი ნ. ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას“. აქ რ. ინანიშვილისათვის უცხო ლიტერატურული კოკობზიკობის გამოძახილი ისმის. მაგრამ თუ ღრმად დავაკვირდებით, კარგად დავინახავთ, რომ სრულიად არ არის ასე. ეს ეპიგრაფი ალაღად არის დაწერილი. უფრო მეტიც, იგი რ. ინანიშვილის უშუალოდ დადასტურებაა. მწერალი ალბათ არც დაფიქრებულა, როგორ აღიქვამდა მკითხველი მიძღვნას. გულში დაბადებული გრძნობა ბაღღური მიამიტობით გამოთქვა. სწორედ ეს უშუალობაა მაგნიტური ხიბლი, რითაც გიზიდავთ რ. ინანიშვილის პიროვნებაც და შემოქმედებაც. ამის მიღწევა ხელოვნურად შეუძლებელია. იგი ბუნებამ უნდა დაგანათლოს.

„საღამოს ხანის ჩანაწერებსაც“ ბუნებრიობა და უშუალობა ამშვენებთ. „მე ვწერ იმაზე, რასაც ყველაზე კარგად ვიცნობ. ყველაზე კარგად კი ჩემს თავს ვიცნობ“. მართალია, ამას რ. ინანიშვილის პერსონაჟი ამბობს, მაგრამ აქ მწერლის პოზიციაც არის გამჟღავნებული. ეს ცოდნა და ნაცნობობა აძლევს მწერალს საშუალებას სულის უფაქიზესი ძაფებით დააკავშიროს მკითხველი პერსონაჟებთან, მოულოდნელად, შეუმჩნეველად გახადოს ისინი ახლობელნი და შინაურნი. მერე ისე გეჩვენება, თითქოს ამ ადამიანებს დიდი ხანია იცნობდი, მეზობლობდი, მეგობრობდი, იცოდი მათი ასავალ-დასავალი, ხასიათი, ბუნება. უკან მოიხედავ, გაიხსენებ და აღმოჩნდება, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობს. მაგრამ ამ ჩვეულებრივ ატმოსფეროში რ. ინანიშვილის მიერ შექმნილი ღირიზმითა და ინტიმით დაბანგული დაბორიანლებ და თავი ვერ დაგიღწევია. არ გინდა ამ ადამიანებთან გამოთხოვება, მათთან ურთიერთობის გაწყვეტა.

შინც ვინ არიან ისინი? უბრალო, რიგითი, პატარა ადამიანები (ცხადია, ტერმინი „პატარა ადამიანი“ პირობითია).

პატარა ადამიანი ყოველთვის იყო კლასიკური ლიტერატურის ყურადღების საგანი. გაიხსენეთ თუნდაც ვოგოლის, ფრანსის, ჩეხოვის და სხვათა პერსონაჟები. კლასიკურმა ლიტერატურამ (როგორც უცხოურმა, ისე ქართულმა), აღმოაჩინა და გვიჩვენა პატარა ადამიანის სულის მშვენიერება. რ. ინანიშვილმა კი მიაგნო და წარმოგვიდგინა



პატარა ადამიანის ძალა. მოვიტან ორიოდ ნიმუშს გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ.

საბავშვო ბაღის ვესტიბიულში ვანო ბუჭყიაშვილი ბიჭს უცდის. იგი უბრალო მუშაკაცია, მშრომელი და მართალი. უცბად ვესტიბიულში პატარა გოგო შემოვარდება. უცხო კაცს დაინახავს და საუბარს გაუბამს.

„- ავეჯი სულ არა გაქვთ?

- ნწ, სულ არა გვაქვს. ავეჯი რომ გვეკონდეს, როგორღა ვითამაშებდით?!

- რას ველარ ითამაშებდით?

- ფრენბურთს, ოთურმას, დაჭერობანას.

გოგონამ ფუნჩულა ხელით ქვედა ტუჩის სრესა დაიწყო, ვანო კი განაგრძობდა:

- ჩვენ ტანსაცემლიც ისეთი გვაქვს, სადაც ვინღა ჩაეჯექი. აი ნახე! ვანო იატაკზე დაჯდა, გოგონას გაუცინა და ისევ სკამს დაუბრუნდა“ („ვანო“).

ვანო ბუჭყიაშვილი ღონიერი კაცია. იმის გამო კი არა, რომ გლეხკაცის უდრეკი ქელი და დაულღელი მარჯვენა აქვს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამაოების ჭიამ ვერ შეჭამა, საგნებმა მონად ვერ გაიხადეს. იგი დარჩა ლალი, ამაყი, თავისუფალი.

ხანდაზმული კაცი რედაქციაში ზის და მუშაობს. უხალისო ცხოვრების ჭაპანს უდრტვიწველად ეწევა. ერთხელ რედაქციაში ახალგაზრდა პოეტი ქალი მოვიდა. პოეტესას ლექსები დაუწუნეს და გაწბილებული უკან გააბრუნეს. ხანდაზმულ კაცს ქალი შეეცოდა, დერეფანში წამოეწია და გამოელაპარაკა.

„- თქვენ შესანიშნავი პოეტი ხართ, - უთხრა მამაკაცმა. - გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, დიდი პოეტიც. მეც კარგი პოეტი ვარ, ამჯერად მოდიდან გამოსული, და რას გირჩევთ, იცი? შინ რომ მიხვალთ, თმა შეიღებეთ. იღებთ ხან შავად, ხან წითლად... ყველაზე უკეთესია, თუ მწვანედ შეიღებავთ, ან კბილს ამოიღებთ. ეს ძალიან მოქმედებს პოეტური ბუნების ადამიანებზე. მე, როგორც ხედავთ, თმა ველარ მშველის. შეხედეთ, - მამაკაცმა ფოლადის კბილების მთელი წყება გამოაჩინა, - მე კბილებს ვიგლეჯ ხოლმე, მოვიგლეჯ და ჩავისვამ, მოვიგლეჯ და ჩავისვამ...“

ქალიშვილს ნელ-ნელა გაელიმა და შერე ისევ ნელა გადმოუგორდა ლამაზი თვალებიდან ორი კურცხალი“ („მოდიდან გამოსული პოეტი“).

მკითხველი ამ კაცის ცხოვრებას სრულად არ იცნობს. თუმცა უტყუარი გუშანით გრძნობს და იცის, რომ უცნობს ბევრი უნახავს და ბევრი განუცდა. ცხოვრებასთან ჭიდილში დაცემულა კიდევ, მაგრამ მაინც წამომდგარა. იმდენი გულის სითბო შეუნახავს, რომ შეუძლია



სხვაც გაამხნევოს, წაახალისოს. შეგიძლია უნდო. არ ვიღალატებს, მხარში ამოვიდგება და სამშვიდობოს გაგიყვანს.

რ. ინანიშვილი გვიჩვენებს პატარა ადამიანების ძლიერების წყაროსაც. პირველი წყაროა სიყვარულით გამოთბარი გული.

შეზარხოშებული დათიკო შინ ბრუნდება. მდინარის პირას ორი მამაკაცი და ერთი ქალი შეამჩნია. ლამაზმა ქალმა მიიქცია დათიკოს ყურადღება. დააკვირდა და დაინახა, რომ მამაკაცები დინამიტის აყვითქებას აპირებდნენ მდინარეში. დათიკო ანთო და ვივინდარებს წინ გადაეღობა. ჯერ ბრაკონიერებს ევონათ, შევამინებთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მაშინ გარეწრებმა უკაცურ ხერხს მიმართეს: დათიკოს თვალებში სილა შეაყარეს, ქალმა კი თავში ქვა ჩაართყა. დარეტიანებული დათიკო დაეცა. კარგა ხნის მერე გამოფხიზლდა. ისინი უკვე გაპარულიყვნენ. წარმოდგა. ვაივაგლახით ცხენზე შევჯდა და შინ გასწია.

„მიეზაყებოდა ცხენზე – სველი, შუბლზე თამამწებებული, შიგადაშიგ ილიძებოდა და თან სულ ამას იმეორებდა: „ვაიგე ლამაზი ქალისა რამე! ვაიგე ლამაზი ქალისა რამე!“ ჩაზლაცუნდებოდა, ან თავს აიჭნევდა, კეფა ეტკინებოდა და ღიმილში სიმწარე გაერეოდა. „უუ, თქვენი!“ („ლამაზი ქალი“).

ბოროტმოქმედთა მიმართაც კი არ უნდება დათიკოს მტრობისა და შურისგების გრძნობა. ავკაცობამაც კი ვერ სძლია მის ხალასსა და მართალ ბუნებას.

მეხუთე გოგო იყო და მამამისს მისი დაბადება არც ვახარებია. თოთხმეტი წლისა გაათხოვეს. ვიღაც ჩაბურვაკებულმა მენახირემ წაიყვანა. სიყვარულის მაგიერ შიშით უყურებდა ბარბაღე ამ კაცს. მოთმინებით ელოდა ხსნას. ერთ დღეს მულანლოელმა ყაჩაღმა მოკლა ბარბაღეს ქმარი. მერე ბედმა გაულიმა და კაცურ კაცს შეახვედრა. შვილებიც ეყოლა ბარბაღეს. როცა ევონა ცხოვრება კალაპოტში ჩადგაო, მაშინ დაენგრა ყველაფერი ქალს. მისი ქმარი დააპატიმრეს და საშუღამოდ დაკარგეს. წელზე ფეხს იდგამდა ბარბაღე და ისე დაზარდა შვილები. იმათაც აღარ დააყოვნეს და ქალაქში გადასახლდნენ. დარჩა მარტოდმარტო მოხუცი ქალი. მაინც თავაუღებლად შრომობდა და ქალაქში შვილებთან უზიდებოდა სარჩო-საბადებულს. არავის ეცალა ბარბაღესათვის. კაკალი რაა, კაკლის დაბერტყვამიც კი არ ეხმარებოდნენ. აქაოდა, მოუცლელნი ვართო. შენი ბიჭი სად არის, ის რატომ არ ბერტყავსო და არხენად აუვლიდნენ გვერდს ბარბაღეს ეზო-კარს. მტრის გულის გასახეთქად თავად ავიდა კაკალზე. ხალხა\* მოიქნია, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და „იგრძნო, ილუპებოდა. მაინც ხმა არ

\* ხალხა – კაკლის საბერტყი კეტი.



ამოულია. მიწაზე დაცემულმა ერთი შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა, კიდევ კარგი, რომ ვილაცამ შემთხვევით მოჰკრა თვალი. გვერდებზე დათმ მყუდროზე მიწოლილა და მისძინებია“ („სიკვდილი ბარბაღე ბადიაურისა“).

ცხოვრების მძიმე გზა გაიარა ბარბაღემ, მაგრამ საყვედურიც კი არ დასცდენია არავის მიმართ: არც მამის, არც პირველი ქმრის, არც შეილების და არც მეზობლებისა. შურისგება და ბოროტება ხომ არა და არ გაუვლია გულში. იგი შრომობდა და მხოლოდ სიყვარული ასულდგმულედა. სიკვდილის წინაც კი არ დაკარგა წონასწორობა და შეინარჩუნა უნარი გაფრთხილებოდა ქალურ ღირსებას: მუხლებზე კაბა გადაიფარაო, ამბობს მწერალი. ასეთ სულიერ ძალას ვერაფერი დათრგუნავს, სიკვდილიც კი. ამიტომ ბარბაღე მიძინებულს ჰგავს და არა მიცვალებულს. არსებობის ერთი ფორმა შეცვლილა მეორეთი.

პატარა ადამიანის ძლიერებას კიდევ ერთი წყარო კვებავს – სიწმინდე და სიხალასე. ადამიანი მაშინ არის უძლეური, როცა სულიერ წონასწორობას კარგავს, გული ბოღმით უსივდება და შურის მატლი ხრავს. იგი თავისთავს ვეღარ ერევა და დამარცხებული სხვის წახდენაზე ოცნებობს. ეს გრძნობა სრულიად უცხოა რ. ინანიშვილის დათიას, გოგიასა თუ ევასათვის. გულქართლი ძმები („დათია და გოგია“) ალალი შრომით და სუფთა ოცნებით ცხოვრობენ, თუმცა ერთი მათგანი პრაქტიკოსია და მეორე – ფანტაზიორი. ერთს მსხმოიარე ხეები უყვარს და მეორეს უნაყოფო ალვები. ერთს წამით მოცდენაც ეზარება და სულ მიწას ჩაკვირკიტებს, მეორეს შეუძლია წამოწოლილმა საათობით ადევნოს თვალი, როგორ მოძრაობენ ღრუბლები. მაგრამ მათ განუჯრელად აკავშირებთ ერთი რამ – ხალასი ბუნება. ძმები ომში დაიღუპნენ. მაგრამ ისინი მაინც ამსოფლად დარჩნენ.

„...ჩვენ, ვისაც კი როგორღაც გულზე გვება ეს ორი ობოლი ძმა, თუკი მათი ვენახისაკენ მოვხვდებით, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ ავხედოთ ამ ალვის ხეებს. ავხვდავთ ხოლმე და გვეჩვენება, რომ ცის ის ნაჭერი უამრავი კენწეროებით არის სავსე, საიდანღაც ჩაბინდული ნიავი მოდის, მალლა-მალლა წასული კენწეროები რბილად გადმოხრილან ნაღვლისფერი მიწისაკენ, მიდამო მათი ფოთლების იღუმალი ჩურჩულით არის შეპყრობილი, და ყოველივე ამას ობოლი ძმების ჩვენსკენ მოსწრაფებული სულები სჩადიან“.

რა გულმხეციც უნდა იყო, შეუძლებელია უკან არ დაიხიო ევას უმანკოების წინაშე, პატივი არ სცე და არ დაემორჩილო („ევა“). სიწმინდე იწვევს ნდობას და თანაგრძნობას. ხოლო სადაც თანაგრძნობაა, იქ ბოროტება ვეღარ ისადგურებს. შეიძლება ამიტომაც რ. ინანიშვილის პერსონაჟთა შორის იშვიათად შეგხვდებათ ავკაცები. ისეთი





შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს სიკეთეს გაუძევებია ბოროტება და მარტოღმარტო გაბატონებულია. მაგრამ, ცხადია, ეს შეუძლებელია. ბოროტება ჩრდილივით თან დასდევს სიკეთეს. ავტორლიალა და არ სცილდება.

ერთხელ მეზობელმა ვანო ბუჭყიაშვილს ასეთი რამ უთხრა: „— შენ, ჩემო ვანო, პატიოსანი კი არა, მშინმარა ხარ და იმიტომ ვერ მოულობ ბევრ ფულსო. მაშინ ვანომ იმის საბუთად, რომ მშინმარა არ იყო, სასაცილო რამ თქვა: „მე შემიძლია შიშველი ხელებით გველი დავიჭირო, მე შემიძლია, რაც უნდა ავი ძალლი იყოს, ხელში ავიყვანო. ამაზე მეზობელმა, ვზააბნეულ ბავშვს რომ დაუყვავებუნ, თითქმის ისე დაუყვავა: ვგეთი სიმაძაცე, ჩემო ვანო, დღეს საკმარისი აღარ არის, ახლა ადამიანის არ უნდა გეშინოდეს, თორემ გველი და ძალლი... გველი და ძალლი რა სახსენებელია ადამიანთანო“ („ვანო“). მეზობელს უნდა შზამი ჩააწვეთოს ვანოს სულში და მოწამლოს. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. აგრე იოლად არ შეიძლება ვანოს მორევა. შეიძლება წამით გუნება გაუფუტო, მაგრამ მალე ისევე გახალისდება და მტკიცედ გააბოტებს მადლიან მიწაზე.

როცა მოთხრობას ვკითხულობდი, ვანოს მეზობლის სახელს ვეძებდი და ვერ ვიპოვე. ამან დამაფიქრა და დავაკვირდი: არსად „სალამო ხანის ჩანაწერებში“ ავკაცს სახელი არ ჰქვია: არც იმ ბრაკონიერებს, დათიკოს რომ ჰქვა ჩაარტყვეს, არც იმ სათვალეზიან რედაქტორ ქალს, პატარა პოეტესას უსულგულოდ რომ დაუწუნა ლექსები, და არც სხვებს. ეს უკვე შემიხვევა აღარ არის. ეს კონცეფციაა. ბოროტი კაცი პიროვნება არ არის. არც ბოროტებას აქვს დამოუკიდებელი არსებობა. იგი კეთილკაცობისა და სიკეთის ხარჯზე ცხოვრობს. პარაზიტია და იმიტომ. ხორცმეტია და იმიტომ. როგორც ავადმყოფობა დაეძებს ჯანსად სხეულს დასაბუდებლად, ისე დაეძებს ბოროტება სიკეთეს. ამის შეგნება იწვევს სევდას, დარდს. სევდის განწყობილება „სალამო ხანის ჩანაწერებში“ ავლენს რ. ინანიშვილის მწერლურ კეთილშობილებას. ეს კანონია. ამქვეყნად ყველაზე მხიარული წიგნი „დონ კიხოტი“ გაჟღენთილია სევდით. ამიტომაც არის ლამაზწელი რაინდი უკეთილშობილესი კაცი და მისი ავტორი დიდი ჰუმანისტი. ბოროტებისათვის უცხოა სევდა. ბუნებრივიც არის. თუ ბოროტებას მოერევა დარდი, მაშინ იგი (ბოროტება) ფუნქციას დაკარგავს. ამდენად სევდა მხოლოდ სიკეთის თანამგზავრია. „სალამო ხანის ჩანაწერები“ სიკეთის წიგნია და სევდაც კანონზომიერად არსებობს მასში.

ვისი ბედი იწვევს სევდას? ნინოს, თინიკოს, ირაკლის, ბარბაღესი, დათიასი, გოვიასი და სხვათა. თითოეული მათგანი უკეთილშობილესი



პიროვნებაა. ისინი სიამაყით გავსებენ და მათი არსებობა იმედია, სევდით დაბადებული იმედი.

ქართველმა კაცმა ულამაზესი სიმღერა შექმნა – „ურმული“. იგი მთვარიანი ღამით, მარტობით, შრომით, ადამიანის და პირუტყვის შეგობრობით აღძრული სევდაა. ახლა ნახეთ, რას ამბობს რ. ინანიშვილი მეურმეზე:

„მაგრამ სულ სხვაა ურმისა თუ ფურგონის ჯაყჯაყი. ამ ხმას მშვიდად ზვდები, რადგანაც იცი, ადამიანმა, რომელმაც გამართა ურემი, უღელში შეაბა ზარები, იმთავითვე უარი თქვა გულის გამალაღებელ ქოლვაზე. იგი დაემორჩილა სხვა ადამიანების, საზოგადოების აზრს – გზას. ამ გზაზე, სხვების თვალწინ, ერთი ადგილიდან მეორეზე უნდა გადაიტანოს მძიმე ტვირთი. ეს კი კეთილი საქმეა, ტვირთის ზიდვა“ („ფანჯარასთან ღამის პირველ საათზე“).

ე. ი. კეთილი საქმის შემოქმედმა შექმნა სევდიანი ჰიმნი. ასეთია ცხოვრება.

„შზია, ბევრი რამ არის კარგი ამქვეყნად, მაგრამ მე ასე მგონია, იმაზე კარგი მაინც არაფერია, სიცხეში მწვანე ბალახწაფარებული მუხის სველი კასრით ცივ წყალს რომ მოუტან მწყურვალ ადამიანებს, ან არადა პურს – დამშეულებს. როგორი მადლიერებით შემოგყურებენ, რომ იცოდე, როგორი უმწუხონი არიან შენთან შედარებით“ („ფანჯარასთან ღამის პირველ საათზე“).

მაშინაც უმწუხოა ადამიანი, როცა სულის პური აკლია. სულის პურის მიწოდებაც ისეთივე კეთილი საქმეა, როგორც მწყურვალისათვის წყლის მიტანა. მაგრამ ეს კეთილი საქმე მაშინ იძენს ღირებულებას, როცა იგი მართალია და გულწრფელი. სხვანაირად მწერლობა უქმი შრომაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერება შეუძლებელია იყოს ცრუ და ორპირი. „სალამო ხანის ჩანაწერების“ ქვეტექსტიც სწორედ სიცრუის წინააღმდეგ არის მიმართული. ყველაზე დიდი დანაშაული და ბოროტმოქმედება მწერლობის საშუალებით ადამიანის მოტყუებაა. ეს რ. ინანიშვილის მწერლური შეგნებაა. ამიტომაც გულლიად გველაპარაკება იგი და გვიამბობს იმას, რაც განუცდია, უნახავს, გაუგონია. ამ გულწრფელობის ჯილდოდ დაიმსახურა მან მკითხველის ნდობა. ჩემი ღრმა რწმენით, მწერლისათვის ყველაზე მაღალი ეს ჯილდო არც „სალამო ხანის ჩანაწერებს“ მოაკლდება.

## აკაკი ბაქრაძე

### მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1928 წლის 29 მარტს, თბილისში.

1948 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა ოზურგეთში.

1953 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1953 წლიდან სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთების რედაქციებსა და გამოცემლობებში. ძირითად სამსახურებრივ სფეროს კინო და თეატრი წარმოადგენდა. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული კინოსა და თეატრის მნიშვნელოვანი წარმატებები.

1955-1960 წწ. იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების რედაქტორი.

1961-1968 წწ. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლექტივის მთავარი რედაქტორი.

1965 წლიდან პერიოდულად კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე.

1973-1980 წწ. რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

1986-1988 წწ. საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი.

1988-1989 წწ. მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

1989-1991 წწ. რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე.

1991-1996 წწ. კითხულობდა ლექციებს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გარდაიცვალა 1999 წლის 5 დეკემბერს.

ასობით საგაზეთო და საჟურნალო სტატიის გარდა,  
გამოქვეყნებული აქვს შემდეგი წიგნები:



ქართული  
ბიბლიოთეკა

- კინოკრიტიკული უტიულები, 1966.  
კრიტიკული წერილები, 1966.  
მითოლოგიური ენგადი, 1969, 2000 (შევესებული გამოცემა).  
სჯანი, თბილისი, 1972.  
ფიქრი და განსჯა, 1972.  
კრიტიკული გულანი, 1976.  
მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, 1978.  
პილაპილმოყრილი მადლი, 1981.  
ილია ჭავჭავაძე, 1984 (გერმანულად თარგმნილი გამოცემა ბერნში,  
1993 წ.).  
სულის ზრდა, 1986.  
კინო და თეატრი, 1989.  
ნიკო ნიკოლაძე, 1989.  
რწმენა, 1990.  
მწერლობის მოთვინიერება, 1990 (დაიწერა და არალეგალურად  
ვრცელდებოდა 1983 წლიდან).  
ილია და აკაკი, 1992.  
დაწუნებული გზა, 1995.  
13 წელი კინოში, ნიღბების სამყაროში, 1996.  
კარდუ – გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, 1999, 2003.  
აფხაზეთისთვის, 2002.  
2004 წელს გამოვიდა აკაკი ბაქრაძის თხზულებათა მრავალტო-  
მეულის პირველი ტომი.

შემდგენელთა წინათქმა .....	
ლეგენდა .....	7
ქართული მწიგნობრობა .....	20
მარავითზრახვა .....	26
ავთანდილის სახე „ვეფხისტყაოსანში“ .....	51
მეცზრამეტე საუკუნე .....	56
„სურამის ციხის“ გამო .....	78
ცოდვა და მადლი .....	89
„თერგდალეულები“ .....	95
ილია ჭავჭავაძე .....	102
სიყვარულს უშენებია .....	102
+ არაფრობის უარყოფა .....	117
+ საქმით მეტყველი სული .....	126
+ გზა ხსნიისა .....	135
აკაკი წერეთელი .....	151
ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი .....	151
სულის ნეტარება .....	162
„სულიკო“ .....	190
„გამზრდელი“ .....	206
ვაჟას მრწამსი .....	226
არსებობის შიში .....	254
სევდა ისტორიისა .....	266
+ მოუხმარელი, ანუ ტრაგიკული თავისუფლება .....	281
ყვარყვარე .....	298



ქართული  
ენობათმცოდნეობის  
ინსტიტუტი

† ზნეობრივი ვმირისათვის .....	303
მასალა და მოთხრობა .....	316
† „ხოჯაის მინდია“ .....	326
+ თვინიერების უარმყოფელი .....	330
† სულის პური .....	334
+ აკაკი ბაქრაძე. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები .....	340

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა

---

ნანა დუმბაძე  
იზა ხარებავა  
ზაზა შიქაძე  
გიორგი ხარებავა



---

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@posta.ge

287.695

3

ქართული

საბიბლიოთეო



გამომცემლობა „უნივერსალი“